შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები

501
1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№89

# სერია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა-ორგანიზაცია

(ტ. LXXXIX) 89

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института

# СЕРИЯ ЭКОНОМИКА-ОРГАНИЗАЦИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

19 თბილისი 74

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა-ორგანიზაცია

(ტ. LXXXIX)

P2624

Труды Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института

# Серия ЭКОНОМИКА-ОРГАНИЗАЦИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

19 თბილისი 74

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის სერიის ტომის მასალები განხილულია ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მოწონებულია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდი საბჭოს მიერ

მთავარი რედაქტორი: ვ. ი. მეტრეველი.

სარედაქციო კოლეგიის წევრები: ჰ. გ. გიორგაძე, ქ. შ. გოგიჩაშვილი (პ/მგ. მდივანი) ლ. ი. ებანოიძე, მ. ა. ივანოვა, დ. ფ. კალანდაძე, ნ. კ. ლაჭყეპიანი, ა. გ. მახარაძე (მთ. რედ. მოადგილე), ნ. ი. ქარქაშაძე, ი. ლ. ჯაში.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. ვ. მჭადუა

# სკკპ XXIV ყრილობა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ

სკკპ XXIV ყრილობამ პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად დასახა მშრომელთა კეთილდღეობის არსებითი გაუმჯობესება. ყრილობამ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში ხაზგასმით აღნიშნა: **„ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“**[1].

ხუთწლედის ამ მთავარი ამოცანის გადაწყვეტაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მრეწველობის, და უწინარეს ყოვლისა, მისი საფუძვლის, მძიმე ინდუსტრიის სწრაფი ტემპით განვითარებას.

„მძიმე ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპები კვლავაც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში“[2].

მძიმე ინდუსტრიის სწრაფი ტემპით განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გაფართოებულ სოციალისტურ კვლავწარმოებას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ზრდის ტემპებს, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. მძიმე მრეწველობის განვითარების გარეშე შეუძლებელია ხალხის კეთილდღეობის ძირეული გაუმჯობესების ამოცანების გადაწყვეტა, სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარება.

მძლავრ მრეწველობასთან ერთად, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდის, კომუნისტური საზოგადოების აშენების აუცილებელი პირობაა.

პარტიამ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და მომდევნო პლენუმების და XXIII და XXIV ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილე-

---

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 299.

[2] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XXIV ყრილობას. სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 58.

ზებით შეიმუშავა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა და მისი განხორციელების გზები. პარტიამ შეიმუშავა ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რომლებიც განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ბიბლიოთეკა

მეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის დარგში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა: გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა წინა ხუთწლეულთან შედარებით 20—22%-ით, უზრუნველვყოთ კვების პროდუქტებზე მოსახლეობის და ნედლეულზე მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება.

პარტიამ მარცვლეულის წარმოების ზრდა მეცხრე ხუთწლედშიც სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ პრობლემად დასახა. გათვალისწინებულია მარცვლეულის საშუალო წლიურმა საერთო მოსავალმა ხუთწლედის მანძილზე მიაღწიოს 195 მლნ ტონას, ხოლო მარცვლეულის საშუალო მოსავალი ჰექტარზე გადიდდეს 4 ცენტნერით და მიაღწიოს 20 ცენტნერს. საქართველოს რესპუბლიკაში მარცვლეულის ყოველწლიურმა წარმოებამ უნდა მიაღწიოს 1 მლნ. ტონას. გაფართოვდება მარცვლეულის წარმოება სარწყავ და დაშრობილ მიწებზე. შეიქმნება სასაქონლო მარცვლეულის გარანტირებული წარმოების მსხვილი რაიონები სამხრეთ უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ვოლგისპირეთის სარწყავ მიწებზე.

ფართოდ გაიშლება სასელექციო მუშაობა ხორბლის, სიმინდის და სხვა მარცვლეული კულტურების საუკეთესო მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოსაყვანად და წარმოებაში დასანერგად.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების შემდგომ განვითარებასა და მათი მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას. 1975 წლისათვის საბჭოთა კავშირში ხამი ბამბის წარმოებამ უნდა მიაღწიოს 7—7,2 მილიონ ტონას, სელის ბოჭკოს შესყიდვამ — 520000 ტონას. 1971—1975 წლებში უნდა გადიდდეს სახელმწიფო შესყიდვა: შაქრის ჭარხლისა — 82 მილიონ ტონამდე, მზესუმზირას თესლისა — 5,9 მილიონ ტონამდე, კარტოფილისა — 15,5 მილიონ ტონამდე, ბოსტნეულისა — 15 მილიონ ტონამდე, ხილისა და კენკრისა — 5 მილიონ ტონამდე, ყურძნისა — 5,4 მილიონ ტონამდე[3].

მეცხრე ხუთწლედში შემდგომ განვითარებას მიაღწევს საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 23%-ით გაიზრდება წინა ხუთწლედთან შედარებით. ამ წლებში მრავალწლიანი კულტურები გაშენდება 66 ათას ჰექტარზე უმთავრესად ამოშრობისა და ირიგაციის შედეგად მიღებული ახალი მიწის ფართობებზე.

რესპუბლიკის მეჩაიეებმა უკვე 1974 წელს აიღეს ხუთწლედის ზღუდე და სახელმწიფოს ჩააბარეს 312 ათასი ტ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 1975 წლის გეგმა-ვალდებულების 300 ათასი ტონისა.

---

[3] ლ. ი. ბრეჟნევი, პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში. თბილისი, 1970, გვ. 17.

ხუთწლედში შემდგომ განვითარებას ჰპოვებს მევენახეობა. 1975 წელს ვენახების ფართობი გაიზრდება 131,9 ათას ჰა-მდე, ყურძნის საერთო მოსავალი — 630 000 ტონამდე. ხოლო ყურძნის შესყიდვა მიაღწევს 460 000 ტონას, ნაცვლად 1970 წლის 391,8 ათასი ტონისა.

დიდი ამოცანებია დასახული მეხილეობის განვითარებაში. ხუთწლედში ხეხილის ბაღები გაშენდება 25 ათას ჰექტარზე და მისი საერთო ფართობი მიაღწევს 174,1 ათას ჰა-ს, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 100,6 ათას ჰა-ს, რითაც მნიშვნელოვნად გაიზრდება ხილის საერთო წარმოებაში საზოგადოებრივი მეურნეობების ხვედრითი წილი. 1975 წელს ხილის წარმოება მიაღწევს 440 000 ტონას.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზრდება სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება: 1975 წლისათვის თამბაქოს წარმოება მიაღწევს 18 000 ტონას, ეთერზეთოვანი კულტურების — 30 000 ტონას, კარტოფილის— 336 000 ტონას, ბოსტნეულის—462,8 ათას ტონას და ა. შ. როგორც მთელ სსრ კავშირში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება გაიზრდება უმთავრესად საჰექტარო მოსავლიანობის გადიდების გზით. ხუთწლედის დასასრულისათვის ბოსტნეულის მოსავალი ჰექტარზე უნდა აყვანილ იქნეს 138 ცენტნერამდე, ხილის—57,5, ყურძნის — 60,2 ცენტნერამდე[4]. 1975 წელს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეურნეობების წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობაში 60%-ს მიაღწევს, ნაცვლად 1970 წლის 50%-ისა.

IX ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა, რისთვისაც განხორციელდება საკვები ბაზის განმტკიცების ეფექტიან ღონისძიებათა სისტემა, გაუმჯობესდება პირუტყვისა და ფრინველის ჯიშიანობა, გადიდდება მათი სულადობა და პროდუქტიულობა. ამ მიზნით 1971—1975 წლებში სსრ კავშირში შეიქმნება მეცხოველეობის 1170 კომპლექსი სამრეწველო საფუძველზე და 585 მეფრინველეობის ფაბრიკა.

ხორცის საშუალო წლიური წარმოება ხუთწლედის მანძილზე უნდა ავიყვანოთ 14,3 მილიონ ტონამდე (დაკლული წონით), რძისა — 92,3 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 46,7 მილიარდ ცალამდე, მატყლისა — 464 ათას ტონამდე[5].

ხუთწლედის დამლევისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული უნდა იქნეს 2600 კგ რძე, ხოლო საგარეუბნო მეურნეობებსა და ინტენსიური მეცხოველეობის რაიონებში — 3500—4000 კგ-მდე.

საქართველოს რესპუბლიკაშიც გათვალისწინებულია მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსების მშენებლობა ხორცისა და რძის წარმოების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის. 1971—1975 წლებში აშენდება და გაფართოვდება მეფრინველეობის 16 ფაბრიკა. აგრეთვე აიგება და რეკონსტრუირე-

[4] ი. მიქელაძე, საქ. სსრ მეცხრე ხუთწლედში, თბილისი, 1971, გვ. 46.

[5] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 328.

ბული იქნება 85 საკოლმეურნეო ფერმა და საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია 6 ახალი მსხვილი მეხორცეობისა და მეკვერცხეობის მიმართულების ფაბრიკის მ[illegible], რითაც ხუთწლედში ფრინველის ხორცის წარმოება გადიდდება [illegible], კვერცხისა — 74%-ით, 1975 წელს საქართველოს რესპუბლიკა სახელმწიფოს მიჰყიდის 20 ათას ტონა ფრინველის ხორცს და 500 მილიონ ცალ კვერცხს. ძროხის საშუალო წლიური წველადობა მიაღწევს 1600—1800 კგ-ს.

უმნიშვნელოვანეს ამოცანადაა მიჩნეული მოკლე დროში პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. საკვები კულტურები სსრ კავშირში ითესება 60 მილიონ ჰა-ზე, რაც მთელი ნათესი ფართობის 30%-ს შეადგენს. მეტი ფართობის გამოყოფა მიზანშეუწონელიცაა; მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

მეცხოველეობის სრულფასოვანი საკვებით უზრუნველყოფისათვის სწრაფი ტემპით განვითარდება კომბინირებული საკვების დამზადება და მიკრობიოლოგიური მრეწველობა. სახელმწიფო საწარმოებში კომბინირებული საკვების წარმოება მიაღწევს 20 მილიონ ტონას და ცილა-ვიტამინიანი დანამატებისა —1 მილიონ ტონას[6].

საქართველოს რესპუბლიკაში 1971—1975 წლებში მაღალპროდუქტიული სათიბები და საძოვრები უნდა შეიქმნას 100 000 ჰა-ზე. ხოლო კომბინირებული საკვების წლიური წარმოება უნდა გადიდდეს 650 ათას ტონამდე.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი ყველა დარგის ინტენსიფიკაცია. ხოლო ინტენსიფიკაციის მთავარი რგოლია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივი განმტკიცება, სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა. IX ხუთწლედში განხორციელდება სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა. ხუთწლედში სოფლის მეურნეობის საერთო ენერგეტიკული სიმძლავრე გაიზრდება 161 მილიონი ცხენის ძალით, ანუ 1,5-ჯერ[7].

ხუთწლედში მწყობრში ჩადგება სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის 16 ახალი ქარხანა და რეკონსტრუირებული იქნება 100 ასეთი ქარხანა. მაგალითად, რეკონსტრუქციის შედეგად ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანამ 1975 წელს უნდა გამოუშვას 160 ცხენის ძალის სიმძლავრის 32 ათასი ტრაქტორი. ხოლო შემდეგში იგი ყოველწლიურად გამოუშვებს 50 ათას ასეთ ტრაქტორს. ამჟამად ლენინგრადის კიროვის ქარხანა უშვებს 220 ცხენისძალიან ტრაქტორს და უკვე დაიწყო 300 ცხენისძალიანი კ-701 სასოფლო ტრაქტორის ათვისება[8]. ამ ხუთწლედში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა მიიღებს 1700 000 ტრაქტორს, 1100 000 სატვირთო ავტომობილს, 1500 000 ტრაქტორის მისაბმელს, 541 000 მარცვლის ასაღებ, 230 000 სილოსის ასაღებ

[6] იქვე, გვ. 329.

[7] Сельское хозяйство СССР на современном этапе, стр. 14.

[8] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა ალმა-ათაში ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1974 წლის 15 მარტს. გაზ. „კომუნისტი", 16 მარტი, 1974 წ. № 63.

და 60 000 ჭარხლის ასაღებ კომბაინს, 87 000 ექსკავატორს, 82 000 ბულდოზერს და სხვა ტექნიკას. გამოშვებულ იქნება 6 მილიარდი მანეთის მანქანები მეცხოველეობასა და საკვების წარმოებაში სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

მთლიანად დაკმაყოფილდება მოთხოვნილებანი ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებზე.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად ამაღლდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. 1971—1973 წწ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიიღებს 15 400 ტრაქტორს, 1200 მარცვლეულის ასაღებ კომბაინს, !11900 სატვირთო ავტომანქანას და ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 9080 ტრაქტორი, 5519 სატვირთო ავტომანქანა და დიდძალი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.[10]

ამაღლდება საბჭოთა კავშირის ელექტროაღჭურვილობა და ხუთწლედში ერთიორად გადიდდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის მოხმარების მოცულობა.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწების მელიორაციას.

IX. ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდება წყალსამეურნეო მშენებლობის მოცულობა. 1971—1975 წლებში საექსპლუატაციოდ გადაეცემა 3 მილიონი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები და განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაშრობა 5 მილიონ ჰა-ზე ჭარბტენიან ზონებში. ასევე განხორციელდება 41,2 მილიონი ჰა საძოვრების გაწყლოვანება, არსებული სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გადიდება[11].

ხუთწლედის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკაში საექსპლუატაციოდ გადაეცემა 70 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები და განხორციელდება 50 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი მიწის ფართობზე სამელიორაციო ღონისძიებანი. ამასთან განხორციელდება 250 ათასი ჰექტარი საძოვრების გაწყლიანება. ფართო გავრცელებას ჰპოვებს მთიან რაიონებსა და ბორცვ-გორაკიან ფართობებზე დაწვიმების წესით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებით შემუშავებულ იქნა სამელიორაციო სამუშაოთა პერსპექტიული გეგმა, რომლის მიხედვით ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში მელიორირებული მიწების ფართობი გაიზრდება 48 მილიონ ჰა-მდე.

ხუთწლედში გაძლიერდება სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ტემპები. 1975 წელს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა მიიღებს 72 მილიონ ტონამდე მინერალურ სასუქებსა და 3 მილიონ ტონამდე საკვებ ფოსფატებს. 1 ჰა სახნავზე გაანგარიშებით მინერალური სასუქების გამოყენება გაიზრდება 1,6-ჯერ.

---

9 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 332.

10 გაზ. „კომუნისტი", 20 დეკემბერი, 1973 წ. № 295.

11 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 330.

შემდგომ ხუთწლედში (1980 წლისათვის) მინერალური სასუქების წარმოება მიაღწევს 150 მილიონ ტონას[12].

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კომპლექსური მაღალკონცენტრირებული სასუქების წარმოებას და უახლოეს წლებში მისი წარმოება 50%-მდე გადიდდება (ახლა იწარმოება მხოლოდ 6%).

1975 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობა მიიღებს 800 000 ტონამდე მინერალურ სასუქებს და საჭირო რაოდენობით შხამქიმიკატებს.

ხუთწლედში ფართოდ დაინერგება ნიადაგურ-კლიმატური ზონების შესაბამისად მინერალური სასუქების გამოყენების ხერხები ორგანული სასუქების გამოყენებასთან, მჟავე ნიადაგების გაკირიანებასთან, მიწების სამელიორაციო გაუმჯობესებასა და მიწათმოქმედების კულტურის საერთო ამაღლებასთან შეხამებით.

IX ხუთწლედში დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსების—მიწის, წყლების, ატმოსფეროს, სასარგებლო წიაღისეულის რაციონალური გამოყენებისათვის, განხორციელდება ტყის აღდგენისა და საცავი ტყეების გაშენების სამუშაოები 12 მილიონ ჰა ფართობზე, ტყეების ფართობების დაშრობის სამუშაოები 1,3 მილიონ ჰა-ზე[13]. ასევე დიდი ამოცანებია დასახული ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გასატარებლად.

სოფლის მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილებები, მისი ინტენსიფიკაცია ახალ ამოცანებს უსახავს მეცნიერებას. ხუთწლედში მნიშვნელოვნად ამაღლდება სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების სასოფლო-სამეურნეო წარმოებებში დანერგვას.

წარმატებით გადაჭრა იმ დიდი ამოცანებისა, რომლებსაც IX ხუთწლიანი გეგმა ისახავს, დიდად არის დამოკიდებული სპეციალისტებზე, კადრებზე. პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას იჩენენ სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის. ხუთწლედში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდება მექანიზატორთა, მეცხოველეთა, ბრიგადირთა და სხვა სპეციალისტთა მუდმივი კვალიფიციური კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფისათვის. არსებითად გაუმჯობესდება აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი ექიმების, ინჟინრების, ეკონომისტებისა და სხვა პროფილის სპეციალისტების მომზადება. ჯეროვანი ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად ხუთწლედში გათვალისწინებულია დიდძალი კაპიტალური დაბანდება, რომლის საერთო მოცულობა უდრის 129 მილიარდ მანეთს, რაც 47 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში. ამასთან ხუთწლედში 11,5 მილიარდი მანეთით გადიდდება და 29.3 მილიარდ მანეთს მიაღწევს კაპიტალური დაბანდებანი იმ

---

12 ლ. ი. ბრეჟნევი, პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში, გვ. 32.

13 სკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 195.

დარგებში, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან.[14]

ამ დიდძალი თანხის გონივრული გამოყენებით მიღწეულ იქნება სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისნაყოფიერება გაიზრდება 37—40%-ით, ნაცვლად 35%-ისა 1966—1970 წლებში. შესაბამისად შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობის ამაღლებით ხუთწლედში ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გადიდდება 37—40%-ით. ამასთან მისი მატების 80—85% მიღებული იქნება შრომისნაყოფიერების გადიდების გზით.

ხუთწლედში მთავარ ამოცანად რჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფა. დამთავრდება საბჭოთა მეურნეობების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

კოლმეურნეობებში შრომისნაყოფიერების გადიდების საფუძველზე არსებითად დაუახლოვდება კოლმეურნეთა შემოსავალი საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ხელფასს.

ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის 24-ე ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობა დამოკიდებულია არამარტო სოფლის მშრომელებზე, არამედ ბევრად დამოკიდებულია მრეწველობის მუშაკთა, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა მეცადინეობაზედაც. პარტიამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ამოცანა დიდ სახალხო-სამეურნეო, პოლიტიკურ ამოცანად გამოაცხადა.

ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადაიქცა სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისადმი, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომი ამაღლების საქმეში.

პარტიის 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ სასოფლო რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის კომუნისტებმა. თავიანთი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით მათ უნდა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის მრავალმილიონიან მუშაკთა დარაზმვა სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებებმა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები ჩაებნენ მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში IX ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

---

14 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 195.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია ყოველთვის პრინციპულ ბრძოლას აჩაღებდა შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულების წინააღმდეგ. ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმზე მიუთითებდა, რომ ზ[illegible] ფორმალურად უდგებიან სოცშეჯიბრებას. ხშირად ვალდებულ[illegible]ტკიცებენ ორგანიზატორული მუშაობით. ზოგჯერ კისრულობენ ვალდებულებებს, რომლებიც არ აღემატებიან საგეგმო დავალებებს და მიღწეულ საწარმოო შედეგებზეც კი დაბალია. ეს სოცშეჯიბრების არსის, მისი ბუნების დამახინჯებაა[15].

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში ასეთი დამახინჯებებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1971 წლის სექტემბერში მიიღო სპეციალური დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.[16]

დადგენილება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლის, რომ კიდევ უფრო განავითარონ მასების ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა, გაშალონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის.

დადგენილება პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ავალებს აქტიურად დაუჭირონ მხარი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობას. უფრო მომთხოვნელად მიუდგნენ კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების წოდების მინიჭებასა და დადასტურებას.

მეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საკითხზე მიღებულ იქნა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წლის იანვრის მიმართვაში პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მოუწოდა მთელ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს 1974 წელს ამრავლონ შრომითი ღონისძიებანი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.[17] ამის შესაბამისად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წლის იანვარში მიიღეს დადგენილება „1974 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“[18].

---

15 ლ. ი. ბრეჟნევი, პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში, გვ. 49.

16 გაზ. „კომუნისტი“, 5 სექტემბერი, 1971 წ. № 204.

17 გაზ. „კომუნისტი“, 4 იანვარი, 1974 წ. № 3.

18 გაზ. „კომუნისტი“, 13 იანვარი, 1974 წ. № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დადგენილებების საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს სოციალისტური შეჯიბრებებისადმი ხელმძღვანელობა. მოკავშირე რესპუბლიკების პარტიის ცენტრალურ კომიტეტებთან შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები. ასეთი კომისიები შექმნილია ყველა რაიონში პარტიის რაიკომების პირველი მდივნების ხელმძღვანელობით.

მეცხრე ხუთწლედის წლებში სოფლის მშრომელების სოციალისტური შეჯიბრება გადაიქცა ფართო მოძრაობად იმ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის დარგში. ფართოდ გავრცელდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა მოძრაობა კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელის საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ატარებენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მიმართ მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებებს.

მეცხრე ხუთწლედის გასულ წლებში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მრავალ ნოვატორს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ათასობით მუშაკი დაჯილდოებულ იქნა მთავრობის ჯილდოებით—ორდენებითა და მედლებით.

მშრომელი ადამიანებისადმი პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვისა და ყურადღების ნათელი გამოხატულებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულებით შრომითი დიდების ორდენისა და მედლის „შრომის ვეტერანის" დაწესება. იგი დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლების საქმეში. ის ახალ სტიმულს მისცემს საბჭოთა ადამიანებს პარტიის მიერ შემუშავებული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას მძლავრ გაქანებას მისცემს დაწესება ერთიანი საერთო-საკავშირო სამკერდე ნიშნებისა „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული" და „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელი" იმ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც მოიპოვეს მაღალი შრომითი მაჩვენებლები სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად მეცხრე ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში სოფლის მეურნეობის წარმოების დონის შემდგომი ამაღლების საქმეში მოპოვებულია მნიშვნელოვანი

წარმატებანი. ხუთწლედის პირველ, 1971 წელს, ქვეყნის რიგ რაიონებში არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომ ზრდას. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ შეადგინა 87,1 მილიარდი მანეთი, რაც 8%-ით ჭარბობს გასული ხუთწლედის საშუალო წლიური წარმოების დონეს. მიღებულ იქნა 181 მილიონი ტონა მარცვლეული, 13,4 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე VIII ხუთწლედის საშუალო წლიური მოსავალი. ქვეყანაში 1971 წელს ბამბის მოსავალმა შეადგინა 7 მილიონ ტონაზე მეტი. შემდგომი განვითარება ჰპოვა მეცხოველეობამ. 1971 წელს ხორცის წარმოებამ მიაღწია 13,1 მილიონ ტონას (დაკლული წონა), რაც 7%-ით ჭარბობს 1970 წლისას. პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვა გადიდდა 14%-ით, 1970 წელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა კვერცხის წარმოება და მიაღწია 45 მილიარდ ცალს. რძის წარმოება გაიზარდა 3%-ით და ა. შ.[19].

მეტად ცუდი ამინდის პირობების მიუხედავად, 1972 წელს მარცვლეულის წარმოებამ შეადგინა 168 მილიონი ტონა, რაც რამდენადმე აღემატება VIII ხუთწლედის საშუალო წლიურ დონეს, ბრინჯის წარმოებამ მიაღწია 1,6 მილიონ ტონას, ანუ 15%-ით მეტს, ვიდრე 1971 წელს. 1972 წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 7,3 მილიონი ტონა ხამი ბამბა. ეს ბამბის ყველაზე უხვი მოსავალია მთელი წინა წლების მანძილზე. სახელმწიფო რესურსებში შემოვიდა 11,1 მილიონი ტონა კარტოფილი და 11,2 მილიონი ტონა ბოსტნეული, რაც თითქმის უტოლდება 1971 წლის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობას.

1972 წელს ქვეყანაში წარმოებულ იქნა 13,6 მილიონი ტონა ხორცი (დაკლ. წონა), 83,2 მილიონი ტონა რძე, 82,2 მილიარდი ცალი კვერცხი, 419 ათასი ტონა მატყლი.[20]

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა კიდევ უფრო მაღალ წარმატებებს მიაღწიეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს. 1973 წელს ჩვენს ქვეყანაში მოყვანილ იქნა მარცვლეულის რეკორდული მოსავალი—222,5 მილიონი ტონა, რაც 55 მილიონი ტონით მეტია, ვიდრე საშუალოდ 1966—1970 წლებში. 1973 წელს ჰექტარზე მიღებულ იქნა 17,6 ცენტნერი მარცვლეული, რაც 28 პროცენტით ჭარბობს გასულ ხუთწლედში საშუალო წლიურ მოსავლიანობას.

1973 წელს სახელმწიფო რესურსებში შემოვიდა 90 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ.

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს მებამბეობის რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. 1973 წელს დამზადებულ იქნა 7,66 მილიონი ტონა ბამბა.

---

[19] Сельское хозяйство ССР на современном этапе, стр. 9.

[20] სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წ. სახ. გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. გაზ. „კომუნისტი", 31 იანვარი, 1973 წ. № 26.

1973 წელს მიღებულ იქნა კარტოფილისა და ბოსტნეულის კარგი მოსავალი და გადაჭარბებით შესრულდა მათი შესყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა. შესყიდულია 15,4 მილიონი ტონა კარტოფილი, 14,3 მილიონი ტონა ბოსტნეული.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, 1972—73 წლის ძნელი გამოზამთრების მიუხედავად, უზრუნველყვეს პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდა და პროდუქტიულობის ამაღლება. 1971—1973 წლებში ყველა კატეგორიის მეურნეობაში საშუალოდ წელიწადში წარმოებულია 13,5 მილიონი ტონა ხორცი (დაკლული წონა), რაც 1,9 მილიონი ტონით ჭარბობს 1966—1970 წლების საშუალო წლიურ წარმოებას. ასევე მერვე ხუთწლედთან შედარებით 1971—1973 წლებში საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა რძისა—3,9 მილიონი ტონით, კვერცხისა — 12,2 მილიარდი ცალით, მატყლისა — 28 ათასი ტონით.

1972 წელთან შედარებით რძის წარმოება გაიზარდა 4 მილიონი ტონით და 1973 წელს მან მიაღწია 87,2 მილიონ ტონას. იმავე პერიოდში კვერცხის წარმოება გადიდდა 2,9 მილიარდი ცალით და 1973 წელს მან შეადგინა 50,8 მილიარდი ცალი. 1973 წელს წინა წელთან შედარებით რძის საშუალო ნაწველი ერთ ძროხაზე გაიზარდა 4 პროცენტით, ხოლო მოქცეული ქათმის კვერცხმდებლობა — 5 პროცენტით.

1973 წელს შესრულებულ იქნა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

მეცხრე ხუთწლედის გასულ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ კოლექტიური მეურნეობები ეკონომიურად, გაიზარდა მათი შემოსავალი. 1973 წელს კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალმა 24 მილიარდ მანეთს მიაღწია, რაც 9 პროცენტით მეტია, ვიდრე 1972 წელს და 21 პროცენტით მეტია, ვიდრე საშუალოდ 1966—1970 წლებში.

ხუთწლედის გასულ წლებში საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში გაცილებით მეტი წარმატებები იქნებოდა მოპოვებული, რომ წლების განმავლობაში ადგილი არ ჰქონოდა სერიოზულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს სახალხო მეურნეობის გაძღოლაში, კადრების შერჩევასა და განაწილებაში, იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც წარმოიშვა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებიდან გადახვევის შედეგად.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სასოფლო რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკების და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელების სწორად შერჩევის საქმეს. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გამოვლინდა მიწერის, უყაირათობის, სახელმწიფო თანხების განიავების ფაქტები.

რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო ღონისძიებებს არ ატარებდნენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, სოფლის მეურნეობის წარმოების დონის ამაღლებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

1972 წლის ნოემბრისათვის რესპუბლიკის 588 კოლმეურნეობა ნაკლებრენტაბელური ან ზარალიანი იყო, აქედან 94 კოლმეურნეობა — მთლიანად ზარა-

ლიანი, ხოლო 270 კოლმეურნეობაში შემოსავალი ვერ ფარავდა შრომის ანაზღაურების ხარჯებს.

რესპუბლიკის მეცხოველეობისა და მერძევეობა-მებოსტნეობის [illegible] მეურნეობებმა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა მხოლოდ [illegible] შეასრულეს.

კოლმეურნეობებში შრომის დაბალ დისციპლინაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად 11 ათასზე მეტი შრომისუნარიანი კოლმეურნე არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საზოგადოებრივ წარმოებაში, ხოლო 60 ათასამდე კოლმეურნე წელიწადში 50 დღეზე ნაკლებს მუშაობდა.

1971 წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ ერთი მუშის სამუშაოზე გამოსვლა თვეში შეადგენდა მხოლოდ 15 დღეს.[21]

მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ საზოგადოებრივი მეურნეობების განმტკიცებას, სოფლის მეურნეობის წარმოების ამაღლებისათვის არსებული რეზერვების გამოყენებას, სათანადო ღონისძიებებს არ ატარებდნენ პლანტაციების სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ. 1972 წლის ნოემბრისათვის რესპუბლიკაში ვენახების სიმეჩხრე შეადგენდა 22,8%-ს, ხეხილის ნარგავებისა — 24,9%-ს, ციტრუსებისა — 28 პროცენტს.[22] ამის შედეგად სახელმწიფო ყოველწლიურად კარგავდა ათასობით ტონა ყურძენს, ხილსა და ციტრუსების ნაყოფს.

რესპუბლიკაში უაღრესად დაბალი იყო მეცხოველეობის პროდუქტიულობა, რომელიც დიდად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 29 სექტემბრის პლენუმს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ პრინციპული, უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღა იმ შეცდომებისა და დარღვევების სალიკვიდაციოდ, რომელთაც ადგილი ჰქონდა სახალხო მეურნეობის გაძღოლაში და პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საოლქო, რაიონულმა, საქალაქო და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის მარტის დადგენილების საფუძველზე მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირეული გარდაქმნისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომების აღმოფხვრისათვის.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე გაამახვილა ყურადღება 1972 წლის 20 ნოემბრის პარტიული აქტივის კრებამ, რომელმაც ღრმა ანალიზი გაუ-

---

21 ე. შევარდნაძე, სიტყვა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. გაზ. „კომუნისტი", 25 ნოემბერი, 1972 წ. № 277.

22 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და დასახა ღონისძიებანი მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირეული გაუმჯობესებისა და მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფის ვრცელი ღონისძიება დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის თებერვლის პლენუმმა, რომელმაც განიხილა „სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს კომუნისტური პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები“.[23]

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომებისა და მთელი რიგი დარღვევების მიუხედავად, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს მეცხრე ხუთწლედის გასულ წლებში და განსაკუთრებით 1973 წელს, იმ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, რასაც ეწეოდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის.

მერვე ხუთწლედის საშუალო წლიურ წარმოებასთან შედარებით 1971—1973 წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა მარცვლეულისა — 33,7 ათასი ტონით, მზესუმზირას თესლის — 1,8 ათასი ტონით, ჩაის ფოთლის — 46,2 ათასი ტონით, ხილის — 45,9 ათასი ტონით, ბოსტნეულის 78,6 ათასი ტონით, ხორცის — 16,6 ათასი ტონით, რძის — 7,6 ათასი ტონით, კვერცხის — 103,5 მილიონი ცალით.

1971—1973 წლებში კარტოფილის საშუალო წლიური წარმოება მერვე ხუთწლედის საშუალო წლიურ წარმოებასთან შედარებით ნაკლები იყო 21,4 ათასი ტონით, ყურძნისა—74,5 ათასი ტონით, რაც გამოწვეული იყო ძლიერი ყინვების შედეგად რესპუბლიკის რიგ რაიონებში ვენახების ნარგავების დაზიანებით.

1973 წელს მარცვლეული მოიწიეს 780,5 ათასი ტონა (1972 წელთან შედარებით მისი წარმოება გაიზარდა 114,5 ათასი ტონით), ჩაის ფოთოლი — 289,4 ათასი ტონა (12,9 ათასი ტონით მეტი), ხილი—375 ათასი ტონა (28,1 ათასი ტონით მეტი), ყურძენი — 366,7 ათასი ტონა (108,7 ათასი ტონით მეტი), ბოსტნეული — 367,3 ათასი ტონა (43,4 ათასი ტონით მეტი), კარტოფილი 232 ათასი ტონა (22,8 ათასი ტონით მეტი).

რესპუბლიკაში 1973 წელს წინა წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 16 პროცენტით, ჩაისა — 8 პროცენტით, ხორცის — 10 პროცენტით, რძისა — 6 პროცენტით, კვერცხისა — 40 პროცენტით.

---

[23] გაზ. „კომუნისტი“, 28 თებერვალი, 1973 წ. № 50.

1973 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა. მარცვლეულის მიყიდვის გეგმა შესრულდა 171%-ით, მზესუმზირასი—156%-ით, შაქრის ჭარხლისა — 112%-ით, ჩაის ფოთლისა — 107%-ით, კურკოვანი და თესლოვანი ხილისა — 107%-ით. ასევე მთლიანად შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა.

მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობები, რომელთა მთლიანმა შემოსავალმა 1973 წელს 318 მილიონ მანეთს მიაღწია, რაც 27%-ით მეტია, ვიდრე საშუალოდ 1966—1970 წლებში.[24]

მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 10 მუშაკს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება და 4721 კაცი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.[25]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ განსაზღვრეს სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წლის ძირითადი ამოცანები. 1974 წლის გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის შემდგომ ზრდას, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითოეულ ჰექტარზე უნდა მიიღონ 7,6%-ით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1973 წელს. შრომისნაყოფიერების ზრდა სოფლის მეურნეობაში 11%-ს გადააჭარბებს.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1974 წელს უნდა გადააჭარბოს 100 მილიარდ მანეთს, რაც 6,4%-ით აღემატება 1973 წლის დონეს.[26]

ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელ წელს დიდი ამოცანები დგას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე. 1974 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობა უნდა გაიზარდოს 9,7 პროცენტით, რაც 1973 წლის დონეს გადააჭარბებს 115,1 მილიონი მანეთით.[27] მნიშვნელოვნად

---

24 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. გაზ. „კომუნისტი", 1 თებერვალი, 1974 წ. № 27.

25 გაზ. „სოფლის ცხოვრება", 9 თებერვალი, 1974 წ. № 34.

26 სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მასალებიდან. გაზ. „კომუნისტი", 13 დეკემბერი, 1973 წ. № 289.

27 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მასალებიდან გაზ. „კომუნისტი", 20 დეკემბერი, 1973 წ. № 295.

გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და მისი სახელმწიფო-სათვის მიყიდვის მოცულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღების პასუხად, იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომელთა მიხედვით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების საფუძველზე მიჰყიდონ სახელმწიფოს: მარცვლეული — 140 ათასი ტონა (ნაცვლად 1974 წლის გეგმით გათვალისწინებული 102 ათასი ტონისა), ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 292 ათასი ტონა (ნაცვლად 285 ათასი ტონისა), ყურძენი—355 ათასი ტონა (ნაცვლად 350 ათასი ტონისა), ხილი—230 ათასი ტონა (ნაცვლად 225 ათასი ტონისა), ციტრუსები — 55 ათასი ტონა (ნაცვლად 45,2 ათასი ტონისა), შაქრის ჭარხალი — 115 ათასი ტონა (ნაცვლად 105 ათასი ტონისა), მზესუმზირა — 12 ათასი ტონა (ნაცვლად 10 ათასი ტონისა), ხორცი— 98 ათასი ტონა (ნაცვლად 95 ათასი ტონისა), რძე—195 ათასი ტონა (ნაცვლად 193 ათასი ტონისა), კვერცხი — 280 მილიონი ცალი (ნაცვლად 270 მილიონი ცალისა).

მეცხოველეებმა ივალდებულეს მთლიანად უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეცხოველეობა ყველა სახეობის საკვებით 1974—1975 წლების ზამთრის პერიოდისათვის, მათ შორის დაამზადონ 200 ათასი ტონა სენაჟი გეგმით გათვალისწინებული 100 ათასი ტონის ნაცვლად.[28]

საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლისა და მთელი ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოციალისტურ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას **„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“**. დადგენილებაში განსაზღვრულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი უახლოესი წლებისათვის. ამ დადგენილებით დასახულია როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდი პროგრამა. რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის წარმოება უნდა გაიზარდოს 350—360 ათას ტონამდე. ყურძნის წარმოება — 750—800 ათას ტონამდე, ხილისა — 600—650 ათას ტონამდე, ციტრუსებისა — 110—120 ათას ტონამდე. გათვალისწინებულია კოლხეთის მთელი დაბლობის ამოშრობა და ათვისება.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობის ღონისძიებებს. რესპუბლიკაში აშენდება და ამოქმედდება კვერცხისა და ხორცის მიმართულების მსხვილი მეფრინველეობის

28 გაზ. „კომუნისტი“, 20 თებერვალი, 1974 წ. № 43.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ფაბრიკები. რძის მიმართულების მეცხოველეობის ფერმები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის გამოსაზრდელი და გასასუქებელი მეცხოველეობის კომპლექსები, კვერცხისა და ხორცის მიმართულების სარეპროდუქციო მეურნეობანი.[29]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მარტის პლენუმმა, რომელმაც მოისმინა და განიხილა ე. შევარდნაძის მოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ალმა-ათაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის მიხედვით,[30] დასახა ვრცელი ღონისძიებანი ამ ისტორიული დადგენილების შესასრულებლად. პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს დარაზმონ რესპუბლიკის მშრომელები 1974 წლის გეგმისა და მთელი ხუთწლედის დავალების შესრულებისათვის და მთელი ძალა და ენერგია მოახმარონ იმ ღონისძიებათა პრაქტიკულ განხორციელებას, რომლებიც დასახულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ.

ჩვენმა ქვეყანამ დიდ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა ყამირი მიწების ათვისების 20 წლისთავი. ყამირის ათვისების შედეგად სამეურნეო ბრუნვაში მოქცეულია 42 მილიონი ჰექტარი მიწა და 20 წლის განმავლობაში ყამირი მიწებიდან მიღებულია 31 მილიარდი ფუთი მარცვლეული და სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა პროდუქცია.

ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელებაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, ყველა ოლქმა. ყამირი გახდა საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური აღზრდის სკოლა. ყამირის ათვისებაში დიდი წვლილი შეიტანა ლენინურმა კომკავშირმა, რომელმაც ყამირის რაიონებში კომკავშირული საგზურებით გაგზავნა 500 ათასზე მეტი ახალგაზრდა. ყამირის ათვისებაში დიდი დამსახურებისათვის ლენინური კომკავშირი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

„პარტიის მთელი საქმიანობა ყამირის დაპყრობის წლებში, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უდიდესი, თავისი შედეგებით თვალსაჩინო ნოვატორული მუშაობის მაგალითია“.[31]

ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ალმა-ათაში 1974 წლის 15 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა პარტიის აგრარული პოლიტიკის მთავარი მიმართულება თანამედროვე ეტაპზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და მომდევნო პლენუმებმა, პარტიის XXIV ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახეს

---

29 გაზ. „კომუნისტი“, 8 თებერვალი, 1974 წ. № 33.

30 გაზ. „კომუნისტი“, 9 მაისი, 1974 წ. № 107.

31 ლ. ი. ბრეჟნევი, პარტიისა და ხალხის დიადი გმირობა, თბ., 1974, გვ. 10.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური განმტკიცებისა და წარმოების ამაღლებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების სრულყოფისათვის, რამაც თავისი შედეგები ჰპოვა სოფლის მეურნეობის წარმოების დონის შემდგომ ამაღლებაში. პარტია თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად აყენებს კიდევ უფრო განმტკიცდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და კვლავაც სრულვყოთ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურება, რომ იგი სულ უფრო პირდაპირ იყოს დამოკიდებული მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

გაშლილი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარების დასახული გეგმების წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული მრეწველობაზე. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ბევრი ქარხნის რეკონსტრუქცია. მიმდინარეობს ახალი უფრო მძლავრი, უფრო მწარმოებლური ტექნიკის შექმნის პროცესი. მეცხრე ხუთწლედში სოფელი მიიღებს უფრო მეტ ახალ ტექნიკას, ვიდრე ოდესმე. 1966—1970 წლებთან შედარებით სოფლის მეურნეობა 1971—1975 წლებში მიიღებს 233 ათასით მეტ ტრაქტორს. არსებითად გაიზრდება კომბაინების, ავტომობილებისა და სხვა მანქანებისა და მოწყობილობების რაოდენობა.

პარტია აგრარული პოლიტიკის მეორე დიდმნიშვნელოვან ამოცანად თვლის, რომ უახლოეს დროში სოფლის მეურნეობა გადაყვანილ იქნეს თანამედროვე ინდუსტრიულ ბაზაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაჭრით დაჩქარება ეკონომიკის ამ სფეროში.

პარტიის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა—წარმოების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფა, სოფლის მეურნეობის მართვის გაუმჯობესება.

როგორც სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტის მთავარი გზაა სპეციალიზაცია და შემდგომი კონცენტრაცია. სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სოფლის მეურნეობა თანდათან გადავიყვანოთ მსხვილ სპეციალიზებულ წარმოებაზე ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით. ფართოდ დავნერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი სულ უფრო ფართოდ ადგებიან კოოპერაციის გზას — ქმნიან საკოლმეურნეობათაშორისო, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ერთობლივ საწარმოებს. ასეთ საწარმოთა რაოდენობა 1973 წლის დამლევისათვის 5400-ზე მეტს შეადგენდა.[32]

სპეციალიზაციის შემდგომი განვითარების შედეგად შეიქმნება აგროსამრეწველო კომპლექსების ტიპის საწარმოები. პარტიის აგრარული პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულების განხორციელება ხელს შეუწყობს ისეთი პრინციპული პრობლემის გადაჭრას, როგორიცაა საკუთრების საზოგადოებრივი და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმების შემდგომი დაახლოება.

[32] გაზ. „კომუნისტი“, 27 იანვარი, 1974 წ. № 23.

წარმოების ორგანიზაციის ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმების დანერგვა მოითხოვს სოფლის მეურნეობის მართვის ფორმების ძირეულ გაუმჯობესებას, რომლის ძირითადი მოთხოვნები ჩამოყალიბებულია ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ქმედით ღონისძიებებს ატარებენ სახალხო მეურნეობების განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ამასთან ერთად ისახება მეცნიერულად დასაბუთებული ამოცანები მეათე ხუთწლედში ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის პარტიის მიერ შემუშავებული პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რუსეთის სფსრ არაშავმიწადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანად მიჩნეულია რუსეთის სფსრ არაშავმიწადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა მისი ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მიწების ფართო მელიორაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის, წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა უფრო სრული გამოყენების საფუძველზე.

1976—1980 წლებში ამ ზონის სოფლის მეურნეობის განვითარების დასახული პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყოფა 35 მილიარდი მანეთი კაპიტალური დაბანდება, 120 მილიონი ტონა სტანდარტული მინერალური სასუქები, 380 ათასი ცალი ტრაქტორი, 94 ათასი ცალი მარცვალასაღები კომბაინი, 230 ათასი ცალი სატვირთო ავტომობილი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად დასახულია მიწების მელიორაციის ფართო პროგრამა. 1975—1990 წლებში აღნიშნულ ზონაში ამოაშრონ 10 მილიონამდე ჰექტარი მიწა, მიწები მორწყონ 2,5 მილიონამდე ჰექტარ ფართობზე და განახორციელონ კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები 10 მილიონამდე ჰექტარ მიწებზე, რომლებიც ამოშრობას არ მოითხოვენ.

დასახულია მჟავე ნიადაგების გაკირიანების სამუშაოები შესრულდეს 23 მილიონ ჰექტარზე.[33]

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადება, რომ სამელიორაციო და სასოფლო მშენებლობა რუსეთის სფსრ არაშავმიწადაგიან ზონაში გამოცხადდეს სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად და ამ ზონაში გაიგზავნოს სტუდენტთა სამშენებლო რაზმები.

სხვა მოძმე რესპუბლიკების სტუდენტ ახალგაზრდობასთან ერთად ამ საქმეში თავის წვლილს შეიტანს საქართველოს რესპუბლიკის სტუდენტობა, რომელიც ღირსეულად დაიცავს ყამირის ათვისებაში ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის გმირულ შრომით ტრადიციებს.

---

[33] გაზ. „კომუნისტი“, 3 აპრილი, 1974 წ. № 78.

პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები თავდადებით იღწვიან ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება კიდევ უფრო დააჩქარებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის დაახლოებას, დააჩქარებს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის შემდგომი დაახლოების დიდმნიშვნელოვან სოციალურ პროცესს. ხუთწლიანი გეგმის შესრულებით მნიშვნელოვნად ამაღლდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და გადაიჭრება დიდმნიშვნელოვანი ამოცანები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

Доц. В. К. ЧКАДУА

## XXIV СЪЕЗД КПСС О ЗАДАЧАХ ДАЛЬНЕЙШЕГО РАЗВИТИЯ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА

### Резюме

XXIV съезд КПСС главнейшей задачей партии наметил существенное улучшение благосостояния трудящихся.

Создание наряду с мощной промышленностью всесторонне развитого и высокопродуктивного сельского хозяйства является непременным условием непреклонного роста благосостояния трудящихся, строительства коммунистического общества.

В исторических постановлениях мартовского пленума ЦК КПСС 1965 года и последующих пленумов, XXIII и XXIV съездов КПСС дана научно обоснованная программа дальнейшего развития сельского хозяйства и намечены пути ее осуществления.

XXIV съезд партии наметил в IX пятилетке важнейшие задачи в области сельского хозяйства: увеличить средний годовой объем сельскохозяйственной продукции по сравнению с предыдущей пятилеткой на 20—22%, обеспечить более полное удовлетворение растущих потребностей населения в продуктах питания и промышленном сырье.

Предусмотрен общий средний годовой урожай на протяжении пятилетки 195 млн. тонн, а средний урожай зерновых должен увеличиться на 4 центнера на га и достигнуть 20 центнеров.

IX пятилетний план предусматривает дальнейшее развитие других сельскохозяйственных культур и значительный рост их урожайности.

В IX пятилетке еще большее развитие получит общественное животноводство. Среднегодовое производство мяса (в убойном весе) достигнет 14,3 млн. тонн, молока — 92,3 млн. тонн, яиц — 46,7 млрд. штук, а шерсти — 464 тыс. тонн.

Для успешного решения этих задач будет заново осуществлено техническое оснащение сельского хозяйства, значительно возрастут мелиорация земель и темпы химизации сельского хозяйства.

В IX пятилетке значительно повысится эффективность научных исследований в области сельского хозяйства. Особое внимание будет обращено на внедрение достижений науки и передового опыта в сельскохозяйственное производство.

Будут проведены важные мероприятия по обеспечению колхозов и совхозов квалифицированными кадрами.

В работе освещены важнейшие мероприятия, проведенные ЦК КПСС для успешного выполнения IX пятилетнего плана. Сделан соответствующий анализ итогов прошедших 3 лет IX пятилетки.

В 1973 году в нашей стране получен рекордный урожай зерновых — 222,5 млн. тонн, что на 55 млн. тонн больше, чем было в среднем в 1966—1970 гг.

По сравнению с VIII пятилеткой в 1971—1973 годах среднее годовое производство возросло: мяса — на 1,9 млн. тонн, молока — 3,9 млн. тонн, яиц — 12,2 млрд. штук и шерсти на 28 тыс. тонн.

По сравнению с 1972 годом производство молока возросло на 4 млн. тонн, и в 1973 году достигло 87,2 млн. тонн.

В труде заострено внимание на недостаток в сельском хозяйстве Грузинской республики и освещены проведенные ЦК КП Грузии действенные мероприятия по обеспечению дальнейшего подъема сельского хозяйства. Значительная часть труда отведена главному направлению аграрной политики партии на данном этапе, которое было сформулировано в речи Л. И. Брежнева в Алма-Ате на торжественном собрании, посвященном 20-летию освоения целины.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. ქ. ანთიძე

# მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობის ისტორიიდან საქართველოში

(1921—1929 წწ.)

სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები, მამაკაცთან ქალის უფლებების არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტიური გათანასწორება მოითხოვდა ქალთა აქტიურ ჩაბმას ქვეყნის მშენებლობაში.

ვ. ი. ლენინი წერდა: „სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა ჩვენ მივაღწევთ რა ქალის სრულ თანასწორობას, შევუდგებით ახალ მუშაობას ამ წვრილმანი, დამაჩლუნგებელი, არამწარმოებლური მუშაობისაგან განთავისუფლებულ ქალთან ერთად“.[1]

სწორედ აქედან გამომდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების მისწრაფება მისაკენ, რომ „ყველა მშრომელი, არა მარტო პარტიული, არამედ უპარტიოც, არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას სამეურნეო მშენებლობაში“.[2]

მუშა და გლეხ ქალთა შორის მასობრივი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას, ფრიად არსებით და ალმძრავ მექანიზმს, პარტიის დამაკავშირებელ რგოლს მშრომელ ქალებთან, წარმოადგენდა ქალთა სადელეგატო კრებები, რომლებიც წარმოიშვა ქალთა განყოფილებებთან.[3] რუსეთში მათ საფუძველი ჩაეყარათ 1918 წლიდან, ხოლო საქართველოში — 1921 წლიდან.

ქალთა სადელეგატო კრებებში მონაწილეობდნენ მუშა და გლეხი, მოსამსახურე და დიასახლის ქალთა წარმომადგენლები, რომლებსაც ირჩევდნენ ერთი წლის ვადით. სადელეგატო კრებების რიცხობრივი შემადგენლობა პირველ ხანებში ქალაქად განსაზღვრული იყო 70—80 ქალით, სოფლად კი 50—60-ით.

მუშაობის დაწყების პირველ პერიოდში (1921—1924 წწ.) სადელეგატო კრებების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქალთა გათვითცნობიერება, მათთვის აუცილებელი და საჭირო ცნობების მიწოდება საბჭოთა სახელმწიფოსა და კო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი—თხზ., ტ. 30, გვ. 35.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 32.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი—თხზ., ტ. 5, გვ. 223.

მუნისტური პარტიის როლისა და ამოცანების შესახებ, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მშრომელ ქალთა მოვალეობის საკითხებზე და ხხვ.

ამის შესაბამისად, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ შეადგინა პროგრამა, რომელშიაც ნაციონალური რესპუბლიკების ქალთა განყოფილებებს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შეჰქონდათ გარკვეული ცვლილებები.

კომუნისტური პარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე უფრო მეტი ორგანიზება შევიდა სადელეგატო კრებების მუშაობაში. სადელეგატო კრებების სასწავლო ვადები სამი თვიდან გადიდებულ იქნა 6 თვემდე, ხოლო უფრო გვიან, პარტიის დირექტივის საფუძველზე, 2 წლამდე გაიზარდა.

რკპ (ბ) XIII ყრილობამ, რომელიც შემობრუნების პუნქტს წარმოადგენს საერთოდ ქალთა შორის და კერძოდ კი სადელეგატო კრებების მუშაობაში მიიჩნია რა მუშა და გლეხ ქალთა მონაწილეობა პარტიულ, საბჭოთა პროფესიულ და კოოპერაციულ მშენებლობაში სრულიად არა საკმარისად, დასახა ღონისძიებანი, გარდაქმნილიყო ქალთა შორის მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, ქალთა განყოფილებებისა და სადელეგატო კრებების მუშაობის გაუმჯობესების გზით.[4]

სადელეგატო კრებების განვითარების მეორე პერიოდში (1925—1929 წწ.) პრაქტიკამ უჩვენა, რომ მეტი ადგილი უნდა დათმობოდა ცხოვრებისეულ საკითხებს, მიმდინარე მოვლენებს, პოლიტიკურ კამპანიებს. სადელეგატო კრებები არა მარტო პოლიტიკური აღზრდის, არამედ ქალთა კადრების მომზადების პრაქტიკულ სკოლად უნდა გადაქცეულიყო.... მომენტის შესაფერისად იცვლებოდა სადელეგატო კრებების პროგრამა. მასში ჩართული იქნა არა მარტო პოლიტიკური, არამედ პრაქტიკული საკითხებიც. ასე მაგალითად, 1929 წლის პროგრამაში თემაზე: „მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ რეკომენდებული იყო მოესმინათ წარმოების დირექტორის ან ადგილობრივი კოოპერაციის გამგეობის ანგარიში, თემაზე: „კულტურისათვის, ახალი ყოფისათვის“ — ისმენდნენ განათლების განყოფილების გამგის მოხსენებას. თემის შესწავლისას „კომუნისტური პარტია — მუშათა კლასის ავანგარდი“, ისმენდნენ დელეგატ ქალთა ჯგუფების ინფორმაციებს იმის შესახებ თუ როგორ ეხმარებოდნენ მუშა ქალებს სადელეგატო კრებები პარტიაში შესასვლელად და ა. შ.

სადელეგატო კრებების მუშაობას სოფლად, რომელიც მუშა ქალთა სადელეგატო კრებებთან შედარებით უფრო გვიან მოეწყო, საფუძვლად ედო ის ამოცანები, რაც საერთოდ იდგა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წინაშე.

გლეხ ქალთა სადელეგატო კრებები სულ უფრო მკვიდრდებოდა და საპატიო ადგილს იკავებდა სოფლად მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. კრებები იქცა გლეხ ქალთა პოლიტიკური აღზრდისა და ქვეყნის მშენებლობაში მათი აქტიურად ჩაბმის უძლიერეს კერად. სოფლად დელეგატი ქალი გახდა პოპულარული ფიგურა. მასთან მიდიოდნენ რჩევა-დახმარებისათვის, ირჩევდნენ ხელისუფ-

[4] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი II, 1955, გვ. 114—117.

ლების ორგანოებში. დელეგატი ქალები სოფლად ხდებოდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის მოთავეები.

უფრო გვიან, სოფლად სადელეგატო კრებების მუშაობა სამეურნეო [illegible]ტზე გამოიხატა ფრინველის მომშენებელი კოლექტივების, სამან[illegible]ბების, მებოსტნეობისა და მეაბრეშუმეობის, ჩაის, მებამბეობის, საქონლის საჩვენებელი კვების და სხვა კოლექტივებისა და ამხანაგობების შექმნით.

დელეგატ ქალთა ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ზუგდიდის მაზრაში დაარსებული იქნა ქალთა მებოსტნეობის კოლექტივი „შრომა“.

სადელეგატო კრებები სოფლად თანდათანობით გადაიქცა ისეთ რგოლად, რომელიც თავის გარშემო იკრებდა გლეხ ქალთა მასებს და რაზმავდა მათ სიძნელეებთან ბრძოლისათვის. იგი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების თანაშემწის როლს ასრულებდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამეურნეო კამპანიების ჩატარების დროს, გლეხი დელეგატი ქალები აქტიურად იბრძოდნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებების, დახავსებული ყოფისა და წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ, აწყობდნენ საღამო-წარმოდგენებს, „წითელ ქორწილებს“, აგროვებდნენ სახსრებს უდედმამო და უმწეო ბავშვების დასახმარებლად და სხვ.

მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებებზე პრაქტიკული ხასიათის საკითხების განხილვას თანდათანობით საყოველთაო ხასიათი ეძლეოდა.

დელეგატი ქალები არა მარტო თავიანთი მუშაობის ანგარიშს აბარებდნენ ან ისმენდნენ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, არამედ ცხარედ კამათობდნენ, აკრიტიკებდნენ ჩრდილოვან მხარეებს, ამხელდნენ კლასობრივ მტრებს, ბიუროკრატებსა და ზარმაცებს, რითაც ზოგ შემთხვევაში საფრთხეში აგდებდნენ საკუთარ სიცოცხლეს. მათ შეჰქონდათ თავიანთი საქმიანი წინადადებანი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის და ამ გზით უფრო და უფრო ებმებოდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. დელეგატ ქალთა მუშაობა აღირიცხებოდა სპეციალურად შემოღებულ წიგნაკებში.

ქუთაისის ქალთა სადელეგატო კრებამ, რომელმაც მოისმინა კ. მიქაძის ინფორმაცია ვოლგისპირეთში გამეფებული შიმშილისა და ბავშვთა მძიმე ხვედრის შესახებ, თავის გადაწყვეტილებაში ასე ჩაწერა:

„არ დავიშურებთ ჩვენს წვლილს დამშეულთა დასახმარებლად. ზიზღს ვუცხადებთ „განათლებული ევროპის“ მესვეურთ, რომლებსაც სურთ შიმშილით ჩაახშონ მშრომელთა ხელისუფლება. ზიზღი და სიძულვილი მათ, ვისაც შეუძლია და არ დაეხმარება დამშეულ ბავშვებს. გაუმარჯოს ყველა ქალის გაერთიანებას შიმშილის წინააღმდეგ“[5].

მუშაობის კარგ მაგალითებს იძლეოდნენ ოზურგეთის მაზრის სოფელ ექადიის, ზუგდიდის მაზრის სოფელ ლიის თემის და სხვა მაზრების დელეგატი ქალები.

დელეგატ ქალთა ინიციატივით ცაგერში მდინარე ცხენისწყლის ნაპირებზე აშენებული იქნა ორმოცსაქენიანი ჯებირი. შაბათობაზე მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში 250 ქალი გამოვიდა.[6]

---

[5] მლისფპა, ფონდი 14, საქმე 484, ფ. 34;

[6] ჟურნალი „მშრომელი ქალი“, 1929 წ., № 3.

ნახახულევისა და ჩოჩხათის თემის დელეგატ ქალთა ინიციატივით შექმნილი იქნა მეაბრეშუმეობის კოლექტივი, ჯიშიანი ქათმის მოშენებისათვის [illegible]ლური ნადი, გაიხსნა პროფსკოლა; როდესაც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ პარტიის თბილისის კომიტეტთან ერთად 1931 წლის მაისში გადაწყვეტილება მიიღო ქ. თბილისის ა/კ სანიმუშო ქალაქად გადაქცევის შესახებ, სხვა ორგანიზაციებთან ერთად ამ ღონისძიებას აქტიურად გამოეხმაურნენ ქალთა სადელეგატო კრებები. ქ. თბილისის დეპოს პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილმა სადელეგატო კრებამ ფართოდ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო კონკრეტული ღონისძიება. სადელეგატო კრების მიერ გამოყოფილმა ბრიგადებმა მუშაობაში თან გაიყოლიეს მუშა ქალები და მუშათა ცოლები. ჩატარებული შაბათობებით თვით დეპოში და მის მიკრორაიონში შექმნეს სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე, კონტროლი დააწესეს სინათლისა და წყლის შეუფერხებელ მიწოდებაზე. დელეგატმა ქალებმა შეფობა აიღეს მთლიანად ლენინის რაიონის გამწვანებაზე, დარგული ხეების მოვლა-პატრონობაზე. ქალებმა თბილისის საბჭოს წინაშე საკითხი დასვეს უკან გაეწვიათ უუნარო დეპუტატები და შეეცვალათ ისინი აქტიური დელეგატი ქალებით. სადელეგატო კრება ყოველი თვის 20 რიცხვში ისმენდა ბრიგადებისა და ცალკეული დეპუტატების ანგარიშებს ჩატარებული მუშაობის შესახებ და იბრძოდა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

დეპოს დელეგატ ქალთა ინიციატივას გამოეხმაურნენ მთელი ქალაქის დელეგატი ქალები. შედგა ქალთა ბრიგადები, რომლებიც შეფობას უწევდნენ ქალაქის ქუჩებს, უვლიდნენ თავიანთ მიკრორაიონებს, ამწვანებდნენ ხრიოკ ადგილებს, პატრონობდნენ დარგულ მცენარეებს, კონტროლს უწევდნენ საცხოვრებელი სახლების რემონტს, ახალ მშენებლობებს, იბრძოდნენ სისუფთავისა და მაღალი კულტურისათვის.

ლენინის რაიონის დელეგატი ქალები სათავეში ჩაუდგნენ რაიონის სკოლების რემონტის თავის დროზე დამთავრებას, რითაც უზრუნველყვეს სწავლის შეუფერხებლად დაწყება.

თბილისის საბჭოს დელეგატმა ქალებმა პედაგოგ ქალებთან ერთად რამდენიმე შაბათობა მოაწყვეს სასკოლო შენობებში სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის. მათივე ინიციატივით 7 სკოლაში გაიხსნა ბუფეტი. მოეწყო ცხელი საუზმეების გაცემა, მოწესრიგდა მშობელთა მორიგეობა.

ძველი ბოლშევიკი ფედოსია გეგეშიძე თავის მოგონებაში გადმოგვცემს: „ქალთა განყოფილებისა და სადელეგატო კრებების საშუალებით ვაწარმოებდით პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, როგორც მუშა-მოსამსახურე ქალთა, ისე დიასახლისებს შორის. უპირველეს ყოვლისა, ქალებს ვიზიდავდით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, წითელი ჯვრისა და კოოპერაციის კურსებზე, საშეფო კომისიებში. ვასწავლიდით მათ ჭრა-კერვას და ხელსაქმეს. ვაწარმოებდით ჟურნალ-გაზეთების ხმამაღალ კითხვას, რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ ვეწეოდით პროპაგანდას, ვზრუნავდით ბავშვთა სახ-

---

7 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, 1929, № 3.

ლის გახსნაზე, ბავშვებისათვის სავალდებულო სწავლების განხ[illegible] ქალიშვილების უმაღლეს სასწავლებელში მოწყობაზე, ვიღწოდით [illegible] სამუშაოზე ქალთა დაწინაურებისათვის“.[8]

სადელეგატო კრებები იყო ის პუნქტი, სადაც ქალები ეუფლებოდნენ სხვადასხვა სპეციალობას, სწავლობდნენ და სხვას ასწავლიდნენ წერა-კითხვას, იმაღლებდნენ თავიანთ კულტურას, კვალიფიკაციას, ეწყობოდნენ სხვადასხვა კურსებზე, ებმებოდნენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, გაბედულად აღებდნენ უმაღლესი სასწავლებლის კარებს, საუკეთესონი კი შედიოდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში. ქალები იყვნენ საუკეთესო აგიტატორები, პროპაგანდისტები, ლექტორები, პარტიული და სამეურნეო მუშაკები, დაუცხრომელი მებრძოლები კულტურის ფრონტზე, ქალთა ორგანიზატორები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ქალთა პოლიტიკური განათლების საკითხს დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა. თანდათაობით იზრდებოდა დელეგატი ქალების კლასობრივი და პოლიტიკური შეგნება; ისინი ფართო მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა იმ კამპანიაში, რომელსაც ატარებდნენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. დელეგატ ქალთა ძალებით ეწყობოდა შაბათობები, საღამო-წარმოდგენები, გროვდებოდა სხვადასხვა შეწირულებანი. დელეგატი ქალები აწყობდნენ საბჭოთა დაწესებულებების გამოკვლევებს. ახორციელებდნენ მათზე ყოველდღიურ დახმარებას. იზრდებოდა დელეგატი ქალების შეგნება, ისინი უფრო მჭიდროდ ირაზმებოდნენ კომუნისტური პარტიის გარშემო. უკვე 1924 წელს პარტიაში ლენინური გაწევით შევიდა 146 მოწინავე დელეგატი ქალი, საბჭოებში არჩეულ იქნა—664, აღმასკომში—120, გლეხკომებში—100, სახალხო მსაჯულად—102 ქალი[9].

დელეგატი ქალების კლასობრივ-პოლიტიკური შეგნების ზრდაზე მიუთითებს ის აქტივობა და თავდადება საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რაც მათ საქართველოში მენშევიკების ავანტიუროის დღეებში გამოიჩინეს. რესპუბლიკის ქალთა განყოფილების გამგეთა IV თათბირის მასალებში (შედგა 1924 წლის 15 სექტემბერს) ვკითხულობთ:

„დელეგატ ქალთა შეგნებამ და პოლიტიკურმა მომზადებამ საკმაოდ იჩინა თავი მენშევიკების ავანტიურის დროს. დელეგატი ქალები მტკიცედ იდგნენ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე, რისთვისაც მათ ხშირად აპატიმრებდნენ კიდეც მენშევიკები“.[10]

1926 წლისათვის საქართველოში დელეგატთა 40 პროცენტი ჩაბმული აღმოჩნდა პრაქტიკულ მუშაობაში.[11] ეს პროცესი სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო იზრდებოდა. საერთოდ ქალთა ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში დააჩქარა პრაქტიკანტთა ინსტიტუტის შემოღებამ. ეს ასე

---

[8] ფ. გეგეშიძის მოგონება ინახება ვ. ი. ლენინის მუზეუმში.

[9] მლისფპა, ფ. 14, აღწერა 1, საქმე 940, ფ. 21.

[10] ჟ. „ჩვენი გზა“, 1924 წ. № 8—9, გვ. 15.

[11] მლისფპა, ფ. 12, აღწ. 1, საქმე 2209, ფურც. 108.

ხდებოდა: დელეგატ ქალთა შეკრებაზე არჩევდნენ საბჭოთა დაწესებულებებში გასაგზავნ დელეგატ პრაქტიკანტ ქალებს, რომლებიც სამი თვის განმავლობაში (მიმაგრების ვადა სამი თვე იყო) არა მარტო პრაქტიკულად სწავლ[illegible] ობას, არამედ შესაძლებლობის ფარგლებში მეთვალყურეობასა [illegible] ორგანიზაციებში მუშაობის დაყენებას, სადაც იყვნენ გაგზავნილი.[12] პრაქტიკანტები მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოახსენებდნენ დელეგატ ქალთა კრებას. რა თქმა უნდა, პრაქტიკანტ ქალებს პირველ ხანებში, გამოუცდელობისა და დაბალი კვალიფიკაციის გამო, უჭირდათ მუშაობა და გამოსვლებიც, მაგრამ დროთა ვითარებაში მათი მუშაობა უფრო ნაყოფიერი ხდებოდა. ქალები არა მარტო მუშაობას, მოხსენებების წაკითხვასაც ეჩვეოდნენ. თუ რაოდენ წინ მიდიოდნენ პრაქტიკანტები, რაოდენ ოსტატდებოდნენ ისინი, ამას პირველ რიგში ადასტურებს ის გარემოება, რომ პრაქტიკანტები ხშირად მიმაგრებულ წარმოება-დაწესებულებების შტატის მუშაკები ხდებოდნენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი ნიჭსა და ორგანიზატორულ უნარს ამჟღავნებდა ხელმძღვანელ სამუშაოებზეც[13].

რასაკვირველია, ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ პრაქტიკანტ ქალებს ადგილებზე მუშაობის დროს დაბრკოლებანი არ ხვდებოდათ. წარმოება-დაწესებულების ზოგიერთი ხელმძღვანელი ალმაცერად უყურებდა მათ მუშაობას და ცალკეულ შემთხვევებში ხელსაც კი უშლიდა. პრაქტიკანტი ქალები სერიოზული და თავდაჭერილი მუშაობით ამტკიცებდნენ, რომ ისინი ჩაბმული არიან საბჭოთა მშენებლობაში და არავის არ ძალუძთ მათი ამ გზიდან მოცილება. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველდღიურ კონტროლსა და დახმარებას უწევდნენ პრაქტიკანტ დელეგატ ქალებს და იბრძოდნენ მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის.

მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სადელეგატო კრებების გადარჩევები ყოველწლიურად დიდ კამპანიად იქცეოდა და დელეგატი ქალები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებდნენ ამომრჩევლებს, რომლებიც თავის მხრივ აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ანგარიშების განხილვაში — გასაგები იქნება, როგორ ფართოვდებოდა ქალთა მონაწილეობა ქვეყნის აღმშენებლობაში. დელეგატი ქალების მეშვეობით, საბჭოთა ორგანოების საქმიანობით სულ უფრო და უფრო ინტერესდებოდნენ მშრომელი ქალთა ფართო მასები. საკმარისია ითქვას, რომ 1921 წელს დელეგატთა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობდა 500 ქალი. 1922—1923 წელს — 13000, ხოლო 1924—1925 წელს 50000.[14] ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზარდა მომდევნო წლებში. ძლიერდებოდა მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის. როგორც 1928 წლის თებერვალში მოწვეულ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებების გამგეთა IX თათბირმა აღნიშნა, ამ დროისათვის სადელეგატო კრებების მომუშავეთა შორის 25 პროცენტს ეროვნულ უმცირესობათა დელეგატი ქალები შეადგენდნენ.

---

12 მლისფპა, ფ. 14, საქმე 153, ფ. 32.

13 იქვე, ფ. 14, საქმე 153, ფ. 35.

14 მლისფპა, ,ფონდი 14, საქმე 1323, ფ. 316.

ყოველწლიურად იზრდებოდა და ფართოვდებოდა სადელეგატო კრებების მოქმედების სფერო. იგი თავის გარშემო იკრებდა არა მარტო მუშა და გლეხ ქალებს, არამედ მუშათა ცოლებს, დიასახლისებს. პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუშაობას ქალთა ჩამორჩენილ ნაწილში — დიასახლისებში. ეს არც შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო, ვინაიდან მენშევიკები და სხვა მტრული ელემენტები ცდილობდნენ ესარგებლათ ქალთა ამ ნაწილის ჩამორჩენილობით და გამოეყენებინათ იგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქალთა განყოფილებებმა და სადელეგატო კრებებმა პირველ რიგში მუშაობა გაშალეს მსხვილი საწარმოების მუშათა ცოლებსა და დიასახლისებს შორის. უპირველეს ყოვლისა, ისინი ჩააბეს წერა-კითხვის უცოდინართა სკოლებში. ცოლების შეკრებაზე ირჩევდნენ დელეგატებს. დიასახლისი ქალების მონაწილეობით ტარდებოდა შაბათობები ლოზუნგით „სანიმუშო სისუფთავისათვის ჩვენი საცხოვრებლის მიკრორაიონში“.

დელეგატი ქალები პირველ ხანებში დიასახლის ქალებს უხსნიდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსს და აბამდნენ მათ მომჭირნეობისათვის ბრძოლაში. 1924 წლიდან დიასახლის ქალებთან მუშაობა დაიგეგმა და იგი უფრო ფართო მასშტაბით წარიმართა. დიასახლისი ქალები გახდნენ საბჭოების სექციების აქტივის წევრები, ებმებოდნენ საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის მებრძოლ ბრიგადებში, თაოსნობას იჩენდნენ ქოხ-სამკითხველოების მშენებლობაში და მათი მუშაობის ნორმალიზაციაში და სხვ.

დიასახლის ქალთა შორის მუშაობაზე გაამახვილა თავისი ყურადღება საქართველოს მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების გამგეთა V თათბირმა (ჩატარდა 1925 წლის 16 დეკემბერს).

თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ოჯახის დიასახლისთა მოძრაობა ზოგიერთ ადგილებში ფართო ხასიათს იღებს; ზოგიერთ შემთხვევებში ოჯახის დიასახლისები მუშა ქალებზე მეტ აქტივობას იჩენენ. მოძრაობის ამ ნაწილს აუცილებლად უნდა დაეთმოს შესაფერისი ადგილი ჩვენს მუშაობაში, იგი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პარტიის ხელმძღვანელობით, მხოლოდ იმ პირობით, რომ დიასახლისთა შორის მუშაობამ არ გამოიწვიოს მუშაობის შესუსტება მუშა და გლეხ ქალთა შორის. მუშაობა ამ დარგში უნდა წარმოებდეს მუშა ქალებთან ერთად, იმავე მეთოდებითა და ფორმებით, რაც უზრუნველყოფს პროლეტარული გავლენის გავრცელებას მუშების ცოლებსა და ოჯახის დიასახლისებს შორის“.[15]

ქალთა განყოფილებაში დიასახლისებთან სამუშაოდ შეიქმნა სპეციალური ინსტრუქტორის შტატი. ამავე საქმეს ემსახურებოდა წარმოება-დაწესებულებების ქალთა კომისიებიდან გამოყოფილი პირიც. ქალთა განყოფილებები რეგულარულად ისმენდნენ ჩატარებული მუშაობის ანგარიშს.

დიასახლის ქალთა შორის კარგად მომზადებულ და ჩატარებულ კრებებს, პოლიტდღეებს, კითხვა-პასუხის საღამოებს და შეხვედრებს დიდი აღმზრდელო-

---

15 მლისფპა, ფონდი 14, საქმე 1723, ფ. 248.

ბითი მნიშვნელობა ჰქონდა. დიასახლისები თანდათან ებმებოდნენ საბჭოთა მშენებლობაში.

პარტიის მუშაობამ დიასახლის ქალთა შორის თავისი შედეგები გამოიღო, დიასახლის ქალთაგან აღიზარდნენ შესანიშნავი მოქალაქეები, ახალი ცხოვრების შემოქმედნი და ბევრი სასახელო საქმის ორგანიზატორები.

დელეგატ ქალებს დიდ დახმარებას უწევდა მუშაობაში საკავშირო ჟურნალი „დელეგატკა", სადელეგატო კრებების ხელახალ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით გაზეთების ერთდროული სპეციალური გვერდები—„დელეგატი ქალის ფურცელი", პერიოდული გამოცემები, „დელეგატი ქალის სამახსოვრო" და „დელეგატი ქალის პირველი წიგნი".

დელეგატ ქალთა შორის მუშაობაში მნიშვნელოვან ღონისძიებად იქცა მათი სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკური შეკრებები. მუშაობაში დიდი გარდატეხა შეიტანა დელეგატ ქალთა სრულიად საქართველოს პირველმა ყრილობამ, რომელიც გაიხსნა 1924 წლის 10 ოქტომბერს. ქ. თბილისში პირველად შეიკრიბა დელეგატ ქალთა 118 წარმომადგენელი, რომლებიც გამოხატავდნენ 2500 დელეგატი ქალის ნებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში დელეგატ ქალთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობისადმი ვკითხულობთ:

„ამ ყრილობაზე თქვენ ერთხელ კიდევ ხმამაღლა უნდა აღიაროთ, რომ თქვენი—მუშა და გლეხ ქალთა ინტერესები, საერთო ინტერესებია, რომ თქვენ უნდა დაეხმაროთ ერთმანეთს მუშაობაში, რომ მოემზადოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და მიაღწიოთ ჩაგვრა-მონობისაგან ქალის განთავისუფლებას.

თქვენ, ამხანაგებო, რომელთაც პრაქტიკულად მონაწილეობა მიგიღიათ საბჭოთა მშენებლობაში დაკისრებული გაქვთ მოვალეობა დაგვეხმაროთ, ჩვენ, კომუნისტურ პარტიას, რათა დავიპყროთ პროლეტარ ქალთა მთელი მასა, შევიჭრათ სოფლის გულში, გამოვაღვიძოთ ჩამორჩენილი გლეხი ქალი და მოვამზადოთ იგი კომუნისტურად, აღვზარდოთ მათგან ახალი ძალები, კომუნისტები, პარტიის რიგებში შესასვლელად.

ამხანაგო მუშა და გლეხო ქალებო! აღსდექით შეგნებული ცხოვრებისათვის, ისწავლეთ, გადააკეთეთ ცხოვრება ისე, რომ ყველას კარგად გეცხოვრებოდეთ".[16]

ყრილობა გახსნა მარიამ ორახელაშვილმა. მან თავისი პირველი სიტყვა მიუძღვნა ვ. ი. ლენინის გარდაცვალებას. აღნიშნა ის უდიდესი დანაკლისი, რაც პროგრესულმა კაცობრიობამ ვ. ი. ლენინის გარდაცვალებით განიცადა.[17]

ყრილობამ განიხილა 11 საკითხი.

ყრილობაზე სხვებთან ერთად მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძე და მ. ცხაკაია.

დელეგატმა ქალებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ფაბრიკა-ქარ-

---

16 ჟურნალი „ჩვენი გზა", 1924, № 8—9, გვ. 23.

17 მლისფპა, ფ. 14, საქმე 1333, ფ. 16.

ხნებიდან და დაწესებულებებიდან ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, დაწვრილებით გააშუქეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები (ხშირ შემთხვევაში დელეგატ ქალთა მუშაობაზე პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ ქალთა განყოფილებებისათვის, დელეგატ ქალთა ფორმალური და და[illegible]ნებული მიმაგრება პრაქტიკის ადგილებზე, ზოგჯერ მათი გამოყენება მარტოოდენ ტექნიკურ სამუშაოზე ან მეტისმეტად გადატვირთვა დავალებებით და სხვ.) და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მათი დაძლევისათვის.

ყრილობამ დღის წესრიგის ყველა საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუცია, მოიწონა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის აღსადგენად და მოითხოვა გადამწყვეტი ზომების მიღება მუშათა და გლეხთა მოღალატეების ჩამოსაშორებლად.[18]

ყრილობამ აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რაც ქალთა შორის მუშაობაში ჰქონდა სადელეგატო კრებებს, დელეგატ ქალთა ყრილობებს, უპარტიო ქალთა კონფერენციებს და ქალთა განყოფილებებში მომუშავეთა თათბირებს. მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ „მიაჩნია რა დელეგატ ქალთა ყრილობები ქალთათვის კომუნიზმის საუკეთესო ფორმად, რომელიც ამაღლებს მშრომელ ქალთა შეგნებას, — აუცილებელ საჭიროდ სთვლის კიდევ უფრო გაძლიერდეს და გაღრმავდეს მუშაობა ამ მიმართულებით, რათა დელეგატ ქალთა ყრილობის გარშემო დარაზმული იქნეს მუშა და გლეხ ქალთა ფართო მასები“.[19]

სრულიად საქართველოს დელეგატი ქალების I ყრილობამ მოგვცა ადგილებზე დელეგატ ქალთა მუშაობის, სასოფლო რაიონებში მათი საქმიანობის დასრულებული სურათი. გვიჩვენა, თუ როგორ უფრო და უფრო მასობრივ ხასიათს იღებდნენ დელეგატ ქალთა კრებები და თავის გარშემო იკრებდნენ ქალთა მასებს, როგორ აქტიურად მონაწილეობდნენ დელეგატი ქალები საარჩევნო კამპანიებში. სოფლად დელეგატ ქალთა კრებების ინსტიტუტში გავლილი ქალები უფრო მეტად ებმებოდნენ პარტიულ, სამეურნეო, კოოპერატიულ ორგანიზაციებში, აქტიურად მუშაობდნენ გლეხთა კომიტეტებში, საბჭოების სექციებში, ალმასკომებში, დამზღვევ სალაროებში, სახალხო ფლოტის მეგობართა, ბავშვთა მეგობრის და სხვა საზოგადოებაში.

ყრილობამ მისალმებანი გაუგზავნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებას, ქალთა საერთაშორისო სამდივნოს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, წითელ არმიას, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელებს, ნ. კ. კრუპსკაიასა და კ. ცეტკინს[20].

ყრილობის დელეგატები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ გადაწყვეტილებას, საქართველოს ქალთა სახელით, ს. ორჯონიკიძის ხელით გაეგზავნათ სამახსოვრო დროშა ლენინგრადელი ქალებისათვის.[21]

მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებების ახალ არჩევნებს კომუნისტური პარტია ყოველთვის საერთო პოლიტიკური კამპანიის მნიშვნელობას აძლევდა.

---

[18] მლისპფა, ფ. 14, საქმე 1336, ფ. 1.

[19] იქვე, ფ. 17.

[20] გაზეთ „კომუნისტი“ ოქტომბერი, 1924 წ. № 36.

[21] იქვე.

იგი ფართო მასებისათვის გამოყენებული იყო პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების გასაცნობად. არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებაში ფართო მონაწილეობას ღებულობდნენ კომუნისტი ქალები. ზოგიერთ [illegible] დელეგატი ქალების გადარჩევა ხდებოდა მუშებისა და მუშა ქალების [illegible] კრებაზე. მუშა ქალები იმდენად ინტერესდებოდნენ მუშაობით, რომ თვითონ ითხოვდნენ დელეგატად არჩევას. ამ გზას მიჰყვებოდნენ გლეხი ქალებიც. დელეგატი ქალები დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ ანგარიშის ჩასაბარებლად. ზოგიერთ ადგილებში ქალთა განყოფილებები აწყობდნენ ძველი და ახალი მოწვევის დელეგატ ქალთა შეხვედრას. მას საზეიმო ხასიათი ეძლეოდა. ძველი შემადგენლობის დელეგატი ქალები ახლებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. შეკრებაზე ისმენდნენ მოხსნებებს სადელეგატო კრებების წინაშე მდგარი ზოგიერთი ამოცანების შესახებ.

სადელეგატო კრებების ავტორიტეტის ზრდაზე მშრომელ ქალთა შორის სხვა ფაქტებთან ერთად მიუთითებს ის გარემოება, რომ ყოველწლიურად მატულობდა წარმომადგენლობის ნორმები და იზრდებოდა დელეგატ ქალთა რიცხვი. თუ საქართველოში დელეგატ ქალთა რიცხვი 1923 წელს 2200-ს შეადგენდა, 1924—1925 წელს მან მიაღწია 5015-ს, 1925—1926 წელს—9768-ს, 1926—1927 წელს 9801-ს, ხოლო 1927—1928 წელს კი—10973-ს. შესაბამისად უმჯობესდებოდა დელეგატ ქალთა სოციალური შემადგენლობა.

სადელეგატო კრებების საქმიანობას საფუძვლად ედო „დელეგატ ქალთა სამახსოვრო წიგნში“ აღნიშნული დევიზი: „არ არსებობს დელეგატი ქალი მოვალეობის გარეშე“.

სადელეგატო კრებების საშუალებით კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკურად აღზარდა მშრომელი ქალები, მოამზადა ისინი პრაქტიკული საქმიანობისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სადელეგატო კრებები წარმოადგენდა ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას.

Доц. К. Д. АНТИДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ ДЕЯТЕЛЬНОСТИ РАБОЧЕ-КРЕСТЬЯНСКИХ ЖЕНСКИХ ДЕЛЕГАТСКИХ СОБРАНИЙ В ГРУЗИИ

### Резюме

Начало рабоче-крастьянских женских собраний в Грузии относится к марту 1921 г.

Делегатские собрания состояли из представителей женщин работниц, крестьянок, служащих и домохозяек.

Женские делегатские собрания представляли собой одну из основных форм работы среди женщин, весьма существенный приводной механизм и связывающее звено партии с трудящимися-женщинами.

Посредством делегатских собраний со временем постепенно повысилась классовая и политическая сознательность женщин-делегатов, их культура, образование, квалификация. Они широкое участие принимали во всех кампаниях, которые проводили партия и Советская власть, как в городе, так и деревне. Женщины-делегаты тесно сплачивались вокруг партии, лучшие из них вступали в ее ряды.

Женщины-делегаты постепенно становились прекрасными агитаторами, пропагандистами, лекторами, партийными и хозяйственными работниками. Они являлись пламенными борцами на культурном фронте, из них готовились работники среди женщин.

Женщины, прошедшие через институт делегатских собраний в большей степени включались в работу партийных, хозяйственных, кооперативных организаций, активно работали в крестьянских комитетах, секциях Советов, исполкомах, правлениях колхозов, страховых кассах, «Друге детей» и других обществах.

Под руководством Коммунистической партии делегатские собрания представляли собой наилучшую форму включения женщин в общественную жизнь, могучее средство их коммунистического воспитания.

---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ბოცირიძე

# საქართველოს კომუნისტური პარტია ლენინური ხაზისათვის ბრძოლაში

(საქ. კპ V ყრილობის მასალების მიხედვით)

ამ თემისადმი ინტერესს აძლიერებს სკკპ XXIV ყრილობა, რომელზეც ითქვა, რომ ჩვენი პარტია ყოველთვის მიმართავს ლენინის იდეურ მემკვიდრეობას და მის საფუძველზე წყვეტს ახალ ამოცანებს, რომელსაც ცხოვრება აყენებს. ლენინიზმის იდეური მემკვიდრეობა პარტიამ დაიცვა ტროცკიზმისა და სხვა ანტილენინურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დღეს, როცა კლასობრივი მტერი საერთაშორისო არენაზე ცდილობს აქტიურად გამოიყენოს ტროცკიზმი, როგორც ანტიკომუნიზმის იარაღი, კიდევ უფრო იზრდება ტროცკიზმის წინააღმდეგ სკკპ ბრძოლის გამოცდილების მნიშვნელობა.

ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლის V ყრილობა ლენინიზმის დაცვისათვის დიდი ბრძოლის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობა შეიკრიბა საიუბილეო პერიოდში, ოქტომბრის რევოლუციის მე-10 წლისთავზე, ეს პერიოდი დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. რთულდებოდა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებსა და სსრ კავშირს შორის, კაპიტალისტურ ელემენტებსა და სოციალისტურ ელემენტებს შორის ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის მშენებლობის ახალ გზაზე გადადიოდა. ეპოქის ამ გარდატეხითმა ხასიათმა, ახალი ამოცანების სირთულემ, სიძნელეები შექმნა თვით ჩვენს პარტიაში.

პარტიის წევრთა ერთი ნაწილი, რომელიც ვერ ხედავდა ან არ სწამდა ჩვენი ქვეყნის განვითარების სოციალისტური პერსპექტივები, მერყეობას იჩენდა, დაცემულობის განწყობილებას ნერგავდა პარტიაში, მას არ სწამდა პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალებისა და საბოლოო ანგარიშით კაპიტულანტობის იდეოლოგიამდე მიდიოდა.

ასეთი ელემენტები ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტილენინური ბლოკის სახით 1926—1927 წლებში გაათფრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

პარტიას, თუ მას სურდა გაემარჯვნა სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე, უნდა გამოეაშკარავებინა ოპოზიციური ბლოკის ძირითად შეხედულებათა პრინციპული უსაფუძვლობა, ცხადეყო ლენინიზმის საფუძვლებთან მათი შეუთავსებლობა და გამოეცხადებინა შეურიგებელი იდეური ბრძოლა ოპოზიციის პრინციპულ შეცდომებთან, რათა საბოლოოდ დაეძლია ისინი. ეს ასეც მოხდა.

ამ ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი საქართველოს კომპარტიის V ყრილობამ. ყრილობა გაიხსნა 1927 წლის 12 ნოემბერს. ყრილობის დღის წესრიგში იდგა: 1) საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 2) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიში; 3) სარევიზიო კომისიის ანგარიში; 4) მოხსენება სსრ სახალხო მეურნეობის და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ; 5) მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ და არჩევნები.

ყრილობის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა სკკპ (ბ) გენერალური ხაზის დაცვის ნიშნით.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია საქართველოს კომუნისტურ პარტიაში შინაპარტიული მდგომარეობის ღრმა ანალიზი.

ქართული ოპოზიციის მუშაობა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო იზოლირებული საკავშირო კომუნისტურ პარტიაში არსებული ოპოზიციისაგან.

ოპოზიციამ თავი იჩინა პირველად საქ. კპ (ბ) XIV ყრილობის წინ და გაფორმდა თვით ყრილობაზე. ამ ე. წ. „ახალ ოპოზიციას“ სათავეში ედგა ზინოვიევი და კამენევი. ხოლო ტროცკი, რომელიც ჯერ კიდევ გაოგნებული იყო 1923 წლის დისკუსიაში განცდილი მარცხისაგან, XIV ყრილობაზე დუმდა, მისი ხმა ჯერ კიდევ არ ისმოდა.

პარტიის XIV ყრილობაზე ქართველი უკლონისტების წარმომადგენლები ხმას აძლევენ ყრილობის ყველა გადაწყვეტილებას და ძალიან მკაცრადაც კი გამოდიან ოპოზიციის წინააღმდეგ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ოპოზიციას ტროცკი ჩაუდგა სათავეში და წარმოიშვა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკი, ქართველი უკლონისტები ოპოზიციის რიგებში აღმოჩნდნენ. უკლონისტები ტროცკისტებად მოგვევლინენ, როგორც ცნობილია, ოპოზიცია საქართველოში ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებით დაიწყო. მათ არ სურდათ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და სსრ კავშირში საქართველოს შესვლა ამ ფედერაციის საშუალებით. ამავე დროს, ისინი ილაშქრებდნენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიური უფლებების მინიჭების წინააღმდეგ. ამით ისინი დიდმპყრობელური შოვინიზმის პოზიციებისაკენ ექანებოდნენ.

ეხება რა ოპოზიციის უკლონისტურ წარსულს, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი მ. კახიანი ასე გადმოსცემს მათ შეხედულებებს: „რა საჭიროა ჩვენთვის ამიერკავკასიის ფედერაცია, რათ უნდა გავუყოთ ფულები ღარიბ სომხეთსა და აზერბაიჯანს, განა უკეთესი არ იქნება უშუალოდ შევიდეთ საბჭოთა კავშირში“.[1]

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დაგმო უკლონისტების შეხედულე-

---

[1] საქ. კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა II, გვ. 48.

ბები, რადგან ამიერკავკასიის ფედერაციის გარეშე შეუძლებელი იყო კავკასიაში მყარი მშვიდობიანობის დაცვა.

როგორც ცნობილია, ცენტრალურმა ოპოზიციამ თავის პლატფორმაში შეიტანა ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი. იქ ნათქვამია: „შემოწმებულ იქნეს ა/ კავკასიის ფედერაციის მუშაობის შედეგი „ა/ კავკასიის ეროვნებათა სამეურნეო და კულტურული განვითარების ინტერესებისადმი შესაბამისობის თვალსაზრისით"[2].

ცენტრალური ოპოზიცია მოსკოვში თავის საქმეს აკეთებდა. ამით მას უნდოდა უკლონისტები თავის მხარეზე გადაეყვანა, თუმცა უკლონისტებმა ვერ გაბედეს ამდროისათვის ა/კავკასიის ფედერაციის საკითხს შეხებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგი იყვნენ ფედერაციის შექმნისა.

ეხება რა ოპოზიციის პლატფორმის ამ ნაწილს, მ. კახიანი ამბობს: „რას ნიშნავს ეს? დაე გვითხრან მათ, რას ნიშნავს ა/ კავკასიის ფედერაციის შემოწმება შესაბამისობის თვალსაზრისით? თქვენ გინდათ დამალოთ ა/კავკასიის ფედერაცია, თქვენ ფიქრობთ, რომ იგი არ შეესაბამება ა/ კავკასიის მშრომელთა ინტერესებს. მაშინ სთქვით ეს პატიოსნად პარტიული მასის წინაშე. მაგრამ არა მგონია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი ერთი რესპუბლიკა მაინც დაგეთანხმოთ თქვენ 5—6 წლის ბრძოლის შემდეგ, რომელიც ამ ფედერაციის შესაქმნელად წარმოებდა, ყველა ეს რესპუბლიკები დაეთანხმებიან პარტიას და კიდევ ერთხელ იტყვიან, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია ჩვენს უდიდეს და უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს, რომ იგი არის ამიერკავკასიაში ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმა"[3].

ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობამ პრაქტიკული დასაბუთება მისცა ამ სიტყვებს. მეგობრობის ტრადიციები, რომელიც შეიქმნა ფედერაციის არსებობის პერიოდში, არასოდეს ამოიშლება ამიერკავკასიის ხალხთა მეხსიერებაში

საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობის მოწვევის დროისათვის, ოპოზიციური ბლოკი უკვე 2 წლის მანძილზე აწარმოებდა ბრძოლას პარტიასთან. და ამ ბრძოლაში, ამ უთანხმოებათა ბალანსში მთავარი იყო არა ეროვნული საკითხი, არა უკლონისტთა შეხედულებების დაძლევა, არამედ მთავარ საკითხად იდგა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების პერსპექტივები. შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება აი, როგორ იდგა საკითხი.

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა ლენინმა. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა პარტიამ, ბოლოს ამ საკითხზე დადებითი პასუხი გასცა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ.

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას და სოციალიზმის აშენებას, სოციალიზმის გამარჯვება ნიშნავდა მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევას რევოლუციის შინაგანი ძალების საფუძველზე.

---

2 საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა II, გვ. 53.

3 საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა II, გვ. 53.

სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში ნიშნავდა კაპიტალისტური ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის ცდებისაგან სრული გარანტიის შექმნას და ეს შესაძლებელი იყო რამდენიმე ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი იყო პარტიის პასუხი, რომელიც უარყო ოპოზიციამ. როგორც ცნობილია, ტროცკიზმმა უარყო ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალების საფუძველზე სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა. ამიტომ იყო, რომ პარტიამ ტროცკისა და მისი თანამოაზრეთა შეხედულებები მიიჩნია სოციალ-დემოკრატიულ გადახრად ძირითად საკითხში — რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ.

ასეთივე შეხედულებების მატარებლები იყვნენ ოპოზიციის მომხრენი საქართველოს კომუნისტურ პარტიაში. ისინი არა თუ უარყოფდნენ სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში, არამედ იმასაც კი ამბობდნენ, რომ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების თეორია ლენინს არ ეკუთვნის, რომ იგი სხვამ (იგულისხმება სტალინი) შექმნა. არა თუ ეს თეორია, არამედ არც ტროცკიზმი არსებობს, ეს პარტიის უმრავლესობის გამონაგონიაო· ამას ამბობდა მაგალითად, ქართული ტროცკისტული ოპოზიციის მეთაური მ. ოკუჯავა[4]. ოპოზიციამ ეს იმისათვის გამოიგონა, რომ შეემსუბუქებინა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ლენინური თეორიის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული სიძნელეები, მაგრამ ოპოზიციის ეს ცდა პარტიის ლენინურმა ხელმძღვანელობამ ჩაშალა.

ვფიქრობთ, ბურჟუაზიული ისტორიკოსები ტროცკისტების ამ ამონაცოხნით იკვებებიან დღესაც, ჩვენს პარტიაში ტროცკიზმის დამარცხების დიდი ხნის შემდეგაც; მაგალითად, ცნობილი ლეონარდ შაპირო თავის ფალსიფიცირებულ წიგნში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“ წერს, რომ „...სტალინმა წამოაყენა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების თეორია“[5]. მაგრამ ცნობილია, რომ სწორედ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში ამბობდა ი. ბ. სტალინი, რომ ლენინი პ ი რ ვ ე ლ ი იყო, რომელმაც გადაწყვიტა საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ;

„ლენინი მარქსისტებში პ ი რ ვ ე ლ ი იყო, რომელმაც ახლებურად დააყენა საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალზმის გამარჯვების შესახებ და იგი დადებითად გადაწყვიტა“.[6]

პარტია მიდიოდა ლენინის გზით და მან არ დაუშვა ამ გზიდან გადახვევა. ხოლო ვინც გზიდან გადაუხვია, ის თავიდან მოიცილა; ასეთი იყო ბრძოლის ლოგიკა.

---

[4] საქ. კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა III, გვ. 20, 25.

[5] ლეონარდ შაპირო „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“ 1959, ნიუიორკი, გვ. 387 (ინგლისურ ენაზე).

[6] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 330..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ლენინის გზაზე დგომა, სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დარჩენა შეუძლებელი იყო პარტიის იდეური სიწმინდისა და, მისი ორგანიზაციული სიმტკიცის გარეშე. პარტიის იდეური და ორგანიზაციული სიწმინდე და ერთიანობა გადაელობა წინ ოპოზიციას ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ იყო, რომ ოპოზიციამ გაილაშქრა პარტიის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ლენინური ნორმების წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ ოპოზიცია „სტალინშჩინას“ უწოდებდა.

„რათა დოკუმენტურად დავამტკიცოთ ეს, — ამბობდა მ. კახიანი V ყრილობაზე — მე მოვიყვან პატარა ციტატას „46“-ის განცხადებიდან, რომელსაც ხელს აწერდნენ პიატაკოვი, პრეობრაჟენსკი, სერებრიაკოვი, ალსკი და სხვანი, ე. ი. ის ადამიანები, რომელნიც ტროცკისტულ ბლოკში შედიან. ეს განცხადება მათ შეიტანეს ცენტრალურ კომიტეტში 1923 წელს. აი რას წერდნენ ისინი ჩვენი პარტიის რეჟიმზე: „პარტიაში შექმნილი რეჟიმი სრულიად აუტანელია. ის ჰკლავს პარტიის თვითმოქმედებას, აპარატის შერჩეულ მოხელეებით იჭერს პარტიის ადგილს, რომელიც წესიერად მოქმედებს ნორმალურ პირობებში, მაგრამ, რომელიც კრიზისის მომენტებში ყოველთვის უკან იხევს და მოსალოდნელ სერიოზულ ამბების წინაშე უმწეო მდგომარეობაში ვარდება. შექმნილი მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ X ყრილობის შემდეგ პარტიაში ობიექტურად შექმნილმა ფრაქციულმა დიქტატურამ მოსჭამა თავის დრო“.[7]

ასევე წერდა ტროცკი. მისი აზრით „ის რეჟიმი, რომელიც ჩამოყალიბდა XII ყრილობამდე, ამის შემდეგ საბოლოოდ განსხვავდება, გაცილებით უფრო დაცილებულია მუშათა დემოკრატიას, ვიდრე სამხედრო კომუნიზმის ყველაზე უფრო სასტიკი პერიოდები“.[8]

ამრიგად, ოპოზიციას არასოდეს არ მოსწონდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციული პრინციპები, რადგან ეს პრინციპები მათ ხელს უშლიდა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოპოზიციას პარტიული წესდების ფარგლებში სრული შესაძლებლობა ჰქონდა გამოეთქვა და დაეცვა თავისი შეხედულებები. ამის შესახებ ილაპარაკა ყრილობის მრავალმა დელეგატმა. ყრილობის დელეგატმა კ. კალანდაძემ აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ ქუთაისში ჩამოვიდა ქართული ოპოზიციის მეთაური მ. ოკუჯავა. მას ჩვენ მივეცით რეგლამენტი საათნახევარი და სულ 7 კაცმა დაუჭირა მხარიო. ყრილობის დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ არა თუ ბურთს სჩრიან პირში ოპოზიციას, არამედ ისინი ზედმეტი თავისუფლებით სარგებლობენ.

საქმე მიდიოდა იქითკენ, რომ უნდა შექმნილიყო ან უკვე იქმნებოდა პირველადი და ზემდგომი ოპოზიციური პარტიული ორგანოები. „განა დასაშვებია — ამბობდა ყრილობაზე ამხ. ა. დოლიძე, — რომ ქობულეთში აწყობდნენ არალე-

---

[7] საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა II, გვ. 41.

[8] საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა II, გვ. 41.

გალურ კრებას და ირჩევენ არალეგალურ კომიტეტს?“. ეს არის გზა მეორე პარტიის შექმნისაკენ. ეს უკვე ახალი პარტიის შექმნას ნიშნავს...“.[9]

ყრილობაზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ფ. მახარაძემ. ყრილობამ ფეხზე ამდგარი მქუხარე ტაშით მიესალმა მას. ფ. მახარაძემ საფუძვლიანად გააკრიტიკა ოპოზიციის ანტიპარტიული მოქმედება უკანასკნელ წლებში. მან თქვა, რომ ოპოზიცია გაკოტრდა, მას არაფერი აქვს სათქმელი, ყოვლად დაუშვებელია, აღმაშფოთებელია ოპოზიციის მოქმედება. რა ხდება ოპოზიციაში? — კითხვას აყენებდა ის „ჩვენ ვხედავთ, — ამბობდა ფ. მახარაძე, თუ როგორ ყალიბდება მეორე პარტია, როგორ ეწყობა უჯრედები, რაიკომები და ცენტრალური კომიტეტი“.[10]

რა თქმა უნდა, ოპოზიციას არც ცენტრში, არც საქართველოში ძალა არ ეყო. შეექმნა მეორე პარტია. პარტიის ლენინური ერთიანობის განმტკიცების გზაზე მან ჩანასახშივე დალია სული. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ლენინური პარტია ვერ მიიღებდა ტროცკიზმს, ისინი ურთიერთს გამორიცხავენ.

თუმცა ოკუჯავა ყოველნაირად ცდილობდა მოედუნებინა ყრილობის ყურადღება და ყრილობაზე თქვა, რომ ტროცკიზმი არ არსებობს, ის თქვენი გამონაგონია, პარტიაში არსებულ ნამდვილ უთანხმოებათა მისაჩქმალადო, ფ. მახარაძე ამბობდა: „ნუთუ საჭიროა იმის მტკიცება, რომ ტროცკიზმი არსებობს, რომ ის უპირისპირდება ლენინიზმს, რომ ტროცკიზმი წარმოადგენს მენშევიზმის ერთ-ერთ სახეს, რომ ტროცკიზმი თავიდანვე ებრძოდა ბოლშევიზმს, რომ ეს ტროცკიზმი შერჩა ტროცკის? ტროცკიზმი დარჩა და ახლა ცდილობს დაშალოს არა მარტო ჩვენი პარტია, არამედ მუშათა კლასიც“.[11]

ოპოზიციის არსენალში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა დემაგოგიას. პოლიტიკურ კაპიტალს მოწყურებულნი, წინადადებას აყენებდნენ მუშათა ხელფასის მომატების შესახებ.

პარტია ხელფასის ზრდას განიხილავდა შრომისნაყოფიერების ზრდასა და თვითღირებულების შემცირებასთან კავშირში. ამას კი ერთბაშად, ადმინისტრაციული გზით ვერ მიაღწევ.

მუშათა ძირითადმა მასამ დიდი შეგნებულობა გამოიჩინა და არ აჰყვა ოპოზიციის დემაგოგიას.

ამხანაგი ჩიხლაძე ყრილობაზე აღნიშნავდა;—„ოპოზიცია მუშებს ჰპირდება ხელფასის მომატებას. ვკითხოთ მ. ოკუჯავას“, მას რომ მივცეთ დღეს ხელისუფლება, შესძლებს კი ხელფასი მოუმატოს მუშებს, არის ამის რესურსები? რასაკვირველია ასეთი რესურსები არ არის“.[12]

ყრილობის დელეგატმა ჭიათურის ორგანიზაციიდან, ამხ. ა. ენუქიძემ, ისევე როგორც სხვა დელეგატებმა, განაცხადა, რომ ბოლო უნდა მოეღოს ოპოზიციის

---

9 საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა VII, გვ. 18—19.

10 საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა III, გვ. 33.

11 საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა. სხდომა III, გვ. 35.

12 საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა, სხდომა V, გვ. 25.

ასეთ მოქმედებას. მან მოუწოდა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ოპოზიციის ანტიპარტიულ მოქმედებას.

ოპოზიცია სრულიად დასცილდა პარტიას და ჩაეფლო ჭაობში და მიუხედავად პარტიის მიერ გაწვდილი ხელისა, არ ისურვა, ან ვერ მოახერხა იქიდან ამოსვლა. როგორც ჩანს, ფრაქციული ბრძოლის ლოგიკა, როგორც ი. ბ. სტალინი ამბობდა, ამა თუ იმ ადამიანთა სურვილებზე უფრო ძლიერია. და აი, საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობამ გადაწყვიტა, რომ წერტილი დაესვა.

ოპოზიციის აქტიური მოღვაწეები და მეთაურები (მ. ოკუჯავას გამოკლებით)* გარიცხული იქნენ პარტიის რიგებიდან.

საქ. კპ (ბ) V ყრილობამ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი სცნო სწორად და დამაკმაყოფილებლად შეაფასა მათი მუშაობა საანგარიშო პერიოდში. ყრილობის მიერ განხილულ ყველა საკითხზე მიღებული რეზოლუციები საფუძვლად დაედო საქართველოს კომუნისტური პარტიის შემდგომ მუშაობას.

* * *

საქართველოს კპ (ბ) V ყრილობა უთუოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის და მთელი საქართველოს ხალხის ცხოვრებაში. ყრილობა ჩატარდა ლენინიზმის დაცვისა, კომუნისტური პარტიის მონოლითური ერთიანობის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების ნიშნის ქვეშ.

საერთოდ ოპოზიციური ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში განმტკიცდა სკკპ და მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — საქართველოს კომუნისტური პარტია. გაიზარდა ჩვენი პარტიისა და მისი ხელმძღვანელი კადრების ავტორიტეტი. პარტია უფრო შეგნებული, უფრო დისციპლინირებული გახდა. იგი გამოიწრთო და სოციალიზმის მშენებლობის ძლიერი ბერკეტი გახდა. საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს პარტიაში პარტიის ხელმძღვანელობის ლენინურმა პრინციპებმა. ამ გამარჯვებაში საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, კერძოდ მისმა V ყრილობამ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ამ გამარჯვების გაკვეთილებს დღესაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის მტრების, ყოველგვარი რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტ როლს შეასრულებს ორგანიზაციული პრინციპები, რომლებზეც აგებულია კომუნისტური პარტიები და, უწინარეს ყოვლისა, სკკპ.

ცნობილია, რომ ოპოზიციაში ჩვენი პარტიის მტრები, (მაგალითად, მენშევიკები) ხედავდნენ იმ ძალას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო ბოლშევიზმის ლიკვიდაცია, პროლეტარიატის დიქტატურაზე ხელის აღება და ახალ პოლიტიკურ დემოკრატიაზე გადასვლა.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ახლანდელ პერიოდში არიან ისეთი „კომუნისტებიც“ კი, თავი რომ დავანებოთ სოციალიზმის პირდა-

---

* მ. ოკუჯავა, პარტიის რიგებიდან გაირიცხა 1927 წ. დეკემბერში. 1931 წ. კვლავ აღადგინეს პარტიის რიგებში, რადგან ცნო თავისი შეცდომები.

პირ მტრებს, რომლებიც იმის წინააღმდეგნი არიან, რომ პარტია ხელმძღვანელობდეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ილაშქრებს იმ რევიზიონისტული თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვენ, რომ კომუნისტური პარტიები „... ჩამოშორდეს საზოგადოების განვითარებისადმი ხელმძღვანელობას ეკონომიკის, სახელმწიფო ცხოვრების, კულტურის და სხვა დარგებში. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იქნებოდა იმათთვის, ვინც ოცნებობს ყველა ამ დარგის განვითარება დააბრუნოს უკან—კაპიტალიზმისაკენ“.[13]

როგორც ცნობილია, ტროცკისტები კაპიტალისტურ ქვეყნებში პერიოდულად ახერხებენ გამოცოცხლებას და იწყებენ მოქმედებას რეალურად არსებული სოციალიზმის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ რევოლუციების გაჩაღებას და ეს, მათი აზრით, უნდა დაიწყოს, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტურ ქვეყნებში მშრომელთა ხელისუფლების დამხობით.

როგორც სკკპ ცკ მდივანი ამხ. ბ. პონომარევი ამბობს „Троцкизм это своего рода троянский конь, которого реакция старается ввести в стран революционных борцов"[14], საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ახალგაზრდა მებრძოლები ყოველთვის კონკრეტულად არ იცნობენ ტროცკიზმის თეორიასა და პრაქტიკას. ასეთ პირობებში ტროცკიზმის წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ბრძოლის გამოცდილების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

ქართველი კომუნისტების V ყრილობამ გვიჩვენა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია არის სკკპ ერთგული რაზმი, რომ იგი, ისევე როგორც მთელი პარტია, იყო და არის მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი პრინციპების თანმიმდევრული დამცველი და არასოდეს არაფერს არ დათმობს იდეურ საკითხებში.

Г. Г. ГОЦИРИДЗЕ

## КОММУНИСТИЧЕСКАЯ ПАРТИЯ ГРУЗИИ В БОРЬБЕ ЗА ЛЕНИНСКУЮ ЛИНИЮ


### Резюме

В 20-е годы КП Грузии, как и вся наша партия, вела непримиримую, принципиальную борьбу против троцкизма.

В этой борьбе КП Грузии показала, что она была способна отстоять от буржуазного и мелкобуржуазного опошления величайшее идейное наследство прогрессивного человечества — ленинизм.


[13] ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი“, 13 ნოემბერი, 1968.

[14] Б. Пономарев. «Актуальная задача идейно-политической борьбы», «Коммунист», № 18, стр. 15, 1971.

V съезд КП Грузии защитил генеральную линию строительства социализма и увенчал вооружение партии идеей победы социализма в нашей стране.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Съезд подытожил результаты внутрипартийной борьбы, идейно разгромил сторонников оппозиционного блока в Грузии, и на основе перспектив социалистического строительства укрепил единство партии.

С поражением оппозиционного блока в партии была создана возможность защиты ленинизма от попыток ревизии в будущем.

В КПСС, в частности, в КП Грузии, окончательно победила ленинская генеральная линия строительства социализма в СССР.

Вооруженные решениями КПСС, коммунисты Грузии с развернутым знаменем ленинизма возглавили массы в их борьбы за построение социалистического общества и привели к всемирно-историческим победам социализма.

---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ნასარიძე

# ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში ლენინური თეორიისა და ტაქტიკისათვის

ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე მკვეთრად გამომჟღავნდა სხვადასხვა პარტიების დამოკიდებულება ომისადმი. სომეხი ბურჟუაზიის პოლიტიკური პარტიები დაშნაკცუთიუნი და კადეტები სავსებით მხარს უჭერდნენ ცარიზმის იმპერიალისტურ პოლიტიკას, სოციალ-შოვინისტურ პოლიტიკას ატარებდნენ ასევე სომეხი სპეციფიკებიც. ომში მეფის მთავრობას მხარს უჭერდა აზერბაიჯანის მემამულეებისა და კაპიტალისტების პარტია მუსავატი. ამ პარტიის წარმომადგენლები ერთგულად იცავდნენ მეფის ტახტს და შეგნებულად უარს ამბობდნენ აზერბაიჯანისათვის რაიმე კონკრეტული უფლებების საკითხის დაყენებაზე.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებას ამიერკავკასიელი მენშევიკები დაბნეულად შეხვდნენ. მენშევიკების საოლქო კომიტეტის სხდომაზე უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აგიტაცია გაეწიათ ომის საწინააღმდეგოდ და დაეკავებინათ პორაჟენცული პოზიცია. მხოლოდ ნ. ჟორდანია და მის მომხრეთა მცირე ჯგუფი დადგა „სამშობლოს დაცვის“ თვალსაზრისზე. მაგრამ მენშევიკები შემდეგში თანდათანობით გადავიდნენ ნ. ჟორდანიას პოზიციებზე და ინტერნაციონალისტების მცირე ჯგუფის გამოკლებით, რომელიც ომის მოწინააღმდეგეთა პოზიციებზე დარჩა, მთლიანად და საბოლოოდ ჩაეფლნენ სოციალ-შოვინიზმის ჭაობში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დაიკავეს მისდამი სწორი, ინტერნაციონალური პოზიცია. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია მტკიცედ იდგა ინტერნაციონალურ პოზიციებზე და თანმიმდევრულად ატარებდა მას. ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააძლიერეს რეპრესიები მის წინააღმდეგ. 1914 წლის აგვისტოში პოლიციამ დააპატიმრა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები და რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრთა ჯგუფი. ამან ბაქოს პარტიული ორგანიზაცია ძალიან დაასუსტა, რამაც თავისი გავლენა მოახდინა ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების მსვლელობაზე. „ყოველ შემთხვევაში, — წერდა

ვ. ი. ლენინი—1914 წლის 28 ნოემბერს, ჩვენი პარტიის მუშაობა ახლა 100-ჯერ უფრო ძნელი გახდა. მაგრამ მაინც ვიმუშავებთ“![1]. მართლაც, ბაქოში პარტიული მუშაობა არ შეწყვეტილა. დაპატიმრებას გადარჩენილი ბოლშევიკები მუშებს განუმარტავდნენ იმპერიალისტური ომის წარმოშობის ნამდვილ მიზეზებს, ისინი ენერგიულ ბრძოლას ეწეოდნენ ომის წინააღმდეგ მუშებისა და ყველა მშრომელის დასარაზმავად.

თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას პირველი მსოფლიო ომის წინ თავს დაატყდა დიდი რეპრესიები და ომის დაწყების დროისათვის იგი საკმაოდ დასუსტებული იყო., ნ. კრუპსკაიასადმი გაგზავნილ წერილში 1914 წლის 15 (28) აგვისტოს მ. ედიშეროვი ატყობინებდა მ. ტოროშელიძის აზრს თბილისში პარტიული მუშაობის შესაძლებლობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ. სადაც წერდა: „ის (მ. ტოროშელიძე — ს. ნ.) ამბობს, რომ ნიადაგი ბოლშევიკური მოღვაწეობისათვის ახლა ხელსაყრელია, როგორც არასოდეს, მაგრამ აბსოლუტურად არ არის ძალები და ადამიანები. ცოტად თუ ბევრად ენერგიული ადამიანები დააპატიმრეს და სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნეს...“.[2]

მიუხედავად ამისა, რეპრესიას გადარჩენილი ბოლშევიკები აქტიურად იბრძოდნენ ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში ლენინური თეორიისა და ტაქტიკის გატარებისათვის. ამ საქმეებში დიდი როლი შეასრულა პ. ჯაფარიძემ, რომელიც 1914 წლის ივნისში გადასახლებიდან თბილისში დაბრუნდა და დაუყოვნებლივ სათავეში ჩაუდგა აქაურ ბოლშევიკებს, პ. ჯაფარიძემ დიდი მუშაობა გასწია ბოლშევიკური ორგანიზაციის აღორძინების, მისი ქსელის გაფართოებისათვის, რსდმპ თბილისის კომიტეტის აღდგენისათვის, არალეგალური სტამბის შექმნისათვის. ამ დიდი მუშაობის შედეგად მოკლე დროში შესაძლო გახდა მთელი პარტიული მუშაობის ახლებურად გარდაქმნა და თბილისის კომიტეტის აღდგენა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში ლენინური თეორიისა და ტაქტიკის სწორად თანამიმდევრულად გატარებისათვის.

თბილისელი ბოლშევიკების აქტიური მონაწილეობით ელიზავეტპოლში მოწყობილ იქნა დიდი არალეგალური სტამბა, რომელიც ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად, შემდეგ გადმოიტანეს საქართველოში. ამ სტამბაში გამრავლდა რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის მოწოდება „ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო!“, რომელიც იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ იყო მიმართული. ასევე „ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის მანიფესტი და რევოლუციები“, დაბეჭდილ იქნა „კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის თათბირის“ (1915 წ. ოქტომბერი) რეზოლუციები და ბევრი სხვა პარტიული დოკუმენტი. თბილისელმა ბოლშევიკებმა რსდმპ ცკ-ის მანიფესტი „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“ 1915 წლის დასაწყისში მიიღეს. იმავე წლის 11 იანვარს თბილისის ბოლშევიკური ორგანი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — თხზ., ტ. 35, გვ. 173.

[2] ЦПА ИМЛ, ф. 17. оп. 1. д. 1475. л. 1 (об.).

ზაციის კრებამ, რომელსაც პ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, განიხილა და მხურვალედ მოიწონა ცკ-ის მანიფესტი. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მანიფესტის ფართოდ გავრცელების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოელმა ბოლშევიკებმა ასევე მიიღეს და განიხილეს ცკ-ის მანიფესტი „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“. ომისადმი დამოკიდებულების საკითხში მათ ლენინური პოზიცია დაიკავეს. ს. შაუმიანი ვ. ი. ლენინსა და ნ. კრუპსკაიას წერდა: „საკითხი უფრო ნაკლების შესახებ და თქვენი წერილის სხვა თეზისები (ლაპარაკია ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ თეზისებზე ომის შესახებ — ს. ნ.) მიღებულ იქნა აღფრთოვანებით... საერთოდ თავს ნებას მივცემ ვიფიქრო, რომ მე და მთელ ჩვენ ნათესაობას მაღლა გვიჭირავს ჩვენი საოჯახო (ბოლშევიკური—ს. ნ.) დროშა და თქვენ შეგიძლიათ დამშვიდებით იყოთ ჩვენი რეპუტაციისათვის“.[3] 1915 წლის იანვარში არჩეულ იქნა რსდმპ ბაქოს კომიტეტი. ამის შემდეგ ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ საგრძნობლად გააძლიერა მუშაობა. რიგ საწარმოებსა და ქარხნებში აღდგენილ იქნა, ანდა ხელახლა შეიქმნა პარტიული ჯგუფები. 1915 წლის ოქტომბრისათვის მხოლოდ ბალახანასა და ბაქოს ქალაქის რაიონებში მუშაობდა ექვსი ბოლშევიკური უჯრედი.

ომით შექმნილი მძიმე პირობების მიუხედავად, თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ აღნიშნა 1915 წლის 1 მაისი. ამისათვის მან რუსულ ენაზე გამოსცა საპირველმაისო ფურცელი „ამხანაგო მუშებო!“. რსდმპ თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, — ნათქვამია კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის საერთო განყოფილების მოხსენებაში, — გამოსცა პროკლამაცია პირველი მაისის დღისათვის მოწოდებით, — ენერგიულად ებრძოლათ თავისი პროფესიული და პოლიტიკური უფლებებისათვის და გადაჭრით წინააღმდეგობა გაეწიათ ომისშემდგომი წარმოებისათვის, რომელსაც თითქოსდა აქვს წინა დამპყრობითი, იმპერიალისტური ხასიათი“[4]. პროკლამაცია „ამხანაგო მუშებო!“ ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიის მუშებსა და მშრომელებს შორის, კავკასიის ფრონტის ჯარებში.

1915 წლის 4 მაისს პოლიციამ დააპატიმრა პ. ჯაფარიძე და რსდმპ თბილისის კომიტეტის სხვა წევრები. ამის შედეგად პარტიული მუშაობა თბილისში შესუსტდა, მაგრამ რა თქმა უნდა, მთლიანად არ შეწყვეტილა. ამ მუშაობას აგრძელებდნენ დაპატიმრებას გადარჩენილი ბოლშევიკები. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ცენტრის აღდგენა მოხერხდა მხოლოდ 1915 წლის ივლისის დამლევს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შემჭიდროვების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1915 წლის ოქტომბრის თათბირს, რომელიც ქ. ბაქოში ჩატარდა. მას არსებითად ბოლშევიკური კონფერენციის მნიშვნელობა ჰქონდა, რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატები ბაქოს, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის ბოლშევიკური ორგანიზაციებიდან. თათბირზე მოისმინეს დელეგატების

---

[3] С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. I, стр. 486, 1957.

[4] ЦГИАЛ. ф. 1276, оп. 1, д. 335, л. 46.

მოხსენებები ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაობის შესახებ და მიიღეს რეზოლუციები მიმდინარე მომენტის, ორგანიზაციულ, ეროვნულ და კავკასიაში ეროვნებებს შორის დამოკიდებულების საკითხებზე. მენშევიკური ორგანიზაციების თათბირის პარალელურად გურიაში შედგა ამიერკავკასიის მენშევიკების კონფერენცია. ბოლშევიკების თათბირმა და მენშევიკების კონფერენციამ ერთი და იგივე საკითხები განიხილეს და სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მიიღეს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების თათბირი მიღებულ რეზოლუციაში „თანამედროვე მომენტის შესახებ“, ახასიათებდა რა მსოფლიო ომის მიერ შექმნილ ვითარებას აღნიშნავდა, რომ ახლანდელი ომი დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა იმპერიალისტური (კოლონიალური) პოლიტიკის გარდუვალი შედეგია და რომ ამ ომისათვის პასუხისმგებლობა ერთნაირად ეკისრება ყველა ამ სახელმწიფოს“.[5] აქედან გამომდინარე ბოლშევიკების თათბირის რეზოლუცია განსაზღვრავდა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ამოცანებს სოციალური ჩაგვრისა და ექსპლუატაციისაგან განთავისუფლების საქმეში. „მთავარი გაკვეთილი, რომელიც უნდა გამოიტანონ ხალხებმა ამ საშინელი კატასტროფისაგან, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მდგომარეობს იმაში, რომ მხოლოდ კაპიტალისტური წყობისა და მისი რეჟიმის მოსპობას... და ამ წყობის შეცვლას სოციალისტური წყობილებით შეუძლია იხსნას ხალხები... და გამოიყვანოს კაცობრიობა შემდგომი პროგრესის გზაზე“.[6] თათბირის რეზოლუცია მიმდინარე მომენტის მიერ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე დაყენებული ამოცანებიდან განსაკუთრებით გამოჰყოფდა ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკით მისი შეცვლის ბრძოლის ამოცანას. შემდეგ რეზოლუციაში გარკვეულია ბურჟუაზიისა და ცარიზმის დამოკიდებულება, რომ მეფის მთავრობა ომის დროს უძლური აღმოჩნდა დაეცვა ბურჟუაზია უფრო კულტურული და ძლიერი მტრისაგან. მაგრამ ის მაინც ვერ ბედავდა მეფის მთავრობისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადებას.

რეზოლუციაში განსაზღვრულია მუშათა კლასის ამოცანები. „რუსეთის მუშათა კლასმა, — ნათქვამია რეზოლუციაში, — გლეხური და ქალაქის დემოკრატიის ყველაზე გაბედულ ელემენტებთან კავშირში უნდა აწარმოოს უფრო გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიულ-მემამულურ ბლოკთან და ემზადოს გარდუვალი სამოქალაქო ომისათვის მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ“.[7] თათბირის რეზოლუციაში მითითებულია, რომ სამართლიანი და უანექსიო ზავის დადებისათვის საჭიროა, რომ ის უნდა დადოს არა მეფის მთავრობამ, არამედ რევოლუციური ბრძოლისათვის აღმდგარმა ხალხმა.

ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირმა დიდი ყურადღებით განიხილა ორგანიზაციული საკითხი და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. მასში აღნიშნუ-

---

[5] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 13, აღწ. 27, ს. 3671, ფ. 14.

[6] იქვე.

[7] იქვე.

ლია, რომ ომის გამოცხადებისთანავე მთავრობა განსაკუთრებული მძვინვარებით დაატყდა თავს მუშათა კლასს, მის ორგანიზაციებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუშების ორგანიზებული უჯრედები მაინც არსებობდნენ. ზოგან შესაძლო გახდა არალეგალური ფურცლების გამოშვება, სადაც კი შესაძლებელი იყო მუშები შედიოდნენ ომის დროს შექმნილ ლეგალურ ორგანიზაციებში, იყენებდნენ მათ თავისი მიზნებისათვის.

მთავრობის სამხედრო დამარცხებამ და ამით გამოწვეულმა ხელისუფლების დეზორგანიზაციამ რამდენადმე განმუხტა ატმოსფერო და მუშებისათვის შექმნა ზოგიერთი აქტივობის გამოვლინების შესაძლებლობა. ამის გამო თათბირი მოუწოდებდა: 1. დავძაბოთ ყველა ძალები, უწინარეს ყოვლისა დაქსაქსული არალეგალური უჯრედების გასაერთიანებლად და შევქმნათ ადგილებზე პარტიის მეტ-ნაკლებად შეკავშირებული და ჩამოყალიბებული არალეგალური ორგანიზაციები. ამ მიმართულებით ლტოლვა მუშებში ძლიერდება. შეგნებული ამხანაგები უნდა ცდილობდნენ ყოველწლიურად განამტკიცონ და გააფართოვონ თავიანთი ორგანიზაციები.

2. ლეგალური ორგანიზაციებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პროფესიულ კავშირებს, გამოვაცოცხლოთ და გავაფართოვოთ ისინი. სადაც კი გადაურჩნენ რეაქციის მიერ განადგურებას და ვეცადოთ მივაღწიოთ დახურულთა აღდგენის ნებართვით მიღებას".[8]

რეზოლუციაში შემდეგ ნათქვამია, რომ შეგნებული მუშები უნდა შევიდნენ კოოპერატივებში, ეცადონ კიდევ უფრო გააფართოვონ და განამტკიცონ ისინი, შეიტანონ მათში პროლეტარული იდეურობა და არ დაუშვან, რომ ისინი გადაიქცნენ დუქნებად. რეზოლუცია ასევე მოუწოდებდა მონაწილეობა მიეღოთ „ეროვნებათა განურჩევლად ლტოლვილთა" დამხმარე კომიტეტებში და ასევე ქალაქის დემოკრატიულ კომიტეტებში მუშებისა და დემოკრატიული მოსახლეობის უფრო ფართოდ ორგანიზაციისათვის.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბაქოს თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო ეროვნულ საკითხს და მასზე მიიღო სპეციალური რეზოლუცია „ეროვნული საკითხის შესახებ". მასში დახასიათებულია რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ შექმნილი მდგომარეობა და ნათქვამია, რომ ის ხასიათდება ნაციონალიზმის გაძლიერებით. მის გაძლიერებას ხელი შეუწყო ასევე დაწყებულმა ომმა და იმ ფარისევლურმა ლოზუნგებმა, რომლებიც წამოაყენეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ პარტიის წევრები და მოწინავე მუშები ჯერ კიდევ არასაკმარისად იცნობენ პარტიის ეროვნულ პროგრამას. „ამის გამო, — ნათქვამია რეზოლუციაში,— ჩვენ ვურჩევთ პარტიის ყველა წევრს, უწინარეს ყოვლისა, უფრო ფართოდ გაეცნოს პარტიულ ლიტერატურას ეროვნულ საკითხზე — ი. სტალინის ბროშურას[9], ლენინის „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ", „პროსვეშჩენიეს" №№-ში და სხვ."[10] თათბირის რეზოლუცია გმობდა „კულ-

[8] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 13, აღწ. 27, დაცვ. ერთ. 3671, ფ. 17.

[9] ლაპარაკია ი. ბ. სტალინის ნაშრომზე — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"—ს. ჩ.

[10] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 13, აღწ. 27, დაცვ. ერთ. 3671, ფ. 17.

ტურულ ნაციონალურ ავტონომიის“ ქადაგებას და აცხადებდა, რომ კულტურის საკითხებში და ასევე ეკონომიურსა და პოლიტიკურში ყველა ეროვნების მუშები უნდა მიისწრაფოდნენ თავისი კლასობრივი თვალსაზრისისა და კულტურული ინტერესების ერთობლივი დაცვისაკენ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბაქოს 1915 წლის ოქტომბრის თათბირმა მიიღო რეზოლუცია „კავკასიაში ერებს შორის დამოკიდებულების შესახებ“. მასში აღნიშნულია, რომ ომის დროს კავკასიაში ერებს შორის დამოკიდებულება ძალიან გამწვავდა მთავრობისადმი გაცოფებულ ლაქიაობაში იმ კონკურენციის გამო, რასაც ერთმანეთის წინააღმდეგ ეწეოდნენ სხვადასხვა ერების გაბატონებული კლასები :სომეხი ბურჟუაზია, ქართველი თავადობა და მუსულმანური ბეგები. ყოველივე ამის კონსტანტირების შემდეგ, თათბირი მოუწოდებდა კავკასიის მუშებსა და მოსახლეობის ფართო ფენებს არ აჰყოლოდნენ გაბატონებული კლასებისა და ნაციონალისტური პარტიების პროვოკაციებს და შეეგნოთ, რომ ყველა ეროვნების დემოკრატთა ძმური კავშირია მათი გამარჯვების ან განთავისუფლების საწინდარი და რომ პირიქით, ეროვნული მტრობის შემდგომ გაძლიერებას შეუძლია გადააქციოს კავკასია ძმათა სისხლისმღვრელ შეჯახებათა ასპარეზად.

თათბირზე არჩეულ იქნა ხელმძღვანელი პარტიული ცენტრი—რსდმპ (ბ) კავკასიის ბიურო. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, ი. ფიოლეტოვი და სხვ. ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა განიხილეს ბოლშევიკური თათბირის გადაწყვეტილებები და საფუძვლად დაუდეს თავიანთ საქმიანობას მასებში რევოლუციური მუშაობის გაძლიერებისათვის.

1915 წლის სექტემბერში ვ. ი. ლენინის მეთაურობით ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე შეიქმნა მემარცხენე ჯგუფი. ამავე კონფერენციაზე მიღებულ იქნა მანიფესტი, რომელიც მიმართული იყო იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა ფაქტიურად ნიშნავდა ნაბიჯის გადადგმას ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან კავშირის გაწყვეტისაკენ. მაგრამ ამავე დროს ეს მანიფესტი არათანმიმდევრობით და არასაკმაო გაურკვევლობით ხასიათდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მასში „... შესაძლებელი გახდა რევოლუციური მარქსიზმის მთელი რიგი ძირითადი აზრების გატარება“.[11]

ციმერვალდის კონფერენციის მანიფესტი რუსეთის სხვა ორგანიზაციებთან ერთად მიიღეს ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა. 1916 წლის 10 იანვარს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის კრებაზე განიხილეს ეს მანიფესტი. მოხსენება გააკეთა ს. ქავთარაძემ. ამის შესახებ თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი აღნიშნავდა: 10 იანვარს, საღამოს 7 საათზე შედგა თბილისის კოლექტივის (ლაპარაკია თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელ კოლექტივზე — ს. ნ.) კრება, რომელზედაც იყო 11 კაცი...

[11] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 469.

სტუდენტმა სერგომ (ს. ქავთარაძე—ს. ნ.) წაიკითხა ციმერვალდის კონფერენციაზე მიღებული მოწოდება".[12] იმავე წლის თებერვალში თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის კრებაზე აღნიშნულ იქნა, რომ საჭიროა ციმერვალდის კონფერენციის რეზოლუციებისა და მანიფესტის დაბეჭდვა და გავრცელება[13]. რსდმპ კავკასიის ბიურომ მოწოდების სახით, თავის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდა ციმერვალდის კონფერენციის „მანიფესტი" სათაურით „ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენცია ციმერვალდში (შვეიცარია)". მოწოდება გავრცელდა მთელ ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გასწიეს 1916 წლის საპირველმაისო დღესასწაულის აღსანიშნავად. ამ დღისათვის რსდმპ კავკასიის ბიურომ დაბეჭდა პროკლამაცია: „ამხანაგო მუშებო!". პროკლამაციაში, რომელიც ქართულსა და რუსულ ენაზე დაიბეჭდა ცკ-ის ლენინური მანიფესტის „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატიას" სულისკვეთების საფუძველზე, ახსნილია ომის წარმოშობის ნამდვილი მიზეზები, რომ იგი წარმოებდა გაბატონებული კლასების ინტერესებისათვის. „ბურჟუაზიას სჭირდება ბაზრები, ნათქვამია პროკლამაციაში, სჭირდება ვეებერთელა ტერიტორიები თავის საქონლის გასასაღებლად. აი რისთვისაა ომი".[14]

რსდმპ კავკასიის ბიუროს მიერ გამოცემული პროკლამაცია პროლეტარიატს მოუწოდებდა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისაკენ, კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებისა და სოციალიზმის დამყარებისაკენ. „პირველი მაისი 1916 წელს, — აღნიშნულია პროკლამაციაში, — საუკეთესო მოწმეა ინტერნაციონალის გამაგრების საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, ამ დღეს, მიუხედავად ყოველი მხრიდან იარაღის ჟღარუნისა, ზარბაზნების გრუხუნისა და შოვინისტური ვაკხანალიისა, მედგრად გაისმის საერთაშორისო პროლეტარიატის ხმა: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!".[15]

პროკლამაცია „ამხანაგო მუშებო!" მთელს ამიერკავკასიაში გავრცელდა. „...ბაქოს ნავთობის მუშებს შორის,—აღნიშნავდა თავის მოხსენებაში ბაქოს გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, — მიმდინარე წლის მაისის პირველ რიცხვებში... გავრცელებულ იქნა „რსდმპ კავკასიის ბიუროს" (№ 7) მიერ გამოცემული მოწოდება".[16] ამ პროკლამაციის თბილისში გავრცელებაზე თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს ატყობინებდა: „...ბოლშევიკებმა 30 აპრილს თავისი ორგანიზაციის წევრებს შორის გაავრცელეს დაბეჭდილი მოწოდება რუსულ და ქართულ ენებზე".[17] პროკლამაცია გავრცელდა ქუთაისშიაც.

---

[12] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 13, აღწ. 27, დაცვ. ერთ. 3671, ფ. 20.

[13] იქვე, ფ. 41.

[14] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 153, აღწ. I, ს. 3076, ფ. 24.

[15] იქვე.

[16] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 13, აღწ. დაცვ. ერთ. 4344, ფ. 41.

[17] იქვე, ფონდი 13, აღწ. 27. დაცვ. ერთ. 4346, ფ. 8.

იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო პროკლამაციის გამოშვებამ შეა-შფოთა მენშევიკები. მათ შესძლეს დაეწვათ ამ პროკლამაციების ნაწილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხეს მისი მთლიანი განადგურება. „ჩვენი სტამბა (არალეგალური სტამბა—ს. ნ.) კარგად მუშაობს — წერდა კ. ცინცაძე მ. ცხაკაიასადმი 1916 წლის 7 მაისს გაგზავნილ წერილში,—შენ გაგიკვირდება, რომ შეგეძლოს მისი ნახვა... ჩვენ გამოვაცხვეთ ლავაშები (პროკლამაციები— ს. ნ.) დიდი რაოდენობით, მაგრამ აქაურმა კაცუნებმა (მენშევიკებმა — ს. ნ.) ერთი ნაწილი დასწვეს, მაგრამ ვერ შესძლეს სულ მოესპოთ“.[18]

საპირველმაისო პროკლამაციის გამოშვების შემდეგ 1916 წლის აგვისტოში დაპატიმრებული იქნა სტამბაში მომუშავე ბოლშევიკების ჯგუფი. მას დაემთხვა იმავე წლის 18 აგვისტოს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელი აქტივის დაპატიმრება. მაგრამ რეპრესიებმა ვერ გატეხეს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები. დაპატიმრებულთა ადგილას დგებოდნენ ახალი პარტიული მუშაკები და ბოლშევიკური ორგანიზაციები წარმატებით განაგრძობდნენ ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში ლენინური თეორიისა და ტაქტიკის ცხოვრებაში გატარებას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშების წარმომადგენლების მონაწილეობის წინააღმდეგ, აქ, ისევე როგორც მთელ რუსეთში, შექმნილი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები იყვნენ ბურჟუაზიის მებრძოლი ორგანიზაციები და არა „მთელი ხალხის საზოგადოებრივი ორგანიზაციები“, როგორც ამას მათ ბურჟუაზიული პრესა უწოდებდა. ამას ნათლად ადასტურებს ამიერკავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების შემადგენლობის ანალიზი (1916 წლს მონაცემები). ამ კომიტეტში შემავალ 181 კაციდან 65 (35,9%) იყო სამრეწველო წრეების წარმომადგენელი, 35 (18,49%)—ტექნიკური ინტელიგენციის, 30 (16,6%)—მთავრობის დაწესებულებების, 19 (10,5%)—ბურჟუაზიული, ე. წ. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების“, 19 (10,5%)—ექიმების, იურისტების, სასულიერო წოდების და სხვ. 12 (6,6%)— კოოპერაციული ამხანაგობების და 1 (0,5%)—ოსტატების წარმომადგენლები.[19]

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ორგანიზაციებიც იყვნენ. მართალია, ამ კომიტეტებში შემავალი ბურჟუაზიის წარმომადგენლები მათი შექმნის დასაწყისიდანვე ამას გულმოდგინედ ფარავდნენ, მაგრამ მალე ისინი აშკარად გამოვიდნენ მეფის მთავრობის კრიტიკით, მოითხოვდნენ რა მისგან პოლიტიკურ დათმობებს. რუსეთის ბურჟუაზია თვლიდა, რომ რევოლუციის თავიდან აცილებისა და ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანისათვის საჭირო იყო მეფის მთავრობის მიერ მოქნილი პოლიტიკის

[18] ЦПА ИМЛ, ф. 157, оп. 2, д. 50, л. 4—6.

[19] ЦГИАЛ, ф. 32, д. 2230, л. 15—19, 22—23.

გატარება· მშრომელი მასების რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ მკაცრ რეპრესიებთან ერთად, მათი მოტყუებისა და კლასობრივი ბრძოლის დაჩლუნგების პოლიტიკა. მაგრამ როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა [illegible] ასეთი მოქნილი პოლიტიკის გატარება შეეძლო მხოლოდ იმ მთავრობას, [illegible] საც მხარს დაუჭერდა „საზოგადოებრიობა“ (ბურჟუაზია—ს. ნ.), აქედან ნათელია, რომ ბურჟუაზია თავისთვის ადგილს ითხოვდა მთავრობაში.

მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა ბურჟუაზიის ოპოზიცია მეფის მთავრობისადმი, მაგრამ მისი მიზანი იყო არა მეფის მთავრობის დამხობა, არამედ შენარჩუნება, მუშათა კლასის ჩამოშორება რევოლუციისაგან, მისი თავიდან აცილება და ძალაუფლების განაწილება მეფის მთავრობასთან. „... კადეტები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ოქტიაბრისტებთან ერთად ღალატობდნენ დემოკრატიას და „მიდიოდნენ“ მეფისა და მემამულეების დასახმარებლად. რუსეთის რევოლუციის „ლიბერალური“ ხაზი ის იყო, რომ მასების ბრძოლა „დაეშოშმინებინა“ და დაექსაქსა, რათა ბურჟუაზია შერიგებოდა მონარქიას“.[20]

რუსეთის იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ გამოიგონა „მუშათა ჯგუფების“ მოწყობა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებთან· მისთვის ხელსაყრელი იყო ამ ჯგუფებში მუშათა წარმომადგენლების ჩაბმა, რომლებიც აგიტაციას გასწევდნენ მუშებს შორის შრომისნაყოფიერების გადიდებისათვის ომისათვის მომუშავე ფაბრიკებსა და ქარხნებში. „მუშათა ჯგუფების“ საშუალებით ბურჟუაზიას უნდოდა მიეღწია „სოციალური ზავისათვის“ შრომასა და კაპიტალს შორის და ამ გზით თავიდან აეცილებინა მოახლოებული რევოლუცია.

ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებს. „ჩვენ წინააღმდეგი ვართ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობისა,—აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი 1915 წლის ოქტომბერში,—რომლებიც ხელს უწყობენ იმპერიალისტური, რეაქციული ომების წარმოებას. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია საარჩევნო კამპანიის გამოყენება, მაგალითად, მონაწილეობა არჩევნების პირველ სტადიაში მ ხ ო ლ ო დ ს ა ა გ ი ტ ა ც ი ო დ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი მ ი ზ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“[21]. ბოლშევიკების მიერ მუშათა შორის გაწეული მუშაობის შედეგად საოლქო და ადგილობრივი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების საერთო რიცხვიდან (239) არჩევნები ჩატარდა 70 კომიტეტში, მუშათა წარმომადგენლები კი არჩეული იქნენ მხოლოდ 36 კომიტეტში.

ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი რუსეთის მენშევიკებმა, მოიწონეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებისა და მათთან „მუშათა ჯგუფების“ შექმნის იდეა. მათ თავის 1915 წლის ოქტომბრის კონფერენციაზე მხარი დაუჭირეს ამ კომიტეტებში მონაწილეობას· ამიტომ იყო, რომ თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამრეწველო უფროსი კმაყოფილებით ატყობინებდა პოლიციის დეპარტა-

---

[20] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 509—510.

[21] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 491.

მენტს, რომ „თავდაცვის იდეამ, რომელსაც იცავს ანი (ნ. ჟორდანია — ს. ჩ.) გამარჯვება, რის დადასტურებას წარმოადგენს თათბირის გადაწყვეტილება მონაწილეობა მიიღონ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში“.[22]

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა რსდმპ კავკასიის ბიუროს მეთაურობით თავიდანვე სწორი, ლენინური პოზიცია დაიკავეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებსა და მათთან შექმნილი „მუშათა ჯგუფის“ მიმართ. მათ თავიანთ 1915 წლის თათბირზე აქტიური ბოიკოტის პოზიცია დაიჭირეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების „მუშათა ჯგუფებისადმი“. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები შესაძლოდ თვლიდნენ „მუშათა ჯგუფების“ არჩევნების პირველ სტადიაში მონაწილეობას საგიტაციო და ორგანიზაციული მიზნებისათვის. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს რწმუნებულების ასარჩევი კრებები, რომლებიც ტარდებოდა ფაბრიკებსა და ქარხნებში, გამოეყენებინათ იმისათვის, რომ განემარტათ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშების მონაწილეობის დაუშვებლობა, ამავე დროს ისინი მოითხოვდნენ ,რომ ადმინისტრაციასა და პოლიციის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები არ დასწრებოდნენ ამ კრებებს. ეს ბოლშევიკებს საშუალებას მისცემდა, მუშებს შორის ეწარმოებინათ თავისუფალი აგიტაცია. ამას ადასტურებს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის 1916 წლის 2 აპრილის მოხსენება, სადაც ნათქვამია, რომ „ამასთან გადაწყდა ეშუამდგომლათ იმაზე, რომ პოლიცა არ დასწრებოდა ამ კრებებზე, რადგან ისინი ხელს შეუშლიდნენ თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმას, გადაწყდა ასევე, რომ ბოლშევიკებმა არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმიტომ, რომ არჩევნების შემდეგ კომიტეტებში გამოცხადებისას განაცხადონ ის ძირითადი, რის გამოც მათ, სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ კომიტეტებში მონაწილეობის მიღება“.[23]

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა თავის კრებებზე არაერთხელ განიხილეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებთან „მუშათა ჯგუფების“ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები და ისინი მტკიცედ ატარებდნენ ცხოვრებაში ამ არჩევნებისადმი დამოკიდებულების ლენინურ ტაქტიკას. იმისათვის, რომ ხელმძღვანელობის გარეშე დაეტოვებინა მუშათა მოძრაობა ამიერკავკასიაში, პოლიციამ 1916 წლის 19-დან 20 თებერვლის ღამეს დააპატიმრა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიური მოღვაწეები. ცოტა ხნის შემდეგ 1915 წლის 7 მარტს გროზნოში დააპატიმრეს ს. შაუმიანი და ბაქოში ჩამოიყვანეს. შემდეგ იმავე წლის 2 დეკემბერს სარატოვში გადაასახლეს.

ამ რეპრესიების საპასუხოდ დაპატიმრებას გადარჩენილმა ბოლშევიკებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა „მუშათა ჯგუფების“ არჩევნებისადმი ლენინური ტაქტიკის გასატარებლად. ამან თავისი შედეგი გამოიღო. ბაქოს ქალაქის სამმართველოს მუშების ამრჩევთა საოლქო კრებაზე, რომელიც შედგა 1916 წლის 28 თებერვალს. ბაქოს ნავთობის მრეწველობის რაიონის მუშების წარმომადგენლებმა გადაჭრით დაგმეს ეს უკანონო არჩევნები, კატეგორიულად უარი თქვეს გაეგზავნათ თავისი წარმომადგენლები ბაქოს საოლქო და ადგილობრივ

4

[22] ЦГИАМ, ф. ДП, 00, 1915; д. 5, ч. 79, лит. «Б», л. 5.

[23] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 13, აღწ. 27, დაცვ. ერთ. 3671. ფ. 41.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში და დემონსტრაციულად დატოვეს კრება, რითაც ჩაშალეს „მუშათა ჯგუფების“ არჩევნები ამ კომიტეტებში.[24]

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია ასევე წარმატებით ასრულებდა „მუშათა ჯგუფებისადმი“ დამოკიდებულების ლენინურ ტაქტიკას. „ამ წლის მარტის პირველ რიცხვებში, — იტყობინებოდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, — ცნობილი გახდა, რომ ამ თვის განმავლობაში საფაბრიკო-საქარხნო დაწესებულებებში და ქ. თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში ჩატარდება წინასაარჩევნო და საარჩევნო კრებები მუშებისაგან სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში 6 დელეგატის ასარჩევად... ბოლშევიკებმა მუშებს შორის თავის ცალკეული წევრების საშუალებით იწყეს აგიტაცია ამ არჩევნების ჩასაშლელად...“[25]

1916 წლის 14 აპრილს ამიერკავკასიის ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის „მუშათა ჯგუფის“ 6 წევრის საარჩევნო კრებაზე, რომელიც ქ. თბილისში გაიმართა, ამრჩევთა უმრავლესობამ ბოლშევიკებს დაუჭირა მხარი. კრებაზე გამოსულებმა მოითხოვეს პოლიციის წარმომადგენლების გაძევება და მკაცრად გააკრიტიკეს არჩევნების შედეგები. კრებაზე წარმოდგენილი იყო რეზოლუციის ორი პროექტი — ბოლშევიკებისა და მენშევიკებისა. მენშევიკების პროექტი შესაძლოდ თვლიდა მუშების მონაწილეობას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში და წინადადებას იძლეოდა მათ აერჩიათ მუშათა ჯგუფები“.

ბოლშევიკების მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტში ნათქვამი იყო: „მიიღო რა მხედველობაში, რომ მმართველი წრეები მუშებს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში იწვევენ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხალხს დააკისრონ პასუხისმგებლობა მთავრობის ახლანდელი პოლიტიკისათვის და აიმაღლონ პრესტიჟი როგორც საკუთარი ქვეყნის წინაშე, ისე საზღვარგარეთ, რითაც ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს მუშებიც მხარს უჭერენ მთავრობისა და ბურჟუაზიის პოლიტიკას, რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობამ უარი თქვა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობაზე და თითქმის მხოლოდ ობორონცებმა, რომლებმაც დისციპლინა დაარღვიეს, მოახდინეს არჩევნები. ამგვარად, უარყოფითად ვეკიდებით რა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობას, ჩვენ მოვითხოვთ საკითხის ფართოდ გაშუქების მიზნით, მოეწყოს ახალი ფართო წინასაარჩევნო კრებები, მაგრამ უკვე ისე, რომ მონაწილეობას არ იღებდნენ პოლიცია და ადმინისტრაცია, იმ პირობით, რომ არჩევნებს ხელმძღვანელობდეს ჩვენ მიერ გამოყოფილი კომისია“.[26]

კრებამ მხარი დაუჭირა ბოლშევიკების რეზოლუციას. 1916 წლის 14 აპრილს წინასაარჩევნო კრებამ დაადგინა: 1. უარი ეთქვათ კომიტეტში 6 წარმომადგენლის არჩევაზე. 2. მოვითხოვოთ განმეორებითი არჩევნების დანიშვნა და

---

24 Газ. «Кавказская копейка», № 66, 1916.

25 საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 13, აღწ. 27, დაცვ. ერთ. 3671, ფ. 46.

26 იქვე, ფ. 46—48.

3. გამოვცხადდეთ საარჩევნო კრებაზე 15 აპრილს".[27] ჟანდარმერიის მხედველობიდან არ გამორჩენია წინასაარჩევნო კრებაზე ბოლშევიკების წარმატება. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თავის მოხსენებაში წერდა: „ბოლშევიკებმა განაცხადეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობაზე თავისი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ და მოითხოვდნენ, რომ ეს საკითხი გადასაწყვეტად ფართო მასებს გადასცემოდათ, რომელი მიზნისათვისაც საჭიროდ თვლიდნენ ახალი ფართო წინასაარჩევნო კრებების მოწყობას, პოლიციისა და ადმინისტრაციის მონაწილეობის გარეშე, რათა არჩევნებისათვის ეხელმძღვანელა მუშათა არჩევით კომისიას".[28]

თბილისელი მუშები მართლაც გამოცხადდნენ ახლად დანიშნულ წინასაარჩევნო კრებაზე 15 აპრილს და წარმატებით განახორციელეს წარმომადგენლების არჩევის ბოიკოტი. კრებაზე მოსულმა მუშებმა შეასრულეს არჩევნების ყველა ფორმალური მხარე და ხმების უმრავლესობით გააშავეს ყველა კანდიდატი. ახალი არჩევნები აღარ დანიშნულა.

ამიერკავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის „მუშათა ჯგუფის" საარჩევნო კრებაზე, რომელიც შედგა 1916 წლის 15 აპრილს ბაქოელი ბოლშევიკების გავლენით ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა ბურჟუაზიისა და სოციალ-შოვინისტების მიერ დანიშნულ კანდიდატების წინააღმდეგ და ჩაშალა „მუშათა ჯგუფის" არჩევნები.

ამ მდგომარეობამ შეაშფოთა არა მარტო ადგილობრივი ბურჟუაზია, არამედ ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის გვოზდევის „მუშათა ჯგუფი", რომელმაც თბილისში გამოგზავნა თავისი წევრი სოციალ-შოვინისტი ემელიანოვი. მან ამიერკავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სხდომაზე 1916 წლის 16 აგვისტოს განაცხადა, რომ შეცდომად მიაჩნია თბილისის გუბერნიის მუშების მხრივ უარის თქმა ამიერკავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში თავისი წარმომადგენლების არჩევაზე.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის „მუშათა ჯგუფის" არჩევნები აღარ დაუნიშნავთ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ მუშების უმრავლესობა ბურჟუაზიასა და შოვინისტებს ამჯერადაც არ დაუჭერდა მხარს. ბურჟუაზიული გაზეთი „რუსკიე ვედომოსტიც" კი იძულებული იყო ელიარებინა ეს: „კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში დაყენებულია საკითხი „მუშათა ჯგუფის" გაუქმების შესახებ, მუშების მიერ კომიტეტში თავისი წარმომადგენლების არჩევაზე უარის თქმის გამო".[29]

ბაქოელმა კაპიტალისტებმა სოციალ-შოვინისტების მხარდაჭერით სცადეს ბაქოს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან შეექმნათ „მუშათა ჯგუფი". ამისათვის მათ 1916 წლის 13 ნოემბერს დანიშნეს ამრჩევთა მეორე საერთო-საქალაქო კრება; ისინი არჩეულები იყვნენ ჯერ კიდევ თებერვალში. კრების ჩატარების დროისათვის დაპატიმრებას გადარჩენილმა ბოლშევიკებმა შეძლეს აღედგი-

[27] საქართველოს სსრ ცსა, ფონდი, 13, აღწ. 27, დაცვ. ერთ. 3671, ფ. 46 — 48.

[28] იქვე, ფ. 46.

[29] Газ. «Русские ведомости», № 33, 1916.

ნათ ბაქოს კომიტეტი. 1916 წლის 5 ნოემბერს ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზა-
ციამ განიხილა საყოველთაო გაფიცვის მომზადებისა და საოლქო სამხედრო-
სამრეწველო კომიტეტის ბოიკოტის საკითხი. კრებაზე გადაწყდა შემუშავებული-
ყო მუშათა ამრჩევების კრების ახალი რეზოლუცია“[30].

ბიბლიოთეკა

1916 წლის 12 ნოემბერს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ბაქოს ნავთობის მრეწველობის 45 ფირმის მუშების წარმომადგენლების კრება, რომელზედაც განხილულ იქნა მუშა ამრჩევების ახალი რეზოლუციის პროექტი. მასში ნათქვამია: „ვცნობთ რა, რომ... თვით სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების არსებობა განისაზღვრება ომის მოთხოვნების მომსახურებით და ბურჟუაზიის იმპერიალისტური მისწრაფებების მხარდაჭერით, რაც შეუთავსებელია პროლეტარიატის ინტერესებთან, მის ბრძოლასთან საბოლოო მიზნისათვის და რომ სხვა ქალაქების სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების „მუშათა ჯგუფების მთელ წარსულ მოღვაწეობას მხოლოდ ზიანი მოჰქონდა პროლეტარიატის ინტერესებისათვის და მთლიანად მთელი ქვეყნისათვის... ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ამრჩევთა კრებას უარი თქვას სამხედრო სამრეწველო კომიტეტში წარმომადგენლების არჩევაზე“.[31]

1916 წლის 13 ნოემბერს შედგა ამრჩევთა მეორე საერთო საქალაქო კრება. მუშათა წარმომადგენლების უმრავლესობამ ზუსტად შეასრულა ბოლშევიკების რეზოლუციის მოთხოვნები. 250 ამრჩევიდან აღნიშნულ კრებაზე გამოცხადდა 63 კაცი, ე. ი. ამრჩევთა 25,2 პროცენტი. კრების მუშაობაში კი მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 39 კაცმა (15,6%), დანარჩენებმა პროტესტი განაცხადეს კრების უკანონობის გამო და დატოვეს ის. მიუხედავად ამისა, კრების ორგანიზატორებმა ჩაატარეს ფალსიფიცირებული არჩევნები და ბაქოს საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში გაგზავნეს თავისი მომხრეები. ამიერკავკასიის ბურჟუაზიამ და სოციალ-შოვინისტებმა ცოტა უფრო ადრე, 1916 წლის 3 ივლისს, ასევე შესძლეს ბათუმის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან „მუშათა ჯგუფის“ შექმნა. ამრიგად, მთელ ამიერკავკასიაში მხოლოდ ორ (ბათუმი, ბაქო) სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან შეიქმნა „მუშათა ჯგუფი“ და ისიც არჩევნების აშკარად ფალსიფიკაციის გზით.

ამგვარად, ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის „კლასობრივი ზავის“ იდეა „მუშათა ჯგუფების“ შექმნის საშუალებით არსებითად შეუძლებელი გახდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც ცხოვრებაში ატარებდნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებისადმი დამოკიდებულების ლენინურ ტაქტიკას, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ემხილებინათ მენშევიკების გამცემლური პოლიტიკა და მასებისათვის განემარტათ პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტური, მტაცებლური ხასიათი. ენერგიული ბრძოლით ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა შესძლეს ჩაეშალათ მენშევიკების ყველა ცდა, რომელიც მიმართული იყო ბურჟუაზიის გავლენისაგან მუშათა კლასის დამორჩილებისაკენ და დაერწმუნებინათ მუშები, რომ სამხედრო-სამრეწველო კომი-

---

30 საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 13, აღწ. 27, ს. 4484, ფ. 137.

31 იქვე.

ტეტების შექმნას და მათ მოღვაწეობას არაფერი საერთო არ ჰქონდა მუშათა კლასის ინტერესებთან.[32]

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები პირველი მსოფლიო ომის წლებში სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდნენ მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებში მუშაობას. მათ დიდი მუშაობა გააჩაღეს თავიანთ მხარეზე მუშათა პროფკავშირების დასარაზმავად. ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწეოდა ისეთი ლეგალური პროფესიული კავშირის გამოცოცხლებისა და გაფართოებისათვის, როგორიც იყო მკერავთა, მბეჭდავთა და კანტორის მუშაკთა კავშირები. რსდმპ ბაქოს ორგანიზაცია ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა ნავთობის მრეწველობის მუშების კავშირის აღსადგენად. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ 1914 წლის ბოლოდან არსებული ოფიციანტთა და ფარმაცევტთა არალეგალური კავშირები და შემდეგ შექმნილი კვების მრეწველობის მუშაკთა, მეთუთუხჩეთა და სხვა პროფესიული კავშირები. ბოლშევიკების გავლენა ვრცელდებოდა ასევე მელითონეთა კავშირზე, რომელიც 700 კაცს აერთიანებდა.

ბოლშევიკური ორგანიზაციები მასებში რევოლუციური მუშაობის წარმოებისათვის მოხერხებულად იყენებდნენ ისეთ ლეგალურ ორგანიზაციებს, როგორიც იყო „ლტოლვილებისათვის დახმარების კომიტეტები". „ეროვნება და განურჩევლად ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის" საშუალებით ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია ფართო რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა მუშათა მასებში. კომიტეტის ღონისძიებათა გატარების საბაბით ბოლშევიკები მუშებისათვის აწყობდნენ პოლიტიკურ ლექციებს, ატარებდნენ კრებებს. „ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი" და რაიონში მისი განყოფილებები მუშათა მასებში ბოლშევიკების დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს სიძვირის სწრაფი ზრდის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა კოოპერაციის პოპულარობა. კოოპერატივებში შედიოდნენ მუშები, ქალაქის წვრილბურჟუაზია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მოხერხებულად იყენებდნენ კოოპერაციულ მოძრაობას მასებს შორის რევოლუციური აგიტაციის საწარმოებლად. ბოლშევიკები კარგად იყენებდნენ კოოპერატივებს, არა მარტო როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის ფორმას და დემოკრატიული ფენების გაერთიანების საშუალებას, არამედ ასევე არალეგალური რევოლუციური მუშაობისათვის.

მუშებს შორის რევოლუციური მუშაობისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მოხერხებულად იყენებდნენ მუშათა კლუბებს, სახალხო უნივერსიტეტებს, საავადმყოფოს, სალაროებს, ქალაქების კავშირებს და სხვ. ლეგალურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. მუშათა კლუბების გამგეობების სხდომებს ბოლშევიკები იყენებდნენ პარტიული პროპაგანდისა და საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად. სახალხო უნივერსიტეტებში ბოლშევიკები თავს უყრიდნენ მოწინავე მუშებს, აწყობდნენ მათთვის ლექციებს პოლიტიკურ თემებზე, მათ შორის ეწეოდნენ რევოლუციურ მუშაობას.

---

[32] ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები 1972, გვ. 352.

ბოლშევიკები ასევე წარმატებით იყენებდნენ „ქალაქების კავშირის“ ჯარისკა-ცებს შორის პროკლამაციების გასავრცელებლად და რევოლუციური აგიტაციის საწარმოებლად. ამ კავშირის საკონტროლო განყოფილებაში 9 მოს[illegible] 7 ბოლშევიკი იყო. დიდ მუშაობას ეწეოდა დაჭრილ და ავადმყოფ[illegible] შორის თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია.

მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმატებით მუშაობაზე ს. შაუმიანი ვ. ი. ლენინს ატყობინებდა: „... ლეგალურ ორგანიზაციებში: 1. მკერავების კავშირი, 2. მბეჭდავთა კავშირი, 3. კანტორის მოსამსახურეთა კავშირი, 4. დაახლოებით 15 კოოპერატივში, 5. ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც თავისთან აწყობს შრომის ბირჟას და სხვ., მიმდინარეობს გვარიანი მუშაობა. ყველგან ყველაზე გავლენიანი ჩვენი მეგობრებია“.[33]

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მოხერხებულად ახამებდნენ არალეგალურ და ლეგალურ მოღვაწეობას. ომის მიერ შექმნილი მძიმე პირობების მიუხედავად, ისინი თავის მუშაობაში წარმატებით ხელმძღვანელობდნენ ლენინური დებულებებით ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე.

С. НАСАРИДЗЕ

## БОРЬБА БОЛЬШЕВИСТСКИХ ОРГАНИЗАЦИЙ ЗАКАВКАЗЬЯ ЗА ЛЕНИНСКУЮ ТЕОРИЮ И ТАКТИКУ ПО ВОПРОСАМ ВОЙНЫ, МИРА И РЕВОЛЮЦИИ


### Резюме

Большевистские организации Закавказья заняли правильную, ленинскую позицию к первой мировой империалистической войне. Несмотря на тяжелые условия большевистские организации края проводили активную работу по сплочению рабочих и разъясняли им истинные цели войны. Эти организации горячо поддерживали манифест ЦК РСДРП «Война и российская социал-демократия» и всячески старались провести в жизнь его основные положения. Для дальнейшей работы и сплочения большевистских организаций большое значение имело совещание кавказских организаций РСДРП в октябре 1915 года.

Большевистские организации Закавказья развернули энергичную работу против участия рабочих в военно-промышленные комитеты. Они объявили активный бойкот этим комитетам. После упорной борьбы в этом направлении буржуазии и социал-шовинистам почти не удалось создать в


[33] С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. I, 1957, стр. 499.

Закавказье «рабочих групп» при военно-промышленных комитетах. Закавкзсакие большевистские организации вели большую работу для завоевания легальных возможностей. Эти организации умело сочетали легальную и нелегальную работу для проведения в жизнь основных положений ленинской теории по вопросам войны, мира и революции, подготовки Заказказского пролетариата к революции.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. ბ. კაპანაძე

# მარქსიზმ-ლენინიზმი კულტურული რევოლუციის ძირითადი თავისებურებების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმი კულტურულ რევოლუციას განიხილავს, როგორც სოციალისტური მშენებლობის შემადგენელ ნაწილს. იგი სოციალისტური საზოგადოების აშენების ისეთივე აუცილებელი პირობაა, როგორც ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. კულტურული რევოლუციის მსვლელობაში ხორციელდება ხალხთა მშრომელი მასების მიერ წარსულის კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება და ახალი სოციალისტური კულტურის ფორმირება.

მშრომელთა შეგნებულობის ძირეული გარდაქმნა და კულტურული რევოლუციის განხორციელება ეს სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის აუცილებელი პირობაა, რომელიც ქმნის ახალი საზოგადოების აუცილებელ სულიერ წინამძღვრებს. ძირეული კულტურული გარდაქმნების განხორციელებისა და ხალხის მასების კულტურის ამაღლების გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს სოციალისტური მშენებლობის ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, როგორიცაა: ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია და სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, ეკონომიკის მართვა-გამგეობა, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, კაპიტალიზმთან შედარებით უფრო მაღალი შრომისნაყოფიერების მიღწევა, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა, ქალთა საკითხის გადაწყვეტა, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის და ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა და ა. შ.

კულტურული რევოლუციის ძირითად ამოცანებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ხალხის ფართო მასების განათლება.

კულტურული განვითარების დონის მხრივ ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორსაც წარმოადგენდა რევოლუციამდელი რუსეთი, ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციით.

ანალიზს უკეთებდა რა რევოლუციამდელი რუსეთის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას, ვ. ი .ლენინი სტატიაში „სახალხო განათლების სამინისტროს პო-

ლიტიკის საკითხისათვის“ წერდა: „ასეთი ველური ქვეყანა, სადაც ხალხის მასა ამდენად გ ა ძ ა რ ც უ ლ ი იყოს განათლების, სინათლისა და ცოდნის მხრივ, — ასეთი ქვეყანა ევროპაში არცერთი არ დარჩენილა, გარდა რუსეთისა“.[1]

თვით მეფის მთავრობის ოფიციალური ორგანო „ეჟეგოდნიკ როსსიი“ აღიარებდა, რომ რუსეთში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ 21%-ს, ხოლო სკოლამდელი ასაკის ბავშვთა გამოკლებით — 27%-ს, მაშინ, როცა ცივილიზებულ ქვეყნებში წერა-კითხვის უცოდინარი ან სულ არ იყო, როგორც მაგალითად შვეციასა და დანიაში, ან წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის მხოლოდ 1—2%-ს, როგორც, მაგალითად, შვეიცარიასა და გერმანიაში. სხვა ცივილიზებულ ქვეყნებთან შედარებით კულტურული განვითარების დონის მხრივ ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებშიაც კი, როგორიც იყო ავსტრია-უნგრეთი, სლავური მოსახლეობისათვის შექმნილი იყო შედარებით უფრო მაღალი კულტურული ცხოვრების პირობები, ვიდრე თვითმპყრობელურ რუსეთში. ავსტრიაში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი შეადგენდა 39%-ს, უნგრეთში — 50%-ს. ამერიკაში წერა-კითხვის უცოდინარი იყო 11%-მდე, ზანგებში კი — 44%, ე. ი. ამერიკელი ზანგები 2-ჯერ უფრო კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ განათლების მხრივ, ვიდრე რუსეთის მოსახლეობა.[2]

ოქტომბრის რევოლუციის წინ მთელს რუსეთში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი შეადგენდა 9 წლის ასაკზე ზევით მოსახლეობის 70%-ზე მეტს. უფრო ცუდი სურათი იყო სოფლად. აქ წერა-კითხვის უცოდინარი იყო 93%. კიდევ უფრო მეტი სიბნელე და უმეცრება სუფევდა მეფის რუსეთის განაპირა მხარეებში, სადაც ხალხის მასები ცარიზმის კოლონიზატორული უღლის ქვეშ გმინავდნენ. ყირგიზთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის მხოლოდ 0,6%-ს, ტაჯიკთა შორის — 0,5%-ს, თურქმენთა შორის — 0,7%-ს, უზბეკთა შორის — 2,1%-ს. სხვა განაპირა მხარეებთან და თვით რუსეთის იმპერიასთან შედარებით ცოტა უკეთესი მდგომარეობა იყო საქართველოში. 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით, საქართველოში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის 23,6%-ს, აქედან ქალაქის მოსახლეობაში 56,5%-ს, ხოლო სოფლის მოსახლეობაში 15,6%[3].

თითქმის იგივე მდგომარეობა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ.

კულტურული რევოლუციის მეორე უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, ახალი, სოციალისტური ინტელიგენციის ჩამოყალიბება. ამის გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლება სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე, ქვეყნის მართვის სწორი ორგანიზაციის მოწყობასა და კულტურის საერთო განვითარებაზე.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში საბჭოთა სა-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 148—149.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 150—151.

3 საბჭოთა საქართველოს 50 წელი. სტატ. კრებული, თბ., 1971 გვ. 292.

ხელმწიფოს არ გააჩნდა სოციალიზმის საქმისადმი ერთგული საკუთარი კადრების საკმაო რაოდენობა. ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მართვის ორგანიზაციის ამოცანა მოითხოვდა მუშათა კლასს თავის მხარეზე გადაეყვანა და სოციალისტური მშენებლობის სამსახურში ჩაეყენებინა ძველი ინტელიგენციის ფართო ფენები.

კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს მშრომელი გლეხობის კულტურისა და შეგნებულობის ამაღლება, რომელიც საშუალებას მისცემს მას შეიგნოს სოფლად მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა, გადაიყვანოს თავისი მეურნეობა კოლექტივიზმის რელსებზე, აითვისოს და გამოიყენოს უახლესი მანქანური ტექნიკა სოფლის მეურნეობაში.

„კულტურული მუშაობა გლეხობაში, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ისახავს, როგორც ეკონომიურ მიზანს, სწორედ კოოპერირებას. კოოპერირება რომ სავსებით განხორციელებული იყოს, ჩვენ ორივე ფეხით უკვე სოციალისტურ ნიადაგზე ვიდგომებოდით. მაგრამ სრული კოოპერირების ეს პირობა გულისხმობს გლეხობის (სწორედ გლეხობის, როგორც უდიდესი მასის) ისეთ კულტურულობას, რომ ეს სრული კოოპერირება შეუძლებელია, თუ მთელი კულტურული რევოლუცია არ მოხდა“.[4]

სოფლის ჩამორჩენა ქალაქისაგან ეკონომიური და კულტურული დონის მხრივ და მათი ანტაგონისტური დაპირისპირება დამახასიათებელია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, ხოლო სოფლის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა და ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირების ლიკვიდაცია სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ცნობილია, რომ სოციალისტური იდეების, კერძოდ კოლექტივიზაციის იდეის შეტანა გლეხთა მასებში უფრო ძნელი ამოცანაა, ვიდრე სოციალისტური იდეების შეტანა მუშათა კლასში. მუშათა კლასის ცხოვრების პირობები, როგორც ისეთი კლასისა, რომელიც მოკლებულია წარმოების საშუალებებს და ექსპლუატირებულია, აიძულებს მას მოსპოს კაპიტალისტური წესები. მუშათა კლასი დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების უფრო მაღალ ფორმასთან — მრეწველობასთან. მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობას შეესაბამება სოციალისტური იდეოლოგია და ამიტომ იგი სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისაკენ. იგი თავისი ობიექტური მდგომარეობით მომზადებულია სოციალიზმის იდეებისა და თეორიების ასათვისებლად. გლეხობა კი თავისი ბუნებით არასოციალისტურია, ის ცდილობს კერძო საკუთრების შენარჩუნებას, იგი გამსჭვალულია წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობით, მასში ძლიერადაა შემონახული წვრილმესაკუთრული ფსიქოლოგია. მაგრამ მეორე მხრივ, მშრომელი გლეხობა დაინტერესებულია იმით, რომ თავი დააღწიოს მემამულისა და კულაკის მხრივ ექსპლუატაციას, რაც აახლოებს მას მუშათა კლასთან, ხდის მას მუშათა კლასის ისეთ მოკავშირედ, რომელსაც უნარი შესწევს აითვისოს სოციალიზმის იდეები.

---

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 560.

წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ძირითადი იდეა და სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის ჩაბმის გზების შესახებ ზოგადი მითითებანი მოგვცეს ჯერ კიდევ მარქსმა და ენგელსმა. „... როცა ჩვენ სახელმწიფო ძალაუფლებას დავიპყრობთ, — წერდა ენგელსი, — ჩვენ არ ვიფიქრებთ იმაზე, რომ ძალით მოვახდინოთ წვრილი გლეხის ექსპროპრიაცია (სულერთია, ანაზღაურებით, თუ უამისოდ), როგორც ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვახდინოთ ეს მსხვილი მიწათმფლობელობის მიმართ. ჩვენი ამოცანა წვრილგლეხობის მიმართ უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო მფლობელობა საამხანაგო გავხადოთ, მაგრამ არა ძალით, არამედ მაგალითით, და ამ მიზნით საზოგადოებრივი დახმარების შეთავაზებით“.[5]

მარქსისა და ენგელსის ზოგადი დებულებები გლეხურ მეურნეობათა სოციალისტური გარდაქმნის შესახებ ყოველმხრივ დაამუშავა და შემდგომ განავითარა ვ. ი. ლენინმა. გლეხობის სოციალისტური აღზრდის საქმეში ვ. ი. ლენინი უდიდეს როლს აკუთვნებდა მუშათა კლასს. სწორედ მუშათა კლასის დახმარებით, მუშათა და გლეხთა კავშირის ყოველმხრივი განმტკიცებით უნდა განხორციელებულიყო სოფლის სოციალისტური გარდაქმნისა და გლეხთა მასების აღზრდის რთული ამოცანა.

კულტურული რევოლუციის განხორციელების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქალის მდგომარეობის ძირეული შეცვლა, მისი სრული ემანსიპაცია მამაკაცთან. არ შეიძლება სოციალიზმის წარმატებით აშენება, თუ ამ საქმეში ჩაბმული არ იქნება ქალი, როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ბოლო მოეღება ქალის კულტურულ ჩამორჩენილობას, რაც კაპიტალისტური საზოგადოების მემკვიდრეობას წარმოადგენს „ქალები კაპიტალიზმის დროს,— ამბობდა ლენინი, — ორმაგად არიან დაჩაგრულნი. მუშა და გლეხი ქალები დაჩაგრულნი არიან კაპიტალის მიერ და, გარდა ამისა, ისინი ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი რჩებიან, ჯერ ერთი, არასრულთანასწორუფლებიანნი, ვინაიდან მამაკაცთან თანასწორობას კანონი მათ არ ანიჭებს, მეორეც — და ეს მთავარია — ისინი რჩებიან „ოჯახურ მონობაში“, „ოჯახის მონებად“, რამდენადაც დაბეჩავებულნი არიან მეურნეობის ყოვლად წვრილმანი, ყოვლად შავი, ყოვლად მძიმე, ადამიანის ყოვლად გამომაყეყეჩებელი მუშაობით სამზარეულოში და საერთოდ ცალკეულ საშინაო-საოჯახო მეურნეობაში“[6].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე გაუქმებულ იქნა ყველა კანონი, რომელიც ქალს მამაკაცთან შედარებით არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში აყენებდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას, განათლების მიღების საქმეში ქალთა სრულ გათანასწორებას მამაკაცთან. ქალთა კულტურული დონის ამაღლებისა და სამეურნეო, პოლიტიკური და კულტუ-

[5] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. 2 ტომად, ტ. 2, თბ., 1950, გვ. 524.

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 191—192.

რული მშენებლობის საქმეში აქტიურად ჩაბმის უმნიშვნელოვანეს ღონის-ძიებებად მიჩნეული იქნა საბავშვო დაწესებულებების (საბავშვო ბაღები, ბაგები და სახლები) ფართო ქსელის შექმნა, საზოგადოებრივი სასადილოების, სამრე-ცხაოებებისა და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა თანდათანობითი შექმნა და განვითარება.

კულტურული რევოლუცია ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეროვნული საკითხის წარმატებით გადაწყვეტისათვის. ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის არ კმარა მხოლოდ უფლებრივი გათანასწორება. ამასთან ერთად საჭიროა ერთა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კულტურული განვითარების სფეროში. თუ ერთა შორის უფლებრივი თანასწორობის მიღწევა შეიძლება შედარებით იოლად, საკანონმდებლო ღონისძიებათა გატარების გზით, ფაქტიური თანასწორობის მიღწევა უფრო ხანგრძლივი და რთული პროცესია. ამ პრობლემის გადაწყვეტა უფრო რთულია კულტურის სფეროში. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური იყო ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის, როგორიცაა ჩვენი ქვეყანა, სადაც რევოლუციამდე ეროვნული უმცირესობანი სრულიად მოკლებული იყვნენ კულტურასა და განათლებას.

წინათ ჩაგრული ხალხების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევის ამოცანას კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ხელი მოჰკიდეს საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე და იგი გადაწყვეტილი იქნა კულტურული რევოლუციის განხორციელების პროცესში. იმისათვის, რომ წინათ ჩაგრული ხალხები ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით დასწეოდნენ უფრო განვითარებულ ერებს, საბჭოთა სახელმწიფოში საჭირო გახდა სახსრებისა და საშუალებების უფრო მეტი რაოდენობით გამოყოფა წინათ ჩაგრული ერების ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას, ძირეული მოსახლეობისაგან ეროვნული ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების გამოზრდას, იმ შუღლისა და უნდობლობის ლიკვიდაციას, რასაც ცარიზმი შეგნებულად ნერგავდა ერებს შორის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ამ დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად წინათ ჩაგრული ხალხები სწრაფად დაწინაურდნენ, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. ამის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შუა აზიის რესპუბლიკებმა შესძლეს აეშენებინათ სოციალისტური საზოგადოება განვითარების კაპიტალისტური საფეხურის გაუვლელად. კულტურული რევოლუციის განხორციელების პროცესში ყველა მოძმე რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

კულტურული რევოლუციის განხორციელება უზრუნველყოფს ახალი სოციალისტური კულტურის ფორმირებას, რომლის სოციალურ საფუძველს წარმოადგენს მშრომელთა ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, ხო-

ლო იდეურ საფუძველს—მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. ამ ამოცანის განხორციელება დიდადაა დამოკიდებული ისეთი მატერიალური წინამძღვრების შექმნაზე, როგორიცაა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ადამიანის ფორმირების პროცესი, რაც კულტურული რევოლუციის მთავარ შინაარსს წარმოადგენს, უფრო ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი პროცესია, ვიდრე ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ვინაიდან აქ საქმე ეხება ადამიანთა შეგნების ძირეულ გარდაქმნას, ამ შეგნებიდან ძველის გადმონაშთების აღმოფხვრას და ახალი სოციალისტური შეგნების ელემენტების ათვისებას. ხოლო, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის და საზოგადოების განვითარების ისტორია ადასტურებს, ძველი წყობილების იდეოლოგიის ნაშთები უფრო გამძლენი არიან ადამიანთა შეგნებაში, ვიდრე პოლიტიკასა და ეკონომიკაში. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მრავალი ობიექტური წინამძღვრების შექმნას, როგორიცაა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამარჯვება, რომელიც ემყარება თანამედროვე ტექნიკურ ბაზას, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას, სოციალისტური სახელმწიფოს გიგანტურ ღონისძიებებს მშრომელთა განათლებისა და კომუნისტური აღზრდის მიმართულებით, ახალი ცხოვრების მშენებლობაში მათი ჩაბმისა და მათ მიერ მოწინავე იდეოლოგიისა და მეცნიერების დაუფლების გზით. ყველაფერი ეს, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეადგენს ხალხთა მასების კულტურული განვითარების მთელ სისტემას.

კულტურული რევოლუციის განხორციელების ამოცანასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს წარსულის კულტურულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების საკითხი.

მარქსიზმ-ლენინიზმი გადაჭრით უარჰყოფს ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ, იდეალისტურ თეორიებს კულტურის ე. წ. „ერთიანი ნაკადის“ შესახებ, რომლის მიხედვითაც კულტურა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობისაგან მოწყვეტილ ზეკლასობრივ კატეგორიას. ამ „თეორიების“ მიმდევრები გვთავაზობენ უცვლელად მივიღოთ და გამოვიყენოთ წარსულის მთელი კულტურული მემკვიდრეობა. ამ თეორიათა საპირისპიროდ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები თვლიან, რომ მთლიანად კულტურა ატარებს ვიწრო კლასობრივ ხასიათს და ამიტომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მუშათა კლასმა არაფერი არ უნდა ისესხოს წარსულიდან, რომ ძველი საზოგადოების მთელი კულტურული მემკვიდრეობა უკუგდებული უნდა იქნეს, როგორც „ექსპლუატატორული“ და შეიქმნას სრულიად ახალი ე. წ. „წმინდა პროლეტარული კულტურა“.

ახორციელებდა რა ქვეყანაში კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობას, პარტიამ გააცამტვერა ტროცკისტული იდეა იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში სათანადო მატერიალური და კულტურული ნიადაგის უქონლობის გამო თითქოს პროლეტარიატს არ შეუძლია ააშენოს ახალი სოციალისტური კულტურა. არსებითად ეს იყო მე-2 ინტერნა-

ციონალის ოპორტუნისტი ლიდერების იმ „თეორიის“ გადამღერება, რომლის მიხედვითაც თითქოს პროლეტარიატს არ შეუძლია და არც უნდა აიღოს ძალაუფლება მანამდე, სანამ არ მიაღწევს კულტურის განვითარების „გარკვეულ“ დონეს, სანამ არ შეიქმნება წინასწარ მომზადებული კულტურულ ძალთა საკმაო რაოდენობა, რადგან ამის გარეშე იგი თითქოს ვერ შეძლებს დასძლიოს ახალი საზოგადოების შექმნის ამოცანები. ვ. ი. ლენინმა დაამსხვრია ეს ოპორტუნისტული შეხედულებები და დაასაბუთა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელშიც მშრომელთა ფართო მასები განწირულნი არიან სიბნელისა და უმეცრებისათვის, პროლეტარიატს არ გააჩნია სათანადო პირობები თავისი კულტურის დონის ასამაღლებლად. ამიტომ პროლეტარული რევოლუციის „გადადება“ კულტურის იმ დონის მიღწევამდე, რომელიც ზუსტად არაფრით არ არის განსაზღვრული, არსებითად ნიშნავს რევოლუციაზე უარის თქმას. ლენინი მიუთითებდა, რომ პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება წინ უნდა უძღოდეს კულტურულ გადატრიალებას. თავდაპირველად პროლეტარიატმა ხელში უნდა აიღოს ძალაუფლება და შექმნას ხელსაყრელი პირობები პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის ყოველმხრივი განვითარებისათვის, შემდეგ კი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა საფუძველზე გასწიოს წინ მშრომელთა კულტურული დონის ასამაღლებლად და ხალხის მშრომელი მასების წიაღიდან გამოხული მრავალრიცხოვანი მაღალკულტურული კადრების შესაქმნელად. ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის განხორციელებამ დაადასტურა მეორე ინტერნაციონალის ლიდერებისა და მათი მიმდევრების ოპორტუნისტული „თეორიების“ უნიადაგობა და კულტურული რევოლუციის ლენინური იდეების სისწორე.

კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის განხორციელებისას საზოგადოებას თანმიმდევრულად უხდება გადაწყვიტოს კულტურის დარგში ამოცანების ორი ძირითადი ჯგუფი. პირველი რიგის ამოცანების ჯგუფს მიეკუთვნებიან ისეთები, რომელთა გადაწყვეტისათვის ყველა აუცილებელი პირობა უკვე არსებობს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში. ასეთებია: წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია და მის საფუძველზე ხალხის მასებსა და კულტურას შორის იმ გათიშულობის ლიკვიდაცია, რაც დამახასიათებელია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის; ძველი ინტელიგენციის კადრების ხელახალი აღზრდა და ახალი სოციალისტური ინტელიგენციის ფორმირება, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა და ერებს შორის ფაქტიური თანასწორობის დამყარება, წარსულის კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკული გადამუშავება და ათვისება, ფეოდალური და ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაძლევა, ფიზიკური და გონებრივი შრომის დაპირისპირების ლიკვიდაცია, ქალაქისა და სოფლის კულტურული დონის დაპირისპირების ლიკვიდაცია; ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნა და ა. შ.

კულტურული რევოლუციის მეორე რიგის ამოცანათა ჯგუფს მიეკუთვნება ან ისეთები, რომელთა გადაწყვეტა ხდება კომუნიზმის მშენებლობის უფრო მაღალ საფეხურზე—სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში. ასეთებია: ადამიანთა შეგნებაში ძველი წყობილების ყოველგვარი გადმონაშთების სრული ლიკვიდაცია, კომუნისტური ზნეობის აღზრდა, მუშათა და გლეხთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება ინტელიგენციის დონემდე და ამ საფუძველზე ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია, ქალაქსა და სოფელს შორის კულტურული განვითარების დონის მხრივ არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია, მარქსიზმ-ლენინიზმის გადაქცევა საზოგადოების თითოეული წევრის მსოფლმხედველობად და ა. შ.

ამოცანების ეს ორი ჯგუფი შეესაბამება კულტურული რევოლუციის განვითარების პროცესის ორ ეტაპს. პირველი რიგის ამოცანები დროის მიხედვით ხორციელდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში, ხოლო შინაარსით ეს არის კულტურული რევოლუციის სოციალისტური ეტაპი, სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბების ეტაპი. ეს ეტაპი დასრულდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენებასთან ერთად.

კულტურული რევოლუციის მეორე რიგის ამოცანები დროის მიხედვით ხორციელდება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში, ხოლო შინაარსის მიხედვით ეს არის კულტურული რევოლუციის დამამთავრებელი ეტაპი, სოციალისტური კულტურის კომუნისტურ კულტურაში გადაზრდის ეტაპი.

კულტურული რევოლუციის ეს ეტაპები ერთმანეთისაგან არ არიან გათიშულნი. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან.

კულტურული რევოლუციის პირველი, ე. ი. სოციალისტური ეტაპისათვის დამახასიათებელია ბურჟუაზიული და სოციალისტური კულტურის შეურიგებელი ბრძოლა; მანამ, სანამ ლიკვიდირებული არ იქნენ ექსპლუატატორული კლასები და ამ ნიადაგზე კლასობრივი ანტაგონიზმი, კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებას პოულობდა ორი კულტურის ბრძოლაშიც. სოციალისტური კულტურის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები იყვნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში აღარ არსებობს ანტაგონისტურ კლასებად საზოგადოების ასეთი დაყოფა. ახლა სოციალისტური კულტურის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები მოიპოვებიან მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამიტომ სოციალისტური კულტურის კომუნისტურში გადაზრდის, ანუ კულტურული რევოლუციის დამამთავრებელ ეტაპზე კლასობრივი ბრძოლა აღარ არსებობს, მაგრამ რჩება ამოცანა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გარედან შემოღწევის წინააღმდეგ ბრძოლისა.

ამ ამოცანას ემსახურება ჩვენს ქვეყანაში მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალება.

Доц. Б. А. КАПАНАДЗЕ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## МАРКСИЗМ-ЛЕНИНИЗМ ОБ ОСНОВНЫХ ОСОБЕННОСТЯХ КУЛЬТУРНОЙ РЕВОЛЮЦИИ

### Резюме

Марксизм-ленинизм рассматривает культурную революцию, как составную часть социалистического строительства.

Культурная революция такое же необходимое условие построения социализма, как социалистическая индустриализация страны и коллективизация сельского хозяйства.

Среди задач культурной революции одной из основных является ликвидация неграмотности и малограмотности населения. От осуществления этой задачи зависит решение ряда других задач культурной революции.

Наиболее важнейшими другими задачами культурной революции являются: формирование новой социалистической интеллигенции; повышение культуры и сознательности трудящегося крестьянства, которое даст ему возможность осознать преимущество социалистической системы сельского хозяйства: коренное изменение положения женщин и их полная эмансипация; решение национального вопроса, ликвидация не только правового, но и фактического неравенства между нациями, формирование новой социалистической культуры и нового человека.

Коммунистическая партия разгромила все антимарксистские концепции буржуазных реформистов, мелкобуржуазных идеологов, троцкистов: отстаивала и осуществила ленинский план культурной революции в нашей стране, в результате чего Советский Союз превратился в страну передовой социалистической культуры.

### ლიტერატურა

1. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი — გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. 2.

2. ვ. ი. ლ ე ნ ი ნი — სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის. თხზ., ტ. 19.

3. ვ. ი. ლ ე ნ ი ნი — მუშა ქალთა საერთაშორისო დღე. თხზ., ტ. 32.

4. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — ფურცლები დღიურიდან, თხზ., ტ. 33.

5. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — კოოპერაციის შესახებ, თხზ., ტ. 33.

6. საბჭოთა საქართველოს 50 წელი. სტატ. კრებული, თბ., 1971.

7. О советской социалистической культуре. Сб. статей. Огиз, М., 1948.

8. Строительство коммунизма и проблемы культуры. Сб. статей, М., 1963.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. ს. ნუცუბიძე

# მელიორაციული ამხანაგობები საქართველოში

სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და წვრილი გლეხური მეურნეობის საწარმოო კოოპერირების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მელიორაციულმა ამხანაგობებმა.

მელიორაციული ამხანაგობები წარმოადგენენ რა საწარმოო კოოპერაციის ერთ-ერთ მარტივ ფორმას, მათ მცირე როლი როდი შეასრულეს სოფლის მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და გლეხობაში კოლექტიური წარმოების უპირატესობის რწმენის განმტკიცებაში. ამასთან აღნიშნული ამხანაგობები ხასიათდებიან რიგი ისეთი თავისებურებებით, რაც სცილდება კოოპერაციული საქმიანობის ტრადიციულ ფორმებსა და მეთოდებს.

მელიორაციული ამხანაგობების შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მორწყვისა და დაჭაობებული მიწების ამოშრობის საქმის უზრუნველყოფა. ცხადია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული ვრცელი სარწყავი და ამოსაშრობი მიწების არსებობის პირობებში, ამ საქმის მოგვარება წვრილ გლეხურ მეურნეობათა ძალებს აღემატებოდა მაშინაც კი, თუნდაც ისინი ამ მიზნით ურთიერთ შორის გაერთიანებულიყვნენ. ამიტომ მელიორაციული ამხანაგობების შექმნაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სახელმწიფო ორგანოები და უწყებები. ამასთან სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების გადაუდებლად შექმნის აუცილებლობა კარნახობდა, რომ ასეთი ტიპის ამხანაგობების შექმნისას არ დალოდებოდნენ მოცემული სასოფლო საზოგადოების უკლებლივ ყველა გლეხის თანხმობას და ისინი დაარსებინათ მაშინაც, როცა მათი შექმნის სურვილს გამოთქვამდა გლეხური მოსახლეობის არანაკლებ 50%-ისა. რაც შეეხება სოფლის დანარჩენ მოსახლეობას, ისინი ავტომატურად ირიცხებოდნენ ამხანაგობებში და მათზე თანაბრად ვრცელდებოდა ამხანაგობის წევრთა საწესდებო უფლება-მოვალეობანი.

როგორც ვხედავთ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ნებაყოფლობის კოოპერაციული პრინციპიდან ნაწილობრივ გადახვევასთან. მაგრამ ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთ გადახვევას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ამხანაგობის ჩამოყალიბების პერიოდში, ხოლო უკვე შექმნილი ამხანაგობის მუშაობა მიმდინარეობდა კოოპერაციულ საწყისებზე. სწორედ ამიტომაა, რომ განსხვავებით ურთიერთდახმარების გლეხთა კომიტეტებისაგან, რომელთაც არავითარი საერთო არ ჰქონდათ მუშაო-

ბის კოოპერაციულ მეთოდებთან, მელიორაციული ამხანაგობები წარმოადგენ-დნენ საწარმოო კოოპერაციის ერთ-ერთ ფორმას.

მელიორაციული ამხანაგობების თავისებურებებზე ისიც ლაპარაკობს, რომ წესდება ამხანაგობების დაშლის სხვა მიზეზთა შორის ითვალისწინებდა მათი დაშლის შესაძლებლობას მაშინ, როცა დამთავრდებოდა მოცემული ირიგაციული სისტემის მშენებლობა. ცხადია, რომ სხვა ტიპის ამხანაგობების შესახებ იმის თქმა, რომ დასახული ამოცანის შესრულების შემდეგ ისინი დაშლილიყვნენ, არა თუ შეიძლება, არამედ უაზრობაა, რადგან მათი შექმნის მიზანი სწორედ ის იყო, რომ თანდათანობით გადაზრდილიყვნენ უფრო მაღალი ტიპის კოლექტიურ გაერთიანებებში. ამასთან საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა მელიორაციული ამხანაგობების აუცილებელ დაშლასთან, არამედ მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული დაშლის შესაძლებლობასთან. სინამდვილეში არცთუ ისე იშვიათად გლეხები მელიორაციული ამხანაგობების ბაზაზე აყალიბებდნენ უფრო მაღალი ტიპის კოოპერაციულ გაერთიანებებს. ყოველივე ეს წინააღმდეგ ზოგიერთის მტკიცებისა, იმის საფუძველს როდი გვაძლევს, რომ დავეჭვდეთ მელიორაციული ამხანაგობების კოოპერაციულ ბუნებაში. მელიორაციული ამხანაგობების კოოპერაციულ ბუნებაზე გარდა ზემომოყვანილი მოსაზრებებისა ლაპარაკობს ყველა პარტიული და საბჭოთა დოკუმენტი, რომლებშიც მელიორაციული ამხანაგობები სამანქანო, მეთესლეობის და სხვა ტიპის გაერთიანებებთან ერთად დახასიათებულია, როგორც უმარტივესი ტიპის საწარმოო კოოპერაციული გაერთიანებანი. ეს ამხანაგობები იყვნენ კოლმეურნეობებში გლეხობის გაერთიანების მეორე, უფრო მაღალი საფეხური საკრედიტო და გამსაღებელ-მომმარაგებელ კოოპერაციასთან შედარებით.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მელიორაციული ამხანაგობების შექმნას საფუძველი ჩაეყარა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წ. 3. VIII დეკრეტით „მელიორაციულ ამხანაგობათა შესახებ“, რომელსაც ვ. ი. ლენინი აწერდა ხელს. მელიორაციული ამხანაგობების სახელმწიფო-კოოპერაციულ ბუნებაზე მეტყველებს ისიც, რომ დეკრეტით მელიორაციული სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობა დაევალა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

დამახასიათებელია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, რევოლუციამდელ რუსეთში მხოლოდ ორი მელიორაციული ამხანაგობა არსებობდა. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენს ხელთ არსებული მასალების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენში ასეთი ამხანაგობები რევოლუციამდე არ არსებობდა. ის გარემოება, რომ 1902 წელს ჩასახულა იდეა დიმი-როკითი-დილვეთის მელიორაციული ამხანაგობის დაარსების შესახებ, არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ამ ამხანაგობის ისტორია რევოლუციამდელი პერიოდით დავიწყოთ, რადგან 1921 წლამდე არსებულა საინიციატივო ჯგუფი და მხოლოდ ამ წლიდან დაუწყია მას

მუშაობა. აღსანიშნავია, რომ წყალთა მეურნეობის სამმართველომ აღნიშნული ამხანაგობა რეგისტრაციაში გაატარა მხოლოდ 1927 წლის 31 ივლისს.[1]

რუსეთში ამხანაგობების სწრაფ ზრდასთან საქმე გვაქვს ზემოთ აღნიშნული დეკრეტის შემდეგ, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ თუ 1921 წლის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას იყო 27 ამხანაგობა 2.400 წევრით, 1924/25 წლებში რსფსრ-ში იყო 3361 ამხანაგობა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა 200 ათას წევრს.[2]

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენაზე გადასვლასთან ერთად, რაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე გაიშალა, ქართველი კომუნისტების წინაშე დადგა ამოცანა — ხელი მოეკიდათ კატასტროფის პირამდე მისული სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმისათვის. ხოლო საქართველოში სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეს აფერხებდა არა მარტო მანქანა-იარაღებით მისი აღჭურვის დაბალი დონე, არამედ ისიც, რომ ამას ემატებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ ვარგისი მიწების სიმცირე. ვარგისი მიწების სიმცირის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი ეჭირა მცირემიწიან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორისაც კი, რომ არაფერი ვთქვათ რსფსრ-სა, უკრაინისა და ბელორუსიის შესახებ. ეს კი სხვათა შორის, იმასაც ნიშნავდა, რომ მიწის ნაციონალიზაციის შესახებ საქართველოს რევკომის 1921 წ. 6 აპრილის ცნობილი დეკრეტის ცხოვრებაში გატარება უშუალოდ ებჯინებოდა ახალი, მანამდე გამოუყენებელი მიწების ათვისების საქმეს.

საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და კერძოდ, სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარების საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის ბრძნულ მითითებებს, რომლებიც ქართველი კომუნისტების კონკრეტულ საბრძოლო პროგრამას წარმოადგენენ სოციალისტური მშენებლობის დაწყების საქმეში.

ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელ და ამასთან წარსულის დასამარებისა და სოციალიზმზე გადასვლის გაადვილების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიიჩნევდა მორწყვის საქმის მოგვარებას. იგი კავკასიის კომუნისტებისადმი წერილში წერდა: „მორწყვას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რადაც უნდა დაგვიჯდეს“. მორწყვის მნიშვნელობას ბელადი მხოლოდ სამეურნეო შედეგების მიხედვით კი არ განიხილავდა, არამედ სოციალისტურ გარდაქმნათა ერთ-ერთ პირობად მიაჩნდა. „მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.[3]

ქართველ კომუნისტებს კარგად ესმოდათ რა ვ. ი. ლენინის მითითებათა უდიდესი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და გლეხობის მდგო-

---

[1] საქ. სახელმწიფო არქივი, ფონდი 377, საქ., 520, ფ. 94—95.

[2] მ. ა. კ რ ა ე ვ ი. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება სსრ კავშირში, მოსკოვი, 1957, გვ. 278—279 (რუს.) .

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 399—400.

მარეობის გაუმჯობესების საქმეში, ისინი ენერგიულად შეუდგნენ ამ მითითებათა ცხოვრებაში გატარებას. დაიწყო იმდროისათვის ფართო მასშტაბის სამუშაოები. ქართველმა გლეხობამ მყისვე დაინახა, რომ ეს ღონისძიებები მისი მდგომარეობის ამაღლებისაკენ იყო მიმართული და აქტიური შრომითი მონაწილეობით მხურვალედ გამოეხმაურა ამ საქმეს. მარტო 1922 წელს გლეხობამ საირიგაციო სამუშაოებს მოახმარა 200 ათასი შრომადღე და მშენებლობაზე გამოიყვანა 12 ათასი ურემი.

როგორც ყველა სხვა, ისე სარწყავი სისტემების მშენებლობის საქმეში ქართველი ხალხი არამარტო მორალურ მხარდაჭერასა და რჩევა-დარიგებას, არამედ უშუალო მატერიალურსა და ფინანსურ დახმარებას იღებდა მოსკოვიდან. ამასთან საჭიროა ვიცოდეთ, რომ ყველა ამ ღონისძიების ინიციატორი და მხურვალე მხარდამჭერი იყო ვ. ი. ლენინი. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ვ. ი. ლენინის ინიციატივით საკავშირო მთავრობამ ყურადღით ამიერკავკასიის მთავრობის თხოვნა ირიგაციული ღონისძიებებისათვის დამატებით 2.600 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დახარჯულიყო საქართველოში ელდარის სარწყავი სისტემის მშენებლობისა და კოლხეთის დაჭაობებული მიწების ამოშრობის საჭიროებისათვის.[4] აღნიშნულ სამუშაოთა პირველხარისხოვანი მნიშვნელობით იყო ნაკარნახევი ის გარემოება, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარების საკითხებთან ერთად ყოველთვის ბუნებრივად ისმებოდა მორწყვისა და გადამეტტენიანებული მიწების ამოშრობის საკითხებიც. სათანადო პარტიული და საბჭოთა ორგანოები ეყრდნობოდნენ რა გლეხობის ენთუზიაზმსა და მხარდაჭერას აჩაღებდნენ მუშაობას არსებული ირიგაციული სისტემების აღდგენისა და ახალი ნაგებობების მშენებლობისათვის. თუ რა ადგილი ეჭირა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში აღნიშნულ საკითხებს, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოს კპ (ბ) III ყრილობამ (1924 წ. მაისი) სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხის შესახებ და რეზოლუციაში ჩასწერა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის სრული აღორძინება და გახვითარება მიღწეული იქნება სწორად დაყენებული მელიორაციისა და ირიგაციის პირობებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგებმაც არ დააყოვნა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მე-5 წლისთავზე გაყვანილ იქნა ექვსი სარწყავი არხი 114 ვერსი საერთო სიგრძით, რომლებიც რწყავდნენ 43.500 დესეტინა მიწას. გარდა ამისა, დაწყებული იყო 98 ვერსი სიგრძის 4 ახალი არხის მშენებლობა, რომლებსაც უნდა მოერწყათ 26.400 დესეტინა მიწა. გაჩაღდა მუშაობა ყარაიაზის სარწყავი სისტემის შესაკეთებლად, ალაზნის ხეობისა და ელდარის ველის მორწყვისათვის, აგრეთვე კოლხეთის ჭაობის დასაშრობად 130 ათასი დესეტინა ფართობზე.[5]

---

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1970 წ. № 45, 24. II.

[5] ჟურნალი „რევოლუციის მატიანე“, № 1 (14), 1926 წ., გვ. 20.

მელიორაციული სისტემების მშენებლობის მზარდ ტემპებზე წარმოდგენას გვაძლევენ შემდეგი მონაცემები — რესპუბლიკაში ამ მიზნით დაიხარჯა 1923/24 წწ. 370 ათასი მანეთი, 1924/25 წწ.—918 ათასი მან., 1925/26 წწ.—3 მლნ. 300 ათასი მან., ხოლო 1926/27 წწ.—2 მლნ. 930 ათასი მან.[6]

ყოველივე ეს იყო შედეგი იმ ყოველდღიური ზრუნვისა, რასაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციები იჩენდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებისა და მშრომელი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისადმი. პარტიის საბოლოო მიზანი — წვრილი გლეხური მეურნეობის მსხვილსოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა მიემართებოდა არა გლეხების პროლეტარებად გადაქცევისა და მხოლოდ ამის შემდეგ მისი მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გაერთიანების გზით, არამედ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობისადმი ყოველმხრივი დახმარების, გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების გზით. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ინდივიდუალური გლეხური მეურნეობისადმი სახელმწიფოს მხრივ ყოველმხრივ დახმარება და მისი მდგომარეობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება ამავე დროს არის ერთი მხრივ, კერძო მესაკუთრე გლეხის კოლექტივიზმის სულისკვეთებით გამსჭვალვა და, მეორე მხრივ, ასეთი გარდაქმნისათვის მატერიალურ-ტექნიკური პირობების მომზადება. ჯერ კიდევ ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ „რაც უფრო დიდი იქნება იმ გლეხების რიცხვი, რომლებსაც ჩვენ ნამდვილად საშუალებას მივცემთ არ გადაიქცნენ პროლეტარებად და რომლებსაც ჯერ კიდევ, როგორც გლეხებს ჩვენს მხარეზე გადმოვიბირებთ მით უფრო სწრაფად და იოლად მოხდება საზოგადოებრივი გადატრიალება".[7]

ზემოაღნიშნული პრინციპული ხასიათის დებულებანი წარმოადგენენ კომუნისტური პარტიების პოლიტიკის საფუძველს წვრილი გლეხური მეურნეობისადმი დამოკიდებულების საკითხში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ვიდრე არ განხორციელდება ამ უკანასკნელის საწარმოო კოოპერირება.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა კავკასიის კომუნისტებისადმი წერილში, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მიუთითებდა, რომ მორწყვის საქმის მოგვარება დაასამარებს წარსულს და განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლასო.

გ. კ. ორჯონიკიძე აჯამებდა რა მორწყვის საქმეში ვ. ი. ლენინის მითითების შესრულების პირველ შედეგებს 1926 წელს ამბობდა: „საირიგაციო სამუშაოთა დარგში მივყვებოდით რა ამხ. ლენინისაგან მიღებულ დირექტივას... ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ ძველი მიტოვებული სარწყავი სისტემის ქსელი, არამედ ავაშენეთ და შენდება მთელი რიგი ახალი არხები, რომლებიც ზრდიან გამოსადეგი მიწის ფართობს".[8]

---

[6] სრულიად საქართველოს საბჭოების მეოთხე ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), ტფილისი, 1927, გვ. 54.

[7] კ. მარქსი, ფ. ენგელსი — რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 526—527.

[8] გაზ. „კომუნისტი", 1970 წ. № 45.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ რა დიდი სამუშაოები შესრულდა მორწყვისა და დაჭაობებული მიწების ამოშრობის საქმეში, საკმარისია ითქვას, რომ თუ საქართველოში 1921 წელს ირწყვებოდა რამოდენიმე ათასი ჰექტარი ჭაობი, 1940 წლისთვის მისი ფართობი გაიზარდა 241.5 ათას ჰა-მდე, ხოლო 1970 წლის ბოლოსათვის სარწყავი მიწების ფართობი 355 ათას ჰა-ს აღემატებოდა. რაც შეეხება ამოსაშრობ სამუშაოებს, თუ 1921 წლისათვის ასეთი სამუშაოები საერთოდ არ წარმოებდა, მომდევნო პერიოდში გაწეული დიდი მუშაობის შედეგად უკვე 1940 წლისათვის ამოშრობილი იქნა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას დაუბრუნდა 19,9 ათასი ჰა მიწა, ხოლო 1970 წელს მისი ფართობი გაიზარდა 137.2 ათას ჰა-მდე. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე საექსპლუატაციოდ უნდა გადაეცეს 70 ათასი ჰა სარწყავი და ამოშრობილი იქნეს 50 ათასი ჰა გადამეტტენიანებული მიწა.[9]

1922 წლის 31 იანვარს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი „სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ". დეკრეტი მომზადებული იქნა რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის ანალოგიური დეკრეტის საფუძველზე და ძირითადად იმეორებდა მის მთავარ დებულებებს. ამხანაგობის მიზნები დეკრეტის პირველი მუხლით შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „სამელიორაციო ამხანაგობა არსდება, რათა შეერთებული ძალით ექსპლუატაცია უყოს და ხელი შეუწყოს დაცვა-შენახვით ასაგებ ან უკვე აგებულ ჰიდროტექნიკურ სისტემებს, რომელთა დანიშნულებაა მიწების მორწყვა-დაშრობა, მდინარის, არხისა და ხევის ნაპირების გამაგრება, წყალსადენის გაყვანა და სხვ.[10] ამხანაგობები ნაწილობრივ კოოპერაციულ საწყისზე — ნებაყოფლობით საფუძველზე უნდა მოწყობილიყვნენ. ნაწილობრივ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ მათი შექმნისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, სავალდებულო როდი იყო მოცემული სოფლის ან დასახლებული პუნქტის მცხოვრებთა 100%-ის თანხმობა, არამედ საკმარისი იყო ამხანაგობის შექმნის სასარგებლოდ თანხმობა გამოეთქვა მცხოვრებთა ნახევარს. კიდევ მეტი, თუ ხელისუფლების ორგანოები ამა თუ იმ მელიორაციული ნაგებობის მშენებლობას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, მაშინ მცხოვრებთა ერთი მესამედის თანხმობაც იყო საკმარისი ამხანაგობის ჩამოყალიბებისათვის. მოცემულ შემთხვევაშიც მოსახლეობის დანარჩენი ორი მესამედი თავისთავად ითვლებოდა ამხანაგობის წევრად ოღონდ ეს უნდა დაემტკიცებინა მთავრობას..

ამხანაგობებისადმი ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს. ამხანაგობა შეიძლებოდა ლიკვიდირებული ყოფილიყო მისი წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, ან კიდევ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი შეასრულებდა მის წინაშე მდგომ ამოცანებს სარწყავი თუ ამოსაშრობი სისტემების აგების სახით.

როგორც უკვე აღინიშნა მელიორაციული ამხანაგობები თავისი ბუნებით კოოპერაციული ამხანაგობები არიან, მაგრამ არც იმისი უგულებელყოფა შეიძ-

---

[9] ი. მიქელაძე — საქ. სსრ მეცხრე ხუთწლედში, თბ., 1971. გვ. 50.

[10] გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. № 29.

ლება, რომ მათ შორის არის განსხვავებაც. განსხვავება ვლინდება მაშინაც, როცა მისი წევრების საკითხს გადავავლებთ თვალს. მელიორაციული ამხანაგობის წევრია სოფლის ყველა მცხოვრები და მათ შორის კულაკური ელემენტებიც, მაშინ, როდესაც სხვა საწარმოო კოოპერციული გაერთიანებანი სოფლის ყველა მცხოვრებს არ აერთიანებდნენ და მათი კარები დახშული იყო მტრული ელემენტებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ დეკრეტი მელიორაციული ამხანაგობების შექმნის შესახებ მიღებული იქნა 1922 წლის დასაწყისში, ჩვენს განკარგულებაში არ არის მასალა ასეთი ამხანაგობების 1923 წლამდე დაარსების შესახებ.

1923 წლის 3 აგვისტოს დამტკიცებული იქნა მელიორაციული ამხანაგობის „სკრა-ისკრის“ დებულება, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ ამხანაგობის თითოეული წევრი ვალდებულია გარკვეული ფულადი და ნატურალური შესატანი გაიღოს, რომლის რაოდენობასაც ამხანაგობის წარმომადგენელთა კრება განსაზღვრავდა. ეს მუხლი მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი სოფლად, პარტიის კლასობრივი პოლიტიკის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა და მოითხოვდა კლასობრივი პოზიციებიდან განსაზღვრულიყო სოფლის სხვადასხვა სოციაური ფენების ფულადი თუ ნატურალური ვალდებულებანი. წარმომადგენელთა კრება განსაზღვრავდა აგრეთვე თითოეული წევრის შრომითი ვალდებულების რაოდენობას და შესრულების დროს.[11]

დასავლეთ საქართველოში არსებული ერთ-ერთი მძლავრი მელიორაციული გაერთიანება იყო „მაშველი“, რომელიც დაარსებული იქნა 1923 წლის 18 თებერვალს და რომელმაც ააგო ისეთი მძლავრი მელიორაციული სისტემა, როგორიც იყო მაშველის არხი.

1923 წლის მიწურულში აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში ნორიოსა და ენისელში არსდება სამშენებლო-მელიორაციული ამხანაგობები „აშკვეთი“ და „ინწობა“.

მელიორაციული ამხანაგობების განვითარებამ ფართო და უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო აღდგენითი პერიოდის მიწურულიდან, რომელსაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1926 წლის 1 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ც. კ-მა და მთავრობამ დაამტკიცეს მათი სანიმუშო წესდება.

ასეთი ზრდისა და განვითარების შესახებ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თუ 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის საქართველოში იყო 5 მელიორაციული ამხანაგობა, ერთი წლის განმავლობაში 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის მათი რაოდენობა 29-მდე გაიზარდა. აქ საყურადღებოა არა მხოლოდ ის, რომ ერთი წლის განმავლობაში ამხანაგობათა რაოდენობა თითქმის 4,5-ჯერ გაიზარდა, არამედ ისიც, რომ ადგილი ჰქონდა ამხანაგობების გამსხვილებას. კერძოდ, თუ 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის საშუალოდ ერთ ამხანაგობაში გაერთიანებული იყო 385 წევრი, 1927 წ. ერთ ამხანაგობაზე საშუალოდ მოდიოდა 814 წევრი.[12]

---

[11] საქ. სახ. არქივი. ფონდი 288, აღ. 1. საქ. 547, ფ. 1—4.

[12] საქართველოს სსრ მთავრობის 1925—26 წლის მოქმედების ანგარიში. გვ. 269.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებიდან და ოლქიდან მხოლოდ აფხაზეთში არსებობდა ერთი ამხანაგობა, რომელიც 1927 წ. შეიქმნა. მელიორაციული ამხანაგობების შექმნა გრძელდებოდა მომდევნო 1928 წლის განმავლობაშიც, რის შედეგადაც 1928 წ. 1 ოქტომბრისათვის მათმა რაოდენობამ 32-ს მიაღწია. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედებდა 23 ამხანაგობა, დასავლეთ საქართველოში—6, აჭარაში—2 და აფხაზეთში — 1 ამხანაგობა. სულ 22 ამხანაგობაში გაერთიანებული იყო 92.060 წევრი, ხოლო მათ მომსახურებაში მყოფი სარწყავი მიწების რაოდენობა 111.154 ჰა-ს უდრიდა. ახალი ამხანაგობების შექმნისა და მათი მუშაობის სფეროს გაფართოების საქმეში დიდი ღონისძიებები იყო დასახული მომდევნო წლებისათვის.[13] 1929 წლისათვის ამხანაგობების რაოდენობამ 47 მიაღწია.

კოოპერაციული საწყისი მელიორაციულ ამხანაგობათა მოწყობასა და საქმიანობაში კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 30 მარტის დადგენილების შემდეგ, რომელმაც მელიორაციული ამხანაგობები შეიტანა კოოპერაციულ სისტემაში და ეს უკანასკნელი ამ მხრივ დაუმორჩილა „სოფლის კავშირს“. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ამხანაგობები ამიერიდან თითქოს წყვეტდნენ სახელმწიფო ორგანიზაციებისადმი, კერძოდ, წყალთა მეურნეობის სამმართველოსადმი დამორჩილებას. მელიორაციულ ამხანაგობათა ორგვარ დამორჩილებაზე ლაპარაკია საქ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 21 აგვისტოს დადგენილებაში, რომელმაც განსაზღვრა, რომ ეს ამხანაგობები ჰიდროტექნიკურ სისტემათა აგებისა და ექსპლუატაციის დარგში ემორჩილებოდნენ წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ხოლო ყველა სხვა მხრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრს.[14]

მელიორაციული ამხანაგობების მნიშვნელობისადმი ხაზგასმაა ისიც, რომ საქ. კპ (ბ) ცკ-ის 1928 წლის 11 სექტემბრის დადგენილებაში „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ“ სპეციალურადაა ჩაწერილი საქართველოში მელიორაციული ამხანაგობათა ყოველი გზით განვითარების აუცილებლობის შესახებ.

ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ შევეხეთ მელიორაციული ამხანაგობების, როგორც კოოპერაციული გაერთიანებების საკითხს და აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად იმ თავისებურებებისა, რომლებიც მათ განასხვავებს სხვა ტიპის კოოპერაციული გაერთიანებებისაგან, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მათ კოოპერაციულ ხასიათში. ისიც ფაქტია, რომ სწორედ კოოპერაციული ბუნების გამო მიიქციეს მათ ჩვენი ყურადღება.

მართალია ერთი შეხედვით ეს გაერთიანებები არც კი ეხებიან გლეხური მეურნეობის თვით საფუძველს — წარმოების სფეროს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი გლეხობის გაერთიანებული ღონისძიებებით შექმნილი და ერთობლივად გამოყენებული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებას უწყობდნენ ხელს, არამედ.

---

13 საქ. სას.-სამ. კოოპერაციის სისტემა. თბილისი, 1928, გვ. 68—69.

14 საქ. სსრ სახელმწიფო ფონდი, 377, აღწ. 1, საქ. 231, ფ. 1.

რაც მთავარია, გლეხობის მეურნეობრივ ინსტინქტს უბიძგებდნენ ერთად, რა-თა სარწყავი სისტემის ქვეშ შეექმნათ მიწის ერთიანი მასივები და უარი ეთქვათ მიწების ცალკეულ ნაჭრებად მორწყვასა და დამუშავებაზე. აქ [illegible] ბით ისეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორიც იქმნება [illegible] მაცებულ გლეხურ მეურნეობებში მსხვილი მანქანებისა და იარაღების შეტა-ნით, როცა მანქანა ვერ ეტევა რა წვრილ ნაჭრობრივ მეურნეობების ჩარჩოებში, ანგრევს და აფეთქებს თვით წვრილი მეურნეობის არსებობის საფუძველს. სწო-რედ ამის დადასტურებაა ის, რომ მელიორაციული ამხანაგობები ხშირად გადა-დიოდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე.

აქ ყურადღებას იქცევს ჩვენ მიერ ზემოთ ნაწილობრივ აღნიშნული კიდევ ერთი გარემოება. მელიორაციული ამხანაგობების შექმნის წესი განაპირობებდა იმას, რომ მასში ხვდებოდნენ ექსპლუატატორული ელემენტებიც. კულაკური ელემენტების შეღწევისაგან არც სხვა ტიპის კოოპერაციული თუ სხვა გაერთი-ანებები იყვნენ დაზღვეული, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან მათი გამოდევნა პარ-ტიული, საბჭოთა და კოოპერაციული ორგანიზაციების და მშრომელი გლეხო-ბის ერთ-ერთი პირველი ამოცანა იყო ყოველთვის. რაც შეეხება მელიორაციულ ამხანაგობებს, იქ მათი შეღწევა კი არ ხდებოდა, არამედ ისინი თავიდანვე ზოგ-ჯერ იძულებითაც მათი წევრები იყვნენ. ამ ტიპის ამხანაგობების ეს სოციალუ-რი თავისებურება მეტად დამახასიათებელია და იგი სწორად უნდა იქნეს გაგე-ბული. საქმე იმაშია, რომ მელიორაციული ამხანაგობები კულაკებისა და სოფ-ლის სხვა შეძლებული ელემენტების სახსრებს აყენებს საერთო საქმის, საბო-ლოო ანგარიშით, მშრომელი გლეხობის ინტერესების სამსახურში. ხოლო ეს სახსრები თავიანთი სიდიდით მნიშვნელოვანი იყო, ე. ი. კულაკებისა და სხვა ექსპლუატატორული ელემენტების სამეურნეო პოტენციალი, წინააღმდეგ მათი სურვილისა, დგებოდა ხალხის საერთო საქმის სამსახურში. ეს კი სოფლად პარ-ტიის კლასობრივი პოლიტიკის, კერძოდ კი, კულაკობის შეზღუდვისა და მისი ცალკეული რაზმების გამოდევნის პოლიტიკის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მელიორაციული ამხანაგობების სხვა რომელიმე ტიპის საწარმოო კოოპერატივის წესდებაზე გადასვლის შემთხ-ვევაში კულაკებისათვის დახშული იყო რა გზა ამ უკანასკნელში შესასვლელად. კულაკი ფაქტიურად კოოპერაციული გლეხობის სასარგებლოდ კარგავდა, რაც მელიორაციულ ამხანაგობებთან და მათ საფუძველზე წარმოქმნილ კოლექტიურ მეურნეობებთან იყო დაკავშირებული. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ მელი-ორაციული ამხანაგობების სოციალური ბაზის სიფართოვე სრულიადაც არ ნიშ-ნავდა იმას, რომ შემწყნარებლობა გამოგვეჩინა მტრული ძალების იმ საქმია-ნობისადმი, რომ თავისი ინტერესებისადმი დაემორჩილებინათ და შიგნიდან აეფეთქებინათ აღნიშნული ამხანაგობები. პირიქით, სწორედ ასეთი საქმიანობის დაუშვებლობაზე მიუთითა საქ. კპ (ბ) VI ყრილობამ, რომელმაც ცკ-ის ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლუციებში მოითხოვა „სამელიორაციო ამხანაგობათა წმენ-და და გაჯანსაღება“.[15]

51 საქ. კპ (ბ) VI ყრილობა (სტატისტიკური ანგარიში), თბილისი, 1929, გვ. 709.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მელიორაციულმა ამხანაგობებმა, როგორც საერთოდ, ისე საქართველოში, დიდი როლი შეასრულეს სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარების საქმეში და პარტიის მიერ გატარებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის პირობების მომზადების რთულსა და მრავალმხრივ პროცესში.

Доц. А. С. НУЦУБИДЗЕ

## МЕЛИОРАТИВНЫЕ ТОВАРИЩЕСТВА В ГРУЗИИ

### Резюме

В нашей стране один из простейших форм производственной кооперации — мелиоративные товарищества были созданы на основе декрета Совета Труда и Обороны от 3-го августа 1921 года.

В Грузии орошение имело исключительно большое значение. Но значение орошений В. И. Ленин рассматривал не только с хозяйственной точки зрения, а как важное условие социалистического преобразования сельского хозяйства. «Орошение больше всего нужно и больше всего пересоздаст край, возродит его, похоронит прошлое, укрепит переход к социализму» (В. И. Ленин, соч., т. 32, стр. 297).

31 января 1922 года Ревком Грузии издал декрет «О мелиоративных товариществах» на основе которой они и начали возникать. Развитие мелиоративных товариществ широкий размах принимает к концу восстановительного периода. Если 1-го октября 1926 года в Грузии были 5 мелиоративных товариществ с 1925 членами, то к следующему году их количество возросло до 29, в которых было объединено 23 606 чел. Кооперативное начало в деятельности мелиоративных товариществ еще более усилилось постановлением Совнаркома Грузии от 30 марта 1928 года, который эти товарищества ввело кооперативную систему. Процесс создания новых товариществ продолжалось до начала массового колхозного строительства, когда они вместе с другими простейшими формами производственной кооперации начинают перерастать в более высшие формы колхозов.

О масштабах работы по осуществлению ленинских указаний говорит то, что если в Грузии к 1921 году орашались лишь несколько тысяч га земли, то в 1970 году площадь орошаемой земли увеличилась до 355 тыс. га.

Таким образом, мелиоративные товарищества сыграли значительную роль в деле подъема сельского хозяйства и ее социалистического преобразования.

---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ა. შურღაია

# ჭეშმარიტების ბუნების საკითხისათვის

ასახვის თეორიის წინააღმდეგ წამოყენებულია ერთ-ერთი ასეთი არგუმენტი: თუ ცოდნა სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ასახვაა, მაშინ არაჭეშმარიტი შემეცნების არსებობა საერთოდ შეუძლებელია. და რადგან არსებობს როგორც ჭეშმარიტი, ასევე არაჭეშმარიტი შემეცნება, მაშასადამე, ასახვის თეორია სცოდავს.

ფაქტიურად კი ამგვარი დასკვნისათვის ასახვის თეორია არავითარ წინამძღვარს არ იძლევა. მართალია, ჭეშმარიტება სინამდვილის ასახვაა, მაგრამ ასახვა და ჭეშმარიტება ერთი და იგივე არ არის. რელიგიური წარმოდგენებიც სინამდვილის ასახვაა, მაგრამ არაჭეშმარიტი, ილუზორული, ფანტასტიკური ასახვაა. ასახვის თეორიას ყოველგვარი ასახვა როდი მიაჩნია ჭეშმარიტებად. ასახვის თეორიის პრინციპის მიხედვით მხოლოდ ისეთი ასახვაა ჭეშმარიტება, რომელიც სინამდვილეს ობიექტურად, სწორად ასახავს, როცა ასახვის შინაარსი დამოკიდებული არ არის არც სუბიექტზე, ადამიანზე და არც კაცობრიობაზე საერთოდ.

ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ აზრის შინაარსი მოცემულია მატერიალური სინამდვილის საფუძველზე, როგორც ამ სინამდვილის ასახვა და, მაშასადამე, დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, ადამიანისა და კაცობრიობისაგან საერთოდ. სწორედ იმის გამო, რომ ადამიანის წარმოდგენებში ობიექტური სინამდვილე აისახება, ჩვენ ამ ასახვას (თუ იგი სწორია) ობიექტურ ჭეშმარიტებას ვუწოდებთ.

ამრიგად, ჭეშმარიტება ერთია. ესაა ობიექტური ჭეშმარიტება. სხვა ბუნების ჭეშმარიტება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

მაგრამ ობიექტური ჭეშმარიტება მოცემულია აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების სახით. იგი აბსოლუტურიც არის და შეფარდებითიც, ამ ორი მხარის ერთიანობაა.

სამყაროს აბსოლუტურად ამომწურავი, მისი საბოლოო შემეცნების აზრით, აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუღწეველია. და აი, სწორედ ამ აზრით, დიალექტიკური მატერიალიზმი თავს ანებებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებათა ძებნას, და სამაგიეროდ ეძებს „ხელმისაწვდომ რელატიურ ჭეშმარიტებას პოზიტიურ მეცნიერებათა გზით, და მათი შედეგების განზოგადებას დიალექტი-

კური აზროვნების საშუალებით“[1]. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ენგელსის ამ სიტყვებიდან — აბსოლუტური ჭეშმარიტების საერთოდ უარყოფის დასკვნის გამოყვანა. აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევის შესაძლებლობისა და ამ შესაძლებლობის ამოწურულად გამოცხადების საკითხები სრულიად განსხვავებული საკითხებია.

მართალია, ადამიანი მოკლებულია ობიექტური რეალობის აბსოლუტურად ამომწურავი შემეცნების შესაძლებლობას, მაგრამ სამაგიეროდ იგი მუდმივად უახლოვდება მას, მისი შემეცნების ყოველ ახალ საფეხურზე მით უფრო აზუსტებს, სრულყოფს, აღრმავებს და აკონკრეტებს თავის ცოდნას. და სწორედ სამყაროს ობიექტურად სწორი შემეცნების (ასახვის) შედეგი—ობიექტური ჭეშმარიტება—თავისი სრული, დამთავრებული ფორმით, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. აბსოლუტური ჭეშმარიტების უარყოფით უარყოფილია სწორედ ობიექტური ჭეშმარიტება. „ობიექტური, ე. ი. ადამიანისა და კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი, ჭეშმარიტების აღიარება ნიშნავს აბსოლუტური ჭეშმარიტების ასე თუ ისე აღიარებას“[2]. ეს „ასე თუ ისე“, როგორც ლენინი აღნიშნავდა, არის ის, რაც მატერიალისტ-მეტაფიზიკოსს განასხვავებს მატერიალისტ-დიალექტიკოსისაგან.

ამრიგად, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ხაზგასმით მიუთითებს აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობაზე, მაგრამ სამყაროს არა საბოლოოდ ამომწურავი შემეცნების მიღწევის აზრით, არამედ მხოლოდ როგორც „შესატყვისობაზე ბუნების ამსახველ ცნობიერებასა და ცნობიერების მიერ ასახულ ბუნებას შორის“.

აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ ადამიანი მიდის მხოლოდ შეფარდებითი ჭეშმარიტებათა გზით.

ვ. ი. ლენინი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მახისტების ანტიმეცნიერულ, იდეალისტურ თვალსაზრისს და გენიალურად ასაბუთებს და აჩვენებს მატერიალისტური დიალექტიკის მიერ ჭეშმარიტების აბსოლუტურობისა და შეფარდებითობის აღიარების მეცნიერულ ხასიათს. „ისტორიულად პირობითია,—წერს ლენინი,—სურათის კონტურები, მაგრამ აუცილებელია ის, რომ ეს სურათი გამოხატავს ობიექტურად არსებულ მოდელს, ისტორიულად პირობითია ის, თუ როდის რა პირობებში მივედით საგნების დედაარსის შემეცნებაში იქამდე, რომ ალიზარინი აღმოვაჩინეთ ქვანახშირის კუპრში, ან ელექტრონები ატომში, მაგრამ უცილობელია ის, რომ ყოველი ასეთი აღმოჩენა „აბსოლუტურად ობიექტური შემეცნების“ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ისტორიულად პირობითია ყოველი იდეოლოგია, მაგრამ უცილობელია ის, რომ ყოველ მეცნიერულ იდეოლოგიას (წინააღმდეგ რელიგიურისა) ობიექტური ჭეშმარიტება, აბსოლუტური ბუნება შეესაბამება“[3].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი — რჩეული ნაწერები, ტ 2, გვ. 446.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 145.

[3] იქვე, ტ. 14, გვ. 163—164.

ამრიგად, ყველა ჩვენი ცოდნის შეფარდებითი ხასიათი ნიშნავს არა იმას, რომ ობიექტურად სწორი შემეცნება საერთოდ მიუღწეველია, არამედ მხოლოდ იმას, რომ მუდმივად განვითარებადი სამყაროს ამოუწურავი ბუნება შეუძლებელია ობიექტურად სწორი შემეცნების რომელიმე საფეხურით ამოიწუროს. ჩვენი ცოდნის ცვალებადი და განვითარებადი ხასიათი გაპირობებულია ჩვენს ცოდნაში ასახული ობიექტის ცვალებადი და განვითარებადი ბუნებით, შემეცნების ისტორიულობას და განვითარებას განსაზღვრავს თვით შემეცნების საგნის ისტორიულობა და განვითარება.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, შემეცნების თეორიის საფუძვლად რელატივიზმის აღიარება სხვა არაფერია, თუ არა აბსოლუტური სკეპტიციზმი, აგნოსტიციზმი და სოფისტიკა, ან სუბიექტივიზმი.

მატერიალისტური დიალექტიკა შეიცავს რელატივიზმის მომენტს, მაგრამ რელატივიზმი არ არის, რადგან აღიარებს ჭეშმარიტების შეფარდებითობას არა მისი ობიექტურობის უარყოფის აზრით, არამედ იმ აზრით, რომ ისტორიულად პირობითია ჩვენი ცოდნის საზღვრების მიახლოვება ამ ჭეშმარიტებასთან.

შეფარდებითი ჭეშმარიტება არის სინამდვილის არასრული, ნაწილობრივი ცოდნა არა იმიტომ, რომ თითქოს იგი სინამდვილის გარკვეული ნაწილის ობიექტურად არასრული ასახვა იყოს (მაშინ ის არც იქნებოდა ჭეშმარიტება), არამედ იმიტომ, რომ ის, რაც მოცემულ საგნობრივ ვითარების ფარგლებში, განსაზღვრულ პირობებსა და მიმართებებში ობიექტურად სწორი შემეცნებაა, ე. ი. ობიექტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, სხვა პირობებისა და ისტორიული ფარგლების მიმართ მისი (ჭეშმარიტების) ფარული მხარე გამოაშკარავდება როგორც შეცდომა: მაგრამ მხოლოდ სხვა ვითარების მიმართ და არა თავისი ობიექტურობის მიმართ, რომლითაც იგი წინათ ჭეშმარიტებად ითვლებოდა და რომელსაც იგი მომავალშიც ინარჩუნებს. ერთი სიტყვით, „იმას, რაც ახლა ჭეშმარიტებად არის მიჩნეული ფარული მხარე აქვს, რომელიც მომავალში გამოაშკარავდება როგორც შეცდომა, ისევე როგორც ის, რაც ახლა შეცდომადაა აღიარებული, ჭეშმარიტ მხარეს შეიცავს, რომლის წყალობით იგი წინათ ჭეშმარიტებად შეიძლებოდა ჩათვლილიყო“[4].

ჭეშმარიტება შეფარდებითია სწორედ იმიტომ, რომ იგი შეესატყვისება, შეეფარდება სინამდვილის იმ გარკვეულ ნაწილს, მისი განვითარების მხოლოდ იმ კონკრეტულ მონაცემს, რომლის ასახვასაც იგი წარმოადგენს. სწორედ აქ იჩენს თავს ჭეშმარიტების კონკრეტულობის აუცილებლობა; ჭეშმარიტება, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ყველა დროისა და პირობების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ილუზიად იქცევა. ჭეშმარიტებას, როგორც სინამდვილის ობიექტურად სწორ ასახვას, თავის სამოქმედოდ მხოლოდ ის ფარგლები აქვს, რომლის შემეცნების შედეგად წარმოადგენს სწორედ ჭეშმარიტებას.

ამრიგად, ის, რაც განსაზღვრულ ისტორიულ ფარგლებში ჭეშმარიტება იყო, მისი მიყენება სხვა პირობებისა და ვითარების მიმართ შეცდომას წარმოადგენს.

---

[4] კ. მარქსი, ფ. ენგელსი — რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 474.

მაგრამ ეს შეცდომა კი არ აუქმებს უკვე არსებულ ჭეშმარიტების ობიექტურობას, არამედ, პირიქით, ხაზგასმით მიუთითებს ჭეშმარიტების სწორედ ობიექტურობის აუცილებლობაზე, მიუთითებს იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტი აზრების, იდეების, საერთოდ თეორიების აღიარება იმ საგნობრივ ვითარების შესატყვისად, რომლის ასახვას ისინი არ წარმოადგენენ, ჭეშმარიტებას ღალატობს, რადგან მას აცლის კონკრეტულ-ისტორიულ შინაარსს.

მაშასადამე, არა მარტო ჭეშმარიტება, არამედ შეცდომაც შეფარდებითია, რადგან მას აქვს ჭეშმარიტი მხარე, რომლითაც იგი წინათ ჭეშმარიტებად ითვლებოდა. „შემეცნება, რომელიც ჭეშმარიტებაზე უცილობელ პრეტენზიას აცხადებს, ხორციელდება მთელ რიგ შეფარდებით შეცდომებში“[5].

მაგრამ აქედან მხოლოდ ის დასკვნა კეთდება, რომ თუკი ჭეშმარიტება მასში ასახულისაგან განსხვავებული სინამდვილის მიმართ ძალას კარგავს მხოლოდ იმ აზრით, რომ არ შეეფარდება შეცვლილ ვითარებას, სამაგიეროდ მასში ასახული სინამდვილის მიმართ კვლავ რჩება ჭეშმარიტებად, რამდენადაც განვითარებადი სინამდვილის სხვადასხვა ვითარებისა და ეტაპების ამსახველ აზრებს, იდეებს, თეორიებს—საერთო, იგივეობრივი და უცვლელი აქვთ ის, რომ ისინი წარმოადგენენ გარესამყაროს ობიექტურად სწორ ასახვას. „უცვლელია მხოლოდ ერთი რამ: ესაა—ასახვა ადამიანის ცნობიერების მიერ (როცა ადამიანის ცნობიერება არსებობს) მისგან დამოუკიდებლად არსებული და განვითარების პროცესში მყოფი გარეგანი სამყაროსი“[6].

აქედან სავსებით გასაგებია, რომ შეფარდებითი ჭეშმარიტება—ობიექტური ჭეშმარიტებაა, რომელიც აბსოლუტური ჭეშმარიტების მომენტებს, მარცვლებს შეიცავს, რომლის უარყოფა ჩვენი ცოდნის შემდგომი ზრდისა და სრულყოფის გამო — უაზრობაა, ეწინააღმდეგება ჩვენი ცოდნის ზრდის, გაღრმავებისა და განვითარების პრაქტიკით გამართლებულ ფაქტებს. ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების შემეცნების ყოველი შემდგომი საფეხური წინა საფეხურის მთლიანად უარყოფა რომ იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ყოველგვარი მეცნიერული ცოდნის, შემეცნების არსებობა, რადგან ყოველი დასაწყისი მანამდე დაწყებულის მხოლოდ უარყოფა იქნებოდა და არა მისი შემდგომი სრულყოფა და განვითარება.

მართალია, ჭეშმარიტება მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას (სწორედ ამაშია მისი შეფარდებითობა), რადგან ადამიანის ცნობიერება სინამდვილეს ასახავს არა ერთბაშად, არა მთლიანად, არა სრულად, არამედ ნაწილობრივ, განსაზღვრულ ფარგლებში. მაგრამ ეს ასახვა (იმ საზღვრებში, რასაც პრაქტიკა გვიჩვენებს) ობიექტური, აბსოლუტური, მარადიული ჭეშმარიტებაა“[7].

მაშასადამე, ჭეშმარიტების შეფარდებითობა კი არ ეწინააღმდეგება ობიექტურ, აბსოლუტურ ჭეშმარიტების არსებობის აღიარებას, არამედ მიუთი-

---

[5] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი—ანტიდიურინგი, გვ. 102.

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი,—თხზ., ტ .14, გვ. 332.

[7] იქვე, გვ. 235.

თებს მხოლოდ იმის შესახებ, რომ შემეცნების, ცოდნის განვითარების ყოველი საფეხური ისტორიულად განსაზღვრული საფეხურია და როგორც კონკრეტულ-ისტორიულის ობიექტურად სწორი ასახვა, გამოხატავს ობიექტურ-აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება პროცესია, მის შინაარსს ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიული წარმოადგენს. ჭეშმარიტების კონკრეტულობის უარყოფა—ჭეშმარიტების ობიექტურობის უარყოფაა.

თუ ერთი მხრივ, ჭეშმარიტების შეფარდებითობის უარყოფა და მისი მხოლოდ აბსოლუტურობის აღიარება დოგმატიზმია, რომელიც ამუხრუჭებს ადამიანის შემოქმედებით გასაქანს და გზას უხშობს მეცნიერული ცოდნის განვითარებას, მეორე მხრივ, ჭეშმარიტების აბსოლუტურობის უარყოფა და მისი მხოლოდ შეფარდებითობის აღიარება რელატივიზმია, რომელიც უარყოფს ობიექტურად სწორი შემეცნების შესაძლებლობას.

რელატივიზმის ბუნების გარკვევისათვის აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება:

ერთი მხრივ, რელატივიზმი უარყოფს აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობის შესაძლებლობას იმ არგუმენტით, რომ ჩვენი ცოდნა ცვალებადია, ე. ი. შეფარდებითია. და რადგან ცვალებადია, არ შეიძლება მას ობიექტური, აბსოლუტური ჭეშმარიტების მნიშვნელობა ჰქონდეს; სხვანაირად—რელატივიზმის თვალსაზრისით ობიექტური, აბსოლუტური ჭეშმარიტების უარყოფის საფუძველს—ჩვენი ცოდნის ცვალებადი, შეფარდებითი ხასიათი წარმოადგენს. გამოდის, რომ ჩვენს ცოდნას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ობიექტურ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია, თუ იგი უცვლელი იქნებოდა; ე. ი. თუ ჩვენს ცოდნას არ ექნებოდა შეფარდებითი ხასიათი. ეს ნიშნავს, რომ რელატივიზმი თავისი შინაგანი ლოგიკით, არსებითად, დოგმატიზმის თვალსაზრისს ეთანხმება.

მეორე მხრივ, თუ კი ჭეშმარიტების ობიექტურობისა და აბსოლუტურობის უარყოფის საფუძველი — ჩვენი ცოდნის შეფარდებითი, ცვალებადი ხასიათია, გამოდის რომ ობიექტური, აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობის შეუძლებლობას ობიექტური საფუძველი ჰქონია, მაშინ თვით ეს შეხედულება უნდა იყოს სწორედ ამ ობიექტურის ასახვა. ე. ი. უნდა წარმოადგენდეს ობიექტურ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. როგორც ვხედავთ, ობიექტურ—აბსოლუტური ჭეშმარიტების უარყოფა ვეღარ ხერხდება.

### დასკვნა

დოგმატიზმი და რელატივიზმი — ჭეშმარიტების აბსოლუტურობისა და შეფარდებითობის ერთიმეორისაგან მოწყვეტისა და ურთიერთდაპირისპირების მეტაფიზიკური გზით ერთნაირად იბრძვიან ჭეშმარიტების ობიექტურობის წინააღმდეგ. ამიტომ მათი არგუმენტები, ცხადია, ჭეშმარიტების უარმყოფელ ერთ ძირითად საერთო პრინციპში ერთიანდება.

დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით კი ჭეშმარიტების ობიექ-ტურობის, აბსოლუტურობისა და შეფარდებითობის მომენტები—ობიექტური ჭეშმარიტების აღიარების ერთ ძირითად პრინციპშია გაერთიანებული და სწო-რედ ამიტომ ერთიმეორისაგან განუყრელ, დიალექტიკურად ერთ[illegible] წარმოადგენენ.

А. ШУРГАЯ


**Резюме**

## К ВОПРОСУ О ПРИРОДЕ ИСТИНЫ

Против теории отражения выдвигается один из аргументов: если знание есть отражение предметов и явлений действительности, тогда невозможно существование неистинного познания. Но так как существует познание как истинное, так и неистинное, следовательно теория отражения грешит.

На самом же деле, подобное заключение из теории познания не вытекает. Правда, истина есть отражение действительности, но отражение и истина не тождественны. Религиозные представления также являются отражением действительности, однако они неистинные, иллюзорные и фантастические отражения.

По теории отражения не всякое отражение истинно. Исходя из принципа теории отражения, истинно лишь то отражение, которое объективно верно отражает материальную действительность, когда содержание его не зависит ни от субъекта, человека, ни от человечества вообще.

Именно ввиду того, что в сознании человека отражается объективная действительность, мы такое отражение (если оно верно) называем объективной истиной.

Таким образом, истина одна — это объективная истина. Другого рода истины нет и не может быть.

Но эта объективная истина представлена в абсолютной и относительной истине, поэтому она всегда и абсолютна и относительна — единство этих двух сторон.

Таким образом, марксистско-ленинская философия подчеркивает о существовании абсолютной истины, но не в смысле окончательного исчерпывающего познания мира в целом, а лишь как «о соответствии между отражающим природу сознанием и отражаемой сознанием природой».

К абсолютной истине человек идет лишь через относительную истину. Так что материалистическая диалектика содержит релятивизм, но не сводится к нему, т. е. включает в себя релятивизм не в смысле отрицания объективной истины, а лишь в смысле исторически условности пределов приближения наших знаний к этой истине.

Истина всегда конкретна.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Канд. Философ. наук А. И. КАЛАНДИА

## О ДВУХ ВАЖНЕЙШИХ СТУПЕНЯХ ФОРМИРОВАНИЯ МАТЕРИАЛИСТИЧЕСКОГО МИРОВОЗЗРЕНИЯ Л. ФЕЙЕРБАХА

Изучение философского наследия Фейербаха, формирование его материалистического мировоззрения, совершившегося в процессе критики и разоблачения спекулятивной философии и религиозного обскурантизма, является важной задачей. Оно обосновывается не только соображениями чисто теоретического порядка, но и непосредственными практическими задачами идеологической борьбы на современном этапе, задачами защиты идейного содержания и богатства марксистско-ленинской философии от посягательств буржуазной идеологии.

Предлагаемая статья не претендует на систематическое изложение формирования мировоззрения Л. Фейербаха. Цель данной статьи — показать, с одной стороны, исключительно важное значение монографии «Пьер Бейль» в формировании материализма Фейербаха и изложение и доказательство Фейербахом материалистического мировоззрения в «К критике философии Гегеля» — с другой.

Монографию «Пьер Бейль», которой завершается цикл историко-философских работ Фейербаха, по-видимому, можно считать новой ступенью в развитии его мировоззрения. Здесь он вплотную подходит к материалистическому миропониманию, достигает той степени зрелости в развитии, когда уже невозможно оставаться в рамках идеализма. В этом произведении ярко проявляется вся важность исторических трудов Фейербаха, которые являются своего рода завершением его развития на уровне историко-философских работ.

Следует подчеркнуть, что монографией о Бейле подготавливается переход к материализму, но переход еще не состоялся, поскольку в ней продолжает фигурировать «универсальный разум, руководящий всеми вещами».

На материалистическую точку зрения Фейербах переходит в 1839 году — в работе «К критике философии Гегеля».

В процессе подготовки этого перехода, как отмечалось выше, особое место принадлежит монографии «Пьер Бейль». Чем это обусловлено?[1] Ведь во всех историко-философских произведениях Фейербаха содержится зародыш материализма — «теперешней точки зрения» (Фейербах). Более того, по свидетельству самого Фейербаха, переход от мыслей, высказанных в монографии о Декарте, к «Сущности христианства», не составлял большого труда. В монографии о Декарте, развивая и конкретизируя мысли последнего о сущности и существовании бога, Фейербах писал: «Понятие сущности бога есть в то же время понятие его существования, сущность и существование в нем — одно и то же, поэтому **мышление и познание его сущности и бытия — один и тот же акт**. Существование бога не отличается от его сущности, а это значит: его существование **существенно**, нечувственно, так что для того, чтобы убедиться в его бытии, я не нуждаюсь ни в каком **другом органе, чем разум**; поэтому я не могу и не нуждаюсь для познания его бытия **выходить из области разума или идеи**, в область чувственного опыта...»[2]. Это означает не что иное, как признание того, что разумная сущность имеет лишь разумное существование. Иными словами, бог как нечувственная, мысленная сущность вне разума не существует. Вне разума и отличное от разума существование есть чувственное существование. Комментируя приведенную мысль, Фейербах замечает: «Отсюда явствует, как прост был переход к первой главе «Сущности христианства», в которой сказано: «бог, как нечувственное, абстрактное, нечеловекообразное существо, есть ничто иное, как сущность разума!»[3].

Однако такого перехода Фейербах не сделал. Из отсутствия чувственного существования бога он не заключил о его несуществовании, ибо подлинной реальностью считал простую мысленную сущность, и тем самым, недооценивал значение чувственной сущности, считая ее конечной, пустой и ничтожной сущностью. А «где действительность кажется нереальной, там нереальное представляется действительностью»[4]. Резюмируя, можно сказать, что идеалистические убеждения воспрепятствовали Фейербаху сделать необходимые выводы в пользу материализма.

Но идеалистом был он и тогда, когда писал монографию о Бейле. Следовательно, здесь дело не только в одном идеализме. Дело в том, что

---

[1] Следует отметить, что на этот вопрос в известной нам литературе, посвященной развитию мировоззрения Фейербаха, аргументированного ответа нет. Иногда даже нет четкой постановки вопроса.

[2] Л. Фейербах. История философии, т. I, М., стр. 258, 1967.

[3] Л. Фейербах. История философии, т. I, М., стр. 41, 1967.

[4] Там же.

в «Бейле» содержалась мысль, исходя из которой можно было бы преодолеть недооценку истинности и существенного значения чувственности.

Для того, чтобы признать истинное, абсолютное значение чувственности, необходимо было признать, что существо, которое противопоставляется чувственности, в действительности является абстрактной или идеализированной сущностью чувственного. К такой мысли Фейербах пришел «прежде всего в области религии»[5], основательная критика которой содержалась в учении Бейля. Заслугу Бейля Фейербах видел «...**в его отрицательном отношении к теологии**. Бейль — это практически диалектическое введение от догматически ограниченного мышления теологии к свободному мышлению философии»[6].

Это обстоятельство делает Бейля мыслителем, взгляды которого существенно повлияли на формирование материализма Фейербаха. В этом следует искать ответ на вопрос, почему на формирование материализма Фейербаха повлиял больше именно скептик, нежели материалистические тенденции и учения предшествующих философов[7].

Выделение особой роли влияния Бейля на формирование материализма Фейербаха не означает отрицания положительного влияния других философов нового времени. Это тем более не означает отрицания того неоспоримого факта, что каждое историко-философское произведение Фейербаха в зародыше содержит его материалистическое мировоззрение.

Однако в новой философии Фейербах видел дуализм, противоречие межру верой и разумом. Учение Бэкона об опыте гарантировало Фейербаху не теоретически-философскую, а естественно-научную уверенность в существовании чувственного. «Ведь можно признавать, — писал впоследствии Фейербах, — истинность чувственного в области естественно-научной и все-таки отрицать ее в философской и религиозной области; можно даже одновременно быть материалистом и спиритуалистом, светским вольнодумцем и религиозным обскурантом; практически атеистом, а теоретически — правоверным теистом. Бэкон, Декарт, Лейбниц, Бейль, вообще новое и новейшее время — блестящий пример этого противоречия»[8]. Теоретическую уверенность в истинности чувственного, по словам Фейербаха, можно было почерпнуть не непосредственно из опыта и естественно-научной уверенности, а путем доказательства ложности сверхестественной реальности. А этот путь, несомненно, лежал через атеизм Бейля.

---

[5] Там же, стр. 42.

[6] Л. Фейербах. История философии, т. 3, стр. 198.

[7] «Пьер Бейль... разрушил метафизику с помощью скептицизма, подготовив тем самым почву для усвоения материализма и философии здравого смысла...» (К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 2, М., стр. 141, 1955).

[8] Л. Фейербах. История философии, т. 1, М., стр. 42, 1967.

Во всяком случае положительное влияние философии Бейля на формирование материализма Фейербаха было, по-видимому, гораздо большим, чем оно им самым воспринималось, несмотря на то, что и тогда, когда Фейербах писал свою монографию о Бейле, он значительно превосходил «сомневающегося философа».

Для образа мышления Фейербаха характерно то, что его не удовлетворяет чисто теоретическая деятельность, оторванная от практических нужд современности. Он всегда был готов увязать теоретические вопросы с практическими задачами дня, самым действенным образом содействовать «исцелению головных и сердечных болезней человечества». В связи с этим можно указать, что монография «Пьер Бейль» появилась как плод не только теоретических, но и практических интересов. «Как и вообще мои работы, — пишет Фейербах, — так и мой «Бейль» обязаны своим происхождением противоречию с тем временем, когда пытались насильственно отбросить запуганное человечество во тьму прошедших столетий. Моя книга о Бейле появилась в то время, когда в Баварии и в Рейнских провинциях Прусии вспыхнула в самых резких и безобразных формах старая борьба между католицизмом и протестантизмом. Бейль был одним из превосходнейших борцов за просвещение, гуманность, и терпимость, свободным от пут как католической, так и протестантской веры. Целью моей книги о Бейле было поучить и пристыдить этим голосом прошлого введенную в заблуждение и озлобленную современность»[9].

Эта практическая нацеленность, борьба за гуманизм и против религиозных суеверий была обусловлена и той степенью философского развития Фейербаха, которая выражена в «Бейле». Эта работа открывала возможность дальнейшего развития и выработки материалистического миропонимания. И, действительно, поскольку Фейербах в области религии, не без помощи Бейля уяснил себе, что бог ничто иное, как идеализированная сущность чувственного и что чувственность обладает абсолютной реальностью, поскольку он выступил против философии, которая исходила из «чистого бытия», абсолютной идеи, защищала религию и объявляла ее содержание своим собственным содержанием. «К критике философии Гегеля» явилось тем произведением Фейербаха, в котором он окончательно освобождается от влияния гегелевского идеализма и формируется как материалист.

Если в студенческие годы Фейербах лишь сомневался в истинности философии Гегеля, то в работе «К критике философии Гегеля» он не только убежден в ее ложности, но и доказывает последнее, насколько это доказуемо с точки зрения материализма, не дошедшего до понимания истинного смысла и значения общественной практики.

[9] Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. II, М., стр. 503, 1955.

Прежде всего, — констатирует Фейербах, — бросается в глаза претензия учения Гегеля быть абсолютной действительностью философии. Но «возможно ли вообще, чтобы род абсолютно осуществился в одном индивиде, чтобы искусство реализовалось в одном художнике, а философия в одном философе?»[10]. — спрашивает Фейербах и, цитируя Гёте, отвечает: «только люди в совокупности познают природу, только люди в целом переживают человеческое»[11].

Действительностью может быть только то, что определено, т. е. не абсолютно. Поэтому воплощение рода в одну индивидуальность было бы абсолютным чудом, упразднением всех законов и принципов действительности. Так именно в принципе обстоит дело в религии, в частности, в христианстве. В самом деле, появление божества в определенное время и в определенной форме, означает упразднение пространства и времени. А это значит, что с появлением божества упраздняется история. Но если история не упраздняется и продолжает существовать, этим как раз доказывается, что сама теория воплощения опровергается историей. Точно так же обстоит дело с философией Гегеля. Ее нельзя считать абсолютной действительностью идей философии. Если бы она была таковой, ее следствием была бы остановка времени, а так как этого не произошло и не произойдет, то философию Гегеля следует считать лишенной предиката абсолютности.

Фейербах убедительно показывает, что начало философии Гегеля, начало логики — понятие чистого бытия, понимаемое как абсолютно необходимое и всеобщее начало, в действительности обусловлено догегелевской философией, в частности, фихтевским «наукоучением». Иными словами, начало философии Гегеля связано с идеализмом.

Таким образом, философия Гегеля не абсолютна не только в том смысле, что носит конечный характер и, следовательно, не выражает абсолютную истину, но и в том смысле, что определена прежней философией, в частности, идеализмом и методом философии Фихте.

Конечный характер философии Гегеля выражается и в том, что она кроме внешних предпосылок имеет и свою внутреннюю предпосылку. В данном случае наличие внутренней предпосылки равносильно отрицанию абсолютного характера гегелевской философии, ибо понятие бытия, с которого начинает «логика», предполагает как феноменологию, так и абсолютную идею, которая в свою очередь не доказывается, а сама предполагается. В конце логики обнаруживается, что идея не только результат, но и действительное начало. Дело в том, что для Гегеля абсолютная идея была абсолютной очевидностью и поэтому ее доказательство имело фор-

[10] Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. I, стр. 56, 1955.

[11] Там же.

мальный характер, для внутренней достоверности оно было совершенно излишним. Метод Гегеля выражает именно эту несущественную необходимость. Этим объясняется то, что начало и конец совпадают: начало оказывается концом, а конец началом.

Абсолютная идея созидается и удостоверяется через себя, а не через действительное другое, через чувственное созерцание. Здесь обнаруживается не только догматический элемент гегелевской философии, но и идеализм, выражающийся в непосредственном разрыве с чувственной достоверностью, в превращении философии в непосредственную предпосылку всего остального[12]. Нетрудно усмотреть, что здесь критика Гегеля выливается у Фейербаха в критику идеализма вообще.

В конце «Логики» становится ясным, почему она начинается с понятия чистого бытия. В противном случае абсолютность идеи оставалась бы недоказанной. Однако и в этом случае она, как указано выше, не доказывается, а только предполагается. Понятие чистого бытия находится в полном противоречии с чувственным созерцанием, только которое и способно удостоверить действительность бытия. Чистое бытие Гегеля — это простая абстракция, которой ничто не соответствует в реальности. Здесь мы имеем такое же противоречие, как и в философии Фихте. У Фихте фигурирует «противоречие между чистым Я и Я эмпирическим, реальным; здесь — противоречие между чистым бытием и эмпирическим, реальным бытием»[13].

Резкой критике подвергает Фейербах понятие «ничто». Переход Гегеля к «ничто» правомерен, ибо он допускал неопределенное, пустое бытие. Но неопределенного, пустого бытия нет. Его существование можно допустить только в смысле существования «ничто», которое в свою очередь не существует. Поэтому Фейербах вслед за критикой понятия чистого бытия показывает и бессмысленность понятия «ничто». «Ничто» — понятие, чуждое мысли и разума. Его нельзя помыслить, ибо мыслить значит определять. Мысль никогда не бывает неопределенной, и, следовательно, способной выразить ничто. Ничто не предмет мышления, а нечто чуждое мысли, самообман и внутренняя ложь. «Мышление о ничто есть мышление само себя опровергающее»[14].

Показывая противоречие и бессодержательность всех гегелевских определений «ничто», Фейербах заключает: «...ничто возникает не из мысли, но из отсутствия мысли. Ничто есть именно ничто, тем самым оно также ничто для мысли; больше об этом нечего сказать; ничто отрицает само себя»[15]. Оно продукт фантазии.

---

[12] Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. I, М. 1955, стр. 77.

[13] Там же, стр. 72.

[14] Там же, стр. 89.

[15] Там же, стр. 93—94.

Итак, по Фейербаху противоположность между бытием и ничто, и их тождество, призрачно, нереально. Логические категории Гегеля являются самодовлеющими сущностями, находятся в полном разрыве с чувственным созерцанием. Им не противостоит реальное. Этот разрыв не восполняется и «феноменологией» Гегеля, которая в свою очередь, в сущности, устраняет реальное бытие, вместо того, чтобы из него вывести логические определения.

Отрицание чувственного бытия Гегель усматривал в том, что оно невыразимо в языке. Возражая Гегелю, Фейербах замечает: «реальность чувственного, единичного бытия есть истина, запечатлённая нашей кровью. В области чувственности действует закон: око за око, зуб за зуб... каким образом чувственное сознание.. может оказаться опровергнутым тем, что единичное бытие не может быть высказано?... чувственное сознание совершенно право, иначе мы могли бы в жизни удовлетвориться словами, а не вещами»[16]. Достоверность чувственного сознания, т. е. данного нам в отличие от чистой мысли, не подлежит мысленному опровержению, ибо не зависит от мысли.

У Гегеля чувственное сознание является только лишь отчуждением мысли в пределах достоверности самого себя. Поэтому феноменология, формально начиная с чувственной достоверности, в сущности предполагает самое себя, следовательно, «начинает не с инобытия мысли, но с мысли об инобытии мысли»[17], то есть начинает с того же, что и логика.

«Логика», как мы видели, начинает с неопределенного, чистого бытия, которое есть ничто. Именно это и есть начало мира, всего существующего. Отсюда недалеко до мистики. С другой стороны, бытие предполагается абсолютной идеей, которая фигурирует в ранге первоначального и всеопределяющего созидателя. Поэтому совершенно убедителен Фейербах, когда философию Гегеля он определяет как рациональную мистику[18].

Вывод, к которому приходит Фейербах, можно сформулировать его словами: «Философия есть наука действительности в ее подлинности и полноте, но совокупность действительности представляет природа, природа в самом универсальном смысле слова. В простейших естественных вещах заключены глубочайшие тайны, их попирает ногами мечтательный метафизик, взгляд которого устремлен на потустороннее. Источник оздоровления — только в возвращении к природе... природа не только создала простую мастерскую желудка, она воздвигла также храм мозга...»[19],

[16] Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. I, М., стр. 79.

[17] Там же, стр. 80.

[18] Там же, стр. 87.

[19] Там же, стр. 96.

«тщетно всякое умозрение, которое хочет выйти за пределы природы и человека»[20]. Самым высшим является человек, предметом познавательного стремления которого является независимо от него существующая вселенная, природа[21]. В этих положениях уже налицо то философское кредо Фейербаха, которое в позднейших формулировках, — в сочинениях «Основные положения философии будущего» (1843), и в «Предварительных тезисах к реформе философии» (1842), — выражено в следующей форме: «Новая философия превращает человека, включая и природу как базис человека, в единственный, универсальный и высший предмет философии, превращая, следовательно, антропологию, в том числе и физиологию в универсальную науку»[22]. «Созерцайте же природу, созерцайте человека. Здесь перед вашими глазами вы имеете мистерии философии»[23].

С другой стороны, выводы, содержащиеся в «К критике философии Гегеля» находятся в органической связи с ранними произведениями Фейербаха, являются итогом всего его философского развития. «Теперь главный вопрос в том,... — писал Фейербах еще в 1830 году, — чтобы человечество единодушно, всем сердцем сосредоточилось на самом себе, на своем мире и на своем настоящем; ведь только эта безраздельная сосредоточенность на действительном мире дает новую жизнь, дает великих людей, вызовет великие идеи и дела»[24].

«К критике философии Гегеля» дает нам относительно полное представление о формировании и содержании философии Фейербаха также и в том смысле, что в нем, в полном соответствии с решением основного вопроса философии, решается и главный гносеологический вопрос.

Фейербах, как мы видели выше, категорически отвергает притязания философии выразить абсолютную истину. Добавим здесь лишь то, что ему в известной степени не чужда идея историзма. «...философские системы изживают свой век по той самой причине, по которой меняются люди и времена...»[25]. Познание человеком природы и ее закономерностей носит обусловленный, относительный характер. «Истина — дочь века»[26]. Вместе с тем он решительно выступает против отрицания возможности познания, против принижения познавательной способности человека.

Принцип чувственности является у Фейербаха исходным не только в т. н. онтологии, но и в гносеологии. Чувства человека — исходный

[20] Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. I, М., стр. 95.
[21] Там же.
[22] Там же, стр. 202.
[23] Там же, стр. 129.
[24] Там же, стр. 246.
[25] Там же, стр. 58.
[26] Там же, стр. 57.

пункт, отправная точка познания. Познает не абстрактный, сверхчеловеческий разум, а человек, обладающий чувствами. Но как быть тогда, когда отсутствует непосредственная чувственная данность?»... звезды не являются предметом непосредственного чувственного созерцания, но самую суть мы знаем, — то, что они подчиняются тем же законам, что и мы». Откуда такое знание? От разума, который опирается на данные чувства. Он резко критиковал Канта за то, что он ограничил способности разума[28].

Содержание, да и весь дух «К критике философии Гегеля» показывают, что Фейербаху не чуждо было и понимание практики, разумеется, в той мере, в какой это возможно на уровне «чувственной достоверности».

В заключение можно сказать, что основные положения материалистической философии Фейербаха, выработанные им в борьбе против идеализма и теологии, впервые были сформулированы в «К критике философии Гегеля». Ни в этом, и ни в последующих произведениях эти положения не получили у него до конца последовательного, научного решения, но бесспорно и то, что они основательно подготовили появление марксистского материализма. Этим объясняется и весьма примечательный факт — философия Фейербаха в известном смысле пережила время: она и сейчас находит место на переднем крае борьбы за прогрессивное мировоззрение.

---

[27] Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. I, М., стр. 95.
[28] Там же, стр. 85.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჩუტკერაშვილი

# რელიგიური გადმონაშთების შემორჩენის მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები (საქართველოს სსრ მაგალითზე)

თანამედროვე ეტაპზე მშრომელთა ფართო მასების მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობაში ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებას.

უკანასკნელ პერიოდში, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ათეიზმის სფეროში საგრძნობლად მრავალმხრივი გახდა, იგი დაუახლოვდა ცხოვრებას, გაფართოვდა მისი პრობლემატიკა და ამაღლდა თეორიული დონე.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში დადგა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც არის რელიგიის გადმონაშთების არსებობის მიზეზები და მისი დაძლევის გზები. აღნიშნულ პრობლემას ბევრი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ ჯერ კიდევ განსაკუთრებულ კვლევასა და შესწავლას მოითხოვს ის გარემოება, რომ რელიგიის გადმონაშთები სხვადასხვა სახით არსებობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ეროვნების ხალხში, ვინაიდან განსხვავებულია ამ ხალხის კულტურის დონე და ცხოვრების პირობები. ერთი და იგივე რელიგიაც კი სხვადასხვა ხალხში სრულიად განსხვავებულ აზრს ღებულობს, თუ განსხვავებულია ამ ხალხის კულტურის დონე და სულიერი განვითარების პირობები — ამბობდა ავგუსტ ბებელი.

მაშასადამე, რელიგიის გადმონაშთების არსებობის მიზეზები სხვადასხვაგვარად მოტივირდება და მათი აღმოფხვრის გზებიც განსხვავებულია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც ამ მხრივ ერთნაირი მდგომარეობა არა გვაქვს.

რელიგიის დაძლევა ხანგრძლივი და თანდათანობითი პროცესია. არ არის სწორი ის აზრი, რომ წავა ძველი თაობა და რელიგიაც გაქრება. ადვილი მოსალოდნელია, და ფაქტიურად ხშირად ხდება, რომ ახალგაზრდა თაობა სიბერეში, ან სხვადასხვა მიზეზების გამო ახალგაზრდობაშივე, მიემხრობა რელიგიას.

პიროვნების რელიგიურობა, მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ მას ღმერთის არსებობა სწამს. დღეს ღმერთის რწმენა არა მარტო სოციალისტური ქვეყნის მშრომელებს, არამედ თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში მოღვაწე ღვთისმეტყველებსაც თავისებურად ესმით. მორწმუნეებად უნდა ჩაითვალონ ისეთი

ადამიანებიც, რომელთა ფსიქიკა ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული რელიგიური გრძნობებისაგან. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ რელიგიურ გადმონაშთებზე და მათი დაძლევის გზებზე, ჩვენი უპირველესი ამოცანაა იმის დადგენა, თუ რა სახით არის ადამიანებში შემორჩენილი რელიგია და რით მოტივირდება მათი მორწმუნეობა. ასეთი ამოცანის გადაჭრისათვის კი აუცილებელია ჩვენი საზოგადოებისა და ადამიანის ღრმად შესწავლა. მორწმუნეთა სულიერი სამყაროს და ცხოვრების პირობების ყოველმხრივი შესწავლის გარეშე, რელიგიური ორგანიზაციების ხასიათისა და მოღვაწეობის გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია განხორციელდეს მეცნიერულ-ათეისტური მუშაობა.

მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის, რელიგიური გადმონაშთების დაძლევის მრავალ სხვადასხვა საშუალებათაგან ერთ-ერთ ეფექტურ ფორმად უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალური მუშაობა მორწმუნეთა შორის. ასეთი მეთოდი შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ თითოეული მორწმუნე ადამიანის ცხოვრების პირობები, მისი აზროვნების თავისებურება, მისი რელიგიურობის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ინდივიდუალური მიდგომის გზით ადვილად გამოვარკვევთ, რელიგიური გრძნობების გამომწვევ მიზეზთაგან რომელი ასრულებს გადამწყვეტ როლს.

იმ მოტივების მიხედვით, რითაც ადამიანები თავიანთ რელიგიურობას ასაბუთებენ, მორწმუნენი შეიძლება სხვადასხვა ჯგუფებად დავყოთ.

მორწმუნეთა ჯგუფების დადგენა მათი რწმენის მოტივაციის მიხედვით, ხელს უწყობს მათში რელიგიურობის აღმოფხვრის კონკრეტული გზების დასახვას.

რელიგიურობის მოტივების კონკრეტულ-სოციალური შესწავლა საკმაოდ რთული და სათუთი საქმეა. რამდენადაც ყოველგვარი ქცევისა და მოქმედების (მათ შორის რელიგიურისაც) მოტივაცია ცხოვრების ინტიმურ მხარეს მიეკუთვნება, მორწმუნენი ყოველთვის გულწრფელნი როდი არიან თავიანთი რელიგიური მოტივების აღიარებაში, ამიტომ ჩვენ ყოველთვის ვერ დავკმაყოფილდებით მორწმუნესთან საუბრით, ზოგჯერ საჭირო ხდება შევისწავლოთ მათი ქცევებიც.

მორწმუნეთა შესწავლის საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებნი მათი რელიგიურობის მოტივაციის მიხედვით შეიძლება დავყოთ რამდენიმე ძირითად ჯგუფად.

პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანები, რომელთათვისაც რელიგიურობის ძირითადი მოტივია შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილება. ამ ადამიანებს აინტერესებთ როგორც გარე სამყაროს, ისე საკუთარი ფსიქიკის მოვლენები—სიზმრები, ჰალუცინაციები, მთვარეულობა, ჰიპნოზი, ტელეპატია. ისინი ცდილობენ ჩასწვდნენ შეიმეცნონ ეს მოვლენები, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ადამიანები ვერ ხსნიან ამ მოვლენებს, რაღაც ზებუნებრივ ძალებს—ღმერთებს, სულებს მიაწერენ, მათ სწამთ ბედისწერა და სასწაულების არსებობა. სწორედ ეს არის ადამიანთა რელიგიურობის გნოსეოლოგიური საფუძველი.

ინდივიდუალური მუშაობა ასეთი კატეგორიის მორწმუნეებთან, უპირველესად, ისე უნდა წარიმართოს, რომ მათ წინაშე წამოჭრილ კონკრეტულ რთულ საკითხებს გავცეთ დამაჯერებელი მეცნიერული პასუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორწმუნეთა მეორე ჯგუფში შეიძლება მოვაქციოთ ის ადამიანები, ვისთვისაც რწმენის ძირითად მოტივს წარმოადგენს **სულის უკვდავების იდეა.**

უკვდავების იდეის წარმოშობის ამხსნელ და მის დამცველ არგუმენტად შეიძლება დავასახელოთ შიში და სევდა მოსალოდნელი სიკვდილის წინაშე, გამოწვეული იმ განცდით, რომ სამყარო უკიდეგანო, მარადიული და მიმზიდველია, ადამიანის სიცოცხლე კი წარმავალია და ხანმოკლე. სულის უკვდავების იდეის დამცველთა აზრით, მხოლოდ უკვდავების საშუალებით შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, სხვა შემთხვევაში „ყველა პირადი ღირებულება უნდა დაიღუპოს". თუ უკვდავება არ არსებობს, მაშინ „ჩვენი ცხოვრება უაზრობაა და ჩვენი სიკვდილი უსარგებლოა". მათი აზრით ადამიანს ზნეობრივს ხდის და ცხოვრების აზრს აძლევს მხოლოდ უკვდავების იდეა.

უკვდავების იდეის არსებით და ცენტრალურ მხარედ უნდა ჩაითვალოს საყვარელ ადამიანებთან შეერთების სურვილი. ეს მისწრაფება არის ის უმთავრესი მოტივი, რომელიც ადამიანებს საიქიო ცხოვრების რწმენას უნერგავს.

სპირიტისტთა მსოფლიო საზოგადოების თავმჯდომარემ, ინგლისელმა ფიზიკოსმა პროფესორმა ოლივერ ლოჯმა გამოსცა წიგნი, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ მას კავშირი არა აქვს გაწყვეტილი თავის გარდაცვლილ ვაჟთან, რაიმონდთან, იგი „საიქიოდან" უგზავნის ცნობებს და ბევრ გასაოცარ დეტალსაც ატყობინებს საიქიოს შესახებ.

ოლივერ ლოჯი ჯერ კიდევ 1914 წელს გააკრიტიკა რუსმა მეცნიერმა კ. ა. ტიმირიაზევმა.

სულის უკვდავების იდეა ადამიანებში აღვიძებს ინდივიდუალიზმს და ეგოიზმს. ცდილობს რა სულს მოუპოვოს მარადიული ნეტარება, მორწმუნე თავის თავს უნებლიედ აყენებს სამყაროს ცენტრში. სულის ხსნის იდეას უქვემდებარებს მთელ თავის საქმეებს და აზრებს. სულის უკვდავების ცრუ, განუხორციელებელი იმედი ადამიანს გადააცდენს ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის ბრძოლის რეალური გზიდან.

აღნიშნული ჯგუფის მორწმუნეებთან მუშაობა ათეისტისაგან მოითხოვს დიდ გულმოდგინებას და სიმტკიცეს, რადგან ისინი ჩვეულებრივ გაურბიან ათეისტთან საუბარს, ეშინიათ ამით თავიანთ სულს არ ავნონ. ასეთი ადამიანები უნდა დავარწმუნოთ რელიგიური წარმოდგენების უსაფუძვლობაში საიქიო ცხოვრების შესახებ. ბიოლოგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის და სხვა მეცნიერებათა მონაცემებზე დაყრდნობით დავუსაბუთოთ, რომ სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთს არ გამორიცხავენ, რომ სიკვდილი აუცილებელი პირობაა სიცოცხლისათვის, რამდენადაც სიცოცხლე წარმოადგენს წარმოშობისა და მოსპობის დაუსრულებელ პროცესს. ფ. ენგელსმა, თავის შრომაში „ბუნების დიალექტიკა", დაახასიათა რა სიცოცხლისა და სიკვდილის არსი, დაასაბუთა მათი დია-

ლექტიკურ-მატერიალისტური გაგება, რითაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა რელიგიას, საიქიო ცხოვრების რწმენას.

მესამე ჯგუფის მორწმუნეთათვის რელიგიურობის მოტივი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი რელიგიაში პოულობენ სულიერ სიმშვიდეს, ემოციურ სიამოვნებას. მათთვის რელიგიაში ყველაზე არსებითია მაგალითად, ასეთი დაპირება: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქუენ“.

უარყოფითი ემოციები — შიში, დაჩაგრულობა, მარტოობა, სასოწარკვეთილება ქმნიან რელიგიისათვის კარგ ფსიქოლოგიურ ნიადაგს; თუმცა არავითარი ფსიქოლოგიური ფაქტორები თავისთავად რელიგიას არ წარმოშობენ სოციალური ზემოქმედების გარეშე. როგორც ცნობილია, სოციალიზმის პირობებში რელიგიის სოციალური ფესვები არსებითად აღმოფხვრილია, მაგრამ ზოგჯერ მაინც წარმოიშობიან ხოლმე ისეთი სოციალური სიტუაციები, რომელთაც ადამიანი რელიგიისაკენ მიყავთ.

ადამიანები ხშირად რელიგიურნი ხდებიან **უკურნებელი სენით დაავადების გამო**, ავადმყოფთა რელიგიური რწმენისადმი მიდრეკილების ღრმა ახსნას იძლევა ი. პავლოვი. „ჩემის აზრით, (და ეს სავსებით ბუნებრივია), რაკიღა ადამიანი ცხოვრებისაგან გულგატეხილია, რაკი მას ისეთი უბედურება სწვევია, რომ ხსნისა და ბედნიერების იმედი აღარ აქვს და ა. შ.. მაშინ რაღა გასაკვირია, რომ ადამიანმა რელიგიას მიმართოს და შველას ზეციდან ელოდოს“.

აღნიშნული ტიპის მორწმუნეებთან ათეისტური მუშაობისას საკმარისი არ არის მხოლოდ პროპაგანდა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაზე. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ადამიანის სულიერ სამყაროს, ვიზრუნოთ მის გამდიდრებაზე, ადამიანთა ცხოვრება გავხადოთ უფრო შინაარსიანი, მიმზიდველი, მივაღწიოთ მასში არსებული სიძნელეების დაძლევას.

მორწმუნეთა მეოთხე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ რელიგიურობას მორალური მოტივებით ასაბუთებენ. მორალური მოტივები ყველაზე ფართოდ გავრცელებულია თანამედროვე მორწმუნეებში. მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ღმერთის არსებობისა თუ არ არსებობის საკითხს. მათი თვალსაზრისით მთავარია რწმენა, რადგან მხოლოდ იგი ხდის ადამიანს ზნეობრივს. მხოლოდ რაღაცა ზებუნებრივი ძალისადმი შიში აკავებს ადამიანი თავს მრავალგვარი ცდუნებისაგან, დანაშაულისაგან, ასეთი მორწმუნენი სხვებსაც მოუწოდებენ იწამონ ღმერთი, მათი ზნეობრივი აღზრდის მიზნით. აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებით ეკუთვნით კულტის მსახურებს, რელიგიის პროპაგანდისტებს; ისინი ირწმუნებიან, რომ ქრისტიანულ ზნეობრივ მცნებებსა და კომუნისტურ მორალურ პრინციპებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო საეკლესიო კრებებზე ღვთისმეტყველები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ თანამედროვე საზოგადოების „დექრისტიანიზაციის“ შესახებ. კათოლიკური სპირიტუალიზმის ცნობილი მქადაგებელი გაბ-

რიელ მარსელი 1963 წელს, მექსიკაში ფილოსოფოსთა XIII საერთაშორისო კონგრესზე, თავის მოხსენებაში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ თანამედროვე ადამიანებმა „დაკარგეს სიწმინდის გრძნობა“. იგივეს წერს გერმანელი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი მარტინ ხაიდეგერი, რომელიც ყოველგვარი უბედურების მიზეზს ხედავს XX საუკუნის ადამიანის „გაუღმერთოებაში“.

ასეთივე აზრია გავრცელებული მორწმუნეთა მასებში.—„ღმერთი ეს ჩვენი რწმენაა, ჩვენი სინდისია, რა თქმა უნდა, იგი რაიმე კონკრეტული სახით არ არსებობს, მაგრამ რაღაცა ხომ უნდა გვწამდეს. რამდენი უბედურება და სიმწარეა ცხოვრებაში. ხომ ხედავთ, ახლა ხალხი რა დაუნდობელი გახდა, ეს იმიტომ, რომ არავითარი რწმენა აღარ გააჩნიათ ადამიანებს“—თქვა ქაშვეთის ეკლესიაში მხურვალედ მლოცველმა უმაღლესი განათლების მქონე მანდილოსანმა.

აღნიშნული კატეგორიის მორწმუნეებს უნდა დავუსაბუთოთ და დავანახოთ ის პრინციპული განსხვავება, რომელიც არსებობს კომუნისტურსა და რელიგიურ ზნეობას შორის. მათთვის ნათელი უნდა გავხადოთ, რომ რელიგიური რწმენა ადამიანს კი არ აკეთილშობილებს, არამედ პირიქით, უარყოფით გავლენას ახდენს მის მორალზე.

საინტერესოა და განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს ერთი კატეგორია ადამიანებისა, რომელნიც აუცილებლად მორწმუნეებად უნდა ჩაითვალონ, თუმცა არც ერთ დასახელებულ რელიგიურობის მოტივებს ისინი არ იზიარებენ. ასეთი მორწმუნეები გვხვდებიან განათლებული ადამიანების, უმეტესად ახალგაზრდობის წრეში, რომლებიც თვითონვე ვერ გიპასუხებენ, კონკრეტულად რა სწამთ, ან რატომ სწამთ. ისინი არც რაიმე სასწაულის მოწმენი გამხდარან, არც შემეცნებით ინტერესებს მიუყვანია რელიგიურ რწმენამდე, რადგან დაუფლებული არიან მეცნიერების ამა თუ იმ დარგს, და არც პირად ცხოვრებაში არიან უბედურები; პირიქით, უმეტესობა ასეთი ადამიანებისა კარგ პირობებში ცხოვრობს, და თითქოს იმის შიშით, რომ არ დაკარგონ საზოგადოებაში მოპოვებული სასურველი ადგილი, ცდილობენ მსხვერპლი გაიღონ რაღაცის თუ ვიღაცის მიმართ, როგორც შემდგომი წარმატებების საწინდარი.

ერთმა ფიზიკოსმა ასპირანტმა ქალმა აღიარა, „როცა ფილოსოფიის კურსის ჩასაბარებლად ვემზადებოდი, როგორც კი შევხვდებოდი ლიტერატურაში რელიგიის კრიტიკას, მაშინვე პირჯვარს ვიწერდი და ვიმეორებდი—„ღმერთო ნუ მიწყენ“. ჩავაბარე თუ არა ფილოსოფიაში გამოცდა კარგ ნიშანზე, წავედი ეკლესიაში და სანთელი ავანთე. რა თქმა უნდა, ღმერთი არ მწამს, მაგრამ რაღაცა განუსაზღვრელისადმი კი მაქვს რწმენა და სწორედ ამ რწმენაში ვხედავ ჩემი ცხოვრების ძალას“.

ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის მუშაკმა, ახალგაზრდა ქალმა, რაღაცა საბაბით თავი აარიდა საჯარო ათეისტურ ლექციაზე დასწრებას, შემდეგ კი პერძო საუბარში თქვა—„როცა რელიგიის კრიტიკას ვისმენ, ყოველთვის შიში მიპყრობს, მეშინია არ დავისაჯო და რაიმე უბედურება არ შემემთხვეს. ღმერთი, რა თქმა უნდა, არა მწამს, არც ეკლესიაში დავდივარ, მაგრამ მწამს რაღაცა ძალის

არსებობა, რომელზეც დამოკიდებულია ჩემი ბედ-იღბალი და ძალიან მეშინია ამ ძალის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით უნდა ავხსნათ ასეთ ადამიანთა რელიგიურობა? იქნებ იმიტომ, რომ ადამიანები თავიანთი მიზნისაკენ ბრძოლაში ყოველთვის არ არიან გამარჯვებულნი, მოსალოდნელი მარცხის შიშით ღელავენ, ოცნებობენ მშველელზე. ასეთი ადამიანები წარმოსახვითი დახმარების იმედით ხომ არ არიან შეპყრობილნი და ერთგვარ შინაგან ძალას ხომ არ პოულობენ რელიგიაში?

ზოგიერთ თანამედროვე განვითარებულ ადამიანში ჯერ კიდევ ღრმად არის გამჯდარი რელიგიის ფსიქოლოგიური ფესვი და მისი დაძლევისათვის ზრუნვა კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება. ამრიგად, ათეისტურ მუშაობაში დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რელიგიის ფსიქოლოგიური საფუძვლების დამუშავების საკითხი. ცნობილია, რომ სწორედ რელიგიის ფსიქოლოგია სწავლობს ამ ასპექტს. ამ მიმართულებით კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა დადებით შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს, თუ ასეთი ძიების პროცესში მორწმუნე ადამიანის ფსიქოლოგიასაც გავითვალისწინებთ.

ცალკე უნდა გამოვყოთ ადამიანები, რომლებიც რელიგიას მისდევენ ტრადიციის გამო. მათი მსჯელობა ჩვეულებრივ ასეთია: „ვინ იცის ღმერთი არსებობს თუ არა, მაგრამ ასე იყო ყოველთვის, ასე დადიოდა ხალხი ეკლესიაში და ლოცულობდა. მე ხომ არ უარვყოფ ამ წესს? შეიძლება ახალგაზრდობამ უარყოს, მე კი არ შემფერის რომ წესს არ მივსდიო“ (70 წ. თბილისელი მანდილოსანი).

—„ღმერთი იმიტომ მწამს, რომ სუყველას სწამდა ადრეც და ეხლაც სწამს სუყველას, ხოლო ზოგი ამქლავნებს, ლოცულობს, ზოგი კი ვერა სხვათ შიშით. ღმერთი და ღვთისშვილნი მე არას მიშლიან რო ვლოცულობ, არას მართმევენ“. ამბობს 71 წლის გლეხი სოფ. ბარისახოდან (საშუალო განათლებით).

როგორც ცნობილია, საქართველოს მთიან რაიონებში დიდხანს იყო გაბატონებული წარმართული რელიგია. ფშავ-ხევსურეთში, თუშეთსა და სხვაგან დღემდე შემორჩენილია მისი გადმონაშთები. მაგ., კოპალას და იახსარს დღესაც ასახელებენ ფშავ-ხევსურები წარმართ ღვთაებათა კერპებად; კვრივი, საჯანგე, ხატის კვირეს საყმო და სხვა მრავალი. ქრისტიანობიდან შემორჩენილ წმინდა ადგილებად ითვლებიან ხევსურეთის სოფლებში—უკანხადუში, ჰორმეშავში, ატაბში. მრავალი „წმინდა“ ადგილისა და სალოცავისადმი რწმენა შემორჩენილია საქართველოს ბარის რაიონებშიც. სწორედ ამ ფაქტით არის განპირობებული, რომ საქართველოში უმეტესად ტრადიციის გამო მისდევენ რელიგიას. ამ მოტივით ასრულებს ხალხი რელიგიურ საკულტო წეს-ჩვეულებებს და მასიურად მონაწილეობს რელიგიურ დღესასწაულებში. შესაძლებელია ყველა არ იყოს მორწმუნე მათგან, ვინც ტრადიციის ძალით ემხრობა რელიგიას, მაგრამ ეკლესიისათვის მაინც ძლიერ ხელსაყრელია ასეთი მრევლის ყოლა. ეკლესიას გარკვეული შემოსავალი აქვს ამ ხალხისაგან, და რაც მთავარია, მათი მეშვეობით რელიგიური ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა.

დღეს ჩვენში ზოგიერთი მეცნიერი რელიგიურ ტრადიციებს ერის კულტურის ტრადიციებთან აკავშირებს და ამ მოტივით მოითხოვს რომ [illegible] გავუფრთხილდეთ მათ. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება არ არის [illegible]

ჩვენს ათეისტურ მუშაობაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რელიგიის მოდერნიზაცია. რელიგიური მოდერნიზმი მიზნად ისახავს დროის მოთხოვნილებებს შეუსაბამოს თავისი სოციალური დოქტრინა, გადასინჯოს ტრადიციული შეხედულება ადამიანის ადგილისა და როლის შესახებ სამყაროში; განწმინდოს თეოლოგია და კულტი თანამედროვე რელიგიური ცნობიერებისათვის მიუღებელი არქაიზმებისაგან; გახადოს რელიგია უფრო დახვეწილი და შექმნას ილუზია, თითქოს იგი უპასუხებს საზოგადოებრივი პროგრესის ძირითად მოთხოვნებს.

მოდერნიზმის მიმდევარი თეოლოგები ცდილობენ მიაღწიონ მეცნიერებისა და თეოლოგიის ისეთ სინთეზს, რომელიც საშუალებას მისცემთ გამოიყენონ მეცნიერების თანამედროვე მიღწევები რელიგიური რწმენის დასაცავად და რელიგიის ღირსების დასასაბუთებლად. ათეისტურ პროპაგანდაში საჭიროა ნათელვყოთ, რომ რელიგია სწორედ მოდერნიზაციის გზით ეძებს ახალ საშუალებებსა და მეთოდებს მეცნიერული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის გაუგებარია, რა დამოკიდებულება არსებობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, რაში მდგომარეობს რწმენის თავისუფლება და სხვ. ბევრი ადამიანი თვლის, რომ რაკი ეკლესია ჩვენი სახელმწიფოსადმი ლოიალურ დამოკიდებულებაშია და სახელმწიფო არ კრძალავს მოქმედ ეკლესიებს, ანტირელიგიურ პროპაგანდასაც აღარ უნდა ვეწეოდეთ. ამიტომ საჭიროა, ჩვენში ათეისტური პროპაგანდა მეცნიერულ დონეზე აშუქებდეს ყოველ საკითხს მოცემულ სფეროში; იგი ხელს უნდა უწყობდეს მშრომელთა აღზრდას მაღალიდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, გამსჭვალული უნდა იყოს ადამიანისადმი სიყვარულით და გულწრფელი ზრუნვით მის ბედ-იღბალზე.

Н. ЧУТКЕРАШВИЛИ

## ПРИЧИНЫ РЕЛИГИОЗНЫХ ПЕРЕЖИТКОВ И ИХ ИСКОРЕНЕНИЯ


**Резюме**

В труде рассмотрены объективные и субъективные причины существования религиозных пережитков. Удостоверены конкретные пути их преодоления. Доказано, что преодоление религиозных пережитков невозможно без индивидуального подхода к верующим. Особое внимание уделено вопросам мотивировки религиозности. В связи с этим дается классификация верующих.

В труде доказано, что на современном этапе борьба против религиозной идеологии является неотделимой частью коммунистического воспитания советских людей.


ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX 1974 г.

ა. ქავლელაშვილი

## თანამედროვე რელიგიის კრიზისის ზოგიერთი ნიშანი

თანამედროვე საზოგადოება, ადრინდელი ეპოქებისაგან განსხვავებით, ხასიათდება მოძრაობა-ცვალებადობის არნახული სიღრმითა და მასშტაბებით. დღეს მასში მიმდინარეობს მკვეთრი სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცვლილებები. აღნიშნული გარემოება, ცხადია, თავისებურ გავლენას ახდენს თანამედროვე რელიგიის სტრუქტურაზე და შინაარსზე, მნიშვნელოვაწილად არყევს ეკლესიის პოზიციებს. თუ ადრე რელიგია მოიცავდა და განსაზღვრავდა მთელი საზოგადოების იდეოლოგიას, ახლა მდგომარეობა შეიცვალა. მან დაკარგა საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობა. თანამედროვე ეპოქაში რელიგია შევიდა არნახული კრიზისის ფაზაში. საზოგადოების დღევანდელი განვითარების ეტაპთანაა დაკავშირებული რელიგიური იდეოლოგიის კრიზისის საერთო გაღრმავება, რელიგიის და ეკლესიის გავლენისაგან საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განთავისუფლება. უდავოა, რომ დღეს რელიგიის ავტორიტეტი ეცემა. ამიტომ არ ცდებიან ის მოაზროვნეები, რომლებიც თანამედროვე ეპოქას განსაზღვრავენ, როგორც რელიგიის „კრიზისის ეპოქას“.

რელიგიის კრიზისი, როგორც ზოგადი, თავის კონკრეტულ გამოვლენას პოულობს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ეს კრიზისი მოიცავს მრავალ კერძო მომენტს ეკლესიის საქმიანობაში. რელიგიის საერთო კრიზისსა და მის კონკრეტულ გამოვლენას შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც ზოგადსა და ერთეულს შორის.

რელიგიის კრიზისი გამოწვეულია ახლანდელი საზოგადოების განვითარების ხასიათით, რომლის მთავარი თავისებურებაა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. თანამედროვე ეპოქა წინა ეპოქებისაგან გამოირჩევა სწორედ სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციით, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე, გარდაქმნის ადამიანთა ფსიქოლოგიას, მათ რელიგიურ განწყობილებას. რაც თავის მხრივ განსაზღვრავს რელიგიური იდეოლოგიის თავისებურებას.

მაშასადამე, რელიგიის კრიზისის განმსაზღვრელია, ერთი მხრივ, ის სოციალური და პოლიტიკური ძვრები, რომელთაც ადგილი აქვთ თანამედროვე ეპოქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, მეორე მხრივ, თვით მორწმუნეთა რელიგიური განწყობილების შეცვლა და მისი უკუზემოქმედება რელიგიურ იდეოლოგიაზე.

თანამედროვე ეპოქის ძირითადი ნიშანია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. ამ გადასვლის სიჩქარე და ინტენსივობა კი გარკვეული ზომით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად განთავისუფლდებიან მშრომელი მასები რელიგიური ცრურწმენებისაგან და დადგებიან მეცნიერული ათეიზმის პოზიციებზე, შეიარაღდებიან მარქსისტული მსოფლმხედველობით. ამიტომ თანამედროვე რელიგიის მდგომარეობის შესწავლა მოგვცემს მისი არსების გასაღებს და მასთან ბრძოლის ახალი მეთოდების და ფორმების შემუშავების შესაძლებლობას.

თანამედროვე მსოფლიოში რელიგიის კრიზისმა მიიღო ფართო მასშტაბები. თვით საეკლესიო ორგანიზაციებიც კი იძულებულები არიან აღიარონ ის ფაქტი, რომ თუ დღეს, მაგალითად, ქრისტიანები შეადგენენ დედამიწის მოსახლეობის 30%-ს და გავითვალისწინებთ რელიგიის დაქვეითების არსებულ ტენდენციას, მაშინ საუკუნის დასასრულს ეს რიცხვი შემცირდება 16%-მდე. ამავე აზრისაა ბურჟუაზიული სოციოლოგი გერმანე კანი. იგი, განიხილავს რა ჩვენს ეპოქაში საზოგადოების განვითარების გლობალურ პერსპექტივებს, ამტკიცებს, რომ რელიგიის დაცემა ახლა შეიმჩნევა დედამიწის ყველა კუთხეში და ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება.

რელიგია რომ დაცემას განიცდის, ამას მოწმობს არა მარტო სიტყვიერი განცხადებები, არამედ თვით ცხოვრების რეალური ფაქტები და მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები. ასეთი გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მსოფლიო კათოლიციზმის ბურჯის—იტალიისათვის დამახასიათებელია მასების უკუქცევა რელიგიისაგან. ჯერ კიდევ 1963 წელს ამერიკის კათოლიკური ჟურნალი „საუტი" წერდა, რომ იტალიაში ეკლესიის მდგომარეობა აწუხებს ბევრ კათოლიკეს, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკლესია სულ უფრო კარგავს კონტაქტს მასებთან. იტალიური ჟურნალის „პონტეს" მიერ 1955 წელს მოყვანილი მონაცემების მიხედვით ბევრი იტალიელი ფორმალურად არ არის მოწყვეტილი ეკლესიისაგან და ისაზღვრებიან მხოლოდ ისეთი რელიგიური მოვალეობის შესრულებით როგორიცაა: მონათვლა, ქორწინება და დაკრძალვა. შემდეგ ჟურნალი წერს, რომ იტალიის მთელი მოსახლეობის მეოთხედზე ცოტა მეტი არიან მორწმუნე კათოლიკები, რომლებიც რეგულარულად ასრულებენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი ეკლესიის მიმართ ინდიფერენტულია. ხოლო 1966 წელს იტალიელი იეზუიტების ჟურნალი „ჩივილტა კათოლიკა" წერდა, რომ იტალიაში კათოლიკების მხოლოდ 25—30% დადის ეკლესიაში რეგულარულად და ასრულებს რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

რელიგიის გავლენა ეცემა საფრანგეთშიც. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: 1954 წლის 14 მარტს მოეწყო პარიზის საეპისკოპოში შემავალ ყველა ეკლესიაში მლოცველთა აღწერა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ პარიზის 5007000 მცხოვრებიდან საკვირაო მესას ესწრებოდა მხოლოდ 626131 კაცი, ე. ი. 12%-ზე ცოტა

მეტი. 1962 წლის 18 მარტს კვლავ ჩატარდა გამოკვლევა პარიზის ეკლესიებში მესაზე დასწრების შესახებ. მან აჩვენა, რომ ამ დღეს საკვირაო წირვა-ლოცვას დაესწრო მხოლოდ 609899 კაცი, ე. ი. 10,9%. მოტანილი ციფრი გვიჩვენებს, რომ პარიზის მცხოვრებლებზე ეკლესიის გავლენა თანდათან სუსტდება. ამ ფაქტის კონსტანტაციას ახდენს 1962 წლის 17 სექტემბრის იტალიური გაზეთი „მისაჯერო", როცა წერს, რომ საფრანგეთის მოსახლეობის მხოლოდ 14% დადის ეკლესიაში და ასრულებს რელიგიურ წესებს, ამასთანავე არსებობს რაიონები, სადაც მთელი მოსახლეობა დექრისტიანიზებულია.

რელიგიისაგან მოსახლეობის მოწყვეტა დამახასიათებელია ისეთი ქვეყნისთვისაც, როგორიცაა ესპანეთი, რომელსაც ვატიკანი ყოველთვის თვლიდა კათოლიციზმის ბასტიონად. ესპანეთის სამღვდელოების მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 15—17% მონაწილეობს აქტიურად რელიგიურ ორგანიზაციათა ცხოვრებაში. ესპანეთის საეკლესიო ძოლვაწეები შეშფოთებულები არიან რელიგიისადმი მოსახლეობის გულგრილობის გაძლიერების გამო. ვატიკანის მეორე კრებისადმი მიწერილ 700 ბასკი მღვდლის წერილში ნათქვამია: „ბოლო 27 წლის მანძილზე ეკლესიასა და ხალხს შორის გაჩნდა ღრმა უფსკრული.. საეკლესიო ხელისუფლება მორწმუნეებს ველარ შთააგონებს იმ პატივისცემას, რომლითაც ის სარგებლობდა ადრე. დღეს მორწმუნეები აშკარად აცხადებენ პროტესტს რელიგიისადმი".

ეკლესია თავის მომხრეებს კარგავს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. 1952 წელს გერმანელი ეპისკოპოსების მიმდინარე კონფერენციაზე გამოითქვა შეშფოთება, იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგიისაგან მასების უკუქცევა მასიური მოვლენა გახდა. თომას ელვენი, წიგნში „კლერიკალიზმი გერმანიის პოლიტიკაში", აღნიშნავს: „დასავლეთ გერმანიის კლერიკალი მწერლები წუხან იმ საბაბის გამო, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წირვა-ლოცვას რეგულარულად ესწრება მხოლოდ 47,5% კათოლიკე". ხოლო ჰამბურგის ჟურნალი „შპიგელი" 1967 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე აკეთებს დასკვნას: „მთლიანად ეკლესია იმყოფება ისეთნაირ უმაგალითო კრიზისში, რომელშიც არ ყოფილა თავისი / არსებობის ორიათასი წლის ისტორიის მანძილზე...".

რელიგიას არასახარბიელო მდგომარეობა აქვს ავსტრიაში. 1964 წელს ავსტრიის ჟურნალი „დი ცუკუნფტი" წერდა, რომ ეკლესიაში დადის მოსახლეობის 34,5%. ხოლო ამავე წელს მეორე ჟურნალი „ეტუნდეს" წერდა, რომ საეკლესიო სტატისტიკის მონაცემებით, ავსტრიის მოსახლეობის 89%-ს შეადგენს კათოლიკები, აქედან ე. წ. პრაქტიკული მორწმუნეები შეადგენენ 35%-ს: 32% წარმოადგენს მორწმუნეებს, მხოლოდ ქაღალდზე, ე. ი. არა აქვთ არავითარი ურთიერთობა ეკლესიასთან.

დაახლოებით რელიგიის ასეთივე მდგომარეობაა ინგლისშიც. ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის ნ. ბირნბაუმის მონაცემების მიხედვით, ქ. იორკში სააღდგომო დღესასწაულზე ეკლესიაში დადის მცხოვრებლების ერთი მერვედი, რო-

ცა 60 წლის წინათ დადიოდა ყოველი მესამე მცხოვრები. საინტერესოა ასეთი ფაქტიც: გაზეთმა „სანდი ტელეგრაფმა“ ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა თემაზე: „იზრდება თუ სუსტდება რელიგიის გავლენა ინგლისელის ცხოვრებაზე?“... დაკითხულთა 9%-მა უპასუხა, რომ რელიგიის გავლენა იზრდება, ხოლო 65%-მა უპასუხა, რომ რელიგია სულ უფრო კარგავს თავის გავლენას.

რელიგიის გავლენის შესუსტება დამახასიათებელია აგრეთვე სხვა კონტინენტებისათვისაც, განსაკუთრებით, ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის. ასე მაგალითად, ბრაზილიის დედაქალაქის რიო-დე-ჟანეიროს ეკლესიებში დადის მოსახლეობის 15%, ლიმაში (პერუ)—მხოლოდ 18 პროცენტი.

ლათინური ამერიკის ეპისკოპოსთა კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1958 წლის ივნისში, საკვირაო მესაზე დასწრების შესახებ მოყვანილი იქნა ასეთი მონაცემები: ლათინური ამერიკის კონტინენტზე მესაზე ესწრებოდა მამაკაცების 3,5% და ქალების 9,5%: ლათინური ამერიკის ქალაქებში ეკლესიაში მოსიარულეთა საშუალო ციფრი არ აღემატება 17-18%-ს.

რელიგიის პოზიციები სუსტდება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. თუმცა იქ ამ პროცესს ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება, გამომდინარე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობებიდან. ამერიკელ სოციოლოგს ჯ. ნათანსონს, 1955 წელს ამერიკულ ცნობარში გამოქვეყნებულ სტატიაში, მოაქვს მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკლესია კარგავს გავლენას მასებში; 64 მილიონი ამერიკელი არ დადის ეკლესიაში. ამავე აზრისაა ვან ვეზეპი, რომლის მონაცემებით ახლა ამერიკის ეკლესიაში რეგულარულად დადის მთელი მოსახლეობის 5%.

რაც შეეხება აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებს, აქ თითქმის ყველგან შეიმჩნევა სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში. ქალაქური ცხოვრება კი ცვლის არა მარტო ადამიანების ყოფას, არამედ ზემოქმედებს მათ აზროვნებაზე და ნაწილობრივ გავლენას ახდენს მათ რელიგიურობაზე. რადგან ამ ქვეყნების განვითარების გზა ემთხვევა მოწინავე ქვეყნების განვითარების უკვე გავლილ გზას, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში ახლანდელ განვითარებად ქვეყნებში რელიგია აღმოჩნდა ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ის დღეს იმყოფება მოწინავე, განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნული პროცესი უკვე დაწყებულია და ნათლად შეიმჩნევა ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში. ეს ფაქტი შეშფოთებით აღინიშნება თვით ეკლესიის მსახურთა მიერ. აი რას წერს ამის გამო კათოლიკე აბატი უთარი: „ბენგალიის კონგოში ან საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში კარგად ცნობილ ფაქტად იქცა რელიგიის გავლენისაგან ქალაქების განთავისუფლების პროცესი... ეს მოვლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ კათოლიკური რელიგიის ჩარჩოებით. იგი ეხება ასევე სხვა რელიგიურ ჯგუფებსაც. ეს გარემოება შეიმჩნევა აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკის მუსულმანებშიც... ჩანს, რომ მსოფლიოს თანამედროვე ევოლუციას თავისთავად მოსდევს რელიგიის მიმართ გულგრილობა, ძირითადად ქალაქის წრეებში“. ნათქვამიდან

ნათელია, რომ განვითარებად ქვეყნებში რელიგიის იდეოლოგები და ღვთის მსახურები მომავლისაგან სიკეთეს არ უნდა მოელოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური ქვეყნების მიმართ ე. წ. „რელიგიის კრიზისი“ არაა საკმარისი, რადგან აქ მიმდინარეობს გეგმაზომიერი და სისტემატური პროცესი ყოფიერებაში და ცნობიერებაში რელიგიური გადმონაშთების გადალახვისა. სოციალიზმის ქვეყნებში დაეცა რელიგიის პრესტიჟი, ხალხი იცილებს რელიგიურ შეხედულებებს. ათეიზმი გახდა სიმბოლო მოწინავე, პროგრესული მსოფლმხედველობის, ხოლო მორწმუნეობა ითვლება კონსერვატორობად, ჩამორჩენილობად. სოციალიზმის მშენებლობის პროცესში წარმოიშობა ანტაგონისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ცნობიერების საწინააღმდეგო-სოციალისტური საზოგადოებრივი ცნობიერება, სადაც რელიგია სულ უფრო და უფრო მცირე ადგილს იჭერს.

რა თქმა უნდა, სოციალისტურ ქვეყნებში, მათ რიცხვში—თვით სსრ კავშირშიც, რელიგიური გადმონაშთები ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ეჭვი არ არის რომ მასების რელიგიისაგან უკან დახევის პროცესი მიმდინარეობს სულ უფრო ინტენსიურად, ხოლო დღეისათვის მოსახლეობის უმრავლესობა განთავისუფლდა რელიგიისაგან.

ამრიგად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში რელიგიის მდგომარეობის განხილვამ გვიჩვენა, რომ რელიგიისაგან მოსახლეობის უკუქცევა დამახასიათებელია არა მარტო რომელიმე ერთი ქვეყნისათვის, არამედ მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნისათვის.

მართალია, მსოფლიოში რელიგია განიცდის მწვავე, გადაულახავ კრიზისს, მაგრამ ამავე დროს იბადება კითხვა, თუ რა კონკრეტული ნიშნებით ვლინდება ეს მოვლენა თანამედროვე პირობებში?

თანამედროვე მსოფლიოში რელიგიის კრიზისის პირველ ძირითად ნიშანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეკლესია კარგავს თავის მომხრეებს ახალგაზრდებს შორის. მსოფლიო ახალგაზრდობა ძალიან ცოტას ზრუნავს რელიგიურ პრობლემებზე. ისინი ჩამოცილდნენ რელიგიას, არ იჭერენ მასთან კავშირს. 1962 წლის 11 სექტემბერს ჟურნალი „ჩივილტა კათოლიკა“ წერდა, რომ ახალგაზრდობის მხოლოდ 35% თვლის თავს მორწმუნედ და განაგრძობს: „ჩვენ ვამჩნევთ ახალგაზრდობის სულიერ ჩამოშორებას ეკლესიისა და სამღვდელოებისაგან. ისინი ლოცულობენ, მაგრამ ეს ლოცვა — მხოლოდ ფრაზებია, წარმოთქმული ამაზრზენი მექანიკურობით. ეს ხატოვანი სპექტაკლია, რომელიც რჩება მხოლოდ გარეგნულ გამოვლენად და არ პოვებს გამოძახილს სულის სიღრმეში“.

დასავლეთგერმანული გაზეთი „დი ველტი“ 1963 წლის აგვისტოში წერდა, რომ ახალგაზრდობისათვის რელიგია ხდება სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველი. გერმანული გაზეთის ამ დებულებას ასაბუთებს გაზეთი „დეილი ტელეგრაფის“ მიერ მოტანილი ცნობა, რომლის მიხედვითაც ინგლისის თეოლოგიურ კოლეჯებში სტუდენტების ადგილების 30% თავისუფალია.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ადამიანის სულიერ და მატერიალურ სფეროში მომხდარი უდიდესი ძვრები, აიძულებს ახალგაზრდობას ეძიოს ცხოვრების სხვა სფეროები და იქ გამოიყენოს თავისი ძალა და ენერგია [illegible]ხუროს ეკლესიას. ახალგაზრდობა ისწრაფვის, მონაწილეობა [illegible]ნის სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში, ისინი ითვისებენ მოწინავე იდეებს და საეკლესიო კარიერა აღარ მიაჩნიათ მიმზიდველად.

რელიგიის კრიზისის მეორე ძირითად ნიშანს წარმოადგენს მისგან მუშათა კლასის ჩამოშორება. ორმოც წელზე მეტი გავიდა იმ დღიდან, რაც რომის პაპმა პიუს XI განაცხადა „XIX საუკუნის ყველაზე საშინელ შერყევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეკლესიამ არსებითად დაკარგა მუშათა კლასი". ეს პროცესი არ შეცვლილა არც XX საუკუნეში, პირიქით უფრო გაფართოვდა და გაძლიერდა. თანამედროვე გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ეკლესიასთან პროლეტარიატი ნაკლებადაა დაკავშირებული და სულ უფრო მეტად თავისუფლდება მისი გავლენისაგან.

საფრანგეთში ყოველ 100 მუშა მამაკაციდან ორზე ნაკლები და ყოველ 100 მუშა ქალიდან სამზე ნაკლები იცავს საეკლესიო წეს-ჩვეულებებს.

საფრანგეთი ერთადერთი ქვეყანა არაა, სადაც მუშები სუსტად არიან დაკავშირებული ეკლესიასთან ან ტოვებენ მას. ეს მოვლენა დამახასიათებელია სხვა ქვეყნებისათვისაც. ესპანეთის კათოლიკურმა ჟურნალმა „ეკლეზიამ" აღნიშნა, რომ ესპანეთის მშრომელთა 73% მტრულადაა განწყობილი ეკლესიის მიმართ და მხოლოდ 16% ესწრება მესას. ხოლო ავსტრიის ჟურნალი „ფორუმი" წერს, რომ ეკლესია და ინდუსტრიული საზოგადოება ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე. გერმანული საეკლესიო ენა მუშებისათვის წარმოადგენს უცხო ენას.

ეკლესიასა და მუშებს შორის განხეთქილებას არ მალავენ ეკლესიის ავტორიტეტული ხელმძღვანელებიც კი. 1965 წლის პირველ მაისს პაპი პავლე VI ამბობდა: „განხეთქილება შრომის სამყაროსა და რელიგიას შორის ჯერ კიდევ არაა ლიკვიდირებული. ეს პრობლემა კვლავ რჩება."

ღვთისმსახურები ცდილობენ როგორმე მოაგვარონ ეს პრობლემა და დატოვონ მშრომელები უწინდებურად რელიგიის გავლენის ქვეშ. ისინი მიდიან სამუშაო ობიექტებზე და მართავენ საუბრებს. ასე, მაგალითად, თვით პავლე VI ამ ბოლო წლებში არაერთხელ მივიდა უშუალოდ საწარმოო-დაწესებულებებში. ტორონტოს მეტალურგიული ქარხნის მუშებთან საუბარში მან თქვა: „ეკლესიას თქვენი ესმის, უფრო მეტიც, ის თქვენ გიცავთ.. არ არის საფუძველი შრომასა და რელიგიას შორის განხეთქილებისათვის". მაგრამ ასეთი შეგონებანი მდგომარეობას ვერ ასწორებს. მღვდლები, ეკლესიაში მოსულ მლოცველებთა შორის სულ უფრო იშვიათად ხედავენ წარმოების მუშებს. და ეს გასაგებიცაა: მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებულ დღევანდელ მუშათა კლასს ეკლესია და რელიგია მფარველად კი აღარ მიაჩნია, არამედ მის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მტრად. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ასეთ ურთიერთობაში მშრო-

მელი მასები ჩამოცილდნენ რელიგიას. რელიგიისაგან მშრომელთა [illegible] საყოველთაო და კანონზომიერი მოვლენა გახდა.

მშრომელების და ახალგაზრდობის რელიგიისაგან გათიშვის [illegible] სიის წინაშე მთელი სიმწვავით აყენებს ღვთისმსახურთა კადრების [illegible] ღვთისმსახურთა კადრების შევსების სიძნელე წარმოადგენს რელიგიის კრიზისის მესამე ნიშანს.

საეკლესიო მრევლის შემცირების გამო, სულ უფრო ნათელი ხდება ღვთისმსახურთა საქმიანობის საზოგადოებრივი უსარგებლობა. მოსახლეობის ფართო წრეებში მათი მოღვაწეობა არ არის პოპულარული. თვით მორწმუნეებიც კი სკეპტიკურად უყურებენ კულტის მსახურებს. ნათქვამს ადასტურებს შემდეგი: სამღვდელოების მდგომარეობას და მათთან მორწმუნეების დამოკიდებულებას სწავლობს კანონიკე ბულარი, რომელიც აღნიშნავს, რომ მღვდელს უყვარს ფული და ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გამდიდრდეს. ადამიანები ხდებიან მღვდლებად იმიტომ, რომ ამან მათ შემოსავალი მოუტანოს და არა შინაგანი მოწოდებით. მათი „უწმინდესობის“ ღირსებას დღეს დიდი შავი ლაქა დააჩნდა.

ეცემა რა ღვთისმსახურთა პრესტიჟი მასებში, ეკლესია განიცდის სამღვდელოების ახალი კადრების ნაკლებობას, რაც (ამას თვით საეკლესიო მოღვაწეებიც აღნიშნავენ) დიდ საშიშროებას უქმნის ეკლესიის მომავალს. 1904 წელს საფრანგეთში 3910000 მოსახლეზე იყო 55096 მღვდელი, ხოლო 1941 წლისათვის მოსახლეობა გაიზარდა 41 მილიონამდე, მღვდლების რიცხვი კი შემცირდა 39370-მდე.

1961 წლის 11 აპრილს ვატიკანის გაზეთი „ობსერვატორი რომანო“ წერდა, რომ კათოლიკურ ეკლესიას იტალიაში ჭირდება 1250 ახალი მღვდელი, ხოლო სემინარიებში მზადდება ამ რიცხვის ნახევარი. ასევეა მექსიკაშიც: 1964 წელს მიღებული იქნა 12 ახალი მღვდელი, ე. ი. ერთი ახალი მღვდელი ყოველი სამი მილიონი მცხოვრებიდან.

ღვთისმსახურთა ახალი კადრების პრობლემის სიმწვავე მასებში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ეკლესიის პრესტიჟის დაცემის შედეგია, ხოლო ღვთისმსახურთა კარიერისადმი ახალგაზრდობის ინტერესის დაცემა თავის მხრივ აიხსნება ეკლესიის სოციალური ბაზის შემცირებით. თუ ოდესღაც მორწმუნეები დადიოდნენ მღვდელთან, ახლა მან თვითონ უნდა იაროს მათთან. დღევანდელი მღვდელი მარტოა ფიზიკურად და მორალურად. ეს წყვეტს ახალგაზრდა ადამიანებს სასულიერო კარიერისაგან. ახალგაზრდა, მორწმუნეც კი, უხალისოდ თანხმდება ეკლესიას მიუძღვნას თავისი ცხოვრება. სასულიერო კარიერა სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდება.

რომში მოწვეულმა თათბირმა დაადასტურა, რომ დღევანდელი იტალიელი ახალგაზრდა ფიქრობს ნებისმიერ საქმიანობაზე, ოღონდ მღვდლის პროფესიაზე არა. სასულიერო სემინარიიდან გამოშვებული ახალგაზრდების 10—15%

რჩება მღვდლებად, დანარჩენები კი, მართალია, იღებენ დიპლომს მაგრამ უარს აცხადებენ მღვდლად წასვლაზე. დასავლეთ გერმანიაში მღვდლების ადგილების 40% ვაკანტურია. მსგავსი მდგომარეობაა სხვა ქვეყნებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიები ხელმოცარულობას განიცდიან არა მხოლოდ ახალი კადრების აყვანაში, არამედ ისინი კარგავენ კიდეც ძველი კადრების ნაწილს. ღვთისმსახურობაზე უარის თქმა ცნობილი მოვლენა გახდა დასავლეთ ევროპაში. ასე მაგალითად, ყოფილი იეზუიტის პერა პეტეტის მონაცემებით, რომელიც 1962 წელს ჟურნალმა „შპიგელმა“ გამოაქვეყნა, 1947 წლიდან 1962 წლის ჩათვლით საფრანგეთის ეკლესიებიდან წავიდა 1700 მღვდელი, ხოლო ამავე პერიოდში 53 ათასი იტალიელი მღვდლიდან წავიდა 6 ათასი, ე. ი. 10%. ეს პროცესი ახლაც გრძელდება და არ არის რაიმე საფუძველი ვიფიქროთ, რომ როდესმე შეჩერდება.

ამრიგად, უკვე დამტკიცებულის საფუძველზე, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რელიგია იმყოფება თავისი არსებობის უკანასკნელ საფეხურზე და განიცდის მეტად ღრმა კრიზისს. ეს კრიზისი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვლინდება კონკრეტული ნიშნებით, კერძოდ: რელიგიისაგან ახალგაზრდობის მოწყვეტით, მისგან მშრომელი მასების უკუქცევით, სამღვდელოების ახალი კადრების პრობლემის სიმწვავით და ა. შ. ხოლო ეკლესიის გალატაკების ფაქტები უკვე მრავალი წლის განმავლობაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ბურჟუაზიის და რელიგიურ ორგანიზაციათა იდეოლოგებში. ისინი შეძრწუნებულნი ადასტურებენ, რომ ხალხთა მასები თავისუფლდებიან მათი გავლენისაგან, რომ რელიგია და ეკლესია კარგავს ბატონობას ხალხის გონებაზე. საეკლესიო იერარქია ჩივის ამ პროცესის გაძლიერების გამო. პაპმა პიუს XII 1953 წელს განაცხადა: „ამჟამად მკვეთრად გაიზარდა რელიგიის მიმართ გულგრილად მოპყრობილი და ურწმუნო ადამიანთა რიცხვი“.

ამრიგად, თანამედროვე საზოგადოების განვითარება, სოციალური რევოლუციები, მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლა, განათლების გავრცელება, რელიგიას აყენებს მძლავრ დარტყმებს და არყევს მასებზე მისი გავლენის საფუძვლებს. მიუხედავად ამისა, დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს სოციალური საფუძვლები, რომლებიც კვებავენ რელიგიას; მაგრამ ამ საზოგადოების განვითარების პროცესში იქმნება ობიექტური პირობები, რომლებიც ახდენენ ამ საფუძვლების თანდათანობით აღმოფხვრას, კერძოდ, ეს პირობები აღრმავებენ რელიგიისა და მასების განხეთქილებას. კლასობრივი ბრძოლა და მასში მორწმუნეების ჩაბმა—მასების რელიგიის გავლენისაგან განთავისუფლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორთაგანია.

| " " % | 100 | 81,0 | 62,1 | 62,0 | 60,0 |
| სულ მთლიანი პროდუქციის ღირებულება (ათას მან.) | 301407 | 360139 | 439342 | 461992 | 460976 |
| " " % | 100 | 119,6 | 145,8 | 153,0 | 152,0 |
| კაცდღეების დანახარჯები ჩაის ფოთლის წარმოებაზე (ათასებში) | 10040 | 12505 | 11707 | 11656 | 11365 |
| " " % | 100 | 125,0 | 120,0 | 120,0 | 120.0 |
| ჩაის ფოთლის ღირებულება (ათას მან). | 70370 | 81840 | 108872 | 111724 | 115158 |
| " " % | 100 | 117,1 | 155,7 | 160,0 | 164,2 |
| კაცდღეების დანახარჯები ყურძნის წარმოებაზე (ათას მან.) | 5068 | 4900 | 3800 | 3675 | 3300 |
| " " % | 100 | 99,0 | 80.0 | 74.0 | 66.0 |
| ყურძნის ღირებულება (ათას მან.) | 21920 | 37720 | 48920 | 36440 | 20200 |
| " " % | 100 | 172,7 | 222,7 | 163,6 | 90,0 |
| კაცდღეების დანახარჯები ხილის წარმოებაზე (ციტრუსების გარდა) | 958 | 801 | 634 | 408 | 389 |
| " " % | 100 | 83,5 | 66,1 | 42,5 | 40,7 |
| ხილის ღირებულება (ციტრუსების გარდა) | 6092 | 5628 | 9077 | 4200 | 6328 |
| " " % | 100 | 92,3 | 149,3 | 69,0 | 104,0 |
| კაცდღეების დანახარჯები მარცვლეულის წარმოებაზე (სიმინდის გარდა) | 4391 | 3424 | 1459 | 1485 | 1200 |
| " " % | 100 | 70,0 | 30,6 | 30,6 | 24,0 |
| მარცვლეულის ღირებულება (სიმინდის გარდა) | 14499 | 12240 | 11430 | 15570 | 13500 |
| " " % | 100 | 84,4 | 79,0 | 107,3 | 93,1 |

პროდუქციის წარმოებაზე კაცდღეების დანახარჯების დინამიკა ნათლად გვიჩვენებს ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის შედეგად როგორ მცირდება კაცდღეების დანახარჯები და იზრდება წარმოებული პროდუქცია (ცხრილი 2).

ცხრილიდან ჩანს, რომ მოცემული წლების მიხედვით (ჩაის ფოთლის გარდა) მნიშვნელოვნად შემცირდა კაცდღეების დანახარჯები, როგორც მთლიანი პროდუქციის, აგრეთვე ყურძნის, ხილის (ციტრუსების გარდა) და მარცვლეულის (სიმინდის გარდა) წარმოებაზე მაშინ, როცა პროდუქციის წარმოება (ღირებულებით) მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1960 წელთან შედარებით კაცდღეების დანახარჯები შემცირდა: 1965 წელს—19,0, 1970 წელს—37, 1971 წელს—38,0, 1972 წელს—40,0, ხოლო მთლიანი პროდუქციის წარმოება გაიზარდა 1965 წელს—19,6, 1970 წელს—45,8, 1971 წელს 53,0, 1972 წელს—52,0%-ით.

ყურძნის წარმოებაზე, კაცდღეების დანახარჯები შემცირდა: 1965 წელს—1,0, 1970 წელს—20,0, 1971 წელს—26,0, 1972 წელს—34,0, ხოლო პროდუქციის წარმოება შესაბამისად 72,7, 122,7, 63,6 პროცენტით გაიზარდა. 1972 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ყურძნის მოსავალი შემცირდა არახელსაყრელი კლიმატური (ყინვები) პირობების გამო.

ხილის წარმოებაზე დანახარჯები შემცირდა 1965 წელს—16,5, 1970 წელს—33,9, 1971 წელს—57,5, 1972 წელს—59,3, ხოლო ხილის წარმოება 1970 წელს—49,3 პროცენტით გაიზარდა, 1972 წელს—4,0, რაც შეეხება 1971 წელს მეწლეობის გამო, დაბალი იყო ხილის მოსავალი.

მარცვლეულის წარმოებაზე კაცდღეების დანახარჯები შემცირდა 1965 წელს—30,0, 1970წელს —69,4, 1971 წელს—69,4, 1972 წელს—75,5 პროცენტით, მაშინ, როცა პროდუქციის წარმოება მხოლოდ უმნიშვნელოდ (საშუალოდ 10,3%-ით შემცირდა)[9].

რაც შეეხება ჩაის ფოთლის წარმოებაზე კაცდღეების დანახარჯების ზრდას, იგი აიხსნება ჩაის მწვანე ფოთლის წარმოების სპეციფიკური ხასიათით. კერძოდ, სასუქების გამოყენების გადიდების გამო და აგრეთვე კარგ კლიმატურ პირობებში მკვეთრად იზრდება ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა, რაც იწვევს ჩაის კრეფის ხარჯების (და შესაბამისად საერთო დანახარჯების) გადიდებას. რადგან, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით ჩაის ფოთლის კრეფა ძირითადად ხელით სრულდება. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად მიუთითებს მ. გველესიანი, რომ „ერთი ტა ჩაის დამუშავებისათვის საჭირო კაცდღეების დანახარჯების (50—60%) ჩაის ფოთლის კრეფაზე მოდის"[10].

მოტანილი წლების მიხედვით ჩაის ფოთლის წარმოებაზე კაცდღეების დანახარჯები 1960 წელთან შედარებით შემდგომი წლების მიხედვით საშუალოდ 21,0 პროცენტით გაიზარდა. მაშინ, როცა ჩაის ფოთლის ღირებულება საშუალოდ 49,2 პროცენტით გადიდდა. ე. ი. კაცდღეების დანახარჯების ზრდასთან შედარებით წარმოებული ჩაის ფოთლის ღირებულება 2-ჯერ მეტად გადიდდა.

---

[9] სახნავი მიწები ფართობის შემცირების გამო მოცემულ წლებში შემცირდა მარცვლეულის საერთო მოსავალი.

[10] მ. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი—ჩაის კრეფის მექანიზაციის ეკონომიური საკითხები, თბ., 1954, გვ. 8.

ამრიგად, მეორე ცხრილში მოცემული მონაცემები იმავეს მოწმობენ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სამუშაო ძალის დანახარჯების თანდათანობითი შემცირების პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც მთლიანი, ისე წამყვანი დარგების პროდუქციის წარმოება, რაც წარმოებულ პროდუქციაში განივთებული შრომის ხვედრითი წილისა და შრომისნაყოფიერების ზრდით უნდა აიხსნას.

კოლმეურნეობებში წარმოების საშუალებათა, პირველ რიგში, ძირითადი საწარმოო ფონდების როლის ზრდას, უფრო სრულიად გამოსახავს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალური დანახარჯების, პირველ რიგში ამორტიზაციის ხარჯების ხვედრითი წილის ზრდა. მონაცემები შრომის პირდაპირი და მატერიალური დანახარჯების შესახებ მოცემულია მესამე ცხრილში.

ცხრილში მოცემული მონაცემები გვიჩვენებენ იმ საერთო კანონზომიერებას, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში ნივთობრივი ფაქტორების ზრდის შედეგად, წარმოებული პროდუქციის ღირებულებაში სისტემატურად იზრდება წარსული (განივთებული) შრომის წილი და შესაბამისად მცირდება ცოცხალი შრომის წილი. ასე, მაგალითად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში 1960 წელთან შედარებით 1970—1972 წწ. მატერიალური დანახარჯები საშუალოდ 23,2%-დან 29,3 პროცენტამდე გადიდდა. მათ შორის ყურძნის წარმოებაზე—11,4%-დან 23,4-მდე, ხილის—10,3-დან 26,1-მდე, მარცვლეულის—25,7-დან 58,2-მდე, ჩაის ფოთლის წარმოებაზე მართალია აბსოლუტურ მაჩვენებელში მატერიალური დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა 6,2 მლნ. მანეთიდან 16 მლნ. მანეთამდე, მაგრამ შრომითი დანახარჯების ტემპი გაცილებით მაღალი იყო, რის გამოც პროდუქციის ღირებულებაში ჯერ კიდევ დაბალია მატერიალური დანახარჯების (13%) ხვედრითი წილი.

ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ განივთებული შრომის ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია მარცვლეული კულტურების პროდუქციაში, ვიდრე ჩაის, ყურძნისა და ხილის პროდუქციაში, რაც განპირობებულია ამ კულტურებში შრომატევადი სამუშაო პროცესების მექანიზაციის მეტად დაბალი დონით.

აღნიშნულის მიუხედავად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში თანდათანობით იზრდება ამორტიზაციის ხარჯები და ამ ხარჯების ხვედრითი წილი საერთო მატერიალურ დანახარჯებში. ამორტიზაციის ანარიცხების გადიდება, თავის მხრივ, მატერიალურ წარმოებაში ძირითადი საწარმოო ფონდების როლის ზრდის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს.

1965 წელთან შედარებით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში ამორტიზაციის ანარიცხები გაიზარდა: 1970 წ. —46,9%-ით, 1971 წელს—60,6%-ით, 1972 წელს — 75,8%-ით. ამავე წლების მიხედვით საქართველოს სსრ კოლმე-

ცხრილი 3

მთლიანი პროდუქციის წარმოებაზე ოჯახადარიცხულების მიხედვით შრომისა და მეცხოველეობის დანახარჯების თანაფარდობა (%-ობით)*

| | 1960 წ. | | | 1970 წ. | | | 1971 წ. | | | 1972 წ. | | | საშუალოდ 1970-72 წწ. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ დანახარჯები (მ.ს.) | შრომის ანაზღაურება (მ.ს.) | მეცხოველეობის დანახარჯები (მ.ს.) | სულ დანახარჯები (მ.ს.) | შრომის ანაზღაურ. ხარჯები (მ.ს.) | მეცხოველეობის დანახარჯები (მ.ს.) | სულ დანახარჯები (მ.ს.) | შრომის ანაზღაურ. ხარჯები (მ.ს.) | მეცხოველეობის დანახარჯები (მ.ს.) | სულ დანახარჯები (მ.ს.) | შრომის ანაზ. ხარჯები (მ.ს.) | მეცხოველეობის (მ.ს.) | სულ დანახარჯები | შრომის ანაზღ. ხარჯები | მეცხოველეობის (მ.ს.) |
| სულ კოლმეურნეობებში | 100 | 40,2 | 23,2 | 100 | 46,6 | 25,0 | 100 | 49,4 | 29,3 | 100 | 48,0 | 33,8 | 100 | 48,6 | 29,3 |
| ჩაის ფოთლის წარმოებაზე | 100 | 50,5 | 15,0 | 100 | 67,3 | 8,1 | 100 | 66,5 | 15,2 | 100 | 67,3 | 15,5 | 100 | 67,0 | 13,0 |
| ყურძნის წარმოებაზე | 100 | 53,1 | 10,0 | 100 | 50,0 | 12,0 | 100 | 48,2 | 27,8 | 100 | 50,0 | 30,4 | 100 | 42,7 | 23,4 |
| ხილის (ციტრუსების გარდა) (წარმოებაზე) | 100 | 51,6 | 10,3 | 100 | 35,0 | 14,3 | 100 | 28,0 | 29,0 | 100 | 30,5 | 35,0 | 100 | 31,2 | 26,1 |
| მარცვლეულის (სიმინდის გარდა) წარმოებაზე | 100 | 45,0 | 25,7 | 100 | 26,4 | 50,6 | 100 | 24,7 | 63,0 | 110 | 61,0 | 61,0 | 100 | 25,2 | 58,2 |

* ცხრილი შედგენილია კოლმეურნეობების წლიური ანგარიშების მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობებში ამორტიზაციის თანხა გაიზარდა 1970 წელს—8,3%-ით, 1971 წელს—12,2%-ით, 1972 წელს—16,6%-ით. შესაბამისად იზრდებოდა ამორტიზაციის ხვედრითი წილი საერთო მატერიალურ დანახარჯებში მოცემული წლების მიხედვით, ხოლო 1960 წ. შედარებით 1970—1972 წლებში [illegible] დანახარჯებში ამორტიზაციის ხვედრითი წილი 26 პროცენტით [illegible]

ამრიგად, ზემომოყვანილი ეკონომიური მონაცემები მოწმობენ, რომ საზოგადოებრივი წარმოების მ. შ. საკოლმეურნეო წარმოების ტექნიკური შეიარაღების ზრდის შედეგად, რომელშიც წამყვანი ადგილი ძირითად საწარმოო ფონდებს ეკუთვნის, მნიშვნელოვნად იცვლება საქონელში განივთებული (წარსული) და ცოცხალი შრომის დანახარჯებს შორის თანაფარდობა, განივთებული შრომის უპირატესი ზრდის სასარგებლოდ. ამ კანონზომიერი პროცესის ეკონომიური შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ იზრდება საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერება, რომლის·შესახებაც კ. მარქსი წერდა:

„საზოგადოების ნამდვილი სიმდიდრე და მისი კვლავწარმოების პროცესის მუდმივი გაფართოების შესაძლებლობა დამოკიდებულია არა ზედმეტი შრომის ხანგრძლივობაზე, არამედ მის ნაყოფიერებაზე და წარმოების იმ პირობების, მეტ ან ნაკლებ სიუხვეზე, რომელშიც იგი სრულდება“[1].

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების პროდუქციის თვითღირებულებაში განვითარებული (წარსული) შრომის წილი 80 % და მეტს შეადგენს[1].

მაშასადამე, წარმოების ტექნიკური შეიარაღების დონის ზრდის შედეგად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის ღირებულების ფორმირების (და არა შექმნის) პროცესი. საქმე იმაშია, რომ თუ საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურზე საქონლის ღირებულების ფორმირება, მისი სიდიდე ძირითადად სამუშაო ძალის მიერ დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით განისაზღვრებოდა, შემდეგ პერიოდში როდესაც იზრდება შრომის პროცესში გამოყენებული წარმოების საშუალებათა მასა, ძირითადი საწარმოო და საბრუნავი ფონდების სახით, საქონლის ღირებულებაში შესაბამისად იზრდება მათი ხვედრითი წილი. როგორც კ. მარქსი მიუთითებდა უკვე საქონლის ღირებულება განისაზღვრება მთელი წარსული (განივთებული) და ცოცხალი შრომის დანახარჯების სიდიდით და განსაკუთრებით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ „შრომისნაყოფიერების გადიდება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი შრომის წილი მცირდება და წარსული შრომის წილი დიდდება, მაგრამ დიდდება ისე, რომ საქონელში მოქცეული შრომის მთელი ჯამი კლებულობს, მაშასადამე, ისე რომ ცოცხალი შრომა უფრო მეტად კლებულობს, ვიდრე წარსული შრომა მატულობს“[2].

კ. მარქსი როდესაც ეხება უშუალოდ მანქანური წარმოების როლს ღირებულების ფორმირების თვალსაზრისით აღნიშნავს—ხელოსნური და მანუფაქ-

[1] კ. მარქსი—კაპიტალი, IV, ნაწ. 1, გვ. 448.

ტურული წესით წარმოებული საქონელთა ფასებისა და იმავე საქონელთა, როგორც მანქანურ პროდუქტთა, ფასების შედარებითი ანალიზი საერთოდ იმ შედეგს იძლევა, რომ მანქანურ პროდუქტში ღირებულების შემადგენელი ნაწილი, რომელიც შრომის საშუალებების მიერ არის გადაცემული, იზრდება შეფარდებით, მაგრამ კლებულობს აბსოლუტურად.[12]

„მანქანური შრომით ხელის შრომის შეცვლაში „უაზრო" არაფერია, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,—პირიქით, სწორედ ამაში მდგომარეობს ადამიანთა ტექნიკის მთელი პროგრესული მუშაობა. რაც უფრო მეტად ვითარდება ტექნიკა, მით უფრო მეტად იდევნება ადამიანის ხელით შრომა, იცვლება რა მთელი რიგი სულ უფრო და უფრო რთული მანქანებით. ქვეყნის საერთო წარმოებაში სულ უფრო მეტ ადგილს იჭერენ მანქანები და მათ გასაკეთებლად საჭირო საგნები„[13].

ამრიგად, შრომის ტექნიკური შეიარაღების დონის ზრდას არ შეუძლია შეცვალოს და არც ცვლის ადამიანის სამუშაო ძალის, როგორც საქონლის ღირებულების შემქმნელის ერთადერთი წყაროს როლს. მარქსისტული ეკონომიური მოძღვრების მიხედვით ადამიანის შრომა იყო, არის და მუდამ იქნება ღირებულების შექმნის ერთადერთი წყარო, ყოველგვარი საზოგადოებრივი პროგრესის ძირითადი საფუძველი.

ცნობილია, თუ როგორ მკაცრად გააკრიტიკა კ. მარქსმა წარმოების ე. წ. სამი ფაქტორის (კაპიტალი, მიწა და შრომა), როგორც ღირებულების შექმნის სამი წყაროს ბურჟუაზიული თეორიის ანტიმეცნიერული შინაარსი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოების ტექნიკური შეიარაღების შედეგად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის ღირებულების ფორმირების და არა შექმნის პროცესი.

წარმოების საშუალებანი, პირველ რიგში ძირითადი საწარმოო ფონდები, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საქონლის ღირებულების ფორმირებაში და არა შექმნაში, რომ შრომის პროცესში უფრო სწრაფად იზრდება წარმოების საშუალებათა ხვედრითი წილი, ვიდრე მათი მოქმედებაში მომყვანი ცოცხალი შრომის წილი, როგორც კ. მარქსი მიუთითებს—„მაგრამ იქნება წარმოების საშუალებათა მოცულობის ზრდა მათთან შეერთებული სამუშაო ძალასთან შედარებით პირობა თუ შედეგი—იგი ორივე შემთხვევაში შრომისნაყოფიერების ზრდას გამოხატავს. მაშასადამე, უკანასკნელის მომატება ვლინდება შრომის მასის შემცირებაში შედარებით წარმოების საშუალებათა იმ მასასთან, რომელიც ამ შრომას მოძრაობაში მოჰყავს, ანუ იგი ვლინდება შრომის პროცესის სუბიექტური ფაქტორის სიდიდის შემცირებაში შედარებით მის ობიექტურ ფაქტორთან"[14].

ამიტომ, ძირშივე მცდარია იმ „მეცნიერთა" შეხედულება, რომლებიც პროდუქციის ღირებულებაში მოხმარებული წარმოების საშუალებათა ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი გადიდების გამო ღირებულების შექმნის ძირითად წყა-

[12] კ. მ ა რ ქ ს ი — კაპიტალი, ტ. I, გვ. 494.

[13] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — თხზ., ტ. I, მე-4 გამოც. გვ. 111.

[14] კ. მ ა რ ქ ს ი — კაპიტალი ტ. I, თბ., 1959, გვ. 785.

როდ შრომასთან ერთად წარმოების საშუალებებს, მ. შ. მიწას ა[illegible] წარმოების საშუალებები და მათი ღირებულება ადამიანის წარსული ე. ი. განივთებული შრომის შედეგი არ არის? განა წარმოების საშუალებ[illegible] გან დამოუკიდებლად მონაწილეობენ მატერიალური დოვლ[illegible] პროცესში? შრომით ღირებულების მარქსისტული თეორიის მიხედვით, რა თქმა უნდა არა.

„ბუნება, აღნიშნავდა კ. მარქსი, არ აშენებს მანქანებს, ელმავლებს, რკინიგზებს, ელექტროტელეგრაფს და ა. შ. ყველაფერი ეს ადამიანის შრომის პროდუქტია"[15].

მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალ შრომას შესწევს უნარი მოძრაობაში მოიყვანოს განივთებული შრომა და ამით შეინახოს ძველი ღირებულება. — „ცოცხალ შრომას, — აღნიშნავდა კ. მარქსი — ბუნებითვე აქვს მინიჭებული უნარი შეინახოს ძველი ღირებულება, როცა ახალ ღირებულებას ქმნის. ამიტომ თავის წარმოების საშუალებათა ქმედითი უნარიანობის, მოცულობისა და ღირებულების ზრდასთან ერთად, ე. ი. დაგროვების ზრდასთან ერთად, რომელიც თან სდევს შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებას, შრომა სულ ახალი ფორმით ინახავს და ამარადისებს მუდამ მზარდ კაპიტალ ღირებულებას"[16].

მაშასადამე, საზოგადოებრივი წარმოების ტექნიკური შეიარაღების დონის განუხრელი ამაღლების შედეგად, რაც პირველ რიგში ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდაში გამოიხატება, და რაც საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველს შეადგენს, მნიშვნელოვნად დიდდება მთელი საზოგადოებრივი წარმოების ძირითადი საწარმოო ფონდების როლი, მ. შ. საკოლმეურნეო წარმოების, ეკონომიური ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. ამიტომ საკოლმეურნეო წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე და პერსპექტივაში ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტიანობის ყოველმხრივ გადიდება კოლმეურნეობების ეკონომიური ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

Доц. К. МИРОТАДЗЕ

## ЭКОНОМИЧЕСКАЯ НЕОБХОДИМОСТЬ ЭФФЕКТИВНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ ОСНОВНЫХ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ФОНДОВ КОЛХОЗОВ

**Резюме**

На современном этапе коммунистического строительства одним из основных факторов роста экономического могущества страны является повышение эффективности общественного производства. «Главное на что мы должны расчитывать, — говорил Л. И. Брежнев на XXIV съезде КПСС, — это повышение эффективности производства».

[15] К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 46, ч. II, стр. 215.

[16] კ. მარქსი — კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 765.

В данной работе именно и обосновывается объективная необходимость и экономическое значение повышения эффективности производственных фондов колхозов.

Анализ хозяйственной деятельности колхозов субтропического, виноградарственного и садоводческого направления Грузинской ССР показывают, что с ростом основных производственных фондов, растет валовая и чистая продукция колхозов, увеличивается доля овеществленного труда (в т. ч. амортизационного отчисления) в себестоимости с/х продукции при значительном сокращении доли живого труда.

Например, в 1972 году по сравнению с 1960 г. прямые трудовые затраты (ч/д) сократились на 40%, а валовая продукция выросла на 52%. За этот же период объем амортизационного отчисления увеличился на 16,6%.

Вместе с общей закономерностью, связанной с ростом основных производственных фондов, в работе особое внимание уделено к специфике формирования и использования основных фондов колхозов Груз. ССР. Дело в том, что в колхозах Грузинской ССР в составе основных фондов удельный вес многолетних культур составляет 45—50%%, а в отдельных зонах производственной специализации (I, V, Xб зоны) оно достигает до 70—80%%.

Исследованием подтверждается, что с ростом основных производственных фондов колхозов не всегда увеличивается производство валовой и чистой продукции, производительность труда и фондоотдача, поэтому эффективность производственных фондов нельзя рассматривать лишь только с этой точки зрения. С ростом основных фондов тесно связаны также и другие немаловажные экономические и социальные результаты общества, в частности, высвобождение рабочей силы и средства труда, сокращение рабочего дня, дальнейшее расширение образования, науки и культуры и т. п.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. ბიწაძე

# დარგთა შეთანაწყობისა და სპეციალიზაციის საკითხისათვის ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებში

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის სიუხვის შექმნის პრობლემა, რომელიც ასე აქტუალურად დააყენა სკკპ XXIV ყრილობამ, არსებითად კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე უნდა განხორციელდეს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარება, ადგილობრივი ბუნებრივი-ეკონომიური პირობების შესაბამისად და, პირველ რიგში, დარგთა და კულტურათა შეთანაწყობა, რაც სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძირითადი საკითხია.

სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების რაციონალური შეთანაწყობის პრობლემა მეტად მრავალმხრივია და რთული, რომლის ამოსავალი დებულებები დამუშავებულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში.

ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, პირველად დაამუშავა ეკონომიური დარაიონების მეთოდოლოგია და მოგვცა სახალხო მეურნეობის, სახელდობრ, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესის მარქსისტული ანალიზი, ყოველმხრივ დაასაბუთა საზოგადოებრივი წარმოების წესის როლი წარმოების რაციონალური გაადგილებისა და სპეციალიზაციის საქმეში, რომლის უმნიშვნელოვანესი ელემენტია დარგებისა და კულტურების სწორი შეთანაწყობა.

სკკ პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ აღნიშნული პრობლემების თანმიმდევრულ და სწორად გადაწყვეტის საქმეს. ჯერ კიდევ საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობამ (1930 წ.) დაავალა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიას დაემუშავებინა სსრ კავშირის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების რაციონალური გაადგილების საკითხი—ნაკლებად შემოსავლიანი კულტურების უფრო ხელსაყრელი კულტურებით შეცვლის, უმნიშვნელოვანესი და სასურსათო და ტექნიკური კულტურებით ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების საკითხს თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი პარტიის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებში და სკკპ XXIV ყრილობის მასალებში, სადაც აღნიშნულია გა[illegible] სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული განლა[illegible] ეკონომიური ზონებისა, რაიონების მიხედვით და უპირატესად გაიზარდოს იმ პროდუქციის წარმოება, რომლისთვისაც არსებობს უფრო ხელსაყრელი პირობები, რათა მიღწეულ იქნეს დანახარჯების მეტი ეკონომიური ეფექტურობა.

სოფლის მეურნეობას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი, რითაც იგი განსხვავდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან. ამ თავისებურებათაგან უმნიშვნელოვანესია მისი დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე. ამიტომ თითქმის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, როგორც წესი, წარმოადგენს, კომპლექსურ საწარმოს, რომელიც შედგება მთელი რიგი დარგებისაგან, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა სახის პროდუქციას, რაც აუცილებელი პირობაა შრომითი რესურსებისა და ტექნიკური საშუალებების წლის განმავლობაში რაციონალური გამოყენებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილი არ არის ვიქონიოთ ვიწროდ სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ნაწილი ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევს წარმოების პირობებს და ავითარებენ წარმოების თითქმის ყველა დარგს და მონაწილეობას ღებულობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვებში. ცხადია, ასეთ შემთხვევაში დარგები და კულტურები წარმოდგენილია მცირე მასშტაბით, რაც აძნელებს ტექნიკურ მიღწევათა გამოყენების შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა საბოლოო ანგარიშით ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დავალებათა შესრულებას. აქედან გამომდინარე საჭიროა, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს განესაზღვროს არა ყველა სახის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დავალება, არამედ რასაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაადგილების ინტერესები მოითხოვენ, რათა მივცეთ მათ ამ დავალებათა გარკვეული რაოდენობა.

მოწინავე კოლმეურნეობების პრაქტიკამ დაადასტურა მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების სწორი შეთანაწყობის უპირატესობის მნიშვნელობა მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში. დარგებისა და კულტურების სწორი შეთანაწყობა საშუალებას იძლევა სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების შედარებით სრული და რაციონალური გამოყენების საფუძველზე შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის.

დარგებისა და კულტურების სწორი შეთანაწყობა სოფლის მეურნეობაში მჭიდროდაა დაკავშირებული შრომითი რესურსების არათანაბარი გამოყენების დაძლევის პრობლემასთან, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ სოფლის მეურნეობაში სამუშაო პერიოდი არ ემთხვევა პროდუქციის წარმოების დროს, და, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთევ, ადგილი აქვს შრომითი დანახარჯების დიდ განსხვავებულობას ზაფხულისა და ზამთრის პერიოდებში.

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეურნეობის მრავალდარგოვანი განვითარება საშუალებას იძლევა შრომითი რესურსების მთელი წლის მანძილზე უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენებისათვის, რისთვისაც საჭირო და აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში არა მარტო კულტურების, არამედ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის სხვადასხვა დარგების რაციონალური შეთანაწყობა. საერთოდ დარგთა შეთანაწყობა საშუალებას იძლევა რამდენადმე შევამციროთ განსხვავება სამუშაო პერიოდსა და წარმოების დროს შორის. აქედან გამომდინარე, შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, განსხვავებული სავეგეტაციო პერიოდების მქონე ახალი ჯიშების გამოყვანა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოწინავე მეცნიერების საფუძველზე ორგანიზაცია ზემოქმედებას ახდენს შრომითი რესურსების უფრო თანაბარ გამოყენებაზე სოფლის მეურნეობაში.

წარმოების პროცესის აგრო და ზოოტექნიკური სირთულენი მოითხოვენ მეურნეობაში ძირითად დარგსა და კულტურასთან ერთად მომსახურე დარგების (ცოცხალი გამწევი ძალა, სატრაქტორო პარკის, სატვირთო ავტოპარკის, წყალმომარაგების და სხვ.) არსებობას.

სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის სეზონურობა დამახასიათებელი თავისებურებაა. ამასთანავე სეზონურობა არსებობს არა მხოლოდ სამუშაოთა შესრულების (ე. ი. მუშახელის მოთხოვნილების) თვალსაზრისით, არამედ მზა პროდუქციის მიღების მხრივაც. ამიტომ სეზონურობის დაძლევის მიზნით, ე. ი წლის სხვადასხვა პერიოდში მუშახელის, მასალების მოთხოვნილების, მანქანა-იარაღების დატვირთვის, მოსავლისა და შემოსავლის გამოთანაბრებისათვის მიზანშეწონილია ძირითად სასაქონლო დარგების გვერდით დამხმარე დარგების ორგანიზება.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები ცნობილია მალფუჭადი და ტექნიკურ-ეკონომიურად ნაკლებ ტრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოებით (რძე, ბოსტნეული და სხვ.). აგრეთვე, მეურნეობაზე გაპიროვნებულ ფართობზე ხშირ შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობანი რიგი სამრეწველო ხასიათის სამუშაოთა ორგანიზებისათვის (წისქვილები, ზეთსახდელები, კარიერები—სამშენებლო მასალებისათვის, ტყის მასალის დამუშავება, აგურისა და კრამიტის წარმოება), არსებული ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მალფუჭადი პროდუქციის პირველადი გადამუშავებისათვის. სოფლის მეურნეობის საწარმოებს ნებადართული აქვთ სამრეწველო ხასიათის საწარმოთა ორგანიზება, რაც მუშახელის მოთხოვნილებათა გამოთანაბრებასთან ერთად შრომისნაყოფიერების, დამატებითი შემოსავლისა და შრომის ანაზღაურების დონის ამაღლებას უწყობს ხელს.

ცხადია, რომ ამ ტიპის საწარმოთა გაზრდით გატაცებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესებს, ამიტომ ეს უკანასკნელნი მოწყობილი უნდა იქნენ იმ ვარაუდით, რომ

ამით ყოველმხრივ ხელი შეეწყოს მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებას.

დარგებისა და კულტურების რაციონალური შეთანაწყობა უზრუნველყოფს მეურნეობის ანარჩენების მაქსიმალურ გამოყენებას მემცენარეობასა და მეცხოველეობაში. მაგრამ მეურნეობის რენტაბელობის ამაღლების ინტერესები გვიკარნახებენ მეცხოველეობის ცალკეული დარგების ურთიერთშეთანაწყობის აუცილებლობასაც.

დარგთა და კულტურათა რაციონალურ შეთანაწყობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ზონალური თავისებურებანი. ამიტომ იქმნება რიგი მეურნეობების საწარმოო სტრუქტურის რამდენადმე ერთტიპურობა. ასეთი მეურნეობების ტერიტორიული დაჯგუფება ერთი ან რამდენიმე წამყვანი დარგის ნიშნის მიხედვით იძლევა სოფლის მეურნეობის სპეციალიზებულ რაიონებს, ხოლო რაიონის შიგნით ცალკეულ მიკროზონებს.

ცაგერის რაიონში დარგობრივი სტრუქტურის განმსაზღვრელია (ცხრ. 1) მემცენარეობა, რომლის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში საშუალოდ 1966—67—68 წწ. შეადგენს—62,6%.

მემცენარეობის დარგებიდან მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წონა არის 27,5%. საერთო პროდუქციის სტრუქტურაში მეცხოველეობის ხვედრითი წონა—37,4%. აქედან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქცია შეადგენს 31,1%.

მიკროზონებში შემავალ კოლმეურნეობებში აღნიშნული თანაფარდობა მეტად განსხვავებულია. ბარის მიკროზონის ცაგერის კოლმეურნეობაში მემცენარეობის ხვედრითი წონა საერთო პროდუქციაში შეადგენს 75,5%-ს, რაიონის საშუალოსთან შედარებით გაზრდილია 12,9%-ით, მრავალწლიანი ნარგავების პროდუქციას უჭირავს 41,6%, ანუ 14,1%-ით მეტი რაიონის საშუალოსთან შედარებით.

ბარის მიკროზონის კოლმეურნეობები ხასიათდებიან მევენახეობა-მეცხოველეობის საწარმოო მიმართულებით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის აუცილებელია მარცვლეულისა და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოების გადიდება.

საერთო პროდუქციის სტრუქტურის ანალიზის მიხედვით აღნიშნული მიკროზონის ცაგერის კოლმეურნეობაში მეცხოველეობიდან წამყვანი დარგია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (15,6%), რაც ნაკლებია რაიონის საშუალო მაჩვენებელზე 15,1%-ით, ხოლო დანარჩენი დარგები კი, როგორიცაა მეღორეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ., დაბალი ხვედრითი წონით არიან წარმოდგენილი.

მეღორეობის დარგის ხვედრითი წონა ცაგერის რაიონის სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავალში არსებითად იზრდება და მეორე ადგილს იკავებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შემდეგ. ამ მხრივ გამოირჩევიან მთისწინა მიკროზონის ლაილაშისა და ლასურიაშის კოლმეურნეობები, სადაც სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო პროდუქციის სტრუქტურა 1966—67—68 წწ. მიხედვით ცხვრის რაიონის კოლმეურნეობებში

| ზონების და საკვლევი ობიექტების დასახელება / დარგების და ელემენტების დასახელება | საშუალოდ რაიონში | | I ბარის მეურნეობა: ცენტრის კოლმეურნეობაში | | ორბელის კოლმეურნეობაში | | II მთისწინა მეურნეობა: ლალისის კოლმეურნეობაში | | ლესერიანის კოლმეურნეობაში | | კოლმეურნეობაში | | კოლმეურნეობაში | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I. მემცენარეობა | 62,6 | 100 | 73.5 | 100 | 67.2 | 100 | 57,8 | 100 | 60,1 | 100 | 51,9 | 100 | 50,0 | 100 |
| ა) მარცვლეული | 17,0 | 27,1 | 19.8 | 26.2 | 20,2 | 30,1 | 16,0 | 26,7 | 12,2 | 20,3 | 8,0 | 15,4 | 9,5 | 19,0 |
| ბ) მრავალწლიანი ნარგავები | 27,0 | 43,3 | 41,6 | 55,1 | 32,9 | 49,0 | 25,7 | 44,7 | 25,2 | 41,9 | 20,8 | 40,1 | 19,0 | 38,0 |
| გ) მებოსტნეობა | 5,5 | 8,8 | 3,6 | 4,8 | 4,1 | 6,1 | 4,0 | 6,7 | 6,7 | 11,1 | 7,8 | 15,0 | 4,5 | 9,0 |
| დ) სხვები კულტურები | 10,9 | 17,4 | 9,5 | 12,6 | 8,0 | 11,9 | 10,1 | 16,9 | 11,0 | 18,3 | 11,0 | 21,2 | 15,0 | 30,0 |
| ე) დანარჩენი | 2,2 | 3,6 | 1,0 | 1,3 | 2,0 | 2,9 | 3,0 | 5,0 | 5,0 | 6,4 | 4,3 | 8,3 | 2,0 | 4,0 |
| II. მეცხოველეობა | 37,4 | 100 | 2.5 | 100 | 32.8 | 100 | 40.2 | 100 | 39,9 | 100 | 4,1 | 1,0 | 50,0 | 100,0 |
| ა) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 30,1 | 80,5 | 15,6 | 63,7 | 25,6 | 73,0 | 31,4 | 77,1 | 30,8 | 77,2 | 37,4 | 82,8 | 41,6 | 83,2 |
| ბ) მეღორეობა | 3,8 | 10,2 | 4,3 | 17,5 | 4,4 | 13,4 | 5,5 | 13,7 | 5,6 | 14,0 | 4.4 | 9,1 | 4.5 | 9,0 |
| გ) მეცხვარეობა | 0,6 | 1,6 | 0,5 | 2,0 | 0,6 | 1,8 | 0,8 | 2,0 | 0,7 | 1,7 | 0,5 | 1,0 | 0,4 | 0,8 |
| დ) მეფრინველეობა | — | — | 1,0 | 4,0 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ე) მეფუტკრეობა | 1,3 | 3,5 | 1,0 | 4,0 | 1,0 | 3,2 | 1,2 | 3,0 | 1,3 | 3,2 | 1,8 | 3,7 | 1,7 | 3,4 |
| ვ) დანარჩენი | 1,6 | 4,2 | 2,1 | 8,8 | 1,2 | 3,6 | 1,3 | 3,1 | 1,5 | 3,7 | 1,6 | 3,3 | 1,8 | 3,6 |
| სულ საერთო პროდუქცია | 100,0 | | 100,0 | | 100,0 | | 100,0 | | 100,0 | | 100,0 | | 100,0 | |

მეურნეობის საერთო პროდუქციაში მეღორეობის ხვედრითი წონა [illegible] სა-
შუალოდ 5,5%-ს, რაც აღემატება რაიონის საშუალო მონაცემებს 1,7%-ით, ბარის
მიკროზონისას კი 1,1%-ით, რაც მიუთითებს საკვები კულტურ[illegible]
ტნეობის პროდუქციის ანარჩენების რაციონალურ გამოყენება[illegible]
ბოა მეფუტკრეობის დაბალი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო
პროდუქციის სტრუქტურაში, რომელიც რაიონში საშუალოდ 1966—68 წწ. შე-
ადგენს 1,3%-ს. ეს მდგომარეობა როგორც ცხრილის მონაცემები მიუთითებენ,
თითქმის ყველა შესწავლილ მიკროზონაში თანაბარია, რაც, რა თქმა უნდა, მე-
ტად მცირეა ისეთი რაიონისათვის, როგორიცაა ცაგერის რაიონი, სადაც შესაძ-
ლებელია გაცილებით მეტი მასშტაბით ვითარდებოდეს ეს მეტად მნიშვნელო-
ვანი და შემოსავლიანი დარგი.

მთისწინა და მთის მიკროზონებში შემავალი კოლმეურნეობებისათვის და-
მახასიათებელია რაიონის საშუალოსთან შედარებით მემცენარეობის ხვედრითი
წონის შემცირება (ცხრ. 1), და მეცხოველეობის ხვედრითი წონის ზრდა, ლაი-
ლაშის კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის სტრუქ-
ტურაში მემცენარეობას უკავია რაიონის საშუალოსთან შედარებით 2,8%-ით
ნაკლები, ხოლო მეცხოველეობას კი 2,5%-ით მეტი. აღნიშნული ცვლილებები
კიდევ უფრო დიდია მთის მიკროზონების კოლმეურნეობებში, რაც იმაზე მიუ-
თითებს, რომ მიკროზონებში შემავალი კოლმეურნეობების საერთო პროდუქ-
ციაში წამყვან პოზიციებს იკავებს მეცხოველეობა, რაც კანონზომიერ მოვლე-
ნად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ადგილობრივი საკვები ბაზის სიახლოვე (ბუ-
ნებრივი სათიბები, საძოვარ-საბალახოები, გარეული ხილი და სხვ.) და მათი
რაციონალური გამოყენება ჰქმნის რეალურ საფუძველს მეცხოველეობის პრო-
დუქტიულობის შემდგომი განვითარებისათვის.

დარგობრივი სტრუქტურისა და დარგებისა და კულტურების შეთანაწყობის
საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის სტრუქტუ-
რის შესწავლას. ცაგერის რაიონში საშუალოდ 1966—67—68 წწ. მთელი ფულა-
დი შემოსავლის (ცხრ. 2) 68,1% მოდის მემცენარეობაზე, ხოლო მემცენარეობა-
ში წამყვანი ადგილი 48,8% უკავია მრავალწლიანი ნარგაობის სასაქონლო პრო-
დუქციას, მეცხოველეობას—31,9%, ხოლო მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს—
17,8%. ანალოგიური მდგომარეობაა ბარის მიკროზონის ცაგერისა და ორბე-
ლის კოლმეურნეობებში. ცაგერის კოლმეურნეობაში სასაქონლო პროდუქციის
ხვედრითი წონა მემცენარეობაზე არის 71,3% ანუ 3,2%-ით მეტი რაიონის სა-
შუალოსთან შედარებით. მემცენარეობიდან აქაც წამყვანია მრავალწლიანი ნარ-
გავები (მევენახეობა), რომელიც ჭარბობს რაიონის საშუალო მაჩვენებელს
10,3%-ით, ორბელის კოლმეურნეობაშიც მაღალია მემცენარეობის ხვედრითი
წონა სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციაში 66,7%, რაც ნაკლებია
რაიონის საშუალო მაჩვენებელზე 1,4%-ით, მაგრამ აჭარბებს მეცხოველეობის
სასაქონლო პროდუქციას 33,4%-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა 1960—61—63 წწ. საშუალო მონაცემების მიხედვით [illegible]

[illegible] რაიონის კოლმეურნეობებში

| დარგების და კულტურების დასახელება | საშუალოდ რაიონში | | I ზონის მეურნეობანი: ციტრუსის კოლმეურნეობაში | | I ზონის მეურნეობანი: [illegible] კოლმეურნეობაში | | II ზონის მეურნეობანი: [illegible] კოლმეურნეობაში | | II ზონის მეურნეობანი: [illegible] კოლმეურნეობაში | | [illegible] კოლმეურნეობაში | | [illegible] კოლმეურნეობაში | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I. მემცენარეობა | 68,1 | 100,0 | 71,3 | 100,0 | 66,7 | 100,0 | 65,4 | 100,0 | 60,6 | 100,0 | 53,1 | 100,0 | 56,3 | 100,0 |
| ა) მრავალწლიანი ნარგავები | 48,8 | 71,7 | 59,1 | 82,9 | 58,9 | 88,3 | 51,8 | 79,2 | 54,0 | 89,1 | 37,8 | 71,2 | 37,1 | 67,5 |
| ბ) მებოსტნეობა | 9,1 | 13,3 | 7,1 | 10,0 | 5,5 | 8,3 | 10,3 | 15,7 | 3,1 | 5,1 | 10,2 | 19,2 | 12,0 | 21,3 |
| გ) დანარჩენი | 10,2 | 15,0 | 5,1 | 7,1 | 2,3 | 3,4 | 3,3 | 5,1 | 3,5 | 5,8 | 5,1 | 9,6 | 5,2 | 9,2 |
| II. მეცხოველეობა | 31,9 | 100 | 28,7 | 100 | 33,3 | 100 | 34,6 | 100 | 39,4 | 100,0 | 46,9 | 100 | 43,7 | 100,0 |
| ა) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 17,8 | 55,8 | 19,6 | 68,3 | 17,3 | 52,0 | 19,9 | 57,7 | 22,2 | 56,3 | 29,0 | 61,8 | 24,5 | 56,3 |
| ბ) მეღორეობა | 6,2 | 19,4 | 5,2 | 18,1 | 8,3 | 24,9 | 11,5 | 33,3 | 9,2 | 23,4 | 11,4 | 24,4 | 14,3 | 32,7 |
| გ) მეცხვარეობა | 2,2 | 6,9 | 1,1 | 3,8 | 2,0 | 6,0 | — | — | 2,6 | 6,6 | 1,6 | 3,4 | 2,0 | 4,6 |
| დ) მეფრინველეობა | 1,8 | 5,6 | 1,0 | 3,5 | 2,2 | 6,6 | 0,8 | 2,3 | 2,9 | 7,3 | 2,4 | 5,1 | 1,3 | 3,0 |
| ე) დანარჩენი | 3,9 | 12,3 | 2,2 | 7,3 | 3,5 | 10,5 | 2,4 | 6,7 | 2,4 | 6,2 | 2,5 | 5,3 | 1,3 | 3,4 |
| სულ მთელი სასაქონლო პროდუქცია | 100 | — | 100,0 | — | 100,0 | — | 100,0 | — | 100,0 | — | 100,0 | — | 100,0 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის, ასევე სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურის შესწავლა გვარწმუნებს მთისწინა და ბარის მიკროზონებში შემავალ კოლმეურნეობებში, მართალია, კვლავ საგრ[illegible]რეობის ხვედრითი წონა სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა[illegible]ნის საშუალოსთან და ბარის მიკროზონასთან შედარებით რამდენადმე მცირდება. მაგალითად, რაიონის საშუალოსთან შედარებით ზემოაღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 7,5%-ით, ხოლო სასაქონლო პროდუქციაში გაიზარდა მეცხოველეობის ხვედრითი წონა 7,5%-ით. ოყურეშის კოლმეურნეობაში შესაბამისად შემცირდა 15,6%-ით, გაიზარდა 15,6%-ით და ა. შ.

მოცემული ცხრილის მაჩვენებლები და ჩვენ მიერ წარმოებული შედარებითი ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ცაგერის რაიონში, როგორც საერთო, ასევე სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში წამყვანია მემცენარეობა, ხოლო მემცენარეობიდან მრავალწლიანი ნარგავები, მეცხოველეობიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. რაც შეეხება ჩვენ მიერ შესწავლილ მიკროზონებს, აქ ადგილი აქვს რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობას, რაც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას დარგთა რაციონალური შეთანაწყობის ღონისძიებათა დასახვის დროს.

Ассист. ДЖ. А. ГЕЦАДЗЕ

## К ВОПРОСУ СПЕЦИАЛИЗАЦИИ И СОЧЕТАНИЯ ОТРАСЛЕЙ В КОЛХОЗАХ ЦАГЕРСКОГО РАЙОНА

Резюме

В материалах мартовского пленума 1965 года и XXIV съезда КПСС значительное место уделено вопросу проблем специализации и рационального сочетания отраслей.

На основании дальнейшего организационно-хозяйственного укрепления колхозов должно осуществиться создание обилия сельскохозяйственной продукции, одним из основных условий которого является развитие многоотраслевого хозяйства в соответствии с местными природными условиями. В первую очередь рациональное соотношение отраслей и культур является одним из важнейших вопросов в деле повышения эффективности общественного производства сельского хозяйства.

Указанная проблема в колхозном производстве нашей республики и особенно в колхозах анализируемого района недостаточно изучена.

В данной статье была поставлена цель изучить существующее положение сочетания и специализации отраслей в колхозах Цагерского ройона и показать возможности их улучшения.

При изучении соответствующих цифровых материалов установлено, что в Цагерском районе для которого характерна резко выраженная вертикальная зональность и отсюда вытекающее резкое различие природно-экономических условий, существующее положения отраслей и культур не

отвечает возможностям перспективного развития экономики колхозов этого района.

Например, в районе / в среднем масштабы производства зерновых культур по годам снижается, в структуре общей продукции ее удельный вес всего 17,3% и полностью игнорирован в севообороте эндемический сорт «Зандури». Темп масштабного роста характерен для многолетних насаждений (виноградника, фруктовых) тогда, когда удельный вес пчеловодства и свиноводства снижается и соответственно составляет 1,3; 4,7% и т. д.

Еще хуже указанное положение в отдельных колхозах. В статье освещено положение отдельных колхозов в этом отношении и намечены мероприятия.

В статье большое внимание уделено также вопросам сочетания некоторых производств промышленного типа с отраслями земледелия и животноводства, которые способствуют улучшению положения экономики колхозов и решению проблемы равномерного использования рабочей силы на протяжении года.

## ლიტერატურა


ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი—კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. თხზ. ტ. III, გამოც. 4.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი—ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. თხზ. ტ. XXII, გამოც. 4.

ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. მოხსენება სკკპ ცკ-ის პლენუმზე 1965 წ. 24 მარტს. თბილისი—1965 წ.

სკკპ XXIV ყრილობის მასალები. თბ., 1971 წ. სკკპ ცკ-ის პროგრამა. თბ., 1961 წ.

პროფ. ი. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე—საზოგადოებრივი მეურნეობის მრავალდარგობრივი განვითარება და დარგების სწორი შეთანაწყობა კოლმეურნეობებში. თბ., 1958 წ.

დოც. ჰ. გ ი ო რ გ ა ძ ე—სოციალისტური სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები. ტ. LXXX—LXXXI, თბ., 1970 წ.

ცაგერის რაიონის კოლმეურნეობების საანგარიშგებო მონაცემები 1966-68 წწ.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 197[illegible] წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 197[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. რ. ძაბნიძე

# სტუდენტთა პოლიტეკონომიის სამეცნიერო წრის მუშაობის ზოგიერთი საკითხი

საგნობრივი სამეცნიერო წრე სტუდენტთა სამეცნიერო შრომის ორგანიზაციის ძირითადი ნებაყოფლობითი ფორმაა და ნებაყოფლობის პრინციპი ყოველთვის დიდი ტაქტით უნდა იქნეს დაცული, თორემ ძირითადი მიზანი მიუღწეველი დარჩება. სტუდენტთა სამეცნიერო წრეს კი მეტად საპატიო მიზანი აქვს—დაეხმაროს სტუდენტს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ღრმად შესწავლაში, გააცნოს სტუდენტებს უცხოური და საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, განუვითაროს მათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებლად წარმოების ჩვევები, წრის წევრების საშუალებით გააცნოს სტუდენტებს და მოსახლეობის ფართო ფენებს, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევები.

პოლიტეკონომიის სამეცნიერო წრის წევრი შეიძლება იყოს ყველა სტუდენტი, რომელსაც აქვს კარგი წარმატება პოლიტეკონომიაში, ცნობს საზოგადოების წესდებას და დაინტერესებულია სამეცნიერო მუშაობით ამ საგანში, ამავე დროს ასწრებს ყველა სხვა სასწავლო დისციპლინაში. ამ პრინციპის დაცვა სავალდებულო და აუცილებელია, რადგანაც სტუდენტთა სამეცნიერო წრეს უფლება აქვს წამოაყენოს თავისი უწარჩინებულესი წევრები პერსონალურ სტიპენდიისა და ასპირანტურის კანდიდატებად. სხვა თანაბარ პირობებში, ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ასპირანტურის კანდიდატს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. ხოლო შემდგომში ასეთმა ასპირანტმა და მეცნიერ-მუშაკებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლიტეკონომიის სამეცნიერო წრის პოპულარიზაციის საქმეში.

სტუდენტთა პოლიტეკონომიის სამეცნიერო წრეს უნდა ჰქონდეს საპატიო წიგნი, რომელშიც უნდა იქნეს შეტანილი ყველა ის წევრი, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამეცნიერო მუშაობით, მონაწილეობა მიიღო საკავშირო, რესპუბლიკურ და საქალაქო კონფერენციებზე. სამეცნიერო წრის მეცნიერ-ხელმძღვანელებმა კათედრის გამგესთან ერთად უნდა მიაწოდონ ცნობები ინსტიტუტის ხელმძღვანელობას წრის უწარჩინებულესი წევრების შესახებ, ასპირანტთა კანდიდატების შერჩევისათვის, რადგანაც პოლიტეკონომიის სამეცნიე-

რო წრეშივე სტუდენტი ეუფლება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პირველ ჩვევებს, რაც მეცნიერ-მუშაკისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ერთი სასწავლო წლის მანძილზე პოლიტეკონომიის თითოეულმა მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მოამზადოს 2—3 სტუდენტი; [illegible] გვიჩვენა, ამ ზღვარის დარღვევა კარგ შედეგს არ იძლევა. თუ გავითვალისწინებთ მასწავლებლის ყოველმხრივ დატვირთვას, დავრწმუნდებით, რომ მასწავლებელს თავისუფლად შეუძლია მოამზადოს 2—3 სტუდენტი, ხოლო 3-ზე მეტის მომზადების შემთხვევაში ადგილი აქვს ფორმალიზმს, თუმც ზოგჯერ ხდება ისე, რომ სტუდენტი თვითონ ირჩევს ხელმძღვანელს—ძირითადად, უშუალოდ საგნის მასწავლებელს. ეს კარგია, მაგრამ სამეცნიერო წრის მეცნიერ-ხელმძღვანელებმა სტუდენტს უნდა მისცენ რჩევა და ჩაერიონ სტუდენტის ხელმძღვანელის შერჩევაში—თემის სპეციფიკის მიხედვით—თუმცა ყოველთვის ანგარიში უნდა გაეწიოს სტუდენტისა და ხელმძღვანელის სურვილს და თუ კი მაინც ერთ მასწავლებელზე 2-ზე მეტი სტუდენტი მოდის, მაშინ აუცილებელია ხელმძღვანელ-მასწავლებელს დავახმაროთ კათედრის ლაბორანტები, კაბინეტის გამგე და ასპირანტები, ამით კი კათედრის ყველა მუშაკი იქნება ჩაბმული სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში. მათ პოლიტეკონომიის კათედრასთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ფართო პროპაგანდა უნდა გაუწიონ, რათა მეტი სტუდენტი ჩაება მუშაობაში. სტუდენტებს შორის სამეცნიერო წრის პოპულარიზაცია შეიძლება სამეცნიერო კონფერენციით. კედლის გაზეთით სამეცნიერო წრის სხდომაზე მოწვევით და სხვ. ახსნა-განმარტება უნდა გასწიონ პოლიტეკონომიის კათედრის ლექტორებმა და სემინარის ხელმძღვანელებმა. სტუდენტთა დაინტერესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სამეცნიერო წრეში გატანილი მოხსენება, რომელიც მაღალ შეფასებას მიიღებს, სტუდენტს ჩაეთვალოს საკურსო შრომად, რომელიც აუცილებლად უნდა დაწეროს ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა. საკურსო შრომის დაწერისაგან განთავისუფლებული სტუდენტი მეტ დროს მოახმარს სამეცნიერო წრეში აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და მიეცემა სტიმული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოებისათვის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ერთ წრეში შეიძლება იყოს 20-25 მუდმივი წევრი, არ არის სწორი, როცა წრეში ირიცხება 50-60 სტუდენტი, ასეთ შემთხვევაში წრის წევრების უმრავლესობა არ მუშაობს მოხსენებებზე და, როგორც წესი, ან არ ესწრება, სამეცნიერო წრის სხდომებზე, ან თუ ესწრება, ინტერესს არ იჩენს. ამავე დროს, მეცნიერ-ხელმძღვანელს არ შეუძლია კარგად უხელმძღვანელოს წლის განმავლობაში 20—25-ზე მეტ სტუდენტს, რადგანაც წრის მეცნიერ-ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს თითოეული წევრის ინდივიდუალური ხელმძღვანელობა, ეს კი, როგორც წესი, ძალზე შრომატევადია. შეიძლება ითქვას, რომ ამ უბანზე მუშაობა უფრო რთულია, ვიდრე სემინარის ხელმძღვანელობა. სტუდენტთა სამეცნიერო წრე ხელმძღვანელს უყენებს დიდ მოთხოვნებს, პირველ რიგში, ხელმძღვანელმა უნდა მიაჩვიოს სტუდენტი პირველ წყა-

როებზე მუშაობას, ამისათვის კი დიდი დრო უნდა დაუთმოს საუბრებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. პოლიტეკონომიის კათედრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და დაუთმოს სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის სწორად შერჩევას, რადგანაც მთავარი პირობა სამეცნიერო წრის წარმატებით მუშაობისათვის არის წრის უზრუნველყოფა ხელმძღვანელობის მაღალი დონით. ამ საპატიო და მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უნდა მოვიწვიოთ გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც შემოქმედებით სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან და მზად არიან თავისი ძალა, დრო და ცოდნა გადასცენ სტუდენტ ახალგაზრდობას, კარგია, როცა ხელმძღვანელს მიჰყავს ის წრე, რომელიც შეესაბამება მის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

ინსტიტუტში, სადაც არსებობს ეკონომიური ფაკულტეტი, გამორიცხული არ არის, რომ პოლიტეკონომიის კათედრასთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში გაერთიანების მსურველთა რიცხვი დიდი იყოს. ამიტომ მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს კათედრასთან ორი დამოუკიდებელი წრე, ორი სხვადასხვა ხელმძღვანელით, ჩვენი ინსტიტუტის მაგალითზე მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პრობლემებზე მომუშავე წრეები.

გადამწყვეტ როლს სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობაში ასრულებს კათედრა, კათედრის სხდომაზე აუცილებლად განხილულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს სამეცნიერო წრის მუშაობის თემატიკა, ხშირად უნდა იქნეს მოსმენილი მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის ინფორმაცია. კათედრის სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვის დროს აუცილებლად უნდა იქნეს მოწვეული წრის აქტივი, ამავე დროს კათედრის გადაწყვეტილება განხილულ უნდა იქნეს სამეცნიერო წრის სპეციალურ სხდომაზე.

სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში შედის სხდომების მომზადება და ჩატარება. სხდომები მიზანშეწონილია ჩატარდეს თვეში ორჯერ დანიშნულ დღესა და საათს, ეს წესი მკაცრად უნდა იქნეს დაცული. სხდომების ჩატარების განრიგი სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ყველასათვის უნდა იყოს ცნობილი და შეთანხმებული კათედრასთან და დეკანატთან. არ არის მიზანშეწონილი სხდომების ჩატარება ყოველ კვირაში. ეს სტუდენტებს ბევრ დროს ართმევს და უარყოფითად მოქმედებს სამეცნიერო წრის სხდომაზე მათ დასწრებასა და აქტივობაზე. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია წრის სხდომების განრიგის მკაცრად ფიქსირება და დაგეგმვა. სხდომების ჩატარების საათებში არ შეიძლება დაინიშნოს სხვა ღონისძიება, რომელზეც სამეცნიერო წრის წევრების დასწრება აუცილებელი იქნება.

პოლიტეკონომიის სამეცნიერო წრის წევრად გახდომისთანავე თემის აღება ყველასათვის არ არის შესაძლებელი და არც მიზანშეწონილია; ამიტომ, ახალ წევრებს უფლება უნდა მიეცეს, გარკვეულ დრომდე მონაწილეობდნენ წრეში „საკუთარი თემის გარეშე“. საერთოდ კი, სამეცნიერო წრის მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს წრის ყველა წევრის დამოუკიდებელი სერიოზული მიზანსწრაფული მუშაობა აღებულ თემაზე, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ვერ ით-

მენს ზერელობას, წინდაუხედაობას და სიჩქარეს, ის მოითხოვს სისტემატურ და ღრმა მუშაობას, თუ პირველ კურსზე და, ნაწილობრივ, მეორე კურსზე ხდება ხოლმე სტუდენტების მიერ თემის გამოცვლა, გადასვლა ერთ[illegible]რეზე, მესამე კურსიდან აუცილებელია, სტუდენტმა იმუშაოს [illegible]მაზე ხანგრძლივი დროით, ინსტიტუტის დამთავრებამდე, ე. ი. 2-3 წლის, სტუდენტს შესაძლებლობას უქმნის ღრმად ჩაწვდეს შესაბამის საკითხებს და პრობლემას, ამასთან ერთად, გამოიმუშაოს ჩვევები ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებელია, სტუდენტმა პოლიტეკონომიაში აღებული თემა გამოიყენოს შემდგომში სადიპლომოდ, ხოლო წრეში მის მიერ წაკითხული მოხსენება გადაიქცეს სადიპლომო შრომის ნაწილად. თუ თემა გათვალისწინებულია 2—3 წლისათვის, არ არის გამორიცხული, პირიქით, აუცილებელია, რომ სტუდენტმა წელიწადში ერთხელ მაინც წაიკითხოს მოხსენება თემის ცალკეული ნაწილების შესახებ, რომელიც უკვე დამუშავებული აქვს, ანდა გამოვიდეს მოხსენებით თემის საკვანძო პრობლემებზე.

სტუდენტის მიერ თემის შეცვლა არ უნდა ხდებოდეს, თუ მოხდება შეცვლა ეს არ უნდა იყოს რადიკალურად განსხვავებული, რადგანაც სტუდენტს ესაჭიროება ახალი ბაზის შექმნა, ახალი ლიტერატურის საფუძვლიანი დამუშავება. მომიჯნავე თემაზე გადასვლა კი ამას დიდი მასშტაბით არ მოითხოვს. სტუდენტთა ბევრი პრემირებული შრომები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკურ და საკავშირო მეტად რთულ კონკურსებში, შედეგი იყო ხანგრძლივი შრომისა.

სტუდენტებს, რომლებსაც მიეცემათ თემა ხანგრძლივი პერიოდისათვის, აუცილებლად შეარჩევს კათედრა. თემა მიეცემა სტუდენტს, რომელსაც ორივე ნაწილი პოლიტიკური ეკონომიისა ჩაბარებული აქვს წარმატებით და ასწრებს ყველა სხვა სასწავლო დისციპლინაში. თემაზე ხანგრძლივი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თემის აქტუალობას. აქტუალობა—ასეთია მუშაობის კრიტერიუმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელიც დაინტერესებულია თემის ხანგრძლივობით, რადგანაც კარგად სწავლობს სტუდენტს, შეიცნობს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს და სისტემატურად, მეთოდურად წარმართავს მუშაობას სტუდენტის საერთო მომზადების დონის ასამაღლებლად.

როცა სტუდენტი თემაზე დაიწყებს მუშაობას, პირველ რიგში, საჭიროა შეადგინოს თემის შესაბამისი ბიბლიოგრაფია. ლიტერატურის შესწავლა აუცილებლად უნდა დაიწყოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებით, სკკპ ცკ და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებით აღნიშნულ საკითხზე. ამის შემდეგ სტუდენტი უნდა გადავიდეს საბჭოთა ეკონომიური ლიტერატურის შესწავლაზე, ამისათვის კი უნდა გამოიყენოს თემის შესაბამისი მონოგრაფიები, პერიოდული პრესიდან სტატიები და, რაც მთავარია, უხვად უნდა იქნეს გამოყენებული სტატისტიკური მასალები.

სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის წრეში, თუ თემა მუშავდება მხოლოდ წარმოების საანგარიშო მასალებით, სტუდენტებმა აუცილებლად უნდა შეაგროვონ მასალები ადგილზევე; ამისათვის კი წინასწარ კარგად უნდა იყოს მომზადებული და დაზუსტებული განსახილველი საკითხები, ცხრილები, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეავსოს და სხვ. ხელმძღვანელი სტუდენტთან ერთად წინასწარ უნდა მივიდეს იმ ორგანიზაციასა თუ საწარმოში, საიდანაც მასალები უნდა იქნეს აღებული და შეუთანხმდეს ხელმძღვანელ მუშაკებს, რათა საჭიროების შემთხვევაში, მათ აღმოუჩინონ სტუდენტს სათანადო დახმარება.

სტუდენტმა მოხსენება უნდა წარადგინოს ხელნაწერის სახით, კარგად გაფორმებული. აუცილებელია, მოხსენებას თან ჰქონდეს გეგმა, რომლის შესაბამისადაც დალაგდება გადმოცემული მასალა; რეკომენდებულია, მოხსენება დაყოფილ იქნეს თავებად, ხოლო დიდი თავები ქვეთავებად და პარაგრაფებად. მოხსენებაში აუცილებლად უნდა იქნეს მოყვანილი ცხრილები, ცხრილებს იქვე მითითებული უნდა ჰქონდეს წყარო. მოხსენებაში მოცემული უნდა იქნეს, აგრეთვე, დიაგრამები და სხვ.

მოხსენება შეიძლება დაწეროს ერთმა ან რამდენიმე სტუდენტმა, მაგალითად, ორმა, სამმა. ყოველი ასეთი ჯგუფი წერს ერთ მთლიან მოხსენებას. წრეში შეიძლება ძირითადი მოხსენება გააკეთოს ერთმა, დანარჩენები კი გამოვიდნენ თანამოხსენებებით — ცალკეულ საკითხზე ან დამატებითი მოხსენებებით.

მოხსენება, სანამ წრის სხდომაზე გავიდოდეს, საფუძვლიანად უნდა იქნეს წაკითხული ხელმძღვანელის მიერ; თუ საჭიროა, თემა უნდა დაუბრუნდეს სტუდენტს, დამატებისა და შესწორებისათვის.

ხელმძღვანელის მიერ მოწონებული და რეცენზირებული მოხსენება წარდგება განსახილველად წრის წევრების წინაშე. მანამდე კი აუცილებელია, მოხსენება, რამდენიმე ცალად გადაბეჭდილი, ინახებოდეს პოლიტეკონომიის კაბინეტში, რათა მას თავისუფლად და გულდასმით გაეცნოს წრის ყველა წევრი. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ წრის წევრები მოხსენების განხილვას საკმაოდ მომზადებული შეხვდებიან და სხდომაზედაც გაიმართება საქმიანი კამათი. ამავე დროს, თუ წრის ყველა წევრმა მოასწრო მოხსენების გულდასმით წაკითხვა, მაშინ წრის სხდომაზე მოხსენების მოსასმენად არ არის საჭირო დიდი დრო და საკმარისია პირდაპირ კამათზე და განხილვაზე გადასვლა, ამით ჩვენ დიდ დროს მოვიგებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხსენებელს უნდა მიეცეს 30—35 წუთი, რათა დაწვრილებით, ზეპირად გადმოსცეს მოხსენება. ზეპირ მეტყველებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან არა მარტო მომხსენებელი, არამედ კამათში გამოსულებიც უნდა მეტყველებდნენ ზეპირად, ჩანაწერების მოშველიებით. მეტყველების კულტურაც არა ნაკლებ უნდა გამოვუმუშაოთ სტუდენტს, ვიდრე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩვევები.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა სტუდენტის გამოსვლა ოპონენტის როლში. ამ მიზნით, სტუდენტი რამდენიმე კვირით ადრე სპეციალურად ეცნობა მოხსენების შინაარსს და წერს რეცენზიას. მიზანშეწონილია თითო მოხსენებაზე წრის წევრებიდან დაინიშნოს 2-3 ოპონენტი. ასეთი პრაქტიკა გააღრმავებს წრის მუშაობაში აუცილებლად საჭი-

რო კოლექტიურობის გრძნობას და, რაც მთავარია, ამაღლებს სხდომის სამეცნიერო დონეს. ეს ძალზე სასარგებლო საქმეა. ასეთი ურთიერთობა აძლიერებს კრიტიკულ აზროვნებას და აღრმავებს ეკონომიურ პრობლემებისადმი შემოქმედებით მიდგომას, აფართოვებს წრის წევრების ცოდნას და თვალსაწიერს.

თემის განხილვისა და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მეცნიერ-ხელმძღვანელი აჯამებს სხდომის მუშაობას. ამისათვის კი ის ცალ-ცალკე უნდა შეეხოს მომხსენებელს, ოფიციალურ ოპონენტებს და კამათში მონაწილეებს; ყველას უნდა მისცეს სათანადო შეფასება-შენიშვნა.

საუკეთესო მოხსენებას რეკომენდაცია უნდა მიეცეს სტუდენტთა საფაკულტეტო და საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციაზე გასატანად. აქედან რჩეულნი კი უნდა გაიგზავნონ სტუდენტთა საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებზე. ასეთი შრომები აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს სტუდენტთა სამეცნიერო კრებულებში.

მოხსენებას და მის განხილვას უნდა მიეძღვნას მთელი ერთი სხდომა და თუ კამათში სტუდენტთა დიდი რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას, მაშინ შეიძლება ორი სხდომა და არავითარ შემთხვევაში მეტი, რადგანაც ამას შეუძლია შეანელოს სტუდენტთა ინტერესი დისკუსიისა და ხელმძღვანელის შემაჯამებელი სიტყვისადმი. დრო მიზანშეწონილად უნდა გავანაწილოთ და გამოვიყენოთ. არ არის მიზანშეწონილი ერთ სხდომაზე გამოვიტანოთ რამდენიმე მოხსენება სხვადასხვა თემაზე, ასეთ შემთხვევაში სტუდენტების ყურადღება გარდუვალად გაორდება და გამოსვლები იქნება მდარე და თემის საჯარო განხილვის მიზანი მიუღწეველი დარჩება, ადგილი ექნება აშკარა ფორმალიზმს, რომელიც ზიანის მეტს არაფერს იძლევა. ინსტიტუტის პროფილის შესაბამისი მოხსენებები სასურველია განხილულ იქნეს პოლიტეკონომიის წრეების გაერთიანებულ სხდომაზე, აგრეთვე, შესაძლებელია განხილულ იქნეს შესაბამისი მაპროფილებელი კათედრების სტუდენტების სამეცნიერო წრეებთან ერთად. ასეთი სხდომების ჩატარების შესაძლებლობა არსებობს ჩვენს ინსტიტუტში, რადგანაც სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი თემები ძალზე ახლო დგას სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის და ეკონომიკის, სტატისტიკისა და და საბუღალტრო აღრიცხვის, ფილოსოფიის, სკკ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის და სხვა დისციპლინებთან.

სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობის მეტად საინტერესო ფორმაა წრის სხდომაზე იმ ახალი წიგნების ან მნიშვნელოვანი სტატიების განხილვა, რომლებიც ახლოს დგანან სამეცნიერო წრის თემატიკასთან. ეს მიაპყრობს სტუდენტთა ყურადღებას მნიშვნელოვან ეკონომიურ შრომებზე, შეაჩვევს სტუდენტს, კრიტიკულად აღიქვას, მიუდგეს სპეციალური სამეცნიერო წიგნს და გამოკვლევას. ასეთი განხილვა მიზანშეწონილია მოვაწყოთ 1—2-ჯერ სემესტრში. შეიძლება ორ ან სამ სამეცნიერო წრესთან ერთად. კარგი იქნება, თუ სხდომას წიგნის ან სტატიის ავტორიც დაესწრება, ეს კიდევ მეტ ინტერესს გამოიწვევს. უნდა დაევალოს წრის ერთ ან რამდენიმე წევრს დაწერონ რეცენზია განსახილველ ნაშრომზე ინსტიტუტის ან, შეიძლება, რესპუბლიკურ გაზეთში გამოსაქვეყნებლად.

დიდი მნიშვნელობა აქვს წრის წევრებისათვის ეკონომიური ჟურნალების სისტემატურ კითხვას მათთვის საინტერესო პრობლემებზე. მაგრამ სტუდენტი, მით უმეტეს პოლიტეკონომიის წრის წევრი, არა მარტო თავისი თემის შესაბამისს, არამედ ყველა სტატიას უნდა კითხულობდეს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სტუდენტთა სამეცნიერო წრეში აუცილებელია მოეწყოს რომელიმე ეკონომიური ჟურნალის განხილვა. კერძოდ, სემესტრში ერთხელ, წრემ უნდა მოისმინოს რამდენიმე სტუდენტის მიმოხილვითი მოხსენება მათ მიერ წაკითხული სტატიების ირგვლივ. ამას კი უნდა მიეძღვნას სპეციალური მიმოხილვითი სხდომა, რომელზედაც განხილული უნდა იქნეს რომელიმე ეკონომიური ჟურნალი განსაზღვრული პერიოდისა, უმჯობესია ნახევარი წლის ან კვარტლის. ეს უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე წლის ან ორი წლის პერიოდის ჟურნალების განხილვა.

სამეცნიერო წრის მუშაობის ძალზე საინტერესო და სასარგებლო ფორმაა სტუდენტთა ჩაბმა კათედრის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

доц. Р. В. ДЗАГНИДЗЕ

## МЕТОДИКА В РАБОТЕ НАУЧНЫХ СТУДЕНЧЕСКИХ КРУЖКОВ ПО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЭКОНОМИИ

### Резюме

Научные кружки являются основной формой организации научной работы студентов. В научных кружках студенты овладевают первыми навыками исследовательской работы. Кружки прививают вкус студентам к научно-исследовательской работе, помогают кафедре выявить склонных и способных к научной работе студентов, способствуют развитию у них этих склонностей и способностей.

Через научные студенческие кружки кафедра политической экономии должна готовить абитуриентов в аспирантуру. Важно, поэтому, чтобы кафедра и после окончания студентами вуза поддерживала связь с бывшими активными, проявившими способности к научной работе, членами научного кружка. Опыт работы кафедры политической экономии Грузинского сельскохозяйственного института показывает, что значительная часть поступающих в аспирантуру — бывшие активные члены научных студенческих кружков.

Через научные кружки кафедра должна привлекать студентов к своей научно-исследовательской работе. Особенно целесообразно привлечение членов научных кружков к работе кафедры над комплексными темами по содружеству с производством.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. ნ. ქარქაშაძე

# ჩაის საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზოგიერთი საკითხი

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო მშენებლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან დაკავშირებული ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე აღნიშნავდა: „მთავარი რამ, რისი იმედიც უნდა ვიქონიოთ, ეს არის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, პრობლემის არსი ის არის, რომ შრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯების თითოეულ ერთეულზე მივაღწიოთ წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობის არსებით გადიდებას“ (სკკპ ყრილობის მასალები. 1971 წ. გვ. 71).

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განუხრელი განვითარება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის პარტიისა და ხალხის ბრძოლის ორგანული ნაწილია. იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს ეროვნული შემოსავლის ზრდას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწევების განმსაზღვრელ ფაქტორთაგან, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რაც მოითხოვს დიდი მოცულობის კაპიტალურ დაბანდებას.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობამ სახალხო მეურნეობაში 1966—70 წლებში შეადგინა 353,8 მლრდ. მანეთი, ეს თითქმის იმდენივეა, რამდენიც დაბანდებული იყო წინა რვა წლიწადში. 1971—75 წლებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა შეადგენს 500 მლრდ. მანეთს, ეს დაახლოებით 40%-ით მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში იქნა დახარჯული. კაპიტალურ დაბანდებაში საკმაოდ დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი სოფლის მეურნეობა, სახელმწიფო და კოლმეურნეობათა საერთო დაბანდებანი მიაღწევენ უზარმაზარ თანხას, 129 მლრდ. მანეთს. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვნად გაიზრდება კაპიტალური დაბანდებანი იმ დარგებში, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან.

ჯერ კიდევ ადრე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ტექნიკური პროგრესი

არის განმსაზღვრელი, ყველა სხვა პროგრესისა. ეს მითითება მთელი სიმძაფრით ჟღერს დღესაც, მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში.

ტექნიკური პროგრესი ეს არის შრომის საშუალებების მუდმივი სრულყოფა და განახლება, წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. ტექნიკური პროგრესის ყველა ეს მხარე მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და განაპირობებს ერთმანეთს. მაგალითად, წარმოებაში ახალი მანქანის დანერგვას თან სდევს ტექნოლოგიური პროცესების და შრომის ორგანიზაციის შეცვლა, ხოლო თავის მხრივ, წარმოების პროგრესული ტექნოლოგია და ორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შრომის საშუალებების სრულყოფისა და განვითარების გზით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარეშე, შეუძლებელია იმ მნიშვნელოვანი ეკონომიური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე, იგი წარმოადგენს შრომისნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მთავარ ფაქტორს. როგორც ცნობილია, ახალი მანქანებისა და მოწყობილობების გამოყენება ზრდის წარმოების ეფექტიანობას, რაც საბოლოო ანგარიშით განამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკას.

ტექნიკური პროგრესი იწვევს შრომის შემსუბუქებას, ცვლის შრომის ხასიათს. ახალი ტექნიკა ითხოვს მუშაკის დიდ ცოდნას, პროფესიონალურ დახელოვნებას. ის შრომას ხდის სახალისოს, ხელს უწყობს შრომის სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცევას.

ტექნიკურ პროგრესში გადამწყვეტი როლი განეკუთვნება შრომის მექანიკურ საშუალებებს. ლენინი ხელით შრომის მანქანებით შეცვლას ადამიანთა პროგრესული საქმიანობის ყველაზე გადამწყვეტ უბანს უწოდებდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; იგი გახდა ინდუსტრიული, შინაარსობრივად მრავალფეროვანი. მეფის რუსეთის სოფლის მეურნეობასთან შედარებით ძირეული სტრუქტურული ცვლილებები მოხდა ენერგეტიკულ საშუალებებში. თუ 1913 წელს ენერგეტიკული საშუალებების 99,2% მოდიოდა ცოცხალ გამწევ ძალაზე, ხოლო 0,8 პროცენტი მექანიკურ საშუალებებზე, 1970 წლისათვის ეს მაჩვენებელი საპირისპიროდ შეიცვალა. დინამიკაში გაიზარდა ენერგოშეიარაღებისა და ენერგოუზრუნველყოფის მაჩვენებლები. 1913 წელს ერთ მუშაკზე გაანგარიშებით მოდიოდა 0,5 ცხენის ძალა, ხოლო 1970 წელს მაჩვენებელი 11,2 ცხენის ძალის ტოლია.

დიდია შრომის ენერგოშეიარაღების როლი და მნიშვნელობა. იგი საშუალებას გვაძლევს სასოფლო-სამეურნეო წარმოება გადავიყვანოთ ინდუსტრიულ საფუძველზე. მაგრამ სოფლის მეურნეობის ცალმხრივი შეიარაღება მექანიკური საშუალებებით, წარმოებისათვის საჭირო სხვა ელემენტების მოწოდების ზრდის გარეშე, ვერ უზრუნველყოფდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის შესაბამის ზრდას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყველა ელემენტის პროპორციული ზრდის გა-

რეშე, რომელთა სტრუქტურას განსაზღვრავს თვით წარმოების სპეციალიზაცია და გარკვეულად მომარაგების პირობები. დღეისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყველაზე მთავარი ელემენტია მექანიკური საშუალებები, რომლებიც ქმნიან წარმოების ინდუსტრიულ საფუძველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს, დღეისათვის ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა არაა სრულყოფილად უზრუნველყოფილი მანქანებითა და მექანიზმებით. თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ მანქანათა სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას, ხოლო ტექნოლოგიურ პროცესში ერთი რომელიმე მანქანაც რომ გამოგვაკლდეს, ეს უკვე იწვევს იმას, რომ სამუშაოთა სრული მექანიზაციის განხორციელებას საფრთხე ემუქრება.. სადღეისოდ ჩვენ გვაქვს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები, სადაც განხორციელებულია კომპლექსური მექანიზაცია, მთელი რიგი დარგებისათვის იქმნება მანქანათა სისტემა სამუშაოთა სრულ მექანიზაციაზე გადასასვლელად, მაგრამ ჯერჯერობით მაინც გვრჩება სოფლის მეურნეობის დარგები, რომლებიც ძნელად ექვემდებარებიან მანქანურ დამუშავებას, და ეს უმთავრესად გაპირობებულია თვით მცენარის ბიოლოგიური და მოვლა-მოყვანის თავისებურებებით.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ასეთ დარგს წარმოადგენს მეჩაიეობა, იგი ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი დარგია და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ მხარეს. მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წლის ბოლოსათვის საქართველოს მეჩაიეებმა სამშობლოს უკვე მისცეს 312 000 ტ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც მნიშვნელოვნად დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას მოსახლეობის კვების ამ მეტად მნიშვნელოვან პროდუქტზე.

ჩაის კულტურა თავის მოვლა-მოყვანის პირობებით ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადია. განსაკუთრებით დაძაბულ შრომას მოითხოვს იგი სრული ვეგეტაციის პერიოდში, როდესაც მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა 5 ან 7 დღის შუალედებით. როგორც ცნობილია, ჩაის ფოთლის კრეფა წარმოებს შერჩევითი მეთოდით, რაც ართულებს ამ კულტურის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის საკითხს.

მსოფლიოში არცერთ სასოფლო-სამეურნეო კულტურას არა აქვს დამუშავებისა და მოკრეფისათვის ისეთი მკაცრი დროის ჩარჩოები, როგორც ჩაის კულტურას. გამოანგარიშებით ირკვევა, რომ მთელი შრომითი დანახარჯების 70% მოდის კრეფაზე. სწორედ ამან განაპირობა ის დიდი ყურადღება, რაც დათმობილი აქვს ფოთლის კრეფის მექანიზაციის საკითხებს. რომ მოვახდინოთ ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანითი სამუშაოების სრული მექანიზაცია, ე. ი. რომ განვახორციელოთ კომპლექსური მექანიზაცია, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მოვახდინოთ მისი ყველაზე შრომატევადი პროცესის — ჩაის ფოთლის კრეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიზაცია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული და მოპოვებულია მეტად ხელშესახები გამარჯვებები. შეიქმნა რამოდენიმე ტიპის, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული კონსტრუქციის ჩაის [illegible] რეფი აპარატები, ყოველწლიურად ფართოვდება მათი გამო[illegible] ჩაის საკრეფ მანქანებზე ადრე შეიქმნა სხვა ტიპის ისეთი მანქანები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფოთლის კრეფის წინა პროცესების მექანიზაციას, კერძოდ, კულტივაციას, გასხვლას, ფუმიგაციას, სასუქების შეტანას და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად პრინციპში გადაწყვეტილია მეჩაიეობის კომპლექსური მექანიზაციის საკითხები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში სამუშაოთა 80% დღეისათვის სრულდება ხელით. ეს უარყოფითი მოვლენაა და ძირითადად გაპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: 1. ჩაის პლანტაციების გაშენებით სხვადასხვა რელიეფურ პირობებში, რომელიც მანქანათა გამოყენების საშუალებას ზღუდავს. 2. თვით გაშენების სხვადასხვა წესებით, რომელთაგან ჭადრაკული წესით გაშენებული პლანტაციები არ იძლევა მანქანური წესით დამუშავების საშუალებას და არც გადაკეთებას ექვემდებარება. 3. მექანიკური საშუალებების ძალზედ დაბალი ტემპით დანერგვა. დღეისათვის რესპუბლიკაში გვაქვს სულ რამოდენიმე ჩაის საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა, რომლებშიც განხორციელებულია ამ კულტურის მოვლა-მოყვანის სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორიცაა ენერგოშეიარაღება, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ოთხ ცხენის ძალას უდრის, რაც საკავშირო მაჩვენებელს სამჯერ ჩამორჩება, ხოლო თუ ამ მაჩვენებელს გავიანგარიშებთ მეჩაიეობაში, იგი ერთ ნახევარ, ორ ცხენის ძალას შეადგენს. რაც, თავის მხრივ, მიუთითებს ამ ყველაზე შრომატევადი კულტურის მექანიზებული დამუშავების ძალზედ დაბალ დონეზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ სუბტროპიკული მიმართულების საბჭოთა მეურნეობებში ძალოვანი მანქანები 1970 წლის მონაცემების მიხედვით 4617,3 ათასი მანეთით იყო წარმოდგენილი, რაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებების სტრუქტურაში 2,0% შეადგენს. მართალია, დინამიკაში აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით 1972 წელს 1966 წელთან შედარებით ზრდასთან გვაქვს საქმე, მაგრამ შეფარდებით მაჩვენებელში იგი 1,7%-ით შემცირდა. იგივე ითქმის მუშა მანქანების მიმართ, თუ 1966 წელს მათი ხვედრითი წილი 1,8% უდრიდა 1972 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1,5%-მდე დავიდა, თუმცა აბსოლუტურ მაჩვენებელში აქაც ზრდასთან გვაქვს საქმე. მნიშვნელოვნად გაიზარდა აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა როლი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და, განსაკუთრებით, ჩაის მიმართულების მეურნეობებში, სადაც მოკრეფილი ჩაის ფოთლის ტრანსპორტირება ჩაის ფაბრიკამდე უნდა მოხდეს ოპტიმალურ ვადებში, ძალზედ მნიშვნელოვანია. 1972 წელს სატრანსპორტო საშუალებები 1966 წელთან შედარებით 170 პროცენტით გაიზარდა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი ელემენტია შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ჩაის მიმართულების საბჭოთა მეურნეობებში წარმოდგე-

ნილია ფარდულების, სახელოსნოების, ტექნიკის დასაყენებელი შენობების, გარაჟებისა და სხვათა სახით. საწარმოო ფონდების სტრუქტურაში მათი ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია და, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ზრდის ტენდენციით ხასიათდება, როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით მაჩვენებელში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შენობა-ნაგებობათა ზრდა უნდა მოხდეს გარკვეული ზღვრული დონით, იმ დონემდე, რომელიც საჭიროა დასახული საწარმოო პროგრამის შესასრულებლად. ჩვენ შევისწავლეთ ორი ყველაზე მოწინავე მეურნეობის—ინგირისა და ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მეჩაიეობის მიმართულების მეურნეობების საშუალო მონაცემებისაგან. მაგალითად, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ძირითადი საშუალებების სტრუქტურაში შენობა-ნაგებობების ხვედრითი წილი 37,7 პროცენტითაა წარმოდგენილი, ხოლო ძალოვანი მანქანების ხვედრითი წილი კი ძალზედ მერყეობს; ასე, მაგალითად, 1966 წელს იგი 15,4%-ს უდრიდა, ხოლო მომდევნო წელს 3,5%-მდე შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა იგი, აგრეთვე, აბსოლუტურ მაჩვენებელშიც, ხოლო 1972 წელს ძალოვანი მანქანების ხვედრითი წილი 6,2%-ს უდრიდა. ძალოვანი მანქანების ასეთი არათანაბრობა როგორც აბსოლუტურ ისე შეფარდებით მაჩვენებელში გამოიწვია იმან, რომ ჩაის საკრეფი მანქანებისა და სხვა ძალოვანი მანქანების გარკვეული ნაწილი მეურნეობამ 1967—68 წლებში ან ჩამოწერა, ან ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გაასხვისა, ხოლო 1970—71 წლებში ისევ შეიძინა ახალი, მისთვის საჭირო ტექნიკა. ძალოვანი მანქანები ინგირის მეურნეობაზე ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩაის საკრეფი მანქანების, რომელთა წილად მოდის ძალოვანი მანქანების მთლიანი ჯამიდან 85—90% , გამოყენების არეალი აღნიშნულ მეურნეობაში ინგირის მეურნეობასთან შედარებით შეზღუდულია.

როდესაც ვიხილავთ საკითხს, მეჩაიეობის მიმართულების საწარმოებში არსებული ტექნიკის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის ტექნიკა, რომელიც დღესაც ემსახურება ჩაის კულტურას, შექმნილია ხუთი, ათი და ზოგჯერ მეტი წლის წინათ და დღეისათვის უკვე მოძველებულია. მეჩაიეობის მიმართულების საწარმოებში კი ტექნიკის სრულყოფა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო მომენტად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ მას აქვს უაღრესად დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, რომელიც ძალზედ დიდ გავლენას ახდენს ტექნიკურ საშუალებების გამოყენებაზე. დღეისათვის ადამიანებს სჭირდებათ ტექნიკურად გამართული, სრულყოფილი საშუალებები, ვინაიდან მათი ტექნიკური ცოდნა უკვე გასცდა ტექნიკის არსებულ დონეს, საჭიროა ზრუნვა არა მარტო მანქანის სამუშაო აპარატების სრულყოფაზე, არამედ თვითმომუშავის—კვალიფიციური მუშაკის შრომის შემსუბუქებაზე, მისთვის რაც შეიძლება მაქსიმალურად „რბილი“ სამუშაოს პირობების შექმნაზე.

ჩვენ გვესმის საკითხის მთელი სირთულე. რომ მოვახდინოთ ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია, საჭიროა მრავალფეროვანი მანქანათა სისტემების შექმნა და, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე პროცესისათვის რამდენიმე ტიპის მანქანის შექმნა. ეს მეტად რთული პროცესია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო მანქანის შექმნის თვალსაზრისით, არამედ მისი საწარმოო ათვისების თვალსაზრისითაც, მაგრამ ეს გადაუდებელი ამოცანაა, დღეს თუ არა ხვალ დაგვჭირდება ასეთი ნაბიჯის გადადგმა, ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დავუახლოვდეთ ამ საკითხში ჩვენს ძირითად მიზანს.

Доц. Н. И. КАРКАШАДЗЕ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ МАТЕРИАЛЬНО-ТЕХНИЧЕСКОЙ БАЗЫ В ЧАЙНЫХ СОВХОЗАХ.


### Резюме

Неуклонный рост социалистического сельского хозяйства является неотъемлемой частью борьбы партии и народа за создание материально-технической базы коммунизма. Она в значительной степени обуславливает рост национального дохода, рост благосостояния жизненного уровня трудящихся масс.

Среди факторов, определяющих рост с/х производства, решающим является создание материально-технической базы, что требует большого объема капитальных вложений.

Некоторые вопросы материально-технической базы чайных совхозов рассмотрены в данном труде, выяснены моменты, определяющие специфику создания материально-технической базы, определена роль технического прогресса, охарактеризованы некоторые элементы материально-технической базы, приведены фактические цифровые данные, определяющие существующий уровень материально-технической базы, определена прогрессивная роль комплексной механизации, и с этой целью необходимость создания системы машин.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასისტ. მ. ოდიშვილი

# მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივები ყაზბეგის რაიონში

მეცხვარეობა მეცხოველეობის ერთ-ერთ უძვირფასეს დარგს წარმოადგენს. მას საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

მეცხვარეობა ფართო მოხმარების გადამამუშავებელ მრეწველობას აწვდის ისეთ აუცილებელ ნედლეულს, როგორიცაა, მატყლი, ტყავი, მაუდაკი, ქურქი და სხვ. ამასთან ერთად, იგი იძლევა ადამიანისათვის ძვირფას საკვებ პროდუქტებს—ხორცს, ცხიმს, რძეს, რომელთა გადამუშავებით მიიღება აგრეთვე მნიშვნელოვანი პროდუქტები, როგორიცაა ყველი, ძეხვი, კონსერვი და სხვ. იგი იძლევა აგრეთვე სასაკლაოს ანარჩენებს (სისხლი, ძვალეული, რქა, ჩლიქი, ნაწლავი და სხვ.), ნაკელს—ძვირფას ორგანულ სასუქსა და სხვ.

მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან სწორად შეთანაწყობით იძლევა მეურნეობის ბუნებრივ-საწარმოო პირობების უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას. იგი იყენებს ზამთრისა და ზაფხულის ე. წ. „აბსოლუტურ" საძოვრებს, რომლებიც კულტურული მცენარეულობისათვის ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული.

ეს დარგი წარმატებით ვითარდება სსრ კავშირის ყველა სასოფლო-სამეურნეო ზონაში. უკრაინაში, ჩრდილო კავკასიაში, დასავლეთ ციმბირსა და სხვა რაიონებში მეცხვარეობის სარეკორდო მაჩვენებლებია მიღებული, ასევე აღმოსავლეთ ციმბირი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და სხვა რაიონები და მხარეები ჩვენს ქვეყანას მეცხვარეობის პროდუქტების მნიშვნელოვან მარაგს უქმნიან. თურქმენეთისა და უზბეკეთის მეცხვარეები ღებულობენ მთელ მსოფლიოში საუკეთესო მაუდაკს—ძვირფას ბეწვეულს ქუდებისათვის, საყელოებისათვის და სხვ. იაროსლავისა და მის მოსაზღვრე ჩრდილო ოლქებში ამრავლებენ უბადლო საქურქე ტყავის მომცემ რომანოვული ჯიშის ცხვარსა და სხვ.

მეცხვარეობა ფრიად ეფექტური დარგია ჩვენი რესპუბლიკის მთაგორიანი ადგილებისათვის, სადაც ბუნებრივი და საწარმოო პირობების მიხედვით ნაკლები შესაძლებლობა არსებობს სხვა დარგების ფართო განვითარებისათვის.

1972 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს სსრ-ზე მოდის საბჭოთა კავშირის ცხვრის სულადობის 1,55%, მატყლის წარმოების 1,3%.

ჩვენს რესპუბლიკაში ცხვრის სულადობა 1961 წლიდან 196[illegible] გაიზარდა მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით 2084,2 ათ[illegible]ი [illegible] 2173 ათას სულამდე, ანუ 4%-ით, ხოლო 1973 წლის 1/I-სათვი[illegible] შედარებით იგი შემცირდა 2053 ათას სულამდე, ანუ 2%-ით. მ[illegible] ბამ 1972 წელს შეადგინა 4,8 ათასი ტონა, ნაცვლად 1960 წლის 4,1 ათასი ტონისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1971—1975 წლებში გათვალისწინებულია რესპუბლიკაში ცხვრის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა. მატყლის წარმოება 1970 წელთან შედარებით 1975 წელს გაიზრდება 10%-ით, და მისი სახელმწიფოსათვის მიყიდვა შეადგენს 5,6 ათას ტონას.

საქართველოს სსრ სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციის IV ზონაში შემავალი რაიონებიდან ტიპური მეცხვარეობის მიმართულებით გამოირჩევა ყაზბეგის რაიონი, სადაც წმინდა მეცხვარეობის მიმართულებისაა რის აქ არსებული ხუთივე კოლმეურნეობა.

მეცხვარეობის განვითარება აქ ეყრდნობა ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს, ადგილობრივ—ზაფხულის და მოძმე დაღესტნის ასს რესპუბლიკის — ზამთრის საძოვრებს.

ყაზბეგის რაიონის სათიბ-საძოვრები შეადგენს საქართველოს სსრ სათიბ-საძოვრების 2,4%-ს, ხოლო სასოფლო-სავარგულები საქართველოს სსრ სავარგულების — 1,5%-ს[1].

ყაზბეგის რაიონის საზოგადოებრივი ცხვრის სულადობა 1973 წლის 1/I-სათვის შეადგენდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი ცხვრის სულადობის 8%-ს, საზოგადოებრივი სექტორის მატყლის წარმოება ასევე 8%-ს.

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების ხვედრითი წონა საქართველოს კოლმეურნეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებაში 0,5%-ს აღწევს, ხოლო ამ რაიონის კოლმეურნეობის წევრი-ოჯახების მოსახლეობა რესპუბლიკის შესაბამისი ჯგუფის მოსახლეობის 0,3%-ს შეადგენს.

მოტანილი მონაცემები ადასტურებს, რომ ყაზბეგის რაიონის სოფლის მეურნეობრივი წარმოების ეკონომიკა გარკვეულ როლს ასრულებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიურ სფეროში, მით უმეტეს მეცხვარეობის დარგში და ამდენად ინტერესს იწვევს მისი ეკონომიური კვლევა.

ყაზბეგის რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია მეცხვარეობაა მიმართულებით, ჩვენი აზრით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოხდა. ეს განაპირობა რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და რუსეთის იმპერიის მიერ დაღესტან-ჩეჩნეთის დამორჩილების შედეგად ხევის მეცხვარეობისათვის, ერთი მხრივ, ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრების გამოყენების შესაძლებლობის მიცემამ, ხოლო, მეორე მხრივ, მისი პროდუქტების გასაღებისათვის ევროპისა და რუსეთის ბაზრების გზის გახსნამ. ხევში მეცხვარეობის განვითარებას ფართო გასაქანი მიეცა, განსაკუთრებით „მას აქეთ—გვატყობინებს „სასოფლო გაზეთი“—რაც დაღესტანი და ჩეჩენი რუსებმა დაიმორჩილეს“[2].

[1] Советская Грузия к 50-летию, стр. 11. 1967,

[2] „სასოფლო გაზეთი“, 1875, № 10.

ამჟამად სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრების შემდეგ, პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობის შედეგად, დიდი რუსი და ჩრდილოკავკასიელი ხალხის უანგარო დახმარების წყალობით, [illegible] შესაძლებლობაა შექმნილი ხევში ცხვრის გამრავლებისათვის, [illegible] ბუნებრივი პირობების მაქსიმალური გამოყენებისა და მეურნეობის რაციონალური მოწყობისათვის, მეცხვარეობის მეურნეობის რენტაბელურად წარმართვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხევში საკოლმეურნეო ურთიერთობის დამკვიდრების შემდეგ 1941 წლიდან დღემდე ცხვრის საერთო სულადობა გაიზარდა 60 და მეტი პროცენტით, ხოლო მათ შორის საზოგადოებრივი ცხვრის სულადობა 5-ჯერ და მეტად.

მეცხვარეობის აღმავლობას განსაკუთრებით ხელი შეუწყო უკანასკნელ პერიოდში პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულმა დიდმნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა, როგორიცაა, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ერთიანი ფორმისა და ერთიანი მაღალი ფასების შემოღება. კოლმეურნეობისათვის გრძელვადიანი კრედიტების მიცემა, შრომის მატერიალური წახალისება და სხვა, რის შედეგადაც კიდევ უფრო მტკიცე საფუძველი შეიქმნა მეცხვარეობის სწრაფი აღმავლობისათვის.

ყაზბეგის რაიონის საწარმოო სპეციალიზაციას თვალსაჩინოდ გამოხატავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურა.

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურა 1972 წ. I/XI-სათვის[3] შემდეგ სურათს იძლევა:

| | ჰა ჰექტარი | % |
|---|---|---|
| სულ სას-სამ. სავარგული | 130925 | 100 |
| მათ შორის: ა) სათიბი | 1850 | 1,4 |
| ბ) საძოვარი | 129075 | 98,6 |

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საძოვრებზე მოდის სავარგულთა 98,6%. აღსანიშნავია, რომ საძოვრების მთლიან ფართობში ზამთრის საძოვრებზე მოდის 70%, ხოლო ზაფხულის საძოვრებზე 30%. მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მეცხვარეობა აქ მთაბარობის ხასიათს ატარებს.

მეცხვარეობის დარგის მდიდარი ტრადიციებისა და თანამედროვეობის ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ მეცხვარეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები ყაზბეგის რაიონში, რაც, ჩვენი აზრით, შემდეგი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი:

| | 1970 ფაქტიური | 1972 ფაქტიური | 1975 | მომავალში |
|---|---|---|---|---|
| ცხვარი და თხა სული | 102492 | 100196 | 120000 | 126000 |
| მ. დედა ცხვარი და დედა თხა | 49706 | 53690 | 66000 | 86200 |

[3] მასალები აღებულია კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშებიდან

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ცხვრისა და თხის სულადობა 1975 წელს 1970 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 17%-ით, ხოლო შემდგომში 23%-ით, სადედე სულადობა კი შესაბამისად 33%-ით და 77%-ით. დედა ცხვრისა და თხის ხვედრითი წონა ცხვრისა და თხის საერთო სულადობაში მიაღწევს 70%-ს. საძოვრების რაციონალური გამოყენებისა და პროდუქციის წარმოების გაზრდის თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია სადედე სულადობის ხვედრითი წონის კიდევ უფრო (80%-მდე) ამაღლება შემდგომ წლებში.

მეცხვარეობის სულადობის აღმავლობასთან ერთად უნდა გაიზარდოს მისი პროდუქტიულობაც, რამაც უნდა მიაღწიოს შემდეგ მაჩვენებლებს:

| | 1970 წ. (კგ) | 1975 წ. (კგ) | მომავალში (კგ) |
|---|---|---|---|
| 1 ცხვრის საშ. ცოცხალი წონა | 29 | 35 | 38 |
| 1 ცხვრის საშ. ნაპარსი | 2,102 | 2,600 | 2,700 |

ცხვრის სულადობისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ჯიშის გაუმჯობესებას. ამჟამად დიდი ხვედრითი წონა უკავია მეტის ცხვარს, ხოლო წმინდა თუშური ჯიშის ცხვარი ძალზე მცირე ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი. საჭიროა ადგილობრივი (ზაფხულის) საძოვრების რაციონალური გამოყენების, კლიმატური პირობებისა და მთაბარობის ამტანობის თვალსაზრისით დიდი ყურადღება დაეთმოს თუშური ცხვრის მომრავლებას.

ცხადია, სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდა ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში სათანადოდ აამაღლებს მეცხვარეობის პროდუქციის წარმოებას, რაც მომავლისათვის მნიშვნელოვან მაჩვენებლებს მიაღწევს.

როგორც ვიცით, მეცხვარეობის განვითარების საფუძველს მტკიცე საკვები ბაზა წარმოადგენს. 1972 წელს ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხვარეობაში საძოვრების საკვების დანახარჯები ნატურაში შეადგენდა 894461 ცენტნერს, ხოლო ყველა სახის საკვების დანახარჯი საკვებ ერთეულებში გადაყვანით უდრიდა 210939 ც. ანუ 1 სულ ცხვარზე (1 იანვრის მდგომარეობით) 2 ც საკვებ ერთეულს.

მეცხვარეობის საკვებწარმოებისა და მოთხოვნილების მაჩვენებლები მომავლისათვის ასე წარმოგვიდგება:

| | კონცენტრატი | უხეში | წვნიანი | მწვანე |
|---|---|---|---|---|
| ყველა სახის საკვები საკვებ ერთეულებში (ათას ც.) მოთხოვნილება | 6,6 | 23,5 | 1,7 | 35.6 |
| წარმოება | — | 35,3 | 1,7 | 88.0 |
| მეტი | — | 11,8 | — | 52,4 |
| ნაკლები | 6,6 | — | — | — |

პარტიის XXIV ყრილობამ სოფლის მეურნეობის დარგში მეცხრე ხუთწლედის ამოცანად მიიჩნია, რომ გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით 20—22%-ით, ხოლო შრომისნაყოფიერება 37—40%-ით, ამასთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება, რაც, თავის მხრივ, აამაღლებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობის დონეს.

სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედებს საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების განუხრელი ზრდის ეკონომიური კანონი.

ვ. ი. ლენინი შრომისნაყოფიერების ზრდას ყველაზე მნიშვნელოვან პირობად თვლიდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების საქმეში: „შრომისნაყოფიერება ეს საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის"[4].

როგორც ვიცით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის IV ზონაში შემავალი ხუთი რაიონიდან ყაზბეგის რაიონი არის წმინდა მეცხვარეობის საწარმოო მიმართულების. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მთლიანად მეცხოველეობის დარგში შრომისნაყოფიერების დონეზე, წარმოების დანახარჯების სიდიდესა და რენტაბელობის დონეზე. ყაზბეგის რაიონში IV ზონის დანარჩენ რაიონებთან შედარებით, მაღალია მეცხოველეობაში შრომისნაყოფიერების დონე. როგორც მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, იგი მაღალია როგორც დღიური, ასევე წლიური მაჩვენებლის მიხედვით, ე. ი. ერთ კაცდღეზე და ერთ წლიურ მუშაკზე გაანგარიშებით (მეცხოველეობის საერთო პროდუქცია მანეთობით).

| | ერთ კაცდღეზე | | ერთ წლიურ მუშაკზე | |
|---|---|---|---|---|
| | 1966 წ. | 1970 წ. | 1966 წ. | 1970 წ. |
| ყაზბეგი | 7,48 | 10,03 | 1721 | 3407 |
| დუშეთი | 4,06 | 5,41 | 1272 | 1790 |
| თიანეთი | 3,29 | 4,01 | 1080 | 1508 |
| ლენინგორი | 7.60 | 4.27 | 2271 | 1327 |
| ჯავა | 3,54 | 6,71 | 1109 | 2259 |
| IV ზონაში საშუალოდ | 5,22 | 5.79 | 1949 | 1971 |

შრომისნაყოფიერების დონე მეცხოველეობაში 1970 წელს 1966 წელთან შედარებით ყაზბეგის რაიონში გაიზარდა 34.1%-ით. მომავლისათვის იგი 40%-ზე მეტად გაიზრდება.

კოლმეურნეობების სამეურნეო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან და განმაზოგადებელ მაჩვენებელს წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულება.

მონაცემები გვიჩვენებს, რომ საშუალოდ 1966—1970 წლებში მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების თვითღირებულება ყაზბეგში უფრო მაღალი იყო.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, 1952, გვ. 499.

ვიდრე საშუალოდ IV ზონის კოლმეურნეობებში. მაგალითად, 1 ც წონამატის თვითღირებულება ყაზბეგში უდრიდა 76,85 მანეთს, ხოლო საშუალოდ IV ზონა-ში—65,80 მანეთს, ხოლო 1 ც მატყლისა პირველში 342,0 მანეთს, [illegible] რეში—322,75 მანეთს, მაგრამ იგი ყაზბეგში უფრო დაბალია, ვიდრე თიანეთსა და ჯავაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი შრომის მიზანს შეადგენს, რომ რაიონის სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის და ჩატარებული დაკვირვების შედეგების საფუძველზე გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრებანი ყაზბეგის რაიონში ცხვრის სამეურნეო გამოყენების თავისებურებაზე და ხელი შევუწყოთ მეცხვარეობის შემდგომ აღმავლობას.

1. ყაზბეგის რაიონის მეცხვარეობა ძველთაგანვე თუშური ცხვრის ჯიშით იყო წარმოდგენილი, ხოლო უკანასკნელ წლებში ნაზმატყლიანი ცხვრით. თუშური ცხვრის გარდაქმნის ცდების საფუძველზე ჯიშობრივი სტრუქტურა რაიონში შეიცვალა.

2. როგორც ცნობილია, თუშური ცხვარი ხასიათდება მრავალფეროვანი პროდუქტიულობით. ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობები მისგან ძირითადად იღებდნენ ხორცს, მატყლს, რძეს, მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ მეტისი ცხვარი წველით თითქოს სუსტდება, ცხვრის რძის წარმოება 1961 წელს 1957 წელთან შედარებით 71,19 პროცენტით შეამცირეს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში დედა ცხვრის სულადობა 19 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შემდეგ, თითქმის, სულ შეწყვიტეს.

ცხვრის წველა, ჩვენ როგორც ეკონომიური, ასევე ისტორიული თვალსაზრისით გამართლებულად მიგვაჩნია, ვინაიდან აქ მუშა ხელი ქალების სახით საკმაოა. თვით მეცხვარეთა და საერთოდ რაიონის მოსახლეობის კვებაში ხორცი, რძე და ყველი შეუნაცვლებელ პროდუქტებს წარმოადგენენ, ამასთან, რძის ანარჩენი პროდუქტებიც საკმაოდ გამოიყენება. რაიონის ბუნებრივ-ისტორიულმა და ეკონომიურმა პირობებმა, განსაზღვრა რა მისი სასოფლო-სამეურნეო ცალმხრივი სპეციალიზაცია, მოსახლეობა ტრადიციულად შეაჩვია აღნიშნული პროდუქტებით კვებას. ცხვრის ყველი, როგორც სათანადოდ ცხიმიანი და გემრიელი მზა ნაწარმი, მეცხვარეობისათვის ყველა სხვა პროდუქტებზე მეტადაა გამოსაყენებლად მოსახერხებელი. ცხვრის რძე და ყველი მიიღება ცხვრის ფიზიკური ლიკვიდაციის გარეშე, სათანადო მოვლა-პატრონობის პირობებში მისი სამეურნეო თვისებების შენარჩუნებით და გაუმჯობესებით, ხოლო ცოცხალ წონაში ნამატის, ე. ი. ხორცის გამოყენება მოითხოვს ცხვრის აუცილებელ ლიკვიდაციას. ყაზბეგის რაიონში თავისებური ხელოვნებით დამზადებული კობური ყველი ისტორიულად ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებდა და მნიშვნელოვან სასაქონლო პროდუქციას წარმოადგენდა, ამიტომ ცხვრის წველა ეკონომიურად გამართლებულად და აუცილებლად მიგვაჩნია, რაიონის კოლმეურნეობაში ცხვრის რძის არა მარტო წარმოების მოცულობა უნდა გაიზარდოს, არამედ რძის გადამუშავების ტექნოლოგია და ყველის კეთების ტექნიკაც სათანადოდ უნდა გაუმჯობესდეს. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ წველის სეზონის დასაწყისისათვის რაიონში მოეწყოს საკოლმეურნეობათაშორისო საწა-

რმოო გაერთიანება ცხვრის წველისა და ყველის კეთების დარგში, რომელთა სა-
წარმოო ბაზად თრუსოს და კარკუჩის ხეობის მაღალპროდუქტიული [illegible]
გამოიყენება. ამ საძოვრებზე თითოეულ ცხვარზე შესაძლებელია [illegible]
2,5 კგ ყველი, არამედ 5—6 კგ. საჭიროა ამუშავდეს ყაზბეგის რაიონის ყველ-
ერბოს გადამუშავების ქარხანა, თუ რძის გადატანის საშუალება იქნება, ან წვე-
ლის ადგილებზე მოეწყოს ყველის კეთების სათანადო პუნქტები, ე. წ. მოძრავი
ქარხნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. А. ОДИШВИЛИ

## ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ОВЦЕВОДСТВА КОЛХОЗОВ КАЗБЕГСКОГО РАЙОНА


### Резюме

Овцеводство занимает достойное место в народном хозяйстве нашей страны.

Овцеводство — эффективная отрасль горно-склонных мест Грузии, в частности, Казбегского района, где оно дает возможность более полно и рационально использовать природно-производственные условия.

Общественное овцеводство Казбегского района играет определенную роль в сооответствующих отраслях экономической сферы республики.

Поголовье общественных овец и производство шерсти Казбегского района в 1973 году составило 8% от поголовья овец и производства шерсти соответствующих хозяйственных категорий Грузинской ССР. Таким образом, его дальнейшее развитие имеет большое значение.

На основе изучения богатых традиций овцеводческой отрасли и наличия природно-производственных условий Казбегского района, установлено: возможное увеличение поголовья овец в будущем на 23%, в том числе — поголовье овец маток на 77%, производство мяса на 20% и производство шерсти на 25%.

Вместе с тем, должно быть обращено внимание на улучшение хозяйственного использования овец.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. დ. ბერუჩაშვილი

## ზემო აჭარის სპეციალიზაციის საკითხები

სკკპ პროგრამაში აღნიშნულია, რომ „განხორციელდეს სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული განლაგება ბუნებრივ-ეკონომიური პირობებისა და რაიონების მიხედვით, მისი უფრო ღრმა და მყარი სპეციალიზაცია, უპირატესად გაიზარდოს იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რომლისთვისაც საუკეთესო პირობებია და რითაც მიღწეული იქნება დანახარჯების რაც შეიძლება მეტი ეკონომია... ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში დაინერგოს, ადგილობრივი პირობებისა და თვითეული მეურნეობის სპეციალიზაციის შესაბამისად მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა“.[1]

ჩვენს პირობებში სპეციალიზაცია გამომდინარეობს სახალხო-სამეურნეო ერთიანი გეგმის ინტერესებიდან, ჩვენი სოფლის მეურნეობა მრავალდარგობრივია და სოციალიზმის პირობებში გაღრმავებული სპეციალიზაცია, რომელსაც მივყევართ სოფლის მეურნეობაში საწარმოო ტიპების სწორად დადგენამდე. უაღრესად დიდ როლს თამაშობს, რათა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვაწარმოოთ ის დარგები და კულტურები, რომლებიც შრომისა და მატერიალურ საშუალებათა მცირედი დანახარჯის პირობებში მოგვცემენ მეტ პროდუქციას, ნაკლები თვითღირებულებით.

ზემოთ აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, ჩვენ შევისწავლეთ აჭარის ასსრ სამთო მიწათმოქმედების ზონაში განლაგებული—ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების სპეციალიზაციის საკითხები, რომლებსაც საფუძვლად დაედო საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, ფულადი შემოსავლის სიდიდე და შემდგომი განვითარების პერსპექტივები — თუ ბუნებრივი და სამეურნეო პირობების შესაბამისად რა დარგები და კულტურები იქნებიან ეკონომიურად ეფექტური და რენტაბელური, მცირე დანახარჯების პირობებში.

ჩვენ დავამუშავეთ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების სპეციალიზაციის სქემა.

---

[1] სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 469.

ზემო აჭარა[2] ხასიათდება მკვეთრი ვერტიკალური ზონალობით, აქედან გამომდინარე განსხვავებულია ნიადაგობრივი ტიპები.

ასეთ პირობებში საწარმოთა ტიპების დადგენა მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეა, რათა ხელი შევუწყოთ კოლმეურნეობებს, რომ გამოიყენონ სპეციალიზაციის სქემა და ამის შესაბამისად აწარმოონ ის დარგები და კულტურები, რომლებიც ეკონომიურად უფრო ეფექტური იქნება.

სპეციალიზაციის ნიშნის მიხედვით ზემო აჭარის პირობებში ჩვენ გამოვყავით სამი მიკროზონა:

პირველი მიკროზონა—მეთამბაქოეობა-მეჩაიეობა, მეცხოველეობით.

მეორე მიკროზონა — მეთამბაქოეობა-მევენახეობა, განვითარებული მეხილეობით და მეცხოველეობით.

მესამე მიკროზონა — მეცხოველეობა-მეთამბაქოეობა—სიმინდისა და საკვები კულტურების თესვით.

განვიხილოთ ცალკეული მიკროზონა.

პ ი რ ვ ე ლ ი   მ ი კ რ ო ზ ო ნ ა—მეთამბაქოეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობით აერთიანებს ქედის რაიონის 26 კოლმეურნეობას, მიკროზონაში მრეწველობა სუსტად არის განვითარებული, აქ გაადგილებულია მცირე სიმძლავრის ჩაის ფაბრიკა, ღვინის ქარხანა და მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა.

როგორც მთიანი რაიონი მიკროზონის დამახასიათებელია სახნავი მიწების სიმცირე, მიკროზონაში სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენს 33,3%-ს, მათ შორის სახნავი — 5,7%-ს, მრავალწლიანი ნარგავები — 2,1%-ს, სათიბი და საძოვარი — 25,4%-ს.

ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მოდის განსაზოვადოებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული 2.3 ჰა, სახნავი 0,35 და მრავალწლიანი ნარგავები—0,18 ჰა.

1972 წელს მიკროზონის კოლმეურნეობებში ფულად შემოსავალში ცალკეული დარგების ხვედრითი წონა შეადგენდა: მეთამბაქოეობა—46,6%-ს, მეჩაიეობა — 22,8%-ს, მევენახეობა — 6,8%-ს, მეცხოველეობა 7,9%-ს, დანარჩენი—15,9%-ს.

მიკროზონის სოფლის მეურნეობის ამოცანაა მეთამბაქოეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება, ამასთან ერთად განვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, ხოლო მეცხოველეობიდან მერძეული პირუტყვი.

მიკროზონაში კულტურებისა და დარგების განვითარების შესახებ მასალები მოცემულია პირველ ცხრილში.

---

2 ზემო აჭარა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოების განლაგებისა და სპეციალიზაციის და გაძღოლის სისტემის მიხედვით მიკუთვნებულია ზემო აჭარის მეთამბაქოეობა-მეცხოველეობის XI ზონას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი და ნარგავი ფართობები [illegible]რესად გაიზრდება მიტოვებული მიწებისა და ბუჩქნარების ათვისების ხარჯზე.

გაანგარიშებით გამოდის, რომ 1965 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა ახლო მომავლისათვის გაიზარდა 36,[illegible] ძროხებისა — 44,5%-ით.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ცხრილი 1

I მიკროზონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარება და პროდუქციის წარმოება პერსპექტივაში

| | 1965 წ. | 1970 წ. | 1975 წ. | მომავალში |
|---|---|---|---|---|
| თამბაქო — ჰა | 293 | 318 | 340 | 350 |
| მოსავლიანობა — ც | 10,2 | 13,0 | 17,7 | 20,0 |
| მოსავალი — ტ. | 293 | 413 | 640 | 662 |
| ჩაი — ჰა | 238 | 290 | 310 | 340 |
| მ. შ. ფოთოლმომცემი — ჰა | 105 | 175 | 275 | 325 |
| მოსავლიანობა — ც | 20 | 25 | 30 | 35 |
| მოსავალი — ტ | 210 | 437,5 | 725 | 1137,5 |
| ვენახი — ჰა | 142 | 163 | 239 | 269 |
| მ. შ. მოსავლიანი — ჰა | 105 | 130 | 214 | 252 |
| მოსავლიანობა — ც | 42 | 50 | 51,0 | 55 |
| მოსავალი — ტ | 442 | 600 | 1091 | 1386 |
| ხეხილი — ჰა | 925 | 1015 | 1173 | 1208 |
| მ. შ. მსხმოიარე — ჰა | 606 | 910 | 975 | 995 |
| მოსავლიანობა — ც | 16 | 20 | 25 | 30 |
| მოსავალი — ტ | 969 | 1920 | 2437 | 2985 |
| სიმინდი მარცვლად — ჰა | 525 | 745 | 810 | 900 |
| მოსავლიანობა — ც | 10 | 15,7 | 18 | 20 |
| მოსავალი — ტ | 525 | 1192 | 1458 | 1800 |
| ბოსტანი — ჰა | 35 | 50 | 60 | 70 |
| მოსავლიანობა — ც | 40 | 45 | 50 | 55 |
| მოსავალი — ტ | 140 | 225 | 300 | 385 |
| კარტოფილი — ჰა | 115 | 130 | 150 | 200 |
| მოსავლიანობა — ც | 60 | 65 | 70 | 75 |
| მოსავალი — ტ | 690 | 845 | 1050 | 1500 |

ჯოგის სტრუქტურისა და ჯიშობრივი გაუმჯობესების გზით გაიზრდება 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე რძის წარმოება, მომავლისათვის ნილებული იქნება 125 ც ნაცვლად 1965 წლის 75 ც-ისა.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების შედეგად I მიკროზონაში პერსპექტიული გეგმით გაიზრდება რიგი ეკონომიური მაჩვენებლები, გაანგარიშებით გამოდის, რომ საერთო პროდუქციის ღირებულება (1965 წლის ფასების მიხედვით) თუ 1970 წელს 3114 ათას მან. შეადგენდა, 1975 წლისათვის გაიზრდება 3745 ათას მან.-მდე, ხოლო მომავლისათვის კი მიაღწევს 4223 ათ. მან. მიღებული საერთო პროდუქციის გარკვეულ ნაწილს კოლმეურნეობები აქცევენ საქონლად, რის შედეგადაც გაიზრდება ფულადი შემოსავალი, თუ 1970 წელს ამ კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 1995 ათ-

ას მან-ს შეადგენდა, 1975 წელს ის გაიზრდება 2334 ათას მან-მდე, ხოლო ახ-ლო მომავლისათვის კი — 3075 ათას მან-მდე.

სამთო მიწათმოქმედებისათვის არსებული ტექნიკის დანერგვა, გამოყენება და სხვა ღონისძიება საფუძველი გახდება შრომისნაყოფიერების გადიდებისა და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

მ ე ო რ ე  მ ი კ რ ო ზ ო ნ ა—მეთამბაქოეობა-მევენახეობა განვითარებული მეხილეობით და მეცხოველეობით. მას მიეკუთვნება ქედის რაიონის—8, შუახევის რაიონის — 10 და ხულოს რაიონის — 8 კოლმეურნეობა.

მიკროზონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენს 29,2%-ს, აქედან სახნავია — 5,3%, მრავალწლიანი ნარგავები — 1,7% და სათიბი და საძოვარი — 22,2%, შრომისუნარიან კოლმეურნეზე მოდის განზოგადებული სას.-სამეურნეო სავარგული — 2,13 ჰა, სახნავი — 0,38 ჰა, მრავალწლიანი ნარგავი — 0,21 ჰა.

1972 წლის მონაცემების მიხედვით 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოდიოდა: ძირითად საწარმოო საშუალებებში — 12,3 ათასი მან. მემცენარეობისა და მეცხოველეობის საერთო პროდუქცია 9,3 ათასი მანეთი.

მიკროზონის ბუნებრივი და სამეურნეო პირობები ხელსაყრელია ისეთი კულტურების განვითარებისათვის, როგორიცაა: თამბაქო, ვენახი, ხეხილი, აგრეთვე ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების არსებობა შესაძლებელს ხდის მერძეული მეცხოველეობის განვითარებას.

მიკროზონაში კულტურებისა და დარგების განვითარების შესახებ მასალები მოცემულია მეორე ცხრილში.

ცხრილის მონაცემები მიუთითებენ, რომ პერსპექტივაში გაიზრდება, როგორც ცალკეულ კულტურათა ფართობები, ასევე მოსავლიც, ეს კი მიღწეული იქნება სწორი აგროტექნიკითა და ინტენსიფიკაციის საშუალებით.

1972 წელს მიკროზონაში იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 3005 სული. მათ შორის ძროხა — 794, საკვები ბაზის შესაბამისად ვითვალისწინებთ, რომ უახლოეს მომავალში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდოს 7,6%-ით, ძროხებისა კი — 32,6%-ით და მიაღწევს ჯოგის საერთო სულადობის 30%-ს.

გაიზრდება პროდუქტიულობა, დაბალპროდუქტიული ძროხების მაღალპროდუქტიულით შეცვლისა და ზოოვეტერინარული ღონისძიებების გატარების შედეგად საფურაჟე ძროხაზე წველადობის გადიდების გზით. ახლო მომავალში ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იქნება 2600 ლ რძე, ნაცვლად 1965 წლის 1110 ლ-სა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის კვალობაზე გაიზრდება საერთო პროდუქციის ღირებულება, 1970 წელს ის შეადგენდა 2887 ათ მან.-ს, 1975 წლისათვის გაიზრდება 3535 ათას მან.-მდე და შემდგომში კი იქნება — 3863 მანეთი.

ცხრილი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

II მიკროზონის კოლმეურნეობებში სას.-სამ. კულტურების განვითარება და პროდუქციის წარმოება პერსპექტივაში

| | 1965 წ. | 1970 წ. | 1975 წ. | მომავალში |
|---|---|---|---|---|
| ვენახი სულ—ჰა | 95 | 100 | 113 | 123 |
| ა) მ. შ. მსხმოიარე—ჰა | 85 | 95 | 104 | 115 |
| ბ) მოსავლიანობა—ც | 20 | 25 | 35,6 | 45 |
| გ) მოსავალი—ტ | 170 | 237 | 372,2 | 517 |
| ხეხილის ბაღი—ჰა | 285 | 321 | 370 | 385 |
| ა) მ. შ. მსხმოიარე—ჰა | 135 | 188 | 271 | 28[illegible] |
| ბ) მოსავლიანობა—ჰა | 15 | 23 | 30 | 3[illegible] |
| გ) მოსავალი—ტ | 202 | 432 | 813 | [illegible]8[illegible] |
| ჩაი სულ—ჰა | 11 | 16 | 25 | 35 |
| ა) მ. შ. მსხმოიარე—ჰა | 9 | 14 | 25 | 28 |
| ბ) მოსავლიანობა—ც | 6 | 10 | 15 | 2[illegible] |
| გ) მოსავალი—ტ | 54 | 14 | 30 | 56 |
| თამბაქო—ჰა | 298 | 380 | 400 | 41[illegible] |
| ა) მოსავლიანობა—ც | 15 | 175 | 19,2 | 2,[illegible] |
| ბ) მოსავალი—ტ | 447 | 665 | 763 | 82[illegible] |
| სიმინდი მარცვლად—ჰა | 340 | 360 | 370 | 38[illegible] |
| ა) მოსავლიანობა—ც | 14,9 | 18 | 20 | 2[illegible] |
| ბ) მოსავალი—ტ | 507 | 648 | 740 | 95[illegible] |
| ბოსტანი—ჰა | 30 | 35 | 40 | 45 |
| მოსავლიანობა—ც | 40 | 45 | 50 | 6[illegible] |
| მოსავალი—ტ | 120 | 157 | 200 | 27[illegible] |
| კარტოფილი—ჰა | 75 | 95 | 140 | 22[illegible] |
| ა) მოსავლიანობა | 60 | 70 | 75 | 8[illegible] |
| ბ) მოსავალი—ტ | 450 | 665 | 1050 | 176[illegible] |

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქონლიანობის მიხედვით გაიზრდება ფულადი შემოსავალი თუ ამ მიკროზონის კოლმეურნეობაში ფულადი შემოსავალი 1970 წელს შეადგენდა 1779 ათას მან-ს, 1975 წლისათვის ის გაიზრდება 2115 ათას მან.-მდე, ხოლო შემდგომში მიაღწევს—2789 ათას. მან.-მდე.

მესამე მიკროზონა — მეცხოველეობა-მეთამბაქოეობა. სიმინდისა და საკვები კულტურების თესვით, მიკროზონა აერთიანებს შუახევის რაიონის 31 და ხულოს რაიონის 26 კოლმეურნეობას.

მიკროზონაში მრეწველობა სუსტად არის განვითარებული. აქ არის ხე-ტყის დამამუშავებელი მარტივი საწარმოები, ხილის წვენებისა და ლიმონათის ქარხნები, სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი და სხვ.

მიკროზონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეად-

გენს 42,3%, აქედან სახნავია—61,%, მრავალწლიანი ნარგავები — 0,9%, და სა-
თიბი და საძოვარი — 35,3%.

შრომისუნარიან კოლმეურნეზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგული 2,5 ჰა, სახნავი — 0,29 ჰა და მრავალწლიანი ნარგავი — 0,05 ჰა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1972 წლის მონაცემებით მიკროზონის კოლმეურნეობების ფულად შემოსავალში ცალკეული დარგების ხვედრითი წილი შეადგენდა: მეთამბაქოეობა—79,3%, მეცხოველეობა — 10.8%, დანარჩენი 9,8%.

მიკროზონის სოფლის მეურნეობის ამოცანაა მეთამბაქოეობის ყოველღონისძიების განვითარება, ამიტომ პერსპექტივაში, წარმოდგენილი იქნება მეთამბაქოეობა და მერძეული მიმართულების მეცხოველეობა (ცხრ. 3).

მოცემული მასალებიდან ჩანს, რომ მიკროზონაში გაიზრდება თამბაქოს ფართობები და მოსავალი, სხვა ერთწლიან კულტურათა შორის გარკვეულ ადგილს დაიკავებს სიმინდი, ბოსტნეული და კარტოფილის წარმოება.

ვითვალისწინებთ, რომ მომავლისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდოს 9424-მდე, ნაცვლად 1970 წლის 8837 სულისა, აქედან ძროხების სულადობა გაიზრდება 26,5%-ით. გაიზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და უახლოეს მომავალში 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე წარმოებული იქნება რძე 160 ც. ეს ძირითადად განხორციელდება ჯოგის სტრუქტურაში ძროხების სულადობის გადიდებით, ფერმების მაღალპროდუქტიული პირუტყვის დაკომპლექტებით და ინტენსიფიკაციის გზით.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით მიკროზონაში მნიშვნელოვნად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, თუ მისი ღირებულება 1972 წელს 3895 ათას მან. შეადგენდა, 1975 წელს იქნება 4728 ათასი მან. ხოლო უახლოეს მომავალში კი 5125 ათას მან.-მდე გადიდდება. ამ პროდუქციის გარკვეული ნაწილი დაექვემდებარება რეალიზაციას, რის შედეგად გაიზრდება ფულადი შემოსავალი—ნაცვლად 1970 წლის 2505 ათას მან-ისა 1975 წელს იქნება 2825 ათასი მანეთი, ხოლო ახლო მომავლისათვის ის 3531 ათას მან-მდე გადიდდება.

დანარჩენი მიკროზონების მსგავსად სამუშაოთა პროცესში მექანიზაციის გამოყენება და სხვა ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ შრომისნაყოფიერების ზრდას და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

## დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები

1. ზემო აჭარაში, რომელშიაც შედის ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონები დიდად განსხვავებულია ზღვისპირეთის აჭარისაგან კლიმატური, ნიადაგობრივი, რელიეფური, ტყის საფარისა და ბუნებრივი თუ სხვა პირობებით.

ზემო აჭარის თავისებურება ის არის, რომ ძლიერი მთაგორიანობის გამო აქ ჩვენ გვაქვს მრავალი და მცირე ნაკვეთიანობა, სავარგულებში სახნავი მიწების

III მიკროზონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარება და პროდუქციის წარმოება პერსპექტივაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მაჩვენებლები | 1965 წ. | 1970 წ. | 1975 წ. | მომავალში |
|---|---|---|---|---|
| თამბაქო—ჰა | 440 | 475 | 500 | 550 |
| ა) მოსავლიანობა—ც | 5,7 | 17,0 | 21,0 | 25 |
| ბ) მოსავალი—ტ | 251 | 805 | 1050 | 1320 |
| სიმინდი მარცვლად—ჰა | 350 | 520 | 530 | 550 |
| ა) მოსავლიანობა—ც | 14,5 | 18,0 | 20 | 23 |
| ბ) მოსავალი—ტ | 505 | 936 | 1060 | 1265 |
| ბოსტანი—ჰა | 69 | 75 | 85 | 90 |
| ა) მოსავლიანობა—ც | 48 | 73 | 75 | 80 |
| ბ) მოსავალი—ტ | 331 | 551 | 637 | 720 |
| კარტოფილი—ჰა | 480 | 550 | 570 | 600 |
| ა) მოსავლიანობა—ც | 65,4 | 76 | 100 | 110 |
| ბ) მოსავალი—ტ | 3100 | 4160 | 570 | 6600 |
| ხეხილის ბაღები—ჰა | 813 | 1209 | 1450 | 1500 |
| მ. შ. ა) მსხმოიარე—ჰა | 505 | 529 | 868 | 953 |
| ბ) მოსავლიანობა—ც | 15 | 33 | 35 | 45 |
| გ) მოსავალი—ტ | 157 | 1745 | 3138 | 4288 |
| ვენახი—ჰა | 49 | 54 | 61 | 71 |
| მ. შ. ა) მსხმოიარე—ჰა | 45 | 47 | 50 | 55 |
| ბ) მოსავალი—ტ | 157 | 188 | 285 | 33,0 |

დაბალი ხვედრითი წონა, მკვეთრი ვერტიკალური ზონალობა — დაწყებული ალპური საძოვრებით და დამთავრებული მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგების გავრცელებით და სხვ.

2. ამ რაიონების კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მიწების რაციონალური გამოყენება; ამ მიზნით, პირველ რიგში, საჭიროდ მიგვაჩნია მიტოვებული მიწების, რომლის ფართობი დღეისათვის დაახლოებით 1500 ჰა-ია, ჩაირთოს წარმოებაში, მისმა ათვისებამ გამოსახულება უნდა ჰპოვოს საწარმოო-საფინანსო გეგმაში ყოველწლიური დავალების შეტანით იმ ვარაუდით, რომ საბოლოოდ ის ათვისებული იქნეს 1975 წლისათვის.

3. ნიადაგების ეფექტურად გამოყენებისა და ეროზიის წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია ფართოდ დაინერგოს ნიადაგების ათვისების ტერასული სისტემა, რომლის მოსაწყობად საჭიროა შეიქმნას მექანიზებული რაზმები. ტერასებზე დაირგოს ხეხილი და იმ კოლმეურნეობებში, სადაც ბუნებრივი პირობების მიხედვით ეს შესაძლებელია, ჩაისა და ვაზის კულტურა. ტერასულ ნარგავებზე მოეწყოს სამუშაო პროცესების მექანიზაცია. ტერასებშორის მანძილებზე თივის მიღების მიზნით დაითესოს მრავალწლიანი ბალახები, ეს კი ხელს შეუწყობს მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნას.

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის მიზნით საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების საშუალებით ქედასა, შუახევსა და ხულოს რაიონებში უახლოეს სამ წელიწადში [illegible] დაახლოებით 250 კმ სიგრძის ახალი სარწყავი არხების მშენებლობა და არსებული ქსელის რეკონსტრუქცია, რის შედეგად რწყვის ქვეშ მოქცეულ იქნეს I მიკროზონაში 500 ჰა, II მიკროზონაში—425 ჰა და III მიკროზონაში—725 ჰა მიწის ფართობი.

5. მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების მიზნით ზემო აჭარის კოლმეურნეობებში განხორციელდეს თესლბრუნვის სისტემები, რომელიც რეკომენდებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და დღემდე დანერგილი არ არის.

6. ჩვენ მიერ მოცემულ მიკროზონებში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მეთამბაქოეობა წარმოადგენს, რომელიც ზონის კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. საქართველოში დამზადებული თამბაქოს საერთო რაოდენობაში ამ ზონიდან მიღებული თამბაქოს ხვედრითი წონა 46%-ს შეადგენს. კარგი მოსავლის პირობებში აქ ზოგიერთ წელს მიღებული იქნა 2500 ტონა ხარისხოვანი თამბაქო, მაგრამ არსებობს ისეთი გამოუყენებელი რეზერვები, რომ ჩვენი გაანგარიშებით შესაძლებელია შემდეგი წლებისათვის თამბაქოს წარმოება აყვანილ იქნეს 2800 ტ-მდე. ამას ხელს შეუწყობს ინტენსიფიკაციის ისეთი ფაქტები, როგორიცაა დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა, ქიმიზაცია, მორწყვა, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა და სხვ.

ჩვენი წინადადებაა, რომ თამბაქოს სახელმწიფო მიყიდვა კოლმეურნეობების მხრივ დამთავრდეს ნედლი მასის ჩაბარებით, როგორც ეს არის, თუგინდ, ჩაის წარმოებაში. შემდეგი პროცესი, ვიდრე ყვითელი ფოთლის მიღებამდე უნდა დაეკისროს კვების მრეწველობას, რომლებსაც თამბაქოს მწარმოებელ რაიონებში მოწყობილი ექნებათ საშრობი თუ სხვა საშუალებანი. რაც ხელს შეუწყობს მთიანი რაიონის კოლმეურნეობებს და განსაკუთრებით ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს, აწარმოონ მეტი და მაღალხარისხოვანი თამბაქო. ეს კი სასარგებლო იქნება სახელმწიფო თვალსაზრისითაც.

7. ჩაის გავრცელებას ზემო აჭარის პირობებში ხანმოკლე ისტორია აქვს, მაგრამ ის ბევრ კოლმეურნეობისათვის დიდ შემოსავლიან კულტურას წარმოადგენს. ქედაში აგებულია მცირე სიმძლავრის ჩაის ფაბრიკა, ვითვალისწინებთ I მიკროზონის კოლმეურნეობებში უახლოესი წლებისათვის ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოება გაიზარდოს 1200 ტ-მდე, ფაბრიკის აგებამდე კოლმეურნეობებს მწვანე ფოთლის გადაზიდვა უხდებოდათ 40—55 კმ მანძილზე, რის შედეგადაც უარესდებოდა ფოთლის ხარისხი. ამით მცირდებოდა ამ დარგის შემოსავალი. დღეისათვის ეს სიძნელეები დაძლეულია და ქედის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული ჩაი, მაღალი ხარისხისაა.

მეჩაიეობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლიანობის გადიდებას, ამ დანიშნულებით მიღებული მინერალური სასუქების რაციონალურად გამოყენებას და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულ დაცვას, რაც

შეეხება მატერიალურ დაინტერესებას, დღეისათვის მოქმედი ჩაის შესყიდვის ფასი, კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება და სხვა უნდა დარჩეს ძალაში, ვინაიდან ამ სტიმულირების შედეგი დიდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მევენახეობას საკვლევი რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ვაზი კარგად ხარობს ქედის რაიონში, ხოლო შუახევისა და ხულოს რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში, ზ. დ. 1200 მ სიმაღლის ზევით, ის გავრცელებას ვერ პოულობს. რაიონების მიხედვით გამოდის, რომ ვაზი ქედის რაიონის ყველა კოლმეურნეობაშია გაშენებული, შუახევის რაიონის 43 კოლმეურნეობიდან — 28 კოლმეურნეობაში და ხულოს რაიონს 36 კოლმეურნეობიდან—16 კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობები წლების მიხედვით აწარმოებენ 900—1000 ტ ყურძენს, რომლის გადამუშავება ხდება ქედის რაიონის მცირე მოცულობის ღვინის ქარხანაში. მევენახეობის შემდგომი განვითარების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გაფართოვდეს ქედის ღვინის ქარხანა, იმ მოცულობით, რომ აქ ყურძნის პირველად გადამუშავებასთან ერთად მოეწყოს სუფრის ღვინოების ჩამოსხმა, ვინაიდან პერსპექტივაში ვითვალისწინებთ ყურძნის წარმოების გადიდებას 2230 ტ.

9. მეხილეობა საკვლევი რაიონის ყველა კოლმეურნეობაშია გავრცელებული. ყოველწლიურად აქ მზადდება 1500 ტ-ზე მეტი ხილი, რომლის ნაწილი მუშავდება შუახევის, ხოლო ნაწილი კი ბათუმისა და ქობულეთის წვენების ქარხნებში. საზოგადოებრივი სექტორის ხილს უნდა დავუმატოთ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული ხილი და ხილის ველურ ფორმებში არსებული დიდი მასივები, საიდანაც შეიძლება მიღებულ იქნეს საკმაოდ დიდი რაოდენობით ნაყოფი, ამიტომ გადაუდებლად მიგვაჩნია, რომ ხულოს რაიონში აგებულ იქნეს ხილის წვენების ქარხანა, ამ ღონისძიების გატარებით ჩვენ შესაძლებლობა გვექნება სრულად გამოვიყენოთ ხილის წარმოების რეზერვები და ამით დავეხმაროთ კოლმეურნეობებს ეკონომიკის განმტკიცებაში.

10. ზემო აჭარაში მარცვლეულ-პარკოსანი კულტურებით დაკავებული ფართობი შეადგენს 1100 ჰა-ს, რომლის დიდი ნაწილი შეიცავს მცირე ზომის ნაკვეთებს, ძლიერ ფერდობებს, ამის გამო სამუშაოები სრულდება ხელით, ამიტომ იძლევა დაბალ მოსავალს. არის ისეთი კოლმეურნეობები, რომლებსაც ერთ ჰა-ზე 3—4 ც სიმინდს ღებულობენ, ამიტომ მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ, რომ დაბალმოსავლიანი ფართობები, სადაც ძლიერი დაქანების გამო ჰუმუსოვანი ფენა გადარეცხილია, გამოყენებულ იქნეს მრავალწლიანი ნარგავებისათვის, სიმინდის ნათესის ფართობზე კი უნდა გატარდეს აგროტექნიკური ღონისძიება, რათა ამაღლდეს მოსავლიანობა.

11. კარტოფილი და ბოსტნეული ბევრი კოლმეურნეობის ეკონომიკაში გაკვეულ ადგილს იკავებს, ბოსტნეული კარგად მოდის ქედასა და შუახევის კოლმეურნეობებში, ხოლო კარტოფილი შუახევსა და ხულოს კოლმეურნეობაში. უკანასკნელ დროს მათი ფართობები მნიშვნელოვნად შემცირდა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გადიდდეს ამ კულტურათა ფართობი, გატარდეს საჭირო ღონისძიება მოსავლიანობის ამაღლებისა და ამ გზით წარმოებული იქნეს კარტოფილისა და ბოსტნეულის ისეთი რაოდენობა, რომელიც დააკმაყოფილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივ მცხოვრებლებს და მოხდება მისი ნაწილობრივ გატანა რაიონის გარეთაც.

12. საკვები კულტურების ხელოვნური ნათესები და ბუნებრივი სათიბები და საძოვრები საკვლევი ზონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაშია. ამ ზონაში მდებარეობს აჭარის ბუნებრივი საზაფხულო საძოვრები, რომლის ფართობი 33 ათას ჰა-ს შეადგენს.

მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით საჭიროა გაიზარდოს საკვები კულტურების ნათესი ფართობი და მათი მოსავლიანობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს, მათი პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით საჭიროა ის ბოლომდე გახდეს კეთილმოწყობილი, გაიწმინდოს შხამბალახებისაგან, ნარეკლებისაგან და უსარგებლო ბუჩქებისაგან. 2—3 წელიწადში ერთხელ მაინც მოხდეს იქ ბლომად დაგროვილი ნაკელის შეტანა. მოეწყოს ნაკვეთმორიგეობითი ძოვება. საჭიროა მოგვარდეს ფარეხების, მწყემსთა ბინების კეთილმოწყობა და სხვ.

13. მიკროზონების მიხედვით მეცხოველეობა ყველა ზონაში გარკვეულ ადგილს იკავებს. უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველობის შემდეგი განვითარება საკვები ბაზის სიმცირის გამო, უნდა მოხდეს არა ჯოგში ცხოველთა სულადობის ზრდის ქვალობაზე, არამედ ინტენსიფიკაციის გზით: ჯოგის სტრუქტურის გაუმჯობესება, ფურების სულადობის ხვედრითი წონის გადიდება, დაბალპროდუქტიული პირუტყვის შეცვლა მაღალპროდუქტიულით და განსაკუთრებით ხევსურული ჯიშით და სხვ. იმასთან დაკავშირებით რომ მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება ძალზედ მაღალია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოეწყოს საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები მერძეული მიმართულებით.

ვფიქრობთ, მესამე მიკროზონაში, კერძოდ, ხულოს რაიონში კოლმეურნეობა კორტოხისა და დანისპარაულის ბაზაზე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მოწყობა სავსებით გამართლებული იქნება მით უმეტს, რომ ეს კოლმეურნეობები ესაზღვრებიან ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს და ამით ძირითადად დაძლეული იქნება უხეში საკვების შემოზიდვა.

ამ საბჭოთა მეურნეობაში უნდა ვიყოლიოთ უკვე ამ ზონისათვის კარგად შეგუებული ხევსურული ჯიშის პირუტყვი, რის შედეგად ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ვაწარმოოთ მეტი რძე და ხორცი.

14. საკვლევ რაიონებში დღემდე მტიკვნეულად რჩება შრომითი რესურსების გამოყენების საკითხი. აქ არსებული მუშახელის დაახლოებით 60% თუ არის დასაქმებული.

ჩვენ მუშახელის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიება:

ა. ქედასა, შუახევსა და ხულოს რაიონებში ქალთა შრომის გამოყენების მიზნით საჭიროა მოეწყოს სამკერვალო და ტრიკოტაჟის საწარმოები, ხულოში არსებული სამკერვალო გაფართოვდეს;

ბ. ქედასა და შუახევში არსებობს იმის ბაზა, რომ ამ რაიონებში აგებულ იქნეს საკონსერვო ქარხანა 500 ტ ხილისა და ბოსტნეულის გამტარობით.

15. ხულოს რაიონის კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისა და მუშა-ხელის დასაქმების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გაფართოვდეს კურორტი ბეშუმი, გადავიდეს რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში, აშენდეს დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Проф. Д. БЕРУЧАШВИЛИ

## ВОПРОСЫ СПЕЦИАЛИЗАЦИИ ГОРНЫХ РАЙОНОВ АДЖАРСКОЙ АССР

### Резюме

Районы Аджарской АССР — Кеда, Шуахеви и Хуло являются горноземледельческими районами.

Изучили и разработали вопросы специализации выше указанных районов, что имеет большое значение для дальнейшей специализации колхозов размещенных в этой зоне.

Выделены три микрозоны с учетом особенности специализации:

1. Табаководство—чаеводство—животноводство;
2. Табаководство—виноградарство—животноводство;
3. Животноводство—табаководство, совместными посевами кукурузы и кормовых культур.

Соответствующие колхозы объединены в отдельные микрозоны.

По микрозонам разработан план развития сельского хозяйства на 1975—1980 гг. — посевные площади по культурам, урожайность валовой сбор по видам поголовного скота и его продуктивность, ряд других экономических показателей и т. д.

Наряду с этим разработаны мероприятия и рекомендации, в осуществлении которых будут способствовать углублению специализации и увеличению производства сельхозпродуктов.

### ლიტერატურა

1. სკკპ XXVI ყრილობის მასალები.

2 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განლაგების, სპეციალიზაციისა და გამღოლის სისტემები. თბ., 1960.

---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX

ასპ. ს. თურმანიძე

# კორელაციური კავშირი შრომისნაყოფიერებასა და წმინდა შემოსავლის ზრდას შორის

მეცნიერი კონსულტანტი — დოც. ნ. ქარქაშაძე

სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ შრომისნაყოფიერების მუდმივი გადიდების გზით.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა უნდა მოხდეს შრომისნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ შრომისნაყოფიერების გადიდებამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო პროდუქციის მატება, არამედ სამუშაო ძალის გარკვეული რაოდენობის გამოთავისუფლება სოფლის მეურნეობიდან.

მე-9 ხუთწლიანი გეგმით დასახულია სოფლის მეურნეობაში შრომისნაყოფიერების გადიდება 37—40%-ით.

შრომინაყოფიერების ზრდის ტემპები სოფლის მეურნეობაში ბევრად ჩამორჩება მრეწველობას. ამიტომ პარტიის პროგრამაში მითითებულია, რომ: „სასოფლო-სამეურნეო შრომისნაყოფიერების სწრაფი ზრდა—უფრო მაღალი თავისი ტემპებით, ვიდრე სამრეწველო წარმოებაში—შესაძლებელს გახდის აღმოვფხვრათ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა მრეწველობისაგან და გადააქცევს მას კომუნისტური საზოგადოების მეურნეობის მაღალგანვითარებულ დარგად“[1].

შრომისნაყოფიერება იზომება დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის ოდენობით ან პროდუქციის ერთეულზე დახარჯული სამუშაო დროით. შრომისნაყოფიერება ორგანულად დაკავშირებულია გაფართოებული კვლავწარმოების პროცესთან. მას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დაგროვებისა და მოხმარების ფონდების შემდგომი გაფართოებისათვის. შრომისნაყოფიერების დონე ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში ნათლად ჩანს 1-ელი ცხრილიდან.

1966—1971 წლებში როგორც ქობულეთის, ისე ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში შრომისნაყოფიერება იზრდება. ასე, მაგალითად, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში 1971 წელს 1966 წელთან შედარებით ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით გაიზარდა 7,60 მანეთიდან 8,19 მანეთამდე, ანუ 7%-ით, ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში 7 მანეთიდან 7,70 მანეთამდე, ანუ 5%-ით. გაიზარდა შრომისნაყოფიერების დონე როგორც მემცენარეობის დარგში, აგრეთვე მეცხოველეობაში.

[1] სკკპ პროგრამა თბ., გვ. 114.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

შრომისნაყოფიერების დონე

| რაიონების დასახელება | წლები | წარმოებულია მთლიანი პროდუქცია საშუალო წლიურ მუშაკზე (მან-ობით) | % 1966 წელთან | სოფლის მეურნეობის [illegible]ცია ერთ კაც/დღე (მან-ობით) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | % 1966 წელთან | მათ შორის (მან-ობით) | |
| | | | | | | მემცენარეობა | მეცხოველეობა |
| ქობულეთის | 1966 | 1430,48 | 100 | 7,60 | 100 | 10,60 | 4,60 |
| | 1967 | 1739,71 | 121,61 | 9,19 | 120,92 | 9,67 | 4,20 |
| | 1968 | 1385,09 | 96,82 | 8,33 | 109,60 | 8,76 | 3,40 |
| | 1969 | 1429,62 | 99,93 | 9,06 | 119,21 | 9,41 | 4,79 |
| | 1970 | 1681,73 | 117,56 | 9,80 | 128,94 | 10,19 | 4,23 |
| | 1971 | 1473,73 | 103,02 | 8,19 | 107,76 | 8,43 | 4,70 |
| ხელვაჩაურის | 1966 | 841,22 | 100 | 7,0 | 100 | 7,21 | 5,05 |
| | 1967 | 1116,98 | 132.78 | 5,70 | 81,42 | 5,80 | 4,80 |
| | 1968 | 761,50 | 90.52 | 5,40 | 77,14 | 5,51 | 4,40 |
| | 1969 | 8559.24 | 10166 | 6,26 | 89,42 | 6,42 | 4.32 |
| | 1970 | 1117,72 | 132.86 | 7,37 | 105,28 | 7,61 | 4,90 |
| | 1971 | 1004,03 | 119,35 | 7,70 | 97,71 | 6,96 | 41,30 |

საკოლმეურნეო წარმოებაში შრომისნაყოფიერების ზრდა იწვევს, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და შესაბამისად წმინდა შემოსავლის გადიდებას. ამაზე წარმოდგენას გვაძლევს მე-2- ცხრილი, რომელ-

ცხრილი 2

**შრომისნაყოფიერების გავლენა წმინდა შემოსავლის ზრდაზე ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში (1966—1971 წწ.)**

| რაიონების დასახელება | წლები | მთლიანი პროდუქცია ერთ კაც/დღეზე (მან-ობით) | წმინდა შემოსავალი | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთ მომუშავეზე (მან) | ერთ კაც-დღეზე |
| ქობულეთის | 1966 | 7,60 | 0,21 | 1,30 |
| | 1967 | 9,19 | 0'19 | 1,27 |
| | 1968 | 8,33 | 0,18 | 1,10 |
| | 1969 | 9,06 | 0,29 | 1,85 |
| | 1970 | 9,80 | 0,23 | 1,65 |
| | 1971 | 8,19 | 0,26 | 1,47 |
| ხელვაჩაურის | 1966 | 7,00 | 0,12 | 1,04 |
| | 1967 | 5,70 | 0,08 | 0,60 |
| | 1968 | 5,40 | 0.03 | 0,64 |
| | 1969 | 6.26 | 0.32 | 1,13 |
| | 1970 | 7,37 | 0,18 | 1,50 |
| | 1971 | 6,70 | 0,15 | 1,02 |

შიც წარმოდგენილია მთლიანი პროდუქცია და წმინდა შემოსავალი ერთ კაც-დღეზე და ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით.

როგორც მოცემული მასალებიდან ჩანს, მჭიდრო კავშირი არსებობს შრომისნაყოფიერებასა და წმინდა შემოსავლის ზრდას შორის. იქ, სადაც მაღალია შრომისნაყოფიერების დონე, მეტია წმინდა შემოსავლის სიდიდე გაანგარიშებული ერთ მომუშავეზე და ერთ კაცდღეზე. ასე, მაგალითად, 1966 წელს ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში ერთ კაცდღეზე წარმოებული მთლიანი პროდუქცია შეადგენდა 7,60 მანეთს, წმინდა შემოსავალი 1,30 მან. 1971 წელს შესაბამისად—8,19 მან. და 1,47 მან. ასეთივე კავშირი შეიმჩნევა ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში. მაგრამ მთავარია არა მარტო ვიცოდეთ, რომ შრომისნაყოფიერების ცვალებადობის დროს როგორ იცვლება წმინდა შემოსავლის სიდიდე, არამედ საჭიროა ამ ცვალებადობის რაოდენობრივი განსაზღვრა. ამისათვის საჭიროა დავადგინოთ რაოდენობრივი კავშირი მთლიან პროდუქციასა და წმინდა შემოსავლის ზრდას შორის. ჩვენ მიერ დადგენილია კორელაციური დამოკიდებულება წმინდა შემოსავალსა და შრომისნაყოფიერების ზრდას შორის, რომელმაც გვიჩვენა, რომ შრომისნაყოფიერების ზრდასთან ერთად წმინდა შემოსავალი ერთ მომუშავეზე, 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით იზრდება. კორელაციური დამოკიდებულების დასადგენად ჩვენ მიერ გაანგარიშებულია შრომისნაყოფიერების დონე და წმინდა შემოსავლის დონე ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით (ცხრ 3).

ცხრილი 3

**კორელაციური კავშირი მთლიან პროდუქციასა და წმინდა შემოსავალს შორის ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში (1966—1971 წწ).**

| რაიონების დასახელება | წლები | ერთ კაც-დღეზე: მთლიანი პროდუქცია (მან-ობით) | ერთ კაც-დღეზე: წმინდა შემოსავალი (მან-ობით) | გაანგარიშებითი მაჩვენებლები: მაჩვენებლების ნამრავლი | გაანგარიშებითი მაჩვენებლები: კვადრატები: მთლიანი პროდუქციის | გაანგარიშებითი მაჩვენებლები: კვადრატები: წმინდა შემოსავლის |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 1966 | 7.60 | 1,30 | 9,88 | 57,76 | 1,69 |
| | 1967 | 9,19 | 1,27 | 11,67 | 84,45 | 1,61 |
| | 1968 | 8,33 | 1,10 | 9,16 | 69,38 | 1,21 |
| | 1969 | 9,06 | 1,88 | 17,03 | 82,08 | 3,53 |
| | 1970 | 9.80 | 1.65 | 16,17 | 96.04 | 2,72 |
| | 1971 | 8,19 | 1,47 | 12,03 | 67,07 | 2,16 |
| სულ | 6 | 52,17 | 8,68 | 75,94 | 456,78 | 12,92 |
| ხელვაჩაური | 1966 | 7,00 | 1,01 | 7,07 | 49,00 | 1,02 |
| | 1967 | 5,70 | 0,60 | 3.42 | 32,42 | 0,36 |
| | 1968 | 5,40 | 0,89 | 4,80 | 29,16 | 0,79 |
| | 1969 | 6,26 | 1,13 | 7,07 | 39,18 | 1,27 |
| | 1970 | 7,37 | 1,50 | 11.05 | 54,31 | 2,25 |
| | 1971 | 6,70 | 1,02 | 6.83 | 44'89 | 1,04 |
| სულ | 6 | 38,43 | 6,15 | 40,24 | 249,03 | 6,73 |

მათი დაპირისპირება გვიჩვენებს, რომ მეტწილად მათი კავშირი პირდაპირ-პროპორციულია. ამ მონაცემების გრაფიკზე აგებით ნათლად ჩანს, რომ ერთ კაც-დღეზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის გადიდების დროს იზრდება წმინდა შემოსავლის დონეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




სურ. 1.

თუ გრაფიკულად გამოვსახავთ ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობების შესაბამის მაჩვენებლებს, მივიღებთ ქობულეთის რაიონის ანალოგიურ სურათს.

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ კავშირი მათ შორის ახლოს არის სწორ ხაზთან და შეიძლება მისი გამოსახვა სწორი ხაზის განტოლებით

$$yx = a + вx$$

a და в უცნობების განსაზღვრისათვის ვადგენთ განტოლებათა სისტემას:

$$\Sigma y = na + \Sigma x$$

$$\Sigma yx = a\Sigma x + в\Sigma x^2$$

ამ განტოლებათა განსაზღვრისათვის სიდიდეებს n, $\Sigma y$, $\Sigma yx$, $\Sigma x$ და $\Sigma x^2$ ვსაზღვრავთ ფაქტიური მონაცემებით (იხ. ცხრილი 3). ჩვენს განტოლებაში თუ ჩავსვამთ სათანადო მონაცემებს, მივიღებთ განტოლებას ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებისათვის:

$$6a + 52176 = 8,68$$

$$52,17a + 456,78в = 75,94$$

განტოლების ამოხსნის შედეგად გვექნება:

$$yx = 0,14 + 0,15x$$

პროპორციულობის კოეფიციენტი в = 0,15 გვიჩვენებს, რომ ყოველი ერთი მანეთი მთლიანი პროდუქციის გადიდების დროს წმინდა შემოსავალი გაიზარდა 0,15 მანეთით (ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში).

ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებში განტოლებას ექნება შემდეგი სახე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

$$6\text{а}+38{,}43\text{в}=6{,}15$$
$$38{,}43\text{а}+249{,}03\text{в}=40{,}24$$

ანალოგიური გაანგარიშებებით ვღებულობთ: $yx=-0{,}83+0{,}29x$

პროპორციულობის კოეფიციენტი $B=0{,}29$ გვიჩვენებს, რომ ყოველი ერთი მანეთი მთლიანი პროდუქციის გადიდების დროს წმინდა შემოსავალი გაიზარდა ხელვაჰაურის რაიონის კოლმეურნეობებში 0,29 მანეთით.

შრომისნაყოფიერების ზრდა ქობულეთისა და ხელვაჰაურის რაიონის კოლმეურნეობებში ხელს უწყობს წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებას და მისი თვითღირებულების შემცირებას, რაც კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს.

ამრიგად, როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენა, არსებობს პირდაპირი კავშირი შრომისნაყოფიერების ზრდასა და წმინდა შემოსავლის ზრდას შორის და ისინი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან. შრომისნაყოფიერების ზრდას თანაბარზომიერად უნდა მოჰყვეს წმინდა შემოსავლის ზრდა, ეს არის საკითხის არსი.

Асп. С. А. ТУРМАНИДЗЕ

## КОРРЕЛЯЦИОННАЯ СВЯЗЬ МЕЖДУ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТЬЮ ТРУДА И РОСТОМ ЧИСТОГО ДОХОДА В КОЛХОЗАХ КОБУЛЕТСКОГО И ХЕЛВАЧАУРСКОГО РАЙОНОВ

### Резюме

Научный консультант — доц. **Н. Н. КАРКАШАДЗЕ**

Обеспечение высоких темпов развития социалистического сельского хозяйства возможно лишь при постоянном увеличении уровня производительности труда.

Увеличение производительности труда — главное условие повышения чистого дохода колхозов — главный критерий экономической эффективности общественных производственных затрат.

Рост производительности труда в колхозном производстве обеспечивает увеличение производства сельскохозяйственной продукции и снижение ее себестоимости; это в свою очередь является одним из основных факторов, влияющих на величину чистого дохода.

Нами установлена корреляционная зависимость между чистым доходом и производительностью труда (на примере колхозов Кобулетского и Хелвачаурского районов), которая показала, что с ростом производитель-

ности труда происходит увеличение чистого дохода на одного работника, на человеко-день, на 100 га сельскохозяйственных угодий.

Корреляционное уравнение, выражающее связь между производительностью труда и чистым доходом в расчете на человеко-день, имеет следующий вид (для колхозов Кобулетского района):

$$УХ = 0,14 + 0,15 X$$

Коэффициент пропорциональности в = 0,15, показывает, что при увеличении производства валовой продукции на один рубль в расчете на человеко-день, в колхозах Кобулетского района происходит увеличение чистого дохода в среднем на 0,15 руб., а в колхозах Хелвачаурского района — 0,29 руб.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX 1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. ს. თავდიშვილი

# ავამაღლოთ სოფლად ეკონომიური მუშაობის დონე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში და ამით კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯი გადაიდგა წინ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

არ შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული შედეგები მოპოვებულია ეკონომიური მუშაობის ფართოდ გაშლის გარეშე. სხვა სპეციალისტებთან ერთად ეკონომისტებსაც დიდი წვლილი მიუძღვით მეტად მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, ახალი რეზერვების გამოვლინებისა და ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის.

ამჟამად იშვიათად მოიპოვება კოლმეურნეობა, სადაც ეკონომისტი არ მუშაობდეს და მასთან ერთად კოლმეურნეობის თავმჯდომარეც, საბჭოთა მეურნეობის დირექტორიც და მეურნეობის სპეციალისტები ეძებენ ღონისძიებებს, რომლითაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლება, პროდუქციის ერთეულზე ფულად-მატერიალური დანახარჯების შემცირება, შრომის ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის წარმოება, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის მაღალრენტაბელურ საწარმოდ გადაქცევა და სხვ.

უკანასკნელ ხანებში სოფლად გაფართოვდა ეკონომიური სამსახურის ქსელი. სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია ეკონომიური და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭოები სხვადასხვა სექციებით. მსგავსი საბჭოები არსებობს აგრეთვე უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში—კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საკითხები, რომლებიც შესწავლილი, განხილული და განზოგადებული უნდა იქნეს ეკონომიური მუშაობის საბჭოებში უამრავია, როგორც რაიონის, ისე საწარმოს მასშტაბით. მათი მთავარი საბრძოლო ამოცანა კი წარმოების ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას ნაკლები შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯებით, რასაც მივყავართ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებამდე.

მაგრამ, მაინც ეკონომიური მუშაობის ორგანიზატორად სრულად ეკონომისტი გვევლინება. ზემოთ აღნიშნული საბჭოებისა და ეკონომიური ანალიზის ბიუროების მაღალხარისხოვანი მუშაობა დამოკიდებულია [illegible] ციატივაზე, მის შრომისუნარიანობაზე, იმაზე, თუ როგორ [illegible] მუშაობაში მკვლევარისა და ორგანიზატორის თვისებებს. ეკონომისტმა, პირველ ყოვლისა, დაწვრილებითი და ყოველმხრივი ანალიზი უნდა გაუკეთოს, როგორც თვით მეურნეობის სამეურნეო საქმიანობას, ისე სხვა მეურნეობების მოწინავეთა გამოცდილებას, სისტემატურად უნდა იყოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და მისი ფილიალების მუშაობის საქმის კურსში, რათა დაადგინოს, რა სამეურნეო ეფექტს მისცემს მეურნეობას ამ კვლევით დაწესებულებებში მიღებული ახალი მეთოდების დანერგვა. ასეთი ანალიზის შედეგად ეკონომისტმა მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად უნდა შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები, გახადოს ის მსჯელობის საგნად, როგორც ეკონომიური მუშაობის საბჭოში, ისე კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე, მათი შესრულების ორგანიზაციული ღონისძიების შემუშავებისათვის.

ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უნდა გადაიქცეს მაღალრენტაბელურ საწარმოდ. ეკონომისტის როლი მეურნეობის რენტაბელურად გადაქცევის საქმეში მეტად დიდია. მან ცალკეული დარგის მიხედვით ანალიზი უნდა გაუკეთოს წარმოების პროცესს, დაადგინოს, თუ რა მიზეზით არის გამოწვეული მეურნეობის რენტაბელობის დაბალი დონე, ან მისი წამგებიანობა, პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების ელემენტების შესწავლის გზით განსაზღვროს მისი მიზეზები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსავლიანობის დაბალი დონით; მოსალოდნელია, რომ მოცემული პროდუქციის წარმოებაზე ადგილი აქვს შრომისა და ფულად-მატერიალური სახსრების უყაირათოდ ხარჯვას, ან დაბალი ჯიშის პირუტყვის მოვლა-მოშენებას. ღრმა ანალიზის შედეგად შეიძლება ისიც დადგინდეს, რომ დაბალი მოსავლიანობა გაპირობებულია თესლის ან სარგავი მასალის დაბალი ხარისხით, ცალკეული სახის სამუშაოების უხარისხოდ ჩატარებით ან ტექნოლოგიური პროცესის სქემისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარების ვადების სისტემატური დარღვევით, მუშაკთა მატერიალური დაინტერესების დაბალი დონით.

მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობები რენტაბელური მეურნეობებია. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად მეურნეობას განსაზღვრული ოდენობის მოგება რჩება, რომელსაც იყენებენ გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. ასეთ შემთხვევაში ხშირად მეურნეობის ხელმძღვანელები თვითკმაყოფილებას ეძლევიან. ამავე დროს მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოცემულ მეურნეობაში გარდა ძირითადისა, მთელი რიგი დარგები წამგებიანია და ის იფარება ძირითადი დარგის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგებით.

მსგავს შემთხვევებს უმთავრესად ადგილი აქვს მეჩაიეობის, მეთამბაქოეობის, მევენახეობის მეურნეობებში, რის შედეგად მცირდება მთლიანად მეურნეობის რენტაბელობის დონე.

ცხადია, მეურნეობის მსგავსი მართვა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ეკონომისტებს ასეთ შემთხვევაში დიდი მუშაობის ჩატარება მარ-

თებთ. მათ ღრმა ეკონომიური ცოდნა და გამოცდილება ჭირდებათ წამგებიანი დარგების რენტაბელურ დარგებად გადასაქცევად.

ეს დიდი ამოცანა ამავე დროს რთულია იმითაც, რომ რიგ მეჩაიეობის კოლმეურნეობებში შეურიგდნენ მეცხოველეობის დარგების წამგებიანობას. ზოგჯერ დაკანონებულად მიაჩნიათ, რომ მესიმინდეობა ყოველწლიურად ზარალს უნდა იძლეოდეს, მევენახეობის დარგის წაგება იფარებოდეს მეჩაიეობიდან ან მეთამბაქოეობიდან მიღებული შემოსავლით, ხოლო ზოგჯერ არის წინადადებანიც „არარენტაბელური“ დარგების ლიკვიდაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხის მსგავსი დასმა მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ყველაზე რთული მეცხოველეობის დარგის რენტაბელურ დარგად გადაქცევის საკითხია. მიუხედავად ამისა, მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, მათ შორის მახარაძის რაიონის მელექედურის სტალინის სახელობის, გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის, სუხუმის რაიონის ბარათაშვილის სახელობის, გულრიფშის რაიონის ესტონკის კოლმეურნეობებმა და სხვ. უკვე მიაღწიეს რენტაბელობას, ან წაგებას უკვე აღარ განიცდიან.

რაც შეეხება მესიმინდეობას, მევენახეობას, მებოსტნეობას და ზოგიერთ სხვა დარგს, ისინი არარენტაბელურნი არიან არა იმიტომ, რომ ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობები მათი მოვლა-მოყვანისათვის ოპტიმალური არ არის, არამედ იმიტომ, რომ გადაიტანეს რა მთელი ყურადღება ძირითადი დარგის განვითარებაზე, მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ეკონომისტების გადაუდებელი საქმე სწორედ ის არის, რომ სპეციალისტებთან მჭიდრო, შემოქმედებით კავშირში შეისწავლონ დარგის ჩამორჩენის, არარენტაბელობის მიზეზი, დაამუშაონ სათანადო ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება მოსავლიანობის გადიდებისაკენ, მაშასადამე, მისი რენტაბელობის ამაღლებისაკენ და ყოველ მიზეზგარეშე მიაღწიონ მათ შესრულებას.

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების, ე. ი. ეკონომიური აღმავლობის ერთ-ერთ და მეტად მნიშვნელოვან გზას წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა წარმოადგენს.

ხშირია შემთხვევა, როცა კოლმეურნეობაში რომელიმე ქვედანაყოფი ან ცალკეული კოლმეურნეები მაღალ მაჩვენებელს აღწევენ მემცენარეობის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. ცხადია, მაღალი მოსავლიანობის ოსტატების გამოცდილება მისასალმებელია, ისინი ქებას იმსახურებენ კოლმეურნეთა ან საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა საერთო კრებებზე, მეზობელ კოლმეურნეობებში, რაიონულსა და რესპუბლიკურ გაზეთებში. ისინი ღებულობენ მაღალ დამატებით ანაზღაურებებს, პრემიებს, ცხადია, ეს ასეც უნდა მოხდეს. ისინი იმსახურებენ ამ პატივისცემას. მაგრამ განა ეს საკმარისია? საჭიროა მოწინავეთა გამოცდილება დაუყოვნებლივ მისაწვდომი გახდეს ყველა ქვედანაყოფისა და კოლმეურნე წევრისათვის, რათა გამრავლდეს მოწინავეთა რიგები და ისინი გვყავდეს არა ერთი და ორი, არამედ მრავალი ათეული.

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტს ფართო შესაძლებლობა აქვს პროდუქციის წარმოების გადიდების და გაიაფების, მოწინავეთა გა-

მოცდილების განზოგადებისა და დანერგვის საქმეში. სახელდობრ, ეკონომისტმა უნდა შეისწავლოს მოწინავეთა ხერხები და მეთოდები, განაზოგადოს ის და კოლმეურნეობის გამგეობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების [illegible]თა და ხელშეწყობით მიაღწიოს მის დანერგვას ქვედანაყოფებსა და კოლმეურნეობაში. რაც იაფი პროდუქციის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს.

საწარმოო-საფინანსო გეგმებისა და ქვედანაყოფების წლიური საწარმოო დავალებების შედგენის ხარისხს განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის დარგებში ტექნოლოგიური რუკების მაღალხარისხოვანი შედგენა-დამუშავება. ის წარმოადგენს გეგმების საფუძველს და პროდუქციის წარმოების პროცესში მუშაკთა სახელმძღვანელოს.

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ კოლმეურნეობაში ტექნოლოგიური რუკების შედგენის ხარისხის დონე ძლიერ დაბალია. დაბალია ის გუდაუთის, გულრიფშის, კასპის, ქარელის კოლმეურნეობებშიც.

ტექნოლოგიური რუკების დამუშავება წინ უნდა უსწრებდეს საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენას. გაანგარიშებული და განსაზღვრული უნდა იქნეს შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯები მთელ ფართობზე, ფართობისა და პროდუქციის ერთეულზე, დადგენილი უნდა იქნეს პროდუქციის ერთეულის შრომატევადობა, რითაც ვიხელმძღვანელებთ სამუშაო ძალის გამოყენების დაგეგმვის დროს. ამავე დროს უნდა აღირიცხოს ტექნოლოგიური რუკით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახეების ფაქტიური შესრულება პერიოდებისა და მთელი წლის განმავლობაში. ამით იქმნება საშუალება სათანადო პროგნოზები გაკეთდეს მომავალი წლებისათვის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფაზე.

საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენას ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომისტებმა. გეგმაში აისახება არა მარტო ეკონომიური, არამედ ფინანსური, აგრონომიული, ზოოვეტერინარული, მექანიზაციისა და სხვა მთელი რიგი ტექნიკური საკითხები. რომელთა გადაწყვეტა ეკონომისტს დამოუკიდებლად არ შეუძლია. კოლმეურნეობის გამგეობა და საბჭოთა მეურნეობის დირექცია პასუხისმგებელია ამ დოკუმენტების სწორად და თავის დროზე დამუშავებისათვის. ეკონომისტი კი გამოდის ამ საქმის უშუალო ორგანიზატორად. ის ვალდებულია კოლმეურნეობის გამგეობისა და საბჭოთა მეურნეობის დირექციის მხარდაჭერით საფინანსო გეგმასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის დამუშავებაში ჩააბას მეურნეობის ყველა მუშაკი დოვლათის შემქმნის რომელ უბანზედაც არ უნდა მუშაობდეს ის.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა მეტად აქტუალური საკითხია. შრომის სწორ ორგანიზაციაზე უშუალოდ არის დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ეკონომიური სამსახურის გადაუდებელ, ყოველდღიური ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს თითოეული სახის სამუშაოზე სამუშაო ძალის ისეთი განაწილება, სამუშაო პროცესების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ერთეულზე ნაკლებ შრომით დანახარჯებს.

ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებისათვის სხვადასხვა საწარმოში ძირითადად ერთი და იგივე შრომითი ოპერაციებია საჭირო. მაგრამ შრომის დანაწილებისა და მისი კოოპერაციის ფორმები შეიძლება სხვადასხვა იყოს, [illegible] პირობებულია თითოეული მეურნეობის თავისებურებით, მუშ[illegible] ნებით, ადგილობრივ მოწინავეთა გამოცდილებით და მთელი რიგი სხვა ფაქტორებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქედან გამომდინარე, როგორც ეკონომისტის, ისე სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მოვალეობაა ეძიონ სამუშაო ძალის უკეთ გამოყენების პროგრესული ხერხები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის შრომატევადობის შემცირებას და, მაშასადამე, შრომისნაყოფიერების ამაღლებას.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას შეიძლება ექსპერიმენტსაც მივმართოთ. ვთქვათ, ერთსა და იმავე ბრიგადაში ერთი რგოლისათვის უნდა განისაზღვროს შრომის კოოპერაციის ერთი ფორმა, მეორე რგოლში—მეორე. შედეგების ანალიზის მიხედვით შეიძლება სათანადო დასკვნების გაკეთება. მსგავსი ექსპერიმენტი შეიძლება, აგრეთვე, ჩატარდეს ბრიგადების მიხედვითაც, რომელიც კიდევ უკეთეს მასალებს მოგვცემს, რადგან ისინი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულებია, რომელთაც განსაზღვრული აქვთ გარკვეული რაოდენობის პროდუქციის წარმოება. ბრიგადა, რომელიც შრომისნაყოფიერების ამაღლების მეტ მაჩვენებელს მოგვცემს, შრომის კოოპერაციის ის ფორმაც უფრო მისაღები იქნება მეურნეობისათვის მთლიანად.

მსგავსი ექსპერიმენტების ჩატარებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ სხვა დანარჩენი პირობები საცდელად აღებულ ბრიგადებში თანაბარი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დასკვნები არასაიმედო იქნება და შეიძლება შეცდომაშიც შეგვიყვანოს.

მსხვილი მეურნეობის საწარმოო საქმიანობის მრავალ საკითხში ყოველთვის მოიძებნება მთავარი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მოგვცემს უფრო მეტ სარგებლობას. ეკონომიური მუშაობის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამონახო მთავარი რგოლი, რომლის გადაჭრაზე მიმართული უნდა იქნეს ეკონომიური სამსახურის ყველა ღონისძიება, გახდეს ის ფართო აქტივის, მთელი კოლექტივის მსჯელობის საგნად, რომლის დროს შეირჩევა მისი წარმატებით გადაწყვეტის საუკეთესო გზები და საშუალება.

ეკონომიური მუშაობის საბჭო, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზეა შექმნილი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან, წარმოადგენს ეკონომიური მუშაობის ცენტრს. ის არა მარტო წყვეტს ეკონომიური მუშაობის მთელ რიგ საკითხებს რაიონის მასშტაბით, არამედ ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შექმნილი ეკონომიური მუშაობის საბჭოებისა და ეკონომიური ანალიზის ბიუროების მეთოდურ ხელმძღვანელობას.

საბჭოების მუშაობა წარმოებული უნდა იქნეს გეგმურ საწყისებზე. სამუშაო გეგმაში, რომელიც დგება მთელი წლისათვის, კვარტალების მიხედვით, გარდა წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენისადმი ხელმძღვანელობისა და წლიური ანგარიშების ანალიზისა, შეიტანება ეკონომიური მუშაობის ძირი-

თადი საკვანძო საკითხები, რომლის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მეურნეობის ეფექტურობის ამაღლებას.

სამმართველოს საგეგმო-ეკონომიური განყოფილების მიერ შესწავლილი საკითხი, რომელზედაც ანალიზის შედეგად დასახულია სათანადო ღონისძიებანი წარედგინება სათანადო სექციას და საბჭოს, სადაც ის ყოველმხრივად განიხილება, შესწორდება და დაზუსტდება. ამის შემდეგ მას ამტკიცებს სოფლის მეურნეობის სამმართველო, რომელიც ამავე დროს დასახავს მისი პრაქტიკაში დანერგვის ღონისძიებებს.

საგეგმო-ეკონომიური განყოფილება თვალს ადევნებს მის ცხოვრებაში გატარებას და წლის ბოლოს შეამოწმებს, რა ეკონომიური ეფექტი იქნა მიღებული რაიონის ან საწარმოს მიხედვით აღნიშნული ღონისძიების დანერგვის შედეგად.

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიური განყოფილების ან მთავარი ეკონომისტის მიერ შესწავლილი საკითხი ასევე წარედგინება საბოლოო დამუშავებისათვის საწარმოსთან არსებულ საბჭოს სათანადო სექციას, შემდეგ საბჭოს და მოწონების შემთხვევაში დასამტკიცებლად გადაეცემა კოლმეურნეობის გამგეობას ან საბჭოთა მეურნეობის დირექციას, რის შემდეგ ის სავალდებულოა მათთვის, ვისაც აღნიშნული საკითხი ეხება. მთავარი ეკონომისტი თვალ-ყურს ადევნებს ღონისძიების დანერგვის მიმდინარეობას და წლის ბოლოს გააკეთებს სათანადო ანალიზს ღონისძიების ეფექტიანობაზე.

აღნიშნული საბჭოების არსებობა ადიდებს ეკონომისტის როლს ეკონომიურ მუშაობაში. ეკონომისტი მოწოდებულია მოცემულ საკითხზე საბჭოს ან ეკონომიური ანალიზის ბიუროს წარუდგინოს სათანადოდ მომზადებული მასალა, რომლის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მეურნეობის სათანადო სპეციალისტებმა და მოწინავეებმა.

შესაძლებელია სპეციალისტების მიერ წამოყენებული, რომელიმე ტექნოლოგიური პროცესი ხელს უწყობდეს მოსავლიანობის ან პროდუქტიულობის გადიდებას. ეკონომისტმა აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას. მან ანალიზი უნდა გაუკეთოს წამოყენებული ტექნოლოგიური პროცესის დანერგვის შედეგად მიღებული პროდუქციის მოსალოდნელ ეკონომიურ ეფექტურობას და თუ ის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სარგებლობას მოუტანს, გზა გაუხსნას მის დანერგვას.

ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისათვის იმაზე, თუ როგორი იქნება შესრულებული პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის დავალებანი, ბევრად არის დამოკიდებული XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება. ამიტომ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვების გამოყენება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება წარმოადგენს საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს. ეს კი დამოკიდებულია წარმოების ყველა რგოლში ხელმძღვანელობის დონის ამაღლებაზე.

доц. С. ТАВДИШВИЛИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ПОВЫСИТЬ УРОВЕНЬ ЭКОНОМИЧЕСКОЙ РАБОТЫ НА СЕЛЕ


### Резюме

Значительные успехи в производстве сельскохозяйственной продукции достигнутые в решающий год девятой пятилетки в некоторой степени зависят и от повышения уровня экономической работы на селе.

При районных управлениях сельского хозяйства, в колхозах и совхозах организованы советы экономической работы и научной организации труда, которые должны стать местом дальнейшего усиления экономической работы.

Планово-экономические отделы райсельхозуправления и экономисты колхозов и совхозов должны поставить работу этих советов так, чтобы они могли выработать рекомендации, направленный на улучшении экономической работы в колхозах и совхозах, совершенствования формы разделения и кооперации труда, более эффективной системы материальной заинтересованности внутрихозяйственных подразделений, превращения нерентабельных отраслей и предприятий в рентабельную, что будет способствовать увеличению производства продукции и уменьшению трудовых и денежно-материальных средств на единицу продукции.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. მ. ჭელიძე

# საშეფო მუშაობის გაუმჯობესებისა და წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებისათვის

სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „მძლავრ მრეწველობასთან ერთად, აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა".

სკკ პარტიის XXIV ყრილობაზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობა დამოკიდებულია არა მარტო სოფლის მშრომელებზე, არამედ მრეწველობის მუშაკთა, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა მეცადინეობაზეც. პარტია მოუწოდებს მათ ღირსეული წვლილი შეიტანონ ამ დიდ, ჭეშმარიტად საერთო-სახალხო საქმეში".

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წწ. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების ფართო ღონისძიებების განხორციელება, მეცნიერების შეერთება წარმოებასთან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოფელზე ქალაქის საშეფო დახმარების, ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის შექმნის, მისი განმტკიცების იდეა, მეცნიერული დასაბუთება და პრაქტიკულად განხორციელება უშუალოდ დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან.

სკკპ პარტია, საბჭოთა მთავრობა, ასრულებენ რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, თანმიმდევრულად ახორციელებენ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის საწარმოო-ეკონომიურ და ორგანიზაციულ-პოლიტიკური კავშირის განმტკიცების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური წყობილების ერთ-ერთ საფუძველს. ამის დამადასტურებელია სოციალისტური მრეწველობის მუდმივად მზარდი დახმარება სოფელზე, რაც ნათლადაა ასახული სკკპ პლენუმების, კონფერენციებისა და ყრილობების რეზოლუციებში, დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში, სოციალისტური მშენებლობის ცალკეული ეტაპის მიხედვით.

ცნობილია, რომ იმ წინამძღვრებს, პირობებსა და მეცნიერულად დასაბუთებულ დიდ სახელმწიფოებრივ ეკონომიურ, აგრარულ ღონისძიებათა შორის

რომლებსაც ითვალისწინებდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ლენინური გეგმა და მისი ორგანულად შემადგენელი გენიალური კოოპერაციული გეგმა, რომლებმაც მოამზადეს უდიდესი რევოლუციური [illegible] სოფლად, წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის [illegible] კოლექტიურ მეურნეობაზე (კოლექტივიზაციის პროცესი) მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ქალაქის საშეფო ორგანიზაციების მუშაობას სოფლად. გლეხებზე დახმარებისათვის კოლმეურნეობებში ქალაქებიდან გაგზავნილი იყო ათეულ ათასობით მოწინავე სამრეწველო მუშა და სპეციალისტი, მათ უდიდესი მუშაობა გასწიეს კოლექტივიზაციის განხორციელების, მძლავრი საკოლმეურნეო წყობილების მშენებლობის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემის შექმნისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების შემუშავებისა და განხორციელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საბჭოთა მეცნიერების დაკავშირებას სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოებასთან, სოფლად სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკასთან. წარმატებით ხორციელდება ცხოვრებაში ლენინური მითითებები მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცების, მისი შემდგომი შემოქმედებითი განვითარების შესახებ სოციალიზმის მშენებლობის ცალკე ეტაპების მიხედვით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, ხოლო 1958 წლამდე მტს-ებზე საშეფო დახმარების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვის საქმეში. მდიდარი გამოცდილება გააჩნია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მთელ კოლექტივს, რაც ფართოდ აღინიშნა ინსტიტუტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში.

ეს ძვირფასი, ტრადიციული მემკვიდრეობა კიდევ უფრო ფართოდ და საინტერესოდ ხორციელდება ამჟამად სოფლად მიმდინარე ეკონომიური რეფორმის პირობებში, რაც მთლიანად შეესაბამება სკკ პარტიის ეკონომიური და აგრარული პოლიტიკის მოწოდებას—სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაძლიერების შესახებ. სოფლის მეურნეობის დარგში დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე საშეფო დახმარების კიდევ უფრო გაძლიერებას, ამასთან ერთად, ისეთი ღონისძიებების შემუშავებას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებას.

საშეფო მუშაობის, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების დარგში ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა 1972 წელს შეასრულეს მრავალი სახის სამუშაო.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, წარმოებასთან მეცნიერების შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებისა და განვითარების მრავალმხრივ სამუშაოებს წელთა მანძილზე სისტემატურად ატარებს მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში, ხოლო 1972 წლის იანვრიდან, ამავე რაიონის 6 საბჭოთა მეურნეობასა და მცხეთის საკონსერვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხანაში. ანალოგიური სამუშაოები 1970 წლიდან ტარდება გარდაბნის რაიონის დიღმის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ამასთან ერთად, ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მთელი კოლექტივი სამუშაოებს ატარებს დიღმისა და მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობებზე საშეფო დახმარების გასაწევად ჩამოყალიბებულია 6 ბრიგადა, რომელშიაც გაერთიანებულია ინსტიტუტის 60 მეცნიერი მუშაკი (პროფესორი, დოცენტი და ასისტენტი), ხოლო მცხეთის საკონსერვო ქარხანას საშეფო დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრა.

გარდაბნის რაიონის დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას შეფობას უწევს ინსტიტუტის 19 კათედრა.

წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცების, საშეფო დახმარების გეგმიანად წარმართვისა და მეთოდური ხელმძღვანელობისათვის შექმნილია საინსტიტუტო საშეფო კომისია.

საშეფო დახმარების გასაწევად შექმნილი ბრიგადები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების და უშუალოდ საბჭოთა მეურნეობების დირექციების წარმომადგენლების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მონაწილეობით, სისტემატურად ატარებენ მოწინავე აგროზოოტექნიკის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რაციონალურად გამოყენების და სხვა საკითხებზე სამეცნიერო კონფერენციებს, გამსვლელ სესიებს, ლექციებს ,საუბრებს, კონსულტაციებს. სისტემატურად ეწყობა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა შემოქმედებითი შეხვედრები საბჭოთა მეურნეობის მუშებთან, სპეციალისტებთან, ბრიგადირებთან, მექანიზატორებთან. აღნიშნული რაიონების მრავალტირაჟიან გაზეთებში რეგულარულად ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა წერილები, კოსულტაციები მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის აქტუალურ საკითხებზე.

1972 წელს სამეცნიერო სესიები, აგრეთვე სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით კონფერენციები ჩატარებულია მცხეთის რაიონის ძალისის, მუხრანის, ქსოვრისის, ნატახტრის, გარდაბნის რაიონის დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში.

საშეფო ბრიგადები სათანადო დახმარებას უწევენ საბჭოთა მეურნეობებს შიგასამეურნეო დაგეგმვის, აღრიცხვა-ანგარიშწარმოების, საბუღალტრო აღრიცხვის სწორად წარმოების საქმეში

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების მიზნით, მეურნეობებში ხორბლისა და ვაზის, ბოსტნეულის ახალი ჯიშების დანერგვის საქმეში დახმარება გაეწია მცხეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობებს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით, სათანადო ღონისძიებების შემუშავებაში დახმარება ეწევა მცხეთის რაიონის ნატახტრის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას, სადაც 1973 წლიდან მოეწყო 100 ჰა ფართობზე გასარწყავებული კულტურული საძოვარი.

მეთუთეობისა და მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის სათანადო დახმარება გაეწია რაიაბრეშუმს, ქსოვრისის საბჭოთა მეურნეობას თუთის ნერგების შეძენის, მყნობელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების და სხვა საქმეთა. მომავალში ანალოგიურ მუშაობას მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში გააგრძელებს მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშეფო დახმარების ბრიგადების წევრები—ენტომოლოგ-ფიტოპათოლოგები, საერთოდ ქიმდაცვის დარგის მეცნიერ მუშაკები, სისტემატურ დახმარებას უწევენ ზემოაღნიშნულ საბჭოთა მეურნეობებს მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დასახვა-განხორციელებაში, მათ მიერ, კერძოდ, გამოვლინებულია მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში გავრცელებული მავნებლების სახეობრივი შემადგენლობა და დასახულია ბრძოლის ღონისძიებები. ამ მეურნეობის სპეციალისტებს მიეცათ წერილობითი ინსტრუქცია ხეხილის მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩასატარებლად, აგრეთვე სპეციალური ლიტერატურა და თვალსაჩინოების მასალები.

მცხეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობებს 1972—1973 წწ. დახმარება გაეწია ყინვებისაგან დაზიანებული ვენახების მოვლის ღონისძიებების შემუშავებაში, ასევე სათანადო საშეფო მუშაობა ტარდება მებოსტნეობასა და მებაღეობაში.

წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართო დანერგვის მიზნით განსაკუთრებით საინტერესო, მრავალმხრივ სამუშაოებს ატარებს მექანიზაციის ფაკულტეტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი დიღმისა და მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, მცხეთის რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობასა და დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, რის შედეგად იზრდება შრომისნაყოფიერება და მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობა.

ნიადაგის დამამუშავებელ მანქანათა კათედრის მიერ დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში სამუშაოები ძირითადად მიმდინარეობდა მევენახეობასა და მებოსტნეობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის ხაზით. აქ პირველად ფართო მასშტაბით განხორციელდა ვაზის ძირებშორისი ფართობის დასამუშავებელი ავტომატური მოწყობილობების დანერგვა, საამისოდ მომზადებულია მეურნეობის ტრაქტორისტები. ეს ღონისძიება უკვე განხორციელებულია 20 ჰა-ზე.

დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მებოსტნეობის დარგში პირველად განხორციელდა ძირითადი სამუშაო პროცესების მექანიზაცია ახლად ათვისებულ ნაკვეთზე. ამ ძირითადი სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის მიზნით დაკომპლექტდა მეურნეობა სათანადო მექანიზმებით.

მუხრანის სასწავლო-საცდელ საბჭოთა მეურნეობაში ვაზების რიგთაშორისების დასამუშავებლად მომზადდა 3 აგრეგატი და 3 ტრაქტორისტი ავტომატური მოწყობილობის დასანერგად. ავტომატური მოწყობილობის დანერგვა ვენახებში 6-ჯერადი კულტივაციის ჩატარებით განხორციელდა 30 ჰა-ზე. ავტომატური მოწყობილობა დაინერგა პალმეტური ხეხილის ბაღების ძირებშორისების დასამუშავებლად 5 ჰა-ზე. ამგვარად, ავტომატური მოწყობილობით ერთჯერად დამუშავებაზე გადაყვანით დამუშავდა 175 ჰა. ფულადი დანახარჯების ეკონომია

1 ჰა-ზე საშუალოდ 30 მანეთს შეადგენს. საერთო ეკონომია, რომელიც მეურნეობამ მიიღო ამ მოწყობილობის დანერგვით, შეადგენს 5250 მანეთს.

გარდა ამისა, მოსავლისამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანების კათედრის წევრების მიერ მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში შესრულებულია საკვებ-სარიგებელი და ნაკელგამტანი ტრანსპორტიორის რეგულირებისა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. დამონტაჟებულია საკვების გადამამუშავებელი მანქანა „ვოლგარი“, დახმარება გაეწია მეურნეობას წყლით ფერმის მომარაგების საკითხების გადაწყვეტაში, სისტემაშია მოყვანილი მანქანების შესანახი ფარდულები და საფუძველი ჩაეყარა ღია ფარდულის მოწყობას. მოწყობილია ლითონმჭრელი და ჩარხების სარემონტო სახელოსნო.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაციის კათედრის თანამშრომლებმა დახმარება გაუწიეს მეურნეობას ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოების, ტრაქტორების მარკებისა და ტრაქტორისტების მიხედვით აღრიცხვის მოწესრიგებაში, სატრაქტორო აგრეგატების რაციონალურად გამოყენების, ტრაქტორების ტექნიკური მოვლების დაგეგმვისა და სხვა საკითხების მოწესრიგებაში. კათედრის მიერ შემუშავებულია ვაზისა და ხეხილის მოვლა-მოყვანის მანქანათა სისტემა.

1972 წ. ნიადაგის დამამუშავებელი მანქანების, მოსავლისამღები ძახქახების, მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაციის, სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის გამოყენების, ელექტროტექნიკის, მანქანების რემონტის, ლითონთა ტექნოლოგიის კათედრების წევრთა მიერ ანალოგიური სამუშაოებია ჩატარებული ქსოვრისის, ნატახტრის, ძალისის, მუხრანის, საგურამოს საბჭოთა მეურნეობებსა და მცხეთის სახელმწიფო ხეხილ-სანერგეში.

მექანიზაციის ფაკულტეტის ყველა კათედრამ 1972 წ. დიდი დახმარება გაუწია დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას მანქანა-ტრაქტორთა პარკის რაციონალური გამოყენების, ელექტრიფიკაციის და ავტომატიზაციის დანერგვაში. წესრიგშია მოყვანილი ელექტრომეურნეობა, ელექტროენერგიის გამოყენების საქმე, ბოსტნეულის ჩითილსარგავი მანქანა, მომზადებულ იქნა აგრეგატები ბოსტნეულის თესვა-კულტივაციისათვის. ეს სამუშაოები მიმდინარეობდა წლის განმავლობაში თვით მეურნეობაში კათედრების უშუალო მონაწილეობით. ერთი თვის მანძილზე, მოსავლის აღების კომპლექსური მექანიზაციისათვის აგრეგატების მომზადება, გამოსახმარისება და სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა ამ კათედრის წევრთა ხელმძღვანელობით მეურნეობას თითქმის მთელი წლის მანძილზე დახმარება გაეწია ერთი ცალი ტრაქტორით.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაციის კათედრამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შენახვის საქმეში დახმარება გაუწია დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობას ტრაქტორებისა და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ტექნიკური მოვლების ჩატარების დაგეგმვაში, ახალი ტექნიკის შეძენისა და რემონტის საქმეში. მექანიზატორებთან ჩატარდა საუბარი ახალი ტექნიკის გამოყენებისა და შრომის დაცვის საკითხებზე.

კათედრებმა მონაწილეობა მიიღეს მეურნეობის სახელოსნოს, ფარდულების, საწვავის ბაზის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შედგენაში დახმარება აღმოუჩინეს ვენახის კულტივატორის გამოყენების საკი[illegible] ერთი კომპლექტი პლაკატებისა უსაფრთხოების ტექნიკის სა[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშეფო სამუშაოთა შესრულებაში 1972 წ. ფართოდ იყო ჩაბმული მექანიზაციის ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის 40-მდე სტუდენტი. ისინი გამოცდილი პედაგოგიური პერსონალის უშუალო ხელმძღვანელობით ორი თვის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მექანიზაციის სამუშაოთა შესრულებაში. საშეფო შრომაში ჩაბმული იყვნენ აგრეთვე ეკონომიური ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტები.

საშეფო დახმარების გაწევის შედეგად ამაღლდა მცხეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა. მნიშვნელოვნად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ცხოველთა პროდუქტიულობა. წარმატებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალებანი. ყოველივე ამის გამო, ამ საბჭოთა მეურნეობებში ბევრი მოწინავე სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეა.

მცხეთის რაიონის ნატახტრის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის, პირველ რიგში კი მებოსტნეობის სანიმუშოდ დაყენებისა და მისი მეცნიერულად დასაბუთებული გაძღოლის უზრუნველყოფის მიზნით, ინსტიტუტში შექმნილია საშეფო დახმარების სპეციალური კომისია 24 პროფესორისა და დოცენტის შემადგენლობით.

1973—1975 წწ. მანძილზე ინსტიტუტის კოლექტივის მიერ ზემოაღნიშნულ სასწავლო-საცდელ და სხვა საბჭოთა მეურნეობებში საშეფო დახმარების პერსპექტიული მეცნიერების წარმოებასთან კავშირის განმტკიცების მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების შესრულება:

1. წლიური ინვენტარიზაციისა და წლიური ანგარიშების დროულად და მაღალხარისხოვნად შედგენა;

2. ყოველწლიურად საწარმოო-საფინანსო გეგმების და შიგასამეურნეო დარგების გეგმების შედგენა;

3. საორგანიზაციო-სამეურნეო მოწყობის გეგმების მაღალხარისხოვნად შედგენა;

4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მანქანა-ტრაქტორთა პარკის ეზოს, ფარდულების მოწყობის გეგმების შედგენა, რემონტის, ტექნიკის შენახვის, მოვლა-პატრონობის, მისი რაციონალურად გამოყენების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის, მექანიზატორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი მატერიალური დაინტერესებისა და მორალური წახალისების ღონისძიებების განხორციელება.

5. მიწათსარგებლობაში სრული წესრიგის დამყარების, საზოგადოებრივი მიწების დაცვისა და მისი მაღალეფექტიანად გამოყენება.

6. შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძ-

ველზე წარმართვა და ამ დარგში სიახლეთა, მოწინავეთა გამოცდილების დანე-რგვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. აგროზოოტექნიკური კულტურის ამაღლების ღონისძიებების, [illegible] ღოლის სისტემების შემუშავების თანმიმდევრულად განხორციელება თითოეული მეურნეობის წარმოების თავისებურების გათვალისწინებით, რათა უზრუნველ-ყოფილი იქნეს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამა-ღლების და მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა წარმოებაში.

8. მატერიალური დაინტერესებისა და მორალური წახალისების ღონისძიე-ბების განუხრელი განხორციელების მიზნით შრომის მეცნიერული ორგანიზაცი-ის ნორმირებისა და ანაზღაურების, არსებული აგრარული კანონმდებლობის მტკიცედ დაცვის საფუძველზე მოწესრიგება და სრულყოფა.

9. სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა და საფინანსო მეურნეობის მოწეს-რიგების, საკონტროლო და სარევიზიო სამუშაოების ხარისხობრივად წარმოება.

10. ეკონომიური მუშაობის გაძლიერების მიზნით ეკონომიური საბჭოს ან ეკონომიური ანალიზის ბიუროს მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება.

11. საშეფო ბრიგადების წევრთა და ინსტიტუტის ცალკეული კათედრის მეცნიერ მუშაკთა მონაწილეობით ლექციების, საუბრების, კონსულტაციების სამეცნიერო კონფერენციების სესიების, შეხვედრებისა და სხვ. ჩატარება.

ინსტიტუტის რექტორატის მიერ საშეფო ბრიგადების ოპერატიული მუშა-ობისათვის შექმნილია სათანადო პირობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვ.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურ-ნეო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მთელი კოლექტივი, კერძოდ კი საშეფო ბრიგადები, ძველი ტრადიციის მიხედვით შემოქმედებითად გამოიყენებენ და-გროვილ მდიდარ გამოცდილებას და ყველაფერს გააკეთებენ საშეფო მუშაობის გაუმჯობესების, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განვითარებისათვის, რი-თაც თავიანთ წვლილს შეიტანენ მიმდინარე ხუთწლედის დავალებათა შესრუ-ლებაში.

Доц. М. ЧЕЛИДЗЕ

## К УПРОЧНЕНИЮ НАУЧНОЙ СВЯЗИ С ПРОИЗВОДСТВОМ И УЛУЧШЕНИЕ ШЕФСКОЙ РАБОТЫ

### Резюме

После Великой Октябрьской Социалистической революции, на основе создания и упрочнения союза между рабочим классом и крестьянством под руководством Коммунистической партии была обеспечена победа социализма в Советском Союзе и утвержден социалистический способ производства как в городе, так и в деревне. Одной из конкретных форм упрочнения этого союза, проявления ведущей роли рабочего класса в строитель-

стве социализма и коммунизма, на протяжении всех лет Советской власти было и остается шефство города над деревней.

Шефство города над деревней — явление, характерное для нашей жизни. В. И. Ленин с первых лет Советской власти придавал исключительное значение шефству рабочих над жителями села.

В. И. Ленин считал, что шефство должно быть массовым, планомерным и систематическим, опирающимся на социалистическую сознательность всех участников шефского движения при постоянном партийном руководстве им.

Ныне, в условиях развитого социализма, коммунистическая партия продолжает совершенствовать и плодотворно использовать шефские связи города и деревни в целях ускорения развития производительных сил сельского хозяйства, дальнейшего сближения двух форм социалистической собственности, индустриализации сельскохозяйственного производства, преодоления существенных различий между городом и деревней, укрепления союза рабочих и крестьян при усилении руководящей роли рабочего класса в этом союзе.

Научно обоснованная программа дальнейшего стирания различий между городом и деревней намечена на XXIV съезде КПСС. На съезде подчеркивалось, что для развития культуры на селе предостоит многое сделать. Роль шефства в связи с этим еще более возрастает.

На современном этапе коммунистического строительства еще более возрастает значение всех сторон шефской помощи, экономической, политической, организаторской и культурно-воспитательной.

Научные работники Грузинского ордена Трудового Красного Знамени сельскохозяйственного института на протяжении многих лет систематически оказывают шефскую помощь сельскохозяйственным предприятиям Мцхетского района. Для улучшения и совершенствования организационных форм шефства и внедрения в производство достижений науки и передового опыта, упрочнение союза науки с производством, создано шесть бригад в составе 60 научных работников. Этими бригадами в течение последних лет в Мцхетском районе проведена большая, плодотворная работа.

Исходя из директив XXIV съезда КПСС о развитии сельского хозяйства в IX пятилетке, шефская работа и упрочнение союза науки с производством проводятся по перспективному плану шефской работы.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეკონ. მეცნ. კანდ. გ. ჭკადუა

# საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდიკის სრულყოფისათვის

საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს იმ ფოკუსს, სადაც საბოლოო ანგარიშით გამოსახულია მოცემულ უბანზე სოფლის მეურნეობის გაძღოლის მთელი არსებული სისტემის სამეურნეო შედეგი.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის თანამედროვე ეტაპზე, თვითღირებულების კატეგორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის გვეუბნება თუ რა უჯდება ამა თუ იმ კოლმეურნეობას პროდუქციის ერთეულის წარმოება; რა დონეზე დგას მიწის, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ეფექტიანი გამოყენება, აგროზოოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებისა და შრომისნაყოფიერების დონე, როგორია მოგების მასის ზრდა და რენტაბელობის მაჩვენებლები. პროდუქციის თვითღირებულების, მეურნეობის წარმოებითი დანახარჯების საანალიზო ინფორმაციის ამ ძირითადი ძარღვის, ჯეროვანი ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევამციროთ როგორც მატერიალურ-ფულადი, ასევე შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე, ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია უმცირესი დანახარჯის პირობებში, გამოვავლინოთ ფარული რეზერვები, რის შედეგადაც მიიღწევა შრომის მაღალი ნაყოფიერება, მოგების ზრდა და რენტაბელობის დონის ამაღლება.

როგორც ვიცით, საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. სამოციან წლებში აგრარიკოს-ეკონომისტთა შორის მიმდინარეობდა ხანგრძლივი დისკუსია საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდიკის სრულყოფისა და თვითღირებულებაში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ასახვის გარშემო. 1966 წლის 1 ივლისიდან კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების დანერგვის შემდეგ ერთიანი სატარიფო ბადის საფუძველზე საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურების დონის შესაბამისად, როგორც საბჭოთა მეურნეობების, ასევე კოლმეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება უნდა აისახოს ფაქტიურად დარიცხული შრომის ანაზღაურების სიდიდით.

მიუხედავად იმისა, რომ საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდიკა უფრო სრულყოფილი გახდა, მაინც არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც სადავოა და მოითხოვენ შემდგომ დაზუსტებას. აქედან შევეხებით ზოგიერთ საკითხს და ვეცდებით გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება.

კოლმეურნეობები თავიანთ წევრთა შრომის ანაზღაურებას ანიჭებენ შეს-რულებულ სამუშაოებზე სანარდო სისტემით (ზოგიერთი იყენებს აკორდულ-პრემიალურს), როგორც ძირითადი ანაზღაურება. ამასთან ერთად, წლიური შე-დეგების მიხედვით აწარმოებენ შრომის დამატებით ანაზღაურებას წლის ბო-ლოს. ისმება კითხვა:—შრომის დამატებითი ანაზღაურების რომელი ნაწილი შე-ვიდეს საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაში? საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის თვითღირებულებაში აუცილებლად უნდა შევიდეს შრომის ძირითადი და დამატებითი ანაზღაურების ყველა თანხა, გარდა იმ ნა-წილისა, რომელიც გაცემულია წლის ბოლოს მოგებიდან.

როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ო. ტატიშვილი,[1] განსაკუთრებით ეკონომიურად ძლიერ კოლმეურნეობებში წარმოების გაფართოებისა და საზო-გადოებრივი ფონდების შექმნის შემდეგ, მოგების დიდი ნაწილი, დამატებითი ანაზღაურების სახით, ეძლევათ კოლმეურნეებს. ამ თანხის თვითღირებულებაში შეტანა კი ზრდის მათ მიერ წარმოებული პროდუქტების თვითღირებულებას. ეკონომიური თვალსაზრისით კი ამ თანხის შეტანა თვითღირებულებაში გაუმარ-თლებელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ საბოლოო შედეგებისათვის შრომის დამა-ტებითი ანაზღაურება მოგებიდან ეძლევა კოლმეურნეებს და სპეციალისტებს იმ შემთხვევაში, თუ მათზე დაყვანილი გეგმები შესრულებულია არა მარტო რაო-დენობრივად, არამედ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების, შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების ეკონომიის პირობებში, ე. ი. თვითღირებუ-ლების შემადგენელი ელემენტების უმეტესი ნაწილის ეკონომიური ხარჯვის პი-რობებში, განსაკუთრებით იმ კოლმეურნეობებში, სადაც დანერგილია შიდასა-მეურნეო ანგარიშის პრინციპები; მაგრამ როგორც ფაქტიური მონაცემები გვიჩ-ვენებს, ამ საკითხის მართებულად გადაწყვეტას კოლმეურნეობათა უმრავლესო-ბაში არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ბევრ კოლმეურნეობაში ნაკლები ყურადღება ექცევა შრომის ძირითადი ანაზღაურების სწორად მოგვარებას და ყურადღების ცენტრი უფრო მეტად გა-დატანილია შრომის დამატებით ანაზღაურებაზე, რაც შრომის ანაზღაურების სწორი სისტემის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. ეს კი აშკარად მიუთითებს ცალკეულ კოლმეურნეობაში შრომის ინტენსივობისა და პროგრესული ტექნი-კური ნორმირების შეუსაბამობაზე. თუ ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთთან შესაბამისობაშია, მაშინ როგორ შეიძლება შრომის დამატებითი ანაზღაურება შეადგენდეს შრომის ძირითადი ანაზღაურების ნახევარს და ზოგჯერ მეტსაც? ასეთი არასწორი მეთოდით შრომის ანაზღაურებითა და მოგებიდან გაცემული ამ თანხის თვითღირებულებაში შეტანით, ეს მნიშვნელოვანი ეკონომიური კატე-გორია კარგავს თავის შინაარსს და არ იძლევა მეურნეობის სამეურნეო საქმია-ნობის ნამდვილ სურათს.

---

[1] ო. ტატიშვილი — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების დაგეგ-მვისა და აღრიცხვის სრულყოფისათვის, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", № 6, 1970., გვ. 34—45.

საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაში დანახარჯთა ისეთი ელემენტების შეტანა, როგორიცაა: კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის ანარიცხები. სადაზღვევო გადასახდელები და სხვ. ეკონომისტთა ნაწილს არასწორად მიაჩნია.

თანამედროვე ეტაპზე პროდუქციის თვითღირებულებაში ამ ორი დანახარჯის შეტანას ჩვენ უნდა მივუდგეთ არა უბრალო ტექნიკური გაანგარიშების თვალსაზრისით, არამედ მათ მიერ საკოლმეურნეო წარმოებაზე ეკონომიური ზემოქმედებისა და შინაარსის მიხედვით. ორივე გადასახდელის გაანგარიშებისა და დაფარვის წყაროს ამჟამად შეადგენს კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი და არა მოგება.

თუ სადაზღვევო გადასახდელს არა როგორც სავალდებულოს, არამედ ნებაყოფლობითს, გადიხდიდა არა ყველა კოლმეურნეობა (ეკონომიურად ძლიერი და სუსტი), არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა აღნიშნული თანხა დაფარონ მოგებიდან, მაშინ, რა თქმა უნდა, ის არ იქნებოდა თვითღირებულების ელემენტი, მაშასადამე, დაზღვევის შეღავათებით (სტიქიური უბედურების შემთხვევაში) ისარგებლებდა არა ყველა კოლმეურნეობა, როგორც ეს ამჟამად ხდება, არამედ მხოლოდ ეკონომიურად ძლიერნი, რომლებმაც მოგებიდან გამოყვეს სათანადო თანხა ამ მიზნით; ეს კი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ფინანსურ მდგომარეობას კი არ გააუმჯობესებდა, არამედ ცალკეულ წლებში კიდევ უფრო გააუარესებდა. ეს და სხვა მომენტი გვაფიქრებინებს, რომ ყველა კოლმეურნეობამ გადაიხადოს დაზღვევის გადასახდელი და ის შევიდეს პროდუქციის თვითღირებულებაში, როგორც წარმოების გარეშე დანახარჯი, ამ აზრს იზიარებს მ. დუჩიძე.[2]

ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, უნდა გაუმჯობესდეს დაზღვევის არსებული წესი. უნდა დაიხვეწოს დასაზღვევ კულტურათა ნომენკლატურა და დაზღვევის გადასახდელის სიდიდე.

გლეხობისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა კოლმეურნეთა უზრუნველყოფა პენსიით მოხუცებულობის, ინვალიდობის თუ მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში. ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის ამოცანის შეუფერხებლად განხორციელება მოითხოვს დიდძალ თანხებს, რომლებიც აღემატება ცალკეულ კოლმეურნეობათა შესაძლებლობას და სწორედ ამიტომ ხდება თავმოყრა ერთიან სისტემაში, რის შემდეგ ხდება მისი გადანაწილება. ყოველი კოლმეურნეობა ვალდებულია ამ ფონდის შექმნაში მიიღოს მონაწილეობა. თუ ამ თანხებს გადავრიცხავდით მოგებიდან, მაშინ კოლმეურნეობათა უმრავლესობა, რომლებიც ზარალიანია, ვერ გადარიცხავდა თანხას სრულებით, ხოლო მომგებიანი კოლმეურნეობათა უმრავლესობაც კი ვერ შესძლებდა სათანადო ოდენობით თანხის გამოყოფას ამ ფონდის შესავსებად. მაშასადამე, სრულიად სამართლიანად კოლ-

---

2 მ. დუჩიძე — სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის მეთოდიკის სრულყოფისათვის, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", № 8, 1970, გვ. 45—53.

მეურნეობათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს თანხა გაიანგარიშება საერთო შემოსავლიდან და დაფარვის წყაროსაც კოლმეურნეობის შემოსავალი წარმოადგენს, ამდენად ის უნდა შევიდეს პროდუქციის თვითღირებულებაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთ თავისებურებას, რაც მას განასხვავებს წარმოების სხვა სფეროსაგან, წარმოადგენს ის, რომ საკუთარი წარმოების პროდუქციის ნაწილი მოიხმარება წარმოების შიგნით ისე, რომ არ გაივლის რეალიზაციის სფეროს და წარმოადგენს ამოსავალ პუნქტს წარმოების შემდგომი განახლებისათვის (თესლი, სარგავი, მასალა, ფურაჟი და სხვ). ამრიგად, საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის თვითღირებულებაში დიდი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი საკუთარი წარმოების საბრუნავი საშუალებები.

მეურნეობის შიგნით წარმოებული და მოხმარებული საკუთარი პროდუქტის თვითღირებულება გავლენას ახდენს არა მარტო მიმდინარე წლის შედეგებზე, არამედ მომდევნო წლის მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებლებზე. აქედან გამომდინარე, საკუთარი წარმოების საბრუნავი საშუალებების პროდუქციის თვითღირებულებაში სწორად ასახვა და სრულყოფილად შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

საბჭოთა კავშირის აგრარიკოს-ეკონომისტთა შორის ამ საკითხის გარშემო არის ორი აზრი. ერთი ჯგუფი ეკონომისტებისა (გ. რომანჩენკო, კ. ობოლენსკი, ო. ტატიშვილი და სხვ.) მოითხოვს სოფლისმეურნეობრივი წარმოების პროცესში მოხმარებული გასული წლის საკუთარი წარმოების პროდუქციის დანახარჯის თვითღირებულებაში სახელმწიფო შესყიდვის (ჩაბარების) ფასებით ასახვას. მეორე ნაწილი ეკონომისტებისა (ი. კუზმინოვი, ნ. სტუდენკოვა, ვ. ვენჟერი, ე. სილინი, ვ. ტიუტინი და სხვ.) კი მოითხოვს საკუთარი წარმოების მოხმარებული საბრუნავი საშუალებების შეტანას თვითღირებულებაში წარმოების ინდივიდუალური ფაქტიური დანახარჯების მიხედვით.

თვითღირებულების ცნება, როგორც რთული ეკონომიური კატეგორიისა, წარმოადგენს მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შეერთებას ერთ მთლიანობად. თვით ამ კატეგორიის შემეცნების პროცესში ანალიზი კი არ არის მოწყვეტილი სინთეზს (ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, თვითღირებულებას), არამედ ისინი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მათი ყოველმხრივი ანალიზის შედეგად არის შესაძლებელი სინამდვილის სწორად ასახვა, თვითღირებულების ფაქტიური დონის მიზანშეწონილობის დადგენა.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ წარმოებაზე მოქმედი ყველა ფაქტორის (ობიექტურის და სუბიექტურის) ნიველირებას რეალიზაციის სფეროდან (ამ შემთხვევაში შესასყიდი) ჩასაბარებელი (ფასები) უშუალოდ წარმოების სფეროში გადავიტანთ, მაშინ ინდივიდუალური თვითღირებულება, რომელიც საფუძვლად უდევს ღირებულების და ამის მიხედვით ფასის დადგენას შრომის საშუალო საზოგადოებრივი დანახარჯების დონეზე, თავის ეკონომიურ შინაარსს მოკლებული იქნება და თავის მიზანდასახულებას ვერ მიაღწევს.

ინდივიდუალურ თვითღირებულებას ჩვენ სწორედ იმიტომ ვანგარიშობთ და იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ის სწორ წარმოდგენას გვაძლევს სას.-

სამ. წარმოებაზე მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გავლენის ხარისხზე. სახელმწიფო ფასების პოლიტიკის მეშვეობით ინდივიდუალური თვითღირებულების გათვალისწინებით აწესებს რა ამა თუ იმ პროდუქციაზე სახელმწიფო შესყიდვის ფასებს (საშუალო საზოგადოებრივი დანახარჯების დონეზე), ამით ანიველირებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე ზემოქმედ ძირითად ობიექტურ ფაქტორს, როგორიცაა ნიადაგურ-კლიმატური პირობების ზეგავლენას, რითაც სას.-სამ. წარმოებისათვის ქმნის თანაბარ პირობებს განსხვავებულ ზონებში; ამავე მიზანს ემსახურება ტექნიკით, მინერალური სასუქებით და წარმოების სხვა საშუალებებით მომარაგება და კოლმეურნეობებზე მისაყიდი ფასების დონე.

მაგრამ კოლმეურნეობების მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლები ამ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად ბევრადაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის, რომ ერთსა და იმავე ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში, ერთი და იმავე საწარმოო ტიპის კოლმეურნეობებს, რომელთაც წარმოების ერთნაირი პირობები აქვთ, მუშაობის სრულიად განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდება. ეს კი აიხსნება იმით, რომ კოლმეურნეობებში სხვადასხვა დონეზე დგას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, საერთოდ წარმოების გაძღოლის დონე. ეს კი უშუალოდ თავს იჩენს პროდუქციის თვითღირებულებაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაში საკუთარი წარმოების პროდუქციის შეტანის საკითხის სწორად გადაჭრა მოითხოვს იმას, რომ წლიურ ანგარიშგებებში მთლიანად აისახოს მიმდინარე წლის მუშაობის შედეგი, მიღებული მოგება ან ზარალი და ის არ შევიდეს მომდევნო წლის მუშაობის შედეგებში.

ისმება კითხვა — თუ კოლმეურნეობა საკუთარი წარმოების პროდუქციას, რომელიც დახარჯა საკუთარ წარმოებაში, კი არ მოიხმარდა, არამედ მის რეალიზაციას მოახდენდა, მაშინ მიღებული წმინდა შემოსავალი და ამის მიხედვით გაანგარიშებული რენტაბელობის დონე ხომ სულ სხვა იქნებოდა? აქედან გამომდინარე, მიმდინარე წელს წარმოებული საკუთარი პროდუქცია, რომელიც იმავე წელსვე მოიხმარება წარმოებაში, უნდა შევიდეს თვითღირებულებაში ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, ხოლო წლის ბოლოსათვის დარჩენილი ნაშთი კი უნდა შეფასდეს სახელმწიფო შესყიდვის ფასებით და მიღებულმა მოგებამ ან ზარალმა თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს წმინდა შემოსავალში. ამისათვის შეიძლება წლიური ანგარიშგებების ფორმებში რეალიზაციის ცხრილის ცნობარში დაემატოს ორი სტრიქონით სათანადო ცნობა „საკუთარი წარმოების საბრუნავი საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის ფასებამდე დაყვანის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი“.

წლიურ ანგარიშგებებში ასეთი მცირე ცვლილებების შეტანით თავიდან იქნებოდა აცილებული მიმდინარე წლის ზარალის ან მოგების გადატანა მომდევნო წელს, რითაც თავისთავად გვექნებოდა სწორი წარმოდგენა, როგორც მიმდინარე წლის პროდუქციის თვითღირებულების ფაქტიურ დონეზე, ასევე მომდევნო

წლის პროდუქციის წარმოების ფაქტიურ დანახარჯებზე. ამასთან ერთად, დახვეწილი იქნებოდა საკუთარი წარმოების საბრუნავი საშუალებების წლის ბოლოს არსებული ნაშთის ღირებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურების გამო, ერთი და იმავე წარმოების პროცესების შედეგად მიიღება ძირითადი და თანამდევი პროდუქცია ან რამდენიმე სახის ძირითადი პროდუქცია. მაშასადამე, საქმე გვაქვს პროდუქციის თვითღირებულების არა მარტივ, არამედ რთულ კალკულაციასთან. მაგალითად, სიმინდის კულტურის შემთხვევაში მარცვალი წარმოადგენს ძირითად პროდუქტს, ჩალა კი თანამდევს. ასევე ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოებას თან ახლავს მოუხეშო, უხეში ჩაის და საკოფეინე მასალის წარმოება. ასეთ შემთხვევაში დანახარჯების განაწილებას განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს, გარდა ამისა დანახარჯების არამართებულად განაწილებამ ძირითად და თანამდე პროდუქტზე შეიძლება გამოიწვიოს ძირითადი პროდუქციის თვითღირებულების გადიდება ან შემცირება.

ამჟამად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სარგებლობენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული კოეფიციენტებით, რომლებიც სწორად ვერ ასახავენ ძირითად და თანამდე პროდუქციას შორის ხარისხობრივ კავშირს. მაგალითად, ამ კოეფიციენტების მიხედვით სიმინდის მარცვალი თუ ერთის ტოლია, ჩალის გადასაყვანი კოეფიციენტი მარცვალზე 0,17 შეადგენს. თუ კვებითი ხარისხიანობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ჩალის მარცვალზე გადასაყვანი კოეფიციენტი გაცილებით უფრო მაღალი იქნება, კერძოდ იგი 0,28 შეადგენს (0,37 : 1,34)—მაშასადამე, მიზანშეწონილია ძირითად და თანამდე პროდუქციას შორის დანახარჯების განაწილება საკვები ერთეულების პროპორციულად ანდა წარმოებული პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასებით შეფასების პროპორციულად. ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელი მეთოდით დანახარჯების განაწილება ძირითად და თანამდე პროდუქტზე უფრო მიზანშეწონილია და იგი შეუფერხებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ყველა პროდუქციის მიმართ, რითაც თავიდან იქნება აცილებული განაწილების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება;

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის თვითღირებულების სწორად განსაზღვრისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთო-წარმოებითი და საერთო-სამეურნეო ხარჯების მიკუთვნება დარგებსა და კულტურებზე. განვითარების თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეფექტურად მუშაობის მაჩვენებლები არ შეიძლება განისაზღვროს ცოცხალი და განივთებული შრომის სწორი ურთიერთკავშირის გარეშე. წარმოების ამ ორი ფაქტორის რაციონალური შეერთების შედეგად მიიღწევა მაქსიმალური ეკონომიური შედეგი, რის მიღწევასაც ემსახურება ამა თუ იმ სას.-სამ. საწარმოს მართვის აპარატი.

მაშასადამე, საერთო-წარმოებითი და საერთო-სამეურნეო ხარჯების განაწილება უნდა მოხდეს არა შრომის პირდაპირი ანაზღაურების, ამორტიზაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების ჯამის პროპორციულად (როგორც ეს ამჟამად ხდება), არამედ მთელი პირდაპირი ხარჯების ჯამის პროპორციულად. რადგან

თუ სხვა პირდაპირ დანახარჯებზე არაფერს ვიტყვით, ზედნადები ხარჯების განაწილებისას ძირითადი საშუალებებისა და ცოცხალი შრომის დანახარჯების გვერდით გათვალისწინებული უნდა იქნეს საბრუნავი საშუალებები, ისეთი მნიშვნელოვანი დანახარჯი, როგორიცაა მინერალური სასუქები და ქიმიკატები, როგორც დღევანდელი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები.

ამრიგად, საერთო-წარმოებითი და საერთო-სამეურნეო ხარჯების განაწილება პირდაპირი ხარჯების ჯამის პროპორციულად ეკონომიური შინაარსის და პრაქტიკულად კალკულაციის გამარტივების თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია და მართებულად მიგვაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Канд. Экон. Наук Г. Б. ЧКАДУА

## К ВОПРОСУ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ МЕТОДИКИ ИСЧИСЛЕНИЯ СЕБЕСТОИМОСТИ КОЛХОЗНОЙ ПРОДУКЦИИ

### Резюме

По вопросу совершенствования методики исчисления себестоимости с/х продукции, на основе изучения суждений аграрников-экономистов, по некоторым спорным вопросам высказаны следующие соображения:

1. Дополнительную оплату труда из суммы прибыли не следует включать в себестоимость продукции. Колхозники и специалисты дополнительную оплату труда должны получать не только за выполнение плана, но и качество выполненной работы и экономию материальных и денежных средств, т. е. при условии экономии затрат большей части составных элементов себестоимости.

2. По действующему положению, в себестоимость продукции колхозного производства включаются: отчисления в союзный централизованный фонд социального обеспечения колхозников и в страховой фонд, что несомненно правильно (хотя часть аграрников-экономистов не согласна с этим), так как источником образования этих фондов является валовой доход, а не прибыль.

3. Одна часть советских аграрников-экономистов предлагает издержки прошлого года на продукцию собственного производства относить в себестимость продукции данного года, по государственным закупочным (сдаточным) ценам. Полагаем, что стоимость потребленных оборотных средств собственного производства следует включать в себестоимость продукции по индивидуальным фактическим издержкам из следующих соображений:

а) Если на производство воздействующих всех факторов (объективных и субъективных) из сферы реализации (в данном случае имеются в

виду закупочные цены), которые нивелируют их, непосредственно перенести в сферу производства, тогда индивидуальная себестоимость, которая является основой стоимости продукции и соответственно установления цены сельхозпродукции на уровне срендих общественных затрат труда, будет лишена экономического значения и не достигнет своей целеустановки.

б) Правильное решение вопроса о внесении в себестоимость с/х продукции собственного производства по фактическим издержкам требует, чтобы в годовом отчете колхозов полностью были отражены результаты работы данного года и полученные прибыль и убыток не включались в результаты работы последующего года. Поэтому собственная продукция текущего года, которая потребляется в производстве, в том же году должна включаться в себестоимость по фактическим затратам, а оставшиеся в конце года остатки должны быть оценены: по государственным закупочным ценам и полученные прибыль или убыток должны найти свое отражение в чистом доходе.

4. Распределение издержек производства между основной и побочной продукцией более целесообразно производить, оценив их в государственных закупочных ценах. Это беспрепятственно можно использовать в отношении всякого вида продукции, что устранит необходимость использования различных методов, применяемых на практике.

5. Распределение общепроизводственных и общехозяйственных издержек следует производить не пропорционально сумме прямой оплаты труда аммортизации и расходов на текущий ремонт (как это принято в настоящее время), а пропорционально сумме всех прямых расходов. Если не говорить о других прямых затратах, при распределении накладных расходов между затратами основных средств и живой силы, следует учесть оборотные средства и такие значительные затраты их, как минеральные удобрения и ядохимикаты — важнейшие факторы интенсификации сельского хозяйства. Вместе с экономической целесообразностью, этот метод упростит калькуляцию.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ი. ორაგველიძე

## საუფლისწულო მამულების ისტორიისათვის საქართველოში

საუფლისწულო მამულები რუსეთის იმპერიის ყველა გუბერნიაში იყო განლაგებული. ამ მეურნეობათა საერთო ტერიტორია მე-20 საუკუნის დასაწყისში 12 მლნ. დესეტინაზე მეტი იყო. აღნიშნულ მეურნეობათა მართვა-გამგეობისათვის მეფის სასახლეში ჩამოყალიბებული იყო საუფლისწულო უწყების დეპარტამენტი. ცალკე გუბერნიებსა და მხარეებში საუფლისწულო უწყების მამულების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ ინსპექტორები.

ა/კავკასიაში საუფლისწულო უწყების მამულები მოეწყო მე-19 საუკუნის დამლევს. ამ მამულების საერთო ტერიტორიამ 1917 წლისათვის 80000 დესეტინას მიაღწია. ამ მიწების დიდი ნაწილი ჩალის ფასად იყიდა საუფლისწულო უწყებამ, დანარჩენი კი ხაზინიდან მიიღო უფასოდ. საუფლისწულო მამულები მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებს წარმოადგენდა. კაპიტალიზმის შეჭრასთან ერთად საქართველოშიაც იქმნება საუფლისწულო მამულების ქსელი. ამ დროისათვის ფეოდალური მეურნეობანი გაჩანაგების გზაზე იყო დამდგარი. ისინი ყიდდნენ თავიანთ მამულებს. თავადების მამულებს საუფლისწულო უწყება ყიდულობდა სარფიან ფასებში.

ფეოდალების მიწები სპეკულაციის საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, ო. და ლ. მირზოევებს ბორჩალოს მაზრაში 1872 წ. უყიდიათ 2508 დეს. მიწა ორბელიანებისაგან. მათ სურდათ ამ მამულის მიყიდვა საუფლისწულო უწყებისათვის. ამ ზონაში იყო აგრეთვე გიაურარხისა და კარაკალის საუფლისწულო მამულები. მირზოევის მიწების შეფასებისათვის ადგილზე ჩასულა საუფლისფულო უწყების მოხელე, რომელმაც დაგვიტოვა აღნიშნული მამულის დაწვრილებითი დახასიათება და მისი სამეურნეო შეფასება. ამ დახასიათებაში მითითებულია, რომ აქვეა ძველი თავადების: ორბელიანების, არღუთინსკის, მელიქოვის, ბარიატინსკისა და სხვათა ვრცელი მიწები. მარტო ორბელიანებს ამ ზონაში ჰქონდათ 60—70 ათასი დეს. მიწა, მაგრამ იგი სულ დანაწილდა მემკვიდრეთა შორის და დიდი ნაწილი გაიყიდა ისე, რომ 1884 წ. დარჩა 15 ათ. დესეტინა ბარიატინსკისა —6500 დეს. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა—14 ათ. დეს., საიდანაც 10 დეს. იყო ლორის-მელიქოვის მეუღლის, არღუთინსკის მემკვიდრის საკუთრება.

1892 წ. თავადებმა ორბელიანებმა და სვიატოპოლსკ-მირსკიმ თავისი მამული მიჰყიდა საუფლისწულო უწყებას, რომლის ბაზაზე აღმოცენდა გიაურარხისა და კარაკალის საუფლისწულო მამულები. მაგრამ მთავარი ის არის, რომ „თვით მიწისმფლობელებს არავითარი სამეურნეო წამოწყება არა აქვთ თავიანთ მიწაზე და არ არიან დაკავშირებული სოფლის მშვენიერებასთან. მისი მმრათვე-

ლობა მთლიანად დავალებული აქვს მოურავებს. მიწების გაყიდვასა და გასხვისებაში ორბელიანების მაგალითს მისდევს მისი მეზობლები თავ. ქობულოვები"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგულისხმოა, რომ მამულებს ჰყიდდენ არა მარტო ბორჩალოს მაზრის თავადები, არამედ თავადების მიერ დიდძალი მამულები იყიდებოდა. დუშეთის, გორისა და თელავის მაზრებშიც. ყიდდენ მამულებს თავ. ჭავჭავაძეები, ბაგრატიონ-მუხრანსკები და სხვ. ამასთან, ამ მამულებს ყიდულობდა საუფლისწულო უწყება და აწყობდა მათ. მსხვილი მემამულეების ეს ნაბიჯი სხვებსაც აიძულებდა მიებაძათ მათთვის და გაეყიდათ მიწები. მაგ., 1886 წ. თავ. დ. ა. ჭავჭავაძემ მიჰყიდა თავისი მამული საუფლისწულო უწყებას. ეს მამული განლაგებული იყო თელავის მაზრის სოფ. ნაფარეულში, წინანდალში, ჯრიათუბანსა და მუკუზანში. ამ მამულის საერთო ფართობი 13551 დეს. აღწევდა. საუფლისწულო უწყებამ ამ მიწებისათვის ჭავჭავაძეს გადაუხადა 1050000მან. საშუალოდ ერთ დესეტინაზე კი 77,5 მან.

საუფლისწულო უწყებამ ამ ზონაში დაიწყო მევენახეობის ფართო განვითარება, მიიზიდა მუშახელის დიდი რაოდენობა, რის გამოც სხვა თავადების მამულები დაუმუშავებელი დარჩა. ამის გამო თავადებმა და მათმა მემკვიდრეებმა 1892 წ. თხოვნით მიმართეს საუფლისწულო უწყებას შეესყიდათ და შეერთებინათ მათი მამულებიც. თავიანთ თხოვნაში ისინი გარკვევით მიუთითებდნენ მიწების გაყიდვის მიზეზებს, რომ „გაიზარდა შრომის ხელფასი თითქმის სამჯერ წინანდელთან შედარებით, რადგანაც საუფლისწულო უწყებამ გააფართოვა რა ყოველწლივ ტერიტორია ვენახებისათვის, რომელნიც მთელ წელიწადს თხოულობს დამუშავებას. გაიზარდა მოთხოვნილება მუშახელზე. ამას გარდა, არა გვაქვს ყოველთვის ნაღდი ფული მუშების შრომის დროული ანაზღაურებისათვის, არ შეგვიძლია გავუძლოთ დასახელებული მამულების კონკურენციას, რომელსაც აქვს დიდი საბრუნავი კაპიტალი, რის გამო ის მუშები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ სიამოვნებით მუშაობდნენ ჩვენთან კრედიტით, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ხშირად ჩვენ ვუხდიდით შრომისათვის ნატურით, ახლა სავსებით უარს ამბობენ იმუშაონ. ამის შედეგია სამწუხარო ფაქტი, რომ ხშირად ჩვენი მამულები რჩება დაუმუშავებელი, რაც ბუნებრივია არღვევს ჩვენს კეთილდღეობას[2].

მაგრამ საუფლისწულო უწყება საქველმოქმედო ორგანიზაცია როდი იყო. იგი ყიდულობდა მიწებს სარფიანობის კვალობაზე, რისთვისაც ყველა ხერხს მიმართავდა. 1889—1895 წლებში თანდათანობით საუფლისწულო უწყება ყიდულობს მამულს თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან, რომლის საერთო ფართობია 11303, 7 დესეტინა. ამისათვის საუფლისწულო უწყებამ გაიღო 490025 მან. ან საშუალოდ დესეტინაზე 43,3 მან. 1894—1895 წლებში მიწები მიეყიდა საუფლისწულო უწყებას ქ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ 14825 მან. საშუალოდ დესეტინაზე კი 39 მან.

ჩაქვის აგარაკში საუფლისწულო უწყებამ შეიძინა 16377,7 დესეტ. მიწა.

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 351. საქ. 137, ფ. 437 — 438.

[2] იგივე წყარო, საქ. 1. ფ. 6.

რომელთა შორის 12177,6 დესეტ. ტყეებით იყო დაფარული, ნაწილი კი შეიძნეს კერძო პირებისაგან. ამისათვის საუფლისწულო უწყების მიერ გაღებულ იქნა 178133 მან. საშუალოდ დესეტინაზე 10 მან. და 87 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1892 წ. საუფლისწულო უწყების მთავარსამმართველო ა/კავკასიაში ნიშნავს თავის ინსპექტორს აგრ. ნ. კლინგენს. ამ პერიოდიდან იწყება საუფლისწულო მამულების სწრაფი განვითარება, მევენახეობისა და სუბტროპიკული მეურნეობის ორგანიზაცია. აგრ. ნ. კლინგენმა დიდი მუშაობა ჩაატარა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, კერძოდ კი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის.

როდესაც თავადების მიერ მიწები გაიყიდა, ამ მიწებზე დასახლებული გლეხები საუფლისწულო უწყების წესებს დაუმორჩილდა. ახლა გლეხობა ახალ პატრონს უხდიდა ღალას., ერთ დესეტინა ურწყავზე—4 მან., სარწყავზე კი 6 მან. ამასთან საუფლისწულო უწყებამ აუკრძალა გლეხებს ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობა ბაჟის გარეშე. ამ გარემოებამ გლეხობაში დიდი უსიამოვნება და წინააღმდეგობა გამოიწვია. დაიწყო სისტემატური და თანმიმდევრული ბრძოლა საუფლისწულო მამულების მმართველობათა და გლეხობას შორის. საუფლისწულო უწყება, შეიარაღებული დაცვის მეშვეობით, ავიწროებდა გლეხობას, ოქმებს უდგენდა ტყეების უნებართვოდ სარგებლობაზე, არ აძლევდა საძოვრებით სარგებლობის ნებას. უკეთეს შემთხვევაში დავა გლეხთა დაჯარიმებით მთავრდებოდა, მაგრამ ხშირად საქმე სასამართლო ძიებაში იყო და წლების მანძილზე გრძელდებოდა.

სასამართლო ორგანოები, რომლებიც რუსული კანონებით ხელმძღვანელობდნენ და რუსი მოხელეებისაგან შედგებოდა ანგარიშს არ უწევდა ძველ ადათ-კანონებს და უპირატესად საქმეს საუფლისწულო მამულების სასარგებლოდ წყვეტდა. გლეხობამ არც რუსული ენა იცოდა და არც მისი კანონებისა გაეგებოდა რამე, რის გამოც რუსი მოხელეებისაგან მოტყუებული რჩებოდა. მეფის მოხელეებიც კი არა მალავდნენ, რომ წინათ აღნიშნული მიწებით ადგილობრივი მცხოვრებლები სარგებლობდნენ. მაგ., ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დრიაგინის მიერ შედგენილ ოქმში ნათქვამია—„მთაგორიანი საძოვრები, რომელზედაც თავის უფლებას ავრცელებს საუფლისწულო უწყება, ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთებამდე იმყოფებოდა ქვემო აჭარის სოფ. ზუნდაგის მცხოვრებთა მუდმივ, უწყვეტ და უვადო სარგებლობაში“[3].

ხიზნებს და დროებით ვალდებულ გლეხებს ავიწროებდნენ ყველა მამულში. ქართლის მამულის გლეხებმა მეფის მოადგილეს კავკასიაში გაუგზავნა განცხადება, სადაც ნათქვამია—„მეფის მამული მუხრანში ჩვენთვის გახდა ყოველგვარი უბედურების წყაროდ. იმის გამო, რომ მეურნეობის მმართველად დაყენებულია საამისოდ შეუფერებელი პირი. ისინი ჩვენ გვავიწროებენ ყოველმხრივ. გვართმევენ ყველაფერს თავისი ჯიბის სასარგებლოდ და საეჭვოა, რომ

[3] საქ. სსრ ცსია, ფ. 356, საქ. 36, ფ. 30.

მმართველის ასეთი სისტემა მოიწონოს საუფლისწულო უწყების ცენტრალურმა მმართველობამ“[4]. შემდგომ ჩამოთვლილია ის უმსგავსოებანი, რასაც ჰქონდა ადგილი ქართლის მამულში უწყების მოხელეების მიერ. მაგრამ ამ განცხადებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. დაიწყო აგრარული მოძრაობა და 1905 წ. რევოლუციაში საუფლისწულო მამულების მუშებმა და გლეხებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. საუფლისწულო მამულების ხელმძღვანელთა თხოვნით მეფის მთავრობამ ზომები მიიღო აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ. 1905 წ. 22 მარტს 120 კაცისაგან შემდგარი დამსჯელი რაზმი გაიგზავნა ქართლის მამულში. ამ ჯარის ნაწილების შენახვა დაევალა მოსახლეობას და კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. მეფის მოხელეებიც კი არ მალავდნენ, რომ „ახლანდელ არეულ დროში, ხშირად სამართლიანი საჩივარია და განცხადება მუშებისაგან, რომელნიც თავის მოთხოვნას იკმაყოფილებენ, გაფიცვებისა და ყოველგვარი იძულების გზით“[5].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საადგილმამულო ურთიერთობა საქართველოში თავისებურ პირობებში ვითარდებოდა. რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში მოსახლეობის ჩაგვრა წარმოებდა ეკონომიური, პოლიტიკური, ეროვნული და იურიდიული ნიშნის ქვეშ. გლეხობა, რომელიც ჩაგრული იყო თავად-აზნაურების მიერ, ახლა იჩაგრებოდა მემამულეებისა და საუფლისწულო მამულების მმართველების მიერ. საიჯარო ურთიერთობა გრძელდებოდა უფრო მკაცრ პირობებში. გლეხობა იძულებული იყო მიწები მასობრივად აეღო იჯარით. გიაურარხის მამულის მმართველმა 1917 წ. 29 ნოემბერს შეადგინა სია იმ პირებისა, ვისაც დავალიანება ჰქონდა საიჯარო გადასახადისა. ამ სიაში 559 კომლი აღმოჩნდა, რომლის საიჯარო დავალიანება 66267 მან. აღწევდა.

საქართველოს საუფლისწულო მამულები განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდებიან იმპერიის შიგა გუბერნიების მამულებთან შედარებით, როგორც შინაარსით, ისე ამოცანებით. ამის შესახებ საუფლისწულო უწყების ერთ-ერთი მოხელე წერს—„კავკასიის საუფლისწულო მამულები იმყოფება განსხვავებულ პირობებში ცენტრალური რუსეთის ოკრუგების მამულებთან შედარებით... ცენტრალურ რუსეთში მამულის სამეურნეო საქმიანობა უმთავრესად სალალო სტატიითა და ტყის დამუშავებით განისაზღვრება: კავკასიის საუფლისწულო მამულებში განსხვავებული და ინტენსიური მეურნეობაა და შეუძლებელია ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულ იქნეს ყველა საჭიროებანი, რაც წარმოიქმნება მისი შედგენის დროს“[6].

აქედან ჩანს, რომ კავკასიაში, განსაკუთრებით რუსეთის შიგაოკრუგებისაგან, ინტენსიური მეურნეობაა მოწყობილი. რომ იგი არსებობს განაპირა ქვეყანაში—საქართველოში, სადაც საუფლისწულო მეურნეობათა არსებობას აქვს არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც. როგორც ცნობილია საუფლისწულო მამულებში ადგილი ჰქონდა არა მარტო სამრეწველო კაპიტალის დაბანდებას, არამედ მის დაკავშირებას სავაჭრო და სავაჭრო კაპი-

4. საქ. სსრ ცსია, ფ. 351 საქ. 2. ფ. 18.

5 საქ. სსრ ცსია, საქ. 84, ფ. 4.

6 იგივე წყარო, საქ. 58, ფ. 160.

ტალთან, რომ ქართლის მამულმა სესხიც კი მისცა მუხრანბატონის ერთ-ერთ შტოს 6 წლის ვადით თავისი მეურნეობის მოსაწყობად, მაგრამ იგი დაკავშირებულია სავაჭრო კაპიტალთანაც. ჯერ ერთი, ადგილი აქვს მიწების [illegible] ყიდვა-გაყიდვას, მეორეც, ნაფარეულის, წინანდლის, მუკუზნის ან სხვა მამულებში დაყენებული ღვინოები იგზავნებოდა სარეალიზაციოდ რუსეთის იმპერიის ყველაზე მსხვილ ქალაქებში, როგორიცაა პეტერბურგი, მოსკოვი, კიევი, ხარკოვი და სხვ. აღნიშნულ ქალაქებში საუფლისწულო უწყებას გახსნილი ჰქონდა სავაჭროები და საწყობები, რომელიც ფართო სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდა. გარდა ამისა, ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში დამზადებული მზა ჩაი სარეალიზაციოდ იგზავნებოდა არა მარტო ზემოაღნიშნულ მსხვილი ქალაქების სავაჭროებში, არამედ თითქმის ყველა საუფლისწულო მამულში. დაბალი ხარისხის ჩაის ყიდულობდა კავკასიის სამხედრო უწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღინიშნა, საუფლისწულო უწყებამ მიწების შეძენა და მამულების ორგანიზაცია დაიწყო 1886 წლიდან, როდესაც პირველად შეიძინა დ. ა. ჭავჭავაძის ვრცელი ტერიტორია თელავის მაზრაში, სადაც მოაწყო ნაფარეულის, წინანდლისა და მუკუზნის მამულები. შემდგომში შეძენილი იქნა მიწები ბორჩალოს, დუშეთისა და გორის მაზრებში. 1910 წლის პირველი იანვრისათვის საუფლისწულო უწყების მამულები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი[7].

**საუფლისწულო მამულების მაჩვენებლები ა/კავკასიაში**

| მამულის დასახელება | მაზრა | აგარაკების რიცხვი | საერთო ფართობი (დეს). | მათ შორის სას-სამეურნეო სავარგული (დეს.) |
|---|---|---|---|---|
| 1. ნაფარეულის | თელავის | 1 | 11195,43 | 2829,56 |
| 2. წინანდლის | „ | 2 | 801,99 | 184,48 |
| 3. მუკუზნის | „ | 1 | 1031,15 | 173,10 |
| 4. [illegible] | სიღნაღის | 2 | 549,66 | 159,41 |
| 5. ქართლის | გორის | 2 | 2310,15 | 3,34 |
| 6. ქართლის | დუშეთის | 13 | 8992,95 | 2928,68 |
| 7. გიაურარხის | ბორჩალოს | 1 | 16338,91 | 15222,87 |
| 8. კარაკალის | „ | 4 | 28510,32 | 27598,59 |
| 9. საუფლისწულო სარდაფი | თბილისი | 1 | 1,49 | — |
| 10. ჩაქვის | ბათუმის ოლქი | 1 | 13113,85 | 552,0 |
| 11. ვაჭევის | ქუთაისის | 1 | 42,75 | 15,777 |
| 12. ბალახანის ნავთობის სარეწი | ბაქოს | 1 | 10,0 | 2,0 |
| სულ | — | 30 | 82899,25 | 49656,14 |

როგორც ჩანს, ა/კავკასიაში საუფლისწულო უწყებას სულ 12 საწარმო ჰქონდა მოწყობილი. აქედან ერთი განლაგებული იყო ბაქოს გუბერნიაში, დანარჩენი 11 კი საქართველოში იყო მოწყობილი. მათ შორის ერთი ბათუმის ოლქში. აღნიშნული საწარმოებიდან 10 იყო სასოფლო-სამეურნეო საწარმო, ერთი —სამრეწველო, ერთიც კი სავაჭრო-საწარმოო დანიშნულების. თელავის მაზრაში განლაგებული იყო მამულების მიწების 15,7%, ბორჩალოს მაზრაში 54,1%, დუშეთის მაზრაში 10,8%, ბათუმის ოლქში—15,8%. მამულების მთელი ტერი-

[7] საქ. სსრ ცსია, საქ. 163, ფ. 5—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიის 59,9% წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, დანარჩენი კი დაკავებული ჰქონდა ტყეებს, საძოვრებსა და სხვა სახის მიწებს.

საუფლისწულო მამულები აწარმოებდა არა მარტო მიწების ყიდვას, არამედ მის იჯარით გაცემასა და გაყიდვას. მიწები იყიდებოდა ყველა მამულში. ა/კავკასიის ყველა მამულს მისწერეს „გამოუცხადეთ საუფლისწულო სოფლების ახლოს მცხოვრებთ ხომ არ სურთ შეიძინონ ახლომდებარე მიწის ნაკვეთები"[8]. და იყიდებოდა მიწები თანდათანობით, ნაჭრებად და მსხვილ მასივებად, მაგრამ უფრო მეტად ხდებოდა მისი იჯარით გაცემა. ამასთან იყიდებოდა 10-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე სულ მცირე ხნის წინათ, იგი იქნა შეძენილი. მაგალითად, ბათუმის ბოტანიკური ბაღისათვის პროფ. ა. კრასნოვის მიერ შერჩეულ იქნა ჩაქვის მამულიდან 66 დესეტ. მიწა ზღვის პირას. დესეტინა მიწის ფასი განისაზღვრა 1500 მან. ან მთელი ფართობისათვის რკინიგზის უწყებისა და ზღვისპირა ზოლის გამოკლებით 100000 მან.[9] „თუ გავიხსენებთ, რომ 12—15 წლის წინათ აღნიშნულ მიწებში საუფლისწულო უწყებამ გადაუხადა დესეტინაზე 10—12 მან. ნათელი გახდება, რომ საუფლისწულო უწყებამ მიწები გადააქცია სპეკულაციის საგნად და იგი ყიდდა მიწებს 100 — 150-ჯერ უფრო ძვირად ყიდდა ნაჭრებად ხალხის დასასახლებლად. ამასთან საუფლისწულო უწყება მიწებს ყიდდა ხელშეკრულებით, გარკვეული პირობით, რომ „ის პირები, რომლებიც შეიძენენ მიწის ნაკვეთებს (აგარაკებს) უფლება არა აქვთ ააგონ მასზე ან გახსნან მის მიერ ნაყიდი მიწის ფარგლებში რა სახისაც უნდა იყოს ფაბრიკა ან ქარხანა[9].

მაგრამ მიწები იცემოდა იჯარითაც ადგილობრივ მოსახლეობაზე. იჯარა იყო ნაჭრებადაც და მსხვილ ნაკვეთებადაც. დიდი გავრცელება ჰქონდა სუბიჯარას. მსხვილი მოიჯარე მიწების დიდ მასივებს იღებდა, შემდეგ კი თვითონ გასცემდა ამ მიწებს წვრილ-წვრილად გლეხებზე. იჯარის ასეთი ფორმა დამღუპველი იყო გლეხობისათვის, მაგრამ სარფიანი იყო საუფლისწულო მამულისათვის.

საუფლისწულო მამულების სამეურნეო საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მას არსებობის მთელ პერიოდში, გარკვეული როლი აქვს შესრულებული მხარის ეკონომიური განვითარებისათვის. ეს როლი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. საუფლისწულო უწყებამ მოაწყო საქართველოში ინტენსიური, მსხვილი, კაპიტალისტური მეურნეობების ქსელი, სადაც გაერთიანებული იყო საწარმოო სავაჭრო და სავაზშო კაპიტალი. ფართოდ იყო გამოყენებული დაქირავებული შრომა. მამულების ამოცანას შეადგენდა არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ინტერესები მხარის სრული დაპყრობისათვის.

2. საუფლისწულო უწყებამ აღნიშნულ მამულებში გააშენა ბაღები და ვენახები, ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები, დაიწყო მეურნეობათა მეცნიერულ საფუძველზე აგება. აწყობდა ღვინის წერტებს, სავაჭროებს, ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებს.

---

[8] საქ. სსრ ცსია, ფ. 362, საქ. 20, ფ. 62.

[9] იგივე წყარო, ფ. 351, საქ. 343, ფ. 34.

3. საუფლისწულო უწყება აღნიშნულ მეურნეობებში ეწეოდა არა მარტო წარმოების ორგანიზაციას, არამედ მიწების ყიდვა-გაყიდვას, იჯარით გაცემას, ხელს უწყობდა სუბიჯარას და ამით კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში აყენებდა ადგილობრივ გლეხობას.

ბიბლიოთეკა

4. საუფლისწულო უწყება სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარებას, მანქანებით მიწის დამუშავებას, ლეწვას და რიგ სხვა ღონისძიებებს.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ საუფლისწულო მამულები სახელმწიფო საკუთრებად იქნა აღიარებული და იგი ხალხის სამსახურში ჩადგა. დაიწყო მეურნეობათა სწრაფი აღდგენა-განვითარება. ამჟამად ყოფილ საუფლისწულო მამულებში, როგორიცაა ნაფარეულის, წინანდლის, ქართლის და სხვ. კარგად მოწყობილი მეურნეობებია, სადაც ყურძნის მაღალ მოსავალს იღებენ. აღნიშნულმა მეურნეობებმა დიდი მაორგანიზებელი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში, სისტემატურ დახმარებას უწევდა მას როგორც აგროტექნიკის, ისე აგრომომსახურების, ნამყენი ნერგებით უზრუნველყოფისა და რიგ სხვა საკითხებში. საბჭოთა მეურნეობებში აღიზარდნენ კვალიფიციური მევენახეები, რომლებიც ამჟამად შემოქმედებით მუშაობას ეწევიან კოლმეურნეობებში და ყურძნის უხვ მოსავალს ღებულობენ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართლის, ამჟამად კი მუხრანის სასწავლო მეურნეობის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ეს მეურნეობა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობაა და გარდა სამეურნეო ამოცანებისა სასწავლო და სამეცნიერო კვლევით მიზნებს ემსახურება. აქ ფართოდ არის გაშლილი მეცნიერული მუშაობა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების მიერ. ამ მუშაობაში მონაწილეობენ სტუდენტები და მეცნიერული მუშაობის წრეთობას ღებულობენ. ეს მეურნეობა სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ობიექტია, სადაც თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება ხდება, მზადდება მაღალკვალიფიციური კადრები საქართველოს ყველა რაიონებისათვის.

განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარების საქმეში ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. იგი ეხმარებოდა გლეხობას ჩაის სათესლე მასალითა და ნერგებით, აგრომომსახურებით ახლო რაიონებში, კადრების მომზადებით და სხვ. არც ერთი ღონისძიება არ გატარებულა სუბტროპიკული მეურნეობის ხაზით ისე, რომ მასში მონაწილეობა არ მიეღოს ჩაქვის მეურნეობას. ეს იქნება ჩაისა და ციტრუსების აგროტექნიკა, ჩაის ტექნოლოგია, კადრების მომზადება და რიგი სხვ. ჩაის ფაბრიკაში აღიზარდა ჩაის საქმის პირველი ოსტატები, აქ ჩატარდა აქტიური ცდები მწვანე აგურა ჩაის, მწვანე ბაიხაო ჩაის დასამზადებლად. ახლა ამ სახის პროდუქცია მასობრივად იწარმოება. ამჟამად ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ჩაის ფოთლის მოსავლის სანიმუშო მაჩვენებლებს იძლევა. მრავალი ჩაის მეურნეობანი, რომლებიც ჩაქვის მეურნეობის დახმარებით არის მოწყობილი უფრო მეტი ოდენობით დაამზადებს ჩაის ნედლეულს და უფრო მეტ მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ამ სახის პროდუქციით უზრუნველყოფის საქმეში.

Проф. И. Ш. ОРАГВЕЛИДЗЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## К ИСТОРИИ УДЕЛЬНЫХ ИМЕНИЙ В ГРУЗИИ

### Резюме

Удельное ведомство имело свои имения почти во всех губерниях Российской империи. Общая территория их в начале 20-го века определялась 12 млн. дес.

В Грузии организация удельных имений началась в последние годы 19 века. Впервые удельные ведомства закупили владения Д. А. Чавчавадзе в 1886 г., а после закупили владения Багратиони-Мухранского и многих других.

Грузинские князья не имели и не хотели заняться своими хозяйствами. В связи с развитием капиталистических отношений они были вынуждены почти даром продавать свои земли, а покупателями этих земель оказались, главным образом, удельные ведомства.

Посл покупки княжеских земель, крестьяне живущие на этих землях оказались еще в худших условиях. Они арендовали пахотные земли на старых условиях, но им запретили бесплатное пользование лесов для своих нужд и пастбищ. Все это вызывало негодования крестьян и они боролись против удельных имений.

Удельные имения имели не только экономические, но и политические цели, царские чиновники всячески поддерживали и помогали удельным имениям вести свои хозяйства.

Удельные имения, не только приобретали земли и организовывали на них интенсивные хозяйства, но по надобности продавали их на 100—150 раз дороже и по кускам. Кроме этого они отдавали земли в аренду, широко применялась и субаренда.

Но все же организация удельных имений в то время имела прогрессивный характер.

Удельные имения разводили и интенсивные культуры: плодовые, виноград, субтропические культуры и т. д. Начали применять новую с/х технику, организовали торговые магазины, винные погреба и производство переработки сырья.

После установления Советской власти, на базе удельных имений были созданы совхозы. Эти совхозы играли крупнейшую роль в деле организации новых совхозов, а также в организации и развитии колхозного производства. Мухранское (бывший Карталинский) опытно-учебное хозяйство имеет особо важное значение в деле подготовки специалистов высокой квалификации. Там студенты Грузинского СХИ проходят производственную практику. Там же ведут научно-исследовательские работы.

---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. ა. ნარჩომაშვილი

# საქართველოს საბჭოთა მეურნეობების განვითარების პერსპექტივები

სკკპ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბჭოთა მეურნეობებმა განვითარების დიდი გზა უნდა განვლონ, განუწყვეტლივ გაადიდონ პროდუქციის წარმოება და გააუმჯობესონ მისი ხარისხი, მიაღწიონ შრომისნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპებს, განუხრელად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და გაადიდონ წარმოების რენტაბელობა. კიდევ უფრო გაფართოვდება და გაუმჯობესდება საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობები მიუახლოვდება ქალაქის პირობებს. საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა აიგება სულ უფრო დემოკრატიულ საწყისებზე, გადიდდება და გაფართოვდება მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივების საერთო კრებებისა და საწარმოო თათბირების როლი სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრაში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარების პროცესში გაძლიერდება მათი საწარმოო კავშირი ერთმანეთს შორის და ადგილობრივ სამრეწველო საწარმოებთან. გაფართოვდება სხვადასხვა წარმოების ერთობლივი ორგანიზაციის პრაქტიკა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოების განვითარებისა და მათში საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის გზით სოფლის მეურნეობა ავა უფრო მაღალ საფეხურზე, რაც შექმნის წარმოებისა და განაწილების კომუნისტურ ფორმებზე გადასვლის შესაძლებლობას.

პარტიამ განსაზღვრა ამ ამოცანათა გადაწყვეტის გზები,—მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური აღჭურვა, მექანიზაცია, ქიმიზაცია და მელიორაცია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და ცენტრალიზაცია. შრომის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოებაში. სულ უფრო ვრცელდება საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოოო გაერთიანებანი, იქმნება აგროსამრეწველო კომბინატები და კომპლექსები, სადაც უფრო ეფექტურად იყენებენ ტექნიკას, კაპიტალურ დაბანდებებს და შრომით რესურსებს.

გაერთიანებებისა და კომბინატების შექმნის კურსი, რა თქმა უნდა, მომავალში უფრო გაფართოვდება და ისინი გახდებიან საზოგადოებრივი წარმოების სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე ძირითადი რგოლები, მაგრამ ამ დიდი

მნიშვნელობის ღონისძიების განხორციელებისას თავიდან უნდა [illegible] ქარება და შეცდომები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, როგორც უშუალო ს[illegible] როლის გაზრდა. ჩვენი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამო[illegible] ცარია არა ცალკეულ დარგებში წარმატების მიღწევა, როგორი ბრწყინვალეც არ უნდა იყოს ის, არამედ მთელი წარმოების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე. სოფლის მეურნეობაში არ უნდა შემოვიფარგლოთ მარტო აგროტექნიკური, ზოოტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ცალკეული ღონისძიებით. აქ მთავარია ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია ბუნებრივ-ეკონომიური პირობები, დაგეგმვა, სპეციალიზაცია, მატერიალური დაინტერესება, მომარაგება ტექნიკით, სასუქებით, შხამქიმიკატებით; კაპიტალური მშენებლობა, მიწების გაუმჯობესება, დამზადების სისტემა, ფასების წარმოქმნა, კადრების მომზადება, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფა და სხვა ისეთი მყარი ეკონომიური პირობების შექმნა, რომლებიც სტიმულს მისცემენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას. „სოფლის მეურნეობის პრობლემები ისეთია — აღნიშნავდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე,—რომ ერთ-ორ წელიწადში და ხუთწლედშიც კი მათ მთელი მოცულობით ვერ გადაჭრი; ამას დასჭირდება უფრო მნიშვნელოვანი ვადა, უდიდესი ასიგნებანი, არა მარტო სოფლის მეურნეობის მშრომელების, არამედ აგრეთვე ჩვენი მრეწველობის დიდი მეცადინეობა“[1].

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების ზრდა, სასოფლო-სამეურნეო შრომის თანდათანობით გადაქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად, სოფლის კულტურის აღმავლობა და სოფლის ყოფაცხოვრების გარდაქმნა ცვლის გლეხის სოციალურ სახესა და ფსიქოლოგიას; იგი სულ უფრო ემსგავსება მუშას. ჩვენს საზოგადოებაში მომხდარ დიდმნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებს განეკუთვნება მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის განუწყვეტელი დაახლოება; ეს პროცესი სულ უფრო შესამჩნევი ხდება და საბჭოთა მეურნეობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.

პარტიის პროგრამით დასახული ეკონომიური და სოციალური ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, საჭიროა ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობა, მივაღწიოთ შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გავაუმჯობესოთ ეკონომიკის სტრუქტურა, გავადიდოთ ძირითადი ფონდების ყოველ ერთეულზე პროდუქციის წარმოება, გავადიდოთ დაბანდებული სახსრების უკუგება, შევამციროთ მატერიალური და შრომითი დანახარჯები, ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი.

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის გეგმიან ხელმძღვანელობას. სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო აღნიშნულია, რომ

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, 1971., გვ. 61.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია კვლავაც ხორციელდებოდეს სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის, დაგეგმვის გაუმჯობესების კურსი, უნდა ვამაღლებდეთ გეგმების მეცნიერულ დასაბუთებასა და შეთანხმებულობას, [illegible] რად ვუხამებდეთ ერთმანეთს დარგობრივ და ტერიტორიულ [illegible] რუნველვყოფდეთ დიდ სახალხო-სამეურნეო პრობლემათა კომპლექსურ დაგეგმვასა და გადაწყვეტას. უნდა გავზარდოთ კადრების პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის“[2].

სოციალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ცენტრალური რგოლი, მისი ბირთვი დაგეგმვაა. სოციალისტური დაგეგმვის ორგანიზაციის საფუძვლები განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა. იგი მიუთითებდა, რომ არ შეიძლება იმუშაო თუ არა გაქვს გეგმა ხანგრძლივი პერიოდისა და სერიოზული მიღწევებისათვის.

ხელმძღვანელობს რა ლენინური მითითებებით და განაზოგადებს რა სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის გამოცდილებას, კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ სრულყოფს გეგმური მუშაობის პრაქტიკას, სახალხო-სამეურნეო გეგმების შედგენისა და მათი შესრულების პრინციპებსა და მეთოდებს. ამის უშუალო დადასტურებას წარმოადგენს სკკპ ოცდამეოთხე ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებული კანონი მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

დაგეგმვის პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია გეგმების შედგენა. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ მუშაობის სირთულე და პასუხისმგებლობა, რადგან შედგენილი გეგმის ხარისხზე, გეგმურ დავალებათა დასაბუთებაზე ბევრადაა დამოკიდებული ეკონომიური განვითარების წარმატებანი.

სოფლის მეურნეობაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გამოიყენება ორი სახის გეგმა—მიმდინარე და პერსპექტიული. დაგეგმვაში წამყვან როლს ასრულებს პერსპექტიული გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია რამდენიმე წლისათვის და ახდენს მშრომელთა ძალ-ღონის მობილიზაციას კომუნისტური მშენებლობის ძირეული ამოცანების გადაჭრისათვის.

საბჭოთა მეურნეობების განვითარების პერსპექტიულ გეგმებში განსაზღვრულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე დარგებისა და კულტურების პროპორციები, განვითარების ტემპები, მოსავლიანობა და პროდუქტიულობა, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, დარგების მიმართულება და სპეციალიზაცია, ტექნიკური აღჭურვილობანი, პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოებისა და ჩაბარების გაზრდის ამოცანები და მრავალი სხვა.

პერსპექტიული გეგმების შედგენის მნიშვნელოვანი ელემენტია ეკონომიკის განვითარების მეცნიერული პროგნოზირება, პარტიისა და მთავრობის დირექტივები. პერსპექტიული გეგმები ხორციელდება იმ მიმდინარე (წლიური)

2 სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუცია, გვ. 19.

გეგმების შედგენისა და შესრულების გზით, რომლებიც შეადგენენ პერსპექტი-ული გეგმით დასახული ამოცანების გადაჭრის განსაზღვრულ ეტაპებს.

სოფლის მეურნეობაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის [illegible] გეგმის შედგენის დროს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს [illegible] დონის ამაღლება. გეგმას საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უფრო ზუსტი შესწავლა, ჩვენი ეკონომიური შესაძლებლობების მეცნიერული პროგნოზი, გადაწყვეტილებათა სხვადასხვა ვარიანტის, მათი უშუალო და ხანგრძლივი შედეგების ყოველმხრივი ანალიზი და შეფასება. ამ პასუხსაგები და რთული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს ეკონომიური დაგეგმვის ჰორიზონტი.

„სულ უფრო ხშირად ვაწყდებით იმას,—აღნიშნავდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ოცდამეოთხე ყრილობაზე,—რომ უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ამოცანათა განხორციელებას ხუთი წელი კი არა, არამედ გაცილებით მეტი დრო სჭირდება. ამასთან დაკავშირებით ისმება სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გრძელვადიანი დაგეგმვის საკითხი. ასეთ დაგეგმვას საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზები. ასეთი მიდგომით, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიანი გეგმებისა და ხუთწლიანი და წლიური გეგმების მუდმივ დაკავშირებას, უფრო ეფექტიანად შეიძლება გადაიჭრას ჩვენი განვითარების ძირეული პრობლემები“[3].

აქედან გამომდინარე, სულ უფრო ღირმნიშვნელოვანი ხდება კომპლექსური მიდგომა სოფლის მეურნეობის დაგეგმვისადმი. სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების ხასიათი ისეთია, რომ მათი გადაწყვეტა, როგორც წესი, მოითხოვს ბევრი დარგისა და ეკონომიური რაიონების შეთანხმებულ მეცადინეობას, სხვადასხვა ღონისძიებათა მთელი სისტემის განხორციელებას. საგეგმო მუშაობაში უფრო სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებანი, წარმოების ტერიტორიალური განლაგება და სხვ.

სოფლის მეურნეობის პერსპექტიული გეგმების შედგენისათვის საჭიროა ისეთი პროგნოზების გათვალისწინება, როგორიცაა:

1. საზოგადოების მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და მრეწველობისა—ნედლეულზე, 2. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამუშაო ძალის გამოყენება, 4. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სოფლის მეურნეობაში, 5. წარმოების მოცულობა და მისი განვითარების ტემპი, 6. სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივი სისტემის განვითარება და 7. ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს საერთოდ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ზემოთ აღნიშნული საკითხების სწორი გადაწყვეტისათვის საჭიროა შევისწავლოთ და აღვრიცხოთ მიწის, წყლისა და კლიმატის რესურსები, გავითვალის-

[3] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, 1971, გვ. 85—86.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინოთ მოსალოდნელი ცვლილებები რესურსების გამოყენებაში, დარგებს შორის რაოდენობრივი და კორელაციური კავშირი-ურთიერთობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების ეკონომიური ეფექტურობა და სხვა. ამ საკითხის შესწავლა თავის მხრივ მოითხოვს:

ა) არსებული მდგომარეობის ანალიზს;

ბ) დარგების განვითარებისა და

გ) დარგების განლაგების პროგნოზს.

დღეისათვის პროგნოზირების 150-ზე მეტი ხერხი და მეთოდი არსებობს, მაგრამ ისინი ძირითადად 3 ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა) ექსტრაპოლაციის, ბ) საექსპერტო შეფასებისა და გ) მოდელირების მეთოდი. ამიტომ საჭიროა პერსპექტიული გეგმების შედგენის დროს ფართოდ იქნეს გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების შეწონასწორება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების პროგრესული ნორმატივების საფუძველზე.

ახლა ამ მეთოდების გამოყენების შესაძლებლობანი არსებობს. მეცნიერებამ საგრძნობლად გაამდიდრა დაგეგმვის თეორიული არსენალი ეკონომიურ-მათემატიკური მოდელირების, სისტემატური ანალიზისა და სხვა მეთოდების შემუშავებით. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ყოველმხრივ შევისწავლოთ საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, სოციალური პრობლემები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობანი, მყიდველის მოთხოვნა, სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის ეკონომიური ბერკეტები და უზრუნველვყოთ ეკონომიური ნორმატივების სტაბილურობა, გეგმების სიმყარე და მეურნეობების დაინტერესება ოპტიმალური საგეგმო დავალებებით.

როგორც ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნავდა „პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებენ, რომ წამყვანი და განმსაზღვრელია სადირექტივო დაგეგმვა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა შეიძლება გამოვიყენოთ და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის განმტკიცებისა და სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე საწარმოთა და გაერთიანებათა ინიციატივის განვითარების ინტერესებისათვის“. ამოცანა იმაშია, რომ გაიზარდოს კადრების პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის, საგეგმო დისციპლინის განმტკიცებისათვის სახალხო-სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გრძელვადიანი პროგნოზების მონაცემების მიხედვით 1980 წლისათვის რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციების ფართობი მიაღწევს 80,0 ათას ჰა-ს, ანუ 1965 წლის დონესთან შედარებით 127,8%-ს, ციტრუსები—17,0 ათას ჰა-ს (165%), ვენახი—158,0 ათას ჰა-ს (148,6), ხეხილის ბაღები 170,0 ათას ჰა-ს (131,4%), ქეთილშობილი დაფნა—6,6 ათას ჰა-ს (129,4%) და ტუნგო 8,6 ათას ჰა-ს, ანუ 141,0%-ს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამ საერთო ... გამომდინარე, დიდი ამოცანები ისახება საბჭოთა მეურნეობების წინაშე.

საბჭოთა მეურნეობები, როგორც თანმიმდევრული ტიპის სოციალისტური მეურნეობები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად განვითარების კიდევ უფრო მეტ ტემპებს უჩვენებენ, როგორც მეცხრე ხუთწლედში, ასევე შემდგომ პერიოდშიაც. ამიტომ საბჭოთა მეურნეობების განვითარების პერსპექტივების შემუშავების დროს გამოვიდოდით რა საერთოდ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებიდან, ნორმატიულ მონაცემებზე დაყრდნობით შევეცადეთ მოგვეცა მეცხრე ხუთწლედი დეტალურად და განვითარების შემდგომი პერიოდის პროგნოზი კი ძირითად დარგებში გამსხვილებული მაჩვენებლების მიხედვით ორ პერიოდად;

ქვემოთ მოტანილი ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა პერსპექტივები ისახება რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების წინაშე მარცვლეულის წარმოების დარგში.

ცხრილი 1

მარცვლეული კულტურები

| დასახელება | ზომის ერთეული | 1970 წ. | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. | 1975 წ. % 1970 წ. შედარებით | I პერიოდი | % 1975 წ. შედარებით | II პერიოდი | პირველ პერიოდთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფართობი | ათ. ჰა | 78,6 | 91,6 | 74,9 | 72,4 | 71,7 | 70,6 | 89,8 | 94,0 | 133,1 | 9[illegible],0 | 102,1 |
| საშ. მოსავლიანობა ჰა-ზე | ცენტ. | 13,4 | 14,3 | 17,2 | 18,0 | 18,7 | 20,0 | 11[illegible],3 | 32,0 | 160,0 | 45,5 | 140,6 |
| მოსავალი | ათ. ტონა | 105,3 | 131,0 | 128,8 | 130,0 | 134,1 | 141,2 | 134,1 | 30,0 | 223,8 | 432,0 | 144,04 |

როგორც ვხედავთ, 1975 წლისათვის მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების გადიდება 1970 წელთან შედარებით გათვალისწინებული არაა; პირველ პერიოდში აღნიშნული კულტურების ფართობი გაიზრდება 33,1%-ით, ძირითადად ახალი მიწების ათვისების ხარჯზე, ხოლო მეორე პერიოდში 2,1%-ით. მნიშვნელოვნად იზრდება მოსავლიანობა. 1970 წელთან შედარებით 1975 წლისათვის გაიზრდება 6,6 ც-ით, ანუ 12,0 ც-ით, ანუ 60,0%-ით და მეორე პერიოდში პირველთან შედარებით 13,0 ც-ით, ანუ 40,6%-ით.

მოსავლიანობის ზრდის შედეგად იზრდება მარცვლეულის საერთო მოსავალი და 1975 წლისათვის 1970 წელთან შედარებით გაიზრდება 34,1%-ით, მეორე პერიოდში 1975 წელთან შედარებით 123,8%-ით, ხოლო მეორე პერიოდში პირველთან შედარებით 44,0%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ 1975 წელს 1970 წელთან შედარებით მიღებული იქნება 35,9 ათასი ტ-ით მეტი მარცვლეული, ხოლო

პირველ პერიოდში 1975 წელთან შედარებით 159,6 ათასი ტ-ით მეტი, ხოლო მე-ორე პერიოდში 1312 ათასი ტ-ით მეტი, ვიდრე პირველ პერიოდში. ეს კი [illegible] შეუწყობს ხელს მეცხოველეობის განვითარებასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსპექტივაში თამბაქოს კულტურის ფართობების გადიდება გათვა-ლისწინებული არაა, მაგრამ აგროტექნიკის გაუმჯობესების კვალობაზე გაიზრ-დება საშუალო მოსავლიანობა და საერთო მოსავალი.

1975 წელს 1970 წელთან შედარებით მოსავლიანობა გაიზრდება 37,0%-ით, საერთო მოსავალი—27,8%-ით და მიღებული იქნება 0,8 ათასი ტ-ით მეტი თამბაქო. პირველ პერიოდში 1975 წელთან შედარებით მოსავლიანობა გაიზრ-დება 2,7%-ით, საერთო მოსავალი 2,5%-ით და მიღებული იქნება 0,1 ათასი ტონით მეტი თამბაქო,, მეორე პერიოდში პირველთან შედარებით მოსავლიანო-ბის მატება შეადგენს 5,2%-ს, საერთო მოსავლის 5,0%-ს და წარმოებული იქნე-ბა 0,2 ათასი ტ-ით მეტი თამბაქო.

შესაბამის პერიოდში შაქრის ჭარხლის კულტურის ფართობების ზრდა გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობე-სების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება მისი მოსავლიანობა და საერთო წარმოება.

1975 წელს შაქრის ჭარხლის საშუალო საჰექტარო მოსავალი 1970 წელთან შედარებით გაიზრდება 56 ც-ით, ანუ 29,3%-ით. პირველ პერიოდში შედარე-ბით 1975 წელთან, მოსავლიანობა გაიზრდება 20%-ით, ანუ 5,2%-ით, საერთო მოსავალი 50 ათასი ტ-ით, ანუ 14,0%-ით, ხოლო მეორე პერიოდში შედარებით პირველ პერიოდთან, მოსავალი გაიზრდება 50 ც-ით, ანუ 12,5%-ით და საერთო მოსავალი 65 ათასი ტ-ით, ანუ 12,5 პროცენტით.

პერსპექტივაში გათვალისწინებულია კარტოფილის კულტურის ფართობე-ბისა და მოსავლიანობის გადიდება. 1975 წელს, შედარებით 1970 წელთან, კარ-ტოფილის ნათესი ფართობები საბჭოთა მეურნეობებში გაიზრდება 1,9 ათასი ჰა-თი, ანუ 28,8%-ით, საშუალო მოსავალი 62 ც-ით, ანუ 52,5%-ით და საერთო მოსავალი 75,2 ათასი ტ-ით, ანუ 96,7%-ით. პირველ პერიოდში შედარებით 1975 წელთან, ფართობები გაიზრდება 0,5 ათასი ჰა-ით, ანუ 5,8%-ით, საშუა-ლო მოსავალი 10,0 ც-ით, ანუ 5,5%-ით და საერთო მოსავალი 18,0 ათასი ტ-ით, ანუ 11,7%-ით, მეორე პერიოდში შედარებით პირველ პერიოდთან ფართობები გაიზრდება 1,0 ათასი ჰა-ით, ანუ 11,1%-ით, საშუალო მოსავალი 10,0 ც-ით, ანუ 5,3%-ით და საერთო მოსავალი 29,0 ათასი ტ-ით, ანუ 16,9%-ით.

პერსპექტივაში დიდად ფართოვდება ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობები, გაიზრდება მათი მოსავლიანობა, ბოსტნეულის საერთო წარმოება, პროგნოზები მოცემულია მე-2-ე ცხრილში.

აქ მოტანილი მასალები მიუთითებს იმაზე, რომ 1975 წელს, შედარებით 1970 წელთან, საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეული კულტურები დაითესება—დაირგვება 2,6 ათასი ჰა-ით მეტ ფართობებზე, ანუ 31,1%-ით მეტი, საშუალო მოსავლიანობა გაიზრდება 52,9 ც-ით, ანუ 55,1%-ით და საერთო მოსავალი 82,1 ათასი ტ-ით, ანუ 104,3%-ით. პირველ პერიოდში შედარებით 1975 წელთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დასახელება | 1970წ. ფაქტიური | წლები | | | | | 1975წ. % 1970წ. შედარებით | [illegible] | [illegible] შედარებით | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. | | | | | |
| ფართობი (ათ. ჰა) | 8,2 | 7,8 | 8,5 | 8,6 | 9,6 | 10,8 | 131,1 | 10,9 | 100,9 | 16,2 | 148,6 |
| მოსავალი (1-ჰა ც.) | 96.0 | 113,2 | 118,5 | 125,7 | 141,6 | 148,9 | 155,1 | 155,0 | 104,09 | 220,0 | 141,5 |
| საერთო მოსავალი (ათ. ტ.) | 78,7 | 88,3 | 101,9 | 108,1 | 135,9 | 160,8 | 204,3 | 168,9 | 105,03 | 356,4 | 211,01 |

საერთო ფართობი გაიზრდება 0,1 ათასი ჰა-თი, ანუ 0,9%-ით, საშუალო მოსავალი 6,1 ც-ით, ანუ 4,1%-ით და საერთო მოსავალი 8,1 ათასი ტ-ით, ანუ 5,03%-ით. მეორე პერიოდში ფართობები გაიზრდება 6,2 ათასი ჰა-თი, ანუ 48,6%-ით, საშუალო მოსავალი 65 ც-ით, ანუ 41,9%-ით და საერთო მოსავალი 188,0 ათასი ტ-ით, ანუ 111,0%-ით

ბაღჩეული კულტურების წარმოების დარგში პერსპექტივაში გათვალისწინებულია ფართობების უმნიშვნელო ზრდა, მაგრამ დიდად იზრდება საშუალო მოსავლიანობა და საერთო წარმოება.

1975 წელს, შედარებით 1970 წელთან, საშუალო მოსავლიანობა გაიზრდება 60.0 ც-ით, ანუ 54.5%-ით, ხოლო საერთო მოსავალი 1,4 ათასი ტ-ით, ანუ 30,8-ით. პირველ პერიოდში შედარებით 1975 წელთან ფართობები გაიზრდება 0.03 ათასი ჰა-ით, ანუ 5,0%-ით, საშუალო მოსავალი 48,0 ც-ით, ანუ 28,2%-ით და საერთო მოსავალი 3,7 ათასი ტ-ით, ანუ 36,3%-ით. მეორე პერიოდში შედარებით პირველთან ფართობები გაიზრდება 0,57 ათასი ჰა-ით, ანუ 90,4%-ით, საშუალო მოსავალი 32,0 ც-ით, ანუ 14,6%-ით, ხოლო საერთო მოსავალი 6,1 ათასი ტ-ით.

დიდი ღონისძიებები გატარდება მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით. მოეწყობა სათიბებისა და საძოვრების გაწმენდა, მორწყვა, გაკორდება, აეროზირებული მიწების აღდგენა, საკვები პარკოსნებისა და ბალახების თესვა, გაწყლიანება, სასუქების შეტანა, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა. დიდად გაფართოვდება საკვები კულტურების თესვა და გაიზრდება მოსავლიანობა.

1975 წელს 1970 წელთან შედარებით მეცხოველეობისათვის საკვები კულტურების ნათესი ფართობები გაიზრდება 5,9 ათასი ჰა-ით, ანუ 8.0%-ით, საშუალო მოსავალი 60.0 ც-ით, ანუ 50,0%-ით და მთელი მოსავალი 546,0 ათასი ტ-ით, ანუ 62,1%-ით.

პირველ პერიოდში შედარებით 1975 წელთან, ფართობები გაიზრდება 1,3 ათასი ჰა-ით, ანუ 1,6%-ით, საშუალო მოსავალი 70 ც-ით, ანუ 38,9%-ით და საერთო მოსავალი 586,9 ათასი ტ-ით, ანუ 41,2%-ით, ხოლო მეორე პერიოდში

მართალია, ნავარაუდევია ნათესი ფართობების უმნიშვნელო ზრდა, იგი არ აღემატება 0,4 ათას ჰა-ს, მაგრამ აგროტექნიკის გაუმჯობესებით, მორწყვით და სასუქების გამოყენებით. პირველ პერიოდთან შედარებით საშუალო მოსავლიანობა გაიზრდება 50,0 ც-ით, ანუ 20,0%-ით, და საერთო მოსავალი [illegible] ტ-ით, ანუ 20,6%-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი პროგრამა ისახება ჩაის ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდების დარგში, რაზედაც მიუთითებს ქვემოთ მოტანილი მე-3-ე ცხრილი.

ჩაის პლანტაციები — ცხრილი 3

| დასახელება | 1970წ. ფაქტიური | გეგმა 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. | 1975წ. % 1970წ. შედარ. | I პერიოდი გეგმა | % — 1975წ. | II პერიოდი გეგმა | % პირველ პერიოდთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფართობი (ათასი ჰა) | 19,1 | 20,2 | 20,9 | 21,6 | 22,4 | 23,7 | 124,1 | 24,2 | 102,1 | 40,0 | 165,3 |
| მ. მოსავლიანი ფ. ათ. ჰა | 13,8 | 14,6 | 15,3 | 16,2 | 16,9 | 18,1 | 131,1 | 20,0 | 110,4 | 30,0 | 150,0 |
| მოსავალი 1 ჰა (ც) | 38,3 | 34,9 | 34,1 | 35,0 | 35,4 | 35,9 | 93,7 | 37,0 | 103,0 | 55,0 | 148,6 |
| სულ მოსავალი | 50,8 | 43,9 | 51,2 | 56,7 | 59,8 | 65,0 | 127,9 | 70,4 | 108,3 | 165,0 | 235,7 |

პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია 1975 წელს 1970 წელთან შედარებით ჩაის ფართობების გაზრდა 4,6 ათასი ჰა-ით, ანუ 24,1%-ით, მათ შორის სრულმოსავლიანი პლანტაციები 4,3 ათასი ჰა-ით, ანუ 31,1%-ით, მთელი მოსავალი კი 14,2 ათასი ტ-ით. პირველ პერიოდში 1975 წელთან შედარებით ჩაის პლანტაციების ფართობები გაიზრდება 0,5 ათასი ჰა-ით, ანუ 10,4%-ით, საშუალო მოსავალი 1,1 ც-ით, ანუ 3,0%-ით და მთელი მოსავალი 5,4 ათასი ტ-ით, ანუ 8,3%-ით. მეორე პერიოდში ჩაის პლანტაციების ფართობი მიაღწევს 40,0 ათას ჰა-ს, ნაცვლად 24,2 ათასი ჰა-ისა, ანუ გაიზრდება 65,3%-ით, მათ შორის მოსავლიანი ფართობები გაიზრდება 10,0 ათასი ჰა-ით, ანუ 50,0%-ით, საშუალო მოსავლიანობა 18,0 ც-ით, ანუ 48,6%-ით, ხოლო მთელი მოსავალი 94,6 ათასი ტ-ით, ანუ 135,7%-ით, ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ხარისხობრივი მაჩვენებლები.

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზრდება ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციები, მოსავლიანობა და საერთო მოსავალი (ცხრილი 4).

როგორც ვხედავთ, 1975 წლისათვის ციტრუსოვანი კულტურების ფართობები 1970 წელთან შედარებით გაიზრდება 0,4 ათასი ჰა-ით, ანუ 5,1%-ით, მათ შორის ნაყოფისმომცემი 1,3 ათასი ჰა-ით, ანუ 68,4%-ით და მთლიანი მოსავალი 3,9 ათასი ტ-ით, ანუ 16,2%-ით. პირველ პერიოდში საერთო ფართობი გადიდდება 0,8 ათასი ჰა-ით, ანუ 9,7%-ით, მათ შორის სრულმოსავლიანი პლანტაციები 0,8 ათასი ჰა-ით, ანუ 25,0%-ით, საშუალო მოსავალი 5,9 ც-ით, ანუ 15,3%-ით, ხოლო მთელი მოსავალი 9,2 ათასი ტ. მეორე პერიოდში ციტრუსოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციტრუსოვანი კულტურები

| დასახელება | 1970 წ. ფაქტიურად | გეგმა | | | | | 1975 წ. ფაქტ. 1970 წ. შედარ. | I პერიოდი | | II პერიოდი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1970 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. | | გეგმა | % — 1975 წ. | გეგმა | % I პერიოდთან |
| ფართობი (ათასი ჰა) | 7,8 | 5,8 | 5,8 | 6,4 | 7,3 | 8,2 | 105,1 | 9,0 | 109,7 | 12,0 | 133,3 |
| მ. შ. მოსავლიანი (ათასი ჰა) | 1,9 | 2,0 | 2,3 | 2,5 | 2,8 | 3,2 | 168,4 | 4,0 | 125,0 | 9,0 | 225,0 |
| მოსავალი 1 ჰა (ც) | 110,1 | 55,2 | 56,8 | 60,3 | 63,6 | 69,1 | 59,1 | 75,0 | 115,3 | 80,0 | 106,6 |
| სულ მოსავალი | 17,9 | 11,0 | 13,1 | 15,1 | 17,8 | 20,8 | 116,2 | 30,0 | 142,8 | 72,0 | 240,0 |

კულტურების ფართობები პირველ პერიოდთან შედარებით გაიზრდება 3,0 ათასი ჰა-ით, ანუ 33,3%-ით, მათ შორის მსხმოიარე პლანტაციები 5,0 ათასი ჰა-ით, ანუ 125,0%-ით, საშუალო მოსავალი 5,0 ც-ით, ანუ 6,6%-ით და საერთო მოსავალი 42,0 ათასი ტ-ით, ანუ 140,0%-ით.

მებაღეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ამიტომ პერსპექტივაში დიდი ადგილი ეთმობა ამ დარგის შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას, რაც მოცემულია ქვემოთ მოტანილ მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

ხეხილის ბაღები

| დასახელება | 1970 წ. ფაქტიურად | გეგმა | | | | | 1975 წ. % 1970 წ. შედარ. | I პერიოდი | | II პერიოდი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. | | გეგმა | % — 1975 წ. | გეგმა | % I პერიოდთან |
| ფართობი (ათასი ჰა) | 28,5 | 31,3 | 32,9 | 34,5 | 36,3 | 38,2 | 134,0 | 40,0 | 104,7 | 55,0 | 137,5 |
| მ. შ. მოსავლიანი (ათასი ჰა) | 6,3 | 6,8 | 7,3 | 8,3 | 9,3 | 11,4 | 181,0 | 30,0 | 263,1 | 48,0 | 160,0 |
| მოსავალი 1 ჰა (ც.) | 50,0 | 42,0 | 43,7 | 48,6 | 54,6 | 57,0 | 112,4 | 70,0 | 122,8 | 82,0 | 117,1 |
| სულ მოსავალი (ათასი ტ). | 31,9 | 28,6 | 31,9 | 40,3 | 50,7 | 66,0 | 203,8 | 210,0 | 323,0 | 393,6 | 187,4 |

როგორც ვხედავთ, 1975 წლისათვის საბჭოთა მეურნეობებში ხეხილის ბაღების ფართობები გაიზრდება 1970 წლის დონესთან შედარებით 9,7 ათასი ჰა-ით, ანუ 34,0%-ით. მათ შორის მსხმოიარე ბაღები 5,1 ათასი ჰა-ით, ანუ 81,0%-ით, საშუალო მოსავალი 6,3 ც-ით, ანუ 12,4%-ით, და მთელი მოსავალი 33,1 ათასი ტ-ით, ანუ 110,0%-ით. პირველ პერიოდში შედარებით 1975 წელთან ფართობები გაიზრდება 1,8 ათასი ჰა-ით, ანუ 4,7%-ით; მათ შორის, ნაყოფისმომცემი 18,6 ათასი ჰა-ით, ანუ 163,1%-ით, საშუალო მოსავალი 13,0 ც-ით, ანუ 22,8%-ით; ხოლო საერთო მოსავალი 145,0 ათასი ტ-ით, ანუ 223,0%-ით.

მეორე პერიოდში შედარებით პირველთან ხეხილის ბაღების ფართობები გაიზრდება 15,0 ათასი ჰა-ით, ანუ 37,5%-ით, მათ შორის ნაყოფის მომცემი 18,0 ათასი ჰა-ით, ანუ 60,0%-ით, საშუალო მოსავალი 12,0 ც-ით, [illegible]-ით და საერთო მოსავალი 183,6 ათასი ტ-ით, ანუ 87,4 პროცენტ[illegible]

მევენახეობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში უხსოვარი დროიდან საპატიო ადგილი ეჭირა და ამ დარგს დიდი პერსპექტივები ესახება მომავალშიაც. თუ როგორია ეს ამოცანები, ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილ ცხრილში, სადაც გათვალისწინებულია ფართობების გადიდებასთან ერთად მოსავლიანობისა და ყურძნის საერთო წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა (ცხრილი 6).

ცხრილი 6

ვენახის პლანტაციები

| დასახელება | 1970 წ. ფაქტიური | გ ე გ მ ა | | | | | 1975 წ. % 1970 წ. | I პერიოდი | | II პერიოდი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1971წ. | 1972წ. | 1973წ. | 1974წ. | 1975წ. | | გეგმა | % 1975წ. | გეგმა | % I პერიოდთან |
| ფართობი (ათასი ჰა) | 30,1 | 31,0 | 31,9 | 32,8 | 33,9 | 35,1 | 116,6 | 43,0 | 122,5 | 60,0 | 139,5 |
| მ. შ. მოსავლიანი (ათასი ჰა) | 21,1 | 22,5 | 23,6 | 25,2 | 25,8 | 27,0 | 128,0 | 35,4 | 131,1 | 52,0 | 148,5 |
| მოსავალი 1ჰა (ც) | 47,3 | 44,0 | 46,5 | 48,3 | 52,1 | 56,2 | 118,8 | 74,0 | 131,6 | 87,0 | 117,6 |
| სულ მოსავალი (ათასი ტ) | 90,8 | 99,0 | 109,7 | 121,7 | 134,4 | 151,7 | 167,1 | 261,9 | 172,6 | 452,4 | 172,7 |

აქ მოტანილი მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ 1975 წლისათვის შედარებით 1970 წელთან რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში ვენახის ფართობები გაიზრდება 5,0 ათასი ჰა-ით, ანუ 16,6%-ით, მათ შორის სრულმოსავლიანი პლანტაციები 5,9 ათასი ჰა-ით, ანუ 28,0%-ით, საშუალო მოსავალი 8,9 ც-ით, ანუ 18,0%-ით და საერთო მოსავალი 60,9 ათასი ტ-ით, ანუ 67,1%-ით. პირველ პერიოდში შედარებით 1975 წელთან გათვალისწინებულია ფართობების გადიდება 7,9 ათასი ჰა-ით, 22,5%-ით, მათ შორის ნაყოფის მომცემი პლანტაციების 8,4 ათასი ჰა-ით, ანუ 31,1%-ით, მოსავლიანობა ერთ ჰა-ზე გაიზრდება 17,8 ც-ით, ანუ 31,6%-ით, ხოლო საერთო მოსავალი 170,2 ათასი ტ-ით, ანუ 161,9%-ით. მეორე პერიოდში შედარებით პირველთან ვენახების ფართობები გაიზრდება 17,0 ათასი ჰა-ით, მათ შორის ნაყოფის მომცემი 16,0 ათასი ჰა-ით, ანუ 48,5%-ით და საერთო მოსავალი 190,5 ათასი ტ-ით, ანუ 72,7%-ით.

დიდი ამოცანები ისახება საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის. პერსპექტიულ გეგმაში ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდასთან ერთად გათვალისწინებულია ჯიშობრივი გაუმჯობესება, პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლება და საკვები ბაზის განმტკიცება (ცხრილი 7).

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მეურნეობებში 1975 წელს 1970 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზრდება 17,0 ათასით, ანუ 8,5%-ით, ღორების 7,1 ათასით, ანუ 8,0%-ით, ცხვრისა და თხის 9,6 ათასით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დასახელება | ზომის ერთეული | 1970წ. ფაქტ. | გეგმა | | | | | 1975წ. %-ით 1970წ. შედარ. | I პერიოდი | | [illegible] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1971წ. | 1972წ. | 1973წ. | 1974წ. | 1975წ. | | გეგმა | % — 1975წ. | გეგმა | % — პირვ. |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | ათ. სული | 199,0 | 201,2 | 205,5 | 208,0 | 211,5 | 216,0 | 108,0 | 230,0 | 106,5 | 230,0 | 100,0 |
| მ. შ. ძროხა | " | 68,5 | 60,9 | 62,1 | 64,2 | 65,3 | 65,5 | 95,6 | 105,8 | 161,5 | 110,0 | 103,0 |
| ღორი | " | 88,9 | 89,6 | 90,1 | 91,4 | 93,0 | 96,0 | 108,0 | 100,0 | 104,1 | 120,0 | 120,0 |
| ცხვარი და თხა | " | 384,4 | 388,0 | 389,0 | 390,0 | 392,0 | 394,0 | 102,5 | 400,0 | 101,5 | 400,0 | 100,1 |
| ცხენი | " | 5,3 | 5,0 | 5,0 | 4,9 | 4,8 | 4,8 | 90,6 | 5,0 | 101,2 | 5,0 | 100,0 |
| ფრინველი | ათ. ფრთა | 1003,8 | 1405,0 | 1725,0 | 1910,0 | 2488,0 | 2576,0 | 255,3 | 3000,0 | 116,4 | 3500,0 | 116,6 |
| ფუტკარი | ათასი ოჯახი | 53,0 | 54,0 | 54,0 | 55,0 | 56,0 | 57,0 | 107,5 | 60,0 | 105,3 | 80,0 | 133,3 |

ანუ 2,5%-ით, ფრინველის 1567,1 ათასი ფრთით, ანუ 155,3%-ით, ხოლო ფუტკარი 4,0 ათასი ოჯახით, ანუ 7,5%-ით. პირველ პერიოდში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზრდება 14 ათასი სულით, ანუ 6,5%-ით, ღორის 40,3 ათასით, ანუ 61,5%-ით, ცხვრისა და თხის 6,0 ათასით, ანუ 1,5%-ით, ფრინველის 512,0 ათასით, ანუ 16,4%-ით და ფუტკარი 3,0 ათასი ოჯახით, ანუ 5,3%-ით; ხოლო მეორე პერიოდში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობაში გაიზრდება ძროხების სულადობა პირველ პერიოდთან შედარებით 4,2 ათასი სულით, ანუ 3,9%-ით, ღორების 20,0 ათასი სულით, ანუ 20,0%-ით, ფრინველის 500,0 ათასი ფრთით, ანუ 16,6%-ით და ფუტკარი 20,0 ათასი ოჯახით, ანუ 33,3%-ით.

მნიშვნელოვნად გაიზრდება წველადობა, კვერცხდება, მატყლის გამოსავალი, პირუტყვის საშუალო სულადობა მატება, ნამრავლის მიღება და გამოზრდა, სუქება და იალაღობა, გაუმჯობესდება კვების და იალაღობის, მოვლისა და შენახვის წესები და პირობები. მეტი ყურადღება მიექცევა საკვების წარმოების გადიდებას.

პერსპექტიული გეგმის შესრულების შედეგად რესპუბლიკის სახელმწიფო მეურნეობები სახელმწიფოს ჩააბარებენ ბევრად უფრო მეტ მარცვლეულს, სიიას, კარტოფილს, ბოსტნეულს, ბაღჩეულს, ხილს, ყურძენს, ჩაის ხარისხოვან ფოთოლს, ეთერზეთოვან კულტურებს, თამბაქოს, ტუნგოს, პირუტყვსა და ფრინველს, რძეს, კვერცხს, ბეწვსა და ტყავეულს, ვიდრე 1970 წელს.

აღსანიშნავია, რომ მეცხრე ხუთწლედის ბოლოს სახელმწიფო მეურნეობების წილად იქნება რესპუბლიკაში დამზადებული მთელი მარცვლეულის

28,9%, სოიას—8,6%, კარტოფილის—60,4%, ბოსტნეულის—55,8%, ბაღჩეულის — 63,0%, შაქრის ჭარხლის—38,1%, ხილის—20,1%; მანდარინის—3[illegible],0%, ფორთოხლის—43,6%, ლიმონის — 74,1%, ყურძნის — 27,9%, [illegible]ნი ჩაის ფოთლის—25,7%, ეთერზეთოვანი კულტურების—68,5%, თამბაქოს — 21,5%, პირუტყვისა და ფრინველის — 43,8%, რძისა — 45,4% და კვერცხის — 91,5%. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად გაიზრდება შემდგომ პერიოდში.

მეცხრე ხუთწლედში გათვალისწინებულია მიწების გამოყენების, გაღრმავებული სპეციალიზაციის, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, ქიმიზაციისა და მელიორაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმოების სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

გატარებული ღონისძიებების შედეგად მთლიანი პროდუქცია შესადარი ფასებით 1975 წელს შეადგენს 315,2 მლნ. მანეთს, ნაცვლად 1970 წელს მიღებული 190,6 მლნ. მანეთისა. ასე, მაგალითად: 1971 წლისათვის საერთო პროდუქციის ღირებულება შეადგენს სულ 199,6 მლნ. მანეთს, მათ შორის მემცენარეობის — 143,8 მლნ. და მეცხოველეობის 55,8 მლნ. მანეთს, ხოლო 1975 წელს 315,2 მლნ. მანეთს, აქედან მემცენარეობის 216,1 მლნ.-ს და მეცხოველეობის 99,0 მლნ. მანეთს, ე. ი. 1970 წელთან შედარებით 1975 წელს საერთო პროდუქცია გაიზრდება 65,9%-ით, მემცენარეობის 53,2%-ით და მეცხოველეობის 100,0%-ით. საერთო პროდუქციაში მემცენარეობის ხვედრი წილი 75,4% იქნება. ეს მაჩვენებლები პირველ პერიოდში ერთნახევარჯერ გადიდდება, ხოლო შემდგომ პერიოდში ორჯერ მეტად.

როგორც სკკპ 24-ე ყრილობის დირექტივებშია აღნიშნული, მეცხრე ხუთწლედში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისნაყოფიერება უნდა გავადიდოთ 37—40 %-ით, რისთვისაც მეურნეობები აღიჭურვება გადიდებული სიმძლავრის ტრაქტორებით, მაღალი წარმადობის კომბაინებით, პირფართო და მრავალმწკრივიანი მანქანებით, აგრეთვე კომბინირებული მანქანებით, რომლებიც აგრეგატის ერთ გავლაზე რამდენიმე ტექნიკურ ოპერაციას ასრულებენ; გადიდდება სოფლის მეურნეობისათვის მაღალი წარმადობის მიწისმთხრელი და სამელიორაციო ტექნიკის, გაზრდილი გამავლობისა და ტვირთამწეობის ავტომობილების, ავტოთვითმცლელების, ავტომობილებისა და ტრაქტორების მისაბმელების, სპეციალიზებული ავტოტრანსპორტის და ავტობუსების მიწოდება.

შეიქმნება იარაღები ჩაის, ვენახის, ხილის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ჭარხლის და სხვა კულტურების მექანიზებული წარმოებისათვის. მოეწყობა მექანიზებული საცავები ხილის, ბოსტნეულის, ყურძნის, კარტოფილის შენახვისათვის; აგრეთვე, ბოსტნეულის თესვა-მოყვანის სამრეწველო სასათბურე კომბინატები.

შეიქმნება და ფართოდ დაინერგება ახალი ტიპის მანქანები და მოწყობილობა, რაც საჭიროა მეცხოველეობასა და საკვების წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად, მათ შორის მანქანები, მოწყობილობა და ტექნოლოგიური ხაზები სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების კომპლექსებისათვის.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმოების კულტურა, ფართოდ დაინერგება ქიმიზაცია და მელიორაცია, მცენარისა და ცხოველის ახალი სელექციური ჯიშების გამოყვანა, მნიშვნელოვნად ამაღლდება მოსავლიანობა და პროდუქტიულობა.

გრძელვადიანი პროგნოზები საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ აღნიშნული და სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში შრომისნაყოფიერება ყოველწლიურად საშუალოდ გაიზრდება 20—25%-ით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 10—15%-ით.

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავაძლიეროთ გრძელვადიანი გეგმების როლი, ყოველმხრივ შევისწავლოთ საზოგადოებრივი მოთხოვნა და მყიდველის მოთხოვნა, მოვახდინოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შეწონასწორება, მატერიალური შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენება პროგრესული ნორმატივების საფუძველზე. მივაღწიოთ გეგმების მეტ სიმყარესა და ეკონომიური ნორმატივების სტაბილურობას, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ტექნიკურ-ეკონომიური ნორმატივების სისტემა და უზრუნველვყოთ საწარმოთა და გაერთიანებათა დაინტერესება ოპტიმალური საგეგმო დავალებებით.

სრულვყოთ წარმოების რაციონალური ორგანიზაცია და მართვა. უფრო სრულად შევუხამოთ ერთმანეთს ინდივიდუალური და კოლექტიური დაინტერესება, ცალკეული მუშაკის, საწარმოსა და მთელი საზოგადოების ინტერესები, ყოველნაირად წავახალისოთ ნაყოფიერი შრომა. მარჯვედ გამოვიყენოთ ეკონომიური და მორალური სტიმულები. გავადიდოთ სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის ეკონომიური ბერკეტების ქმედითობა ფასწარმოქმნის სისტემის შემდგომი გაუმჯობესებით. უზრუნველვყოთ პიროვნების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება.

Доц. А. НАРЧОМАШВИЛИ

## ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ СОВХОЗОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

### Резюме

1. В процессе последующего развития совхозов и колхозов усилится их производственная связь друг с другом и с местными промышленными предприятиями, расширится практика совместной организации разных отраслей производства. В ходе развития совхозного и колхозного производства и совершенствования общественных отношений сельское хозяйство поднимется на более высокую ступень, которая послужит основой перехода к коммунистической форме производства и распределения.

Исходя из стоящих перед сельским хозяйством республики задач, в работе даются научные прогнозы развития экономики, пропорции отраслей и культур, продуктивность скота, объем капитальных вложений,

направление отраслей и специализация, техническая оснащенность, задачи по производству и сдаче основных видов продукции и т. д.

2. Наряду с расширением площадей под однолетними и многолетними культурами и увеличением поголовья скота, представляемый планом развития сельского хозяйства предусматривает значительное повышение урожайности и продуктивности. Среднегодовое производство в сельском хозяйстве возрастет на 27%. В основном будут развиваться такие традиционные отрасли, как чаеводство, виноградарство, плодоводство. Вместе с тем производство зерна увеличится (в %) на 32,2, табака — на 12,5, эфиромасличного сырья — на 80,7, мяса — на 32,6, молока — на 46,4 и яиц — на 1,8 раза.

3. К концу девятой пятилетки средний погектарный урожай зерновых культур в совхозах увеличится по сравнению с 1970 годом (в %) на 31,8 а валовой на 35,4, табака соответственно — на 34,0 и 25,8, овощных культур — на 55,1 и 39,6. За этот же период площади плодовых садов расширятся на 73,2%, средний урожай фруктов увеличится на 12,4%, а валовой — на 90,6, площади виноградников расширятся на 27,4%, урожай винограда повысится соответственно на 18,8 и 50,5%. чайные плантации возрастут на 27,2%, а валовой урожай зеленого чайного листа — на 18,8%.

4. Весьма важные задачи ставятся перед животноводством. Наряду с увеличением поголовья и продуктивности большое внимание уделяется улучшению породного состава животных и создание прочной кормовой базы. Будут построены птицефабрики в Кода, Гори, Гагра, Гоми, Гамарджвеба и других местах. Поголовье крупного рогатого скота увеличится (в %) на 8,5, свиней — на 8,0, овец — на 2,5, птицы — на 155,3, количество пчелосемейств — на 7,5.

5. В 1975 году совхозы сдадут государству (в %) картофеля — на 16,9, овощей — на 27,5, бахчевых — на 142,3, фруктов — на 81,4, винограда — на 18,2, зеленого чайного листа — на 7,5, эфиромасличного сырья — на 130,8, табака — на 24,8, мясо, скота и птицы — на 53,4, молока — на 6,4 яиц — на 154,6 больше чем в 1970 году.

6. Следует отметить, что к концу девятой пятилетки из всего заготовленного в республике зерна на долю совхозов будет приходиться 28,0%, картофеля — 60,4, овощей — 55,8, бахчевых — 63,0, сахарной свеклы — 38,1, фруктов — 20,1, винограда — 27,9, сортового чайного листа — 25,7, мандаринов — 32,0, апельсинов — 43,6, лимонов — 74,1, эфиромасличного сырья — 68,5, табака — 21,5, мясо, скота и птицы — 43,8, молока — 45,4, яиц — 91,5 и шерсти — 194%.

7. В 1975 году предусматривается увеличить производство валовой продукции сельского хозяйства по сравнению с 1970 годом на 65,9%, в т. ч. растениеводческой — на 53,2% и животноводческой — почти на

100%. За этот же период будет произведено валовой продукции на 315,2 млн. руб. по сопоставимым ценам (тогда, как в 1970 году было получено на 120,6 млн. руб.), в том числе растениеводческой — на 216,1 и животноводческой — на 99,1 млн. руб.

8. Исходя из указаний XXIV съезда КПСС о разработке долгосрочных перспективных и пятилетних планов развития народного хозяйства СССР, составлен проект долгосрочного плана совхозов Министерства совхозов Грузинской ССР.

9. При разработке вышеуказанных планов взяты за основу интенсификация и дальнейшее повышение эффективности общественного производства, ускорение роста производительности труда, повышение рентабельности производства. В результате, в хозяйствах Министерства совхозов Грузинской ССР темпы роста сельскохозяйственного производства за период 1961—1975 гг. значительно увеличатся. Валовая продукция сельского хозяйства (в сопоставимых ценах 1965 г.) вместо 52,2 млн. руб. в 1960 году достигнет в 1975 году 332,9 млн. рублей, т. е увеличится в 5,4 раза. При этом урожайность зерновых культур увеличится с 13,8 ц в 1960 г. до 20,5 ц в 1975 г., урожайность картофеля соответственно от 84,4 до 127,2 ц, овощных культур — от 82,0 до 151,8 ц, плодов — от 14,0 до 60,4 ц, винограда — от 16,0 до 57,0 ц, чайного листа — от 32,5 до 36,9 ц.

10. По долгосрочному плану валовая продукция сельского хозяйства увеличится (в сопоставимых ценах 1965 г.) в первый период на 21,7%, во второй — на 26,4%, и в третий — на 85,0%.

ასისტ. ბ. ჯებაშვილი

# საქართველოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მიწათსარგებლობა და მათი სტრუქტურა

მიწა სოფლის მეურნეობის წარმოებაში წარმოადგენს ძირითად საწარმოო საშუალებას. მის გონივრულ გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სისტემატური ზრდა. ამიტომაა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდი ყურადღებით იხილავენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანად გამოყენებისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საკითხს.

მიწა ადამიანთა საზოგადოების არსებობის ძირითადი პირობაა. კ. მარქსი აღნიშნავდა, მრეწველობისაგან განსხვავებით, სადაც მიწა არის სივრცობრივი საოპერაციო ბაზისი, სადგომი ადგილი და საქმიანობის სფერო, მიწათმოქმედებაში ის წარმოადგენს აქტიურად მოქმედ წარმოების საშუალებას. მიწა ემსახურება სახალხო მეურნეობის ყველა დარგს.

ცნობილია, რომ კაცობრიობა კლასობრივი საზოგადოების განვითარების ყველა პერიოდში უდიდეს ყურადღებას აქცევდა მიწის გონივრულად გამოყენების საქმეს, რადგან მის გარეშე შეუძლებელი იყო ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკმაო რაოდენობით წარმოება.

მიწა, ადამიანის მეურნეობრივი მოღვაწეობის ადრეული პერიოდიდანვე, კერძო საკუთრების წარმოშობიდანვე, ჯერ მითვისების, ხოლო შემდეგ ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცა. გაბატონებული კლასი მას მშრომელი ხალხის ექსპლუატაციის ერთ-ერთ საშუალებად იყენებდა.

მიწაზე საერთო-სახალხო საკუთრება დაკანონებულ იქნა სსრ კავშირის კონსტიტუციით.

მარქსი აღნიშნავდა: „დედამიწა მის საზრდოთა თავდაპირველი საკუჭნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიც. თვით დედამიწა შრომის საშუალებაა, მაგრამ მისი როგორც შრომის საშუალების გამოყენება მიწათმოქმედებაში, თავის მხრივ გულისხმობს შრომის მთელ რიგ სხვა საშუალებათა არსებობას და სამუშაო ძალის შედარებით მაღალ განვითარებას".[1] მაგრამ მიწის მნიშვნელობა და როლი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ერთნაირი არ არის. თუ მრეწველობაში ის წარმოადგენს საოპერაციო ბაზისს, სად-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1. 1954, გვ. 122.

გომ ადგილს, სამაგიეროდ, სოფლის მეურნეობაში მიწა მთავარი აქტიური მო-ქმედი წარმოების საშუალებაა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ „მიწა უეჭველად წარმოების მთავარი საშუალებაა სოფლის მეურნეობაში“[2] უმნიშვნელოვანესი წარმოების საშუალებად იგი ხდება მხოლოდ შრომის შედეგად.

მიწასთან მატერიალურად დაკავშირებულია ჰაერის, წყლის და სითბოს გამოყენება და პროდუქტის შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ მიწასთან იგულისხ-მება წყალიც, რადგან მას არანაკლები მნიშვნელობა აქვს. მარქსი ამბობდა, რომ დედამიწას ეკონომიური თვალსაზრისით მიეკუთვნება წყალიც, რადგან მას მესაკუთრე ჰყავს და მიწის კუთვნილებას შეადგენს. მიწა მცენარისათვის წარმოადგენს არამარტო სადგომ ადგილს, არამედ კვების ძირითად წყაროსაც.

ადამიანს თავის წარმოებაში შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც ბუნება. მაშასადამე, იგი მხოლოდ ნივთიერებათა ფორმებს ცვლის. უფრო მეტიც, თვით ამ ფორმათა გარდამქმნელ შრომაში ადამიანს მუდამ ბუნების ძალები ეხმარება. ე. ი. შრომა არის ერთადერთი წყარო ადამიანის მიერ წარმოებული სახმარი ღი-რებულებისა, ნივთიერი სიმდიდრისა. ვილიამ პეტის თქმით, „შრომა სიმდიდრის მამაა, ხოლო მიწა მისი დედა“[3].

მიწა, წარმოადგენს რა უმნიშვნელოვანეს და ამასთან სხვებისაგან განსხვა-ვებულ საწარმოო საშუალებას სოფლის მეურნეობაში, იგი ხასიათდება გარკვე-ული თავისებურებებით, რაც გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის ეკონომი-კისა და ორგანიზაციის მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაზე. მისი პირვე-ლი თავისებურებაა ის, რომ იგი სოფლის მეურნეობაში მრავალმხრივ გამოიყე-ნება. წარმოების სხვა საშუალებისაგან განსხვავებით, მიწას ახასიათებს განსა-ზღვრულობა და შეუცვლელობა. მაგალითად, თუ მეცნიერების და ტექნიკის განვითარების შედეგად სხვა საწარმოო საშუალებები იზრდება რაოდენობრი-ვად, უმჯობესდება ხარისხობრივად და იცვლება ახლით, უფრო სრულყოფი-ლით, მიწის ზედაპირის გადიდება ან მისი შეცვლა წარმოების სხვა საშუალე-ბებით შეუძლებელია. თუ სხვა საწარმოო საშუალებებს (ტრაქტორი, კომბაი-ნი, ავტომანქანა და სხვა) ახასიათებთ მუშაობის გადანაცვლების თვისება, მიწა მას მოკლებულია. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ის არის გადაადგილებული.

მიწის, როგორც ძირითადი საწარმოო საშუალების მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ წარმოების პროცესში მისი სწორად გამოყენების პი-რობებში, მიწა არა თუ ცვდება, არამედ პირიქით, უმჯობესდება, განახლდება. მიწის ეს ორიგინალური და თვალსაჩინო თვისება განასხვავებს მას სახალხო მეურნეობაში გამოყენებული ყველა სხვა საწარმოო საშუალებისაგან.

პარტია მეურნეობების წინაშე სახავს მიწის გამოყენების მკვეთრად გაუმ-ჯობესების, მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანას, რაც ნიშნავს მიწისაგან

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, 1952, გვ. 538.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 59.

მისი შესაძლებლობის მაქსიმუმის მიღებას ნაყოფიერების ამაღლებასთან ერთად.

სოფლის მეურნეობაში მიწის, როგორც მთავარი საწარმოო [illegible] რაციონალური გამოყენება და ამ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო [illegible] ციის წარმოების მოცულობის განუხრელი ამაღლება, გაპირობებულია მრავალი ფაქტორით. ამასთან, გადამწყვეტი როლი ეკუთვნით სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებს, რომელთა შორის განმსაზღვრელი მნიშვნელობა საზოგადოებაში წარმოების გაბატონებულ წესსაც აქვს.

ჩვენს ქვეყანაში მრავალმილიონიანი წვრილი გლეხური მეურნეობების მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებად გარდაქმნამ, სოფლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამარჯვებამ მიწის რაციონალურად გამოყენების პირობები შექმნა.

მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში და გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში, მიწის ფართობების მოსარგებლეთა შორის განაწილების შესახებ ცნობები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

**მიწათსარგებლობის სტრუქტურა***

ცხრილი 1

| მეურნეობების დასახელება | წლები | სასოფლო-სამეურნეო სავარგული % | მათ შორის: სახნავი % | მათ შორის: სათიბი და საძოვარი % | მათ შორის: მუშა-მოსამსახურეთა სარგებლობაში მყოფი საკარმიდამო ნაკვეთი % |
|---|---|---|---|---|---|
| მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი | 1969 | 100 | 33,5 | 61,6 | 4,9 |
| | 1970 | 100 | 34,6 | 60,0 | 5,4 |
| | 1971 | 100 | 33,1 | 61,8 | 5,1 |
| | 1972 | 100 | 34,9 | 59,9 | 5,2 |
| გარდაბანი | 1969 | 100 | 63,0 | 24,3 | 12,7 |
| | 1970 | 100 | 62,4 | 26.1 | 11,5 |
| | 1971 | 100 | 61.3 | 27,2 | 11,5 |
| | 1972 | 100 | 58,0 | 30,7 | 11,3 |
| კრწანისი | 1969 | 100 | 76,1 | 7,6 | 16,3 |
| | 1970 | 100 | 72,0 | 10,4 | 17,6 |
| | 1971 | 100 | 72,5 | 11,0 | 16,5 |
| | 1972 | 100 | 73,3 | 10,9 | 15,8 |
| მარტყოფი | 1969 | 100 | 53,3 | 42,8 | 3,9 |
| | 1970 | 100 | 53,8 | 42.3 | 3,9 |
| | 1971 | 100 | 55,1 | 41,1 | 3,8 |
| | 1972 | 100 | 54,7 | 41.5 | 3.8 |
| რუისპირი | 1969 | 100 | 76.9 | 16,3 | 6,8 |
| | 1970 | 100 | 76,7 | 16,5 | 6,8 |
| | 1971 | 100 | 76,7 | 16,5 | 6.8 |
| | 1972 | 100 | 76,7 | 16,5 | 6,8 |

* შედგენილია წლიური ანგარიშების საფუძველზე.

ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში, ისევე გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მთელ ფართობში დიდმნი[illegible] ტერიტორია უკავია სახნავს, სათიბსა და საძოვრებს, მუშა-მოს[illegible] გებლობაში მყოფ საკარმიდამო ნაკვეთებს.

1969—1972 წლებში მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში სახნავი მიწის ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მერყეობს 33,1%-დან —34,9%-მდე. გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში კი 58,0%—63,0%-მდე. კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში — 76,1%—73,3%-მდე. მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში — 53,3%—54,7%-მდე. რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში — 76,9%—76,7%-მდე. სახნავის ასეთი განსხვავებები გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირებით.

1969—1972 წლებში მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში სათიბ-საძოვრების ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მცირდება 61,6%-59,9%-მდე. გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში კი ასეთი სურათი გვაქვს: გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში—24,3%-დან—30,7%-მდე იზრდება; კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში—7,6%—10,9%-მდე; მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში კი მცირდება 42,8%-41,5%-მდე; ასევე მცირდება რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაშიც.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მეურნეობებში დასამუშავებელ მიწებს დიდი ფართობი უკავია.

მიწათსარგებლობის საკითხის განხილვის დროს საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა რაოდენობის მიწა, სახნავი და მრავალწლიანი ნარგაობაა გამოყენებაში და დამუშავებაში.

მე-2 ცხრილში მოცემულია მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებლები ერთ საშუალო სიობრივ მუშაზე. ცხრილიდან ჩანს, რომ ერთ მუშაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების მიწების მეტი ფართობებია მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში 1969 წელს—10,0 ჰა, 1970 წელს — 7,4 ჰა, 1971 წელს — 8,1 ჰა, 1972 წელს — 8,0 ჰა.

გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ერთ მუშაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყველაზე მეტი ფართობი მოდის მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაზე, სადაც 1969 წელს შეადგენდა 14,1 ჰა, 1970 წელს—13,1 ჰა, 1971 წელს—12,4 ჰა, 1972 წელს—12,6 ჰა.

მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში ნათესი ფართობი ერთ მუშაზე შესაბამის წლებში შეადგენდა 2,5 ჰა—2,3 ჰა—2,5 ჰა—2,6 ჰა. გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებიდან ყველაზე მეტი ნათესი ფართობი ერთ მუშაზე მოდის მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში 1969 წელს — 7,8 ჰა, 1970 წელს — 5,0 ჰა, 1971 წელს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებლები***

| მეურნეობების დასახელება | წლები | მუშათა საშუალო სიობრივი რიცხვი | 1 მუშაზე მოდის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მიწის ფონდები | სასოფლო სამეურნეო სავარგულები ჰა | ნათესი ფართობები ჰა |
| მებოსტნეობა მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი | 1969 | 28661 | 10,4 | 10,0 | 2,5 |
| | 1970 | 28921 | 9,5 | 7,4 | 2,3 |
| | 1971 | 28972 | 10,3 | 8,1 | 2,5 |
| | 1972 | 28856 | 10,0 | 8,0 | 2,6 |
| გარდაბანი | 1969 | 419 | 4,9 | 4,0 | 2,4 |
| | 1970 | 423 | 5,5 | 4,4 | 2,5 |
| | 1971 | 417 | 4,7 | 4,5 | 2,6 |
| | 1972 | 372 | 5,8 | 5,1 | 2,8 |
| კრწანისი | 1969 | 281 | 5,5 | 4,1 | 3,0 |
| | 1970 | 351 | 3,9 | 3,0 | 1,4 |
| | 1971 | 286 | 4,8 | 4,0 | 2,9 |
| | 1972 | 299 | 4,4 | 3,8 | 2,4 |
| მარტყოფი | 1969 | 447 | 19,9 | 14,1 | 7,8 |
| | 1970 | 486 | 18,4 | 13,1 | 5,0 |
| | 1971 | 520 | 17,1 | 12,4 | 6,2 |
| | 1972 | 512 | 17,4 | 12,6 | 6,7 |
| რუსთავი | 1969 | 929 | 5,7 | 4,8 | 3,0 |
| | 1970 | 905 | 5,8 | 4,9 | 3,8 |
| | 1971 | 964 | 5,5 | 4,6 | 3,3 |
| | 1972 | 978 | 5,4 | 4,6 | 8,7 |

* შედგენილია წლიური ანგარიშების საფუძველზე

6,2 ჰა, 1972 წელს—6,7 ჰა. დანარჩენ მეურნეობებში კი მერყეობს 1,4 ჰა—3,8 ჰა-მდე.

ამგვარად, 1969—1972 წლებში საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ნათესი ფართობები ერთ საშუალო-სიობრივ მუშაზე მეტ-ნაკლები ოდენობით არის წარმოდგენილი.

თუ გადავხედავთ ნათესი ფართობების სტრუქტურას, მე-3 ცხრილში დავინახავთ, რომ ნათესებში დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი მარცვლეული და პარკოსანი კულტურები.

მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში 1969 წელს ის შეადგენდა 31,2%, 1970 წელს—31,9%, 1972 წელს—29,7%, 1972 წელს—25,7%. გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში კი მერყეობს 16,3%—43,5%-მდე. შემდეგ მოდის საკვები კულტურები, რომლებიც შესაბამისად შეადგენს (42,5—38,7—54,4—57,1%%), ხოლო გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში კი მერყეობს — 26,6%—70,6%-მდე.

საკვები კულტურების შემდეგ მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი ბოსტნეული კულტურები, მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების

ტრესტში შესაბამის წლებში შეადგენდა (8,3—9,9—9,2—11,2%%), გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში — (30,5—30,2—30,3—31,8%%), კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში — (29,9—45,8—26,7—27,7%%), მარტყოფის საბჭოთა მეურნეობაში — (4,9—7,8—6,1—0,9%% რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობაში—(19,4—20,4—22,8—20,7%%). დანარჩენ კულტურებს ნათეს ფართობებში მცირე ხვედრითი წილი უჭირავთ.

ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობების სიდიდე სხვა კულტურებთან შედარებით გაპირობებულია ერთი მხრივ იმით, რომ ისინი ახლოს მდებარეობენ სამრეწველო ცენტრებთან თბილისთან და რუსთავთან, ხოლო მეორე მხრივ, საწარმოო ზონა სპეციალიზებულია ბოსტნეულზე. ამიტომ, ბუნებრივია მეურნეობების მთელი ყურადღება გადატანილია ამ კულტურაზე.

მრავალწლიანი ნარგავების მთელ ფართობებში დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი ვენახი, კურკოვანი, თესლოვანი და კაკლოვანი კულტურები.

ცხრილი 3

ნათესი ფართობების სტრუქტურა*

| მეურნეობების დასახელება | წლები | ნათესი ფართობი % | მათ შორის: მარცვლეული და პარკოსანი % | ბოსტნეული % | ბაღჩეული % | კარტოფილი % | ტექნიკური კულტურები % | საკვები კულტურები % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი | 1969 | 100 | 31,2 | 8,3 | 11,7 | 2,7 | 3,6 | 42,5 |
| | 1970 | 100 | 31,9 | 9,9 | 13,4 | 2,7 | 3.4 | 38,7 |
| | 1971 | 100 | 29,7 | 9,2 | 1,0 | 2,7 | 3,0 | 54.4 |
| | 1972 | 100 | 25,7 | 11,2 | 0,6 | 2,8 | 2,6 | 57,1 |
| გარდაბანი | 1969 | 100 | 19,1 | 30.5 | 4.2 | — | — | 46.2 |
| | 1970 | 100 | 16,8 | 30.2 | 4,9 | — | — | 48,1 |
| | 1971 | 100 | 18,0 | 30,3 | 2,7 | — | 1,6 | 45,4 |
| | 1972 | 100 | 18,3 | 31,8 | 2,9 | — | — | 47,0 |
| კრწანისი | 1969 | 100 | 23,2 | 29,9 | — | — | 5,9 | 41,0 |
| | 1970 | 100 | 27,5 | 45,8 | — | — | — | 26,6 |
| | 1971 | 100 | 34,8 | 26.7 | — | — | 0,7 | 37,8 |
| | 1972 | 100 | 40,5 | 27,7 | — | — | — | 31,8 |
| მარტყოფი | 1969 | 100 | 23,9 | 4,9 | 0,3 | 0,3 | — | 70,6 |
| | 1970 | 100 | 27,8 | 7,8 | 0.4 | 0,4 | — | 63.6 |
| | 1971 | 100 | 43,5 | 6,1 | 0,5 | — | — | 49,9 |
| | 1972 | 100 | 26,5 | 6,9 | 0,5 | 0,4 | — | 65,7 |
| რუისბოლო | 1969 | 100 | 25,3 | 19,4 | 1,9 | 0.3 | 0,9 | 52,2 |
| | 1970 | 100 | 27,6 | 20.4 | 1,6 | 0.2 | — | 50,2 |
| | 1971 | 100 | 22,6 | 22.8 | 1.7 | 0,3 | — | 52,6 |
| | 1972 | 100 | 16.3 | 20,7 | 1,5 | — | — | 61.5 |

* შედგენილია წლიური ანგარიშების საფუძველზე.

მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში ვენახის ფართობები 1969 წელს შეადგენდა 63,9%; 1970 წელს—63,7%; 1971 წელს — 60,1%; 1972 წელს—59,3%. როგორც ვხედავთ, ვენახის ფართობები მცირდება.

გარდაბნისა და მარტყოფის საბჭოთა მეურნეობებში ვენახის ფართობები შე-ცირდა 50,5—28,8%-მდე, (49,1—35,0%-მდე); კრწანისისა და რუისპი[illegible] ბჭოთა მეურნეობებში კი 1972 წელს ვენახის ფართობები მთლიან[illegible] შინ, როცა 1969 წელს ის შეადგენდა შესაბამისად (52,8—28,9%).

მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და გარდაბნის რაიონის საკვლევი საბჭოთა მეურნეობების მიწათსარგებლობის მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკეული კულტურის ფართობი წლების მიხედვით მეტ-ნაკლები ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი, რაც დიდ გავლენას ახდენს საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციასა და მათ ეკონომიკაზე.

როგორც მიწათსარგებლობის სტრუქტურიდან ჩანს, სათიბებზე და საძოვრებზე მოდის მიწების დიდი ნაწილი. გამოყენების ხასიათის მიხედვით, საძოვრებსა და სათიბებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. კერძოდ, სათიბები გათვალისწინებულია თივად, ხოლო საძოვრები მწვანე მასით პირუტყვის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ბუნებრივი საკვები სავარგულებიდან უფრო პროდუქტიული, უკეთესი რელიეფისა და კონფიგურაციის მქონე მიწის ფართობები გამოიყენება სათიბად, ხოლო უფრო ნაკლებ ნაყოფიერი—საძოვრებად. სათიბების პროდუქტიულობა უფრო მაღალია, ვიდრე საძოვრებისა.

გარდაბნის რაიონში, მდელოსნობას თანამედროვე პირობებში არ ექცევა სათანადო ყურადღება. მდელოების დიდი ფართობები დაფარულია ბუჩქნარებით, რაც ამცირებს მათ პროდუქტიულობას და მაშასადამე, უარყოფითად მოქმედებს პირუტყვის საკვებ ბალანსზე.

ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ საბჭოთა მეურნეობების ყველა შესაძლებლობანი და კიდევ უფრო გავადიდოთ ვენახის, ხეხილისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების ფართობები, მოსავლიანობა და საერთო მოსავალი.

Ассист. Г. В. ДЖЕБАШВИЛИ

## ЗЕМЛЕПОЛЬЗОВАНИЕ ОВОЩНО-МОЛОЧНЫХ СОВХОЗОВ ГРУЗИИ И ИХ СТРУКТУРА


Резюме

Земля в сельскохозяйственном производстве является основным средством производства.

От ее разумного использования во многом зависит систематическое увеличение производства продуктов сельского хозяйства.

Анализ совхозов овощно-молочного треста в целом и Гардабанского района показывает, что размеры площадей отдельных культур по годам изменяются неодинаково, что тесно связано со специализацией и экономикой совхозов.

Задача состоит в том, чтобы на основе максимального освоения земель повысить возможности совхозов увеличения площадей виноградников, плодовых и других многолетних насаждений и увеличит их урожайность, которая даст возможность укрепить экономику совхозов.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Доц. И. К. ГОДЕРДЗИШВИЛИ

# УЧЕНИЕ К. МАРКСА ОБ ИЗНОСЕ И АМОРТИЗАЦИИ ОСНОВНЫХ ФОНДОВ

Рассматривая вопросы износа и амортизации основных фондов мы учитывали следующие обстоятельства:

1) в современной экономической литературе, и особенно, в учебниках и учебных пособиях зачастую можно встретить разные формулировки сущности износа и амортизации;

2) сущность амортизации нередко отождествляется с износом;

3) износ и амортизация неправильно отражаются в счетах бухгалтерского учета;

4) издержками производства признана амортизация вместо стоимости износа и др., что создает ряд трудностей для лиц, заинтересованных изучением этих вопросов и, особенно, студенческой молодежи.

Вот несколько типичных примеров определения сущности амортизации:

Амортизация — постепенное снашивание основных фондов, перенесение их стоимости по частям на вырабатываемую продукцию [1].

Амортизация — процесс постепенного снашивания основных фондов и перенесения их стоимости на новый продукт [2].

Амортизация — денежное выражение той части стоимости средств труда, которая в процессе труда переносится по частям на готовый продукт [3].

Амортизация — объективный экономический процесс, при котором стоимость средств труда по мере их износа переносится на производимый с их помощью продукт или услуги [4].

Амортизация — постепенное снижение ценности имущества вследствие его изнашивания [5].

Амортизация — постепенное снашивание основных фондов, перенесение их стоимости по частям на вырабатываемую продукцию [6].

Амортизация — погашение имущества, т. е. периодически, в опреде-

ленные сроки производимое списание со стоимости имущества определенной части его на изнашивание [7].

Еще больше вариантов определения сущности амортизации можно найти в специальной экономической литературе, особенно в учебниках и учебных пособиях.

Если сравнить вышеприведенные определения, то наряду со сходством можно ясно заметить различия существенного характера. При этом совершенно очевидно, что согласно большинству вариантов определения сущность амортизации почти полностью отождествляется с сущностью износа. Еще больше можно сказать с этой точки зрения о положении, существующего в специальной экономической литературе. Даже если судить только по вышеприведенным примерам можно сделать вывод, что более 70% определений амортизации, данных в соответствующей литературе, отождествлено с определением сущности износа.

ფონდუკუგების მაჩვენებელზე ცალკეულ ფაქტორთა შედარებით გავლენას ახასიათებს შემდეგი მაჩვენებლები:

ცხრილი 8

| მაჩვენებლები | $x_1$ | $x_2$ | $x_3$ |
|---|---|---|---|
| $a_i$ | 0,03 | −14,0 | 18,75 |
| $э_i$ | 0,03 | 1,12 | 1,09 |
| $\alpha_i$ | 0,09 | −7,0 | 6,41 |

ელასტიკურობის კერძო კოეფიციენტები $э_i$ გვიჩვენებს, რომ ფონდუკუგების მაჩვენებელი იცვლება: სპეციალიზაციის დონის 1% შეცვლისას 0,03%-ით, ძირითადი საწარმოო ფონდების სიდიდის 1%-ით შეცვლისას 1,12%-ით და საერთო პროდუქციის მოცულობის 1%-ით შეცვლისას—1,09%-ით. $\alpha_i$—კოეფიციენტები გვიჩვენებს, რომ ფონდუკუგების გადიდების ძირითადი რეზერვია სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობის ზრდა უფრო მეტი ტემპით ძირითადი საწარმოო ფონდების სიდიდის ზრდასთან შედარებით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში თვალსაჩინოდ ჩანს კორელაციური ანალიზის მეთოდების გამოყენების ფართო შესაძლებლობანი და ის უპირატესობანი, რომელიც მას გააჩნია ეკონომიური კვლევის ჩვეულებრივ მეთოდებთან შედარებით. კორელაციური ანალიზის შედეგად ჩვენ მიერ მიღებული დასკვნები და კანონზომიერებანი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონეა საკვლევი ობიექტების გალისა და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობების შემდგომი განვითარების პროგნოზირების საქმეში.

Канд. эк. наук Ш. БЕНИЯ

## К ВОПРОСУ ПРИМЕНЕНИЯ МЕТОДА КОРРЕЛЯЦИОННОГО АНАЛИЗА В ЭКОНОМИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЯХ


### Резюме

В статье рассматривается необходимость анализа, выяснены условия использования этого метода, установление параметров уравнения связи с помощью способа наименьших квадратов, оценка показателей этих параметров и тесноты связи.

На основе данных 1965—70 гг. при экономическом исследовании показателей уровня и эффективности концентрации сельскохозяйственного производства в колхозах Гальского и Очамчирского районов Абхазской АССР наглядно показали широкие возможности использования метода корреляционного анализа и те преимущества, которые он имеет по сравнению с обыкновенными способами исследования. Выводы и закономерности полученные в результате корреляционного анализа имеют практическое значение для колхозов исследуемых районов с целью прогнозирования дальнейшего развития.


---

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასისტ. ნ. ხარაიშვილი

# სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის დონისა და ეკონომიური ეფექტურობის საკითხები მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში

სოფლის მეურნეობის პროდუქტების განუხრელი ზრდა, მასზე მზარდი მოთხოვნილების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს და ხორციელდება გაფართოებული კვლავწარმოების პრინციპების მიხედვით. მარქსიზმ-ლენინიზმი განასხვავებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ორ გზას: ექსტენსიურს და ინტენსიურს. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოება მიიღწევა ორნაირად: „ექსტენსიურად გაფართოებული მასშტაბით, თუ წარმოების არე ფართოვდება, ინტენსიურად გაფართოებული მასშტაბით, თუ წარმოების საშუალება უფრო ეფექტიანი ხდება“[1].

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ეკონომიურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვან მხარეს; არსებით გავლენას ახდენს გაფართოებულ კვლავწარმოებაზე და საბოლოო ჯამში მთლიანად საწარმოს, სამეურნეო ერთეულებისა და ცალკეული დარგების რენტაბელობაზე, ამიტომ ინტენსიფიკაციის დონისა და ეკონომიური ეფექტურობის ანალიზისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც მოიცავს ფაქტორალურ, შედეგობრივ, საერთო და კერძო ღირებულებით და ნატურალურ მაჩვენებლებს. მათ შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ორ განმაზოგადებელ მაჩვენებელს; ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მიმდინარე საწარმოო დანახარჯების (ამორტიზაციის გამოკლებით) ღირებულება და საერთო პროდუქციის ღირებულება მიწის ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით. მათგან პირველი მიეკუთვნება ფაქტორიალურ მაჩვენებლებს, ხოლო მეორე—შედეგობრივს, ანუ პირველი შეადგენს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მიზეზს, მეორე კი შედეგს.

საქართველოს სსრ სუბტროპიკული ზონის კოლმეურნეობებში საწარმოო ციკლი კალენდარულ წელს უტოლდება, ხოლო საბრუნავი ფონდები, საწარმოო ციკლის განმავლობაში მთლიანად მოიხმარება. ამიტომ პრაქტიკულად გამართ-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი—კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 212.

ლებულად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის პრო-ცესის დამახასიათებელ ძირითად მაჩვენებლად ძირითადი საწარმოო ფონდების და მიმდინარე საწარმოო დანახარჯების ღირებულება ამორტიზაციის გამოკლე-ბით ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმდინარე საწარმოო დანახარჯების მონაცემების შედარებით ფართობის ერთეულზე მიღებული სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებუ-ლებასთან, შესაძლებელია დავახასიათოთ როგორც მთლიანად სასოფლო-სამე-ურნეო საწარმოს, ისე ცალკეული დარგების, მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურ-ნეო კულტურათა და პროდუქტიული პირუტყვის ინტენსიფიკაციის დონე და ეკონომიური ეფექტურობა.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგობრივ მაჩვე-ნებელს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულე-ბის ზრდა ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით.

ამგვარად, სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის დონის და ხასიათებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ღირებუ-ლებითი მაჩვენებელი. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთობ-ლივი დანახარჯების სიდიდის გაანგარიშებას ფართობის ერთეულზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ინტენსიფიკაციის დონის ღირებულებითი მაჩვენებ-ლების გარდა, საჭიროა გამოვიყენოთ ისეთი ნატურალური მაჩვენებლები, რომ-ლებიც ასახავენ ინტენსიფიკაციის არსს. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: სა-სოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა და სახნავის ხვედრითი წონა, ნათესი ფართობის სტრუქტურა და ინტენსიური კულტურების ხვედრითი წონა, კაცდღეების დანახარჯი ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულსა და სახნავზე; სასუქების გამოყენება ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე; პირუტყვის სიმჭიდროვე ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულსა და სახნავზე გაანგარი-შებით და სხვ.

ჩამოთვლილი მაჩვენებლების მიხედვით გამოვიკვლიეთ ინტენსიფიკაციის დონე მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში. აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობები ხასიათდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის უფრო მაღალი დონით საქართველოს სსრ და სუბტროპიკული ზონის XB მეჩაიეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის ქვეზონის კოლმეურნე-ობების საშუალო მონაცემებთან შედარებით.

მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში ერთ ჰა სასოფ-ლო-სამეურნეო სავარგულზე 1968—1970 წწ. საშუალოდ მოდის 7-ჯერ მეტი წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება საშუალოდ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებთან შედარებით, 4-ჯერ მეტი მიმდინარე საწარმოო დანახარ-ჯები და 6-ჯერ მეტი საერთო პროდუქციის ღირებულება.

იმ მიზნით, რომ ღრმად გაგვეანალიზებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დონისა და ეკონომიური ეფექტურობის მაჩვენებელთა ანალი-ზი, მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობები დავაჯგუფეთ ერ-თობლივი დანახარჯების მიხედვით დაბალინტენსიური, საშუალო ინტენსიური და მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბალინტენსიურ ჯგუფში საშუალოდ 1968—1970 წწ. ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოდის 2241 მან. ერთობლივი დანახარჯები, მათ შორის 1798 მან. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება, 443 მან. მიმდინარე საწარმოო დანახარჯები; საშუალოდ ინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენს 3485,2329, 1156 მან., ხოლო მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში: 5809, 3817, 1992, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულება ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე შეადგენს: დაბალინტენსიურ ჯგუფში 887 მან., საშუალოდ ინტენსიურში—1434 მან., ხოლო მაღალინტენსიურ ჯგუფში — 2025 მან.

მოტანილი ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: პირველი ის, რომ რამდენადაც მეტია ძირითადი საწარმოო ფონდები ფართობის ერთეულზე, მით უფრო დიდია მიმდინარე საწარმოო დანახარჯები და მეორეც, ძირითადი საწარმოო ფონდების და მატერიალური საბრუნავ საშუალებათა ღირებულება პირდაპირ კორელაციურ დამოკიდებულებაშია საერთო პროდუქციის ღირებულებასთან, ე. ი. ფაქტორიალური ნიშნების მიხედვით კოლმეურნეობების დაჯგუფების დროს შეიმჩნევა შემდეგი კანონზომიერება; ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებასთან ერთად მაღლდება შედეგობრივი მაჩვენებლებიც. ერთობლივი დანახარჯების სიდიდისა და საერთო პროდუქციის ღირებულებას შორის, ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებასა და საერთო პროდუქციის ღირებულებას შორის სამივე ჯგუფის კოლმეურნეობებში არსებობს პირდაპირ კორელაციური დამოკიდებულება, მაგრამ კავშირის ზომა განსხვავებულია როგორც დანახარჯების ცალკეული სახეების, ისე კოლმეურნეობათა ჯგუფების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დონის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ძირითადი ფონდები და ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფა. საშუალოდ 1963—1965 წლებში მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში ერთ საშუალო წლიურ მომუშავე კოლმეურნეზე მოდის 2,23 ათასი მან., ხოლო 1968—1970 წლებში 2,36 ათასი მან. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება.

საკვლევი რაიონების კოლმეურნეობებში უკანასკნელ წლებში საგრძნობლად ამაღლდა ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები. 1965 წელს საშუალოდ მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში ერთ საშუალო წლიურ მომუშავეზე მოდიოდა 1,55 ცხ. ძ. მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში კი 2,00 ცხ. ძ. შესაბამისი მაჩვენებლები 1970 წელს შეადგენდა 1,85 ცხ. ძ. და 2,5 ცხ. ძ.

მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობების ძირითადი ფონდების ღირებულებაში მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი ფონდები, რაც შეადგენს: დაბალინტენსიურ ჯგუფში 90,3%-ს, საშუალო ინტენსიურში—94,7%-ს, ხოლო მაღალინტენსიურში—89,3%-ს. ამ უკანასკნელში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების შედარებით დაბალი ხვედრითი წონა აიხსნება სასოფლო-სამეურნეო და არასაწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებე-

ბის მნიშვნელოვანი სიდიდით, რაც შეადგენს შესაბამისად 3,0%-ზე და 7,7%-ს. აღნიშნული ფაქტი დადებითად უნდა ჩაითვალოს, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლება გულისხმობს კულ[illegible] საცხოვრებო შენობა-ნაგებობების მშენებლობის ამაღლებას.

საკვლევი რაიონების კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო ფონდებში დიდი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი მრავალწლიანი ნარგავები. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 1968—1970 წწ. შეადგენს: დაბალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში 75,4%-ს, საშუალოდ ინტენსიურში—63,5%-ს, ხოლო მაღალინტენსიურში—53,0-ს. მრავალწლიან ნარგავებში ჩაის კულტურის ხვედრითი წონა იზრდება დაბალიდან მაღალინტენსიურ ჯგუფებში. აღნიშნული მაჩვენებელი დაბალინტენსიურ ჯგუფში შეადგენს 45,9%-ს, საშუალოდ ინტენსიურში—61,1%-ს, ხოლო მაღალინტენსიურში—65,1%-ს.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დონეს ახასიათებს კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურა და ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება. მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში 1966—1970 წლების კაპიტალურ დაბანდებებში წამყვანი ადგილი უჭირავს დანახარჯებს მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე, დიდი დანახარჯებია შენობა-ნაგებობათა მშენებლობაზე. შედარებით მცირე კაპიტალური დაბანდებებია ძირითადი ჯოგის ფორმირებაზე და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენაზე.

საკვლევი რაიონების კოლმეურნეობებში საშუალოდ 1968—1970 წწ. 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით დაბალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში მოდიოდა 1394 მანეთის, საშუალოდ ინტენსიურში—2061 მანეთის, მაღალინტენსიურში—2947 მანეთის ორგანული და მინერალური სასუქი.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის დონის სისტემატური ამაღლება განაპირობებს სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ზრდას. ინტენსიფიკაციის დონისა და ეკონომიური ეფექტურობის მაჩვენებელთა შორის არსებობს მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულება. ინტენსიფიკაციის ფაქტორალური მაჩვენებლები ახასიათებენ ინტენსიფიკაციის დონეს, ხოლო შედეგობრივი მაჩვენებლები მის ეფექტურობას, ინტენსიფიკაცია წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზს. ამიტომ ინტენსიფიკაციის ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრა წარმოადგენს საერთოდ სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრას.

სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ანალიზის დროს არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ერთი რომელიმე მაჩვენებლით, არამედ საჭიროა მაჩვენებელთა სისტემა, მათგან მთავარი მაჩვენებელი უნდა გვიჩვენებდეს თუ როგორ ხორციელდება ინტენსიფიკაციის მთავარი მიზანი—საერთო პროდუქციის ზრდა ერთ ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიური ეფექტურობის მთავარ მაჩვენებლებს წარმოადგენენ ღირებულებითი მაჩვენებლები, რომელთაგან აღსანიშნავია: საერთო პროდუქციის ღირებულება ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, ერთ მანეთ ძირითად საწარმოო ფონდზე, ერთ მანეთ

საწარმოო დანახარჯზე და ერთ დახარჯულ კაცდღეზე გაანგარიშებით შრომისნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება, წმინდა შემოსავალი, რენტაბელობის დონე, ფონდტევადობა და ფონდუკუგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიურ ეფექტურობას ახასიათებს აგრეთვე ნატურალური მაჩვენებლები: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა და სხვ.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის კრიტერიუმს წარმოადგენს დამუშავებაში მყოფი მიწის ყოველი ჰექტარიდან მაღალხარისხოვანი და იაფი პროდუქციის წარმოების განუხრელი ზრდა საწარმოო დანახარჯებთან შედარებით, რენტაბელობის დონის ამაღლება, წმინდა შემოსავლის ზრდა ყოველ ჰექტარზე.

მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში 1970 წელს 1966 წელთან შედარებით საგრძნობლად ამაღლდა სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიური ეფექტურობა, გაიზარდა საერთო პროდუქციის, საერთო შემოსავლისა და წმინდა შემოსავლის რაოდენობა ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით. მელექედურის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 1970 წელს მიღებულია 570,3 მან. წმინდა შემოსავალი; აღნიშნული მაჩვენებელი ბევრად აღემატება რაიონის, რესპუბლიკისა და საკავშირო მაჩვენებლებს.

მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში საერთო პროდუქციის, საერთო შემოსავლის და წმინდა შემოსავლის ზრდა ძირითადად გაპირობებულია შრომისნაყოფიერების გადიდებით. აღსანიშნავია, რომ მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში შრომისნაყოფიერების მაღალი დონით ხასიათდება მემცენარეობა, ხოლო მეცხოველეობას ახასიათებს შრომისნაყოფიერების დაბალი დონე. მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში საშუალოდ მემცენარეობაში დახარჯულ ერთ კაცდღეზე 1966—1970 წწ. საშუალოდ მოდის 11,20 მანეთი საერთო პროდუქცია, 10,20 მან. საერთო შემოსავალი და 5,40 მან. წმინდა შემოსავალი; ხოლო მეცხოველეობაში შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენს 8,62, 6,82, 372 მან. აღნიშნული მაჩვენებლები მიგვითითებენ მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში მეცხოველეობის დაბალ ეკონომიურ ეფექტურობაზე.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიური ეფექტურობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულება და რენტაბელობის დონე. საკვლევი რაიონების მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობები ხასიათდებიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალი თვითღირებულებით. აღნიშნული ჯგუფის კოლმეურნეობებმა 1970 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე აწარმოეს 59,5 ც ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ამასთან ერთი ცენტნერის წარმოება დაუჯდათ 56,23 მან., ხოლო დაბალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებს 42,4 ც მოსავლიანობის პირობებში 1 ც ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი დაუჯდათ საშუალოდ 54,52 მან. როგორც ცნობილია, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის თვითღირებულების მთავარ კომპონენტს შრომის ანაზღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურების ხარჯები წარმოადგენს. მაღალინტენსიურ, ეკონომიურად ძლიერ კოლმეურნეობებში მაღალია შრომის ანაზღაურება, რაც, თავის მხრივ, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და რენტაბელობის ამაღლებაზე დადებით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა. საკვლევი რაიონების კოლმეურნეობები ხასიათდებიან ჩაის კულტურის მაღალი მოსავლიანობით განსაკუთრებით მაღალია ჩაის კულტურის მოსავლიანობა მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში. აღნიშნული მაჩვენებელი 1970 წ. მაღალინტენსიურ დაგვას კოლმეურნეობაში შეადგენდა 73,6 ცენტნერს მაშინ, როდესაც დაბალინტენსიურ ცხემლისხიდის კოლმეურნეობაში 42,4 ცენტნერს არ აღემატება.

საშუალო და მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში მაღალია ერთ საშუალო წლიურ ძროხაზე წველადობის მაჩვენებლები. მაღალინტენსიურ მელექედურის კოლმეურნეობაში 1966 წელს ერთ საშუალო წლიურ ძროხაზე მიღებული იყო 2213 კგ რძე, 1970 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 2260 კგ-მდე გაიზარდა, მაგრამ დაბალინტენსიურ ცხემლისხიდის კოლმეურნეობაში 1966 წელს ერთ საშუალო წლიურ ძროხაზე მიღებულ იქნა 1026 კგ რძე, ხოლო 1970 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1438 კგ-ს არ აღემატებოდა. მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში მაღალია მეცხოველეობს პროდუქტიულობის სხვა მაჩვენებლებიც, როგორიცაა ხორცისა და რძის წარმოება 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამატებითი საწარმოო დანახარჯებისა და დამატებით მიღებული პროდუქციის ღირებულებითი მაჩვენებლების შედარებას. ჩვენ მიერ გაანგარიშებულ იქნა 1970 წელს მიმდინარე საწარმოო დანახარჯების ეკონომიური ეფექტიანობა. ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიმდინარე საწარმოო დანახარჯების სიდიდით მკვეთრად განსხვავდებიან მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობები ისეთ დაბალინტენსიურ კოლმეურნეობაში, როგორიცაა ხალას კოლმეურნეობა ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 1970 წ. მოდის 590,5 მან. მიმდინარე საწარმოო დანახარჯი, ხოლო ამავე პერიოდისათვის მაღალინტენსიურ დაგვას კოლმეურნეობაში—25 10,2 მან., ანუ ხუთჯერ მეტი ვიდრე ხალას კოლმეურნეობაში.

აღსანიშნავია, რომ მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში საშუალოდ 1970 წ. დამატებითი პროდუქციის ღირებულება უფრო მეტად იზრდება, ვიდრე დამატებითი დანახარჯები. 1970 წელს საშუალოდ ერთ მანეთ დამატებით დანახარჯზე მოდის საერთო პროდუქციის მეტი ღირებულება, ვიდრე მიმდინარე საწარმოო დანახარჯის ერთ მანეთზე. მაღალინტენსიური ჯგუფის კოლმეურნეობებში ერთ მანეთ დამატებით დანახარჯზე 1970 წ. წარმოებულია საშუალოდ 1,50 მან. საერთო პროდუქცია, ხოლო ერთ მანეთ მიმდინარე საწარმოო დანახარჯზე 1,23 მან. საერთო პროდუქცია.

მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში სოფლის მეურ-ნეობის ინტენსიფიკაციის დონის და დამატებითი დანახარჯების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება [illegible] მდევრულ კაპიტალურ დაბანდებებს და კაპიტალური დანახარჯების [illegible] რის გაუმჯობესებას. კაპიტალური დაბანდებები პირველ რიგში უნდა მოხმარდეს მექანიზაციის საშუალებათა შეძენას, სამელიორაციო და საირიგაციო ღონისძიე-ბების ჩატარებას და ქიმიური საშუალებების რაციონალურ გამოყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების პერსპექტივების განხორციელებაში მთავარი როლი ენიჭება საწარმოო პროცესების მექანიზაციას. ამჟამად მექანიზაციის დონე აღ-ნიშნულ რაიონებში 18%-ს არ აღემატება. მიმდინარე ხუთწლედში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებში შრომატევ-ად სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, რათა მაქსიმალურად შეიცვალოს ხელით შრომა მანქანით. უნდა მოეწყოს მანქანათა სისტემების დაპროექტება და ფარ-თოდ დაინერგოს მართვის ავტომატიზებული სისტემები. მეჩაიეობაში განსაკუთ-რებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე მექანიზაციის საშუალებების დანერ-გვას; საერთოდ სუბტროპიკული ზონის კოლმეურნეობებისათვის და მათ შორის მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებისათვის დამახასიათებე-ლია ჩაის პლანტაციების მცირეკონტურიანობა და დიდი დახრილობა.

სუბტროპიკული ზონის კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის წარმოე-ბის ინტენსიფიკაციის ეკონომიური ეფექტურობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ირიგაციული და მელიორაციული ღონისძიებების გატარებას. მახარაძისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის 2551 ჰა სარწყავი მიწების ირიგაციულად მომზადება და 4332 ჰა დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის ზრდასა და გაუმჯობესებას.

Асист. Н. Н. ХАРАИШВИЛИ

## ВОПРОСЫ УРОВНЯ И ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ ИНТЕНСИФИКАЦИИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА В КОЛХОЗАХ МАХАРАДЗЕВСКОГО И КОБУЛЕТСКОГО РАЙОНОВ

### Резюме

1. Рассмотрены основные показатели, которые характеризуют процесс интенсификации сельскохозяйственного производства в общем и отдельно уровня и экономической эффективности в растениеводстве и животноводстве.

2. Дается анализ отдельных факторов, которые влияют на процесс интенсификации сельского хозяйства в субтропических колхозах.

3. На основе анализа цифровых данных (сред. 1966—1970 гг.) сделаны выводы и предложения, направленные для подъема уровня и экономической эффективности интенсификации сельскохозяйственного производства в колхозах Махарадзевского и Кобулетского районов субтропической зоны Грузинской ССР.

———

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოც. ჰ. გიორგაძე

# სოფლის მეურნეობაში საწარმოო ტიპიზაციის საკითხისათვის

საწარმოო ძალების განვითარების გარკვეულ დონეზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაღრმავებული სპეციალიზაცია ლოგიკურად საბოლოოდ აისახება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ტიპში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტიპიზაციის პრობლემა თეორიულ ასპექტში ახალი არაა ეკონომიურ მეცნიერებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა აგრარული საკითხისადმი მიძღვნილ შრომებში მოგვცეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მეცნიერული კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლები.

კ. მარქსმა გამოყო სოფლის მეურნეობაში მონოპოლისტურ კაპიტალიზმამდე არსებული ძირითადი სოციალური ტიპები, რომლებიც ერთმანეთისაგან საწარმოო ნიშნებითაც განსხვავდებიან.

ვ. ი. ლენინის აგრარული საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებში დიდძალ სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით, გამოკვლეულია მეურნეობათა სოციალურ ტიპებსა და საწარმოო ტიპებს შორის ურთიერთკავშირი.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ეკონომიურმა სტატისტიკამ დაჯგუფებას აუცილებლად უნდა დაუდოს საფუძვლად მეურნეობის ოდენობა და ტიპები. ამ ტიპების განსხვავების ნიშნები უნდა შევარჩიოთ ადგილობრივი პირობებისა და მიწათმოქმედების ფორმების შესაბამისად“[1]

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეურნეობათა ტიპების ანალიზს აშშ-ში კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარების შესწავლასთან დაკავშირებით. ასეთი ანალიზის შედეგად ვ. ი. ლენინმა დაადგინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამი უმნიშვნელოვანესი კატეგორიის—სპეციალიზაციის, ინტენსივობის დონისა და წარმოების სიდიდის შორის კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელოვანი ეკონომიური კანონზომიერება

ამ კანონზომიერების მიხედვით, წარმოების ზრდასთან ერთად მაღლდება ინტენსივობის დონე, ხოლო საწარმოო სპეციალიზაციის შეცვლისას იცვლება მიწათმოქმედების ინტენსივობის ნიშნები.

სოფლის მეურნეობაში მეურნეობათა სხვადასხვა საწარმოო ტიპის ანალიზის შედეგად ვ. ი. ლენინი ასკვნის, რომ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის შე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი—თხზ., ტ. 3, გვ. 106.

დევად მეურნეობის განკარგულებაში მყოფი მიწის ფართობის შემცირება ხშირად ნიშნავს წარმოების ზრდას და საწარმოთა ფართობი მეურნეობათა სპეციალიზაციით განისაზღვრება. ვ. ი. ლენინის ეს დებულება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციალისტური მეურნეობის საწარმოო ტიპების გამოკვლევისას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი ეკონომიური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა მეურნეობათა ყველა, ცხოვრებაში უკვე დასახული—თუ დასახვის პროცესში მყოფი, ტიპის ცალკე შესწავლას[2].

დასავლეთ ევროპის და აშშ-ის ბურჟუაზიული აგრარული მეცნიერება დიდ ყურადღებას უთმობდა საწარმოთა ტიპიზაციის პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის ირგვლივ დიდი მასალაა დაგროვილი, ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული არა მარტო ამ პრობლემის გადაწყვეტის, არამედ თვით დასმის საკითხიც კი. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი გამოჩენილი აგრარიკოს-ეკონომისტი თ. ბრინკმანი არ ცნობდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კლასიფიკაციას საწარმოო ტიპების მიხედვით, მისი აზრით, მეურნეობათა დაჯგუფება უნდა მოხდეს მხოლოდ მეურნეობათა გაძღოლის სისტემის მიხედვით[3].

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში გერმანელმა აგრარიკოს-ეკონომისტებმა უარყვეს საწარმოთა სისტემატიზაცია მეურნეობათა გაძღოლის სისტემის მიხედვით და კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდეს საწარმოო ტიპიზაცია, რომლის განმსაზღვრელია საწარმოთა წამყვანი დარგი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურა.[4]

აშშ-ის ბურჟუაზიული ეკონომისტები საწარმოთა ტიპიზაციის კრიტერიუმად იღებენ სხვადასხვა მაჩვენებელს. მაგალითად, ჯ. უორენი წერდა: „ფერმერული მეურნეობის ტიპი შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვანაირად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი საწარმოო პროფილი. უფრო ხშირად განისაზღვრება შემოსავლის წყაროს მიხედვით“[5].

ჯ. უორენის მოსაზრებას იზიარებენ გამოჩენილი ამერიკელი აგრარიკოს-ეკონომისტები: ჯ. ბლეკი, მ. კლაუსონი, ჩ. საირი და უ. ვილკოკსი, რომლებიც მეურნეობათა საწარმოო ტიპების კლასიფიკაციას „საფუძვლად უდებენ მეურნეობის მთლიან შემოსავალში სხვადასხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლის ხვედრით წონას“[6].

ზოგი ამერიკელი ეკომონისტი, მეურნეობათა საწარმოო ტიპიზაციის პრობ-

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი—თხზ., ტ. 20, გვ 87—88.

[3] Б р и н к м а н — Экономические основы организации сельскохозяйственных предприятий. М., 1966, стр. 208.

[4] Х. Б е р г м а н — Разделение труда и специализация в сельском хозяйстве, М., 1969, стр. 118.

[5] Д ж. У о р р е н — Организация сельского хозяйства. М.-Л., 1930, стр. 45.

[6]. Д ж. Б л е к, М. К л а у с о н, Ч. С а и р, У. В и л к о к с — Организация сельскохозяйственных предприятий в США. М., 1957, стр. 62.

ლემას „ოჯახური“ ფერმის ორგანიზაციისა და სიდიდის დადგენის მოთხოვნებს უკავშირებს.

მაგალითად, შ. ჯონსონი წერს: „მეურნეობათა ტიპების დიდი [illegible] ბისათვის არსებობს სამუშაო ძალის, მანქანებისა და პირუტყვის, [illegible] წყობის მინიმალური ეფექტიანობა, რადგანაც ჩვენ საქმე გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, საოჯახო ფერმებთან, ჩვენ ვცდილობთ მიწათმოქმედების მოცემული ტიპისათვის დავადგინოთ ფერმის ის სიდიდე, რომლის დროსაც რაც შეიძლება ეფექტურად იქნებოდა გამოყენებული ტიპიური ოჯახის ფერმების სამუშაო ძალა“[7].

რევოლუციამდელი რუსეთის მეცნიერების შრომებში გარკვეულად აისახა მეურნეობათა საწარმოო კლასიფიკაციის საკითხები. მაგალითად: ა. სოვეტოვის, ა. ლიუდოგოვსკის, ა. ენგელგარტის, ი. სტებუტის, ა. სკვორცოვის, ა. ერმოლოვის ნაშრომებში მიწათმოქმედების და მეურნეობათა გაძღოლის სისტემების კლასიფიკაციისას გათვალისწინებულია ეკონომიური პირობები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფლის მეურნეობაში საწარმოთა ტიპიზაციის პრობლემები აისახა გ. სტუდენსკის, ა. ანისიმოვის, ი. კუვშინოვის, ი. კუბანინის შრომებში.

აკადემიკოსმა ვ. ს. ნემჩინოვმა 1930 წელს დაასაბუთა სოფლის მეურნეობაში საწარმოო ტიპიზაციის მნიშვნელობა და აუცილებლობა. იგი წერდა. „სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის პრობლემა ფაქტიურად შეიცავს ორ საკითხს: სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია რაიონების მიხედვით, ე. ი. შრომის სარაიონთაშორისო დანაწილება და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია საწარმოო ტიპების მიხედვით, ე. ი. შრომის შიდარაიონული დანაწილება“[8].

ომისშემდგომ წლებში ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა ჩაატარეს: ა. ტიუტინმა, ს. სერგეევმა, ლ. ზალცმანმა, ს. კოლესნევმა, ივ. ჯაშმა.

აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლების დასაწყისამდე მეურნეობათა ტიპიზაციის შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამის შედეგი იყო ის, რომ სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებს, როცა მთელი ზონების მიხედვით სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების ერთსა და იმავე საწარმოო დავალებებს იძლეოდნენ.

ქვეყნის სხვადასხვა ნაწილსა და ზონაში ობიექტური, სოციალური, ეკონომიური და ბუნებრივი პირობების გავლენით ფორმირდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განსაზღვრული საწარმოო ტიპი.

საწარმოო ტიპში იგულისხმება ერთნაირი სოციალისტური ტიპის საწარმოები, რომლებიც მსგავსნი არიან საწარმოო მიმართულებით, ინტენსივობის დონითა და მიზნობრივი დანიშნულებით და განლაგებულნი არიან ერთ სასოფლო-სამეურნეო ზონაში.

მეურნეობათა საწარმოო ტიპების ჩამოყალიბება სოციალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონების გამოხატულებაა და მიმდინარეობს სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების განვითარების, სახელმწიფოებრივი ეკონომიური პო-

7. S. E. Iohnson—Managing a Farm, N.-I., 1964, p. 62.

8 В. С. Немчинов — Избранные произведения, т. 4, стр. 338.

ლიტიკის განხორციელების შედეგად და ბუნებრივ-ეკონომიური პირობების ზეგავლენით.

მეურნეობათა საწარმოო ტიპები ობიექტური რეალობაა, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში.

სოფლის მეურნეობაში საწარმოთა ტიპიზაცია ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და განლაგების პრობლემის გადაწყვეტის დამამთავრებელი ეტაპია დარგობრივი სტრუქტურისა და ცალკეული დარგების კონცენტრაციის ხარისხის დასადგენად, მეცნიერული საფუძველია საწარმოთა რაციონალური ორგანიზაციისა და მართვისათვის.

თანამედროვე პირობებში საწარმოო ტიპიზაციის გამოსაკვლევად დასახულია საერთო მეთოდოლოგიური ხაზი. მაგრამ რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი.

საკმარისია ითქვას, რომ თვით ცნება „საწარმოო ტიპი“ სხვადასხვანაირად არის განმარტებული. ამასთან, ეკონომისტ-აგრარიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა საწარმოთა ტიპების გამოვლენის მეთოდიკის შესახებაც.

ჩვენი აზრით, მეურნეობათა საწარმოო ტიპების განსასაზღვრავად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ძირითადი ნიშნები:

ა. ძირითადი და დამატებითი დარგების შეთანაწყობის ტიპი;

ბ. მეურნეობის და ძირითადი დარგების ინტენსივობის დონე;

გ. მეურნეობათა მიზნობრივი დანიშნულება;

დ. მეურნეობათა განლაგების არეალი (განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო ზონა).

უნდა შევნიშნოთ, რომ მეურნეობის განლაგება რომელიმე ბუნებრივ-ეკონომიურ ზონაში არა მარტო საწარმოო ტიპის განმსაზღვრელი ნიშანია, არამედ ამ ტიპის ჩამოყალიბების პირობაც.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უმეტესი ნაწილი კომბინირებული საწარმოებია, სადაც მთავარი დარგი (ძირითადი დარგები) შეთანაწყობილია დამატებით დარგებთან. ამასთან დაკავშირებით, მეურნეობათა ერთსა და იმავე საწარმოო ტიპში შეიძლება იყოს განსხვავებული ქვეტიპის საწარმოები, რომლებიც როგორც წესი, ერთი და იგივე მთავარი დარგია (ძირითადი დარგებით), მაგრამ განსხვავდებიან დამატებითი დარგების თანაფარდობით და ამ დარგების ინტენსივობის დონით.

მეურნეობათა შეთანაწყობის ტიპის დასახასიათებლად უნდა გამოვიყენოთ მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა, მხედველობაში მივიღოთ აგრეთვე საერთო პროდუქციის, ნათესი ფართობების, პირუტყვის ჯოგის სტრუქტურაც.

მთლიანად მეურნეობის და მისი ცალკეული დარგის ინტენსივობის დონის დასახასიათებლად გამოიყენება საერთო პროდუქციისა და ძირითადი ფონდების ღირებულება ფართობის ერთეულზე და კაპიტალურ დაბანდებათა სიდიდე ფართობის ერთეულზე ან ერთ სულ პირუტყვზე. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე შრომითი დანახარჯები და პირუტყვის სიმჭიდროვე ფარ-

იობის ერთეულზე. საწარმოო ტიპების გამოყოფისათვის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია წარმოების მიზანი, რომელიც განისაზღვრება საერთო-[illegible] მით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურით, ინტენსივობის დონითა და მიზნობრივი დანიშნულებით მსგავსი საწარმოები დიფერენცირებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო ზონების მიხედვით. არ შეიძლება ერთ საწარმოო ტიპს მივაკუთნოთ საწარმოები, რომლებიც ყველა ნიშნით ემსგავსება ერთმანეთს, მაგრამ წარმოება უხდებათ განსხვავებულ სასოფლო-სამეურნეო ზონებში.

მეურნეობათა საწარმოო ტიპებში წარმოების შედარებითი ეფექტიანობის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ მაჩვენებელთა გამოყენებას. ჩვენი აზრით, ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფი:

ა. მიწის გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის მაჩვენებლები;

ბ. შრომისნაყოფიერების მაჩვენებლები;

გ. საწარმოო ფონდების გამოყენებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის მაჩვენებლები;

დ. წარმოების რენტაბელობის მაჩვენებლები.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებელი შეიცავს განსხვავებულ სტატისტიკურ მაჩვენებელთა ერთობლიობას. მეურნეობის საწარმოო ტიპების განმსაზღვრელი მაჩვენებლების სისტემის გამოყენების მიზანია გაფართოებული კვლავწარმოების ისეთი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების დახასიათება, რომლებიც ეყრდნობიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეკონომიური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას.

ცალკეულ მეურნეობათა საწარმოო ტიპების დასახასიათებლად აუცილებელი არაა ყველა მაჩვენებლის გამოყენება. ჩვენი აზრით, საწარმოო ტიპიზაციის გამოვლენის სპეციფიკური ფორმები და ამასთან დაკავშირებით განისაზღვრის მაჩვენებელთა რამდენადმე დამახასიათებელი წრე.

მეურნეობათა საწარმოო ტიპების დასახასიათებლად ჯერ პირველ საფეხურზე საერთო მაჩვენებლები უნდა იქნეს გამოყენებული საწარმოო ტიპების გამოსავლენად, ხოლო მეორე საფეხურზე — სპეციფიკური მაჩვენებლები საწარმოო ტიპების კონკრეტული ფორმების დასახასიათებლად.

როგორც გამოკვლევიდან ჩანს, როგორც მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის, ასევე მაღალმთიან ზონაში კოლმეურნეობათა განსხვავებულ საწარმოო ტიპში კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის შედეგები მკვეთრად განსხვავებულია. მაგალითად, ლენინგორის ადმინისტრაციულ რაიონში სოფელ ორჭოსანის ... დრიაევის სახელობის კოლმეურნეობა განეკუთვნება მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა-მემარცვლეობის საწარმოო ტიპს, ხოლო სოფელ წუპენის ბისიევის სახელობის კოლმეურნეობა—მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობის საწარმოო ტიპს. ინტენსივობის დონის მაჩვენებელი—ძირითადი საშუალებების ღირებულება 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, შესაბამისად შეადგენს 12.258,1 და 38.971,4 მანეთს, ხოლო პროდუქციის ღირებულება 100 ჰა

სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე შესაბამისად 2.168,8 და 17.212,1 [illegible], ასევე მკვეთრად განსხვავებულია ყოველ ჰა ფართობიდან მოგებ[illegible] დონე, ასეთი მკვეთრი სხვაობა განაპირობა წარმოების სპეცია[illegible] ლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიურმა ეფექტიანობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობათა ჩამოყალიბებულ საწარმოო ტიპში წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის შეფასების შემდეგ, სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სახის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნისა და წარმოების ობიექტური პირობების ცვლილებათა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება შემუშავდეს მეურნეობათა რაციონალური (პერსპექტიული) საწარმოო ტიპის მოდელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის დროს.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტიპიზაციის პრობლემის შესწავლა პრაქტიკულად დასაწყის სტადიაშია. ამის გამო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დიდ უმრავლესობას არ შეუძლია სრულად ისარგებლოს მეურნეობათა რაციონალური საწარმოო ტიპის ორგანიზაციულ-სამეურნეო უპირატესობებით. ჩვენი აზრით, ბევრი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, საწარმოთა ტიპიზაციის განხორციელების ამა თუ იმ საფეხურზეა და სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ისინი ჯერ კიდევ განიცდიან წარმოების შედარებით მოძველებული ტრადიციული ორგანიზაციული ფორმების ზეგავლენას.

ამავე დროს, სოციალისტური საზოგადოების, მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტერესები მოითხოვს სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიური ზონებისათვის ეკონომიურად დასაბუთებულ მეურნეობათა საწარმოო ტიპების ფუნქციონირებას, სადაც რაციონალურად იქნება გამოყენებული შრომითი და საწარმოო რესურსები.

იქ, სადაც არსებული საწარმოო ტიპები რომელიმე საწარმოო ტიპის უპირატესობას არ ასაბუთებს, შეიძლება შემუშავებული იქნეს „მეურნეობები—მოდელები". ასეთი მოდელებით შეიძლება მრავალი ვარიანტიდან შეირჩეს და ლეტალურად იქნეს გამოკვლეული საწარმოო ტიპების რომელიმე შესაძლებელი ვარიანტი, რომელიც შეიძლება შეეგუოს წარმოების ამჟამად არსებულ ან უახლოეს მომავალში მოსალოდნელ ბუნებრივ-ტექნოლოგიურ პირობებში.

ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით 1966—1970 წლების მონაცემებით, ჩვენ მიერ, გამოყოფილ იქნა საქართველოს სსრ მაღალმთიან რაიონებში კოლმეურნეობების საწარმოო ტიპები. ვიზიარებთ რა პროფ. გ. გველესიანის შეხედულებას[9] სასოფლო-სამეურნეო წარმოების გათვალისწინებით მაღალმთიან რაიონებად მივიჩნიეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდებარე რაიონები, სამხრეთ მთიანეთი და აჭარის ასსრ მთიანი ნაწილი: ყაზბეგის, თიანეთის, ლენინგორის, ჯავის, დუშეთის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დმანისის, ქედის, ხულოს, შუახევის ადმინისტრაციული რაიონები.

[9] გ. გველესიანი—მთიანი რაიონების პრობლემა საქართველოში. ჟურნალი „საქართველოს სახალხო მეურნეობა", № 6, 1968.

მაღალმთიანი რაიონების ცალკეული ზონების გათვალისწინებით 1970 წ. მონაცემებით გამოყოფილ იქნა შემდეგი საწარმოო ტიპები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონაში:

1. მეცხვარეობის საწარმოო ტიპი—15 კოლმეურნეობა;
2. მეცხვარეობა-მესაქონლეობის საწარმოო ტიპი—3 კოლმეურნეობა;
3. მესაქონლეობა-მეცხვარეობის საწარმოო ტიპი—6 კოლმეურნეობა;
4. მესაქონლეობის საწარმოო ტიპი— 16 კოლმეურნეობა;
5. მესაქონლეობა-მევენახეობა-მარცვლეულის საწარმოო ტიპი—1 კოლმეურნეობა;
6. მარცვლეულ-მესაქონლეობის საწარმოო ტიპი—2 კოლმეურნეობა;
7. მეხილეობა-მეჭარხლეობა-მესაქონლეობის საწარმოო ტიპი—3 კოლმეურნეობა.

იმერეთის მაღლობისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონაში (ცაგერის და ამბროლაურის რაიონებში).

1. მევენახეობის საწარმოო ტიპი—17 კოლმეურნეობა;
2. მეხილეობა-მევენახეობის საწარმოო ტიპი—23 კოლმეურნეობა;
3. მესაქონლეობა-მევენახეობის საწარმოო ტიპი — 22 კოლმეურნეობა;

დასავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონაში:

1. მესაქონლეობა-მევენახეობის საწარმოო ტიპი— 3 კოლმეურნეობა;
2. მესაქონლეობა-მეხილეობის საწარმოო ტიპი—12 კოლმეურნეობა;
3. მესაქონლეობა-მარცვლეულის საწარმოო ტიპი—5 კოლმეურნეობა;
4. მესაქონლეობის საწარმოო ტიპი— 42 კოლმეურნეობა.

ჯავახეთის მთიანეთის მეცხოველეობის ზონაში:

1. მესაქონლეობა-მეკარტოფილეობის საწარმოო ტიპი—78 კოლმეურნეობა;
2. მესაქონლეობა-მეცხვარეობა-მეკარტოფილეობის საწარმოო ტიპი— 6 კოლმეურნეობა.

ზემო აჭარის მეთამბაქოეობისა და მეცხოველეობის ქვეზონაში:

1. მეთამბაქოეობა-მეხილეობის საწარმოო ტიპი—21 კოლმეურნეობა;
2. მეთამბაქოეობა-მევენახეობის საწარმოო ტიპი — 6 კოლმეურნეობა,
3. მეთამბაქოეობა-მესაქონლეობის საწარმოო ტიპი—86 კოლმეურნეობა:

ვფიქრობთ, აღნიშნული ტიპიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოს სსრ და განსაკუთრებით მთიან რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. როგორც ცნობილია, მთიანი სოფლის მეურნეობა მსოფლიო მასშტაბით გაცილებით უფრო ჩამორჩენილია, ვიდრე ბარის. ეს ჩამორჩენილობა განსაკუთრებით შეიმჩნევა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. ბევრი ტექნიკურ-ეკონომიური ხასიათის ღონისძიება ტარდება სოციალისტური სახელმწიფოს მიერ ამ ჩამორჩენილობის დასაძლევად;

აზიის, აფრიკის, ევროპის, ამერიკისა და ავსტრალიის უზარმაზარ მთიან მასივებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ რეალურ საშუალებას. სსრკ მთიანი რაიონები მოიცავენ ვეებერთელა რაიონებს

ურალზე და ბაშკირეთის ასსრ-ში, კარპატებში, მოლდავეთში, ყირგიზეთში, ალტაის მხარეში, ყირიმსა და კავკასიაში.

როგორც საბჭოთა მკვლევარი ს. ვ. ზონი აღნიშნავს „მთიანი [illegible] კავშირში უჭირავთ უმნიშვნელოვანესი ფართობი მთელი ტერიტორიის [illegible]მდე. ისინი მდებარეობენ კავშირის ყველა ნაწილში, აქვთ სხვადასხვა სივრცე და ხასიათდებიან ბუნებრივ-ისტორიულ პირობათა სრულიად სხვადასხვაგვარი შეთანაწყობით“[10].

საქართველოს სსრ-ში მთიან რაიონებს უჭირავთ რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 46,2%, სომხეთის სსრ-ში 60%, აზერბაიჯანის სსრ-ში 40%. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის მთათა სისტემის ტერიტორია ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მსოფლიოს სხვა ნაწილის მთიანეთი. ამ სისტემაში საქართველოს ტერიტორიის მაკრო-მეზო-და მიკრორელიეფი ურთულესია. აქ აღინიშნება სამი მიკროზონალური სისტემა: ორი—მთავარი კავკასიონის არეში (აღმოსავლეთი და დასავლეთი) და ერთიც—მცირე კავკასიონზე (ჯავახეთ-თრიალეთსა და მესხეთ-აჭარის მთიანი მასივები).

საქართველოს მთიანეთში შედარებით უმნიშვნელოვანეს სივრცეზეც კი განსაკუთრებით რელიეფურად მჟღავნდება ბუნებრივ-ეკონომიური პირობების განსხვავება ვერტიკალური ზონალობის ერთსა და იმავე ინტერვალებში, როგორც პროფ. ნ. იაშვილი მიუთითებს „მთავარ კავკასიონზე (მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში) და მცირე კავკასიონზე (ჯავახეთ-თრიალეთისა და მესხეთ-აჭარის მასივებში) აღბეჭდილია მკაფიო სხვაობა ბუნებრივ-წარმოებრივი გარემოს მთელ კომპლექსში“[11].

საქართველოს სსრ მთიან რაიონთა ასეთ ნაირფეროვნებას სასოფლო-სამეურნეო დარგთა მრავალგვარობა და თავისებურება შეესაბამება, რაც სხვა ღონისძიებებთან ერთად განაპირობებს საქართველოს მთიანეთის თითოეულ სასოფლო-სამეურნეო ზონაში ადგილობრივ ბუნებრივ-ეკონომიური პირობების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და გაადგილების შემდგომ გაუმჯობესებას.

მაღალმთიანი რაიონების საკოლმეურნეო წარმოების სპეციალიზაციის მაჩვენებელი სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა ასეთ სურათს იძლევა: მარცვლეულზე მოდის სასაქონლო პროდუქციის 8%, კარტოფილი 8,3, მებოსტნეობაზე—0,5, საკვებ კულტურებზე—1,9, მევენახეობაზე—6,4, მეხილეობაზე—3,4, მეთამბაქოეობაზე—11,8, შაქრის ჭარხალზე—0,3, მსხვილფეხა რქოსან მესაქონლეობაზე—36,8%, მეცხვარეობაზე—17,6, მეღორეობაზე 2,8, მეფრინველეობაზე—0,2, მეაბრეშუმეობაზე 0,3%. ეს მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავდებიან რესპუბლიკის საშუალო საკოლმეურნეო წარმოების სტრუქტურული მაჩვენებლებიდან ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო ზონებსა და ადმინისტრაციულ რაიონებს შორის საკოლმეურნეო წარმოების სასაქონლო პროდუქციის სტრუქ-

[10] Сборник «Естественно-историческое районирование СССР», изд. АН СССР, М.-Л., 1957, стр. 64.

[11] ნ. იაშვილი—საქ. სსრ მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, თბ., 1957, გვ. 6.

ტურა დიდი განსხვავებით ხასიათდება. ასე, მაგალითად, იმერეთის მთლიანობისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონისა და ზემო აჭარის მეთამბაქოეობა და მეცხოველეობის ქვეზონის საკოლმეურნეო წარმოებაში [illegible] ლეობა დაქვემდებარებულ როლს ასრულებს მაშინ, როცა მაღა[illegible] სხვა ადმინისტრაციულ რაიონებში მეცხოველეობის ხვედრითი წონა ჭარბობს მემცენარეობისას.

მაღალმთიან რაიონებში სხვადასხვაგვარი ბუნებრივი პირობების გამო სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გავრცელების საზვარი ზღვის დონიდან გარკვეულ სიმაღლემდე მდებარეობს. მაგალითად, საქართველოში მარცვლეული კულტურების გავრცელების ზედა საზღვრად 2300—2400 მეტრი ითვლება. ყურძნის — 1000—1200 მ, ხილის — 1500—1700მ და ა. შ.

კულტურულ მცენარეთა გავრცელების ზედა საზღვრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია; მაგალითად, ტიბეტში პურეულის მოყვანის ზედა საზღვარი ზღვის დონიდან 4120 მეტრს აღწევს, ჰიმალაის მთების ფერდობებზე—3050—3200 მეტრს, ჩინეთში ქერი მწიფდება 3100 მეტრზე, აბისინიაში 1620—3310 მეტრზე, ავღანეთში — 2870 მეტრზე, შვეიცარიის ალპებში მხოლოდ 1400 მეტრ სიმაღლეზე.[12]

ვაზის კულტურა ვრცელდება ზღვის დონიდან ჩინეთში 2500 მეტრამდე, სომხეთის სსრ-ში—1400—1500 მეტრამდე. საბჭოთა კავშირში ვაზის კულტურის ყველაზე მაღალი გავრცელების ადგილი აღინიშნება პამირზე, სადაც ის 2320 მეტრზე ვრცელდება[13].

ამჟამად, მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ასორტიმენტი შედარებით ღარიბია, მოსავლიანობა დაბალი და ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩება ბარის რაიონებს და საშუალო რესპუბლიკურს. ამასთან, სხვადასხვა ადგილზე მკვეთრი ცვალებადობით ხასიათდება.

მაგალითად, მარცვლეულის მოსავლიანობა 1970 წ. შეადგენდა თიანეთის რაიონში 8,4 ც-ს, ლენინგორში—9,7, ჯავაში—5,1, ქედაში—6,6, ხულოში—4,7, შუახევში—7,6 ც-ს. მარცვლეულის მოსავლიანობის საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი ამ წელს შეადგენდა 13,9 ც-ს. ასევე დაბალი იყო ხილის, ყურძნის, მრავალწლიანი ბალახებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობა.

მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების ერთ-ერთი მძლავრი რეზერვია სასუქების და განსაკუთრებით ადგილობრივი ორგანული სასუქის გამოყენების გადიდება. როგორც საანალიზო მასალებიდან ჩანს, ნაკელის გამოყენების დონე კოლმეურნეობებში ჯერ-ჯერობით დაბალია და საშუალოდ 1 ჰა დამუშავებულ მიწაზე მოდის 2—3 ტ. ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთიან პირობებში შედარებით მწირი ნიადაგებია და დახრილი რელიეფის გამო ნიადაგების გამოფიტვა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რის გამოც სა-

[12] გ. ტ ა რ ა ს ა შ ვ ი ლ ი—ნიადაგმცოდნეობა, თბ., 1965, გვ. 5. 373.

[13] Д. Т а б и д з е — Продвижение промышленной культуры винограда в новые горные районы Грузинской ССР, М., стр. 40—44. 1957.

სოფლო-სამეურნეო კულტურები სასუქების შედარებით მეტ რაოდენობას მოითხოვენ, დაახლოებით 40—50 ტ 1 ჰა-ზე. ამ ამოცანის გადაწყვეტა [illegible] რეალურია თუ მოწესრიგებული იქნება ნაკელის დაგროვების [illegible] ტირების საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედარებით დაბალ დონეს მაღალმთიან რაიონებში განაპირობებს აგრეთვე ინტენსიფიკაციის დაბალი დონე, (6—7-ჯერ ჩამორჩება რესპუბლიკის საშუალო დონეს.) ამის შედეგია ის, რომ მთლიანი პროდუქციის ღირებულება ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მაღალმთიან რაიონებში შეადგენს 7145 მანეთს, შესაბამისი რესპუბლიკური მაჩვენებელი უდრის 16439 მანეთს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის შემდგომ ამაღლებას მაღალმთიანი რაიონების თითოეულ კოლმეურნეობაში უნდა დაედოს ადგილობრივი ბუნებრივი პირობების ყოველმხრივ გათვალისწინება და გამოყენება. შემდგომ გადასინჯვას მოითხოვს კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებული დარგთა შეთანაწყობა და სპეციალიზაცია.

მომავალში მაღალმთიანი კოლმეურნეობების სპეციალიზაცია უნდა წარიმართოს ძირითადი დარგების: მარცვლეულის, მეცხვარეობის, მეკარტოფილეობის, მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობის, მეცხვარეობის ყოველმხრივ განვითარებით. მაგრამ ამასთან ერთად უნდა განვითარდეს დამხმარე დარგები: მეღორეობა, მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა. ჯერ-ჯერობით აღნიშნული დარგები მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა სუსტადაა განვითარებული.

მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობების საწარმოო ტიპიზაციის სწორად დადგენის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წარმოების კონცენტრაციის დონე, საწარმოთა სიდიდე. განსხვავება საწარმოთა სიდიდეების მიხედვით, თუ მათ განვიხილავთ საშუალო სიდიდის დონეზე, არ ქმნის განსხვავებულ საწარმოო ტიპს. მაგრამ, ისევე როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობაში, აქაც გვხვდება საწარმოთა სიდიდეებში ისეთი განსხვავება, რომელშიც წარმოდგენილია წარმოების განსხვავებული ტექნოლოგია და ორგანიზაცია, ე. ი. როცა ხდება საწარმოთა ტიპებში ხარისხობრივი ცვლილება.

მაღალმთიან რაიონებში საწარმოო ტიპებს შორის შეიმჩნევა მკვეთრი დიფერენციაცია კონცენტრაციის დონის მიხედვით, რომელსაც სხვა ფაქტორი გარდა ის ტენდენცია ახასიათებს. შეინიშნება კონცენტრაცია, როგორც ცენტრალიზაციის, ასევე ინტენსიფიკაციის ამაღლების შედეგად. საკოლმეურნეო წარმოების ცენტრალიზაციის პროცესზე ნათლად მიუთითებს შემდეგი მაჩვენებლები: მაღალმთიან რაიონებში კოლმეურნეობების საერთო რიცხვი შეადგენდა 1940 წელს — 1058, 1945 წ.—956, 1950 წ.—611, 1952 წ.—517, 1965 წ.—409, 1970წ. 366-ს. კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან ერთად ადგილი ჰქონდა ინტენსიფიკაციის ფაქტორული და შედეგობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვან ზრდას. მიუხედავად ამისა უკანასკნელ წლებამდე მაღალმთიან რაიონებში შეიმჩნეოდა მრავალი წვრილი საწარმოს არსებობა. მაგალითად, 1970 წელს ქედის რაიონში 11 კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფარ-

თობი 200 ჰა-ზე ნაკლები იყო, რომლებიც აწარმოებდნენ საშუალოდ 64 ათასი მანეთის ღირებულების საერთო პროდუქციას. შუახევის რაიონში ასეთი კოლმეურნეობების რიცხვი 8 იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალმთიან რაიონებში საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის პროცესი თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს ერთდროულად და იწვევს საწარმოთა სიდიდის ზრდას. მაგრამ ისევე, როგორც წარსულშიც, არ იქნებოდა სწორი მათი გაიგივება. კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია წარმოადგენს სხვადასხვა ფორმებს, რომლებშიც გამოხატულება ჰპოვა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის პროცესმა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

საკოლმეურნეო წარმოების ცენტრალიზაცია, რომელიც გაპირობებულია საწარმოო ძალების განვითარების დონისადმი კოლმეურნეობების ეკონომიურად დასაბუთებული სიდიდის შესაბამისობის აუცილებლობით, ნიშნავს კოლმეურნეობების გამსხვილებას მიწის ფართობით და გამოყენებული წარმოების საშუალებებით. ცენტრალიზაცია წარმოადგენს მეურნეობათა გამსხვილების ექსტენსიურ ფორმას, რომელიც საკოლმეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ერთი საწარმოს ფარგლებში საწარმოო საშუალებებისა და სამუშაო ძალის ცენტრალიზაცია ქმნის წინა პირობას წარმოების კონცენტრაციის განხორციელებისა და განვითარებისათვის.

საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაცია გამოიხატება საწარმოს გადიდებაში შიდასაკოლმეურნეო დაგროვების ხარჯზე და იწვევს ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და ერთ კოლმეურნეობაზე წარმოების საშუალებებისა და მთლიანი პროდუქციის ღირებულების ზრდას.

წარმოების ზრდის ინტენსიური გზა არის თანამედროვე პირობებში როგორც მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის, ასევე მაღალმთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნა წარმოადგენდა სოფლის მეურნეობაში კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პირველ ეტაპს. 1950—1960 წწ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ინიციატივით ხდებოდა საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციული გამსხვილება, რომელიც თანამედროვე პირობებში გრძელდება და რომელსაც თან ახლავს საკოლმეურნეო წარმოების შედარებით რაციონალური ფორმების ორგანიზაცია შიდასამეურნეო სპეციალიზაციის გაღრმავებისა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო კავშირების განვითარების საფუძველზე.

1958 წლის შემდეგ კოლმეურნეობათა გამსხვილების ახალი ეტაპი ხარისხობრივად განსხვავდება დანარჩენი ეტაპებისაგან. ამ ეტაპზე საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაცია გაპირობებული იყო შემდეგი პირობებით: უპირველეს ყოვლისა კონცენტრაციის დონის ამაღლებას მოითხოვდა კოლმეურნეობების მიერ მტს-ების ტექნიკის შესყიდვა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა შეეძლო მხოლოდ მსხვილ კოლმეურნეობებს, მეორე მხრივ, მხოლოდ

მსხვილ კოლმეურნეობებში შეიძლებოდა რაციონალურად გამოყენებულიყო შეძენილი ტექნიკა.

საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაციის ეკონომიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსხვილი კოლმეურნეობები დიდი უპირატესობით ხასიათდებიან. ასეთ კოლმეურნეობებში სრულად მჟღავნდება მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონი, რის შედეგადაც მიიღწევა მაქსიმალური რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება მინიმალური დანახარჯების პირობებში. ამასთან აშკარაა, რომ საკოლმეურნეო წარმოების განვითარების თითოეულ ეტაპზე კონცენტრაციის საზღვრები განსხვავებულია.

საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაციის პროცესი იწვევს გარკვეულ სიძნელეებსაც: როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, მთიან რაიონებშიც წარმოების კონცენტრაციის კანონის მოქმედება ხორციელდებოდა სხვადასხვა სიძნელეების გადალახვით, რომელიც გაპირობებული იყო ამ კანონისადმი სუბიექტური არამეცნიერული მიდგომით. იყო შემთხვევები, როცა ეს პრობლემა წყდებოდა აპრიორულად, განსაკუთრებით ტექნიკურ-ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტისას. ერთ-ერთ სიძნელედ უნდა ჩაითვალოს გარკვეული სწრაფვა გიგანტომანიისაკენ, რაც, თავის მხრივ, ხშირად აღმოცენდება იმის ნიადაგზე, რომ სწრაფად იქნეს გადალახული კოლმეურნეობათა ნაწილის ჩამორჩენა.

კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავება აყენებს საკითხს კოლმეურნეობათა ოპტიმალური სიდიდის შესახებ.

კოლმეურნეობათა ოპტიმალური სიდიდის პრობლემის მეცნიერულად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს წარმოებაში მსხვილი წარმოების უპირატესობის ობიექტური ეკონომიური კანონის გამოყენებას, შრომისნაყოფიერების ამაღლებას, კოლმეურნეობათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე.

ოპტიმალურ საწარმოდ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი საწარმო, რომელშიც სხვა თანაბარ პირობებში მიღწეულია მიწის, სამუშაო ძალის, წარმოების საშუალებების სრული გამოყენება და მიღებულია მაქსიმალური რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მინიმალური დანახარჯების პირობებში. ოპტიმალური სიდიდის კოლმეურნეობა თანამედროვე ეკონომიური მოთხოვნილებით —ეს იდეალური საწარმოა.

საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით ისეთ ფაქტს, როცა ოპტიმალური სიდიდის მქონე კოლმეურნეობებთან ერთად გვხვდება დიდი რაოდენობის წვრილი, საშუალო სიდიდისა და უმსხვილესი საწარმოები.

უმსხვილესი საწარმოების დეკონცენტრაცია, რომელსაც 1960–1970 წწ. რიგ რაიონებში ჰქონდა ადგილი, გამოწვეული იყო მართვაში არსებული ნაკლოვანებებით. რიგ შემთხვევაში დეკონცენტრაცია გამოიწვია სხვა ეკონომიკური ფაქტორებმაც: სოფლებს შორის ისტორიულ-ეკონომიურად ჩამოყალი-

ბებულმა საზღვრებმა, სატრანსპორტო სიძნელეებმა, მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებამ და სხვ.

წარმოების კონცენტრაციის შედეგად ხდება საკოლმეურნეო [illegible] და საკუთრების განსაზოგადოება, რაც იწვევს კოლმეურნეობათა [illegible] ნეობის მნიშვნელობის შემცირებას. კონცენტრაცია ხელს უწყობს საკოლმეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა, ეკონომიური ორგანიზაციებისა და აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნას.

აღნიშნული ნიშნები ხელს უწყობს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში.

Доц. Г. Г. ГИОРГАДЗЕ

## К ВОПРОСУ ПРОИЗВОДСТВЕННОЙ ТИПИЗАЦИИ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ


### Резюме

Классики марксизма-ленинизма в трудах, посвященных аграрным вопросам дали теоретические основы для научной классификации сельскохозяйственных предприятий, выяснили взаимосвязь между специализацией и уровнем интенсивности в сельском хозяйстве.

В статье критически рассматривается подход буржуазных ученых к проблемам типизации предприятий в капиталистическом сельском хозяйстве, где осуществляется узкая специализация, что вытекает из специфических особенностей капиталистических производственных отношений.

В современных условиях в социалистическом сельском хозяйстве все большее значение приобретает научная производственная классификация предприятий — колхозов и совхозов, что даст возможность научно обосновать для каждого предприятия рациональный уровень специализации и интенсификации производства, типовые нормативы производственных фондов, рабочей силы и т. д.

В настоящее время в советской экономической науке наметилась общая методологическая линия в исследованиях по производственной типизации, изучаются отдельные производственные типы совхозов и колхозов в отдельных зонах нашей страны.

В статье обосновывается определение производственного типа как совокупности хозяйств с общими признаками специализации, по уровню интенсивности и целевому назначению. Дается характеристика основных показателей для определения экономической эффективности сельскохозяйственного производства сложившиеся в производственных типах.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ზედგინიძე

# სამთო სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გზები

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომის ორგანიზაციის საკითხების მეცნიერულ დამუშავებას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პირველსავე თვეებში მან დასახა შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ამოცანა, როგორც მისი ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი საშუალება. „ყოველ სოციალისტურ რევოლუციაში —აღნიშნავდა ლენინი,—მას შემდეგ,რაც გადაჭრილია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის ამოცანა...პირველ რიგში აუცილებლად დგება კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობის შექმნის ძირითადი ამოცანა, სახელდობრ: შრომისნაყოფიერების გადიდება, ამასთან დაკავშირებით (და ამისათვის) კი—მისი უმაღლესი ორგანიზაცია“[1]. შრომის ახალი ორგანიზაციის დახასიათებისას ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ იგი უნდა ემყარებოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, მაგრამ ამისათვის აუცილებელი იყო მასებისათვის გვესწავლებინა მეცნიერების მიღწევების გამოყენება. ამ ისტორიულ მოწოდებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში კიდევ უფრო აქტუალური ხდება.

შრომის სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობათა სრული გამოყენების უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სამეურნეო რეფორმის განხორციელების შესახებ, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებში მუშაობამ გამოავლინა შრომისნაყოფიერების განუხრელი ზრდის შესაძლებლობანი ტექნიკური პროგრესის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების ფართოდ დანერგვის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სატყეო მეურნეობის წარმოების სრულყოფა და განვითარება შეუძლებელია ისე, თუ ფართოდ არ დაინერგება შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, როგორც ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის საწარმოო პროცესებზე, ისე სატყეო-საკულტურო სამუშაოების ჩატარებაზე.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი—თხზ., ტ. 27, გვ. 302.

ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოები ხასიათდება დიდი შრომატევადობითა და ეკონომიური კავშირების სხვადასხვაგვარობით. ასევე მისთვის დამახასიათებელია წარმოების დროისა და სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა, კვლავწარმოების ეკონომიური და ბუნებრივი პროცესების ერთმანეთთან მჭიდროდ გადახლართვა და სხვ. ამ რთული, ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული, კვლავწარმოების ხანგრძლივი ვადების შემცირებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის საჭიროა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, რომლის გამოვლინების ნიშნები სამთო სატყეო-საკულტურო სამუშაოს სფეროში ზოგიერთი თავისებურებებით ხასიათდება.

თანამედროვე პირობებში მეცნიერულად ითვლება შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას იძლევა საუკეთესოდ შევაერთოთ ტექნიკა და ადამიანები ერთიან საწარმოო პროცესში, უზრუნველყოფს მატერიალური და შრომითი რესურსების ყველაზე ეფექტურ გამოყენებას, შრომისნაყოფიერების განუწყვეტელ აღმავლობას, ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, შრომის თანდათანობით გადაქცევას პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

სამთო ტყის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის შინაარსი შემდეგ ძირითად ღონისძიებათა განხორციელებამდე დაიყვანება:

შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ფორმების შერჩევა, მუშაობის რაციონალური მეთოდებისა და ხერხების შემუშავება-განხორციელება, მექანიზაციის გამოყენების ხვედრითი წილის ამაღლება, სამუშაო ადგილების მოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესება, შრომის პირობების ამაღლება, შრომის ნორმირების სრულყოფა, მუშაკთა საწარმოო კვალიფიკაციისა და საერთო კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარება და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების უზრუნველყოფა.

შრომის ორგანიზაციის სრულყოფის მიმართულებებს შორის სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე ცენტრალური ადგილი უჭირავს სამუშაო ადგილის სწორად მოწყობასა და მომსახურების ორგანიზაციას.

სატყეო მეურნეობაში სამუშაო ადგილი წარმოადგენს ტყის ფონდის მიწების იმ ნაწილს, სადაც მიმდინარეობს (ბრიგადის) შრომის პროცესი მატერიალური დოვლათის შესაქმნელად. სამუშაო ადგილის სწორი მოწყობა საშუალებას იძლევა, რომ ნაკლები ძალის დახარჯვით ვაწარმოოთ მეტი პროდუქცია, შევუქმნათ მუშას ნორმალური პირობები და ავამაღლოთ მისი შრომისუნარიანობა. სამუშაო ადგილის მომსახურების ორგანიზაციაზე ბევრადაა დამოკიდებული მუშის (ბრიგადის) შრომის შედეგი. რადგან სამუშაო ადგილის რაციონალურად მოწყობა, დაგეგმვა, აღჭურვა და მომსახურების სწორი ორგანიზაცია ხელს უწყობს შრომის კეთილმოწყობილი პირობებით, მოწინავე მეთოდების, ხერხების, შრომითი ილეთების გამოყენებას, სამუშაო დროის რაციონალურად გამო-

ყენებას, მუშაობის პროცესში მუშის ზედმეტი მოძრაობებისა და მოქმედების აღმოფხვრას, მუშის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაძაბულობის შემცირებას და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უფრო რაციონალურად არის მოწყობილი სამუშაო ადგილი, მით მოხერხებულად და რიტმულად მიმდინარეობს მუშაობა და მაღალია მუშის შრომის ინტენსიურობა და ნაყოფიერება. სამთო ტყის მეურნეობაში ტყის კულტურების წარმოების დროს სამუშაო სეზონურობისა და რელიეფური პირობების გამო სამუშაო ადგილი იყოფა დროებით, ანუ მოძრავ და მუდმივ სამუშაო ადგილებად.

დროებითი სამუშაო ადგილი ეწოდება ფართობს, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში სრულდება სამუშაოს რომელიმე ოპერაცია. ასე, მაგალითად: ნიადაგის მოხვნა, თესვა, დარგვა, შევსება, ტყის კულტურების მოვლა და სხვ. მართალია, ეს პროცესები ერთ სამუშაო ადგილზე სრულდება სხვადასხვა აგროსატყეო ვადებში, მაგრამ ერთი ოპერაციის დამთავრების შემდეგ წარმოებს მუშების გადანაცვლება სხვა სამუშაო ადგილზე, რომელიც საჭიროებს შრომის საგნებისა და საშუალებების ხელმეორედ სათანადო მოწყობას.

მუდმივი სამუშაო ადგილი წარმოადგენს ისეთ ფართობს, სადაც სამუშაო პროცესი მიმდინარეობს მუდმივად, ასეთებია ფართო მოხმარების საამქროები, მუდმივი სანერგეები და სხვ. ტყის კულტურების გაშენების დროს როგორც დროებითი, ასევე მუდმივი სამუშაო ადგილის სწორად მოწყობასა და მოხმარების ორგანიზაციაზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას (ტყის კულტურების წარმოების ციკლი, შრომის შესრულების წესი, შესასრულებელი ოპერაციების ოდენობა, ადგილის რელიეფური პირობები და სხვ.), რომელთა სრული ლიკვიდაცია ძალზე ძნელია. მიუხედავად ამისა, როგორც დროებით, ისე მუდმივი სამუშაო ადგილის მოწყობის დროს შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საერთო მიმართულება, რომლებზეც დამოკიდებულია შრომის ორგანიზაციის დონე. მათ რიცხვს ეკუთვნის: სამუშაო ადგილების აღჭურვილობა, მათი სივრცობრივი დაგეგმვა და მომსახურების სისტემა.

ტყის კულტურების გაშენების დროს სამუშაო ადგილების აღჭურვილობაში შედის ძირითადი და დამხმარე მოწყობილობა, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული აღჭურვილობა. ჩატარებული დაკვირვებებით დადგენილია, რომ ტყის კულტურების წარმოების დროს ხშირად იყენებენ სხვადასხვა სამარჯვეებს. ინსტრუმენტებსა და ტარას, რომელიც არ შეესაბამება მუშის მუშაობის ხერხებსა და ილეთებს. სამუშაო ადგილის აღჭურვა არასწორი იარაღებითა და ინსტრუმენტებით იწვევს მუშის მოცდენას, ზედმეტი დროისა და ფიზიკური ძალის ხარჯვას, მალე დაღლასა და შრომისუნარიანობის შემცირებას. ასე, მაგალითად, ხაშურის სატყეო მეურნეობაში ტყის კულტურების დარგვის დროს სარგავი მასალა (ნერგები) მოთავსებული იყო მუყაოს ყუთში, რომლის გადატანაც სამუშაო ადგილზე საჭიროებისამებრ ერთ მუშას არ შეეძლო, საჭირო იყო ორი მუშა. ასეთი წესით მუშაობის დროს ცვლაში დროის დანაკარგი შეადგენდა 22%-ს. ჩვენ მიერ ყუთები შეცვლილი იყო ვედროებით, რომლის ზიდვა თა-

ვისუფლად შეეძლო ერთ მუშას. ასეთი წესით შესრულებულ სამუშაოზე დროის დანახარჯი შემცირდა 6%-მდე, ხოლო გაიზარდა ოპერატიული დრო და შესაბამისად ამაღლდა დღიური გამომუშავებაც.

ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოების ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მარტო სამუშაო ადგილის ამა თუ იმ აღჭურვილობის არსებობაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად რაციონალურადაა ის განლაგებული, ე. ი. სამუშაო ადგილის დაგეგმვაზე. სამუშაო ადგილის დაგეგმვა არის მოწყობილობის, ინსტრუმენტების, სარგავი ან სათესი მასალისა და სხვა საჭირო საგნების რაციონალური განლაგება შრომის გამოყენების ზონაში. სამუშაო ადგილის დაგეგმვა საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ ზედმეტი მოძრაობანი მუშაობის პროცესში, თანაბრად გავანაწილოთ მუშაობის ორგანიზმის ფიზიკური დატვირთვა, რაციონალურად გამოვიყენოთ დრო და ფიზიკური ენერგია. ძალზე მნიშვნელოვანია, როცა სამუშაო ადგილის დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღება ცალკეული სამარჯვებისა და ინსტრუმენტების გაბარიტული ზომები მუშის ანტროპომეტრიულ მონაცემებთან შეხამებით. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მუშის სწორ მოძრაობასა და სამუშაო პოზის (ჯდომა, დგომა, მოღუნული) სრულყოფას.

სამუშაო ადგილის სწორად მოწყობა დიდად არის დამოკიდებული მის მომსახურების ორგანიზაციაზე. სამუშაო ადგილის მომსახურების სწორი ორგანიზაცია შეადგენს შემადგენელ ნაწილს წარმოების მომსახურებისა, ამიტომ სატყეო მეურნეობების მომსახურების მეცნიერული სრულყოფა წარმოადგენს ამავე დროს სამუშაო ადგილის მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფასაც. სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე სამუშაო ადგილის მომსახურების ორგანიზაციის ქვეშ იგულისხმება ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მის დროულად და რითმულად მომარაგებას სათესი და სარგავი მასალით, საჭირო ინვენტარით, მუშებისათვის საჭირო შრომის საგნებითა და საშუალებებით. შრომის დაყოფისა და კოოპერაციის რაციონალური ფორმების შემუშავებასა და დანერგვას, დამხმარე მუშების პროფესიებისა და ფუნქციების შეთავსებას. მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფის დროს საჭიროა განისაზღვროს ცალკეული მუშისა და ბრიგადის ოპტიმალური რაოდენობა, შემუშავდეს მუშაობის მარშრუტების გრაფიკების, განრიგების რაციონალური სქემები.

სამუშაო ადგილის სწორად მოწყობისა და მისი მომსახურების სრულყოფის მიზნით ჩვენ მიერ ხაშურის სატყეო მეურნეობაში ტყის კულტურების გაშენების სამუშაოებზე ჩატარებულ იქნა სამუშაო დროის ფოტოგრაფია და მიღებული მონაცემების საფუძველზე შედგენილ იქნა ფოტორუკა (ცხრ. 1).

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოირკვა, რომ ხაშურის სატყეო მეურნეობაში ფიჭვის ორწლიანი ნერგების დარგვაზე ორგანიზაციული მიზეზით დროის დანაკარგებს უკავია 8.5%, დროის ეს დანაკარგები ძირითადად გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

დროულად არ წარმოებდა სამუშაო ადგილზე სარგავი მასალის მოტანა მათი განაწილება სამუშაო ადგილზე არ წარმოებდა სწორად, რის გამოც ხშირად უხდებოდათ ზედმეტი მოძრაობების შესრულება, გარდა ამისა არ იყო უზ-

სამუშაო დროის სტრუქტურა და სტატისტიკური მახასიათებლები ფეხის ოპერაციის დარგებში
დარგებში ხაზურის საწყობ შეერთებაში

| სამუშაო დროის ელემენტები* | დაკვირვების განმეორებები | | | | | ჯამი | საშუალო სიდიდე | სტანდარტ. გადახრა | ვარიაც. კოეფ. | [illegible] | ნორმა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | . . . | 20 | | | | | | წუთი | % |
| მოსამზადებელ-დამამთავრებელი დრო | 12 | 13 | 12 | | 13 | 240 | 12 | 1,7 | 60 | 12±0,9 | 12 | 2,44 |
| ოპერატიული დრო | 356 | 360 | 353 | | 362 | 7200 | 360 | | | | 402 | 81,7 |
| სამუშაო ადგილის მომსახურებაზე დახარჯული დრო | 19 | 20 | 21 | | 20 | 2100 | 20 | 0,22 | 111 | 20±0,18 | 20 | 4,06 |
| სულ მუშაობა | 387 | 393 | 391 | | 396 | 7840 | 392 | — | — | — | 434 | 88,2 |
| მუშის შესვენებაზე დახარჯული დრო | 48 | 49 | 46 | | 49 | 960 | 48 | 0,13 | 369 | 48±0,29 | 48 | 9,77 |
| პირად მოთხოვნილებისათვის საჭირო დრო | 12 | 10 | 12 | | 9 | 200 | 10 | 0,64 | 34,5 | 10±0,29 | 10 | 2,03 |
| ორგანიზაციული მიზეზებით დაკარგული დრო | 45 | 40 | 43 | | 39 | 840 | 42 | — | — | — | | |
| სულ შეწყვეტები | 105 | 99 | 101 | | 97 | 2000 | 100 | — | — | — | 58 | 11,8 |
| ცვლის ხანგრძლივობა | 492 | 492 | 492 | | 492 | 9880 | 492 | — | — | | 492 | 100 |
| შესრულებული სამუშაოს მოცულობა (—ცალი) | 425 | 430 | 428 | | 434 | 8600 | 430 | — | — | — | | |

*) სამუშაო დროის დანახარჯები ელემენტების მიხედვით მოცემულია წუთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრუნველყოფილი სამუშაო იარაღებით მომარაგება, მუშებს უხდებოდათ ბარის წამოღება სახლიდან, ზოგ მუშას მოჰქონდა მოძველებული ბარი, რომელიც საჭიროებდა მუშაობის პერიოდში ხშირად ალესვას. მუშებს არ გააჩნდათ ნერგების გასხვლისათვის საჭირო მაკრატელი, მის მაგივრად იყენებდნენ დანას, რაც მოითხოვდა ორი მუშის დასაქმებას ერთ ოპერაციაზე.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ჩვენ მიერ რეკომენდებულ იქნა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შემდეგი ღონისძიებები:

1. ტყის კულტურების დარგვის დროს მუშაობის დამთავრების შემდეგ ყველა სამუშაო იარაღი (ბარი, ვედრო, წყლის ჭურჭელი, ქლიბი, საფხეკი, მაკრატელი და სხვ.) ბარდებოდა ტყის მცველს, რომელიც პასუხისმგებელი იყო შენახვასა და მოვლაზე. იგი ყოველდღიურად ამოწმებდა მათ და საჭიროებისამებრ არემონტებდა.

2. სამუშაო ადგილზე დროულად იქნა მომარაგებული სარგავი მასალა და სწორად იქნა განლაგებული, რამაც ხელი შეუწყო ზედმეტი მოძრაობებისა და მოქმედების აღმოფხვრას.

3. წინასწარ იქნა შედგენილი სამუშაო ადგილის რაციონალურად მოწყობისა და მომსახურების ტექნოლოგიური სქემა.

აღნიშნული ღონისძიებების დანერგვით აღმოიფხვრა დროის დანაკარგები და გაიზარდა ოპერატიულობა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეზარდა მუშის დღიური გამომუშავების ნორმა. კერძოდ არსებული ნორმების თანახმად ფიჭვის ორწლიანი ნერგების დარგვა მძიმე ნიადაგებზე 11—12° დაქანების პირობებში შეადგენდა 410 ცალს, ხოლო ღონისძიებების დანერგვის შემდეგ კი 482 ცალს. გამომუშავების დღიური ნორმის გაზრდის შედეგად წლიური ეკონომია გამოანგარიშებულ იქნა ფორმულით:

$$Э=\left(p_1-p_2\right)\left(1+\frac{a}{100}\right)\left(1+\frac{b}{100}\right)v$$

სადაც $p_1$ არის ღონისძიებების დანერგვამდე ერთეული სამუშაოს ღირებულება და შეადგენს 2,97 : 410=0,72 კაპ.

$p_2$—ღონისძიებების დანერგვის შემდეგ ერთეული სამუშაოს ღირებულება და შეადგენს 2,97 : 428=0,61 კაპ.

$a$—არის დამატებითი ხელფასის პროცენტი და უდრის 2%.

$b$—სოცდაზღვევის პროცენტი და შეადგენს 4,7 %.

$v$—წლიური სამუშაოს მოცულობა 158000 ცალი.

თუ მიღებულ მონაცემებს ჩავსვამთ ფორმულაში გვექნება:

$$Э=\left(0,72-0,61\right)\left(1+\frac{2}{100}\right)\left(1+\frac{4,7}{100}\right)15800=0,107\cdot158000=169,05 \text{ მან.}$$

გამომუშავების დღიური ნორმების გაზრდით შრომატევადობა შემცირდა 15%-ით, ხოლო შრომის ნაყოფიერება კი გაიზარდა 17,7%-ით.

ამრიგად, ტყის კულტურების წარმოების ორგანიზაციის ყოველ უბანზე უნდა შეიქმნას პირობები უწყვეტი და რიტმული მუშაობისათვის, ტექნოლოგიური პროცესების საუკეთესოდ განხორციელებისა და შრომის ნაყოფიერების საზოგადოებრივად ნორმალური დონის პირობებში სამუშაო დროის [illegible] შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების, არსებული ტექნიკისა და სხვა საშუალებების მაღალი ეფექტიანობითა და სრული გამოყენებისათვის. ყოველ სამუშაო ადგილზე უნდა შეიქმნას ადამიანის შრომისათვის ხელსაყრელი პირობები, უზრუნველყოფილი იქნეს შრომის უსაფრთხოება, უფრო მიმზიდველი გახდეს შრომა.

А. А. ЗЕДГИНИДЗЕ

## ПУТИ УЛУЧШЕНИЯ ОРГАНИЗАЦИИ ТРУДА НА ЛЕСОКУЛЬТУРНЫХ РАБОТАХ ДЛЯ ГОРНЫХ УСЛОВИЙ ГРУЗИИ

**(на примере некоторых лесхозов Грузии)**

### Резюме

Лесокультурные работы в горных условиях относятся к очень трудоемким и дорогостоящим видам работ. Поэтому правильное решение вопроса улучшения организации труда на этих работах является одной из основных задач лесохозяйственного производства.

В работе дано современное состояние организации труда на лесокультурных работах в лесхозах Грузии и пути их улучшения. Разобран вопрос насколько правильно организовано рабочее место и его обслуживание.

Проведенными исследованиями установлено, что при посадке 2-х-летних саженцев сосны, в результате неправильной организации труда на лесокультурных работах и низкого уровня обслуживания, потери рабочего времени составляли по Хашурскому лесхозу до 8,8%. После проведения соответствующих мероприятий производительность труда на этих работах возросла на 17,7%.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წელი

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასისტ. რ. ჩაჩუა

# ყურძნის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები მაიაკოვსკისა და ვანის რაიონების კოლმეურნეობებში

მაიაკოვსკისა და ვანის რაიონების კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მევენახობა წარმოადგენს. 1966—1969 წწ. მონაცემებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის სტრუქტურაში მევენახეობას მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში ეკავა 64,6%, ვანის რაიონის კოლმეურნეობებში კი 25,0%, სასაქონლო პროდუქციაში შესაბამისად 64,4 და 27,4%.

აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებში ვენახის ფართობი არ არის დიდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მევენახეობას ამ რაიონების კოლმეურნეობების ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია. ვენახის შედარებით მეტი ფართობებით (100 ჰა-ზე მეტი) ხასიათდება მაიაკოვსკის რაიონში: დაბა მაიაკოვსკის, წითელხევის ფრუნზეს სახელობის, როხის ლენინის სახელობის, დიმის სვერდლოვის სახელობის და დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობები, ხოლო ვანის რაიონში (70 ჰა-ზე მეტი) ზეინდარის, ბზვანის, გორას, ამაღლებას და დიხაშხოს კოლმეურნეობები. მაიაკოვსკის რაიონში საშუალოდ 1 კოლმეურნეობაზე მოდის 76 ჰა, ხოლო ვანის რაიონში 42 ჰა.

1966 წლის ბოლოს მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში სულ იყო 1084 ჰა ვენახი, მ. შ. მსხმოიარე 497,5 ჰა. 1969 წლის ბოლოსათვის კი 1140 ჰა, მ. შ. მსხმოიარე 643,8 ჰა. ვენახის საერთო ფართობი 1966—1969 წწ. გაიზარდა 5,15%-ით, ხოლო მსხმოიარე ვენახის ფართობი ამავე პერიოდში გაიზარდა 29,26%-ით. 1975 წლის გეგმით ვენახების საერთო ფართობი 1966 წელთან შედარებით გაიზრდება 1297 ჰა-მდე, ანუ 19,59%-ით, ხოლო მსხმოიარე 907 ჰა-მდე ანუ 84%-ით.

1966 წლის ბოლოს ვანის რაიონის კოლმეურნეობებში სულ იყო 859,97 ჰა ვენახი, მ. შ. მსხმოიარე 417 ჰა. 1969 წლის ბოლოსათვის კი 844,1 ჰა, მ. შ. მსხმოიარე 324,7 ჰა. ვენახის საერთო ფართობი 1966—1969 წწ. შემცირდა 1,85%-ით, ხოლო მსხმოიარე ვენახის ფართობი ამავე პერიოდში შემცირდა 22%-ით. აღნიშნული გარემოება გამოწვეული იყო ვენახის ნარგავთა ამორტიზაციით გადაბერების გამო. 1975 წლის გეგმით საერთო ფართობი 1966 წელთან შედარებით

გაიზრდება 1006,63 ჰა-მდე, ანუ 17,05%-ით, ხოლო მსხმოიარე ვენახის ფართობი გაიზრდება 576,48 ჰა-მდე, ანუ 38,25%-ით.

საჭიროა ვაზის კულტურის გაშენების საკითხს მაიაკოვსკისა და ვანის რაიონების კოლმეურნეობებში მეტი ყურადღება მიექცეს, რათა ზოგიერთ მეურნეობაში ვენახის ფართობის კლების ტენდენცია მატებამ შეცვალოს.

ყურძნის თვითღირებულების ანალიზისათვის ავიღეთ 1966—1969 წწ. მონაცემები. ყურძნის მოსავლიანობა და თვითღირებულება წლების განმავლობაში მერყეობით ხასიათდება.

ყურძნის მოსავლიანობა, საერთო მოსავალი და თვითღირებულება მაიაკოვსკისა და ვანის რაიონების კოლმეურნეობებში მოცემული გვაქვს 1-ელ და მე-2 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში ყურძნის მოსავლიანობა უდრიდა 1966 წ. 39,6 ც-ს, 1967 წ.—29,4 ც, 1968 წ.—28,3 ც, 1969 წ.—44,3 ც. შესაბამისი წლების მიხედვით საერთო მოსავალი უდრიდა: 1346, 1095, 1134 და 1930 ცენტნერს, ხოლო თვითღირებულება 23,6, 26,9, 29,5 და 25,3 მანეთს.

ვანის რაიონის კოლმეურნეობებში ყურძნის მოსავლიანობა უდრიდა 1966 წ. 32,2 ც-ს, 1967 წ.— 26,2 ც, 1968 წ—37,9 ც, 1969 წ..—70,2 ც, შესაბამისად საერთო მოსავალი უდრიდა: 780, 665, 744 და 1364 ცენტნერს, ხოლო თვითღირებულება 29,4, 31,3, 30,2 და 23,8 მანეთს.

რადგან საკვლევი რაიონების კოლმეურნეობების შემოსავლის მთავარი წყარო ყურძენი და მისგან მიღებული ფულადი შემოსავალია, ყურძნის თვითღირებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ კოლმეურნეობების დასახასიათებლად.

ყურძნის თვითღირებულება ეკონომიურ ფაქტორებთან ერთად დიდად არის დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე. წლების მიხედვით ადგილი აქვს განსხვავებულ მოსავლიანობას და ამის გამო თვითღირებულების საგრძნობ მერყეობასაც. ამიტომ თვითღირებულების ანალიზს მოვახდენთ ბუნებრივ და ეკონომიურ ფაქტორებთან კავშირში.

ცალკეული კოლმეურნეობების ყურძნის თვითღირებულების მაჩვენებლის რაიონის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ირკვევა, რომ როგორც წლების, ისე მეურნეობების მიხედვით, ადგილი აქვს დიდ განსხვავებას.

რაც შეეხება ერთნაირ ბუნებრივ პირობებში მყოფ კოლმეურნეობებში განსხვავებულ თვითღირებულებას, ეს აიხსნება არადამაკმაყოფილებელი სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობით.

იმისათვის, რომ ავხსნათ ყურძნის თვითღირებულების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მაჩვენებლის მიზეზი, შევუდაროთ ისინი იმ ფაქტორებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მის წარმოქმნაში.

თუ ყურძნის თვითღირებულებას მოსავლიანობას შევუდარებთ, დავინახავთ, რომ როგორც მაიაკოვსკის, ისე ვანის რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლიანობის ზრდასა და ყურძნის თვითღირებულებას შორის არსებობს უკუპროპორ-

ყურძნის მოსავლიანობა, საერთო მოსავალი და თვითღირებულება მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში (დინამიკაში)

| №№ რ/რ | კოლმეურნეობების დასახელება | 1966 წ. | | | 1967 წ. | | | 1968 წ. | | | 1969 წ. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოსავლიანობა ც | საერთო მოსავ. ც | თვითღირებ. მან. | მოსავლიანობა ც | საერთო მოსავ. ც | თვითღირებ. მან. | მოსავლიანობა ც | საერთო მოსავ. ც | თვითღირებ. მან. | მოსავლიანობა ც | საერთო მოსავ. ც | თვითღირებ. მან. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 1 | ქაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობა | 67,4 | 4190 | 19,9 | 52,1 | 3979 | 17,9 | 45,7 | 3941 | 22,6 | 67,1 | 6175 | 21,6 |
| 2 | ფერსათის სტალინის სახ. კოლ-ბა | 42,9 | 1510 | 25,9 | 36,0 | 1269 | 27,5 | 35,1 | 1201 | 26,3 | 45,0 | 2336 | 25,0 |
| 3 | ფერსათის მახარაძის სახ. კოლ-ბა | 38,0 | 1169 | 22,1 | 27,0 | 1003 | 30,3 | 19,5 | 818 | 39,0 | 35,4 | 1748 | 24,9 |
| 4 | წითელხევის ფრუნზეს სახ. კოლ-ბა | 44,4 | 2312 | 18,4 | 25,7 | 1451 | 32,5 | 26,4 | 1552 | 31,3 | 58,5 | 3072 | 28,1 |
| 5 | წითელხევის რუსთაველის სახ. კოლ-ბა | 53,6 | 1400 | 19,6 | 33,3 | 1002 | 23,5 | 31,7 | 1110 | 25,4 | 31,0 | 1794 | 24,5 |
| 6 | როკის ლენინის სახ. კოლ-ბა | 19,3 | 1121 | 33,0 | 12,9 | 811 | 35,3 | 16,0 | 1010 | 32,0 | 26,3 | 1839 | 23,9 |
| 7 | დიმის სვერდლოვის სახ. კოლ-ბა | 35,0 | 1709 | 23,0 | 16,6 | 1006 | 30,0 | 16,0 | 1106 | 28,9 | 41,6 | 2559 | 27,3 |
| 8 | „—" კალინინის სახ. კოლ-ბა | 51,0 | 2566 | 21,2 | 35,0 | 1973 | 25,0 | 31,0 | 2192 | 23,3 | 43,2 | 3271 | 27,2 |
| 9 | ობჩის დიმიტროვის სახ. კოლ-ბა | 41,2 | 638 | 25,0 | 30,0 | 533 | 30,5 | 30,6 | 642 | 40,9 | 44,0 | 1049 | 21,9 |
| 10 | ობჩის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა | 27,0 | 420 | 32,7 | 32,0 | 465 | 29,2 | 26,0 | 521 | 36,1 | 50,6 | 853 | 29,9 |
| 11 | ობჩის ლენინის სახ. კოლ-ბა | 19,6 | 486 | 25,5 | 17,0 | 434 | 29,0 | 17,3 | 473 | 47,1 | 25,0 | 818 | 33,7 |
| 12 | ობჩის ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა | 24,6 | 878 | 15,2 | 24,0 | 842 | 35,8 | 23,9 | 978 | 28,5 | 35,0 | 1558 | 20,9 |
| 13 | ზეგანის ჟდანოვის სახ. კოლ-ბა | 24,6 | 231 | 34,4 | 37,0 | 355 | 34,9 | 31,3 | 282 | 35,4 | 43,3 | 390 | 27,0 |
| 14 | „ "კიროვის სახ. კოლ-ბა | 27,0 | 135 | 23,8 | 37,4 | 187 | 39,2 | 31,6 | 158 | 28,0 | 38,4 | 192 | 30,5 |
| 15 | საკრეულის მაიაკოვსკის სახ. კოლ-ბა | 36,8 | 951 | 30,0 | 40,6 | 1097 | 27,2 | 34,3 | 927 | 27,3 | 48,0 | 1298 | 31,2 |
| 16 | საშუალოდ კოლმეურნეობებში | 39,6 | 1346 | 23,6 | 27,4 | 1095 | 26,9 | 28,3 | 1134 | 29,5 | 44,3 | 1930 | 25,3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურძნის მოსავლიანობა, საერთო მოსავალი და თვითღირებულება ვანის რაიონის კოლმეურნეობებში (დინამიკაში)

| №№ რიგ. | | 1966 წ. | | | 1967 წ. | | | 1968 წ. | | | 1969 წ. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოსავლიანობა ც | საერთო მოსავალი ათ. ც. | თვითღირებულება მან. | მოსავლიანობა ც | საერთო მოსავალი ათ. ც. | თვითღირებულება მან. | მოსავლიანობა ც | საერთო მოსავალი ათ. ც. | თვითღირებულება მან. | მოსავლიანობა ც | საერთო მოსავალი ათ. ც. | თვითღირებულება მან. |
| 1 | დაბა ვანის კოლ-ბა | 21,6 | 406 | 26,2 | 20,0 | 333 | 45,5 | 21,7 | 362 | 29,8 | 52,5 | 882 | 35,7 |
| 2 | ციხესულორის კოლ-ბა | 37,4 | 531 | 38,5 | 25,6 | 263 | 49,9 | 72,8 | 451,5 | 38,2 | 101,7 | 835 | 31,7 |
| 3 | მუქედის კოლ-ბა | 19,5 | 371 | 49,8 | 14,0 | 287 | 42,8 | 27,0 | 414 | 35,0 | 59,2 | 822 | 25,7 |
| 4 | მთისძირის კოლ-ბა | 23,5 | 485 | 45,5 | 15,4 | 308,0 | 41,4 | 21,2 | 387 | 45,3 | 46,5 | 743 | 27,1 |
| 5 | მეწყვის კოლ-ბა | 41,7 | 611,5 | 27,9 | 31,0 | 451,8 | 31,6 | 38,0 | 477,3 | 24,1 | 78,0 | 982,8 | 26,0 |
| 6 | ტობანიერის კოლ-ბა | 40,9 | 860 | 15,2 | 36,3 | 762 | 25,3 | 52,7 | 742 | 30,9 | 115,1 | 1612 | 25,3 |
| 7 | უხუთის კოლ-ბა | 9,0 | 81,5 | 45,0 | 9,9 | 92 | 53,4 | 14,1 | 93 | 52,2 | 28,9 | 190 | 37,6 |
| 8 | სალხინოს კოლ-ბა | 22,8 | 569 | 23,3 | 22,5 | 450 | 43,3 | 25,7 | 479 | 34,8 | 53,1 | 987,7 | 24,7 |
| 9 | დიხაშხოს კოლ-ბა | 33,5 | 1204 | 21,6 | 23,5 | 1106 | 25,7 | 31,2 | 1201 | 27,9 | 61,4 | 1969 | 22,8 |
| 10 | ბზვანის კოლ-ბა | 10,3 | 1859,5 | 28,5 | 34,7 | 1246,2 | 30,4 | 65,2 | 1764,4 | 29,2 | 90,0 | 3332,6 | 24,2 |
| 11 | ამაღლების კოლ-ბა | 16,9 | 440 | 30,1 | 11,1 | 301 | 32 | 18,0 | 361 | 36,5 | 34,7 | 694 | 31,6 |
| 12 | ზეინდრის კოლ-ბა | 54,3 | 2145 | 20,3 | 29,2 | 1157 | 21,4 | 52,0 | 1316 | 20,2 | 77,5 | 2737 | 20,3 |
| 13 | გორის კოლ-ბა | 36,1 | 1272,5 | 26,2 | 30,1 | 1037 | 26,1 | 35,5 | 1187 | 29,6 | 105,7 | 2272 | 16,3 |
| 14 | ფერეთის კოლ-ბა | 41,6 | 582,5 | 29,1 | 43,3 | 606 | 21,4 | 57,1 | 651 | 30,3 | 102,7 | 1171 | 24,9 |
| 15 | კოროვის კოლ-ბა | 33,3 | 971 | 39,7 | 26,0 | 654 | 36,2 | 44,8 | 753 | 36,0 | 96,9 | 1628 | 21,5 |
| 16 | საპრასიის კოლ-ბა | 45,6 | 821,6 | 32,2 | 49,6 | 893,2 | 24,4 | 55,4 | 876 | 28,4 | 84,2 | 1330 | 18,0 |
| 17 | რომანეთის კოლ-ბა | 35,1 | 386,5 | 38,7 | 40,0 | 476 | 30,9 | 46,5 | 391 | 30,4 | 80,5 | 592,7 | 19,8 |
| 18 | ეწერის კოლ-ბა | 23,7 | 515 | 31,5 | 30,9 | 670,8 | 15,7 | 35,5 | 639,4 | 24,5 | 26,5 | 740 | 19,3 |
| 19 | საშუალოდ კოლმეურნეობებში | 32,2 | 760 | 29,4 | 26,2 | 665 | 31,3 | 37,9 | 744 | 30,2 | 70,2 | 1364 | 23,8 |

ციული დამოკიდებულება, რომელიც გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილე-ბა. მოსავლიანობის ზრდასთან ერთად მცირდება თვითღირებულება [illegible] აღნიშნულის ნათელი მაგალითია დაბა მაიაკოვსკის, როხის, ტობან[illegible]მურის კოლმეურნეობების მაჩვენებლები. თუმცა ზოგჯერ, როგორც გამონაკ-ლისი, ადგილი აქვს ცალკეულ გადახრებსაც, მოსავლიანობის ზრდასთან ერთად იზრდება თვითღირებულებაც.

საერთოდ თვითღირებულების შემცირებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მაგრამ თუ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ იგი მოსავლიანობას დავუკავ-შირეთ, ეს იმიტომ, რომ საკვლევი რაიონების კოლმეურნეობებში მოსავლიანო-ბის სიდიდე ძირითადად განსაზღვრავს თვითღირებულების დონეს.

ის გარემოება, რომ ბუნებრივი პირობები მოქმედებენ ყურძნის მოსავლიანო-ბაზე და შესაბამისად თვითღირებულებაზე, ნათლად გვიჩვენებს 1966—1969 წწ. მაჩვენებლები. აღნიშნულ რაიონებში ამ წლებში ბუნებრივმა პირობებმა მე-ტად შეუწყო ხელი ვაზის კულტურის ზრდა-განვითარებას. მოსავლიანობა საგრ-ძნობლად გაიზარდა და შესაბამისად თვითღირებულება შემცირდა. პირიქით ში-ძლება ითქვას 1967—1968 წლების მიმართ. ბუნებრივი პირობების გავლენის შედეგია დანახარჯების საგრძნობი ცვალებადობა წლების მიხედვით, რომელიც მოდის 1 ც ყურძენზე ან თუნდაც ვაზის პლანტაციების თითოეულ ჰექტარზე.

ვუკავშირებთ რა მოსავლიანობის, და შესაბამისად, თვითღირებულების მა-ჩვენებლების მერყეობას ბუნებრივ პირობებს, არ შეიძლება, რომ გადაჭარბებუ-ლი მნიშვნელობა მივანიჭოთ მათ. მაგრამ თუ ჩვენ მათ მოქმედებას მაინც ხაზს გავუსვით, ეს იმიტომ, რომ ბუნება აქტიურ გავლენას ახდენს წარმოების პრო-ცესზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება, უფრო მეტად, ვიდრე სახალხო მეურნეო-ბის სხვა დარგები, დამოკიდებულია ბუნებაზე, უმთავრესად, კლიმატურ პირო-ბებზე, რომლებიც სოციალიზმის დროს თუმცა არ ითვლებიან სტიქიურ დაუძ-ლეველ ძალად, მაგრამ მაინც ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას (გვალვა, სეტ-ყვა და სხვ).

იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ თუ დანახარჯების რა ელე-მენტები განაპირობებს პროდუქციის თვითღირებულების დონეს და გამოვნა-ხოთ პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დანახარჯების შემცირების გზები, საჭიროა მოვახდინოთ თვითღირებულების სტრუქტურის ანალიზი.

საკვლევ რაიონებში 1 ც. ყურძნის თვითღირებულება და დანახარჯების შე-დგენილობა (დანახარჯების ძირითადი ელემენტების სტრუქტურა) წარმოდგენი-ლია მე-3 და მე-4 ცხრილებში.

ცხრილების მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ყურძნის თვითღირებულებაში მა-ღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილი შრომითი დანახარჯები და იგი 1966—1969 წლებში შეადგენს მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში 49,1%-ს, ხო-ლო ვანის რაიონის კოლმეურნეობებში 55,95%-ს.

თუ აღნიშნულ მაჩვენებლებს დავუმატებთ ხელფასის (შრომის ანაზღაურების თანხის) იმ რაოდენობას, რომელიც კომპლექსური მუხლების საშუალებით შედის ყურძნის თვითღირებულებაში, ცხადია, შრომის ანაზღაურების ხვედრითი წონა გაცილებით მეტი იქნება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ [illegible] ჯერ კიდევ დაბალია სამუშაო პროცესების მექანიზაციის დონე. სამუშაოს თითქმის 50—55% სრულდება ხელით, ადამიანის ფიზიკური შრომით.

ყურძნის თვითღირებულებაში შედარებით მცირეა დანახარჯები მინერალურ და ორგანულ სასუქებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მოსავლიანობის გადიდებისათვის.

თვითღირებულებაში სასუქების დანახარჯს მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში უჭირავს 3,33%, ხოლო ვანის რაიონის კოლმეურნეობებში 4.68%. აღნიშნული დანახარჯების ოდენობა ცალკეული წლებისა და კოლმეურნეობების მიხედვით განსხვავებულია. ეს განსხვავება იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი სასუქის (როგორც მინერალური, ისე ორგანულის) დანახარჯები ეწერება მთლიანად იმ წლის პროდუქციას, როცა ის შეაქვთ ნიადაგში, ხოლო მათი მოქმედება განისაზღვრება რამოდენიმე წლით.

ყურძნის თვითღირებულების ელემენტებს შორის მნიშვნელოვანია ცვეთის ღირებულება, რომლის სიდიდე დამოკიდებულია ვაზის ნარგავთა საბალანსო ღირებულებაზე.

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, თვითღირებულებაში ცვეთის თანხის ხვედრითი წონა მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში შეადგენს, 7,05%-ს, ხოლო ვანის რაიონის კოლმეურნეობებში—6,89%-ს.

თვითღირებულებაში ცვეთის თანხის ხვედრითი წონა მერყეობს და განსხვავებულია როგორც წლების, ისე საკვლევი რაიონების კოლმეურნეობების მიხედვით.

როგორც გამოირკვა, საკვლევი რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებში მაღალია საექსპლუატაციო ნარგავების საბალანსო ღირებულება, რაც ხელოვნურად ზრდის ცვეთის თანხას, ეს კი თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებაზე.

საამორტიზაციო ანარიცხების (ცვეთის) სწორად დარიცხვისა და მის შესაბამისად თვითღირებულების ზუსტად გაანგარიშებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია კოლმეურნეობებმა მოახდინონ ვაზის ნარგავების საბალანსო ღირებულების სწორად დადგენა.

ყურძნის თვითღირებულებაში გარკვეული ხვედრითი წონა უჭირავს სხვა პირდაპირ ხარჯებს, რაც მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში შეადგენს 17,94%-ს, ხოლო ვანის რაიონის კოლმეურნეობებში 9,47%-ს. როგორც ვხედავთ, საკვლევი რაიონების კოლმეურნეობებში და განსაკუთრებით მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში პირდაპირი ხარჯების ხვედრითი წონა ჯერ კიდევ მაღალია, რაც მუშაობის ნაკლოვანი მხარეა.

ყურძნის თვითღირებულებაში საგრძნობლად მაღალია არაპირდაპირი ხარჯების ხვედრითი წონა. დანახარჯების სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ იგი მაია-

ციტრუსის ცენტნერის თვითღირებულება და დანახარჯების შეფარდებითობა მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში (მანეთებში)

| | 1966 წ. | | 1967 წ. | | 1968 წ. | | 1969 წ. | | 1966—1969 წწ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მან-ით | % | მან-ით | % | მან-ით | % | მან-ით | % | მან-ით | % |
| საწარმოო თვითღირებულება | 23,63 | 100 | 26,94 | 100 | 29,53 | 100 | 25,27 | 100 | 26,34 | 100 |
| შრომის პირდაპირი ანაზღაურება დანარიცხებით | 2,28 | 52,00 | 14,36 | 53,30 | 14,32 | 48,50 | 10,83 | 42,46 | 12,95 | 49,10 |
| საწვავი და საცხები მასალები | 0,40 | 1,70 | 0,18 | 0,67 | 0,30 | 1,03 | 0,18 | 0,72 | 0,27 | 1,03 |
| მინერ. და ორგან. სასუქები | 0,80 | 3,40 | 1,05 | 3,90 | 0,96 | 3,25 | 0,60 | 2,77 | 0,85 | 3,33 |
| ძირითად საშუალებათა ცვეთა | 1,60 | 6,70 | 2,15 | 8,00 | 2,27 | 7,70 | 1,47 | 5,82 | 1,87 | 7,05 |
| ძირითად საშუალებათა მიმდინარე რემონტი | 0,60 | 2,54 | 0,70 | 2,60 | 0,53 | 1,80 | 0,35 | 1,38 | 0,54 | 2,08 |
| დანარჩენი პირდაპირი ხარჯები | 4,35 | 18,40 | 3,02 | 11,20 | 4,39 | 14,87 | 6,90 | 27,30 | 4,67 | 17,94 |
| I—სულ პირდაპირი ხარჯები | 20,02 | 84,84 | 21,46 | 79,67 | 22,77 | 77,15 | 20,33 | 80,45 | 21,15 | 80,53 |
| საერთო საწარმოო ხარჯები | 2,00 | 8,46 | 3,00 | 11,13 | 3,76 | 12,73 | 2,70 | 10,69 | 2,86 | 10,75 |
| საერთო-სამეურნეო ხარჯები | 1,60 | 6,70 | 2,48 | 9,20 | 3,00 | 10,12 | 2,24 | 8,86 | 2,33 | 8,72 |
| II—სულ არაპირდაპირი ხარჯები | 3,60 | 15,16 | 5,48 | 20,33 | 6,76 | 22,85 | 4,94 | 19,55 | 5,19 | 19,47 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 4

ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება და დანახარჯების შემცველობა ვანის რაიონის კოლმეურნეობებში (დინამიკაში)

| | 1966 წ. | | 1967 წ. | | 1968 წ. | | 1969 წ. | | [illegible] წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მან-ით | % | მან-ით | % | მან-ით | % | მან-ით | % | მან-ით | % |
| საწარმოო თვითღირებულება | 29,40 | 100 | 31,31 | 100 | 30,17 | 100 | 23,80 | 100 | 28,67 | 100 |
| შრომის პირდაპირი ანაზღაურება დანარიცხებით | 17,47 | 59,32 | 16,40 | 52,38 | 15,43 | 51,11 | 14,52 | 61,00 | 15,96 | 55,95 |
| საწვავი და საცხები მასალები | 0,34 | 1,16 | 0,34 | 1,10 | 0,30 | 1,00 | 0,12 | 0,50 | 0,28 | 0,96 |
| მინერ. და ორგან. სასუქები | 1,36 | 4,63 | 1,68 | 5,37 | 1,50 | 5,00 | 0,90 | 3,70 | 1,36 | 4,63 |
| ძირითად საშუალებათა ცვეთა | 2,12 | 7,21 | 2,34 | 7,47 | 2,40 | 8,00 | 1,11 | 4,90 | 1,99 | 6,89 |
| ძირითად საშუალებათა მიმდინარე რემონტი | 0,47 | 0,92 | 0,34 | 1,09 | 0,60 | 2,00 | 0,28 | 1,10 | 0,37 | 1,25 |
| დანარჩენი პირდაპირი ხარჯები | 0,91 | 3,10 | 4,68 | 14,94 | 2,64 | 8,73 | 2,66 | 11,10 | 2,72 | 9,47 |
| I—სულ პირდაპირი ხარჯები | 22,47 | 76,44 | 25,78 | 82,34 | 22,87 | 75,84 | 19,59 | 82,30 | 22,68 | 79,23 |
| საერთო საწარმოო ხარჯები | 3,81 | 12,95 | 3,30 | 10,54 | 4,0 | 13,26 | 2,21 | 9,30 | 3,33 | 11,51 |
| საერთო-სამეურნეო ხარჯები | 3,12 | 10,61 | 2,23 | 7,12 | 3,20 | 10,60 | 2,0 | 8,40 | 2,66 | 9,26 |
| II—სულ არაპირდაპირი ხარჯები | 6,93 | 23,56 | 5,53 | 17,66 | 7,30 | 24,16 | 4,21 | 17,70 | 5,99 | 20,77 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში შეადგენს 19,47%-ს, ხოლო ვანის რაიონის კოლმეურნეობებში 20,77%-ს.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ისეთ დანახარჯების შემცირებას, რომლებიც დაკავშირებულია არასაწარმოო პროცესებთან. თვითღირებულების შემცირებისათვის შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლენის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯების სწორად აღრიცხვა.

თვითღირებულების ანალიზის დროს მნიშვნელოვანია აგრეთვე გეგმური და ფაქტიური მაჩვენებლების ურთიერთშედარება. მუშაობის პერიოდში გეგმური მაჩვენებლების მზედველობაში მიღებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობაში ეკონომიის რეჟიმის განხორციელებისათვის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ყურძნის თვითღირებულების შემცირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეობაში მეჩხერიანობის ლიკვიდაციას. მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში 1969 წელს მეჩხერიანობა უდრიდა 27%-ს, ხოლო ვანის რაიონის კოლმეურნეობებში 28%-ს. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვაზის სიმეჩხერე საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას და მევენახეობაში გაწეული დანახარჯების ეკონომიურ ეფექტურობას, რადგანაც უშედეგოდ იხარჯება ფულად-მატერიალური საშუალებანი, ცდება მიწის ფართობები. აღნიშნული მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს მეჩხერიანობის სწრაფ ლიკვიდაციას, კაპიტალური რემონტის გზით დანაკლისი ძირების შევსებას.

საკვლევი რაიონების კოლმეურნეობების სამეურნეო საქმიანობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ კოლმეურნეობებს ყურძნის თვითღირებულების შემცირების ჯერ კიდევ მრავალი რეზერვი გააჩნიათ.

როგორც მაიაკოვსკის, ასევე ვანის რაიონის კოლმეურნეობებში ყურძნის თვითღირებულების შემცირების ძირითადი გზაა მოსავლიანობის გადიდება და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა. ყურძნის თვითღირებულების დონე გარკვეულ კავშირში იმყოფება მევენახეობის ინტენსიფიკაციის დონესთან. ინტენსიფიკაციის თანმიმდევრული განხორციელება მევენახეობის და მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა. როგორც მაიაკოვსკის, ისე ვანის რაიონის კოლმეურნეობებში, ნაყოფის მომცემი ვენახის ყოველ ჰექტარზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების ზრდას თან ახლავს მოსავლიანობის გადიდება და დანახარჯების შემცირება პროდუქციის ერთეულზე.

გარდა ზემოთ აღნიშნული პირობებისა, ყურძნის თვითღირებულების შემცირების ძირითად გზებს საკვლევი რაიონების კოლმეურნეობებში წარმოადგენს შრომისნაყოფიერების ამაღლება, საერთო და სასაქონლო პროდუქციის ზრდა, უნაყოფო ხარჯების სრული ლიკვიდაცია, შიგასამეურნეო ანგარიშის დანერგვა, კოლმეურნეობათა რენტაბელობის ამაღლება, დარგებისა და კულტურების რაციონალური შეთანაწყობა, მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრი გამოყენება და სხვ.

ასეთია მოკლედ ის წინადადებები, რომლებიც გამოვთქვით აღნიშნულ რაიონებში ყურძნის თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებით.

ჩვენი რწმენით, მათი პრაქტიკაში დანერგვა და განხორციელება შესაძლებელს გახდის კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პრინციპის განხორციელებას—პროდუქციის მაქსიმალურ წარმოებას მინიმალური დანახარჯებით.

Ассист. Р. Ш. ЧАЧУА

## СЕБЕСТОИМОСТЬ ВИНОГРАДА И ПУТИ ЕЕ СНИЖЕНИЯ В КОЛХОЗАХ МАЯКОВСКОГО И ВАНСКОГО РАЙОНОВ

**Резюме**

Виноградарство является ведущей отраслью сельского хозяйства в колхозах Маяковского и Ванского районов.

Наша задача состоит в том, чтобы наметить основные пути снижения себестоимости винограда и систематического повышения рентабельности виноградарства в колхозах указанных районов.

Себестоимость винограда, наряду с экономическими факторами, в значительной степени зависит также от природных условий. Исходя из этого, анализ себестоимости мы производили в тесной взаимосвязи воздействующих на нее природных и экономических факторов.

На основе анализа структуры себестоимости винограда, в статье намечены основные пути ее снижения, внедрение в практику которых позволит осуществить основной принцип коммунистического строительства — при минимальных затратах производить максимальное количество продукции.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. მარკოზაშვილი

# საწარმოთა განლაგებისას მშენებლობის ორგანიზაციის საკითხები

საწარმოთა განლაგებისას მშენებლობის ორგანიზაციის პრინციპების შემუშავების საკითხი თავისთავად წარმოადგენს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს. მის გადაწყვეტისას საქმე გვაქვს შესაძლო ვარიანტების დიდ რიცხვთან, რაც აპირობებს მათემატიკური პროგრამირების თანამედროვე მეთოდებისა და ელექტრონული გამოთვლითი მანქანების გამოყენების აუცილებლობას.

პირველ რეალურ ცდას, მსგავსი ამოცანებისათვის მიეყენებინათ შესაბამისი ალგორითმი, რომელიც მისაღები იქნებოდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის, წარმოადგენდა წრფივი პროგრამირების სატრანსპორტო ამოცანის ე. წ· ღია მოდელის შემუშავება. მაგრამ ასეთი გზით გადაწყვეტილი ამოცანა სამართლიანია მხოლოდ დროის გარკვეული მომენტისათვის, რაც ძალიან ზღუდავს ამოცანის გამოყენების შესაძლებლობას. ამოცანის ხასიათი გაცილებით სრულყოფილია მაშინ, როდესაც ის განიხილება არა ერთი, არამედ დროის ნებისმიერი მომენტისათვის, ე. ი. დინამიკაში.

ჩვენთვის საინტერესო ამოცანა ზოგადად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

თითოეული დანიშნულების პუნქტისათვის ცნობილია მოთხოვნილება თითოეული სახის პროდუქციაზე წლების მიხედვით. ცნობილია პუნქტები, რომლებშიაც უნდა განლაგდნენ საწარმოები აღნიშნული პროდუქციის გამოსაშვებად. მათ ვუწოდოთ მიმწოდებელი პუნქტები. თითოეული საწარმოსათვის ცნობილია წარმოების შესაძლო მოცულობები და აგრეთვე კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, სატრანსპორტო ქსელის განვითარებისათვის საჭირო მონაცემები.

თითოეული საწარმოსათვის გაანგარიშებულია პროდუქციის თვითღირებულება. ცნობილია ნედლეულის მიმწოდებელი პუნქტების განლაგება, ნედლეულის თვითღირებულება წლების მიხედვით. ამის გარდა, ცნობილია ნედლეულის თითოეული მიმწოდებელი პუნქტიდან პროდუქციის წარმოების თითოეულ პუნქტში ერთეულოვანი ნედლეულის გადატანაზე გაწეული ხარჯი· აგრეთვე პროდუქციის ერთეულის გადატანაზე გაწეული ხარჯი პროდუქციის წარმოების პუნქტებიდან დანიშნულების პუნქტებში.

მოითხოვება დადგინდეს საწარმოთა განლაგება, მათი სიმძლავრეები, ახალ საწარმოთა მშენებლობისა და უკვე არსებულის რეკონსტრუქციის რიგითობა და კონკრეტული ვადები, აგრეთვე სატრანსპორტო ქსელის განვითარება იმ ანგარიშით, რომ ჯერ ერთი, ყველა დანიშნულების პუნქტი დროულად დაკმაყოფილდეს პროდუქციის საჭირო რაოდენობით და მეორე, ამ პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები იყოს მინიმალური.

ამასთანავე, შემოგვაქვს შეზღუდვები, რომლებიც მოითხოვენ საწარმოებისა და მათი მშენებელი ორგანიზაციების მუშაობის რიტმულობას.

შევადგინოთ ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ამოცანის მათემატიკური მოდელი.

შემოვიღოთ ასეთი აღნიშვნები:

$n$—წარმოების შესაძლო პუნქტების რაოდენობა ($i=1, 2.., n$).

$m$—დანიშნულების პუნქტების რაოდენობა ($j=1, 2,..., m$).

$a$—პროდუქციათა სახეების რიცხვი ($l=1, 1,..., a$)

$T$—წლების რიცხვი გეგმურ პერიოდში ($t=1, 2,..., T$)

$r$—პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის სახეების რაოდენობა ($k=1, 2, .., r$).

$c$—ნედლეულის წარმოების შესაძლო პუნქტების რაოდენობა ($s=1, 2,...c$).

$f^l_{it}$—$i$-ურ პუნქტში $t$ წლის განმავლობაში $l$ სახის ნატურალური პროდუქციის წარმოების თვითღირებულება. ეს სიდიდე დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე $x^1_{it}, x^2_{it},..., x^a_{it}$ და არ შეიცავს ამორტიზაციის ანარიცხებს.

$F^k_{st}$—$s$—პუნქტში $t$ წლის განმავლობაში $k$ სახის ნედლეულის წარმოების თვითღირებულება.

$h^l_{itj}$—$t$ წლის განმავლობაში $i$-ური წარმოების პუნქტიდან $j$-ურ დანიშნულების პუნქტში $l$ სახის ერთეულოვანი პროდუქციის გადატანაზე გაწეული ხარჯები.

$H^k_{sti}$—ნედლეულის წარმოების $s$-ური პუნქტიდან პროდუქციის წარმოების $i$-ურ პუნქტში $t$ წლის განმავლობაში $k$—სახის ერთეულოვანი ნედლეულის გადატანაზე გაწეული ხარჯები.

$b^k_{st}$—$t$ წლის განმავლობაში $s$-ურ პუნქტში $k$ სახის ნედლეულის წარმოების მოცულობა.

$P^l_{it}$—$t$ წლის განმავლობაში $i$-ურ პუნქტში $l$ სახის პროდუქციის გამოსაშვებად საწარმოების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა.

$P_{t\text{ბ}}$—სატრანსპორტო ქსელის განვითარებაზე საჭირო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა $t$ წლის განმავლობაში.

$t^l_i$—$i$-ურ პუნქტში $l$ სახის პროდუქციის გამომშვები საწარმოს მშენებლობის დაწყების ვადა.

$T^l_i$—აღნიშნული საწარმოს მშენებლობის ხანგრძლივობა.

$t_{\text{ბ}}$ და $T_{\text{ბ}}$—ანალოგიური სიდიდეებია სატრანსპორტო ქსელის განსაზღვრული უბნის მიმართ.

$E_n$—კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობის ნორმატიული კოეფიციენტი.

$B^l_{jt}$—$j$-ური დანიშნულების პუნქტის მოთხოვნილება $l$ სახის [illegible] ციაზე $t$ წლის განმავლობაში.

$\lambda^l_k$—$k$ სახის ნედლეულის. რაოდენობა, რომელიც საჭიროა $l$ სახის ერთეული პროდუქციის საწარმოებლად.

$x^l_{it}$—$l$ სახის წარმოებული პროდუქციის რაოდენობა $i$-ურ პუნქტში $t$ წლის განმავლობაში (ამ სიდიდით ერთდროულად განისაზღვრება აგრეთვე $i$-ურ პუნქტში შესაბამისი საწარმოს გაშვების დრო). მხედველობაში მიიღება აგრეთვე $i$-ური პუნქტის იმ საწარმოს წარმადობა, რომელიც არსებობდა გეგმური პერიოდის დასაწყისში და უშვებდა გარკვეული რაოდენობის $l$ სახის პროდუქციას.

$x^l_{itj}$—$t$ წლის განმავლობაში $l$ სახის გადატანილი პროდუქციის რაოდენობა $i$-ური მიმწოდებელი პუნქტიდან $j$-ურ დანიშნულების პუნქტში.

$y^k_{sti}$—$k$ სახის ნედლეულის რაოდენობა, რომელიც იგზავნება $t$ წლის განმავლობაში ნედლეულის წარმოების $s$ პუნქტიდან პროდუქციის წარმოების $i$-ურ პუნქტში.

უნდა მოიძებნოს $x^l_{it}$, $x^l_{itj}$ და $y^k_{sti}$. სიდიდეების ისეთი მნიშვნელობები რომლებიც დააკმაყოფილებენ შემდეგ შეზღუდვებს:

$i$-ურ პუნქტში $t$ წლის განმავლობაში გამოშვებული $l$ სახის პროდუქციის რაოდენობა $x^l_{it}$ ტოლი უნდა იყოს ამავე პერიოდში აღნიშნული პუნქტიდან ყველა დანიშნულების პუნქტში გადატანილი საქონლის რაოდენობის, ე. ი. გვექნება

$$x^l_{it}=\sum_{j=1}^{m} x^l_{itj} \qquad (l=1,\ 2,\ldots,\ a;\ \ i=1,\ 2,\ldots,\ n).$$

მთელი გეგმური პერიოდისთვის კი

$$\sum_{t=1}^{T} x^l_{it}=\sum_{t=1}^{T}\sum_{j=1}^{m} x^l_{itj} \tag{1}$$

ერთი წლისთვის გვაქვს $a\cdot n$ განტოლება, $T$-სთვის კი $a\cdot n\cdot T$. შედგება აგრეთვე ისეთი შეზღუდვები: საჭიროა პროდუქცია ვაწარმოოთ ისეთნაირად, რომ დაკმაყოფილდეს $j$-ური დანიშნულების პუნქტის მოთხოვნილება $l$ სახის პროდუქციაზე $t$ წლის განმავლობაში.

$$B^l_{jt}=\sum_{i=1}^{n} x^l_{itj} \qquad (l=1,\ 2,\ldots,\ a;\ \ j=1,\ 2,\ldots,\ m)$$

მთელი გეგმური პერიოდისთვის კი გვექნება:

$$\sum_{t=1}^{T} B^l_{jt}=\sum_{t=1}^{T}\sum_{i=1}^{n} x^l_{itj} \tag{2}$$

ერთი წლისთვის გვაქვს $a \cdot m$ განტოლება, $T$ წლისთვის კი—$a \cdot m \cdot T$ განტოლება.

საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, აგრეთვე, რომ ყველა n მიმწოდებელ პუნქტში წარმოებული თითოეული სახის პროდუქციის რაოდენობა ტოლი უნდა იყოს ყველა m დანიშნულების პუნქტში მოთხოვნილი თითოეული სახის პროდუქციის რაოდენობისა. ეს გარემოება ნებისმიერი t წლისათვის ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\sum_{j=1}^{m} B^{l}_{jt} = \sum_{i=1}^{n} x^{l}_{it} \quad (l=1,\ 2, \ldots,\ a).$$

მთელი პერიოდისათვის კი ადგილი ექნება სისტემას

$$\sum_{t=1}^{T} \sum_{j=1}^{m} B^{l}_{jt} = \sum_{t=1}^{T} \sum_{i=1}^{n} x^{l}_{it} \tag{3}$$

ასეთ განტოლებათა რიცხვი ერთი წლისათვის იქნება $a$, ხოლო $T$-სთვის—$a \cdot T$.

ნედლეულის წარმოების s პუნქტში ნებისმიერი სახის ნედლეულის წარმოების მოცულობა t წლის განმავლობაში ტოლი უნდა იყოს პროდუქციის წარმოების პუნქტებში გადატანილი იმავე სახის ნედლეულის რაოდენობისა, ე. ი.

$$b^{k}_{st} = \sum_{i=1}^{n} y^{k}_{sti} \quad (k=1,\ 2, \ldots,\ r; \quad s=1,\ 2, \ldots,\ c)$$

მთელი გეგმური პერიოდისთვის კი გვექნება

$$\sum_{t=1}^{T} b^{k}_{st} = \sum_{t=1}^{T} \sum_{i=1}^{n} y^{k}_{sti} \tag{4}$$

განვიხილოთ ნამრავლი $x^{l}_{it} \cdot \lambda^{l}_{k}$. ის არის $i$-ურ პუნქტში $t$ წლის განმავლობაში $x^{l}_{it}$ რაოდენობის $l$ სახის პროდუქციის საწარმოებლად საჭირო $k$ სახის ნედლეულის რაოდენობა. ეს სიდიდე ტოლი უნდა იყოს ნედლეულის წარმოების პუნქტებში $t$ წლის განმავლობაში წარმოებული იმავე სახის ნედლეულის რაოდენობის, რაც ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$x^{l}_{it} \cdot \lambda^{l}_{k} = \sum_{s=1}^{c} y^{k}_{sti} \quad (s=1\ 2, \ldots,\ c; \quad k=1,\ 2, \ldots,\ r).$$

მთელი $T$ პერიოდისთვის კი სამართლიანი იქნება

$$\sum_{t=1}^{T} x^{l}_{it} \cdot \lambda^{l}_{k} = \sum_{t=1}^{T} \sum_{s=1}^{c} y^{k}_{sti} \tag{5}$$

ერთი წლისათვის განტოლებათა რიცხვი ტოლია $k \cdot s$-ის, $T$ წლისათვის — $k \cdot s \cdot T$-ის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა შევადგინოთ მიზნის ფუნქცია, ე. ი. ფუნქცია, რომლის ექსტრემალუ-რი მნიშვნელობის მოძებნაც მოითხოვება.

ცხადია, მასში უნდა შედიოდეს თითოეული სახის პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ხარჯები დროის ყოველი მომენტისათვის, აგრეთვე აღნიშნული პროდუქციის გადატანაზე გაწეული ხარჯები დროის იგივე მომენტისათვის მისი წარმოების თითოეული პუნქტიდან თითოეულ დანიშნულების პუნქტში. ყველაფერი ეს ანალიზურად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$\sum_{i=1}^{n} \sum_{j=1}^{m} \sum_{l=1}^{a} \sum_{(t^l_i+T^l_i)}^{T} \{[f^l_{it}(x^1_{it}, x^2_{it}, \ldots, x^a_{it}) + h^l_{itj}] \cdot x^l_{itj} \cdot [1+E_n]^{T-t}\}$$

სავსებით ანალოგიური გამოსახულება შედგება ნედლეულისათვისაც. მასში უნდა შევიდეს როგორც აღნიშნული ნედლეულის საწარმოებლად საჭირო ხარჯები დროის ყოველი მომენტისათვის, ასევე მისი გადაზიდვის ხარჯები ნედლეულის წარმოების პუნქტებიდან პროდუქციის წარმოების პუნქტებში დროის იგივე მომენტისათვის.

$$\sum_{s=1}^{c} \sum_{k=1}^{r} \sum_{i=1}^{n} \sum_{(t_s+T_s)}^{T} \{[F^k_{st}(b^1_{st}, b^2_{st}, \ldots, b^r_{st}) + H^k_{sti}] \cdot y^k_{sti} \cdot [1+E_n]^{T-t}\}$$

მიზნის ფუნქციაში უნდა შევიდეს კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, რომელიც საჭიროა პროდუქციის თითოეული წარმოების პუნქტის მშენებლობისათვის დროის ყოველ მომენტში, რაც გამოისახება შემდეგნაირად:

$$\sum_{i=1}^{n} \sum_{l=1}^{a} \sum_{(t^l_i+T^l_i)}^{T} \left[ \sum_{t^l_i}^{(t^l_i+T^l_i)} P_{it} \cdot (1+E_n)^{t^l_i+T^l_i-t} \right] \cdot [1+E_n]^{T-t^l_i-T^l_i}$$

მიზნის ფუნქციაში შევა აგრეთვე სატრანსპორტო ქსელის განვითარებასთან დაკავშირებული კაპიტალდაბანდებანი დროის ყოველი მომენტისათვის.

$$\sum_{i=1}^{n} \sum_{l=1}^{a} \sum_{(t_{\text{ბ}}+T_{\text{ბ}})}^{T} \left[ \sum_{t_{\text{ბ}}}^{(t_{\text{ბ}}+T_{\text{ბ}})} P_{t\text{ბ}} \cdot (1+E_n)^{t_{\text{ბ}}+T_{\text{ბ}}-t} \right] \cdot [1+E_n]^{T-t_{\text{ბ}}-T_{\text{ბ}}}$$

ამრიგად, მიზნის ფუნქცია მიიღებს ასეთ სახეს:

$$z = \sum_{i=1}^{n} \sum_{j=1}^{m} \sum_{l=1}^{a} \sum_{(t^l_i+T^l_i)}^{T} \left\{[f^l_{it}(x^1_{it}, x^2_{it}, \ldots, x^a_{it}) + h^l_{itj}] \cdot x^l_{itj} \cdot [1+E_n]^{T-t}\right\} +$$

$$+ \sum_{s=1}^{c} \sum_{k=1}^{r} \sum_{i=1}^{n} \sum_{(t_s+T_s)}^{T} \left\{[F^k_{st}(b^1_{st}, b^2_{st}, \ldots, b^r_{st}) + H^k_{sti}] \cdot y^k_{sti} \cdot [1+E_n]^{T-t}\right\} +$$

$$+\sum_{i=1}^{n}\sum_{l=1}^{a}\sum_{(t^l_i+T^l_i)}^{T}\left[\sum_{t^l_i}^{(t^l_i+T^l_i)} P^l_{it}\cdot(1+E_n)^{t^l_i+T^l_i-t}\right]\cdot[1+E_n]^{T-t^l_i-T^l_i}+$$

ეროვნული
ბიბლიოთეკა

$$+\sum_{i=1}^{n}\sum_{l=1}^{a}\sum_{(t_{\text{ნ}}+T_{\text{ნ}})}^{T}\left[\sum_{t_{\text{ნ}}}^{(t_{\text{ნ}}+T_{\text{ნ}})} P_{i\text{ნ}}\cdot(1+E_n)^{t_{\text{ნ}}+T_{\text{ნ}}-t}\right]\cdot[1+E_n]^{T-t_{\text{ნ}}-T_{\text{ნ}}} \quad (6)$$

ფუნქციონალში მოცემული სიდიდეები $[1+E_n]^{t^l_i+T^l_i-t}$ და $[1+E_n]^{T-t^l_i-T^l_i}$ დაკავშირებული არიან კაპიტალდაბანდებებთან, ხოლო გამოსახულება $[1+E_n]^{T-t}$ კი მიმდინარე ხარჯებთან. აღნიშნული სიდიდეების აზრი და მათი გამოთვლების მეთოდიკა დაწვრილებით არის მოცემული წიგნში Л. А. Вааг и С. Н. Захаров, Методы экономической оценки в энергетике, 1962 г".

საბოლოოდ, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოყალიბებულმა ამოცანამ მიიღო ასეთი მათემატიკური სახე:

უნდა მოიძებნოს $x^l_{it}$, $x^l_{itj}$ და $y^k_{st}$ ცვლადების ისეთი არაუარყოფითი მნიშვნელობები, რომლებიც აკმაყოფილებენ (1)—(5) შეზღუდვებს და (6) ფუნქციონალს ანიჭებენ მინიმალურ მნიშვნელობას.

განლაგების ამოცანის ზოგადი ამოხსნა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა განგვესაზღვრა პუნქტები, მათი სიმძლავრეები, საწარმოთა მშენებლობის რიგითობა, ჯერ კიდევ სავსებით არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. ჩვეულებრივად, იხილავენ ხოლმე, ამა თუ იმ აზრით, კერძო სახის ამოცანებს და ეძებენ მათ ამოხსნებს.

მაგალითად, განლაგების ამოცანის ამოხსნა შეიძლება გამარტივდეს, თუ წინასწარ ცნობილი იქნება გეგმური პერიოდის დამთავრებისათვის პუნქტების განლაგება და მათი სიმძლავრეები. მაშინ, მათ მივიღებთ რა გამოსავალ სიდიდეებად, გამოთვლების დროს ისინი შეიძლება ვცვალოთ ისეთნაირად, რომ დავადგინოთ მშენებლობის რიგითობა და ვადები.

მომავალი საწარმოების განლაგება და სიმძლავრეები შეიძლება დადგინდეს გეგმური პერიოდის ბოლო წელს მთელი პროდუქციის წარმოებაზე და ამ პროდუქციის გადაზიდვაზე გაწეული ხარჯების მინიმიზაციის გზით (კაპიტალდაბანდებათა გათვალისწინების გარეშე). ხშირად ეს იმის გარანტიასაც იძლევა, რომ გეგმური პერიოდის შემდეგ ადგილი არ ექნება ზარალს, რომელიც გამოწვეულია არარაციონალურ ადგილზე გაშენებული საწარმოს ექსპლუატაციით. ამ შემთხვევაში ფუნქციონალს, რომლის მინიმუმსაც ვეძებთ, გეგმური პერიოდის ბოლო წლისთვის ექნება შემდეგი სახე:

$$z=\sum_{i=1}^{n}\sum_{j=1}^{m}\sum_{l=1}^{a}[f^l_{iT}(x^1_{iT}, x^2_{iT},\ldots, x^a_{iT})+h^l_{iTj}]\cdot x^l_{iTj}+$$

$$+\sum_{s=1}^{c}\sum_{k=1}^{r}\sum_{i=1}^{n}[F^k_{sT}(b^1_{sT}, b^2_{sT},\ldots, b^r_{sT})+H^k_{sTi}]\cdot y^k_{sTi}.$$

მისი ამოხსნა შეიძლება წრფივი პროგრამირების სატრანსპორტო ამოცანის ღია მოდელის საშუალებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

В. И. МАРКОЗАШВИЛИ

## ВОПРОСЫ ОРГАНИЗАЦИИ СТРОИТЕЛЬСТВА ПРИ РАЗМЕЩЕНИИ ПРЕДПРИЯТИЙ


### Резюме

Как известно, вопросы организации строительства являются одним из актуальных вопросов планирования народного хозяйства.

Первой попыткой сформулировать данную задачу и найти соответствующий вычислительный алгоритм для размещения предприятий, была разработка т. н. открытой модели транспортной задачи линейного программирования.

Задача заключается в следующем: известна потребность для каждого пункта назначения по годам. Известны пункты, в которых можно разместить предприятия по выпуску употребляемой продукции всех видов, возможные объемы производства, а также капиталовложений. Известна себестоимость продукции в зависимости от вариантов объема производства и периода строительства, транспортные расходы. Известны затраты на перевозку единицы сырья из каждого пункта его производства к каждому пункту расположения будущих предприятий.

Ставится математическая задача: найти такое решение задачи, при котором все потребители в достаточном количестве во время были обеспечены соответствующей продукцией и суммарные затраты на продукцию были наименьшими.

Для решения указанной задачи применяется динамическая модель линейного программирования.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. LXXXIX, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. მესხი

# ალბერტ შვეიცერი კულტურის შესახებ

მეოცე საუკუნის მოაზროვნეთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს დიდი გერმანელი ჰუმანისტი ალბერტ შვეიცერი (1875—1965). მისი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულით, ადამიანობის იდეალისადმი სამსახურით. ბურჟუაზიული სამყაროს მოაზროვნეთა შორის მან ერთ-ერთმა პირველმა დაანახა მსოფლიოს როგორ უნდა გადალახოს ადამიანმა ცრურწმენანი და დადგეს ყოველგვარ შეზღუდულობებზე მაღლა.

შვეიცერის ბიოგრაფები და მკვლევარები ეპითეტებს არ იშურებენ მისი პიროვნების დასახასიათებლად. მას სიკეთისკენ სწრაფვის გამო ადარებენ დონკიხოტს, ადამიანებისადმი სიყვარულის გამო პრომეთეს. მის ცხოვრებას აფრიკაში თვლიან „შუქის მოვლენად ჯუნგლებისათვის". ყველა ამ ეპითეტს ერთი საერთო მნიშვნელი აქვს — ხაზი გაუსვას შვეიცერის პიროვნების სიდიადეს, ადამიანურობას. მართლაც, იგი ის შუქურა იყო, რომლისკენაც ყველა ჰუმანისტმა უნდა აიღოს თავისი მოღვაწეობის კურსი. იგი იყო გაელვება ბნელში, მან უჩვენა, რომ ადამიანი ვერ იქნება ღირსეული, თუ იგი ადამიანად არ ჩათვლის მისი გვარის ყველა არსებას. შვეიცერი არა მარტო პრაქტიკულად ეხმარებოდა ადამიანებს (საავადმყოფო ჰქონდა გახსნილი აფრიკის კონტინენტის პატარა ქვეყანაში—გაბონში და მკურნალობდა აფრიკელებს), არამედ თეორიულადაც ცდილობდა მათთვის დაესახა საუკეთესო მომავლის გზები. ამ მიზნით შექმნა მან თავისი შრომები კულტურის ფილოსოფიის სფეროში. შრომა „კულტურის ფილოსოფია" („კულტურის დაცემა და აღზევება") იწერებოდა მეოცე საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში და გამოვიდა 1923 წელს. ამავე წელს გამოდის კულტურის ფილოსოფიის მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი „კულტურა და ეთიკა". კულტურის ფილოსოფიის მესამე ნაწილი „მოძღვრება სიცოცხლის წინაშე მოკრძალების შესახებ" გამოვიდა 1963 წელს.

შვეიცერი, როგორც კულტურის ფილოსოფიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, კვლევის ძირითად ობიექტად ისახავს თანამედროვე კულტურასა და მის მომავალს. ამიტომ მნიშვნელოვანია, თუ როგორ ესმის მას კულტურის ცნება. საკითხის დასმა კულტურის ცნების შესახებ შვეიცერს გარდუვალად მიაჩნია და

უსაყვედურებს მის წინამორბედებს ამ საკითხის უგულებელყოფას. მისი აზრით, კულტურის საკითხი ყოველთვის უნდა მდგარიყო კაცობრიობის წინაშე და კულტურის არსიც გარკვეული უნდა ყოფილიყო. ეს საკითხი [illegible]ბულ მნიშვნელობას იძენს მეოცე საუკუნეში. «Однако сегодня, [illegible] бытия с неумолимостью ведут нас к осознанию того, что мы живем в условиях опасного смешения элементов культуры и бескультурия, нам надлежит — хотим мы того или нет — попытаться определить сущность подлинной культуры».

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის სფერო ადამიანის დამოკიდებულებათა არენაა, ეს დამოკიდებულება მოიცავს როგორც ადამიანის მიმართებას ადამიანთან, ასევე გარესამყაროსთანაც. ის, რაც მარქსის თეორიაში ისტორიის ორი განზომილებაა — ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან, შვეიცერისთვის იგი კულტურის ფენომენია.

შვეიცერის აზრით, ადამიანის დამოკიდებულებას ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან განსაზღვრავს ადამიანის ბრძოლა არსებობისათვის, რაც მას ესმის არა მხოლოდ როგორც ვიტალურ სიტუაციათა ერთობლიობა, არამედ ადამიანის დამკვიდრება სამყაროში, მისი გაბატონება გარე ბუნებაზე და მისი დაფუძნება საზოგადოებაში. რაც უფრო ძლიერია ადამიანის ბატონობა გარეშე ძალებზე, მით უფრო ნაკლებად უწევს მას ბრძოლა საკუთარი არსებობისათვის. ამრიგად, შვეიცერის აზრით, კულტურის არსება ორგვარია: გონების ბატონობა ერთი მხრივ ბუნებაზე, მეორე მხრივ ადამიანების მისწრაფებებსა და აზრებზე. ამ ბატონობის მიღწევის გზა პროგრესია. ეს უკანასკნელი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შვეიცერის აზრით, კულტურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც „პროგრესი, როგორც ინდივიდების, ასევე ყველა შესაძლებელი ერთობის მატერიალური და გონითი პროგრესი". პროგრესის გარეშე არაა კულტურა, მაგრამ პროგრესი მხოლოდ მაშინ გვაძლევს კულტურას, როდესაც იგი უმაღლეს მიზანს ექვემდებარება. თუ პროგრესი მატერიალური თვითმიზანი ხდება, მაშინ იქმნება კულტურის დამღუპველი სიტუაცია, სწორედ ისეთი, როგორიც თანამედროვე ვითარებაა, როდესაც ტექნიკის განვითარებამ, გონითი განვითარებისაგან მოწყვეტილობის ვითარებაში, კულტურის დაღუპვის რეალური საფრთხე შექმნა. კულტურის მატერიალური (ბუნებაზე ბატონობის სახით) და გონითი მხარე (ადამიანის შეხედულებებზე გონების ბატონობის სახით) წარმოადგენს კულტურის კომპონენტებს; საბოლოოდ ორივე გონითი პროცესია.

ამდენად, მატერიალურსა და გონიერს შორის განსხვავება შეფარდებითია და მხოლოდ იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მისი გზით ნაჩვენებია გონითი მხარის უპირატესობა მატერიალურის მიმართ. ბუნებასთან დამოკიდებულება მხოლოდ იმდენად მიაჩნია შვეიცერს მატერიალურად, რამდენადაც გონის ზემოქმედებაა მატერიაზე, მაშინ როდესაც ადამიანთან ადამიანის დამოკიდებულება გონზე გონის ზემოქმედებაა. ამ დამოკიდებულებაში გონების ბატონობა მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდები და ერთობანი თავიანთ სურვილებს შესაბამისობაში მოიყვანენ მთელი საზოგადოების მატერიალურ და გონით სიკეთეს-

თან, ე. ი. იმაში, რომ იგი ეთიკურია. ეს ნიშნავს, რომ კულტურაში ეთიკურია განმსაზღვრელი. ამრიგად, პროგრესი მაშინაა კულტურის მაჩვენებელი, როცა ეთიკურ მიზანს ემსახურება. რას ნიშნავს გამოთქმა: „პროგრესი ემსახურება ეთიკურ მიზანს?“ ეთიკურია ის მოქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანის და ინდივიდის გონითი სრულყოფისაკენ. კითხვაზე „რა არის კულტურა?“ შვეიცერი უპასუხებს: კულტურა არის ადამიანისა და კაცობრიობის პროგრესთა ერთობლიობა იმ პირობით, რომ ეს პროგრესი ემსახურება ინდივიდის გონით სრულყოფას, როგორც პროგრესთა პროგრესს: «Что такое культура? Культура — совокупность прогресса человека и человечества во всех областях и направлениях при условии, что этот прогресс служит духовному совершенствованию индивида как прогрессу прогрессов».

აქ შვეიცერი მსჯელობს ყველა სახის პროგრესზე, მაგრამ შემდეგ აკონკრეტებს კულტურისთვის მნიშვნელობის მქონე პროგრესის სახეებს და აღნიშნავს: მთავარია სამი სახის პროგრესი — შემეცნებისა და პრაქტიკის, საზოგადოებასთან ადამიანის ერთიანობისა და გონის პროგრესი. ამ სამში კი ეს უკანასკნელია განმსაზღვრელი. დანარჩენი მას უნდა ემსახურებოდეს. ამ თვალსაზრისით კულტურის განსაზღვრება შვეიცერთან ასეთ სახეს იღებს: «Совершенная культура если ее определять внешне, чисто эмпирически, заключается в том, что в мире реализуются все возможные виды прогресса познания и практики, а также приобщения человека к обществу, что затем оказывает влияние на внутреннее духовное совершенствование человека как на собственную и последнюю цель всякой культуры».

პროგრესისადმი დამოკიდებულებაში კულტურის პოზიცია განისაზღვრება კულტურის იდეალებით. კულტურის შემადგენელი იდეალი ოთხია: 1. ადამიანის იდეალი; 2. სოციალური და პოლიტიკური ერთიანობის იდეალი; 3. რელიგიურ-გონითი ერთიანობის იდეალი; 4. კაცობრიობის იდეალი. შვეიცერის მიერ მოხაზულ ამ იდეალებში ჩანს მისი მსოფლმხედველობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი — რელიგიურობა, რაც ზოგიერთ მკვლევარს საფუძველს აძლევს მიაკუთვნოს იგი რელიგიის ძალებს. მაგრამ შვეიცერის მსოფლმხედველობის ძირითადი მოტივი არის არა რელიგიურობა, არამედ სიცოცხლისადმი დამოკიდებულება. იგი სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელია; მისი მსოფლმხედველობა სიცოცხლის წინაშე მოკრძალების, სიცოცხლისადმის თაყვანისცემის გამოხატულებაა. შვეიცერის აზრით კულტურაში განმსაზღვრელია სიცოცხლისადმი ნებელობა და ყველა სახის პროგრესი მხოლოდ მაშინ ემსახურება კულტურას, როდესაც ამტკიცებს სამყაროსა და ცხოვრების ყოფიერებას, როდესაც უმაღლეს ღირებულებას სიცოცხლე წარმოადგენს. კულტურის შვეიცერისეული ერთი განსაზღვრება ამტკიცებს, რომ დასავლეთის ადამიანისთვის კულტურა არის საკუთარი თავისა და სამყაროს სრულყოფილებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელსაც ასულდგმულებს სიცოცხლისადმი ნებელობა. ამდენად, შვეიცერს შესა[illegible]ებლად მიაჩნია კულტურა განსაზღვროს, როგორც ცალკეული ადამიანებისა და მთელი კაცობრიობის ცნობიერების სიცოცხლისადმი მოკრძალების გრძნობით გამსჭვალვა. კულტურის საბოლოო განსაზღვრება შვეიცერთან შემდეგ სახეს ღებულობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

«Культура есть не что иное, как наиболее полное развитие воли к жизни, происходящее вследствие всех доступных человеку и человечеству видов прогресса воли к жизни, которая испытывает благоговение перед жизнью во всех ее проявлениях в сфере деятельности человека и которая стремится к совершенствованию в духовности благоговения перед жизнью».

კულტურის გაგებაში შვეიცერი აკრიტიკებს შპენგლერის თეორიას, რომლის მიხედვითაც კულტურის საპირისპირო იყო ცივილიზაცია. შვეიცერის აზრით, ასეთი დაყოფა უსაფუძვლოა, რადგან ცივილიზაცია იმავეს ნიშნავს, რასაც კულტურა. მათ შორის განსხვავებას არა აქვს არც ისტორიული და არც ლინგვისტური საფუძველი. შეიძლება ვიმსჯელოთ ეთიკურ და არაეთიკურ კულტურაზე ან ცივილიზაციაზე, მაგრამ არა კულტურისა და ცივილიზაციის დაპირისპირებაზე. კულტურის ცნება წარმოადგენს შვეიცერის აზროვნების ამოსავალს და მისი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელს.

მისი აზრით, კულტურა, როგორც გონითი ფენომენი, ემყარება გონისეულ მოვლენებს. უპირველესად ასეთი საყრდენია მსოფლმხედველობა. იგი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს მსოფლმხედველობას კულტურის განვითარებაში. თუ ჰეგელი ამბობდა, რომ ხალხის განვითარების საზომი მისი მსოფლმხედველობაა და ფილოსოფია—ეს არის ეპოქა აზრებში, შვეიცერმა ეს პრინციპი უბადლოდ განავითარა. მისი შეხედულებით, კულტურის შემქმნელია გონი, გონის ერთ-ერთი ძირეული ამოცანა კი მსოფლმხედველობის შექმნაა, რადგან მსოფლმხედველობით ფუძნდება ეპოქის იდეები და საქმენი. მსოფლმხედველობა, ფილოსოფია, არის გონის მქადაგებელი და მისი გუშაგი. მან უნდა დააფუძნოს კულტურის იდეალები. მსოფლმხედველობა ცნობიერი უნდა იყოს, იგი კულტურას კი არ უნდა მისდევდეს, არამედ გზას უნათებდეს მას. „საზოგადოებისა და ინდივიდისათვის მსოფლმხედველობის გარეშე ცხოვრება წარმოადგენს ორიენტირების უმაღლესი გრძნობის პათოლოგიურ დარღვევას“. შვეიცერის აზრით, ყოველი ადამიანური არსების პიროვნებამდე ამაღლების აუცილებელი პირობაა საკუთარი მსოფლმხედველობის გამომუშავება, ისევე როგორც ყოველი სიცოცხლისუნარიანი საზოგადოება საკუთარი მსოფლმხედველობის მატარებელი უნდა იყოს. მოკლედ, კულტურის მიზეზი მსოფლმხედველობაა და ამდენად შეუძლებელია მისი გადაფასება; მათ შორის მჭიდრო კავშირია — „Между культурой и мировоззрением существует тесная связь. Культура является продуктом оптимистически-этического мировоззрения».

რა არის მსოფლმხედველობა და როგორ შეიძლება იგი კულტურის ქმედითი ძალა იყოს? ამ კითხვას სვამს შვეიცერი და პასუხში სავსებით მართებულად ასახელებს მსოფლმხედველობის ძირითად ნიშნებს: «Что такое мировоззрение. Совокупность волнующих общество и человека мыслей о сущности окружающего мира, о положении и назначении человечества и человека в нем. Что означает общество, в котором я живу, и я сам, живущий в мире? Что мы хотим видеть в нем? Чего ждем от него?

მსოფლმხედველობის შინაარსი და ამოცანაა „განსაზღვროს ჩვენი არსებობის საზრისი და კაცობრიობის დანიშნულება“. შვეიცერის აზრით, ჩვენი ნებელობისა და ცოდნის უკანასკნელი საგანი სიცოცხლეა, ამიტომ მსოფლმხედველობის ამოცანაა სიცოცხლის გააზრებული განცდა. საკითხი ეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს მსოფლმხედველობა, რომ მას შეეძლოს გახდეს კულტურის შემოქმედი ძალა. მსოფლმხედველობისადმი უპირველესი მოთხოვნაა სიცოცხლისუნარიანობა; იგი არ უნდა იყოს წარსულის მემკვიდრეობის უბრალო გადმოტანა, ანდა არსებული ვითარების მჭვრეტელი და მაფიქსირებელი. იგი უნდა აქტიური იყოს სინამდვილის მიმართ. მას უნდა ჰქონდეს სინამდვილის გარდამქმნელი ძალა. ამით შვეიცერი უახლოვდება მსოფლმხედველობის მარქსისტულ დახასიათებას, კერძოდ იმ შეხედულებას, რომელიც გადმოცემულია „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალსა“ და „თეზისებში ფოიერბახის შესახებ“

შვეიცერის აზრით, მსოფლმხედველობა არ უნდა იყოს ავტორიტარული. ყოველი პიროვნება თუ სოციალური ერთობა საკუთარი გააზრების გზით მიღებულ მსოფლმხედველობას უნდა ატარებდეს. მსოფლმხედველობა უნდა იყოს კულტურისა და ეპოქის მიერ დაყენებულ პრობლემატიკაზე საზრისიანი და გაცნობიერებული პასუხი.

შეასრულა თუ არა მსოფლმხედველობამ თავისი მისია თანამედროვე კულტურის მიმართ? შვეიცერის აზრით, თანამედროვე კულტურის კრიზისის მიზეზი და ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ფილოსოფიამ ვერ შეძლო გამოემუშავებინა საჭირო მსოფლმხედველობა. ფილოსოფია მთლიანად ისტორიისა და ბუნებისმეცნიერების თეორიის სფეროში აღმოჩნდა დასაქმებული. ფაქტიურად იგი გახდა ფილოსოფიის ისტორია და ფიზიკის თეორია. იმის ნაცვლად, რომ მას კულტურის ორიენტირის როლი ეთამაშა, თვითონ წარსულზე აიღო ორიენტირება და წარსულის სისტემების გადმოცემით შემოიფარგლა. იგი იქექებოდა თავის მდიდარ საკუჭნაოში და ხარჯავდა იმ ოქროს ზოდებს, რომელნიც წარსულში დააგროვა, ისე, რომ არ შეუქმნია ახალი იდეები და, მაშასადამე, არ მოუმარაგებია ახალი ზოდები. „ფილოსოფია პენსიაში გავიდა“ და მას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ეპოქის გონითი შიმშილი. იმის ნაცვლად, რომ გაეცნობიერებინა კულტურის კრიზისი და ამით შეესრულებინა კულტურის გუშაგის მოვალეობა, ფილოსოფიამ მიიძინა და თვითონაც ჩაეფლო იმ ჭაობში, რომელშიც კულტურა მოექცა. ფილოსოფია მოსწყდა ცხოვრების პრობლემებს და ამრიგად — კულტურასაც. ფილოსოფიამ ვერ გააცნობიერა, რომ საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების პროგრესს მექანიკურად არ მოსდევს კულტურის აყვავების შესაძლებლობა, რომ ეკონომიური ცხოვრების პროგრესის ზრდის კვალობაზე კულტურის აყვავების შესაძლებლობა მცირდება. ადამიანი, რომელიც მოკლებული აღმოჩნდა ქმედით ფილოსოფიას, მთლიანად მოექცა ორგანიზებული საზოგადოების ტყვეობაში. ფილოსოფია მას არ დაეხმარა ამ საშიშროების გაცნობიერებაში. ადამიანი დარჩა მოწყენილობისა და უგზო-უკვლოდ ხეტიალის ვითარებაში. მოკლედ რომ ითქვას, კულტურას აკლდა მსოფლმხედველობა, რომელსაც იგი დაეყრდნობოდა და ამის გამო იგი საკუთარ ნიადაგს მოწყვეტილი აღმოჩნდა. ყოველთვის, როდესაც კულტურა კარგავდა მსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლმხედველობას, იგი უფსკრულის პირას დგებოდა. ასე იყო რომის იმპერიის ეპოქაში, ასეა თანამედროვე სიტუაციაშიც.

კულტურის კრიზისის ერთ-ერთ ნიშნად შვეიცერი მიიჩნევს წონასწორობის დარღვევას კულტურის ელემენტებს შორის. მისი აზრით, კულტურის მატერიალური ელემენტი ანუ ადამიანის დამოკიდებულება ბუნებისადმი დაქვემდებარებული უნდა იყოს გონითი ელემენტისადმი ადამიანთან ადამიანის დამოკიდებულების სახით. თანამედროვე კულტურაში კი პირიქითაა, აქ წინა პლანზე გამოდის ბუნებაზე გაბატონება, არნახული სისწრაფით ვითარდება ბუნებისმეცნიერება და ეკონომიური პოტენციალი. ბუნებას წარმატებით იმორჩილებენ მანქანებითა და ტექნიკით, მაგრამ არაა გონის ბატონობა ადამიანთა აზრებსა და რწმენაზე. ამიტომ არავითარი გარანტია არ არის, რომ ადამიანები ბუნებიდან გამოთავისუფლებულ ძალებს კვლავ ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოიყენებენ, და არ მოსპობენ კულტურას. კულტურის მატერიალური ელემენტის უსაზღვრო განვითარება, მეცნიერებისა და ტექნიკის სახით, გონითი ელემენტის ჩამორჩენილობის პირობებში, არის სწორედ წონასწორობის დარღვევა. ფაქტიურად კულტურის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გონით საწყისს აქვს, რადგან იგი აიარაღებს კულტურას იდეალებით, რომლებიც წარმართავს მის პროგრესს. მატერიალურ-ტექნიკურ მხარეს კი არაარსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ტექნიკის მეტნაკლები განვითარება არ ახდენს კულტურაზე არსებით გავლენას.

შვეიცერის აზრით, კულტურის რყევის ერთ-ერთი ძირეული ნიშანია ადამიანურობის კრიზისი, ადამიანს დღეს ახასიათებს ისეთი ნიშნები, რომელნიც არ შეესაბამება მის ბუნებას. უპირველეს ყოვლისა თანამედროვე ადამიანი აზროვნებადაკარგულია. ამიტომაც არ გააჩნია მას მსოფლმხედველობა. ადამიანს არ გააჩნია გარესამყაროსა და სხვა ადამიანების მიმართ საკუთარი პოზიცია, არ აქვს გარკვეული საკუთარი ყოფიერების საზრისი. ამით მისი ღირსება დაკარგულია, ის ფსიქიურად ტრავმირებულია. ადამიანი, რომელსაც თავისი მსოფლმხედველობით უნდა წამოეყენებინა კულტურის მატარებელი გონიერი იდეალები, მოკლებულია ამის შესაძლებლობას და ვერ ქმნის არაბუნებრივ ადამიანურ სამყაროს კულტურის სახით, ე. ი. არ გააჩნია აზროვნება. ადამიანი, რასაც ამბობს და რითაც ხელმძღვანელობს, თვითონ კი არ იაზრებს, არამედ სხვები შთააგონებენ, ის კი უბრალოდ იმეორებს მას. ეს ფაქტი მიუთითებს ადამიანის მეორე არსებით შეზღუდულობაზე, თავისუფლებადაკარგულობაზე. თუ ადამიანის მოქმედება არ არის განსაზღვრული საკუთარი ნააზრევით, მოქმედებს სხვათა შთაგონებით და ბრმა იარაღია სხვების ხელში, იგი მოკლებულია თავისუფლებას, რადგან თავისუფლება სწორედ საკუთარი გონების საფუძველზე მოქმედებით გამოიხატება. ეს ორი ნიშანი: აზროვნება და თავისუფლება განსაზღვრავს ადამიანის კულტურის შემოქმედ ფუნქციას. «...Способность человека быть носителем культуры, то есть понимать ее и действовать во имя ее, зависит от того, в какой мере он является одновременно мыслящим и свободным существом».

ფაქტიურად აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ადამიანის როგორც თავისუფლება, ასევე აზროვნება შეზღუდულია.

შვეიცერის მთელი კონცეფცია აგებულია სოციალურისა და ინდივიდუალურის კონფლიქტურობაზე. იგი გამოდის იქიდან, რომ სოციალურის წინსვლა არ ნიშნავს ინდივიდის წინსვლასაც. მაგალითად, კაცობრიობის შემეც[illegible] რესის შესაბამისად სულ უფრო იზრდება ადამიანთა მატერიალ[illegible] ბის დაკმაყოფილების საშუალებანი, ვითარდება ტექნიკა და საერთოდ ძლიერდება ბუნებაზე ბატონობა. მაშასადამე, საზოგადოება სულ უფრო თავისუფლდება ბუნების ძალების გავლენისაგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შესაბამისად იზრდებოდეს ინდივიდის თავისუფლება. პირიქით, ბუნებაზე საზოგადოების გაბატონების კვალად ინდივიდის თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობანი მცირდება. თუ ინდივიდუალური მწარმოებელი პასუხისმგებელი იყო თავის პროდუქციაზე, ცენტრალიზებული წესით დასაქმებულ ადამიანთა საქმიანობაში ინდივიდი დაკარგულია, წუნისა და დანაშაულისათვის კონკრეტულად არავინაა პასუხისმგებელი. ასეა ყველა სოციალურ სფეროში — ბატონობს და მოქმედებს ანონიმური ძალა, მას კი პასუხი არ მოეთხოვება. წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია სულ უფრო მეტად მოითხოვს ადამიანთა გაერთიანებას დიდ ერთობებში, რის გამოც ისინი წყდებიან ბუნებასა და საკუთარი მიწის ნაკვეთს, ხდებიან დიდი ქალაქის მცხოვრებნი, რომელთაც არა აქვთ მიზიდულობის, სიყვარულის ტრადიციული გრძნობა. ადამიანთა ეს არაბუნებრივი, არაფრისმთქმელი ყოფიერება უკავშირდება მათ დაძაბულ არსებობას. ადამიანები იქცევიან სამუშაო ძალად, მათ შრომას აკლია **გონითი** საწყისი, გადატვირთულობის შედეგად ადამიანის საქმიანობაში **გონითი** იცვლება ავტომატურით, მექანიკურით. **გონით** სიკვდილთან ერთად კვდება ადამიანიც. ეს პროცესი ბავშვობიდან იწყება. მშობლებს არა აქვს საკმაო დრო ყურადღებით მოეკიდონ შვილების განვითარებას. ადამიანი თავისუფალ დროს მიიჩნევს არა თავისთავში ჩაღრმავების, არამედ გართობის საშუალებად. მას სურს გართობა და სენსაცია და არა აზროვნება. შესაბამისად იცვლება კულტურის ინსტიტუტებიც: თეატრის ნაცვლად ჩნდება კაბარე, სერიოზულ ნაწარმოებებს ცვლის მსუბუქი გასართობი ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები სენსაციური ცნობებითაა საინტერესო. მათში იკარგება ყოველივე, რასაც გააზრება სჭირდება. ამით კულტურის ინსტიტუტები თვითონაც უწყობენ ხელს ადამიანის დაცემას. ადამიანისათვის იმდენად დამახასიათებელი ხდება გონისგან დაცლილობა, რომ ცდილობს მსჯელობაში არაფერი თქვას საკუთარი; მისი სურვილია ყოველივე ისე გამოთქვას, როგორც საყოველთაოდაა მიღებული, როგორც საერთოდ იტყოდა სხვა ადამიანი. ეს პროცესი განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს დიდ ქალაქებში, იმდენად სწრაფად, რომ კულტურის გადარჩენა ნიშნავს გადავარჩინოთ ადამიანები დიდი ქალაქებიდან მომდინარე გონითი გახრწნისაგან. ადამიანთა დიდი რაოდენობის კონცენტრაცია მათ ერთობას კი არ იწვევს, არამედ გათიშულობას, რადგან ნამდვილ კომუნიკაციას არა აქვს ადგილი.

კულტურის დაცემისა და მისი ფსიქიური დამუხრუჭების გზაზე ერთ-ერთი ნიშანია ადამიანთა ცალმხრივი განვითარება. მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი ზრდა იწვევს ადამიანთა მოღვაწეობის ერთი გარკვეული სფეროთი შემოფარგვლას. ამ სფეროშიც იგი უნივერსალური ცოდნის მქონე კი არაა, არამედ

 იცის მხოლოდ ერთი განსაზღვრული უბანი. ამრიგად, უნივერსალური ადამიანის ნაცვლად ვღებულობთ ვიწრო ჰორიზონტის და სპეციალიზაციის ადამიანს, რაც იწვევს შემოქმედებისა და მხატვრული საწყისის კვდომას ადამიანში. ინდივიდუალობას ცვლის სტანდარტები და ეს პროცესი მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო მაღლდება მისი მატერიალური მდგომარეობა. ტექნიკის წარმატებას მოსდევს გონის დეგრადაცია. ყოველივე ეს აზროვნებისა და თავისუფლების დაკარგვა, გათიშულობა, შემოფარგლულობა ქმნის ნიადაგს ადამიანის არაჰუმანურობისათვის. მუდამ რომ გვეჩქარება, და ამავე დროს სულ უფრო ხშირად ვხვდებით ერთსა და იმავე ადამიანებს, ეს იწვევს ურთიერთშორის გაუცხოებას. თვით ჩვენი ყოფიერების გარემოებანი არ გვაძლევს საშუალებას ერთმანეთს მოვექცეთ ადამიანურად. არავის სცალია იმისათვის, რომ ჩაიხედოს სხვის სულში. საწარმოო ამხანაგობანი თუ სხვა სახის გაერთიანებანი არ ამკვიდრებს ადამიანურ ურთიერთობას. ადამიანთა დამოკიდებულებაში გაჩნდა აბსოლუტური ინდიფერენტულობა და იგი ანემიურად კი არ იქცევა, არამედ ნორმალურობის ეტალონად; რაც შეეხება ჰუმანურობას, იგი გადმონაშთისა და რაღაც რუდიმენტულის მნიშვნელობას იძენს. სულ უფრო მეტად მკვიდრდება პრინციპები, რომელნიც ადამიანებს საშუალებად აქცევს; ომებზე ისე ლაპარაკობენ, როგორც ჭადრაკის თამაშზე. ადამიანთა საქმეებს სტატისტიკური მონაცემებით ანგარიშობენ, თითქოს ამ ციფრებს უკან არ იდგეს ინდივიდები მათი ბედნიერებითა და უბედურებით. კანის ფერის გამო კაცობრიობის ნახევარი ადამიანად არ ითვლება, აღზრდის საშუალებანიც არაჰუმანურია. ახალგაზრდობა იზრდება ანტიჰუმანიზმის ფსიქოზით. ეს კიდევ ერთი ფაქტორია, რაც აჩქარებს კულტურის დაცემას და კრიზისის მეტად მწვავე გამოვლინებაა.

შვეიცერის აზრით, კულტურისა და ადამიანის კრიზისის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა პათოლოგიური ცვლილებანი იმ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის. ინდივიდთა ერთობლიობა ქმნის საზოგადოებრივ უჯრედებს, რომელნიც ორგანიზებულობის გარკვეულ ფორმას წარმოადგენენ. საზოგადოების ორგანიზაცია კულტურის აუცილებელი პირობაა. მაგრამ როდესაც ეს ორგანიზებულობა ზეორგანიზებულობაში გადადის, იგი კულტურისა და ადამიანის მიმართ გარეგანი ძალა ხდება, რომელიც ზღუდავს და თრგუნავს შემოქმედებით საწყისებს და გონით ცხოვრებას. ინდივიდი საზოგადოებიდან ღებულობს მზა იდეებს და ხდება მათი მომხმარებელი, რითაც საზოგადოება შთანთქავს ინდივიდს.

ინდივიდსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულება შვეიცერს ესახება პათოლოგიურად არა მარტო ინტელექტუალურ, არამედ ეთიკურ სფეროშიც. მისი შეფასება განისაზღვრება საზოგადოების მიერ დაწესებული ნორმებით, მისთვის კარგია ის, რაც საზოგადოებამ გამოაცხადა კარგად. საზოგადოების უაზრო მოქმედებებს ის არ თვლის ცუდად, რადგან მათ ზომავს არა ზნეობის მასშტაბით, არამედ სარგებლიანობისა და მოხერხებულობის საზომით. საზოგადოება ახდენს ინდივიდის დემორალიზაციას.

დიდი ეთიკური იდეალების ადგილი დაიჭირა წვრილმანმა იდეებმა. ამით ადამიანებმა დაკარგეს რეალური და წარმოსახვითი ღირებულების განსხვავე-

ბის უნარი. გულუბრყვილო რწმენა ბუნებრივი პროგრესისადმი, ეთიკური იდეალების უკუგდება და მთლიანად მატერიალურ ინსტიტუტებზე დამყარება იწვევს უკულტურობას.

კრიზისის ერთ-ერთ ნიშნად შვეიცერს მიაჩნია წარსულისადმი დამოკიდებულებაში ისტორიული მიდგომის უქონლობა. ესაა ცდა — წარსული წარმოვადგინოთ როგორც აწმყო. მისი აზრით, კრიტიკულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შეძლო ისტორიზმის დამკვიდრება, რადგან ისტორიკოსები ვერ ამაღლდნენ ეპოქის ინტერესებზე მაღლა. ისინი შეზღუდული აღმოჩნდნენ ეროვნული, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური მოტივებით. ისტორიული პროცესების ობიექტურ განხილვას ნიადაგი გამოეცალა. მეცნიერულობა შეითავსა ტენდენციურობამ; წარსულს ისტორიკოსები წარმოადგენენ არა იმ სახით, როგორიც იყო, არამედ ისე, როგორიც თანამედროვეებს სურდათ რომ ყოფილიყო, პრეზენტისტულად. აწმყოს გასამართლებლად წარსული გადმოაქვთ აწმყოში, მას აცხადებენ მარადიულად. არსებული სინამდვილე და იდეები გონებით კი არ ფუძნდებიან, არამედ მათი „ისტორიული" საფუძვლის გამონახვით.

შვეიცერი კრიზისის ერთ-ერთ ნიშნად თვლის ნაციონალიზმს, რომელიც პატრიოტიზმის გაზვიადებულ, აბსურდამდე აყვანილ გრძნობას ემყარება. ფიხტეს დროს ეროვნული იდეა ეთიკური იდეალების სამსახურში იდგა და კულტურის ერთ-ერთ შემოქმედ ძალას წარმოადგენდა. ამჟამად, შვეიცერის აზრით, ვითარება შეიცვალა. ეთიკური იდეალები გაჰქრა და ნაციონალიზმი გახდა თვითნებური, შეუზღუდავად მოქმედი ძალა. ნაციონალიზმის დროშით ძლიერი იმონებს სუსტს, იგი ხდება ბატონობის საშუალება. შვეიცერი ნაციონალიზმს აიგივებს საერთოდ ეროვნულ პოლიტიკასთან და ორივეს უარყოფს. ასევე არასწორად აფასებს ეროვნულ კულტურას, იგი მიაჩნია საერთო-საკაცობრიო კულტურასთან შეუთავსებლად და კრიზისის მაჩვენებლად.

შვეიცერის აზრით, კულტურის კრიზისის ერთ-ერთი ნიშანია მეცნიერებისა და აზროვნების გათიშვა. მეცნიერება შემოიფარგლება სინამდვილის კვლევით და არ ახდენს კვლევის შედეგთა გააზრებას, მათ მსოფლმხედველობრივ ინტერპრეტაციას. მეცნიერება არაა მოაზროვნე. წარსულში მეცნიერება და აზროვნება საერთო ძალით ამტკიცებდნენ გონების ბატონობას. ამჟამად მეცნიერება მხოლოდ პრაქტიკული მიზნებით არის დაინტერესებული. ეს პრაქტიციზმი მეცნიერებისთვის დამღუპველი გამოდგა.

კრიზისის აღნიშნული ნიშნები მიუთითებენ მის მიზეზებზეც, რომელთაგან ჩადომინირებელი მნიშვნელობა ენიჭება ოპტიმისტურ-ეთიკური მსოფლმხედველობის უქონლობას. შვეიცერის მიერ კრიზისის ფიქსირება მისი მსოფლმხედველობის ერთი მომენტია.

შვეიცერის მსოფლმხედველობის სრული სურათი რომ წარმოვადგინოთ, აუცილებელია შევეხოთ მის პოზიციას კულტურის მომავლისადმი. საკითხი ისმის, ხედავს თუ არა შვეიცერი კულტურის კრიზისიდან გამოსავალს და რამდენად მიაჩნია ისტორია საზრისიან პროცესად. ხომ არ განაპირობებს კრიზისის დანახვა შვეიცერის ცნობიერების კრიზისულობას, ან კიდევ, კრიზისის გაცნობიერებისა და ახალი ოპტიმისტურ-ეთიკური მსოფლმხედველობის შექმნით ხომ

არ გამოაქვს დასკვნა მთელი სამყაროს საზრისიანობის შესახებ? თუ [illegible] ვიხილავდით იმ შედეგებს, რომლებთანაც მიიყვანა შვეიცერი შემეცნებამ, ახლა უნდა დაისვას საკითხი შვეიცერის პოზიციის შესახებ არსებულ თეორიების მიმართ. შვეიცერი სვამს ადამიანისა და ისტორიის საზრისის საკითხს [illegible] საკითხის დასმაში განსხვავდება ტეიარ დე შარდენისაგან. თუ ამ უკანასკნელს შესაძლებლად მიაჩნია საზრისის საკითხის დასმა მთელი სამყაროს მასშტაბით, შვეიცერის აზრით, საზრისის საკითხი არ შეიძლება ეხებოდეს მთელ სამყაროს. იგი უნდა დაისვას მხოლოდ იმ სფეროს მიმართ, რომელშიც ინტენციონალურად მოქმედი არსებანი მოღვაწეობენ. ასეთი კი ადამიანის ე. ი. კულტურისეული სფეროა; მაშასადამე, საზრისის საკითხი არაა კოსმიური და არც სამყაროსეული მასშტაბისა. თუ ტეიარ დე შარდენს საზრისი მიაჩნია ბუნებრივად განხორციელებადად, შვეიცერის აზრით, ბუნებრივ-ისტორიული პროგრესი არ უზრუნველყოფს საზრისს, ჩვენი სამყაროს გასაზრისიანება ჩვენივე საქმეა.. შვეიცერი აქ ერთმანეთს ადარებს აღმოსავლურ და დასავლურ სტილს. აღმოსავლეთში ყოველთვის გაიაზრებოდა ცხოვრების საზრისის კითხვა, განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ ინდური ფილოსოფია. შვეიცერი კარგად იცნობს აღმოსავლურ აზროვნებას, არის მისი ერთ-ერთი მკვლევარი; იგი მრავალი მასალის საფუძველზე ასაბუთებს, რომ აღმოსავლეთში ეს საკითხი ყოველთვის აზროვნების ცენტრში იდგა.

განსხვავებით აღმოსავლურისაგან, ევროპული სტილი მოქმედებისადმი დაუოკებელ ლტოლვაშია. ევროპელები ცხოვრების საზრისის კითხვის გააზრებას დროის დაკარგვად თვლიან და ცდილობენ უშუალოდ იმოქმედონ. აქლიათ რა ეს თეორიული ორიენტირი, ისინი ერთნაირად ემსახურებიან როგორც ამაღლებულ, ისევე დაბალ მიზნებსაც. საზრისის საკითხის დასმა სასარგებლოა იმ შემთხვევაშიც, როცა არ ჩანს მისი განხორციელების გზები. ყოველ შემთხვევაში, მოძრაობის მიმართულება ნათელია. ამიტომ, შვეიცერის აზრით, ყველანი უნდა დაფიქრდნენ ცხოვრების საზრისის საკითხზე. შვეიცერი აკრიტიკებს იმათ, ვისაც სურდა ცხოვრების საზრისი გამოეყვანა სამყაროს საზრისისაგან იმის ნაცვლად, რომ ცხოვრების საზრისის საფუძველი ეძებნა ჩვენში არსებულ ცხოვრებისადმი ნებელობაში. ყოველი ცდა — სამყაროს საზრისიდან გამოვიყვანოთ ცხოვრების საზრისი, ნიშნავს სამყარო განვიხილოთ როგორც მიზანშეწონილი პროცესი. ფაქტიურად ასეთი მიზანშეწონილობა ბუნებაში არ არსებობს. ყოველი ცალკეული სიცოცხლის მიმართ არსებობს მიზანშეწონილობა, მაგრამ არ არის ყველა სიცოცხლის გამაერთიანებელი მიზანშეწონილობა. ადამიანის მიზნების გადატანა უნივერსუმზე, უნივერსუმისა და ადამიანის ესოდენ დიდ დისპროპორციის ვითარებაში, უაზრობაა. ესაა ცდა თავს მოვახვიოთ სამყაროს ის, რაც ჩვენთვის სასურველია. «Бесперспективность попытки вывести смысл жизни из смысла бытия определяется прежде всего тем, что в мировом процессе не обнаруживается той целесообразности, которая могла бы подчинить себе деятельность человека и человечества... ...Насколько же тщетным перед лицом универсума оказываются наши попытки придать смысл бесконечному миру, смысл, исходящий от человека и направленный только на объяснение его жизни[1]».

თუ არ არსებობს გზა სამყაროდან ადამიანის ყოფიერების გაგებისაკენ, მაშინ არ არის გზა მსოფლმხედველობიდან ცხოვრებაზე შეხედულებათა გადა-ბამდე, რადგან მსოფლმხედველობა სამყაროს თეორიაა და მისგან არ გამოიყვა-ნება შეხედულებები ადამიანთა ცხოვრებაზე. როდესაც მსოფლმხედველობი-დან ცდილობენ გამოიყვანონ შეხედულებანი ცხოვრებაზე, ფაქტიურად ცხოვ-რების გაგებით ზომავენ სამყაროს. მსოფლმხედველობა და ცხოვრების ხედვა არ გამოიყვანება ერთმანეთისაგან. შვეიცერი მიჯნავს ცხოვრების ხედვას მსო-ფლმხედველობისაგან. მსოფლმხედველობა შემეცნებითი ხასიათისაა, ცხოვრე-ბის ხედვა კი ნებელობითი. ამის შემდეგ შვეიცერი სვამს კითხვას — არის თუ არა ჩვენი ყოფიერება საზრისიანი? ეს საკითხი უნდა გადაწყდეს კულტურის მომავლის განჭვრეტით, მაშასადამე, მისი კრიზისის დაძლევის გზების მითითე-ბით. შვეიცერი უარყოფითად ეკიდება იმათ, ვინც ისტორიას ბედნიერების არე-ნად მიიჩნევს. ისტორია მას ესახება ტრაგიკულად და ამდენად, პესიმიზმიც და-მახასიათებელია მისთვის, მაგრამ გამოსავალი უნდა იყოს ოპტიმიზმში, რომე-ლიც აცნობიერებს კულტურის საფრთხეს და მის ტრაგიკულობასაც. ამ ვითა-რებაში ადამიანმა უნდა დაამკვიდროს საკუთარი ყოფიერება. ეს უნდა მოხდეს არა რომელიმე ახალი, არაისტორიული ხალხების ხარჯზე (ასეთი ხალხები არ არსებობენ), არამედ არსებულ ხალხთა გონითი განახლების გზით. თუ ეთიკუ-რი გახდება კულტურის საფუძველი, კულტურის დაისი შეიცვლება აისით. ამი-სათვის საჭიროა გიგანტურ სიძნელეთა გადალახვა:

«Каких усилий нам будет стоить разорвать союз бездумного оптимизма и бездумного пессимизма, в плену которых мы находимся, чтобы таким путем подготовить возрождение культуры!».

კულტურის აღორძინება არ ნიშნავს, რომ დადგება უწყვეტი აღმავლობის ეპოქა, კულტურას ერთნაირად ახასიათებს აღმავლობაც და დაღმავლობაც. გო-ნის მიზანია დაღმავლობა არ აქციოს კულტურის უკანასკნელ მდგომარეობად. შვეიცერის აზრით, კულტურის აღმავლობისთვის საჭიროა არა ახალი, არამედ უკვე არსებული იდეების განახლება.

შვეიცერის თეორიაში ოპტიმიზმი და პესიმიზმი ტრადიციულისაგან განსხ-ვავებულ მნიშვნელობას იძენენ. ოპტიმიზმს იგი უკავშირებს გარე სამყაროსა და ფაქტების წინაშე მოკრძალებას, პესიმიზმი კი, მათი იგნორირებით წარიმართე-ბა შინაგანზე, ადამიანის გონზე. ოპტიმიზმის ნაკლია ყოველივეს დანახვა ვარ-დისფრად, ესაა გამოცარიელებული ოპტიმიზმი, რომელიც, შვეიცერის აზრით, ჰგავს ტუბერკულოზის ჩხირის მიერ გამოყოფილი ტოქსინების მოქმედებას— ისინი იწვევენ მოჩვენებით კარგადყოფნის განწყობას, მაშინ როდესაც ორგანიზ-მი იფიტება. ასეთი ოპტიმიზმი ფაქტიურად პესიმიზმია. ნამდვილ ოპტიმიზმს მასთან არაფერი აქვს საერთო. ნამდვილი ოპტიმიზმი იმდენად კრიტიკულია სამ-ყაროსადმი, რომ იგი პესიმიზმად მოგვეჩვენება. ფაქტიურად, იგი ერთნაირად ებრძვის ვულგარულ ოპტიმიზმსაც და პესიმიზმსაც. მომავალში ბრძოლა პესი-მიზმსა და ოპტიმიზმს შორის უფრო მკვეთრი გახდება. ოპტიმიზმი ვერასოდეს მიაღწევს იმას, რომ საბოლოოდ დაამარცხოს პესიმიზმი. ისინი ისტორიულად

ყოველთვის ერთად არსებობდნენ. განსხვავება იმაში იყო, თუ რომლის რომელი ბატონობდა.

შვეიცერის თეორია ეს არის კულტურის განახლების, კრიზისის, დაძლევის მსოფლმხედველობა. მართალია, შვეიცერი ვერ ხედავს კრიზისის დაძლევის რეალურ გზებს, მისთვის მიუღებელია კულტურის განახლების მარქსისტული თეორია, მაგრამ მისი მოძღვრების ღირსება მდგომარეობს არა კრიზისის დაძლევის ჭეშმარიტი გზების დასახვაში, არამედ კრიზისის გაცნობიერებასა და მისი დაძლევის იმედში. ეს იმედის ფილოსოფიაა. შვეიცერს სჯერა ადამიანის, სჯერა რომ გონება გაიმარჯვებს უგონობაზე, კულტურა — უკულტურობაზე, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ადამიანები გონივრულად იმოქმედებენ. შვეიცერის აზრით, კულტურამ დაკარგა მამოძრავებელი ძალები, ამოცანა მდგომარეობს მათ განახლებაში ანუ კულტურის ახალ აღმავლობაში. შვეიცერი მას „ახალ გზას“ უწოდებს. მისი აზრით, კაცობრიობა დგას დილემის წინაშე: ან ძველმა ხალხებმა უნდა განიცადონ განახლება გონითი ძალებით, რომლებიც განსაზღვრავენ გარეგან ფაქტებს, ანდა გარეგან ძალებზე დამყარებული კულტურა კვლავ დაექანება დაღუპვისაკენ.

შვეიცერი უარყოფს კულტურის ბუნებრივი კვდომის თეორიას, მისთვის მიუღებელია ორგანიციზმი, რომლის მიხედვითაც კულტურას გააჩნია არსებობის განსაზღვრული ასაკი, რომ ყოველი კულტურა იბადება, მწიფდება და კვდება. ასეთი კონცეფცია არაეთიკურად მიაჩნია, და მას უპირისპირებს ეთიკურ კონცეფციას, რომელიც შეიცავს კულტურის განახლების რწმენას. კულტურის განახლება უნდა გულისხმობდეს იდეებისა და იდეალების კვლავ მოქმედებაში მოყვანას. ამის გარეშე კულტურა განწირულია უფსკრულში გადასაჩეხად და მისი მდგომარეობა ჰგავს ბრეიგერის „ბრმების“ მდგომარეობას. კაცობრიობის წინაშე მდგარი ამოცანა შეიძლება შეედაროს ტაძრის საძირკვლის განახლებას, როცა მისი კედლები „დაჯდება“. „გიგანტური რევოლუცია უნდა მოხდეს რევოლუციურ მოქმედებათა გარეშე“, უნდა აღდგეს ჭეშმარიტება, რომ გონი არის კულტურის შემოქმედი ძალა; გონი ხორციელდება მსოფლმხედველობაში, ამიტომ კაცობრიობის ამოცანაა კულტურის შემოქმედი მსოფლმხედველობის შექმნა. ამრიგად, „ჩვენი ეპოქის განახლება უნდა დაიწყოს მსოფლმხედველობის განახლებით“. ეს ნიშნავს, რომ უნდა შეიქმნას მოაზროვნე, ჭეშმარიტების მაუწყებელი მსოფლმხედველობა, რომელშიც გააზრებული იქნება ჩვენი ყოფიერების საზრისი და კაცობრიობის დანიშნულება. ამით ჩვენს ყოფიერებას მიენიჭება მიმართულება და ღირებულება.

შვეიცერის აზრით, ცხოვრებისა და ყოფიერების საკითხები არ მიიწვდომება მხოლოდ გონით. საჭიროა მისი შევსება მისტიკით, მაგრამ ეს არ იქნება აზროვნებაზე უარის თქმა. მისტიკამ უნდა გააგრძელოს აზროვნება, ისინი ერთიანობაში არიან.

ერთადერთი გზა ცხოვრების საზრისის გაგებისა არის ახალი ტიპის მსოფლმხედველობა; მოაზროვნე მსოფლმხედველობა არის მხოლოდ და მხოლოდ ინ-

დივიდის შემოქმედების შედეგი. ინდივიდი ნამდვილ პიროვნებად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიმუშავებს საკუთარ მსოფლმხედველობას. ეს ნიშნავს, რომ კულტურის შემოქმედი საწყისი არის ინდივიდი და არა-მასა. ინდივიდი და მსოფლმხედველობა ურთიერთს განაპირობებს.

მოაზროვნე მსოფლმხედველობა კულტურის შემოქმედი ძალა რომ იყოს, მას უნდა ახასიათებდეს ოპტიმიზმი და ეთიკა, თუმცა შვეიცერი აკრიტიკებს ოპტიმიზმის ისეთ სახეობას, როგორიცაა გულუბრყვილო ოპტიმიზმი, მაგრამ საერთოდ ოპტიმიზმის გარეშე მას შეუძლებლად მიაჩნია კულტურის განახლება და დაფუძნება. ამიტომ მისი ფილოსოფია ოპტიმისტურ მსოფლმხედველობათა ტიპს მიეკუთვნება. მისი აზრით, ოპტიმისტურია მსოფლმხედველობა, რომელიც „ყოფიერებას აყენებს არაყოფიერებაზე მაღლა, და ამით სამყაროსა და სიცოცხლეს ამკვიდრებს, როგორც თავისთავად ღირებულს“. ეს ის საფუძველია, რომლიდანაც გამოიყვანება ინდივიდის, საზოგადოების, ხალხებისა და კაცობრიობის სიკეთისათვის ბრძოლის აუცილებლობა ისე, როგორც გარეგანი სამყაროს დაქვემდებარებისთვის ბრძოლა. ეთიკა, როგორც კულტურის განახლების ქმედითი ძალა, ის ძირითადი ბაზაა, რომელზედაც ამყარებს შვეიცერი იმედს. ეთიკა მას ესახება როგორც ადამიანის შინაგანი სრულყოფის გზა. ეთიკის პრინციპებზე აგებული ოპტიმისტური მსოფლმხედველობა, მისი აზრით, კულტურის საძირკველია. «Итак, культура есть результат взаимодействия оптимистического мировоззрения и этики. По отдельности ни оптимистическое мировоззрение, ни этика, не способны породить ее».

შვეიცერი ეკუთვნის იმ ადამიანებს, რომლებიც არა მარტო ეთიკის თეორიულ სისტემებს ქმნიან, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებენ მათ და თავიანთ ცხოვრებას საკუთარი ეთიკის პრინციპების დემონსტრაციად აქცევენ. შვეიცერისთვის უდავოა კაცობრიობის ზნეობრივი კათარსისის აუცილებლობა და სახავს იმ გზას, რომლითაც უნდა დაიძლიოს ანტიჰუმანიზმი. ასეთ გზად მას მიაჩნია ახალი ეთიკის დაფუძნება. მისი აზრით, წარსული ეთიკა ითვალისწინებდა ადამიანთან ადამიანის ურთიერთობას, მაგრამ უყურადღებოდ ტოვებდა სხვა სახის სიცოცხლის ღირებულებას. ამიტომ ის არაჰუმანისტური იყო. ახალი ეთიკა უნდა იყოს ყოველგვარი სიცოცხლის მიმართ უსაზღვრო სიყვარულისა და მის წინაშე მოკრძალების გამომხატველი, სამყაროში ადამიანი არაა ერთადერთი ღირებულება. სამყაროში უნივერსალური ღირებულებაა ყოველგვარი სიცოცხლე. თუ ყოველივე ქედს მოიხრის სიცოცხლის წინაშე, მაშინ დამკვიდრდება ახალი ეთიკა. ამ ეთიკის ძირითადი ამოცანაა დააფუძნოს ოპტიმიზმი სიცოცხლისადმი ნებელობის გზით. შვეიცერის მტკიცებით, ეთიკას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ზნეობრივი ძირითადი პრინციპი. ეთიკის ისტორიაში ასეთი პრინციპის გამომუშავების ყველა ცდა უნაყოფოდ დამთავრდა. არ გაამართლა ანტიკურობაში გამომუშავებულმა ეგოისტურმა უტილიტარიზმმა. არც ახალი დროის ევროპის სხვებისთვის თავშეწირვის სოციალურმა უტილიტარიზმმა. კანტმა წამოაყენა სწორი პრინციპი საკუთარი მორალური სრულყოფისა, მაგრამ ეს იყო აბსტრაქტული მოვალეობის ფარგლებში, ამიტომ არც ის გამოდგა. შვეიცერის აზრით, ახალი ეთიკის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს საკუთარი თავის სრულ-

ყოფა სამყაროსა და სიცოცხლის დამკვიდრების გზით. ეს სრულყოფა არ გამორიცხავს სიცოცხლის უარყოფასაც, თუ იგი ემსახურება სამყაროსა და სიცოცხლის დამკვიდრებას. ყოველივე ეს უნდა იდგეს ჰუმანურობის სამსახურში. ადამიანი არ უნდა შეეწიროს რაიმე მიზანს, შვეიცერის აზრით, არავითარი მიზანი არ ამართლებს ადამიანის მსხვერპლს. ამიტომაა კონფლიქტი ზნეობრივ პიროვნებას, ინდივიდუალურ ეთიკასა და სოციალურ ეთიკას შორის.

შვეიცერი უარყოფითად ეკიდება სოციალურ ეთიკას, რადგან მიაჩნია, რომ იგი არ ითვალისწინებს ინდივიდის ინტერესებს. მას არ ესმის თანაფარდობა სოციალურსა და ინდივიდუალურს შორის და ინდივიდის მიერ ყოველი საზოგადოებრივი საქმის განხორციელება ინდივიდის დამონებად მიაჩნია. მას ავიწყდება ადამიანის სოციალურობა, შეუძლებელია დავუჯეროთ შვეიცერს, რომ ეთიკისთვის აუცილებელია მისტიკა, რომ „ეთიკა იშვება მისტიკისაგან". ასევე ფანტასტიკურია მტკიცება, რომ ეთიკა გახდება კოსმიური თუ მასში გაერთიანდება საკუთარ თავზე უარისთქმა და საკუთარი სრულყოფის პრინციპი. მარქსისტული თვალსაზრისით, მსოფლმხედველობას დიდი როლი ენიჭება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ახალი მსოფლმხედველობის გამომუშავება მიზანი კი არაა, ამით, კი არ მთავრდება საზოგადოებრივი ყოფიერების დამკვიდრება, არამედ ამით იწყება, რადგან იგი ხდება საზოგადოების გარდაქმნის საშუალება. ჰუმანიზმის დამკვიდრება მხოლოდ ახალ საზოგადოებაშია შესაძლებელი. ასევე საფუძველს მოკლებულია და წარუმატებელი შვეიცერის ცდა—გააერთიანოს რელიგია და ფილოსოფია. შვეიცერი საბჭოთა მკვლევარის — ვ. პეტრიცკისადმი მიწერილ წერილში ამ მცდარ მოსაზრებას ასე აყალიბებს: «Конечная цель всякой философии и религии состоит в том, чтобы побудить людей к достижению глубокого гуманизма. Самая глубокая философия становится религиозной и самая глубокая религия становится мыслящей».

შვეიცერის თვალსაზრისის ძირითადი პრინციპები მიუღებელია. მიუხედავად ამისა, იგი საინტერესო მოაზროვნეა, რადგან მისი ფილოსოფია წარმოადგენს ახალი ჰუმანიზმის დამკვიდრების ცდას. მისი მიზანია ადამიანური სამყარო, საშუალებანი კი ყოველთვის როდი შეესაბამება დასახულ მიზანს. მთავარია, რომ შვეიცერმა შეინარჩუნა ოპტიმისტური ცნობიერება, მიუხედავად იმისა, რომ კულტურის კრიზისს აღიარებდა.

შვეიცერმა ვერ იპოვა რეალური გზა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას გამოიყვანდა კულტურისა და ადამიანურობის კრიზისიდან. ის მცდარად მიიჩნევს, რომ კრიზისის თავიდან აცილება. ისეთი სულიერი მოვლენების შექმნით შეიძლება, როგორიც არის მსოფლმხედველობა, რელიგია და ცნობიერების სხვა ფორმები. მას ვერ გაუგია, რომ მის მიერ მითითებული და სხვა სულიერი ფენომენებიც სოციალური ყოფიერების ბაზაზე აიგებიან და საზოგადოების ნაგებობის შეცვლა სწორედ რეალური ყოფიერების შეცვლით უნდა მოხდეს.

შვეიცერი იდეალისტია, მას არ ესმის საზოგადოებისა და კულტურისათვის მატერიალური ძალების განმსაზღვრელი მნიშვნელობა. ამავე დროს შვეიცერი არსებითად უტოპისტია, რადგან მის მიერ კულტურის ჰუმანიზაციის გზად გამოცხადებული საშუალებანი არარეალურია ამ ამოცანის განსახორციელებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**В. А. МЕСХИ**

## АЛЬБЕРТ ШВЕЙЦЕР О КУЛЬТУРЕ

### Резюме

Альберт Швейцер — немецкий гуманист, один из выдающихся мыслителей двадцатого века, является представителем философии культуры. Основным объектом его исследования является современная культура и ее будущее.

Швейцер один из передовых буржуазных мыслителей, который признает кризис современной буржуазной культуры. Причинами кризиса культуры и человека он считает отсутствие мировоззрения, ограниченное и детерминированное мышление, отсутствие свободы, больших этических идеалов, отсутствие исторического подхода к прошлому, национализм и т. д. Ярким проявлением этого кризиса являются патологические изменения во взаимоотношениях индивида и общества. По мнению Швейцера, эта патология проявляется не только в интеллектуальной, но и этической сфере.

Швейцер не видит реальных путей, которые могли бы вывести капиталистическое общество из кризиса. Он ложно считает, что кризис можно преодолеть созданием нового мировоззрения, религии, других форм общественного сознания. Он не понял, что указанные им духовные феномены создаются на базе общественного бытия и для их изменения необходимо изменить реальные материальные условия, общественное бытие.

Швейцер идеалист, т. к. он не понимает определяющую роль материальной основы культуры. В сущности он и утопист, т. к. намеченные им средства гуманизации культуры нереальны.

### Литература

1. Альберт Швейцер. Культура и Этика, изд-во «Прогресс», М., стр. 51, 1973 г.
2. Там же, стр. 103.
2. Там же, стр. 328.
4. Там же, стр. 328—329.
5. Там же, стр. 103.
6. Там же, стр. 78—79.
7. Там же, стр. 40.
8 Там же, стр. 274.
9. Там же, стр. 70.
10. Там же, стр. 88.
11. Пьер Тейяр де Шарден. Феномен человека, изд-во «Прогресс», 1972 г.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXXIX, 1974 წ.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, Т. LXXXIX, 1974 Г.

Доц. М. А. ИВАНОВА

# К ВОПРОСУ О ПОСЛОВИЦАХ, ПОГОВОРКАХ И ИЗРЕЧЕНИЯХ В ТРУДАХ В. И. ЛЕНИНА

Гений, дух, характер
народа проявляются в
его пословицах.
**(Ф. Бэкон)**

«Перед советской наукой стоит нелегкая, но почетная задача — раскрыть своеобразие языка произведений Ленина в системе стилей русского литературного языка конца XIX—начала XX вв., установить значение языкового наследия Ленина в системе стилей русского литературного языка советского периода, особенно научного и публицистического»[1].

Одним из важнейших вопросов при решении этой задачи является вопрос об изобразительных средствах языка В. И. Ленина и, в частности, о пословицах, поговорках и изречениях.

Изречением называется глубокая мысль, выраженная в немногих ярких словах, оно обычно имеет автора. Пословица — это изречение назидательного характера по поводу частного случая, применяющееся в значении обобщения. Например: За двумя зайцами погонишься, ни одного не поймаешь (нельзя сразу делать два дела). Поговорка — это образное устойчивое словосочетание, содержащее иносказание или намек. Например: Водить за нос (обманывать). Однако следует заметить, что выражение «пословицы и поговорки» обычно употребляется в качестве единого термина.

В трудах В. И. Ленина пословицы, поговорки и изречения занимают весьма видное место, причем некоторые из них созданы самим Лениным и вошли в язык. Например: лучше меньше, да лучше; шаг вперед, два шага назад; детская болезнь левизны; на настроение надейся, а винтовки готовь и другие.

[1] Туркин В. Н. — Из наблюдений за языком и стилем книги В. И. Ленина «Материализм и эмпириокритицизм». Научные доклады высшей школы. Филологические науки, № 3, стр. 111, 1960.

В. И. Ленин очень любил и высоко ценил пословицы и поговорки русского народа. В период пребывания в сибирской ссылке В. И. Ленин, выслушав несколько местных пословиц, сказал: «Великолепно, великолепно! Вот где надо учиться нашим писателям, одной фразой наповал бьют».

Известный английский общественный деятель Айвар Монтегю сказал: «Написанное Лениным не архив, а арсенал. Когда наступает час битвы, мы листаем страницы Ленинских книг, точно так, как перед атакой набиваем патронами пулеметные ленты»[3].

В произведениях Ленина употреблено свыше 600 пословиц[4] и поговорок — таких, как «Беречь, как зеницу ока», «В долгу, как в шелку», «В мутной воде рыбу ловить», «В пух и прах», «Делать из мухи слона», «Дыма без огня не бывает», «За двумя зайцами погонишься и одного не поймаешь», «Ларчик просто открывался» «Насильно мил не будешь», «Первый блин комом», «И волки сыты, и овцы целы», «Пускать пыль в глаза», «Стереть с лица земли», «Факты — упрямая вещь», «Шила в мешке не утаишь», «Шито белыми нитками», «Чем дальше в лес, тем больше дров», «Хорошенького понемножку», «Дружба — дружбой, а служба — службой» и др.

Главным образом встречаются те пословицы и поговорки, которые больше всего употребляются народом: «Взялся за гуж, не говори, что дюж», «Семь раз отмерь, один раз отрежь», «Что посеешь, то и пожнешь», «Где тонко, там и рвется», «Слышал звон, да не понял, откуда он» и др.

Приведем несколько примеров.

Говоря в книге «Шаг вперед, два шага назад» о подготовке II съезда РСДРП, Ленин подчеркивал, что подготовку к такому важному событию в жизни партии нельзя было проводить в спешном порядке: «Мы действовали именно по правилу: семь раз отмерь, один раз отрежь» (Соч., изд. V, т. 8, стр. 192—193). Относительно книги «Москва в декабре 1905 года» Ленин писал: «К сожалению, эта книга — бочка меда с ложкой дегтя» (Соч., изд. V, т. 13, стр. 368—370). В статье «Три запроса» Ленин пишет: «Скажи мне, с кем ты знаком, и я тебе скажу, кто ты такой»... Когда читаешь стенографические отчеты Думы, то хочется переделать эту поговорку по адресу того или иного депутата следующим образом: «покажи мне с кем ты говоришь, когда выходишь на трибуну Гос. думы, и я скажу тебе, кто ты такой» (Соч., изд. V, т. 21, стр. 108—109).

Нередко пословицы или поговорки являются заглавием статей В. И. Ленина. Например: «В трех соснах заблудились» — название за-

---

[2] Журнал «Литературный современник», № 1, стр. 10, 1940.

[3] Савенков А. А. — Призыв-действие. Л., стр. 101, 1970.

[4] Подсчет произведен нами по справочному тому к 5-му изданию сочинений В. И. Ленина (часть 2), М., стр. 604—643, 1970.

метки, в которой приводится мнение бундовцев относительно аннексий (Соч., изд. V, т. 30, стр. 144). «Лучше меньше, да лучше» — название статьи о работе госаппарата (Соч., изд. V, т. 45, стр. 389). «Мягко стелет, да жестко спать» (Соч., изд. V, т. 15, стр. 114), «Лучше поздно, чем никогда» (Соч., изд. V, т. 22, стр. 277), «Поспешишь, людей насмешишь» (Соч., изд. V, т. 25, стр. 180), «Соломинка в чужом глазу» (Соч., изд. V, т. 32, стр. 250), «Соловья баснями не кормят» (Соч., изд. V, т. 9, стр. 160), «А судьи кто?» (Соч., изд. V, т. 16, стр. 159).

Употребляя пословицы, поговорки и изречения, Ленин не всегда приводит их полностью. Иногда приводится только часть, иногда делается лишь намек на то или иное общеизвестное образное средство языка. Кроме того, Ленин часто употребляет афоризмы, которые, как он писал: «...с удивительной меткостью выражают сущность довольно сложных явлений (Соч., изд. V, т. 26, стр. 138).

Ленин приводит изречения философов, полководцев, общественных деятелей, такие как: «Все течет, все изменяется» — Гераклита, «Пришел, увидел, победил» — Цезаря, «Смелость, смелость и еще раз смелость» — Дантона и много других.

Остановимся на изречении: «Язык дан человеку для того, чтобы скрывать свои мысли».

Французский политический деятель Бертран Барер в своих мемуарах, изданных в 1942 г. в Париже (т. IV, стр. 477), пишет, что эту фразу сказал французский дипломат Талейран в 1807 г. в беседе с испанским послом. Генрих Гейне приписывает эту фразу наполеоновскому министру полиции Фуше в такой редакции: «Слова созданы, чтобы скрывать наши мысли». Подобная фраза встречается у Вольтера: «Люди пользуются мыслью лишь для того, чтобы оправдать свои несправедливости и применяют слова для того, чтобы скрывать свои мысли». Английский писатель Юнг писал, что «человек извращает естественное назначение языка, говоря лишь затем, чтобы никто не узнал его мысли». Похожие изречения встречались у древних писателей Дионисия Катона и Плутарха.

Это изречение всем известно, и на первый взгляд кажется, что его можно отнести к любому дипломату без ущерба для его престижа и даже использовать в качестве похвалы за умение вести тонкую дипломатическую игру. Но если мы вдумаемся в те строки ленинских произведений, где он употребляет это изречение, мы поймем, что Ленин никогда не пользовался им в вышеуказанном смысле. Ленин считал язык величайшим средством человеческого общения, он призывал к тому, чтобы люди любили свой язык, изучали и обогащали его. По Ленину, язык — это важнейшее средство общения, обмена мыслями и взаимного понимания в человеческом обществе. В. И. Ленин употреблял вышеприведенное изречение в тех случаях, когда он хотел показать беспринципность политическо-

го деятеля, у которого слово расходится с делом, который обман выдает за правду, употребляя слова не для взаимопонимания, а для обмана.

Приведем несколько случаев употребления Лениным данного изречения.

1) В статье «О фракции сторонников отзовизма и богостроительства»[5] В. И. Ленин пишет об «Отчете», в котором Максимов хочет доказать, что у газеты «Пролетарий» были неверные сведения относительно богостроительства, хотя он прекрасно знал, что эти сведения были верны. Изречение — «Язык дан человеку для того, чтобы скрывать свои мысли» разоблачает лживость Максимова.

2) В статье «Революционная борьба и либеральное маклерство»[6] В. И. Ленин говорит, что название «конституционно-демократическая партия» придумано для того, чтобы скрыть ее монархический характер, что подтверждается проектом конституции этой партии, в котором монархия признается, как форма правления государством. Безусловно, изречение «Язык дан для того, чтобы скрывать свои мысли» по отношению к «конституционно-демократической партии» указывает на оценку этой партии Лениным, как партии обманщиков и болтунов.

3) В речи в защиту резолюции о войне на седьмой апрельской конференции РСДРП[7] Ленин говорил, что открытое предложение мира создало бы полное доверие рабочих воюющих стран друг к другу, а словами манифеста этого доверия нельзя создать. Далее Ленин приводит вышеприведенное изречение и добавляет, что «конференции собираются для того, чтобы надувать народные массы». И в данном случае Ленин при помощи изречения подчеркивает стремление участников конференции к обману масс.

4) В заметке «Бей, но не до смерти»[8] Ленин писал о приговоре над полицейским урядником Пановым, избившем до смерти крестьянина Воздухова, как о прямой насмешке над правосудием. Ленин пишет: «Язык дан человеку для того, чтобы скрывать свои мысли — говорят дипломаты. Закон дан для того, чтобы извращать понятие вины и ответственности — могут сказать наши юристы». Как видим, приведенное Лениным изречение помогает вскрыть сущность приговора, заключающуюся в бесстыдной и преступной увертке от наказания.

5) В книге «Что такое друзья народа и как они воюют против социал-демократов»[9]. В. И. Ленин пишет об отзыве, данном Михайловским на

[5] В. И. Ленин, Соч., изд. V, т. 19, стр. 89—90.

[6] В. И. Ленин, Соч., изд. V, т. 10, стр. 258—259.

[7] В. И. Ленин, Соч., изд. V, т. 31, стр. 397—398.

[8] Там же, т. 4, стр. 404—405.

[9] В. И. Ленин, Соч., изд. V, т. 1, стр. 147—148.

